ISCO-0808 I გამოცემა

შრომის
საერთაშორისო
ბიურო
ქ. ჟენევა

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი

სტრუქტურა, ჯგუფების განსაზღვრებები
და შესაბამისობის ცხრილები

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი

ISCO – 08

პროფესიების საერთაშორისო
სტანდარტული კლასიფიკატორი

ISCO – 08

გამოცემა 1

სტრუქტურა, ჯგუფების განსაზღვრებები
და შესაბამისობის ცხრილები

შრომის საერთაშორისო ბიურო
ჟენევა

საავტორო უფლება © შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 2012 წელი

პირველად გამოქვეყნდა 2012 წელს

შრომის საერთაშორისო ბიუროს გამოცემები საავტორო უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-2 ოქმის შესაბამისად სარგებლობენ საავტორო უფლებით. მიუხედავად ამისა, კონვენციიდან მოკლე ამონარიდები წყაროს მითითების პირობით, უფლებამოსილების გაცემის გარეშე შესაძლებელია განახლდეს. განახლებისა თუ თარგმანის უფლების მისაღებად საჭიროა განაცხადის გაგზავნა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) გამოცემების განყოფილებაში (უფლებები და ნებართვები), შრომის საერთაშორისო ბიურო, CH-1211, ქ. ჟენევა 22, შვეიცარია, ან ელექტრონული ფოსტით: pubdroit@ilo.org. შრომის საერთაშორისო ბიურო სიამოვნებით განიხილავს მსგავს განაცხადებს.

ბიბლიოთეკებს, დაწესებულებებსა და სხვა მომხმარებლებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განახლების უფლებების ორგანიზაციებში, მათზე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე შეუძლიათ ასლების გააკეთება. ესტუმრეთ ვებ-გვერდს: www.ifrro.org და თქვენს ქვეყანაში მოძებნეთ განახლების/საავტორო უფლებების ორგანიზაცია.

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი: ISCO-08 / შრომის საერთაშორისო ბიურო.
ქ. ჟენევა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 2012.
I გამოცემა

ISBN 978-92-2-125952-7 (ბეჭდური ვერსია)
ISBN 978-92-2-125952-7 (ელექტრონული ვერსია, pdf)
შრომის საერთაშორისო ბიურო
ISCO / დასაქმების კლასიფიკატორი / დასაქმების აღწერა
13.11.1

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) გამოცემებში გამოყენებული აღნიშვნები შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) პრაქტიკას და მათში წარმოდგენილი მასალა სრულებით არ გამოხატავს შრომის საერთაშორისო ბიუროს აზრს. ის შესაძლებელია, დაუკავშირდეს ნებისმიერი ქვეყნისა თუ ტერიტორიის, ან მისი ხელისუფლების სამართლებრივ სტატუსს, ან კიდევ საზღვრების დელიმიტაციას.

სტატიებში, კვლევებსა და სხვა კონტრიბუციებში გამოხატულ მოსაზრებებზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებათ ავტორებს და გამოცემა არ წარმოდგენს შრომის საერთაშორისო ბიუროს აზრს.

ფირმებისა და კომერციული პროდუქციისა და პროცესების დასახელებებზე მითითება არ გულისხმობს მათ შრომის საერთაშორისო ბიუროსგან დამოწმებას და ნებისმიერი ფირმის, კომერციული პროდუქციისა თუ პროცესის აღუნიშნაობა არ ნიშნავს მათ დაწუნებას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) გამოცემებისა და ელექტრონული პროდუქტების შეძენა შესაძლებელია მრავალი ქვეყნის წამყვან ბუკინისტებსა თუ ILO-ს ადგილობრივ ოფისებში, ან პირდაპირ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) გამოცემებიდან, შრომის საერთაშორისო ბიურო, CH-1211, ქ. ჟენევა 22, შვეიცარია. კატალოგები ან ახალი გამოცემების სია ხელმისაწვდომია უფასოდ ზემოხსენებულ მისამართსა ან შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: pubvente@ilo.org, ან კიდევ სტუმრეთ ჩვენს ვებგვერდს: www.ilo.org/publns.

ფოტო გადაღებულია შვეიცარიაში WEI
დაბეჭდილია შრომის საერთაშორისო ბიუროს მიერ, ქ. ჟენევა, შვეიცარია

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ადაპტაციაზე საქართველოში მუშაობდნენ

- ✓ ვახტანგ ჭარაია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი - თანა/ხელმძღვანელი
- ✓ ოთარ ანგურიძე, თსუ დოქტორანტი - თანა/ხელმძღვანელი
- ✓ მარიამ ლაშხი - პროექტის კოორდინატორი
- ✓ პროფ. აკად. ვლადიმერ პაპავა - დარგის ექსპერტი
- ✓ პროფ. მაია მინდორაშვილი - დარგის ექსპერტი
- ✓ დავით სიხარულიძე - დარგის ექსპერტი
- ✓ მარინე ტურაშვილი - რედაქტორი
- ✓ ჟანა ხელაშვილი - პროექტის თარჯიმანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ჯგუფი

- ✓ გიორგი ბენაშვილი - სტუდენტური ჯგუფის ხელმძღვანელი
- ✓ გიორგი ირემაძე
- ✓ ანა გაგოშვილი
- ✓ ბექა ერისთავი
- ✓ თამუნა ბაბუნაშვილი
- ✓ როზა მიქელიანი
- ✓ თათია წულაია
- ✓ ანანო ჯანგველაძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემა გთავაზობთ 2008 წლის პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-08) ფარგლებში ყველა ჯგუფის სტრუქტურასა და განსაზღვრებას. იგი აგრეთვე, მოიცავს შესაბამისობის ცხრილებს, რომლებიც ასახავენ აღნიშნული ჯგუფების ურთიერთკავშირს პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-88) წინა ვერსიით გათვალისწინებულ ჯგუფებთან. მე-2 გამოცემა მოიცავს პროფესიების დასახელებების განახლებულ და გაფართოებულ მაჩვენებელებსა და ასოცირებულ ISCO-08 და ISCO-88 კოდებს.

2007 წლის 3-6 დეკემბერს გამართულ შრომის სტატისტიკაზე ექსპერტთა სამმხრივი შეხვედრის რეზოლუციით მიიღეს ISCO-08 განახლებული პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის. აღნიშნული შეხვედრა რეზოლუციის საფუძველზე 2003 წელს მოიწვია შრომის საერთაშორისო ბიუროს (ILO) მმართველმა ორგანომ, შრომის სტატისტიკოსთა მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციაზე (ICLS). ექსპერტთა შეხვედრის რეზოლუცია კი 2008 წლის მარტში დაამტკიცდა მმართველმა ორგანომ.

ISCO-08, მისი წინამორბედის მსგავსად, შემუშავდა დასაქმების სტატისტიკურ მონაცემთ საერთაშორისო დონესთან შედარების გასაადვილებლად და იმ ქვეყნებისთვის მოდელად გამოსაყენებლად, სადაც მიმდინარეობს დასაქმების ეროვნული კლასიფიკატორების განვითარება თუ გადახედვა.

ISCO-08-ის განვითარებას ხელი შეუწყო ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაგროვილმა გამოცდილებამ. მრავალი ქვეყნისა და სააგენტოს ექსპერტებთან თანამშრომლობით პროექტს მეთვალყურეობდა დევიდ ჰანტერი შრომის საერთაშორისო ბიუროს სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომელი.

ფასდაუდებელი რჩევებისა და მითითებებისთვის მადლობას ვუხდით შრომის საერთაშორისო ბიუროს, განსაკუთრებით შრომის სტატისტიკაზე ექსპერტთა სამმხრივი შეხვედრისა და შრომის სტატისტიკოსთა მეჩვიდმეტე საერთაშორისო კონფერენციის (ICLS) ექსპერტებს, მათ შორის, საერთაშორისო ეკონომიკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალური კლასიფიკატორების ექსპერტთა ჯგუფს. უმნიშვნელოვანესი რჩევების, მხარდაჭერისა და პირდაპირი დახმარებისთვის ბიურო სპეციალურ მადლობას უხდის ISCO-ს განახლების ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და ხსენებული ექსპერტები დამსაქმებელ სააგენტოებს.

მადლობა ეკუთვნის აგრეთვე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკის თუ სხვა დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომელთაც საკუთარი წვლილი შეიტანეს წინამდებარე გამოცემის დასრულებაში, კერძოდ კი, მადლობას ვუხდით ადრიანა მატა-გრინ-ვუდს, რომელმაც წამოიწყო ეს პროექტი.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....

ნაწილი I. შესავალი და მეთოდოლოგიური შენიშვნები.....
1.1. ISCO-08-ის არსი, მიზნები და განვითარება
1.2. ISCO-08-ის ზოგადი მიმოხილვა .....
1.3. ISCO-ის ძირითადი მიზნები.....
მოკლე ისტორიული ექსკურსი.....
განახლების პროცესისა და კონსულტაციების მოკლე მიმოხილვა .....
სამუშაოს განახლების მოქმედების ფარგლები .....
ჯგუფების განსაზღვრებები .....
პროფესიების დასახელებების მაჩვენებელი.....

2. ISCO-08-ის **კონცეპტუალური** ჩარჩო, დიზაინი, სტრუქტურა და შინაარსი.....
2.1. ძირითადი კონცეფციები .....
სამუშაოსა და პროფესიის განმარტება.....
კვალიფიკაციის დონე და კვალიფიკაციის სპეციალიზაცია.....
ISCO-ის კვალიფიკაციის ოთხი დონის განსაზღვრება.....
კვალიფიკაციის დონე 1 .....
კვალიფიკაციის დონე 2 .....
კვალიფიკაციის დონე 3 .....
კვალიფიკაციის დონე 4 .....
კვალიფიკაციის ოთხი დონის გამოყენება ISCO-08-ის ძირითად ჯგუფებში .....
პროფესიები, რომელთათვისაც განათლების ფორმალური მოთხოვნები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით .....
კლასიფიკაციის სტრუქტურა და კოდების სქემა .....
თემატური შეხედულებები .....
ჯგუფების განსაზღვრებები .....
განსაზღვრებების მიზანი .....
განსაზღვრებების სტრუქტურა და შინაარსი.....
ძირითადი განსხვავებები ISCO-08-სა და ISCO-88-ს შორის.....
ცვლილებების მოკლე შეჯამება მათი განხორციელების მიზეზები .....
მენეჯერული და საზედამხედველო პროფესიები.....
მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები.....
საზედამხედველო პროფესიები
პროფესიონალური და ტექნიკური პროფესიები .....
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) .....
ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებების სფეროს პროფესიები.....
მასწავლებლები.....
ხელოვნებასთან, გართობასთან, დიზაინთან და სპორტთან დაკავშირებული პროფესიები.....
პროფესიონალი ინჟინრები.....

სპეციალიზირებული ადმინისტრაციული პროფესიები.....
ქვეჯგუფისა და მცირე ჯგუფის სტრუქტურები პროფესიონალური და ტექნიკური პროფესიებისთვის.....
საქმის წარმოებასთან, გაყიდვებსა და მომსახურებებთან დაკავშირებული პროფესიები.....
დაწესებულების მუშაკი.....
პროფესიები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლისთვის *ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდებასთან*.....
გაყიდვების სფეროს მუშაკები.....
პირადი და სოციალური მომსახურების მუშაკები.....
შეფ-მზარეულები, მზარეულები და მათი თანაშემწეები.....
სოფლის მეურნეობასთან, მეტყევეობასთან და თევზჭერასთან დაკავშირებული პროფესიები
ხელობასთან, შეკეთებასთან და სამანქანო დანადგარების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული პროფესიები.....
ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მოხელე მუშაკები.....
ხელოსნები.....
პოლიგრაფიასთან დაკავშირებული პროფესიები.....
დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები.....
დამწყები კვალიფიკაციის პროფესიებისა და არაფორმალურ დასაქმებაში უმეტესწილად წარმოდგენილი პროფესიების გაუმჯობესებული კლასიფიცირება.....

შენიშვნები კონკრეტულ საკითხებზე და ზღვართან დაკავშირებული პრობლემები .....
აღნიშნული შენიშვნების მიზანი .....
ზღვართან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეხება პროფესიების ფართო სპექტრს.....
პროფესიები, რომლებიც ითვალისწინებენ დავალებებისა და მოვალეობების ფართო სპექტრს.....
მოსწავლეები და სტაჟიორები.....
მენეჯერები, ზედამხედველები და ბიზნესის მმართველები.....
მენეჯერები და ზედამხედველები.....
მენეჯერები და მცირე ბიზნესის მმართველები.....
ორგანიზაციის სიდიდე.....
კვალიფიკაციის სხვადასხვა დონეებთან დაკავშირებული პროფესიები.....
ზოგადი პრინციპები.....
საექთნო საქმიანობის სფეროს პროფესიონალები, ასოცირებული პროფესიონალები და ინდივიდუალურ მომვლელები.....
ადრეულ ასაკში ბავშვთა აღმზრდელები და ბავშვის მომვლელები.....
ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები.....
საკვების მომზადებასთან დაკავშირებული პროფესიები .....
შინამოსამსახურეები და დამლაგებლები.....
სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროებში პროფესიათა ჯგუფებს შორის არსებული საზღვრები .....
სასოფლო-სამეურნეო წარმოების მენეჯერები, ფერმერები და ფერმის მეპატრონეები ..
შერეული და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველური პროდუქციის მწარმოებლები.....
გაზარზე და საარსებო მინიმუმზე მომუშავე მუშები.....

კვალიფიციური ფერმის მუშები (ძირითადი ჯგუფი 6) და ფერმის შავი მუშები (ძირითადი ჯგუფი 9).....
ფერმისა და სატყეო დანადგარების ექსპლოატაცია.....

ISCO-08-ს ადაპტირება შიდასახელმწიფოებრივი გამოყენებისა და საერთაშორისო დონეზე შედარებული მონაცემების წარმოებისთვის.....
ISCO-08-ში და სახელმწიფოებრივი გამოყენებისთვის ადაპტირების შემთხვევები.....
ISCO-08-ს ადაპტირება პირდაპირ შიდასახელმწიფოებრივი მიზნებისთვის .....
ISCO-08-ს საფუძველზე შემუშავებული ეროვნული კლასიფიკატორის განვითარება ან გადახედვა.....
ეროვნული პროფესიების კლასიფიკატორების სტრუქტურიზაცია ISCO-თვის .....
ეროვნული პროფესიების კლასიფიკატორისა და ISCO-ის კოდირება.....

კლასიფიკაციის მიზნით მონაცემთა შეგროვება და კოდირებაISCO-08-სსაფუძველზე.....
კოდირებისთვის საჭირო ინფორმაცია.....
პროფესიასთან დაკავშირებული კითხვის ტიპები.....
პრეკოდირებული კითხვები.....
ღია კითხვები.....
შემოთავაზებული კითხვები, რომლებიც რეკომენდებულია ტესტირებისა და შემდგომი განვითარებისთვის.....
კლასიფიკაციის კოდების მინიჭება გამოკითხვის პასუხებისთვის (კოდირება) .....
გაურკვეველი და არაადექვატური პასუხების კოდირება .....

ნაწილი II. პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-08) სტრუქტურა

ძირითადი ჯგუფები.....
ძირითადი და ქვეჯგუფები.....
ძირითადი, ქვეჯგუფები და მცირე ჯგუფები.....
ძირითადი, ქვეჯგუფები, მცირე ჯგუფები და ჯგუფური ერთეულები .....

ნაწილი III. ძირითადი, ქვეჯგუფები, მცირე ჯგუფები და ჯგუფური ერთეულები
ძირითადი ჯგუფი 1 მენეჯერები.....
ძირითადი ჯგუფი 2 პროფესიონალები.....
ძირითადი ჯგუფი 3 ტექნიკური და ასოცირებული პროფესიონალები .....
ძირითადი ჯგუფი 4 ოფისის დამხმარე მუშაკები .....
ძირითადი ჯგუფი 5 მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს მუშები.....
ძირითადი ჯგუფი 6 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები.....
ძირითადი ჯგუფი 7 მოხელეები და მონათესავე სფეროს მუშები .....
ძირითადი ჯგუფი 8 სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები .....
ძირითადი ჯგუფი 9 დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი .....
ძირითადი ჯგუფი 0 შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული პროფესიები .....

ნაწილი IV. კორესპონდენცია ISCO-88-თან

კორესპონდენციის აღრიცხვის ცხრილი: ISCO-08-დან ISCO-88-მდე.....
კორესპონდენციის აღრიცხვის ცხრილი: ISCO-88-დან ISCO-08-მდე.....

დანართები

1. .....შ
რომის სტატისტიკოსთა მეჩვიდმეტე საერთაშორისო კონფერენცია: რეზოლუცია III. რეზოლუცია პროფესიების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორთან დაკავშირებული შემდგომი საქმიანობის შესახებ.....
2. .....რ
ეზოლუცია პროფესიების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორთან დაკავშირებული შემდგომი საქმიანობის შესახებ.....

ბიბლიოგრაფია .....

ცხრილები

1. I
SCO-08-ის ძირითადი ჯგუფების სტრუქტურიზაცია კვალიფიკაციის დონეების მიხედვით.....
2. I
SCO-08-ის კვალიფიკაციის ოთხი დონის სტრუქტურიზაციაISCED-97 განათლების დონეების მიხედვით .....
3. .....ჯ
გუფების რაოდენობა ISCO-08-ის თითოეულ დონეზე .....
4. .....ქ
ვეჯგუფები მე-2 ძირითად ჯგუფში: პროფესიონალები, ISCO-88 და ISCO-08 .....
5. .....ქ
ვეჯგუფები მე-3 ძირითად ჯგუფში: ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები, ISCO-88 და ISCO-08 .....
6. .....ქ
ვეჯგუფები და მცირე ჯგუფები მე-5 ძირითად ჯგუფში,ISCO-88 და ISCO-08.....
7. .....ქ
ვეჯგუფები და მცირე ჯგუფები მე-9 ძირითად ჯგუფში: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, ISCO-88 და ISCO-08.....

ნაწილი I

შესავალი და მეთოდოლოგიური შენიშვნები

1. ISCO-08-ის არსი, მიზნები და განვითარება

1.1. ISCO-08-ის ზოგადი მიმოხილვა

1. პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCO-08) სტატისტიკური აღწერისა და კვლევების, აგრეთვე, ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენებით ქმნის პროფესიებთან დაკავშირებული ინფორმაციის დაჯგუფებებისა და გაერთიანების სისტემას. ეს დოკუმენტი გახლავთ დასაქმების სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-88) განახლებული ვერსია, რომელიც წინას ჩაანაცვლებს.

2. ISCO-08-ის ოთხდონიანი იერარქიული სტრუქტურის კლასიფიკატორია, რომელიც შესაძლებელს ხდის მსოფლიოს ყველა პროფესიის 436 ჯგუფად კლასიფიცირებას. აღნიშნული ჯგუფები წარმოადგენენ დაჯგუფების დეტალურ სტრუქტურას და თავის მხრივ ერთიანდებიან 130 მცირე, 43 საშუალო და 10 ძირითად ჯგუფში, იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალია მათი მსგავსება კონკრეტული სამსახურისათვის საჭირო გამოცდილების ხარისხსა და სპეციალიზაციის სფეროში გამოცდილებაზე. აღნიშნული კლასიფიკატორი საერთაშორისო მონაცემებთან დეტალური შედარების შესაძლებლობას გვაძლევს ისევე, როგორც ყველაზე დიდ ჯგუფებად კლასიფიცირებული 10 ჯგუფის შემაჯამებელი ინფორმაციის შემუშავება.

3. კლასიფიკატორი დამტკიცდა შრომის სტატისტიკის თაობაზე ექსპერტთა სამმხრივი შეხვედრის დროს, 2007 წლის 3-6 დეკემბერს გამართულ პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO) განსაახლებელ შეხვედრაზე. აღნიშნული შეხვედრა, 2003 წლის შრომის სტატისტიკოსთა მეჩვიდმეტე საერთაშორისო კონფერენციის (ICLS) რეზოლუციის საფუძველზე მოიწვია შრომის საერთაშორისო ბიუროს (ILO) მმართველმა ორგანომ. 2004 წლის მარტში მმართველი ორგანოს მიერ დამტკიცებული რეზოლუციის საფუძველზე შრომის საერთაშორისო ბიუროს (ILO) ეთხოვა 2007 წლის ბოლომდე საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO) განახლება და ექსპერტთა სამმხრივი შეხვედრის მოწვევა, რომელზეც კლასიფიკატორს მიიღებდნენ და მმართველ ორგანოს სათანადო რეკომენდაციებს მისცემდნენ (შრომის საერთაშორისო ბიურო (ILO), 2004 წელი; რეზოლუციის სრული ტექსტი იხილეთ დანართში 1).

4. ექსპერტთა შეხვედრის რეზოლუცია 2008 წლის მარტში დაამტკიცა მმართველმა ორგანომ. იგი 2008 წლის თებერვალში გამართულ 39-ე სესიაზე წარედგინა გაეროს სტატისტიკის კომისიას, აგრეთვე, 2008 წლის 24 ნოემბერ – 5 დეკემბერს შრომის სტატისტიკოსთა მეთვრამეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (ICLS). ამგვარად, ISCO-08-ს, როგორც შრომის საერთაშორისო სტატისტიკის მიღებული სტანდარტი, საერთაშორისო თანამეგობრობის სრული მხარდაჭერით სარგებლობს.

5. კლასიფიკატორის თითოეულ ჯგუფს გააჩნია სახელი, კოდი/ნომერი და ასოცირებულია იმ განსაზღვრებასთან, რომელიც აღწერს ჯგუფის საქმიანობას. განსაზღვრებები აგრეთვე, აჯამებენ ჯგუფში არსებულ პროფესიებთან დაკავშირებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს, უზრუნველყოფენ პროფესიული ჯგუფების სიას, ან ჯგუფური ერთეულების შემთხვევაში, პროფესიათა ნიმუშებს. ISCO-08-ს იერარქიული სტრუქტურა, სახელწოდებებისა და კოდების ჩათვლით, წარმოდგენილია მეორე ნაწილში. მესამე ნაწილში კი წარმოდგენილია ISCO-08-ს ჯგუფური ერთეულები, მცირე ჯგუფები, ქვეჯგუფები და ძირითადი ჯგუფები.

6. აღნიშნული შესავალი აღწერს ISCO-08-ის შემუშავების პროცესს, მის ისტორიას, კონცეპტუალურ ბაზას, სტრუქტურასა და სხვა მეთოდოლოგიურ მოსაზრებებს. აგრეთვე ეროვნულ კონტექსტში მონაცემთა შეგროვების მიზნით მოცემულია ISCO-08-ის გამოყენების ზოგადი რჩევები, მათ შორის, კატეგორიებს შორის უფრო დიდი განსხვავებების განხილვის საკითხებზე.

7. ISCO-08-სა და ISCO-88-ს შორის ძირითადი განსხვავება და ამ განსხვავებების მიზეზები დასკვნის სახით წარმოდგენილია მესამე თავში. ძველსა და ახალ კლასიფიკატორებს შორის შესაბამისობის დეტალური ანალიზი კი ცხრილების სახით მოცემულია მეოთხე ნაწილში.

8. მე-2 გამოცემაში – *პროფესიების დასახელებების ინდექსები* – მოცემულია დამატებითი ინფორმაცია თითოეულ ჯგუფში კლასიფიცირებულ პროფესიებზე, რომელიც კლასიფიკატორის სტრუქტურის კატეგორიებთან აკავშირებს ამა თუ იმ პროფესიულ სივრცეში მოქმედ სამუშაოს დასახელებას. მისი გამოყენება აგრეთვე, შესაძლებელია გარკვეულ მოდელად, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიების დასახელებების შემუშავებასა ან ISCO-08-თან თავსებადობის მისაღწევად. მე-2 გამოცემა შეიცავს ISCO-88-ის გამოცემის ბოლო ნაწილში მოცემულ პროფესიების დასახელებების ინდექსს. ის თითოეული პროფესიის აღსაწერად შეიცავს ISCO-08-ის ოთხ ციფრს და ISCO-88-ის კოდებს.

9. პირველ და მე-2 გამოცემებში მოცემული ყველა სახის ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ISCO-08-ს ვებგვერდზე: http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/oscp/index.htm. ISCO-08-ის დანერგვის სახელმძღვანელო დოკუმენტით დაგეგმილია არსებული საინფორმაციო ბაზის გაფართოება, რომელშიც წარმოდგენილია ISCO-08-ის ეროვნული გამოყენებისათვის ადაპტირებისა და საერთაშორისო დონეზე შედარებადი ინფორმაციის შემუშავებასთან დაკავშირებული რჩევები და მითითებები.

1.2. ISCO-ის ძირითადი მიზნები

10. შრომის ბაზრების გლობალიზაციამ გაზარდა მოთხოვნა პროფესიების შესახებ საერთაშორისო დონეზე შედარებითი მონაცემებზე, როგორც სტატისტიკური, ისე ადმინისტრაციული გამოყენებისათვის. ISCO-08-ის მიზანია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:

ა) პროფესიების შესახებ სტატისტიკური და ადმინისტრაციული ინფორმაციის საერთაშორისო ანგარიშების, შედარებებისა და გაცვლის თანამედროვე და შესაფერისი ბაზის შემუშავებით;

ბ) პროფესიების ეროვნული და რეგიონალური დაჯგუფებების სასარგებლო მოდელის შემუშავებით;

გ) საკუთარი ეროვნული კლასიფიკატორის უქონელი ქვეყნებისთვის გამოსაყენებლი სისტემის შემუშავებით.

11. ISCO-ის მიზანია პროფესიების შესახებ საერთაშორისო კომუნიკაციის ხელშეწყობა სტატისტიკოსებისათვის პროფესიების საერთაშორისო დონეზე შედარებადი მონაცემების უზრუნველყოფით, აგრეთვე, პროფესიების საერთაშორისო მონაცემების იმ ფორმით შემუშავება, რომ შესაძლებელი გახდეს მათი საერთაშორისო მიგრაციასა ან დასაქმების

საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და რეაგირებაზე ორიენტირებული საქმიანობებში გამოყენება.

12. ხაზგასასმელია, რომ გარდა იმისა, რომ ISCO-08 ერთგვარი მოდელის ფუნქციას ასრულებს, იგი არ ცვლის არსებულ დასაქმების ეროვნულ კლასიფიკატორს, რადგანაც ინდივიდუალური ქვეყნების პროფესიების კლასიფიკატორი სრულად უნდა მოიცავდეს ეროვნული შრომითი ბაზრის სტრუქტურასა და შესაბამისი ეროვნული მიზნებისათვის საჭირო ინფორმაციას. მაგრამ ქვეყნებისათვის, რომელთა პროფესიების კლასიფიკატორი ISCO-08-ის კონცეფციისა და სტრუქტურის შესაბამისია, უფრო მარტივია პროცედურების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც მათი პროფესიების სტატისტიკა საერთაშორისო დონეზე შედარებადი გახდება.

13. შესაბამისად, იდეალური გამოსავალი იქნება, თუ ქვეყნები შეიმუშავებენ ეროვნულ კლასიფიკატორებს, რომლებიც მორგებულები არიან და პასუხობენ ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს (იხ. თავი 5). თუმცა, ცნობილია, რომ ზოგიერთ ქვეყანას არ გააჩნია ეროვნული კლასიფიკატორის მოკლე ან საშუალოვადიან პერსპექტივაში შემუშავების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია, რომ ასეთმა ქვეყნებმა საწყის ეტაპზე თავიანთი შეზღუდული რესურსები მიმართონ მექანიზმების შემუშავებისაკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეროვნულ კონტექსტში ISCO-ს შემუშავებას, მაგ., როგორიცაა ეროვნული ინდექსის ან პროფესიების სახელწოდებების შემუშავება.

14. პროფესიების კლასიფიკატორი გამოიყენება ეროვნულ კონტექსტში იმ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელებისათვის, რომელთა წყაროცაა მოსახლეობის აღწერა, სამუშაო ძალისა და მოსახლეობის, დასაქმებულებისა და სხვა ტიპის კვლევები. ის აგრეთვე, გამოიყენება მთავრობებისა და კომპანიების მიერ ისეთი საქმიანობისათვის, როგორებიცაა: სამუშაოს მაძიებელთათვის შესაბამის ვაკანსიებზე განაწილება, საგანმანათლებლო საკითხების დაგეგმვა, ინდუსტრიულ შემთხვევებზე შეტყობინების სისტემის აწყობა, დასაქმებულთა ანაზღაურების ადმინისტრირება და დასაქმებასთან დაკავშირებული მიგრაციის მართვა.

15. ზემოხსენებულ გამოყენებასთან დაკავშირებით მომხმარებელთა მოთხოვნების ფართო სპექტრის დასაკმაყოფილებლად ბევრი ქვეყნის სურვილია თავიანთ ეროვნულ კლასიფიკატორში უფრო დახვეწილი სტრუქტურული და განსაზღვრებითი დეტალების დამატება, ვიდრე ეს ISCO-08-შია მოცემული. თუ ეროვნული კლასიფიკატორი ISCO-ს ეფუძნება, ზემოხსენებული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ზოგიერთი ჯგუფური ერთეულის ორ ან უფრო მეტ მცირე ზომის ჯგუფურ ერთეულად დაყოფით, ან ეროვნულ კლასიფიკატორში მეხუთე იერარქიულ დონეზე უფრო დეტალური პროფესიული ჯგუფების ჩამოყალიბებით. კერძო შემთხვევებში ქვეყნებს შესაძლებელია აგრეთვე, გაუჩნდეთ სურვილი, რომ სამუშაოს აღწერილობას დაამატონ აღწერილობითი ან კოდირებული ინფორმაცია, კვალიფიკაციის მოთხოვნები, ეროვნული კომპეტენციის ჩარჩოებთან კავშირი და პროფესიის დეტალური აღწერა. ამგვარი ტიპის ინფორმაცია შესაძლებელია საინტერესო იყოს ხელფასის შესათანხმებლად, პროფესიული სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და ტრენინგების, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესამუშავებლად, დასაქმების სამსახურებისათვის, ან პროფესიასთან მიმართებაში ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის ანალიზის შესამუშავებლად, მაგრამ იგი ცდება ISCO-08-ის ფარგლებს.

16. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ISCO-08 სასარგებლო მექანიზმია პროფესიულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას სტანდარტის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად, იგი არ წარმოადგენს პროფესიების ადმინისტრაციული

რეგულირების ჩარჩოს. ISCO-ში ნებისმიერი პროფესიული ჯგუფის სამართლებრივი ან მარეგულირებელი სტატუსის აღნიშვნების გამოყენება და აღწერილობითი და განმარტებითი მასალების წარმოდგენა არ გამოხატავს შრომის საერთაშორისო ბიუროს მოსაზრებას.

1.3. ისტორია

17. პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის შემუშავების ისტორია სათავეს იღებს რამდენიმე ათწლეულის წინ და იგი ყოველთვის მჭიდროდ უკავშირდებოდა შრომის სტატისტიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობას, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით იკრიბებოდა. პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის საჭიროება ჯერ კიდევ 1921 წელს შრომის სტატისტიკოსთა I საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილეს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 1923 და 1924 წლები, რეზოლუცია 1, მუხლი 1).

18. პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი შეიმუშავეს 1947 წელს შრომის სტატისტიკოსთა VI საერთაშორისო კონფერენციაზე, ხოლო მისი ჩამოყალიბებისაკენ მიმართული პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1949 წელს გამართულ შრომის სტატისტიკოსთა VII საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელზეც მიიღეს შვიდი ძირითადი ჯგუფის დროებითი კლასიფიკატორი. 1952 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) მიგრაციისა და დასაქმების სამსახურებისათვის გამოაქვეყნა პროფესიების საერთაშორისო კლასიფიკატორი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი 1727 პროფესია რვა ინდუსტრიული ქვეყნის ეროვნული კლასიფიკაციების შესაბამისად. ISCO პირველად გამოიცა 1958 წელს ILO-ს მიერ და შესაბამისად, ცნობილია სახელწოდებით ISCO-58. შრომის სტატისტიკოსთა IX საერთაშორისო კონფერენციაზე გადაწყდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ საჭირო გახდებოდა ISCO-58-ის განახლება. შრომის სტატისტიკოსთა XI საერთაშორისო კონფერენციამ განიხილა და დაამტკიცა განახლებული გამოცემა – ISCO-68.

19. ISCO-68-ის წინამორბედი კლასიფიკატორი იყო ISCO-88, რომელიც მიიღეს 1987 წელს შრომის სტატისტიკოსების XIV საერთაშორისო კონფერენციაზე. ISCO-88 მისი წინამორბედი ორი გამოცემის მნიშვნელოვნად განახლებულ ვერსიას წარმოადგენდა, რომელიც პროფესიების დიდ მსგავს ჯგუფებად დასალაგებლად იყენებდა გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დონისა და სპეციალიზაციის კრიტერიუმებს. ISCO-ს წინამორბედი ვერსიები, ისევე როგორც ბევრი იმდროინდელი ეროვნული კლასიფიკატორი, დაჯგუფების ყველაზე ფართო დონეზე ჯგუფებს შორის განსხვავების წარმოსაჩენად არ იყენებდა გამოცდილების დონის კონცეფციას. პროფესიების კლასიფიკატორები იმ პერიოდში ყურადღებას ამახვილებდნენ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე და ხშირ შემთხვევაში სტრუქტურულად ძალიან ჰგავდა ეკონომიკური საქმიანობის ინდუსტრიულ კლასიფიკატორს.

20. შემუშავების შემდეგ ISCO-88 ფართოდ გამოიყენებოდა ეროვნული და მრავალეროვნული კლასიფიკატორების შემუშავების საფუძვლად და პროფესიების მიხედვით კლასიფიცირებული საერთაშორისო მონაცემების გასანაწილებლად. 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის დასაწყისში ნათელი გახდა ISCO-88-ს განახლების საჭიროება, რათა მასში ასახულიყო პროფესიების სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებები და აგრეთვე, გამოსწორებულიყო მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც კლასიფიკატორის სტატისტიკური ან სხვაგვარი გამოყენებისას აღმოჩდა. განსაკუთრებით

საჭირო იყო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში განვითარებული მოვლენების მუშახელზე გავლენის შედეგად განხორციელებული ცვლილებების ასახვა.

21. 2003 წლის მარტში გამართულ გაეროს სტატისტიკის კომისიის 34-ე სესიაზე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას (ILO) ეთხოვა ISCO-88-ის განსაახლებელი გრაფიკის შედგენა, რომელშიც საკმარისი დრო იქნებოდა გამოყოფილი, რათა განახლებული კლასიფიკატორი ან მისი ეროვნული შესატყვისი გამოეყენებინათ მოსახლეობის ეროვნული საყოველთაო 2010-ე აღწერისას (ILO, 2003). 2003 წლის დეკემბერში გამართულ შრომის სტატისტიკოსთა XVII საერთაშორისო კონფერენციაზე (ICLS) აგრეთვე, განიხილეს ISCO-88-ის განახლების სამუშაო გრაფიკი, სამუშაოს არსი და მოცულობა და ILO-ს მმართველ ორგანოს (ILO, 2004) ეთხოვა შემდეგი:

ILO-ს, როგორც ISCO-88-ის შემქმნელს გააჩნდეს შესაძლებლობა, რომ:

1. სტატისტიკისა და კლიენტურასთან დაკავშირებულ საკითხებში პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორის კარგი მოდელის წარმატებულად გამოსაყენებლად ISCO-88-ს სახეცვლილებისა და განახლებისთვის ჩაატაროს კვლევა და საჭირო კონსულტაციები;
2. ხსენებული სამუშაო დაასრულოს 2007 წლის ბოლომდე, რათა მისი შედეგები გაითვალისწინონ მოსახლეობის 2010-ე საყოველთაო აღწერისათვის მოსამზადებელი ეროვნული სამუშაოების უმატეს ნაწილში[1].

1.4. განახლების პროცესისა და კონსულტაციების მოკლე მიმოხილვა

22. ISCO-ის განახლების პროცესში, ILO-მ მაქსიმალურად ფართო კონსულტაციები გასცა პროცესში ჩართულ თუ დაინტერესებულ ყველა მხარესთან. ICLS-ის მანდატი, რომელიც მას ISCO-88-ის განახლების გაგრძელების უფლებას აძლევს, წარმოდგენილია ILO-ს დაკვეთით მომზადებულ ანგარიშში, რომელშიც მთელ რიგ სხვადასხვა ქვეყანში არსებული დასაქმების ეროვნული კლასიფიკატორების გამოყენების ბოლოდროინდელ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოცემულია სხვადასხვა მიმართულების მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტები (Budlender, 2003). ანგარიშში წარმოდგენილი ბევრი საკითხი სხვა საკითხებთან ერთად გამოიკვლიეს ორი კითხვარით, რომლებიც ქვეყნებს მათი შრომის სამინისტროების, ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუტების, დასაქმების სერვისების, პროფესიული სასწავლო ინსტიტუტების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების არხებით დაეგზავნათ. ყოველი შემდგომი განახლებული კლასიფიკატორის სტრუქტურის პროექტი კომენტარებისათვის იგზავნებოდა. ILO-მ კონსულტაციები გამართა აგრეთვე, მთელ რიგ სპეციალიზებულ სააგენტოებთან, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან და იმ პროფესიებში ჩართულ და დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდნენ განახლებას.

23. აღნიშნული სამუშაოს მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა ISCO-ის განსაახლებად შექმნილი ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფი (TEG/ISCO), რომელიც განახლების პროცესში ILO-ს ეხმარება და აძლევს რეკომენდაციებს. აღნიშნული ჯგუფი, რომელიც მსოფლიოს ყველა რეგიონის პროფესიათა კლასიფიკაციებისა და შესაბამისი საერთაშორისო

[1] რეზოლუციის სრული ტექსტი მოცემულია დანართში 1.

სააგენტოების ექსპერტებითაა დაკომპლექტებული, ექვსჯერ შეხვდა ISCO-08-ის შემუშავებისას. შეხვედრებზე ჯგუფის წევრებს შორის დამატებით რეგულარულად მიმდინარეობდა ელექტრონული განხილვები.

24. განახლების სამუშაოებიში შემდეგი ძირითადი საკითხები (ისევე როგორც სხვა საკითხები, რომლებიც ამ ჩამონათვალში არ არის მოცემული) იქნა განხილული:

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გავლენა შრომითი ბაზრის პროფესიულ სტრუქტურაზე;
- ჯანდაცვის სფეროს პროფესიების უკეთესად დაფარვის საჭიროება;
- სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს პროფესიებთან დაკავშირებული მომხმარებელთა თხოვნები;
- მენეჯერული პროფესიების გაუმჯობესებული დაჯგუფების აუცილებლობა;
- ზოგიერთი ტექნიკური და სამრეწველო პროფესიებისათვის ISCO-88 ზედმეტად დეტალურობაზე გამოთქმული პრეტენზიები, მაგრამ განსაკუთრებით დაჯგუფების საშუალო დონეზე, საქმის წარმოებასა და მომსახურებასთან დაკავშირებული პროფესიებისათვის, რომლებშიც დასაქმებულთა უმეტესი ნაწილი მდედრობითი სქესისაა, გაცილებით ნაკლებად დეტალურობა;
- კვალიფიკაციის სხვადასხვა დონეზე იმ პროფესიების პარალელური ჯგუფების არსებობის საკითხის გადაწყვეტა, რომლებიც ითვალისწინებს შესრულებას ან მსგავს ან იდენტურ ამოცანას;
- არაფორმალურ სექტორში უფრო მეტად წარმოდგენილი პროფესიების, ისევე როგორც დაბალი კვალიფიკაციის მოთხოვნების პროფესიების დაფარვის აუცილებლობა;
- უპირველეს ყოვლისა წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე დაფუძნებულ კლასიფიკატორზე, კვალიფიკაციის დონის მიუხედავად, თემატური (ან ალტერნატიული) მოსაზრებების შემუშავება;
- ყველა კატეგორიის განმარტების განახლებისა და დახვეწის აუცილებლობა;
- პროფესიების დასახელებების ISCO ინდექსის დახვეწისა და განახლების საჭიროება.

25. ISCO-88-ის განახლების პირველი კვლევითი კითხვარი მიზნად ისახავდა რჩევების მიღებას მთელ რიგ კონცეპტუალურ საკითხებზე, აგრეთვე, კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ILO-მ გააანალიზა ამ კითხვარებზე პასუხები და შეაჯამა დასკვნით დოკუმენტში, რომელიც 2005 წლის ივნისში ქ. ნიუ-იორკში გამართული საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური კლასიფიკაციების შესახებ გაეროს ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში ISCO-ის შესახებ წარმოებული განხილვების საფუძველად (ILO, 2005) იქცა. 2005 წლის ნოემბერში გამართული TEG/ISCO-ს საინაუგურაციო შეხვედრის შემდეგ, ILO-მ შეიმუშავა და განაახლა კლასიფიკატორის პროექტის სტრუქტურა. ILO-სა და TEG/ISCO-ის წევრების მიერ აღნიშნული პროექტის დეტალურ განხილვას მოჰყვა ISCO-88-ის სტრუქტურის შესახებ მთელი რიგი პრობლემური საკითხების გამოვლენა და ცვლილებების განხორციელების მოთხოვნის არაერთი წინადადება. კიდევ უფრო განახლებული კლასიფიკატორის პროექტის სტრუქტურასა და სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ILO-მ მეორე კითხვარით მოსაზრებები და წინადადებები სთხოვა წევრ ქვეყნებს, რომელიც ცირკულარული წერილით დაიგზავნა 2006 წლის აგვისტოში.

26. მეორე კითხვარის პასუხებსა და TEG/ISCO-ის წევრების რჩევებზე დაყრდნობით, ILO-მ მოამზადა „თითქმის საბოლოო“ კლასიფიკატორის პროექტის სტრუქტურა, რომელიც

შენიშვნებისათვის 2007 წლის თებერვალში დაიდო ILO-ს ვებგვერდზე. აღნიშნულ პროექტზე შენიშვნების, დასკვნისა და ძირითადი ცვლილებების გასაკეთებლად ყველა ქვეყანას დაეგზავნა. საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური კლასიფიკაციების შესახებ გაეროს ექსპერტთა ჯგუფმა 2007 წლის აპრილში გამართული შეხვედრის დროს განიხილა ტექსტი და იმსჯელა ISCO-88-ის მთელ რიგ სფეროებზე, რომელთა ფარგლებში შესატანი ცვლილების წინადადებები წარმოადგენეს. ამის შემდეგ ILO-მ მოამზადა ISCO-08-ის სტრუქტურის დასაქმების სტანდარტების საერთაშორისო კლასიფიკატორზე საბოლოო პროექტი, რომელიც დანართად დაერთო რეზოლუციის პროექტს და რომელიც 2007 წლის დეკემბერში უნდა განხილულიყო შრომის სტატისტიკის ექსპერტების შეხვედრაზე. აღნიშნულ შეხვედრაზე კლასიფიკატორის სტრუქტურის პროექტში რამდენიმე ცვლილება და შესწორება შევიდა, რომელიც მიღებულ იქნა, როგორც პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი, 2008 (იხ. ILO, 2008).

1.5. განსაახლებელი სამუშაოები

27. ISCO-ს შესახებ შრომის სტატისტიკოსთა XVII საერთაშორისო კონფერენციის (ICLS) რეზოლუცია ითვალისწინებს ISCO-ს განახლებასა და მთლიანობაში დახვეწას, რაც მიზნად უფრო ეფექტური კლასიფიკატორის შემუშავებას ისახავს, რომელსაც ქვეყნები მოსახლეობის საყოველთაო აღწერისას გამოიყენებენ, აგრეთვე, დასაქმების ეროვნული სამსახურებისა და კლიენტურაზე ორიენტირებულ მომსახურებისათვის. ცვლილებების არსსა და მოცულობაზე იგი აგრეთვე, აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს, რომელთა განხორციელებაც დასაშვებია, თუ იქვე მითითებული იქნება, რომ:

> ... ISCO-88-ის ძირეული პრინციპები და ძირითადი სტრუქტურის შეცვლა დაუშვებელია, მაგრამ ამის მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც ISCO-88-ზე დაფუძნებულ კლასიფიკატორს იყენებენ, ზოგიერთ სფეროში კლასიფიკატორის გასაუმჯობესებლად გარკვეული ცვლილება საჭიროა, შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებითა და უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში დასაქმების სფეროში განვითარებული მოვლენების ფონზე...

28. ზოგადი შეზღუდვების ფარგლებში ტექნიკურ (TEG/ISCO) და საერთაშორისო ეკონომიკისა და სოციალური კლასიფიკატორების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფებთან კონსულტაციის შედეგად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ სტრუქტურული და მეთოდოლოგიური ცვლილებები, რომლებიც შესაძლებელია, ISCO-88-ში შევიდეს, იზღუდება შემდეგით:

- კლასიფიკატორის განახლება ხდებოდა მისი შედარებითი ზომისა და სხვადასხვა დონეზე ჯგუფების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მაგრამ, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ გარემოებებს შორის დიდი განსხვავებაა, შეუძლებელი გახდა ჯგუფების ზომებზე მკაცრი შეზღუდვების დაწესება;
- ის პროფესიები, რომლებსაც ერთი და იგივე სამუშაოს აღწერილობა და სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ფორმალური საგანმანათლებლო მოთხოვნები გააჩნიათ, უნდა დაჯგუფდნენ ერთიან ჯგუფში, რაც „პარალელური ჯგუფების“ აუცილებლობას მოხსნის;

- ISCO-88-ის ძირითადი ჯგუფების გაერთიანება, გაუქმება ან შეცვლა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები. პრაქტიკაში 10 ძირითადი ჯგუფი საფუძვლიანად არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათში სიცხადის შესატანად შეიცვალა;
- არსებობდა უფრო ყოვლისმომცველად განსამარტი და მეთოდოლოგიური შენიშვნების საჭიროება, ვიდრე ეს ISCO-88-შია მოცემული;
- ქვეჯგუფებისა და მცირე ჯგუფების დაყოფა ან გაერთიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ჯგუფებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება ან დაიკლებს, ან თუ დაბალ დონეზე ჯგუფები დაიყოფა ან გაერთიანდება. თუმცა, ქვეჯგუფები შეიცავენ დასაქმებულთა საკმარისად დიდ რაოდენობას იმისათვის, რომ შემუშავდეს საფუძვლიანი შემაჯამებელი სტატისტიკა. ქვეჯგუფების საერთო რაოდენობა არ უნდა შემცირდეს დრამატულად ან გაიზარდოს დაახლოებით 40-ის ზემოთ;
- ჯგუფური ერთეულები არ უნდა შეიქმნას დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით მცირე ზომის პროფესიებისათვის, ან მხოლოდ მცირე რაოდენობის ქვეყნებში არსებობულისთვის. ამგვარი პროფესიები ჯგუფური ერთეულის სახით იქმნება და შეიცავს ანალოგიურ პროფესიებს, ან განეკუთნება მოსახერხებელ „სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ კატეგორიას;
- დარჩენილი (ანუ „სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“) ჯგუფური ერთეული აგრეთვე, უნდა განახლდეს. იქ, სადაც ამგვარი ჯგუფების შექმნა გარდაუვალი იყო, მთავარი კლასიფიცირებული პროფესიები მოცემული იყო განმარტებების ან ინდექსების ნაწილში.

29. პროფესიების დასახელებების ინდექსების განსაახლებლად, აგრეთვე, ISCO-88-სა და ISCO-08-ს შორის დამოკიდებულების სადემონსტრაციო ურთიერთდამოკიდებულების ცხრილების უზრუნველსაყოფად ნათელი გახდა, რომ დადგებოდა კლასიფიკატორის ახალი ან მოდიფიცირებული ჯგუფის განმარტებების შემუშავების აუცილებლობა, რათა განახლებულიყო და გადახალისებულიყო ჯგუფების განმარტებები, რომლებიც არ შეცვლილა.

1.6. ჯგუფების განმარტებები

30. ISCO-08-ის სტრუქტურული განვითარების პროცესში მოხდა ISCO-08-ის ჯგუფური დანაყოფების განცალკევება ან შეერთება. ცალკეულ შემთხვევაში შეიქმნა სრულიად ახალი ჯგუფური ერთეულები. მცირე და ქვეჯგუფების დონეებზე განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, მათ შორის, ჯგუფები განცალკევდა და გაერთიანდა, აგრეთვე, ჯგუფური ერთეულების კლასიფიკატორმა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა. შესაბამისი ჯგუფების შინაარსის ადეკვატურობისთვის ამ ცვლილებებმა საჭირო გახადა ახალი ჯგუფების განმარტებების შემუშავება და ძველების ხელახალი გადახედვა.

31. იმის გამო, რომ ISCO-08-ის განმარტებები ოცი წლის განმავლობაში არ განახლებულა და 1980 წლის შემდგომ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური და საორგანიზაციო ცვლილებები

განხორციელდა, საჭირო გახდა აგრეთვე, იმ ჯგუფების განსაზღვრებების გადახედვა და განახლება, რომელთა განმარტებებიც არ იქნა მოდიფიცირებული.

32. ISC-ის კატეგორიების განმარტებების აღსადგენად და განსავითარებლად 2007 წლის აპრილის შეხვედრაზე TEG/ISCO შეთანხმდნენ კონკრეტულ პრინციპებზე. კერძოდ, შეთანხმდნენ, რომ განმარტებების ზოგადი სტრუქტურა მიახლოებით შეინარჩუნებს ISCO-88-ის სახეს. მიუხედავად ამისა, ISCO-88-ის სტრუქტურასა და შინაარსში დაფიქსირდა შემდეგი პრობლემები:

- კატეგორიების განმარტებებს შორის საზღვრებისა და განსხვავებების ასახსნელად გამოიყენეს სქოლიოები, შენიშვნები და მითითებები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთი განმარტება დამოუკიდებლად ვერ განმარტავდა გარკვეულ კატეგორიას;
- ზოგიერთი განმარტება ISCO-88-ის ძირითად მე-2 ჯგუფში ზედმეტად ამახვილებდა ყურადღებას კვლევით და თეორიულ სამუშაოზე, ხოლო პრაქტიკულ ამოცანებზე არასაკმარისი აქცენტი კეთდებოდა;
- მსგავსი ფრაზები იყო გამეორებული ბევრ განმარტებაში, რამაც გაართულა ჯგუფებს შორის განსხვავების გამოვლენა;
- არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული ის, თუ რამდენად აღწერდა ამოცანის განაცხადი ძირითად ამოცანას, რომელიც ჩვეულებრივ პროფესიულ ჯგუფში სრულდებოდა, ან რამდენად უნდა შესრულებულიყო ყველა ამოცანა ჯგუფში კლასიფიცირებული ყველა სამუშაოსათვის.

33. ISCO-08 კლასიფიკატორის ყველა კატეგორიის განახლებული განსაზღვრებების შემუშავების მიმართულებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) მჭიდროდ თანამშრომლობდა TEG/ISCO-ის წევრებთან და სხვებთან. უკანასკნელ პერიოდში განახლებულ დასაქმების ეროვნულ კლასიფიკატორებში მოცემული კატეგორიების განმარტებები, შესაძლებლობების ფარგლებში, გამოიყენეს როგორც წყაროები. ნაკლებად გამოიყენებოდა ერთ წყაროზე დაფუძნებული მასალა, სადაც შესაძლებელი იყო ხელახალი გადამოწმება, რათა თავიდან არიდებულიყო ყველაზე განვითარებული დასაქმების საინფორმაციო სისტემების მქონე ქვეყნების მიმართ მიკერძოებული განმარტებების შემუშავება.

34. ჯგუფების განმარტებების პროექტები შენიშვნებისათვის ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტში. კომენტარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებიც იმჟამად თავიანთი ეროვნული კლასიფიკატორების განახლების პროცესში იმყოფებოდნენ, რაც ხელს შეუწყობდა განმარტებების როგორც ხარისხის, ისე სიცხადის დახვეწას.

1.7. პროფესიების დასახელებების მაჩვენებელი

35. ISCO-08-ის პროფესიების დასახელებების მაჩვენებელი (მე-2 გამოცემა) მოიცავს პროფესიების განსასაზღვრად გამოყენებული ტერმინების უფრო ფართო არჩევანს, ვიდრე ამის საშუალებას კლასიფიკატორის სტრუქტურა იძლევა. „რეალურ ცხოვრებაში“ გამოყენებულ ტერმინებსა და კლასიფიკატორის სტრუქტურაში წარმოდგენილი ჯგუფების ფორმალურ დასახელებებს შორის სამსახურების ფუნქციების განსამარტად იგი წარმოადგენს ერთგვარ რუკას. ანალოგიური მაჩვენებლები, როგორც მექანიზმი, გამოიყენება ეროვნულ

დონეზეც, რომლის საშუალებითაც კლასიფიკაციის კოდები ენიჭება სტატისტიკურ და ადმინისტრაციულ მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებულ კითხვებზე გაცემულ პასუხებს (კოდირება). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროფესიათა ეროვნული მაჩვენებლები უნდა ეფუძნებოდეს ტერმინებს, რომლებიც ეროვნულ კონტექსტში მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხებში გამოიყენება.

36. პროფესიული დასახელებების განახლებული მაჩვენებლების მოთხოვნების გათვალისწინებით TEG/ISCO-მა დაასკვნა, რომ ISCO-08-ის მაჩვენებლის უმთავრესი დანიშნულება და ფუნქცია შემდეგია:

- განმარტოს ISCO-ის თითოეული ჯგუფური ერთეულის პროფესიული შინაარსი;
- დაეხმაროს ISCO-ის მომხმარებლებს, იპოვონ კლასიფიკატორში კონკრეტული კატეგორიები და განსაზღვრონ, თუ სად კლასიფიცირება კონკრეტული პროფესია;
- დაეხმაროს კლასიფიკატორის ძველი და ახალი ვერსიების კატეგორიებს შორის დამოკიდებულების უკეთ გაგებაში;
- პროფესიათა ეროვნული მაჩვენებლების შემუშავების პროცესში წარმოადგენდეს მოდელსა და საბაზისო/სასტარტო დოკუმენტს;
- პირდაპირ გამოიყენონ ISCO-თვის სტატისტიკური მონაცემების შეგროვების პროცესში პასუხების გადანაწილებისათვის იმ პირობებში, რომლებშიც ეროვნული მაჩვენებელი არსებობს და როდესაც ქვეყნებს ეროვნული მაჩვენებლების მონაცემებისა დამუშავების ძალა არ შესწევთ.[2]

37. ISCO-88-ის მაჩვენებელი მთელი რიგი მიზეზების გამო სრულად არ ექვემდებარება მსგავს გამოყენებას. მაგ., ბევრი პროფესიის ფართოდ გამოყენებული ტერმინები მაჩვენებელში არ იყო ასახული. ILO ეთანხმება TEG/ISCO-ს პროცესის განვითარებასთან დაკავშირებით, რომ უნდა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემები და ISCO-88-ის მაჩვენებლის, როგორც სასტარტო მასალის გამოყენებით შემუშავდეს ISCO-08-ისათვის მაჩვენებელი, მაგრამ, ამავდროულად, აქცენტი უნდა გაკეთდეს პროფესიების ეროვნულ მაჩვენებლებში გამოყენებულ ტერმინებზე. თითოეული კატეგორია მოიცავს ტექსტურ ISCO-08-ისა და ISCO-88-ის კოდების შესაბამის განმარტებას. კატეგორიები ორგანიზებულია ისე, როგორც ISCO-88-ის მაჩვენებელში, სადაც პირველად ჩნდება საკვანძო სიტყვები, რათა კვალიფიციური ინფორმაცია სტრუქტურულად დაკონკრეტდეს მაშინ, როდესაც მხოლოდ პროფესიების დასახელებები ვრცელდება ერთზე მეტ ISCO-ის ჯგუფურ ერთეულზე.

38. ISCO-08-ის პროფესიების დასახელებების მაჩვენებელი დაიბეჭდა და გამოიცა როგორც ISCO-08, მე-2 გამოცემა, ანბანური და კოდური თანმიმდევრობით როგორც ISCO-88-ის, ისე ISCO-08-ისათვის, იგი ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით ISCO-08-ის ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/isco/index.htm ან შესაძლებელია მოთხოვნა გააგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ISCO@ilo.org. საავტორო უფლებების დარღვევის გარეშე საფუძველ დოკუმენტად მისი გამოყენება შესაძლებელია ეროვნული კოდირების მაჩვენებლების შესამუშავებლად ILO-ს.

[2] პროფესიების ტერმინოლოგიის გამოყენებისა და მნიშვნელობის დიდი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, იმ ქვეყნებს შორისაც კი, რომლებიც ერთ ენაზე საუბრობენ, მკაცრად რეკომენდებულია, რომ მათ შეიმუშაონ ეროვნული მაჩვენებლები იმ სიტყვებზე დაყრდნობით, რომლებიც რეალურად მოცემულია ან მომავალში მოსალოდნელია, რომ მოცემული იქნება ეროვნულ კონტექსტში პროფესიებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში.

2. ISCO-08-ის კონცეპტუალური ჩარჩო, დიზაინი, სტრუქტურა და შინაარსი

2.1. ძირითადი კონცეფციები

39. ჩარჩო და კონცეპტი, რომელიც საფუძვლად უდევს ISCO-08-ს, პრაქტიკულად უცვლელია ISCO-88-ისგან. ამ კონცეფციების განმარტებები განახლდა, აგრეთვე, ISCO-88-ში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად კლასიფიკატორის დიზაინში მათი გამოყენების ინსტრუქცია სადაც საჭირო იყო, განმტკიცდა და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა.

40. ISCO-08-ის დიზაინის აგებისა და მის შემუშავებისათვის გამოყენებული ჩარჩო ეფუძნება ორ ძირითად: *სამსახურისა* და *კვალიფიკაციის* – კონცეფციას.

სამუშაოსა და პროფესიის განმარტება

41. ISCO-08-ში *სამსახური* განმარტებულია, როგორც „ამოცანებისა და ვალდებულებების ერთობლიობა, რომელიც სრულდება, ან იგულისხმება, რომ უნდა სრულდებოდეს ერთი ადამიანის მიერ, მათ შორის, დამქირავებლისათვის ან თვითდასაქმების პირობებში“.

42. *პროფესია* მიანიშნებს სამსახურში შესრულებული სამუშაოს სახეობაზე. მისი კონცეფცია განისაზღვრება, როგორც „სამუშაოების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული ამოცანები და ვალდებულებები ხასიათდება მნიშვნელოვანი მსგავსებით“. პირი დაკავებული პოზიციით შეიძლება ასოცირებული იყოს პროფესიასთან მთავარ, მეორეულ, სამომავლო ან წარსულ სამსახურში.

კვალიფიკაციის დონე და სპეციალიზაცია

43. კვალიფიკაცია განიმარტება, როგორც პირის უნარი, შეასრულოს კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ამოცანა ან დავალება. ISCO-08-ის მიხედვით, კვალიფიკაციის ორი განზომილება გამოიყენება ჯგუფებში პროფესიების გადასანაწილებლად. ესენია: *კვალიფიკაციის დონე* და *კვალიფიკაციის სპეციალიზაცია.*

44. *კვალიფიკაციის დონე* განისაზღვრება, როგორც პროფესიის ფარგლებში შესრულებული ამოცანებისა და დავალებების სპექტრისა და სირთულის ფუნქცია. იგი იზომება შემდეგი ოპერატიული ფაქტორების მიხედვით:

- პროფესიის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ხასიათით, რომელიც დაკავშირებულია ISCO-08-ის თითოეული კვალიფიკაციის დონისათვის განსაზღვრულ ტიპურ დავალებებსა და ამოცანებთან;
- ფორმალური განათლების დონით, რომელიც განისაზღვრება განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორით (ISCED-97) (UNESCO, 1997) და რომელიც წარმოადგენს კონკრეტული ამოცანებისა და მოვალეობების კომპეტენტურად შესასრულებლად დადგენილ მოთხოვნას;
- არაფორმალური, სამსახურის პირობებში ტრენინგების რაოდენობითა და შესაბამისი პროფესიის ფარგლებში წარსული გამოცდილებით, რომელიც საჭიროა აღნიშნული ამოცანებისა და მოვალეობების კომპეტენტურად შესასრულებლად.

45. კვალიფიკაციის დონის კონცეფცია ძირითადად ვრცელდება კლასიფიკატორის ზედა (ძირითადი ჯგუფის) დონეზე, რითაც უფრო მეტი აქცენტი კეთდება ზემოთ ჩამოთვლილი ოპერატიული ღონისძიებებიდან პირველზე – შესრულებული სამუშაოს ხასიათზე, ვიდრე ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და ტრენინგის მოთხოვნებზე.

46. კლასიფიკატორის საერთაშირისო ფორმატიდან გამომდინარე, მხოლოდ ოთხი ფართო კვალიფიკაციის დონე განისაზღვრება. შესაბამისად, ISCO-08-ის ათიდან რვა ძირითადი ჯგუფი შეიცავს პროფესიებს, რომელიც განეკუთნება ოთხიდან ერთ-ერთ კვალიფიკაციის დონეს. მაგ., ISCO-ის მე-2 ძირითად ჯგუფს – სპეციალისტებს განეკუთნება პროფესიები, რომლებიც ISCO-ის კვალიფიკაციის ზედა, მე-4 დონეზეა. ძირითადი ჯგუფების დონის ქვემოთ მყოფი ყველა ჯგუფი შეიცავს პროფესიებს კვალიფიკაციის მხოლოდ ერთ დონეზე.

47. *კვალიფიკაციის სპეციალიზაცია* ოთხი კონცეფციის ფარგლებში განიხილება:

- კვალიფიკაციის მოთხოვნილი სფერო;
- გამოყენებული ინსტრუმენტები და ბერკეტები;
- მასალები, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა;
- წარმოებული საქონლისა და უზრუნველყოფილი სერვისების სახეობა.

48. უპირველეს ყოვლისა კვალიფიკაციის სპეციალიზაციის ასპექტებზე დაყრდნობით, ყოველი ძირითადი ჯგუფის ფარგლებში პროფესიები გადანაწილებულია ქვეჯგუფებში, მცირე ჯგუფებსა და ჯგუფურ ერთეულებში. ISCO-08-ის ძირითადი ჯგუფების შემთხვევაში 1 – მენეჯერები; 0 – შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული პროფესიები, კვალიფიკაციის დონის კონცეფცია პირველყოვლისა ვრცელდება მეორე იერარქიულ დონეზე.

2.2. ISCO-ის კვალიფიკაციის დონეების განმარტებები

49. ISCO-08-ის კვალიფიკაციის თითოეული დონის განსაზღვრებები წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული განსაზღვრებები არ ცვლის ISCO-88-ში გამოყენებული კვალიფიკაციის დონეების საზღვრებს. მათი დანიშნულებაა აღნიშნული საზღვრების განმარტება და ისეთ შემთხვევებთან გამკლავება, როდესაც ფორმალური განათლების ქონის მოთხოვნა შესაძლებელია, არ იყოს კონკრეტული პროფესიის კვალიფიკაციის დონის განმსაზღვრელი საუკეთესო მეთოდი. ყოველი განსაზღვრება წარმოადგენს მაგალითს შემდეგი კატეგორიებისათვის:

- კვალიფიკაციის თითოეულ დონეზე შესრულებული ტიპური ან დამახასიათებელი ამოცანები;
- საჭირო კვალიფიკაციის სახეობები (ფართო კონტექსტში);
- კვალიფიკაციის მოცემულ დონეზე კლასიფიკატორში მოცემული ტიპური პროფესიები.

კვალიფიკაციის პირველი დონე

50. პროფესიები კვალიფიკაციის პირველ დონეზე, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ მარტივი და რუტინული ფიზიკური სამუშაოს შესრულებას. შესაძლებელია, ამ პროფესიების მოთხოვნები ითვალისწინებდეს სამუშაოს შესრულებას სხვადასხვა ხელსაწყოთი (მაგ.,

ნიჩბით) ან მარტივი ელექტროხელსაწყოებით (მაგ., მტვერსასრუტით). აღნიშნული დონე მოიცავს ისეთი სამუშაოების შესრულებას, როგორებიცაა: დალაგება/დასუფთავება, თხრა, აწევითი სამუშაო და ხელით მასალების გადატანა, დახარისხება, დასაწყობება ან საქონლის ხელით აწყობა (ზოგიერთ შემთხვევაში მექანიზირებული ოპერაციით), არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებების მართვა; ხილისა და ბოსტნეულის კრეფა.

51. ბევრი პროფესია კვალიფიკაციის პირველ დონეზე შესაძლებელია მოითხოვდეს ფიზიკურ ძალას და/ან გამძლეობას. ზოგიერთი სამუშაო შესაძლებელია მოითხოვდეს საბაზისო ზოგად და მათემატიკურ ცოდნას. თუ ეს უკანასკნელი მოთხოვნას წარმოადგენს, აღნიშნული კვალიფიკაცია მაინც არ იქნება შესასრულებელი სამუშაოს უმთავრესი ნაწილი.

52. კვალიფიკაციის პირველ დონეზე ზოგიერთი პროფესიით გათვალისწინებული სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად, შესაძლებელია დაწესებული იყოს დაწყებითი განათლების ან საბაზისო განათლების პირველი ეტაპის (ISCED-97-ის დონე 1) მოთხოვნა. ზოგიერთი სამუშაოს შესასრულებლად შესაძლებელია საჭირო იყოს სამუშაო სტაჟირების/ტრენინგის გამოცდილება.

53. კვალიფიკაციის პირველ დონეზე კლასიფიცირებული პროფესიები აერთიანებს ოფისების დამლაგებლებს, ტვირთების კურატორებს, მებაღეებსა და სამზარეულოს დამხმარეებს.

კვალიფიკაციის მეორე დონე

54. კვალიფიკაციის მეორე დონეზე პროფესიები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ ისეთი ამოცანების შესრულებას, როგორებიცაა: მანქანებისა და ელექტროტექნიკის გამოყენება, სატრანსპორტო საშუალების მართვა, ელექტრო და მექანიკური ტექნიკისა და აღჭურვილობის რემონტი და შეკეთება, ინფორმაციის დახარისხება, მოძიება და შენახვა.

55. კვალიფიკაციის მეორე დონეზე, თითქმის ყველა პროფესიის შემთხვევაში, აუცილებელია ისეთი უნარების ქონა, როგორებიცაა: უსაფრთხოების ინსტრუქციებთან დაკავშირებული ინფორმაციის წაკითხვისა და შესრულებულ სამუშაოზე წერილობითი ანგარიშის შედგენის უნარი, აგრეთვე, მარტივი არითმეტიკული გამოთვლების შესაძლებლობა. კვალიფიკაციის ამ დონეზე ბევრი პროფესია მოითხოვს წიგნიერების შედარებით მაღალ დონეს, არითმეტიკულ და პროფესიული ურთიერთობების უნარებს. ზოგიერთ პროფესიებში ჩამოთვლილი უნარების ქონა საჭიროა ამ დონით განსზღვრული სამუშაოების ძირითადი ნაწილის შესასრულებლად. ბევრი პროფესია ამ დონეზე მოითხოვს სამუშაოს ხელით შესრულებას.

56. კვალიფიკაციის მეორე დონის პროფესიებში სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად მოთხოვნილი ცოდნა და გამოცდილება, ჩვეულებრივ, მიიღება საშუალო განათლების პირველი ეტაპის დასრულებით (ISCED-97 დონე 2). ზოგიერთი პროფესია მოითხოვს საშუალო განათლების მეორე ეტაპის დასრულებას (ISCED-97 დონე 3), რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს სპეციალიზებული პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგის მნიშვნელოვან კომპონენტებს. ზოგიერთი პროფესია მოითხოვს საშუალო განათლების დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მიღებას (ISCED-97 დონე 4). ცალკეულ შემთხვევებში გამოცდილებამ და კვალიფიკაციის ასამაღლებელმა ტრენინგმა შესაძლებელია ჩაანაცვლოს ფორმალური განათლება.

57. მეორე დონეზე კლასიფიცირებული პროფესიები მოიცავს ყასბებს, ავტობუსის მძღოლებს, მდივნებს, ბუღალტრებს, მკერავებს, ტანსაცმლის დიზაინერებს, კონსულტანტ-გამყიდველებს, პოლიციის ოფიცრებს, პარიკმახერებს, შენობის ელექტრიკოსებსა და ავტომობილების მექანიკოსებს.

კვალიფიკაციის მესამე დონე

58. კვალიფიკაციის მესამე დონეზე პროფესიები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს კომპლექსური ტექნიკური და პრაქტიკული ამოცანების შესრულებას, რომელიც მოითხოვს სპეციალიზაციის სფეროში ფაქტობრივი, ტექნიკური და პროცედურული ცოდნის ფართო სპექტრს. ამ დონეზე შესასრულებელი ამოცანების მაგალითებია: ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და მათთან დაკავშირებულ რეგულაციებთან თავსებადობის უზრუნველყოფა; სხვების სამუშაოს მართვა, ზედამხედველობა, კონტროლი და დაგეგმვა; ტექნიკური ფუნქციების შესრულებით პროფესიონალების დახმარება.

59. კვალიფიკაციის ამ დონეზე პროფესიები, ჩვეულებრივ, მოითხოვს წიგნიერების შედარებით მაღალ დონეს, არითმეტიკულ უნარებსა და კარგად განვითარებულ პროფესიული ურთიერთობების უნარებს. მათ შორის ისეთ უნარებს, როგორებიცაა: რთული წერილობითი მასალის გაგება, ფაქტობრივი ანგარიშების მომზადება და რთულ პირობებში ვერბალური კომუნიკაცია.

60. კვალიფიკაციის მესამე დონის პროფესიებში სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად მოთხოვნილი ცოდნა და გამოცდილება, ჩვეულებრივ, მიიღება საშუალო განათლების დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტში 1-3 წლის განმავლობაში სწავლით (ISCED-97 დონე 5b). ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამისმა ფართო სამუშაო გამოცდილებამ და ხანგრძლივმა კვალიფიკაციის ასამაღლებელმა ტრენინგმა შესაძლებელია ჩაანაცვლოს ფორმალური განათლება.

61. მესამე დონეზე კლასიფიცირებული პროფესიები მოიცავს მაღაზიების მენეჯერებს, სამედიცინო ლაბორატორიების ტექნიკოსებს, იურისტების თანაშემწეებს, კომერციული გაყიდვების აგენტებს, სამედიცინო-დიაგნოსტიკურ რენტგენოლოგებს, კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსებს, კავშირგაბმულობის რადიომაუწყებლობის ტექნიკოსებს.

კვალიფიკაციის მეოთხე დონე

62. კვალიფიკაციის მეოთხე დონეზე პროფესიები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს ისეთი ამოცანების შესრულებას, რომლებიც მოითხოვს სპეციალიზაციის სფეროში რთული პრობლემების მოგვარებას, გადაწყვეტილების მიღებას, თეორიული და ფაქტობრივი ცოდნის ფართო სპექტრზე დაფუძნებულ კრეატიულობას. ამ დონეზე შესრულებული სამუშაო ჩვეულებრივ მოიცავს ანალიტიკასა და კვლევას, რომელიც ემსახურება კონკრეტულ სფეროში ადამიანის ცოდნის გაღრმავებას, დიაგნოსტიკასა და ავადმყოფობების მკურნალობას, ცოდნის

სხვებისათვის გადაცემას, მანქანის/ხელსაწყოს დიზაინისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ხელს უწყობს კონსტრუირებისა და წარმოების პროცესებს.

63. კვალიფიკაციის ამ დონეზე პროფესიები მოითხოვს წიგნიერებისა და მათემატიკური უნარების მაღალ, ზოგიერთ შემთხვევაში კი, უმაღლეს დონეს და განსაკუთრებულად განვითარებულ პროფესიული ურთიერთობების უნარებს. როგორც წესი, ეს მოიცავს ისეთ უნარებს, როგორებიცაა: რთული წერილობითი მასალის გაგება, რთული აზრების წიგნებით, სურათებით, წარმოდგენებით, ანგარიშებითა და ზეპირი პრეზენტაციებით გადმოცემას/კომუნიკაციას.

64. კვალიფიკაციის მეოთხე დონის პროფესიებში სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად მოთხოვნილი ცოდნა და გამოცდილება, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტში მინიმუმ 3-6 წლის განმავლობაში სწავლას, უმაღლესი ან უფრო მაღალი დონის ხარისხს (ISCED-97 დონე 5ა ან უფრო მაღალი). ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამისმა ფართო სამუშაო გამოცდილებამ და კვალიფიკაციის ასამაღლებელმა ტრენინგმა შესაძლებელია ჩაანაცვლოს ფორმალური განათლება, ან აღნიშნული შესაძლებელია წარმოადგენდეს ფორმალურ განათლებაზე დამატებით მოთხოვნას. ბევრ შემთხვევაში, სათანადო ფორმალური ხარისხი/კვალიფიკაცია აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ გერქვას ამ დონეზე რომელიმე პროფესიის წარმომადგენელი.

65. მეოთხე დონეზე კლასიფიცირებული პროფესიები მოიცავს გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერებს, სამოქალაქო ინჟინრებს, საშუალო სკოლის მასწავლებლებს, სამედიცინო პრაქტიკოსებს, ოპერატიულ ექთნებსა და კომპიუტერული სისტემების ანალიტიკოსებს.

2.3. კვალიფიკაციის ოთხი დონის ISCO-08-ის ძირითად ჯგუფებში გამოყენება

66. ISCO-08-ის ათ ძირითად ჯგუფსა და კვალიფიკაციის ოთხ დონეს შორის დამოკიდებულება შეჯამებულია ცხრილში 1. 1 ძირითადი ჯგუფიის ფარგლებში პროფესიები 14 ქვეჯგუფში – სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები წარმოდგენილია კვალიფიკაციის მესამე დონეზე. ძირითადი ჯგუფის შემადგენლობაში ყველა სხვა პროფესია მოცემულია კვალიფიკაციის მეოთხე დონეზე. ძირითადი ჯგუფი 0-ის ფარგლებში – შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული პროფესიები, სამი ქვეჯგუფიდან თითოეული მათგანი კვალიფიკაციის სხვადასხვა დონეზეა მოცემული.

ცხრილი 1. ISCO-08-ის ძირითადი ჯგუფები კვალიფიკაციის დონეების მიხედვით

ISCO-08-ის ძირითადი ჯგუფები		კვალიფიკაციის დონე
1	მენეჯერები	3+4
2	პროფესიონალები	4
3	ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები	3
4	საქმისწარმოებაში დამხმარე მუშაკები	2

5	მომსახურებისა და გაყიდვები მუშაკები	
6	სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და თევზჭერის კვალიფიციური მუშაკები	
7	ხელოსნები და მონათესავე ტიპის მუშაკები	
8	სამრეწველოდანადგარებისადამანქანებისოპერატორებიდაამწყობები	
9	საწყისი დონის პროფესიები	1
0	შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული პროფესიები	1+2+4

67. განათლებისა და ტრენინგის მოთხოვნების, როგორც პროფესიის კვალიფიკაციის დონის საზომის, გამოიყენებისას, იგი განისაზღვრება ISCED-97-ის მიხედვით. ISCO-ის კვალიფიკაციის დონეებსა და ISCED-97-ის განათლების დონეების დამოკიდებულების სტრუქტურა მოცემული მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2. ISCO-ის კვალიფიკაციის დონეები და ISCED-97-ის განათლების დონეები[3].

ISCO-08-ის კვალიფიკაციის დონე	ISCED-97 ჯგუფები
4	6 უმაღლესი განათლების მეორე ეტაპი (მაღალი დონის კვლევითი კვალიფიკაციის წინაპირობა)
	5a უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი, პირველი ხარისხი (საშუალო ხანგრძლივობა)
3	5ბ უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი (მოკლე ან საშუალო ხანგრძლივობა)
2	4 საშუალოს შემდგომი არა-უმაღლესი განათლება
	3 საშუალო განათლების ზედა დონის განათლება
	2 საშუალო განათლების ქვედა დონის განათლება
1	1 დაწყებითი დონის განათლება

68. კვალიფიკაციის ოთხი დონის განსაზღვრებების შემუშავების ხელშესაწყობად ISCED-ის კატეგორიების გამოყენება არ გულისხმობს, რომ მოცემული სამუშაოთი გათვალისწინებული ამოცანებისა და დავალებების შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ფორმალური განათლების მიღებით. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ ISCO-08-ში აქცენტი გადატანილია პროფესიით გათვალისწინებული ამოცანებისა და ვალდებულებების განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებზე და არა იმაზე, რომ მოცემულ პროფესიაში დასაქმებული უფრო მეტად თუ ნაკლებად კვალიფიცირებულია, ვიდრე იმავე პროფესიის სხვა სპეციალისტი.

69. შესაბამისად, ფორმალური განათლება და ტრენინგი კვალიფიკაციის დონის მხოლოდ ერთი კომპონენტის საზომია და იგი მსაზღვრელად არ უნდა აღქმებოდეს. კვალიფიკაციის დონეების ყველაზე მნიშვნელოვანი მსაზღვრელია მოცემული პროფესიის ფარგლებში

[3] გამოცემის დროს ცნობილი იყო, რომ ISCED-97-ის განახლება 2011 წელს უნდა დასრულებულიყო. აღნიშნული არ გულისხმობს ISCO-08-ის კვალიფიკაციის დონეებს შორის საზღვრების ცვლილებას, ILO უზრუნველყოფს ინფორმაციას ნებისმიერ ISCED-ის დონეებსა და ISCO-08-ის კვალიფიკაციის დონეებს შორის დამოკიდებულების შესახებ.

შესრულებული ამოცანების დამოკიდებულება კვალიფიკაციის თითოეულ დონეზე განსაზღვრულ ტიპურ ამოცანებთან. თუმცა, აღნიშნულ ამოცანებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი კვალიფიკაციების (უნარ-ჩვევები, რომლებიც კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფს არ განეკუთნება და ბევრი სამუშაოს შესასრულებლადაა საჭირო) დონეები სამუშაოს ხასიათის მიხედვით შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა პროფესიაში. მაგ., კვალიფიკაციის მე-3 დონეზე კლასიფიცირებულ სადაზღვევო აგენტებს შეიძლება მოეთხოვებოდეს პროფესიული ურთიერთობების უფრო მაღალი დონის უნარ-ჩვევები, ვიდრე კვალიფიკაციის მეოთხე დონეზე კომპიუტერული პროგრამების შემქნელები, რაც ძირითადად განპირობებულია შესრულებული სამუშაოს განსხვავებული ხასიათით.

70. ვინაიდან კლასიფიცირებული ერთეული სამუშაოა და არა პირი, რომელიც ამ სამუშაოს ასრულებს, სამუშაოს დასაჯგუფებლად მიზანშეწონილია პირის კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების განხილვა. არ არის აუცილებელი, რომ პირი იყოს კონკრეტულ დონეზე კვალიფიცირებული, რათა მისი სამუშაო კლასიფიცირდეს ISCO-08-ის კვალიფიკაციის კონკრეტულ დონეზე. შესაბამისად, მაგ., ადამიანი, რომელიც დასაქმებულია სამსახურში, რომელიც მოითხოვს კალატოზის კვალიფიკაციას უნდა კლასიფიცირდეს 7112 ჯგუფურ ერთეულში – კალატოზები და მსგავსი სპეციალისტები, იმის მიუხედავად, ეს პირი ფლობს თუ არა კალატოზის ფორმალურ კვალიფიკაციას, თუ იგი არის კარგი, ცუდი ან ინდიფერენტული კალატოზი. ანალოგიურად, პირი, რომელიც დასაქმებულია სამსახურში, რომელიც მოითხოვს ვეტერინარის ამოცანების შესრულებას, უნდა კლასიფიცირდეს 2250 ჯგუფურ ერთეულში – ვეტერინარები, იმის მიუხედავად, გააჩნია თუ არა ვეტერინარის ფორმალურ კვალიფიკაცია, ან არის თუ არა კომპეტენტური თავისი ამოცანების შესრულებისას.

71. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციის დონის კონცეფცია ვრცელდება კვალიფიკაციის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც საჭიროა კონკრეტული პროფესიული ჯგუფის ფარგლებში დამწყები დონის სამსახურში მოთხოვნილი ამოცანების შესასრულებლად. შესაბამისად, კონკრეტული პროფესიის ფარგლებში კლასიფიცირებულ პროფესიაში დასაქმებული ზოგიერთი პირი შეიძლება ფლობდეს უფრო მაღალ ან დაბალ კვალიფიკაციას. კონკრეტული პროფესიის ფარგლებში უფრო მაღალი თანამდებობისათვის განსაზღვრული კვალიფიკაცია აგრეთვე, შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე კვალიფიკაცია, რომელიც საჭიროა ზოგადად მთლიანი პროფესიისათვის.

2.4. პროფესიები, რომელთათვისაც ფორმალური განათლების მოთხოვნები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით

72. ISCO-08-ის დიზაინთან დაკავშირებით გამოცდილების დონის კონცეფცია ემყარება პრინციპს, რომ პროფესიები, რომლებიც ითვალისწინებენ ერთისა და იმავე ამოცანების შესრულებას, ყოველთვის უნდა გაერთიანდნენ ერთ ჯგუფში, მიუხედავად იმისა, ქვეყნების მიხედვით განსხვავდებიან თუ არა მოთხოვნილი ან დადგენილი ფორმალური განათლების კვალიფიკაციები.

73. ISCO-88-ის მომხმარებელთა მიერ გამოვლენილი მთავარი პრობლემა, დაკავშირებულია იმ პროფესიებთან, რომლებიც მოითხოვდნენ ერთისა და იმავე შინაარსის ამოცანებისა და დავალებების შესრულებას, მაგრამ გააჩნდათ სხვადასხვა (მაღალი ან

დაბალი) კვალიფიკაციის დონის მოთხოვნები, როგორც ეს ფორმალური განათლების კვალიფიკაციების საფუძველზე შეფასებულია კონკრეტულ ქვეყნებში. აღნიშნულის მიზეზი არის ის, რომ ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების განსხვავებულობების მიუხედავად, ერთი და იგივე პროფესია, რომელიც მოითხოვს ერთისა და იმავე ამოცანებისა და დავალებების შესრულებას, კვალიფიკაციის დონის მიუხედავად, შესაძლებელია, განხორციელდეს განსხვავებული ფორმალური განათლების მქონე პირის მიერ, რაც საჭიროა ამოცანების კომპეტენტურად შესასრულებლად.[4]

74. ISCO-88-ის სახელმძღვანელო პრინციპებით გათვალისწინებული რეკომენდაციის თანახმად, ეროვნული კონტექსტის ფარგლებში, მაღალი ან დაბალი კვალიფიკაციის მოთხოვნების პროფესიები, გარდა იმ პროფესიებისა, რომლებიც განისაზღვრება ISCO-88-ით, მიეკუთვნებიან იმ ძირითად ჯგუფს, რომელიც შეესაბამება სათანადო ქვეყანაში ამგვარი სამუშაოსთვის მოთხოვნილი კვალიფიკაციის დონეს. ამგვარმა მიდგომამ შეამცირა საერთაშორისო შედარებითობა, რადგან პროფესიები, რომლებიც ითვალისწინებენ ერთსა და იმავე ამოცანის შესრულებას, ქვეყნების გათვალისწინებით უნდა კლასიფიცირდნენ ISCO-88-ის სხვადასხვა ძირითად ჯგუფში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ვრცელდებოდა იმ შემთხვევებზე, რომლებზეც ეროვნული კონტექსტის ფარგლებში კვალიფიკაციის დონე ძირითადად ფორმალური განათლებისა და საჭირო ტრენინგის დონის მიხედვით გაანალიზდებოდა.

75. ორი ყველაზე თვალსაჩინო პრობლემა, რომელიც ზემოხსენებულმა ISCO-88-თან მიმართებით წარმოქმნა, დაკავშირებული იყო *ექთნების, დაწყებითი სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლების* მოპყრობასთან. ზოგიერთ ქვეყანაში ექთნებსა და მასწავლებლებს მოეთხოვებათ უმაღლესი განათლების ხარისხი, თუმცა სხვა ქვეყნებში მსგავსი მოთხოვნა არ არსებობს. ISCO-88-ს მიღებისას აღნიშნული საკითხი გადაწყდა იმით, რომ ზემოხსენებული პროფესიები განისაზღვრა პარალელური მცირე ჯგუფების ქვეშ, მეორე და მესამე ძირითად ჯგუფებში. ეს პროფესიული ჯგუფები უნდა გამოყენებულიყო მონაცვლეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნებს ყველა მასწავლებელი და ყველა ექთანი უნდა მოექცია 2 და 3 ძირითადი ჯგუფების ქვეშ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამა თუ იმ ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ქვეყნის შიგნით არსებობდა არსებითი განსხვავებები. იმის გათვალისწინებით, რომ ექთნებისა და მასწავლებლების ISCO-88-ის აღწერილობა ორივე ძირითად ჯგუფში ერთი და იგივე იყო, გასაგებია, რომ მრავალმა ქვეყანამ განაცალკევა პროფესიონალი და ასოცირებული პროფესიონალები დასაქმებული პირის განათლების დონის გათვალისწინებით, ან ქვეყანაში არსებულ ტიპურ განათლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების საფუძველზე და არა შესრულებულ ამოცანებსა და დავალებებზე დაყრდნობით.

76. ISCO-88-თვის აღნიშნული პრობლემის სამუშაოს შინაარსის (ანუ ამოცანებისა და დავალებებისთვის) დაყენებით გადაიჭრება ეროვნული საგანმანათლებლო და გადამზადების მოთხოვნებზე ზემოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროფესიები, რომლებიც ძირითადად ერთსა და იმავე სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებენ, მიეკუთვნებიან ISCO-08-ის იმავე კატეგორიას, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით ეროვნული კვალიფიკაციის დონის მოთხოვნები ერთმანეთისგან განსხვავდება. იმედია, რომ აღნიშნული გააუმჯობესებს საერთაშორისო შედარებითობას.

[4]მიუხედავად ზემოთქმულისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უფრო მაღალი კვალიფიკაციისა თუ გამოცდილების მქონე პირებმა შესაძლოა, შეასრულონ იგივე დავალებები უფრო მეტი კომპეტენციით, ვიდრე დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებმა.

77. შემუშავდა პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა პროფესიებთან მიმართებით გამოსაყენებელი კვალიფიკაციის დონის გადასაწყვეტად მაშინ, როდესაც განათლებისა და გადამზადების მოთხოვნები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. ეს პრინციპები ჩამოთვლილია ქვემოთ და ისინი *მნიშვნელობის მიხედვითაა* გამოყენებული, რათა განისაზღვროს, ISCO-08-ის სტრუქტურის რომელ ნაწილშია კლასიფიცირებული კონკრეტული პროფესიები:

ა) კონკრეტული პროფესიის ამოცანებისა და ვალდებულებების კომპლექსურობა და სპექტრი განხილულია ყოველი კვალიფიკაციის დონის განსაზღვრებასთან მიმართებით, განსაკუთრებით თითოეული კვალიფიკაციის დონესთან დაკავშირებული დამახასიათებელი ამოცანებისა და ვალდებულებებისადმი;

ბ) რამდენიმე ქვეყანას შორის ფორმალური განათლების მოთხოვნების განსხვავებისას, კვალიფიკაციის დონე ისაზღვრებოდა ქვეყნების უმეტესობაში გამოიყენებულ მოთხოვნებზე დაყრდნობით;

ც) კვალიფიკაციის პირველ და მეორე დონეს შორის განსხვავების დასადგენად „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების არასაკმარისობისას, პროფესიები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში მოითხოვდნენ საშუალო განათლების პირველი ეტაპის დასრულებას (ISCED-97 დონე 2) და სხვა ქვეყნებში მხოლოდ საწყისი განათლების დასრულებას (ISCED-97 დონე 1), კლასიფიცირდებოდნენ პირველი დონის ჯგუფში. აღნიშნული მიდგომა შეირჩა იმ მიზეზით, რომ ბევრ მაღალ ინდუსტრიულ ქვეყნაში საშუალო განათლების პირველი ეტაპის დასრულება მეტ-ნაკლებად უნივერსალურია. ამ შემთხვევაში, მათ, ვისაც არ დაუსრულებიათ საშუალო განათლების პირველი ეტაპი, ვერ დასაქმდებიან ნაკლები კვალიფიკაციის მოთხოვნების სამუშაოზეც კი.

დ) „ა“ და „ა“ პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების არასაკმარისობისას ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებული სიტუაცია ძირითადად გამოიყენებოდა პროფესიის კვალიფიკაციის დონის განსასაზღვრად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ქვეყნების უმრავლესობაში არსებობდა თანმიმდევრული მიდგომა. მაგ., თუ იმ ქვეყნების, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრებს (OECD), ნახევარზე ნაკლებისთვის პროფესიის მისაღებად მოითხოვებოდა ხარისხი, ამ დროს კი ორწლიანი დიპლომი მოითხოვებოდა თითქმის ყველა სხვა ქვეყნისთვის, მაშინ უფრო მართებული იქნებოდა პროფესიის მიკუთვნება კვალიფიკაციის მე-3 დონისთვის. მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იყო როგორც ქვეყნების ზომა, ისე მათი რაოდენობა. ხსენებული მიდგომის მიღების მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ინდუსტრიულ ქვეყნებში შექმნილი სიტუაცია საბოლოო ჯამში განიხილებოდა როგორც სხვა ქვეყნებისთვის ნორმალური. უფრო მეტიც, კვალიფიკაციის უფრო მაღალი დონე ნათლად ხდებოდა მოთხოვნადი მრავალი პროფესიული მიგრაციის მიზნებისთვის.

ა) კლასიფიკაციის სტრუქტურა და კოდების სქემა

78. ISCO-08-ის სტრუქტურა შექმნილია იმგვარად, რომ კლასიფიკაციის იერარქიის ყველაზე დეტალიზებულ დონეზე პროფესიები მოქცეულია 436 ჯგუფურ ერთეულში. დოკუმენტის მიზანია, რომ მსოფლიოში არსებული ყველა სამუშაო მიეკუთვნებოდეს ერთ-

ერთ (და მხოლოდ ერთ) ჯგუფურ ერთეულს. ზოგადად, თითოეული ჯგუფური ერთეული შედგება რამდენიმე პროფესიისგან, რომლებიც კვალიფიკაციის დონისა და სპეციალიზაციის თავლსაზრისით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. კვალიფიკაციის დონის კონცეფციისა და სპეციალიზაციის კონცეფციის შედარებით ფართო გამოყენების საფუძველზე ძირითად ჯგუფები თავის მხრივ იყოფიან ქვეჯგუფებად, ქვეჯგუფები – მცირე ჯგუფებად, მცირე ჯგუფები – ჯგუფურ ერთეულებად.

79. ISCO-08-ის, ორის გარდა, ყველა ძირითადი ჯგუფი ითვალისწინებს პროფესიას, რომელსაც მინიჭებული აქვს ISCO-ის კვალიფიკაციის დონეების ოთხიდან მხოლოდ ერთი. 43-ვე ქვეჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ კვალიფიკაციის ერთი დონე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სურვილის შემთხვევაში ISCO-08-ის ქვეჯგუფის, მცირე ჯგუფისა თუ ჯგუფური ერთეულის დონეს მიკუთვნებული მონაცემების აღწერა შესაძლებელია მხოლოდ კვალიფიკაციის დონის მიხედვით. აღნიშნული მიღწეულია 0 ძირითად ჯგუფში სამი ქვეჯგუფის შექმნით – შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული პროფესიები, შეიარაღებული ძალების ოფიცრების, სერჟანტების შემადგენლობის, სამხედრო მოსამსახურეებისა და სხვა წოდებებისათვის; პროფესიების დაჯგუფება ძირითად ჯგუფში – მენეჯერები, იმგვარად, რომ ყველა პროფესია, რომელიც კლასიფიცირებული კვალიფიკაციის მე-4 დონეზე, კვალიფიკაციის მე-3 დონეზე მიეკუთვნება ერთ ქვეჯგუფს. ზემოხსენებული ISCO-88-ის პრინციპიდან გადახვევაა, მაგ., პირველი ძირითადი ჯგუფის (კანონმდებლები და მაღალი თანამდებობის პირები და მენეჯერები) აგრეთვე, 0 ძირითად ჯგუფის (შეიარაღებული ძალები) პროფესიებს არ ენიჭებოდათ კვალიფიკაციის დონე.

80. ზემოდან ქვემოთ ISCO-08-ის იერარქიული სტრუქტურის განხილვისას, ათივე ჯგუფიდან თითოეული შედგება ორი ან მეტი ქვეჯგუფისგან, რომლებიც თავის მხრივ შედგებიან ერთი ან რამდენიმე მცირე ჯგუფისგან. თითოეული 130 მცირე ჯგუფი შედგება ერთი ან რამდენიმე ჯგუფური ერთეულისგან. თითოეული ძირითადი ჯგუფი აღნიშნება 1 ციფრიანი კოდით. მსგავსად, მცირე ჯგუფები აღინიშნება 3 ციფრიანი და ჯგუფური ერთეულები 4 ციფრიანი კოდებით, რომლებიც მოიცავენ მაღალი დონის კოდს თითოეულ შემთხვევაში დამატებული ერთი ციფრი. ეს უკანასკნელი ილუსტრირებულია შემდეგი მაგალითით:

ძირითადი ჯგუფი	**5**	**მომსახურებები და გაყიდვების სფეროს სპეციალისტები:**
ქვეჯგუფი	**51**	**ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები:**
მცირე ჯგუფი	511	ბორტ-გამცილებლები, კონდუქტორები და გიდები:
	5111	ბორტ-გამცილებლები და სტიუარდები;
	5112	ტრანსპორტის კონდუქტორები;
	5113	გიდები.

81. ISCO-88-სთვის გამოყენებული სხვა კოდები აგრეთვე, მიღებულია ISCO-08-სთვის. კერძოდ, თუ მცირე ჯგუფი შეიცავს მხოლოდ ერთ ჯგუფურ ერთეულს, ამ ჯგუფური ერთეულის კოდის ბოლო ციფრია „0“. როდესაც ჯგუფური ერთეული ჯგუფის ნაშთია, მაშინ მას გააჩნია მცირე ჯგუფის ანალოგიური სახელწოდება და სრულდება შემდეგი ფრაზით: „სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი“ და მისი ბოლო ციფრია 9.

82. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც არ იცვლება ISCO-88-ის ზოგიერთი კატეგორია, მის გარშემო მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების გამო შესაძლებელია არ შეიცვალოს კონკრეტული კატეგორიის კოდი. ანალოგიურად, ISCO-88-ისა და ISCO-08-ის შემთხვევაში ერთი და იგივე კოდი შეიძლება მიენიჭოს საკმაოდ განსხვავებულ კატეგორიებს. თარიღები კლასიფიკაციის ორ ვერსიას შორის უნდა შეიცვალოს ან შედარდეს შესაბამისობის ცხრილებზე მითითებით, რომელიც მოცემულია IV ნაწილში.

ბ) თემატური შეხედულებები

83. კლასიფიკაციის ძირითად სტრუქტურაზე დამატებით, პროფესიების ზოგიერთი ჯგუფისთვის შემუშავდა ISCO-08-ის თემატური დაჯგუფებების ან შეხედულებების სტანდარტების კომპლექტი, რომელიც კონკრეტული თემის მიხედვით პროფესიებთან დაკავშირებული გამსხვილებული მონაცემებისადმი სტანდარტიზებულ მიდგომას საჭიროებს. ეს პროფესიები ISCO-08-ის ძირითადი სტრუქტურის ფარგლებში არ ჯგუფდება ერთად, რადგან ამ შემთხვევაში უპირატესობა კვალიფიკაციის დონეს ენიჭება. შესაბამისად, კვალიფიკაციის სპეციალიზაციის და განსაკუთრებით კი, წარმოებული საქონლისა და მომსახურებების ასპექტების მიხედვით, თემატური შეხედულებები წარმოადგენს პროფესიებთან დაკავშირებული მონაცემების გამსხვილების სტანდარტულ ალტერნატიულ გზას, რომელიც მიეკუთვნება ISCO-08-ის 4 ციფრიან დონეს. მათი მიზანია კლასიფიცირებისთვის ხსენებული თემების შესაბამისად პროფესიების სახელმძღვანელო პრინციპებით უზრუნველყოფა, რათა ხელი შეუწყოს საერთაშორისო დონეზე შედარებადი სტატისტიკის შეგროვებას.

84. თემატური შეხედულებები არ ისახავს მიზნად იყოს ურთიერთგამომრიცხავი ან ერთიანად ამომწურავი. ზოგიერთ ჯგუფური ერთეული შესაძლებელია ჩამოთვლილი იყოს ერთზე მეტი თემატური შეხედულების ქვეშ და ზოგიერთი კი შესაძლებელია საერთოდ არ მოექცეს არც ერთში.

85. თემატური შეხედულებები მათი დასრულების შემდეგ ელექტრონული ფორმით გამოქვეყნდება ISCO-ის ვებგვერდზე. სასურველია, პროფესიების თემატური შეხედულებები შემუშავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში. ამ კონკრეტული დაჯგუფებების არსებობის საჭიროება გათვალისწინებულია ISCO-08-ის სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში. თუ სამომავლოდ აუცილებელი გახდება დამატებითი თემატური შეხედულებების შემუშავება, მათი უზრუნველყოფა მოთხოვნის შესაბამისად მოხდება. პროფესიების თემატური შეხედულებების შესამუშავებელი სფეროებია:

- სოფლის მეურნეობა;
- მშენებლობა;
- განათლება;
- ჯანმრთელობა;
- ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ტურიზმი.

2.7. ჯგუფების განსაზღვრებები

განსაზღვრების მიზანი

86. ISCO-08-ის ჯგუფების განსაზღვრებების ძირითადი მიზანია მოკლედ მიმოიხილოს თითოეული ჯგუფის შინაარსი, რათა ქვეყნებმა მაქსიმალური თანმიმდევრობით გადაწყვიტონ, თუ ISCO-ოს სტრუქტურის რომელ საფეხურზე მოათავსონ კონკრეტული პროფესიული ჯგუფი. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მათი სტატისტიკური და ადმინისტრაციული მიზნებით გამოყენებისას მსგავსი დაჯგუფება ხელს შეუწყობს მონაცემთა სიზუსტესა და საერთაშორისო შედარებითობას. გარდა ამისა, ჯგუფების განსაზღვრებების მიზანია შესაბამისი პროფესიების ჯგუფში შესრულებული სამუშაოს ხასიათზე ზოგადი აღწერილობითი ინფორმაციის მიწოდება. ჯგუფების განსაზღვრებების მიზანს არ წარმოადგენს თითოეული პროფესიისთვის შესასრულებელი სამუშაოს დეტალური აღწერით პროფესიების ლექსიკონის შექმნა.

87. შემლებისდაგვარად, ISCO-08-ის ჯგუფის განსაზღვრებების მიზანია, იგი აღქმული იყოს როგორც ცალკე მდგომი პროფესია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯგუფის არსი უნდა გავიგოთ სხვა კატეგორიების განსაზღვრებებზე მითითების გარეშე.

განსაზღვრებების სტრუქტურა და შინაარსი

88. განსაზღვრებების მთლიანი სტრუქტურა ISCO-88-ის ანალოგიურია, გარდა იმისა, რომ შენიშვნებისა და სქოლიოების გამოყენება, როგორც განსაზღვრებების დანართი, შეიცვალა და ყოველი განსაზღვრების ქვეშ შენიშვნების სახით ჩამოყალიბდა (ქვემოთ იხ. პუნქტი 96).

89. შესაბამისად, ყველა განსაზღვრება იწყება მთავარი წინადადებით, რომელსაც მოჰყვება შესასრულებელი დავალებების სია, დამატებითი ინფორმაცია და, საჭიროების შემთხვევაში, გამონაკლისები და შენიშვნები. მსგავსი მიდგომა ვრცელდება კლასიფიკაციის ყველა დონის ჯგუფებზე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებები მათ ფორმატსა და სიტყვების წყობაში.

90. მთავარი წინადადება მოკლედ აღწერს ჯგუფის მნიშვნელობას და მის ძირითად ხასიათს. ხშირ შემთხვევაში იგი შედგება ერთი ან ორი წინადადებისგან. ზოგადად, პირველ რიგში ნახსენებია შესრულებული სამუშაოს ის ყველაზე მნიშვნელოვანი ან ძირითადი ასპექტი, რომელიც ერთ ჯგუფს მეორისგან განასხვავებს. ზოგიერთ შემთხვევაში მთავარ წინადადებას ემატება ინფორმაცია, რომელიც ეხება მხოლოდ გარკვეულ პროფესიებს, რომლებიც კლასიფიცირდება ჯგუფში. ჯგუფში მოცემული ყველა საქმიანობისთვის არ არის აუცილებელი მთავარ წინადადებაში გადმოცემული ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება.

91. შესასრულებული ამოცანები მიუთითებს იმ დავალებებზე, რომლებსაც, როგორც წესი, ხშირად ასრულებენ ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიების. წინადადება, როგორც წესი, ჯგუფში გათვალისწინებული საქმიანობებისთვის არ მოიცავს ყველა ამოცანის ჩამონათვალს, თუმცა, შესაძლებელია ეხებოდეს ზოგიერთ დავალებას, რომელიც მნიშნელოვანია ჯგუფს მიკუთვნებული ზოგიერთი საქმიანობისთვის. ზოგადად, ამოცანების რაოდენობა მერყეობს ხუთიდან ათ პუნქტამდე, მაგრამ არსებობს შემთხვევები, რომლებშიც მოითხოვება უფრო მეტი ან უფრო ცოტა პუნქტის მითითება.

92. დავალებები, რომლებიც დამახასიათებელია ჯგუფის შიგნით კონკრეტული პროფესიისთვის, ცალკე პუნქტად მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყოფა, თუ ისინი წარმოადგენენ შესაბამისი პროფესიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს და ვერ გაერთიანდება უფრო ზოგად წინადადებაში, რომელიც აგრეთვე, ეხება სხვა პროფესიას. მაგალითისთვის,

2263 ჯგუფური ერთეულის (გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სფეროს პროფესიონალები) განსაზღვრება ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულებას, რომლებიც დამახასიათებელია პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროს მრჩევლებისთვის, მაგრამ აღნიშნული პროფესიით შესასრულებელი სამუშაოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ელემენტს წარმომადგენს:

ა) ფიზიკური და ტექნიკის დაზიანებებით წარმოქმნილი ზარალის შესახებ ინფორმაციის შენახვა და გამოძიება, ააგრეთვე, უსაფრთხოების ზომებზე ანგარიშების წარდგენა;

ბ) დაზარალებული მუშების კომპენსაციის, რეაბილიტაციისა და მათი სამუშაოზე დაბრუნების საკითხების მართვას.

93. როდესაც ქვეჯგუფი ან მცირე ჯგუფი იერარქიის შემდეგ დონეზე მოიცავს მხოლოდ ერთ ჯგუფს, მთავარი წინადადების არსებითი შინაარსი და დავალებები ორივე ჯგუფისთვის იდენტურია.

94. ძირითადი ჯგუფის, ქვეჯგუფისა და მცირე ჯგუფისთვის შესასრულებელი დავალებების სიას მოჰყვება იმ ჯგუფების სია, რომლებიც მიეკუთვნება კლასიფიკაციის იერარქიის შემდეგ დონეს. ჯგუფური ერთეულებისთვის დავალებების სიას მოსდევს აქ კლასიფიცირებული პროფესიების მაგალითების ჩამონათვალი. ეს ჩამონათვალი მიზნად ისახავს მიეთითოს ჯგუფით გათვალისწინებულ პროფესიებსა და საქმიანობის სახელწოდებებზე. ისინი არ განსაზღვრავენ კლასიფიკაციის მეხუთე იერარქიულ დონეს. ჩამოთვლილი პროფესიები არ არის ამომწურავი და ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ზოგადი სახელწოდებებით, რომლებიც რეალურად ეხება იგივე ან მსგავს პროფესიებს. თითოეული ჯგუფური ერთეულის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია *პროფესიების სახელწოდებების ინდექსში* და დალაგებულია კოდების მიხედვით. მოცემული პროფესიების სიის შექმნის მიზანი უფრო ინფორმაციულია, ვიდრე აღწერილობითი. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პროფესიების სახელწოდებების გამოყენება ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია განსხვავდებოდეს ISCO-08-ით გათვალისწინებული პროფესიების სახელწოდებების გამოყენებისგან.

95. სია იმ მონათესავე სფეროს პროფესიებისა, რომლებიც სხვა კატეგორიას მიეკუთვნებიან, მოცემულია იქ, სადაც ბუნდოვანია განსხვავება პროფესიებსა და მსგავსი სახელწოდების ან სამუშაოს შინაარსს შორის.

96. ჯგუფების ზოგიერთი განსაზღვრება აგრეთვე, მოიცავს დამატებით შენიშვნებს. შენიშვნები ძირითადად მიზნად ისახავს, მონათესავე სფეროს ჯგუფებს შორის საზღვრების ახსნას, როდესაც ბოლომდე ნათელი არ არის მათი შინაარსი. ბუნდოვანებისას ან კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფზე რამე კომენტარის საჭიროებისას შენიშვნებით განსხვავება აღწერილობითი მასალების საფუძველზე აიხსნება. ზოგადად, შენიშვნაში ვხვდებით ანალოგიურ ან იდენტურ ტექსტს, რომელიც ემატება კონკრეტულ შენიშვნაში ნახსენებ ყველა ჯგუფს იმგვარად, რომ ყოველი ჯგუფის განსაზღვრება ცალკე გამოიყოს.

ძირითადი განსხვავებები ISCO-08-სა და ISCO-88-ს შორის

3.1. ცვლილებების მოკლე შეჯამება და მათი განხორციელების მიზეზები

97. მიუხედავად იმისა, რომ ISCO-08-ის შემუშავების სახელმძღვანელოდ გამოყენებული კონცეპტუალური მოდელი ISCO-88-თან შედარებით ფუნდამენტურად არ შეცვლილა, ზოგიერთ პროფესიულ ჯგუფებთან მიმართებაში მაინც არსებობს მნიშნელოვანი განსხვავებები. აღნიშნული განსხვავებები ასახავს საჭიროებებს, რომელიც ეხება ISCO-88-ის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აგრეთვე, პროფესიების ცვლილებას მათი შექმნიდან 20 წლის განმავლობაში.

98. ISCO-88-ში გამოყენებული ძირითადი ჯგუფების, ქვეჯგუფების, მცირე ჯგუფებისა და ჯგუფური ერთეულების მთელი სისტემა შენარჩუნდა ISCO-08-ში. ISCO-88-ში წარმოდგენილი ათი ძირითადი ჯგუფი კვლავ შეგხვდებათ ISCO-08-ში. ზოგიერთი ძირითადი ჯგუფის დასახელებები ოდნავ შეიცვალა, რათა უფრო ნათლად გამოეხატა პროფესიის შინაარსი; ხოლო ზოგმა პროფესიულმა ჯგუფმა ერთი ძირითადი ჯგუფიდან მეორეში გადაინაცვლა. შედეგად, მონაცემთა გადატანა ISCO-88-ის ძირითადი ჯგუფებიდან ISCO-08-ის ძირითად ჯგუფებში შეუძლებელია.

99. ISCO-08-ს დაემატა მთელი რიგი სრულიად ახალი ქვეჯგუფების, მცირე ჯგუფებისა და ჯგუფური ერთეულების, აგრეთვე, ISCO-88-ის ზოგიერთი ჯგუფი აღნიშნულ დონეებზე შეუერთდა სხვა ჯგუფებს ან გაიყო რამდენიმე ჯგუფად.

100. ხსენებული ცვლილებები სტატისტიკების მიხედვით იყოფა ISCO-88-ისა დაISCO-08-ს შორის კლასიფიკაციის იერარქიის ყველა დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ერთი-ერთზე კორესპონდენცია კონკრეტულ ჯგუფებს შორის ძირითადი ჯგუფის დონის ქვემოთ. სრული ცხრილები, რომლებიც ჯგუფური ერთეულის დონეზე ასახავენ ყველა მიმოწერას ISCO-88-ისა და ISCO-08-ს შორის, მოცემულია IV ნაწილში. ცხრილები წარმოდგენილია როგორც ISCO-88-ის, ისე ISCO-08-ის თანმიმდევრობით.

101. ცვლილებათა უმრავლესობა ეხება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ სფეროში ISCO-88 მნიშვნელოვნად მოძველებულია, განსაკუთრებით კი დარგებში, რომლებსაც ყველაზე მეტად შეეხო ტექნოლოგიების განვითარება პროფესიულ, ტექნიკურ და საკანცელარიო საქმიანობასთან მიმართებაში, რაც ასოცირდება კომპიუტერებისა და კავშირგაბმულობის გამოყენებასთან. შედეგად, შრომის ბაზარზე პროფესიული და ტექნოლოგიური ცვლილებების ასახვის მიზნით ISCO-88-ის ზოგიერთი კატეგორია შეერთდა, გაიყო ან სხვაგან გადაინაცვლა. შეიქმნა ახალი კატეგორიები, რათა გამოვლენილიყო ახალი ან შექნის პროცესში მყოფი პროფესიული ჯგუფები. ISCO-88-ის ჯგუფური ერთეულები არ გაყოფილა და შეუერთდა ISCO-88-ის სხვა ჯგუფური ერთეულების ნაწილებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებშიც ეს გარდაუვალი იყო.

102. გარდა ამისა, ცვლილებები განხორციელდა ISCO-ის კონცეპტუალური მოდელის კლასიფიკაციის დიზაინთან მიმართებაში გამოყენებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შესრულებული სამუშაოს ხასიათს მიენიჭა მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ფორმალური განათლებისა და გადამზადების მოთხოვნებს პროფესიის კვალიფიკაციის დონის განსაზღვრისას.

103. კლასიფიკაციის სტრუქტურის სხვა ცვლილებები ეხმიანება პრობლემებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ISCO-88 ზოგიერთ სფეროში ზედმეტად იყო დეტალიზებული და სხვა

სფეროებში – არაადეკვატურად დეტალური, აგრეთვე, ზოგიერთი ქვეჯგუფისა და მცირე ჯგუფის ზომა ფართო სპექტრით გამოირჩეოდა. შეძლებისდაგვარად, დიდი ძალისხმევის შედეგად, მიზნების გათვალისწინებით ISCO-08-ის დეტალიზაციამ სათანადო დონესა და გამოყენების ხარისხს მიაღწია. გამიზნულია, რომ აღნიშნული ცვლილებები მეტად გააადვილებს ISCO-08-ის ქვეჯგუფებისა და მცირე ჯგუფებისათვის გამოკითხვების შედეგების მიღებას, ვიდრე ეს ISCO-88-ის შემთხვევაში იყო შესაძლებელი. საერთაშორისო დონეზე შრომის ბაზრის პროფესიული განაწილების ხასიათის გათვალისწინებითა და ISCO-ის მრავალმხრივი გამოყენების საფუძველზე, ჯგუფების ზომასთან და კლასიფიკაციის სხვადასხვა ნაწილში დეტალების დონეების განსხვავებასთან დაკავშირებული პრობლემები მნიშვნელოვანი იყო, თუმცა არა სასიცოცხლო.

104. ზოგიერთ შემთხვევაში, არსებობდა იმის შიში, რომ, საერთაშორისო დონეზე ვერ თანმიმდევრულად დადგინდებოდა ISCO-88-ის კონკრეტულ კატეგორიებს შორის განსხვავება , განსაკუთრებით კი იმ მონაცემების გათვალისწინებით, რომლის შეგროვებაც შესაძლებელია აღწერებითა თუ გამოკითხვებით. მსგავს შემთხვევებში, მაგ., სოფლის მეურნეობის სფეროს მენეჯერის დონის პროფესიებში ცვლილებები შევიდა ISCO-08-ში, რათა გამოსწრებულიყო როგორც ანგარიშების წარდგენის თანამიმდევრულობა, ისე საერთაშორისო შედარებითობა.

105. ქვემოთ განხილულია ზოგიერთი შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ცვლილება:

- მენეჯერული დონის პროფესიების კლასიფიკაციის სექციებმაც განიცადა რეორგანიზაცია, რათა გადაელახა ISCO-88-ის მომხმარებელების მიერ გამოცდილი პრობლემები;
- იმ სფეროებში, სადაც ზედამხედველები, როგორც წესი, მათ დაქვემდებარებაში მყოფი მუშებისგან სრულიად განსხვავებულ დავალებებს ასრულებენ, შერჩეული საზედამხედველო პროფესიისთვის შეიქმნა ზოგიერთი დამატებითი ჯგუფური ერთეული და ერთი ახალი მცირე ჯგუფი;
- ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ასოცირებული პროფესიები განახლდა და გაფართოვდა, რამაც ხსენებულ სფეროში შესაძლებელი გახადა პროფესიონალებისა და ასოცირებული პროფესიონალების ქვეჯგუფების გამოვლენა;
- ISCO-88-მ შეითავსა სხვა ძირითად ჯგუფებს მიკუთვნებული პარალელური ჯგუფები, რათა გაეთვალისწინებინა ისეთი შემთხვევებიც, რომლებშიც ქვეყნების მიხედვით პასუხისმგებლობასა და ზედამხედველობის ხარისხს შორის განსხვავების გამო განათლებისა და გადამზადების მოთხოვნები კონკრეტული პროფესიული ჯგუფისთვის განსხვავდებოდა. პარალელური ჯგუფები არ გვხვდება ISCO-08-ში მაშინ, როდესაც შესასრულებელი ამოცანები ძირითადად იგივეა;
- გაფართოვდა პროფესიები, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის მომსახურებების უზრუნველყოფას, რათა საერთაშორისო ანგარიშების საფუძველზე ISCO-88-ის გამოსაყენებლად ჯანდაცვის სფეროს სამუშაო ძალის შესახებ საკმარისი დეტალები წარმოდგეს. ეს პროფესიები შეძლებისდაგვარად დაჯგუფდა ერთად და ჩამოაყალიბა ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების სფეროს პროფესიების შესახებ ორი ქვეჯგუფი და ცალკე მცირე ჯგუფი;
- კლასიფიკაციის იმ სექციამ, რომელიც ეხება ოფისის სპეციალისტებს და რომლებშიც დასაქმებულთა დიდი ნაწილი ქალია, განიცადა რეორგანიზაცია, რათა

უკეთ აესახა ინფორმაციული და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების გავლენა და მეტი დეტალები წარმოედგინა;

- რეორგანიზაცია განიცადა გაერთიანებულმა გაყიდვებისა და მომსახურების სფეროს სპეციალისტების ჯგუფებმა, აგრეთვე, ახალი ინდივიდუალური მომსახურების, მოვლისა და სოციალური დაცვის პერსოლის ქვეჯგუფების დებულებამაც;
- სოფლის მეურნეობის სფეროს ზოგიერთი პროფესიული ჯგუფებისთვის გათვალისწინებულია უფრო დეტალიზებული კატეგორიები და მეტი სიცხადე;
- უფრო დეტალიზებული კატეგორიებია, აგრეთვე, გათვალისწინებული იმ პროფესიებისთვის, რომლებიც, ტურიზმის საკითხების ჩათვლით, ინფორმაციასა და მომსახურებებას აწვდიან კლიენტებს;
- იმის გათვალისწინებით, რომ ISCO-88 ზედმეტად დეტალიზებული და ზოგიერთ სფეროებში საკმაოდ მოძველებული იყო, განხორციელდა მანქანა-დანადგარებისა და ოპერატორების ჯგუფების რესტრუქტურიზაცია და რეორგანიზაცია;
- გაუმჯობესდა იმ პროფესიების მოქმედების სფერო და სიცხადე, რომლებიც არაფორმალური დასაქმებისთვისაა[5] მნიშვნელოვანი და ISCO-88-თან შედარებით გაზარდა ISCO-08-ის 9 ძირითად ჯგუფში – დამწყები კვალიფიკაციის მუშები ქვეჯგუფების რაოდენობა.

106. აღნიშნული ცვლილებები, უმაღლესი დონის კლასიფიკაციების გარდა, დაჯგუფების ყველა დონეზე დეტალების ოდნავი ცვლილების შედეგია. თუმცა, ეს ცვლილებები თანაბრად ვერ ნაწილდება კლასიფიკაციების სტრუქტურის ფარგლებში. მე-3 ცხრილი აჩვენებს, რომ 2 ძირითადი ჯგუფისა (პროფესიონალები) და 5 ძირითადი ჯგუფის (მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი) ჯგუფური ერთეულების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა მაშინ, როდესაც 8 ძირითადი ჯგუფის (სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები) ჯგუფური ერთეულების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

ცხრილი 3. ISCO-08-ის თითოეულ დონეზე ჯგუფების რაოდენობა

ძირითადი ჯგუფი	ქვეჯგუფები	მცირე ჯგუფები	ჯგუფური ერთეულები
1. მენეჯერები	4 (3)	11 (8)	31 (33)
2. პროფესიონალები	6 (4)	27 (18)	92 (55)
3. ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები	5 (4)	20 (21)	84 (73)
4. ოფისის დამხმარე მუშაკები	4 (2)	8 (7)	29 (23)
5. მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს მუშები	4 (2)	13 (9)	40 (23)
6. სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს კვალიფიციური მუშები	3 (2)	9 (6)	18 (17)
7. ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშაკები	5 (4)	14 (16)	66 (70)
8. სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	3	14 (20)	40 (70)
9. დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები	6 (3)	11 (10)	33 (25)
10. შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული	3 (1)	3 (1)	3 (1)

[5]არაფორმალური დასაქმების განსაზღვრების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ 2003 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში (2004) მე-17 ენის სწავლის საერთაშორისო ცენტრის (ICLS) მიერ მიღებული *სახელმძღვანელო პრინციპები არაფორმალური დასაქმების სტატისტიკური განსაზღვრების შესახებ.*

პროფესიები 11. **ISCO-08-ის (ISCO-88-ის) ჯამი**	**43 (28)**	**130 (116)**	**436 (390)**

შენიშვნა: ISCO-88-ის განსხვავებული რაოდენობა ნაჩვენებია ფრჩხილებში

3.2. მენეჯერული და საზედამხედველო პროფესიები

მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები

107. პირველ ძირითად ჯგუფს მიკუთვნებულმა მენეჯერულმა პროფესიებმა გადალახეს ISCO-88-ის მომხმარებელთა წინაშე მდგარი შემდეგ ორ თანამდებობას შორის არსებული განსხვავების პრობლემა – „კორპორატიული“ მენეჯერები და „გენერალური“ მენეჯერები. აღნიშნული ცვლილებები ეხება პრობლემას, რომელიც ISCO-88-ში კატეგორიების გამოყენებითაა გამოწვეული და რომელიც სამრეწველო საქმიანობების კლასიფიკაციასა და მთელ რიგ სხვა ტექნიკურ და პრაქტიკულ პრობლემებს ეფუძნება.

108. ISCO-08-ში მენეჯერული პროფესიები ორგანიზებულია უფრო ფუნქციონალურ, ვიდრე სამრეწველო პუნქტებში. ეს იმას ნიშნავს, რომ მენეჯერები სპეციალისტის ფუნქციებით, როგორებიცაა: ადამიანური რესურსები თუ სამრეწველო პროდუქცია – გამოვლენადი არიან, მათი მუშაობის სფეროს ან იმის მიუხედავად, დიდ საწარმოში დეპარტამენტს თუ პატარა საწარმოს მართავენ, რომლის ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ფუნქცია.

109. ISCO-88-ის 121 მცირე ჯგუფი (დირექტორები და აღმასრულებელი დირექტორები) ISCO-08-ში გვხვდება როგორც 112 მცირე ჯგუფი (მმართველი დირექტორები და აღმასრულებელი დირექტორები). იგი დაჯგუფდა ISCO-88-ის 11 ქვეჯგუფთან (კანონმდებლები და მაღალი თანამდებობის პირები), რათა ჩამოეყალიბებინა ISCO-08-ის 11 ქვეჯგუფი – აღმასრულებელი დირექტორები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები. ყველა საქმიანობა, რომელიც მოითხოვს დიდი და კომპლექსური ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და მართვას, სადაც მენეჯერების იერარქიული სტრუქტურა არსებობს, კლასიფიცირებულია ერთ ქვეჯგუფში, სადაც მცირე ჯგუფებისა და ჯგუფური ერთეულების დონეებზე უფრო დეტალურადაა ჩაშლილი პროფესიების ჩამონათვალი.

110. ISCO-88-ის 12 ქვეჯგუფისა (კორპორატიული მენეჯერები) და 13 ქვეჯგუფის (გენერალური მენეჯერები) დარჩენილი ნაწილი შეიცვალა სამი ახალი ქვეჯგუფით და შედეგად შეიქმნა ISCO-08-ის პირველი ძირითადი ჯგუფის (მენეჯერები) ქვეჯგუფის შემდეგი სისტემა:

11 აღმასრულებელი დირექტორები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები;
12 ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები;
13 წარმოებისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები;
14 სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები.

111. 12 და 13 ქვეჯგუფების საქმიანობები, 2 ძირითად ჯგუფში (პროფესიონალები), როგორც წესი, კონკრეტულ სფეროებში მოითხოვს უმაღლესი დონის კვალიფიკაციას, რომლის მიღებაც შესაძლებელია შესაბამის პროფესიაში ფართო საუნივერსიტეტო განათლებისა და შვიდწლიანი გამოცდილების მიღებით. ეს პროფესიები ასოცირებულნი

არიან (11 ქვეჯგუფით გათვალისწინებულ პროფესიებთან ერთად) ISCO-ის უმაღლესი (მეოთხე დონე) კვალიფიკაციის დონესთან, ხოლო 14 ქვეჯგუფის პროფესიები – ISCO-ის კვალიფიკაციის მესამე დონესთან.

112. 12 ქვეჯგუფი (ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები) მოიცავს ორგანიზაციული ერთეულის მენეჯერებს, რომლებიც, როგორც წესი, ორგანიზაციებს ემსახურებიან თუ ეხმარებიან. ისინი შესაძლებელია იყვნენ კომპანიის ან სამთავრობო დეპარტამენტის მენეჯერები, ან პატარა კომპანიების, რომელიც აღნიშნულ მომსახურებებს აწვდის სხვა ორგანიზაციებს, მენეჯერები. სხვა ორგანიზაციებში შემავალი მომსახურებები კლასიფიცირებულია ISCO-08-ის 1212 ჯგუფურ ერთეულში (ადამიანური რესურსების მენეჯერები), იმის გათვალისწინებით, რომ მათ საერთო ძირითადი კვალიფიკაცია აქვთ. ISCO-88-ში, პირველად ნახსენები პროფესია კლასიფიცირებული იქნებოდა 12 ქვეჯგუფში (კორპორატიული მენეჯერები), ხოლო ბოლოს ნახსენები პროფესია 13 ქვეჯგუფში (გენერალური მენეჯერები). მენეჯერული პროფესიები, რომლებიც მოითხოვენ ადმინისტრაციული, ფინანსური ან კომერციული საკითხების მაღალი დონის კვალიფიკაციას, მიეკუთვნება ერთ ქვეჯგუფს და მათი იდენტიფიცირება შესაძლებელია კონკრეტული საჭირო პროფესიონალური და ტექნიკური კვალიფიკაციის შესაბამისად ჯგუფური ერთეულის დონეზე.

113. 13 ქვეჯგუფი (წარმოებისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები) წარმოადგენს იმ მენეჯერების ჯგუფს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან იმ საქონლისა თუ მომსახურების წარმოების მართვაზე, რომელიც მოწოდებულია დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ. დიდი ორგანიზაციის დეპარტამენტის ან პატარა ორგანიზაციების მენეჯერები, რომლებიც კონცენტრირებას ახდენენ საქონლის, ან სპეციალური მომსახურებების წარმოებაზე (გარდა ადმინისტრაციული და კომერციული მომსახურებებისა), სპეციალური წარმოებისა თუ მომსახურების უზრუნველსაყოფად გაერთიანებულნი არიან ერთ ქვეჯგუფში და ექცევიან მცირე ჯგუფსა ან ჯგუფურ ერთეულებში.

114. ISCO-88-ის 1221 ჯგუფური ერთეული (სოფლის მეურნეობის, მონადირეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროებში წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები) შეიცვალა ახალი მცირე ჯგუფით, რომელიც მოიცავს ორ ჯგუფურ ერთეულს, როგორც ეს ქვემოთ არის მოცემული. ეს ჯგუფი შეზღუდულია მხოლოდ მათთვის, ვინც დიდ საწარმოებში მართავს წარმოებას (მაგ.: რანჩოებსა და პლანტაციებს), რომელთაც, როგორც წესი, გააჩნიათ მენეჯერების იერარქია:

131 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროებში წარმოების მენეჯერები:

1311 სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის პროდუქტების წარმოების მენეჯერები;

1312 წყლის კულტურებისა და თევზჭერის პროდუქციის წარმოების მენეჯერები.

115. ISCO-88-ის 1311 ჯგუფური ერთეული (სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის პროდუქტების წარმოების გენერალური მენეჯერები) პირველი ძირითადი ჯგუფიდან ამოღებულ იქნა. ამ კატეგორიაში მოქცეული პროფესიები გადავიდა ISCO-08-ის 61 ქვეჯგუფში (ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტები) ან 62 ქვეჯგუფში (ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, თევზჭერისა და ნადირობის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტები). ეს ორი შეუერთდა შესაბამის

ჯგუფებს, რომლებიც ეხება სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობისა თუ თევზჭერის სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებს. მათი შეცვლის მიზეზი ისაა, რომ ISCO-88-ში ამ ჯგუფსა და ფერმერებს შორის, რომელთაც არ გააჩნიათ განსაკუთრებული მართვის ფუნქციები, განსხვავება არ არის მთელ რიგ ქვეყნებში. ეს უკანასკნელი კი მონაცემთა შესახებ საერთაშორისო ანგარიშების წარდგენისას შეუსაბამობას იწვევს.

116. საქმიანობების 14 ქვეჯგუფში (სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები), ზოგადად და არა კონკრეტულ შემთხვევებში, გულისხმობს იმ შედარებით პატარა ორგანიზაციის მართვას, რომელსაც არ გააჩნია მენეჯერთა იერარქიული სისტემა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი საწარმოებისა და სასტუმროების მენეჯერები, როგორებიცაა: სუპერმარკეტები, უნივერსალური მაღაზიები ან სასტუმროები – აგრეთვე, დაჯგუფებულნი არიან 14 ქვეჯგუფის შესაბამის ჯგუფურ ერთეულებში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ამგვარ დაწესებულებას გააჩნია მენეჯერთა იერარქიული სისტემა. ძალიან დიდი სუპერმარკეტებისა თუ სასტუმროების მენეჯერების საშუალო ზომისა და პატარა ზომის სუპერმარკეტებისა თუ სასტუმროების მენეჯერებისგან განცალკევებით კლასიფიკაცია არც პრაქტიკულია და არც სასარგებლო. სასტუმროს მენეჯმენტი კომპანიების, საწარმოების ქსელებისა და სასტუმროს ქსელების აღმასრულებელი ოფიცრები და სპეციალიზებული მენეჯერები, თუ ისინი პასუხისმგებელნი არიან სასტუმროებისა თუ სავაჭრო ობიექტების ჯგუფების ქმედებებზე, კლასიფიცირდებიან 11, 12 ან 13 ქვეჯგუფების ჯგუფურ ერთეულებში.

117. აგრეთვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, თუ მართვის ამოცანები წარმოადგენს სამუშაოს მნიშვნელოვან კომპონენტს, ბიზნესის მფლობელები და დასაქმებულები მიეკუთვნებიან მხოლოდ პირველ ძირითად ჯგუფს. იქვე მოცემულია განმარტებითი შენიშვნები, რათა უფრო ნათელი გახდეს, რომ მაღაზიების, საოჯახო სასტუმროების (Guest House), კაფეების, რესტორნების, ბარებისა და მსგავსი დაწესებულებების ოპერატორები, რომელთათვისაც პერსონალის მართვა და ზედამხედველობა არ წარმოადგენს სამუშაოს განმსაზღვრელ კომპონენტს, როგორც წესი, მიეკუთვნებიან 5 ძირითად ჯგუფს (მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროს სპეციალისტები), მიუხედავად იმისა, რომ იგი კონცეპტუალურად არ განსხვავდება ISCO-88-ის მიერ განვითარებული მიდგომისგან. ISCO-88-ის ეროვნულ დონეზე გამოყენებისა თუ ადაპტაციის პროცესში ხსენებული ჯგუფისადმი სწორი რჩევის უქონლობა გამოიწვევს ISCO-88-ის 13 ქვეჯგუფში (გენერალური მენეჯერები) პატარა ბიზნესების ოპერატორთა შედარებით დიდი ნაწილის ჩართვას.

118. ახალი 5221 ჯგუფური ერთეული (მაღაზიის მფლობელები) წარმოდგენილია მუშათა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ჯგუფისთვის, რომლებიც ფლობენ და დამოუკიდებლად ან სხვების დახმარებით ამუშავებენ საცალო მაღაზიებს. საოჯახო სასტუმროების (Guest House), რესტორნების, კაფეებისა და მსგავსი დაწესებულებების მმართველები კლასიფიკაცირდება მათი ძირითადი ამოცანების შესრულების მიხედვით, მაგ.: შინამოსამსახურეები, მზარეულები ან მიმტანები.

საზედამხედველო პროფესიები

119. ISCO-88-ის დოკუმენტში ზედამხედველები ძირითადად მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე ჯგუფურ ერთეულს, როგორც მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სპეციალისტები.

თუმცა, მრავალი ქვეყანა მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ზოგიერთ სექტორში, სადაც ზედამხედველები ძირითადად არ ასრულებენ ერთსა და იმავე ამოცანებს, როგორც ზედამხედველობას დაქვემდებარებული სპეციალისტები, მენეჯერების ჩათვლით სხვა სპეციალისტებისგან განასხვაოს ზედამხედველები. როდესაც ამ პრობლემას ვეხებით, უნდა აღინიშნოს, რომ ISCO-08 მოიცავს საზედამხედველო პროფესიების ჯგუფების ქვეშ შერჩეულ ჯგუფურ ერთეულებს, საზედამხედველო პროფესიების.

120. ზოგიერთი საზედამხედველო სამუშაოსთვის დამატებითი კვალიფიკაციის დონის მოთხოვნის გამო, 31 (მეცნიერებისა და ინჟინერიის სფეროს ასოცირებული პროფესიონალები) ქვეჯგუფის ქვეშ შეიქმნა ახალი 312 მცირე ჯგუფი (სამთო-მოპოვების, მრეწველობისა და მშენებლობის ზედამხედველები). ანალოგიური მიზეზით, 334 მცირე ჯგუფში (ადმინისტრაციული და სპეციალიზებული სფეროს მდივნები) გაერთიანდა ჯგუფური ერთეული – ოფისის ზედამხედველები.

121. ISCO-08-ით გათვალისწინებული საზედამხედველო ჯგუფური ერთეულებია:

1321 სამთო-მოპოვებითი საქმიანობის მენეჯერები;
1322 წარმოების მენეჯერები;
1323 მშენებლობის მენეჯერები;
3341 ოფისის ზედამხედველები;
5151 ოფისებში, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში დასუფთავებისა და დალაგების ზედამხედველები;
5222 მაღაზიის ზედამხედველები.

122. ყველა სხვა საზედამხედველო პროფესიები კლასიფიცირებულია იგივე ჯგუფურ ერთეულში, სადაც მოცემულია ზედამხედველობას დაქვემდებარებული კვალიფიცირებული სპეციალისტები. აქვე შესაბამისი კატეგორიებისთვის განმარტებულია შენიშვნები, რათა ISCO-08-ის დოკუმენტში მენეჯერულ, საზედამხედველო და სხვა პროფესიებს შორის განსხვავება მაქსიმალურად ნათლად იყოს გადმოცემული.

3.2. პროფესიონალური და ტექნიკური პროფესიები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT)

123. ISCO-88-ის შემდეგ, 20 წლის განმავლობაში მიმდინარე ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა ცხადყო, რომ ISCO-88-ის დოკუმენტი საკმაოდ მოძველებულია საქონლისა და მომსახურებების მიწოდებასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) პროფესიებთან მიმართებაში. აღნიშნული კატეგორიების მნიშვნელოვანი განახლება და გაფართოება საშუალებას იძლევა ISCO-08-ში ამოვიცნოთ პროფესიონალური და ასოცირებული პროფესიები, როგორც ქვეჯგუფი კლასიფიკაციის მეორე დონეზე, როგორც ეს ქვემოთ არის მოცემული:

25 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტები:

251 პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები:

2511 სისტემების ანალიტიკოსები;
2512 პროგრამების სპეციალისტები;
2513 ინტერნეტ ქსელისა და მულტიმედიის სპეციალისტები;
2514 აპლიკაციების პროგრამირების სპეციალისტები;
2519 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები;

252 მონაცემთა ბაზისა და ქსელის განვითარების სპეციალისტები:

2521 მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები;
2522 სისტემების ადმინისტრატორები;
2523 კომპიუტერული ქსელის სპეციალისტები;
2529 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მონაცემთა ბაზისა და ქსელის სპეციალისტები.

35 ინფორმაციული და საკომუნიკაციო სფეროს ტექნიკოსები:

351 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და მომხმარებლების დამხმარე ტექნიკოსები:

3511 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ტექნიკოსები;
3512 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლების დამხარე ტექნიკოსები;
3513 კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები;
3514 ინტერნეტტექნიკოსები.

352 კავშირგაბმულობის რადიომაუწყებლობის ტექნიკოსები:

3521 რადიომაუწყებლობისა და აუდიო-ვიზუალური მასალების ტექნიკოსები;
3522 კავშირგაბმულობის ინჟინერ-ტექნიკოსები.

124. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროფესიები თემატურად მოიცავს ყველა პროფესიას, რომელიც ჩამოთვლილია 25 და 35 ქვეჯგუფების მთელ რიგ სხვა ჯგუფურ ერთეულებში, რომლებიც ძირითადად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საქონლისა და მომსახურებების წარმოებას ეხებიან, მაგ.:

1330 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების მენეჯერები;
2152 ელექტრონული მოწყობილობების ინჟინრები;
2153 კავშირგაბმულობის ინჟინრები;
2166 გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები;
2356 ინფორმაციული ტექნოლოგიების ტრენერები;
2434 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გაყიდვების სფეროს სპეციალისტები;
7422 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მემონტაჟეები და შემკეთებლები.

125. ინფორმაციული და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიებს შორის მზარდი ურთიერთდაახლოება აისახება ისეთი ჯგუფური ერთეულების შემოღებით, რომლებიც კონკრეტულად ეხება კავშირგაბმულობას (მათ შორის მაუწყებლობა), გათვალისწინებულს

იგივე მცირე ჯგუფებში, როგორც ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სხვა პროფესიები. გარდა ამისა, ზოგიერთი ჯგუფური ერთეული მოიცავს როგორც ინფორმაციულ, ისე კავშირგაბმულობის ტექნოლოგიებს, როდესაც სახეზეა სამუშაო ბაზარზე მოთხოვნილ კვალიფიკაციებს შორის მსგავსება, მათ შორის, მაგ., 7422 ჯგუფური ერთეული – ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მემონტაჟეები და შემკეთებლები.

126. ISCO-08 მოიცავს უამრავ პროფესიას, რომელიც მოითხოვს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სპეციალურ კვალიფიკაციას, როგორც იარაღის გამოყენებისას, ან აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენება სამუშაოს ძირითადი კომპონენტია. ხსენებული პროფესიები არ არის გათვალისწინებული არც ზემოთ ნახსენებ ორ ქვეჯგუფში და არც თემატური შეხედულებების ქვეშ ერთიანდება, ისინი პირდაპირ არ ითვალისწინებენ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) საქონლისა და მომსახურებების წარმოებას. ISCO-08-ის ჯგუფური ერთეულების ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) იარაღად გამოყენება მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია და მოიცავს შემდეგს:

3211 რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის ტექნიკოსები;
4222 საკონტაქტო ცენტრის საინფორმაციო სპეციალისტები;
5244 საკონტაქტო ცენტრების გამყიდველები.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებების სფეროს პროფესიები

127. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებების პროფესიების სფერო გაფართოვდა და მოიცვა ისეთი დეტალები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ISCO-08 გამოიყენოს მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციისთვის (WHO) ჯანმრთელი სამუშაო ძალის შესახებ მონაცემთა საერთაშორისო ანგარიშების სახით წარსადგენად.[6] ცვლილებები აგრეთვე, გამიზნულია ქვეყნებს შორის შედარებითობის პრობლემებზე პასუხის გასაცემად, რაც გამოწვეულია ზოგიერთ პროფესიულ ჯგუფებს შორის სირთულისგან განსხვავების დადგენის, განსაკუთრებით კი ექთნობასთან დაკავშირებულ პროფესიებთან მიმართებაში.

128. ჯანმრთელ სამუშაო ძალასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემთა თვალსაჩინოებისთვის, 2 და 3 ძირითად ჯგუფებში შეიქმნა ახალი ქვეჯგუფები. 22 (ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები) და 32 (ჯანდაცვის სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები). ახალი ქვეჯგუფის სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

22 ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები:

221 ექიმები:
2211 მედიცინის პრაქტიკოსები;
2212 მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები;

222 საექთნო და სამეანო საქმიანობის სპეციალისტები:
2221 საექთნო სფეროს სპეციალისტები;
2222 სამეანო საქმიანობის სპეციალისტები.

223 ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის სპეციალისტები:
2230 ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის სპეციალისტები.

[6] ჯანმრთელი სამუშაო ძალის ანალიზისას კლასიფიკაციის სქემების გამოყენების გარშემო მიმდინარე განხილვებისთვის იხილეთ, Hunter, Dal Poz და Kunjumen, 2009 წელი.

224 პარამედიცინის პრაქტიკოსები:

2240 პარამედიცინის პრაქტიკოსები.

225 ვეტერინარები:

2250 ვეტერინარები.

226 ჯანდაცვის სფეროს სხვა სპეციალისტები:

2261 სტომატოლოგები;

2262 ფარმაცევტები;

2263 გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სფეროს სპეციალისტები;

2264 ფიზიოთერაპევტები;

2265 დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები;

2266 აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (ლოგოპედები);

2267 ოფთალმოლოგები, ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები;

2269 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ჯანდაცვის სპეციალისტები.

32 ჯანდაცვის სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები:

321 სამედიცინო და სააფთიაქო სფეროს ტექნიკოსები :

3211 რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის ტექნიკოსები;

3212 სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის ტექნიკოსები;

3213 ფარმაცევტ-ტექნიკოსები და ასისტენტები;

3214 სამედიცინო და სტომატოლოგიური პროთეზის ტექნიკოსები.

322 საქთნო და სამეანო სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები:

3221 საქთნო სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები;

3222 სამეანო სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები.

323 ტრადიციული და არატრადიციული სამედიცინო სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები:

3230 ტრადიციული და არატრადიციული სამედიცინო სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები.

324 ვეტერინარიის სფეროს ტექნიკოსები და დამხმარე პერსონალი:

3240 ვეტერინარიის სფეროს ტექნიკოსები და დამხმარე პერსონალი.

325 ჯანდაცვის სფეროს სხვა ასოცირებული სპეციალისტები:

3251 სტომატოლოგის ასისტენტები და თერაპევტები;

3252 სამედიცინო ისტორიისა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სფეროს ტექნიკოსები;

3253 საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები;

3254 ოპტიკოსები;

3255 ფიზიოთერაპიის სფეროს ტექნიკოსები და ასისტენტები;

3256 სამედიცინო სფეროს დამხმარე პირები;

3257 გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის სფეროს ინსპექტორები და ასოცირებული პირები;

3258 სასწრაფო დახმარების სპეციალისტები;

3259 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ჯანდაცვის სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები.

129. ჯანდაცვის სფეროსა და ასოცირებულ სპეციალისტებთან დაკავშირებულ პროფესიებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ISCO-88-სა და ISCO-08-ს შორის არსებული სხვა სახის განსხვავებები. ISCO-08-ის დოკუმენტში:

- ცალკე მდგომი ჯგუფური ერთეულები გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური სამედიცინო პრაქტიკოსებისთვისაც;
- ცალკე მდგომი ჯგუფური ერთეულები გათვალისწინებულია საექთნო და სამეანო პროფესიებისთვის როგორც პროფესიონალურ, ისე ასოცირებულ პროფესიონალურ დონეზე;
- პროფესიონალ და ასოცირებულ ექთნებსა და მეანებს შორის განსხვავება დგინდება შესაბამის ქვეყანაში პირის მიერ შესრულებულ სამუშაოზე და არა მისი კვალიფიკაციის საფუძველზე. შესრულებულ ამოცანებს შორის არსებული სხვაობა ნათელი გახდა აღნიშნული კატეგორიების განმარტებისას;
- შეიქმნა ახალი 224 მცირე ჯგუფი (პარამედიცინის პრაქტიკოსები). სამუშაოები, რომლებიც მიეკუთვნება ISCO-88-ს 3221 ჯგუფს (მედიცინის ასისტენტები) უნდა გაერთიანდეს აღნიშნულ მცირე ჯგუფში, თუ ისინი ითვალისწინებენ საკონსულტაციო, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და პრევენციულ მომსახურებებს, რომლებიც ხორციელდება ინდივიდუალურად ან სამედიცინო ექიმების ზედამხედველობის შეზღუდული ზედამხედველობის ქვეშ;
- ვეტერინარები და ვეტერინარიის ტექნიკოსები და ასისტენტები გაერთიანებულია ჯანდაცვის სფეროს და ასოცირებულ სპეციალისტთა ქვეჯგუფში, რადგან არსებობს ძლიერი მსგავსება ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პროფესიებს შორის მოთხოვნილი ცოდნისა და შესრულებული ამოცანების თვალსაზრისით. ეს უკანასკნელნი გვხვდებიან მცირე ჯგუფების დონეზე იმგვარად, რომ პროფესიებთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც მოიცავენ ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, შეიკრიბოს ხსენებულ დონეზე წარდგენილი მონაცემებიდან;
- სასწრაფო დახმარების სპეციალისტები მიეკუთვნებიან 32 ჯგუფს მაშინ, როდესაც ISCO-08-ში ისინი გაერთიანებულნი იყვნენ 5 ძირითად ჯგუფში (მომსახურების სფეროს სპეციალისტები და მაღაზიისა და საბაზრო გაყიდვების სპეციალისტები);
- სასწრაფო დახმარების ექიმები კლასიფიცირებულნი არიან იგივე ჯგუფურ ერთეულში, რომელშიც მოქცეულია სასწრაფო დახმარების სპეციალისტები, რადგანაც ზოგიერთ ქვეყანაში რთულია მათი ერთმანეთისგან განსხვავება;
- სამედიცინო და სტომატოლოგიური პროთეზისა და მსგავსი ტექნიკოსები ISCO-88-ის 7 ძირითად ჯგუფიდან (ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშები) გადავიდა ISCO-08-ის 32 ქვეჯგუფში.

130. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსების ჯგუფში ცვლილებები. ტრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები არსებობენ პროფესიონალურ დონეზე (ISCO-ს 4 დონე), დიდი რაოდენობით მრავალ აზიურ ქვეყანაში და მათი რიცხვი იზრდება ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებშიც. ეს პროფესიები, როგორც წესი, მოითხოვს ფორმალური განათლების ქონას როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე (ალოპათიური) მედიცინის სფეროში. შესაბამისად, ტრადიციული და არატრადიციული მედიცინისა და ტრადიციული და არატრადიციული მედიცინასთან ასოცირებული პროფესიონალებისთვის შეიქმნა ძირითადი ჯგუფები, რომლებმაც შეცვალეს ISCO-88-ით გათვალისწინებული 3 ძირითად ჯგუფში მოქცეული ჯგუფური ერთეული. ამ

ორ ჯგუფს შორის არსებული საზღვრების შესახებ დისკუსია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ 4.4. ქვეპუნქტში.

131. გარდა ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებსა და ასოცირებულ პროფესიონალებში შეტანილი ცვლილებებისა, აგრეთვე, ცალკე გამოიყო 53 ჯგუფი (ინდივიდუალური მოვლის სფეროს სპეციალისტები). ეს ჯგუფი ანაცვლებს ISCO-88-ის 513 მცირე ჯგუფს (ინდივიდუალური მოვლა და მონათესავე სფეროს სპეციალისტები). ჯანმრთელობის მომსახურებების სფეროს სპეციალისტები იდენტიფიცირებულია ცალკე მცირე ჯგუფის დონეზე ბავშვის მოვლის სფეროს სპეციალისტებისგან განცალკევებით, ასე მაგ.:

53 ინდივიდუალური მოვლის სფეროს სპეციალისტები:

531 ბავშვის მომვლელები და დამხმარე მასწავლებლები:

5311 ბავშვის მომვლელები;

5312 დამხმარე მასწავლებლები.

532 ინდივიდუალური მოვლის სფეროს მუშაკები ჯანმრთელობის მომსახურების სფეროში:

5321 ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი;

5322 სახლში მომუშავე ინდივიდუალური მომვლელები;

5329 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მომვლელები.

132. ადამიანის ჯანმრთელობის მომსახურებების სფეროს პროფესიები, რომლებიც გაერთიანებულია 21, 31 და 53 ქვეჯგუფებში (გარდა იმ მცირე ჯგუფებისა, რომლებიც უკავშირდება ვეტერინარულ და ბავშვის მოვლას), რომლებიც გათვალისწინებულ იქნება ჯანდაცვის სფეროს პროფესიათა შემოთავაზებული თემატური შეხედულების ფარგლებში. მრავალი ჯგუფური ერთეული, რომლებიც ISCO-88-ში ცალკე არ ყოფილა გამოყოფილი, აგრეთვე, ისინი შესაძლებელია გაერთიანდეს ხსენებულ ჯგუფში, ასე მაგ.:

1342 ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების მენეჯერები;

1343 მოხუცებულთა მოვლის სამსახურების მენეჯერები;

3344 მდივნები სამედიცინო საკითხებში.

მასწავლებლები

133. ISCO-88-ში, დაწყებითი სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლები კლასიფიცირებულნი არიან ან 2 ძირითად ჯგუფში (სპეციალისტები) ან 3 ძირითად ჯგუფში (ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული სპეციალისტები). მიზანი კი გახლდათ ის, რომ განსხვავება მათ შორის უნდა დაფუძნებულიყო კონკრეტულ ამოცანებსა და პასუხისმგებლობის ხარისხზე მათი შესრულების პროცესში, აგრთვე, ეროვნულ საგანმანათლებლო და გადამზადების მოთხოვნებზე. პრაქტიკაში განსხვავება ხშირად ეყრდნობოდა პიროვნებათა კვალიფიკაციებს, ან კვალიფიკაციებს, რომლებიც არსებობდა კონკრეტულ ქვეყანაში. აღნიშნული მიდგომა არ შეესაბამება ISCO-08-ის მიერ დადგენილ პრინციპს, რომელიც გულისხმობს, რომ ის პროფესიები, რომლებიც მოითხოვენ ერთისა და იმავე დავალების შესრულებას, უნდა მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ეს მასწავლებლები არ მოითხოვენ იგივე დონის

განათლებასა და გადამზადებას, როგორც საშუალო სკოლის მასწავლებლები. გადაწყდა, რომ ისინი ყველანი თავს მოიყრიან 2 ძირითად ჯგუფში. ეს უკანასკნელი ასახავს როგორც შესრულებული სამუშაოს ხასიათს, ისე მრავალ ქვეყანაში დაწესებულ მოთხოვნებს, რომელიც გულისხმობს, რომ დაწყებითი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლებს სულ ცოტა უნდა გააჩნდეთ საუნივერსიტეტო განათლება.

134. კატეგორიები აგრეთვე, უზრუნველყოფილი იყო პროფესიული განათლებისა და სპეციალური კატეგორიის მასწავლებლებისთვის. ისინი, ვინც ასწავლიან პროფესიულ საგნებს, რომლებიც სტუდენტს კონკრეტული პროფესიული ჯგუფის ფარგლებში დასასაქმებლად ამზადებს, კლასიფიცირდებიან 2320 ჯგუფურ ერთეულში (პროფესიული მასწავლებლები), იმის მიუხედავად, მუშაობენ თუ არა ისინი ზოგად საშუალო სკოლასა თუ პროფესიულ ან ტექნიკურ სკოლასა თუ კოლეჯში.

ხელოვნებასთან, გართობასთან, დიზაინსა და სპორტთან დაკავშირებული პროფესიები

135. ხელოვნებასთან, გართობასთან, დიზაინსა და სპორტთან დაკავშირებული პროფესიები ISCO-88-ში მიეკუთვნებოდა 245 (მწერლები და შემოქმედებითი ან საშემსრულებლო არტისტები) და 347 (ხელოვანები, გართობისა და სპორტის სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები) მცირე ჯგუფებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მუსიკოსები და მოცეკვავეები კლასიფიცირებულნი იყვნენ სხვა ძირითად ჯგუფში და აღნიშნული კლასიფიკაცია ეფუძნებოდა იმ ფაქტს, მათ მიერ ნაწარმოებების შესრულება და წარმოდგენის დადგმა კლასიკურ თუ ნაკლებად ფორმალურ გარემოში ხდებოდა. ეს უკანასკნელი არ ასახავს ხელოვნებისა და გართობის სფეროში თანამედროვე დასაქმების კუთხით რეალობას.

136. ზემოხსენებულის პასუხად და ბევრი სხვა საკითხების გათვალისწინებით, რაც ეხებოდა ISCO-88-ში მსგავსი პროფესიების მიმართ დამოკიდებულებას, ISCO-08-ში შევიდა შემდეგი ტიპის ცვლილებები:

ა) ISCO-88-ის 347 მცირე ჯგუფში, ხელოვნებასა და მედიასთან დაკავშირებული ჯგუფური ერთეულები შეძლებისდაგვარად შეერთდა ISCO-88-ის 245 მცირე ჯგუფის შესაბამის ჯგუფურ ერთეულებთან;

ბ) შეიქმნა ახალი 264 მცირე ჯგუფი (ავტორები, ჟურნალისტები და ლინგვისტები). ეს ჯგუფური ერთეულების დონეზე ავტორებისა და მონათესავე სფეროს მწერლების, ჟურნალისტების, მთარგმნელებისა და თარჯიმნების, აგრეთვე, სხვა ლინგვისტების ცალკე იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

გ) დარჩენილი ხელოვნების სპეციალისტები კლასიფიცირებულნი არიან 265 მცირე ჯგუფში (შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები), რომელშიც ჯგუფური ერთეულის დონეზე დამატებითი დეტალია გათვალისწინებული და მსახიობები ფილმის, სცენისა და სხვა რეჟისორებისა და პროდუსერებისაგან განცალკევებით არიან იდენტიფიცირებულნი;

დ) ISCO-88-ის 3471 ჯგუფური ერთეული (დეკორატორები და კომერციული დიზაინერები) გაიყო სამ ჯგუფურ ერთეულად:

2163 პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები;
2166 გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები;
3432 ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები.

ე) ახალი 216 მცირე ჯგუფი (არქიტექტორები, დამგეგმავები, ტოპოგრაფები და დიზაინერები) შეიქმნა იმის ხაზგასასმელად, რომ მშენებლობასთან, გრაფიკასთან, მულტიმედიასა და სხვა დიზაინთან დაკავშირებული პროფესიები მოითხოვს ფუნციონალური, შემოქმედებითი და ხელოვნების უნარების კომბინაციას;

ვ) შეიქმნა ახალი 342 მცირე ჯგუფი (სპორტული და ფიტნეს დაწესებულებების სპეციალისტები);

ზ) ფოტოგრაფები ცალკე გამოეყო სხვა ოპერატორებს, რომლებიც გამოსახულებისა და ხმის ჩამწერ დანადგარებზე მუშაობენ (რომლებიც კლასიფიცირებულნი არიან 35 ქვეჯგუფში – ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნიკოსები).

თ) შეიქმნა 343 მცირე ჯგუფი (ხელოვნების, კულტურისა და კულინარიის სფეროსთან ასოცირებული სპეციალისტები), რომელიც მოიცავს ახალ ჯგუფურ ერთეულებს ფოტოგრაფების, ინტერიერის დიზაინერებისა და დეკორატორების, გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ტექნიკოსების, შეფმზარეულებისა და სხვა დანარჩენი კატეგორიებისთვის.

პროფესიონალი ინჟინრები

137. გაიყო ISCO-88-ის 214 მცირე ჯგუფი (არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე სფეროს პროფესიონალები) საშუალებას იძლევა, ზემოხსენებულ 216 მცირე ჯგუფში გაერთიანდნენ არქიტექტორები, კარტოგრაფები, ტოპოგრაფები, ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების მგეგმავები. ახალი 215 მცირე ჯგუფი (ინჟინერელექტროტექნიკოსები) მოიცავს ცალკე ჯგუფურ ერთეულებს ელექტრული, ელექტრონული და კავშირგაბმულობის ინჟინრებისთვის. ინდუსტრიული და წარმოების ინჟინრები, აგრეთვე, გარემოს სფეროს ინჟინრები ახლა უკვე 214 მცირე ჯგუფში (საინჟინრო სფეროს პროფესიონალები (გარდა ელექტროტექნოლოგიისა) წარმოდგენილია ცალკე ჯგუფური ერთეულების სახით, ISCO-88-ის დარჩენილ ჯგუფურ ერთეულებთან ერთად 214 მცირე ჯგუფში.

სპეციალიზებული ადმინისტრაციული პროფესიები

138. ახალი მცირე ჯგუფები და ჯგუფური ერთეულები მოცემულია 1, 2, და 3 ძირითად ჯგუფებში, რათა მოხდეს იმ პროფესიების უკეთ გამოვლენა, რომლებიც მთავრობისა და კორპორატიული პოლიტიკის შემუშავებას, დანერგვასა და ადმინისტრირებას ითვალისწინებენ, აგრეთვე, იმ ადმინისტრაციულ პროფესიებს, რომლებიც მოითხოვენ მაღალკვალიფიციურ უნარ-ჩვევებს. ასეთი პროფესიებია (არასრული სია):

121 ბიზნესსერვისებისა და ადმინისტრაციული მენეჯერები:

1211 ფინანსური მენეჯერები;

1212 ადამიანური რესურსების მენეჯერები;

1213 პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები;

1219 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ბიზნესსერვისებისა და ადმინისტრაციული მენეჯერები.

122 გაყიდვების, მარკეტინგისა და განვითარების მენეჯერები:

1221 გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები;

1222 სარეკლამო და საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერები;
1223 კვლევისა და განვითარების მენეჯერები.

232 ადმინისტრაციული პროფესიონალები:

2421 მენეჯმენტისა და საორგანიზაციო ანალიტიკოსები;
2422 პოლიტიკის ადმინისტრირების პროფესიონალები;
2423 პერსონალისა და კარიერის პროფესიონალები;
2424 ტრენინგებისა და კადრების განვითარების პროფესიონალები.

334 ადმინისტრაციული და სპეციალიზებული სფეროს მდივნები:

3341 ოფისის ზედამხედველები;
3342 იურისტის თანაშემწეები;
3343 ადმინისტრაციული და აღმასრულებელი მდივნები;
3344 მდივნები სამედიცინო საკითხებში.

139. აღნიშნული ცვლილებების მიზანია, ნაწილობრივ გამოასწოროს ISCO-88-ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მთავრობის მომსახურების სფეროში ადმინისტრაციული პროფესიების არაადეკვატური მორგების საკითხთან. მაშინ, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროფესია შეესაბამება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს; ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით ერგება საჯარო სექტორს, განსაკუთრებით კი ჯგუფური ერთეული 1213 – პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები და 2422 – პოლიტიკის ადმინისტრირების პროფესიონალები.

140. მცირე ძალიან კონკრეტული ჯგუფების გარდა, როგორებიც არიან 335 მცირე ჯგუფის პროფესიები – მთავრობის მარეგულირებელი ასოცირებული პროფესიონალები, ISCO-08 არ განასხვავებს ადმინისტრაციულ პროფესიებს საჯარო და კერძო სექტორს შორის. ამგვარად, ISCO-08-ის თითქმის ყველა ჯგუფური ერთეული შეიძლება მოიცავდეს ორივე სექტორის სამსახურებს. იმისათვის, რომ საჯარო სექტორის სამსახურებისათთვის განისაზღვროს ISCO-08-ის შესაბამისი კოდი, მნიშვნელოვანია იქნეს შესრულებული სამუშაოს ხასიათის გათვალისწინება, იმის ნაცვლად, რომ საჯარო სექტორში სამსახურები დაჯგუფდეს დაკავებული რანგისა ან თანამდებობრივი წოდების საფუძველზე.

პროფესიული და ტექნიკური პროფესიებისათვის ქვეჯგუფებისა და მცირე ჯგუფების სტრუქტურები

141. წინა თავებში განხილულმა ცვლილებებმა, კლასიფიკაციის მთელი რიგი სხვა არეალების ფარგლებში დამატებითი დეტალების დამატებასთან ერთიანობაში, გამოიწვია 2 ძირითადი ჯგუფის – პროფესიონალები და 3 ძირითადი ჯგუფის – ტექნიკური სპეციალისტები და ასოცირებული პროფესიონალები – სტრუქტურის მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. აღნიშნული რეორგანიზაცია აგრეთვე, განაპირობა სურვილმა, რომ თავიდან აცილებელი იყო იმ ჯგუფის შენარჩუნება კლასიფიკატორის იერარქიის მეორე და მესამე დონეებზე, რომლებიც განსაკუთრებულად მცირე ზომის იყვნენ თითოეულ მათგანში გაერთიანებული სამსახურების საერთო რაოდენობის თვალსაზრისით. ISCO-88-ისა და ISCO-08-ის ძირითადი ჯგუფების 2 და 3 ქვეჯგუფების სტრუქტურები შედარებულია ცხრილებში 4 და 5.

ცხრილი 4. 2 ძირითადი ჯგუფის – პროფესიონალები – ქვეჯგუფები, ISCO-88 და ISCO-08

ISCO-88. ISCO-88-ის პროფესიის დასახელების კოდი	ISCO-08. ISCO-08-ის პროფესიის დასახელების კოდი
21 ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერების პროფესიონალები; 22 სიცოცხლის შემსწავლელი და ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები; 23 მასწავლებლები; 24 სხვა პროფესიონალები.	21 მეცნიერებისა და საინჟინრო სფეროს პროფესიონალები; 22 ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები; 23 მასწავლებლები; 24 ბიზნესისა და ადმინისტრაციული სფეროს პროფესიონალები; 25 საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების პროფესიონალები; 26 სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროს სპეციალისტები.

ცხრილი 5. 3 ძირითადი ჯგუფის – ტექნიკური და ასოცირებული პროფესიონალები – ქვეჯგუფები, ISCO-88 და ISCO-08

ISCO-88 ISCO-88-ის პროფესიის დასახელების კოდი	ISCO-08 ISCO-08-ის პროფესიის დასახელების კოდი
31 ფიზიკისა და საინჟინრო მეცნიერების ასოცირებული პროფესიონალები; 32 სიცოცხლის შემსწავლელი და ჯანდაცვის სფეროს ასოცირებული პროფესიონალები; 33 ასოცირებული მასწავლებლები; 34 სხვა ასოცირებული პროფესიონალები;	31 მეცნიერებისა და საინჟინრო სფეროს ასოცირებული პროფესიონალები; 32 ჯანდაცვის სფეროს ასოცრიებული პროფესიონალები; 33 ბიზნესისა და ადმინისტრაციული სფეროს ასოცირებული პროფესიონალები;

34 სამართლის, სოციალური და კულტურის
   და მსგავსი სფეროების ასოცირებული
   პროფესიონალები;
35 საინფორმაციო და კომუნიკაციების
   ტექნიკოსები.

3.4 საქმის წარმოების, გაყიდვებისა და მომსახურებების პროფესიები

დაწესებულებების სპეციალისტები

1. 142. ISCO-88-ის 41 ქვეჯგუფი (დაწესებულებების სპეციალისტები) გაიყო სამ ქვეჯგუფად, რათა აისახოს საინფორმაციო და კომუნიკაციების სფეროში განვითარებული ცვლილებების გავლენა სამუშაოს განრიგზე და პროფესიები, რომელთა ფარგლებშიც დიდი რაოდენობით ქალები არიან დასაქმებულები, უფრო საფუძვლიანი დეტალიზება. ჯგუფის 42 – მომხმარებელთა მომსახურების სფეროს სპეციალისტები – ქვეჯგუფი შენარჩუნდა. ამგვარად, ISCO-08-ის ძირითადი ჯგუფი 4 – ოფისის დამხმარე სპეციალისტები მოიცავს ოთხ ქვეჯგუფს:

41 ზოგადი და საბეჭდი მანქანების სპეციალისტები;

42 მომხმარებელთა მომსახურების სფეროს სპეციალისტები;

43 ციფრობრივ და მატერიალურ ინფორმაციაზე მომუშავე სპეციალისტები;

44 ოფისის სხვა დამხმარე სპეციალისტები.

143. სხვა ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ დაწესებულების თანამშრომლების ჯგუფზე, მოიცავს შემდეგს:

- მთელი რიგი სხვა ქვეყნების დასაქმების ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისად დაწესებულების ზოგადი სპეციალისტებისათვის ახალი მცირე ჯგუფის დამატება (411);
- ISCO-88-ის მცირე ჯგუფის 411 – მდივნები და მბეჭდავები – გაყოფა იმისათვის, რომ შექმნილიყო ცალკე მცირე ჯგუფები საბეჭდ მანქანებზე მბეჭდავებისა და ზოგადი მდივნებისათვის;
- ISCO-88-ის ოთხი ჯგუფური ერთეული გაერთიანება ISCO-08-ის მბეჭდავი ოპერატორების ჯგუფურ ერთეულებთან: 4131 – მბეჭდავები და ტექსტების რედქატორები, და 4132 – მონაცემების ელექტრონული აღრიცხვის ოპერატორები;
- ბიბლიოთეკარები მიმღების ოპერატორებისა და ასლების გადამღებებისაგან განცალკევებულად იდენტიფიცირდება;
- პერსონალთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის ახალი ჯგუფური ერთეულის დამატება.

პროფესიები, რომლებიც ითვალისწინებს კლიენტებისათვის ინფორმაციისა და მომსახურების უზრუნველყოფას

144. ISCO-88-ის ქვეჯგუფის 42 – მომხმარებელთა მომსახურების სფეროს სპეციალისტები – ფარგლები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, გარდა ერთი გამონაკლისისა: ISCO-88-ის ჯგუფური ერთეული 4211 – მოლარეები და ბილეთების გამყიდველები გადავიდა ISCO-08-ის ქვეჯგუფში 52 – გაყიდვების სფეროს სპეციალისტები, ვინაიდან მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს ხსენებულ ჯგუფურ ერთეულში შესრულებულ ბევრ სამუშაოსა და გამყიდველ-კონსულტანტების მიერ შესრულებულ სამუშაოს შორის. ჯგუფი აგრეთვე, წარმოდგენილია მცირე ჯგუფად, რათა უფრო ნათლად ასახულიყო დასკვნით სტატისტიკაში.

145. უფრო დეტალური კატეგორიებია მოცემული იმ პროფესიებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ მომხმარებლისათვის ინფორმაციისა და მომსახურებების მიწოდებას, მათ

შორის, ტურიზმთან დაკავშირებული პროფესიები. მცირე ჯგუფი 422 – მომხმარებლის ინფორმირების სფეროს სპეციალისტები (მომხმარებლის ინფორმირების სფეროს სპეციალისტები ISCO-88-ში) – ფარგლებში მოცემული ჯგუფური ერთეულები, შესაბამისად, გაიზარდა 3-დან 8 ერთეულამდე.

422 მომხმარებლის ინფორმირების სფეროს სპეციალისტები:

- 4221 მოგზაურობის კონსულტანტები და სპეციალისტები;
- 4222 საინფორმაციო-საკონტაქტო ცენტრის სპეციალისტები;
- 4223 სატელეფონო კომუტატორის ოპერატორები;
- 4224 სასტუმროს მიმღების ოპერატორები;
- 4225 განაცხადის ფორმებზე მომუშავე სპეციალისტები;
- 4226 მიმღების ოპერატორები (ზოგადი);
- 4227 გამოკითხვისა და ბაზრის კვლების სფეროს ინტერვიუერები;
- 4229 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მომხმარებლის ინფორმირების სფეროს სპეციალისტები.

146. ISCO-88-ის ჯგუფური ერთეული 3414 – მოგზაურობის კონსულტანტები და მისი ორგანიზატორები – გაერთიანდა ჯგუფურ ერთეულში 4221 – ტურისტული სააგენტოს კონსულტანტები და სპეციალისტები, მათ შორის ისინი, ვინც სამოგზაურო და სასტუმროს ჯავშანს აკეთებენ, ბილეთებს გასცემენ, და/ან რჩევებს გასცემენ ადგილობრივი სანახაობებისა და გასაჩერებელი ადგილების (სასტუმრო და სხვა) შესახებ. სპეციალისტები, რომლებიც მგზავრებს აეროპორტში ფრენაზე და სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოსაყენებლად არეგისტრირებენ, აგრეთვე, ერთიანდებიან ჯგუფურ ერთეულში 4221, რადგან აღნიშნული სამსახურები მოითხოვენ იგივე კვალიფიკაციას, რაც ტურისტული სააგენტოების სპეციალისტებს მოეთხოვებათ, მათ შორის, ბილეთების გაცემა, სამოგზაურო განრიგების ცვლილება და ა.შ. რადგანაც მათი ფუნქციები პრაქტიკაში არ განსხვავდება ავიახაზების თანამშრომლებიც ფუნქციებისაგან, რომლებიც ყიდიან და გასცემენ ბილეთებს.

147. ტურ-ოპერატორები, რომლებიც გეგმავენ, აგებენ და ორგანიზებას უკეთებენ ტურისტულ პაკეტებსა და ჯგუფურ ტურებს და რომლებიც დიდი ჯგუფებისათვის აკეთებენ სამოგზაურო და სასტუმროს ჯავშნებს, ერთიანდებიან ISCO-88-ის ჯგუფურ ერთეულში 3414. მათი გაერთიანება არ მომხდარა ISCO-08-ის ჯგუფურ ერთეულში 4221 და ცალსახად ირიცხებიან, როგორც პროფესიები რომლებიც გაერთიანებულები არიან ჯგუფურ ერთეულში 3339: კომერციული მომსახურებების აგენტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას.

გაყიდვების სფეროს სპეციალისტები

148. 52 ქვეჯგუფის ჯგუფური ერთეულების რაოდენობა გაიზარდა 3-დან 13 ერთეულამდე, ხოლო ჯგუფში გაერთიანებული მცირე ჯგუფების სტრუქტურა შეიცვალა. აღნიშნული ზრდა გარკვეულწილად განპირობებულია სასურსათო პროდუქტების გარე გამყიდველების (5212 – სასურსათო პროდუქტებით გარე მოვაჭრეები – ISCO-08) 52 ქვეჯგუფში გადატანით და ძირითადი ჯგუფიდან 9 – პროფესიები – კარდაკარ მოსიარულე და ტელეფონით გამყიდველების ამოღებით, რომელებიც მოითხოვს საწყის კვალიფიკაციას; აგრეთვე, ძირითადი ჯგუფიდან 4 – ოფისის სპეციალისტები – მოლარეებისა და ბილეთების

გამყიდველების ამოღებით. დამატებითი დეტალები აგრეთვე, მოცემულია შემდეგი ჯგუფური ერთეულების ცალკე იდენტიფიცირების საშუალებით:

5221 მაღაზიის მეპატრონეები:

5222 მაღაზიის ზედამხედველები;

5223 მაღაზიის გამყიდველ-კონსულტანტები;

5242 აქციების გაყიდვების წარმომადგენლები;

5243 კარდაკარ მოსიარულე გამყიდველები;

5244 საკონტაქტო ცენტრების გამყიდველები;

5245 მომსახურების პუნქტების პერსონალი;

5246 სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი;

5249 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი გაყიდვების სფეროს სპეციალისტები.

პირადი და სოციალური მომსახურების სპეციალისტები

149. ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებული პროფესიების განხილვისას ზემოთ ნახსენები ინდივიდუალური მომვლელების ცალკე ქვეჯგუფად გამოტანა, როგორც ISCO-88-ის ქვეჯგუფი 51 – ინდივიდუალური და სოციალური მომსახურების სპეციალისტები – შემდგომში ისევ გაიყო, რათა ორი განსხვავებული ქვეჯგუფი ჩამოყალიბებულიყო, ერთი ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტებისთვის, ხოლო მეორე – სოციალური მომსახურების სპეციალისტებისთვის. დამატებითი დეტალები აგრეთვე, მოცემულია მცირე ჯგუფისა და ჯგუფური ერთეულის დონეზე. აღნიშნული გამოწვევები მოცემულია მე-6 ცხრილში, რომელშიც ერთმანეთთანაა შედარებული ISCO-88-ის და ISCO-08-ის 5 ძირითადი ჯგუფის ქვეჯგუფები და მცირე ჯგუფები.

150. ინფორმაციის მოთხოვნა იმ სპეციალისტების შესახებ, რომლებიც კომერციული სარგებლის მიღების საფუძველზე სექსუალური ხასიათის მომსახურებას უზრუნველყოფენ, სხვადასხვა ქვეყნაში განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს იმ ჯგუფების შესახებ მონაცემებზე მოთხოვნა, რომლებიც კანონის ფარგლებში ფუნქციონირებენ და რომელთა საქმიანობაც რეგულირებულია სამთავრობო ორგანოების მიერ. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში არაკანონიერია სექსუალური ხასიათის მომსახურების მიღება და მის სანაცვლოდ ფულის გადახდა. ამასთან, ამ უკანასკნელი კატეგორიის შესახებ ინფორმაციაზე მოთხოვნა შესაძლებელია საერთოდ არც არსებობდეს. ISCO-88-ში მსგავსი ოერსონალი ნაგულისხმევია ჯგუფურ ერთეულში 5149 – სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები. ISCO-88-ში ჯგუფური ერთეულის 5149 – სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები – განმარტებასთან გაკეთებულია ჩანაწერი, რომელიც განმარტავს, რომ ქვეყნებში, რომლებიც სექსმუშაკების შესახებ მონაცემების შეგროვება მოთხოვნადია, ეს ინფორმაცია ჯგუფურ ერთეულში უნდა გაერთიანდეს. იქ, სადაც ამ ჯგუფში გაერთიანებული სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტების ქვეჯგუფის დონეზე ცალკე კატეგორიზაცია მოთხოვნაა, რეკომენდებულია ჯგუფური ერთეულის კოდით 5168 გამოყენება, რათა მოხდეს ISCO-08-ს ეროვნულ დონეზე ადაპტირება, რასაც მოჰყვება ISCO-08-ის კოდის სტრუქტურა.

ცხრილი 6. 5 ძირითადი ჯგუფის ქვეჯგუფები და მცირე ჯგუფები, ISCO-88 და ISCO-08

ISCO-88. ISCO-88-ის პროფესიის დასახელების კოდი	ISCO-08. ISCO-08-ის პროფესიის დასახელების კოდი
5 მომსახურების სფეროს მუშაკები და მაღაზიისა და საბაზრო გაყიდვების სპეციალისტები	
51 ინდივიდუალური და სოციალური მომსახურების სპეციალისტები	51 ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები
511 ბორტგამცილებლები და მსგავსი სფეროს სპეციალისტები	511ბორტ-გამცილებლები, კონდუქტორები და გიდები
512 შინამოსამსახურეები და რესტორნის მომსახურება	512 მზარეულები
513 ინდივიდუალური მოვლის და მონათესავე სფეროს სპეციალისტები	513 მიმტანები და ბარმენები
514 სხვა ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები	514 სტილისტები, სილამაზის სალონისა და მსგავსი ტიპის დაწესებულების სპეციალისტები
515 ასტროლოგები, წინასწარმეტყველები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები	515 შენობისა და დამლაგებლების ზედამხედველები
516 სოციალური მომსახურების სპეციალისტები	516 სხვა ინდივიდუალური მომსახურების სფეროს სპეციალისტები
52 მოდელები, გამყიდველები და გაყიდვების აქციების წარმომადგენლები	52 გაყიდვების სფეროს მუშაკები
521 მოდა და სხვა მოდელები	
522 მაღაზიის გამყიდველები და გაყიდვების აქციების წარმომადგენლები	521 გარე მოვაჭრეები და ბაზრის გამყიდველები 522 მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები
523 ჯიხურისა და ბაზრის გამყიდველები	
	523 მოლარეები და ბილეთების გამყიდველები
	524 გაყიდვის სფეროს სხვა სპეციალისტები
	53 ინდივიდუალური მომვლელები
	531 ბავშვის მომვლელები და დამხმარე მასწავლებლები
	532 ჯანმრთელობის მომსახურების სფეროს იინდივიდუალური მომვლელები
	54 სოციალური მომსახურების სპეციალისტები
	541სოციალური მომსახურების სპეციალისტები

5 მომსახურებისა და გაყიდვების სპეციალისტები

შეფ-მზარეულები, მზარეულები და მათი თანაშემწეები

151. ISCO-88-ის ჯგუფური ერთეული 5122 – მზარეულები – რომელიც მოიცავს პროფესიათა მთელ სპექტრს, რომლებიც ითვალისწინებს კერძების მომზადებას, მათ შორის შეფ-მზარეულებს, მზარეულებს, სწრაფი შეკვეთების მზარეულებს, სწრაფი კვების კერძების მომმზადებლებს, სამზარეულოში დამხმარეებს, მოხვდნენ ISCO-88-ის კატეგორიაში ჯგუფური ერთეული 9131 – შინამოსამსახურეები და დამლაგებლები და 9132 – ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და

დამხმარეები. ISCO-08 ჯგუფური ერთეულის დონეზე ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიებისათვის შეიცავს ორ მცირე ჯგუფს და დამატებით დეტალს. შეფმზარეულები მოხვდნენ ცალკე ჯგუფური ერთეულის ფარგლებში ძირითად ჯგუფში 3 – ტექნიკური და ასოცირებული პროფესიონალები, რომელიც ითვალისწინებს გამოცდილების უფრო მაღალი დონის მოთხოვნას. განმარტებითი შენიშვნები მიუთითებენ შესაბამის ჯგუფებს შორის საზღვრებზე:

343 ხელოვნების, კულტურისა დ კულინარიის სფეროს ასოცირებული პროფესიონალები:

... .

3434 შეფ-მზარეულები.

512 მზარეულები:

5129 მზარეულები.

941 მზარეულის ასისტენტები:

9411 სწრაფი კვების კერძების მომმზადებლები;

9412 სამზარეულოში დამხმარეები.

3.5 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს პროფესიები

152. მთელი რიგი ცვლილებები შევიდა ISCO-08-ში სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს პროფესიებთან მიმართებაში. ძირითადი ცვლილებები შეიძლება ასე შევაჯამოთ:

- ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მოხვდნენ მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროსაგან განცალკევებული ქვეჯგუფის კატეგორიაში;
- პრაქტიკულად ყველა ფერმერი კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 6, მაშინ, როდესაც ISCO-88-ში ზოგიერთი ფერმერი 1 ძირითად ჯგუფის კატეგორიას მიეკუთვნებოდა;
- საარსებო მინიმუმზე მომუშავე სპეციალისტებისათვის მეტი დეტალური კატეგორიებია მოცემული;
- სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროსათვის მეტი დეტალური კატეგორიებია მოცემული.

153. ძირითად ჯგუფში 6 – კვალიფიციური სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს სპეციალისტები, ISCO-08-ში წარმოდგენილია სამი ქვეჯგუფით, ნაცვლად ISCO-88-ში მოცემული ორი ქვეჯგუფისა. ISCO-88-ის ქვეჯგუფი 61 – ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური სოფლის მეურნეობის და თევზჭერის სფეროს სპეციალისტები ორ კატეგორიად გაიყო, რათა კვალიფიციური სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გაერთიანებულიყო კლასიფიკატორის მეორე დონეზე არსებულ კატეგორიაში, რომელიც განცალკევებულია ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური მეტყევეობისა და თევზჭერის სპეციალისტები კატეგორიისგან.

154. სამსახურები, რომლებიც გაერთანებულები არიან ISCO-88-ის ჯგუფურ ერთეულში 1311 – წარმოების მენეჯერები სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობისა და

თევზჭერის სფეროებში – ამჟამად ერთიანდებიან ISCO-08-ის შესაბამის კატეგორიაში, კერძოდ, 62 ქვეჯგუფში – ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, თევზჭერისა და ნადირობის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტები. ამის მიზეზი ის გახლავთ ის, რომ რიგ ქვეყნებში ამ ჯგუფებს შორის დიდი განსხვავება არ იყო. მონაცემების საერთაშორისო მიწოდების პროცესში აღნიშნულმა გამოიწვია უზუსტობები, როგორც ეს ზემოთ, მენეჯერული თანამდებობების განხილვისას აღინიშნა.

155. რაც შეეხება საარსებო მინიმუმზე მომუშავე სპეციალისტებს, აღნიშნულ საკითხზე ფართო დებატები გაიმართა ISCO-08-ის შემუშავებისას. განხილვის საგანი იყო, შენარჩუნებულიყო თუ არა ISCO-88-ის ქვეჯგუფი 62 – საარსებო მინიმუმზე მომუშავე სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სპეციალისტები. ერთის მხრივ, პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საარსებო მინიმუმზე მომუშავესა და ბაზარზე ორიენტირებულ საქმიანობას შორის საზღვარი ძალიან რთული დასადგენია, როგორც კონცეფციური, ისე სტატისტიკის შეგროვების პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან საარსებო მინიმუმზე მომუშავე ფერმერული საქმიანობის უმეტესი ნაწილი ზედმეტი მოსავლის გაყიდვას ითვალისწინებს. რჩებოდა განცდა, რომ საარსებო მინიმუმზე მომუშავე პირებზე ზუსტი მონაცემების შეგროვება მოითხოვდა მოსახლეობის საყოველთაო გამოკითხვებსა და სტატისტიკურ კვლევებში დამატებითი კითხვების ჩასმას. ბევრ ქვეყანაში საარსებო მინიმუმზე მომუშავე პირთა საქმიანობას დასაქმების ბაზრის ძალიან მცირე ნაწილი უკავია, ან საერთოდ არ არსებობს.

156. მეორე მხრივ, ბევრ ქვეყანაში საარსებო მინიმუმზე მომუშავე ფერმერები წარმოადგენენ დასაქმებულთა მნიშვნელოვან ნაწილს და რაოდენობრივად საკმაოდ განსხვავებულად გამოიყურება სხვა ტიპის დასაქმების მოდელებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევდა, რომ საარსებო მინიმუმზე მომუშავეთა საქმიანობა უნდა გაერთიანდეს სხვა საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტებში, როგორიცაა – დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკატორი, ISCO-დან ამ ჯგუფის ამოღება ნიშნავს იმას, რომ ამ ტიპის დასაქმება აღარ იქნება კლასიფიცირებული არცერთ მოქმედ საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტში.

157. შესაბამისად, ჯგუფი შენარჩუნდა, როგორც 63 ქვეჯგუფი – საარსებო მინიმუმზე მომუშავე ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები. ISCO-88-ში მოცემული ცალკეული მცირე ჯგუფები და ჯგუფური ერთეულები ISCO-08-ში ჩაანაცვლა ცალკეულმა მცირე ჯგუფებმა და ჯგუფურმა ერთეულებმა იმ კატეგორიის ასასახად, რომლებსაც მოჰყავთ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ზრდიან საქონელს, შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები და საქონელი და აგრეთვე, საარსებო მინიმუმზე მომუშავე მეთევზეების, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები.

63. საარსებო მინიმუმზე მომუშავე ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები:

631 საარსებო მინიმუმზე მომუშავე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი ფერმერები:

6310 საარსებო მინიმუმზე მომუშავე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი ფერმერები.

632 საარსებო მინიმუმზე მომუშავე მესაქონლე ფერმერები:

6320 საარსებო მინიმუმზე მომუშავე მესაქონლე ფერმერები.

633 საარსებო მინიმუმზე მომუშავე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი და მესაქონლე ფერმერები:

6330 საარსებო მინიმუმზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი და მესაქონლე ფერმერები.

634 საარსებო მინიმუმზე მომუშავე მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები:

6340 საარსებო მინიმუმზე მომუშავე მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები.

158. განმარტებითი მასალა ამ ჯგუფისა და შემდეგი ქვეჯგუფებისთვის: 61, 62 და 92 (სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტები) გამოსწორდა, რათა ნათლად ყოფილიყო განმარტებული, რომ:

ა) სპეციალისტები, რომლებიც ჩართულები არიან სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროების საქმიანობაში, უნდა გაერთიანდნენ 63 ქვეჯგუფში, იმ შემთხვევაში, თუ წარმოების მთავარი მიზანია საქონლის (მეტწილად საკვები პროდუქტის) წარმოება საკუთრივ ფერმერების ოჯახის მიერ მოხმარებისათვის;

ბ) ის პროფესიები, რომლებიც მარტივი ამოცანების ასრულებასა და ნაკლებ განსჯას ან გამოცდილებას მოითხოვს, უნდა გაერთიანდნენ 92 ქვეჯგუფში;

გ) საარსებო მინიმუმზე მომუშავე და ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები უნდა გაერთიანდნენ 63 ქვეჯგუფში.

159. ქვეყნებისა და რეგიონებისათვის, რომლებშიც საარსებო მინიმუმზე მუშაობის პრაქტიკა არ არსებობს, ISCO-08-ის ეროვნული და რეგიონული ვერსიებიდან საერთაშორისო თავსებადობის დაკარგვის გარეშე შესაძლებელია 63 ქვეჯგუფის ამოღება.

160. ამასთან, შეიქმნა უფრო დეტალური კატეგორიები 921 მცირე ჯგუფში – სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს სპეციალისტები. ეს კატეგორიები ასახავენ მცირე ჯგუფების სტრუქტურას, რომლებიც გამოიყენება 61 ქვეჯგუფში – ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და 62 ქვეჯგუფში – ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური მეტყევეობის, თევზჭერისა და ნადირობის სფეროს სპეციალისტები. ამ გზით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მომყვანი, მესაქონლე და შერეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მომყვანი და მესაქონლე ფერმერები ცალკე უნდა დაჯგუფდეს, იმის მიუხედავად, თუ პრაქტიკაში რა ეროვნული კოდი აქვს მინიჭებული ფერმერულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პროფესიებს – კვალიფიციური თუ დამწყები კვალიფიკაციის მქონე, როგორც ეს მოცემულია 6 და 9 ძირითად ჯგუფებში. აგრეთვე, ცალკე ჯგუფური ერთეულია ჩამოყალიბებული მებაღეობისა და სანერგე სფეროს სპეციალისტებისათვის. მონადირეები და მახის დამგებები (ტრაპერები) აღარ არიან გაერთიანებულნი იმავე კატეგორიაში, როგორშიც მეტყევეობის სფეროს სპეციალისტები, იმ მიზეზით, რომ მათი განსხვავება კვალიფიციური მონადირეებისა და ტრაპერებისგან მარტივი არ არის:

92 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები:

921 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები:

9211 სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფერმების დამწყები კვალიფიკაციის მუშები;

9212 ცხოველების ფერმების დამწყები კვალიფიკაციის მუშები;

9213 შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველების ფერმების დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები;

9214 მებაღეობის დამწყები კვალიფიკაციის მუშები;

9215 სატყეო მეურნეობის დამწყები კვალიფიკაციის მუშები;

9216 მეთევზეობისა და წყლის კულტურების დამწყები კვალიფიკაციის მუშები.

161. ISCO-08-ში აგრეთვე, დამატებულია ახალი ჯგუფური ერთეული 9624 – წყლისა და შეშის შემგროვებლები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წყლის შემგროვებელი სასოფლო-სამეურნეო სექტორშია დასაქმებული, აღნიშნული ჯგუფური ერთეული განეკუთვნება 962 მცირე ჯგუფს – სხვა დამწყები კვალიფიკაციის მუშები, რადგან მათი საქმიანობა შეიძლება არ ითვალისწინებდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას. ამ კატეგორიაში გაერთიანებული პროფესიები გავრცელებულია ურბანულ და სასოფლო-სამეურნეო სფეროში.

3.6 ხელობასთან, შეკეთებასთან და სამანქანო დანადგარების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული პროფესიები

ელექტრული და ელექტრონული ხელსაწყო-დანადგარების გაყიდვის სფეროს სპეციალისტები

162. ISCO-08-ისთვის შეიქმნა ახალი 74 ქვეჯგუფი – ელექტრული და ელექტრონული ხელსაწყო-დანადგარების გაყიდვის სფეროს სპეციალისტები. აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს კატეგორიებს, რომლებიც კლასიფიცირებულია ISCO-88-ის 724 მცირე ჯგუფში – ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები და 7137 ჯგუფურ ერთეულში – შენობების ელექტრიკოსები და მონათესავე პროფესიების მუშები. დაემატა ცალკე მცირე ჯგუფი – ელექტრული მოწყობილობების მემონტაჟეები და შემკეთებლები. ჯგუფური ერთეულები ასახავენ კომპიუტერებსა და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიებს შორის მზარდ ურთიერთკავშირს. ამ ჯგუფების მიზანი მაღალი და დაბალი დატვირთვით მომუშავეთა შორის განსხვავების ნათლად ასახვაა.

ხელოსნები

163. ISCO-08-ის 731 მცირე ჯგუფი – ხელოსნები – აერთიანებს იმ პროფესიათა უმეტესობას, რომლებიც მოცემულია ISCO-88-ის 731 მცირე ჯგუფში – ლითონისა და სხვა მსგავსი მასალების პრეციზიული ნაკეთობების დამამზადებლები; 732 – მეთუნეები, მეშუშეები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები და 733 – ხეზე, ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები. იგი აგრეთვე, აერთიანებს ISCO-88-ის ჯგუფურ ერთეულებს: 7424 – კალათის მწვნელები, ჯაგრისების დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები; 7431 – ბოჭკოს დამამზადებლები; 7432 – ფეიქრები, დამრთველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები. ზოგიერთი ჯგუფური

ერთეული მასში გაერთიანებული პროფესიების ფარგლებში დასაქმებულთა მცირე რაოდენობის გამო გადავიდა ახალ მცირე ჯგუფში და იმ მიზეზით, რომ რთულად განსასხვავებელი იყო ისეთი პროფესიები, როგორებიცაა, მაგალითად "ხელოსანი და ჩალით მწვნელი" და "კალათის მწვნელი".

მბეჭდავები

164. მბეჭდავების კატეგორია – საბეჭდი ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ISCO-88-ის 7 და 8 ძირითად ჯგუფებში გაერთიანებული პროფესიები მოძველდა. კერძოდ, ნათელი გახდა, რომ განსხვავება მანქანების ოპერატორებსა და გამყიდველებს შორის მნიშვნელოვანი აღარ იყო. ISCO-08 გამარტივებულ მოწყობას გვთავაზობს, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ სამ ჯგუფურ ერთეულს: მასალის დასაბეჭდად მომზადების ტექნიკოსები, მბეჭდავები, ასოთამწყობები და მკინძავები. აღნიშნული ჯგუფური ერთეულები ქმნიან ერთ 732 მცირე ჯგუფს – მბეჭდავები და მონათესავე სფეროს მუშები. აღნიშნული მცირე ჯგუფი გაერთიანდა ახალ 731 მცირე ჯგუფში – ხელოსნები, რომელიც, თავის მხრივ, ერთიანდება 783 ქვეჯგუფში – ხელოსნები და მბეჭდავები. ორივე კატეგორია ითვალისწინებს ხელით შესასრულებულ სამუშაოს, სპეციალური ხელსაწყო-დანადგარების გამოყენებასა და არტისტულ უნარ-ჩვევებს.

ქარხნებისა და მანქანა-დანადგარების ოპერატორები

165. ქარხნებისა და მანქანა-დანადგარების ოპერატორების ჯგუფების მნიშვნელოვანი რაციონალიზაცია და ორგანიზება მოხდა იმ პრობლემური საკითხების საპასუხოდ, რომელიც შეეხებოდა ISCO-88-ის ამ ნაწილის ზედმეტად დეტალურ და ზოგიერთ ნაწილში მის მოძველებულ ხასიათს. რთული განსასხვავებელი იყო მდგრადი სამრეწველო მანქანა-დანადგარების ოპერატორებისა. ზოგიერთი პროფესია კლასიფიცირებული იყო კვალიფიკაციის უფრო მაღალ დონეზე ტექნოლოგიური განვითარების და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოხდა წარმოების პროცესის ავტომატიზირება, რომელიც ტექნიკოსის მიერ საკონტროლო ოთახიდან ან დისტანციური პულტის საშუალებით კონტროლდება.

166. აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად შეტანილი ცვლილებების ძირითადი მხარეებია:

ა) ISCO-88-ის 81 ქვეჯგუფი – მდგრადი სამრეწველო მანქანა-დანადგარების ოპერატორები და 82 ქვეჯგუფი – მანქანების ოპერატორები და ამწყობები – ეს ჯგუფები ჩაანაცვლა ორმა ქვეჯგუფმა:

81 მდგრადი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები;

82 ამწყობები.

ბ) მდგრადი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებისათვის ISCO-88-ში ზოგიერთი მცირე ჯგუფი მონათესავე სფეროებში პარალელური ჯგუფების არსებობის შემთხვევებში გაერთიანდა;

გ) შეიქმნა ახალი 313 მცირე ჯგუფი – პროცესის კონტროლის ტექნიკოსები, ხოლო რიგი ჯგუფური ერთეულები, ან მათი ნაწილები 81 ქვეჯგუფიდან – მდგრადი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები გადავიდნენ ISCO-88-ის ახალ ჯგუფში. ამ ცვლილებით შესაძლებელი გახდა ამ პროფესიების კვალიფიკაციის უფრო მაღალ დონეზე კლასიფიცირების უზრუნველყოფა;

დ) ამასთან, ISCO-88-ის კატეგორიების ზედმეტად დეტალური რიგი ჯგუფური ერთეულები გაერთიანდა.

167. 8 ძირითადი ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი ჯგუფი გაერთიანდა 7 ძირითადი ჯგუფში შემავალ მონათესავე ჯგუფებთან მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი განსხვავება აღარ არსებობდა ერთი მხრივ, ხელოსნებსა და მონათესავე სფეროს მუშაკებს შორის და მეორე მხრივ, სამრეწველო მანქანა-დანადგარების ოპერატორებს შორის. ანალოგიურ შემთხვევასთან გვქონდა საქმე მბეჭდავების პროფესიებთან, სამთო-მომპოვებელ პროფესიებსა და ზოგიერთ მანქანის ხელსაწყოების ამწყობთა და ოპერატორებთან მიმართებაში.

3.7. დამწყები კვალიფიკაციის პროფესიებისა და არაფორმალურ დასაქმებაში უმეტესწილად წარმოდგენილი პროფესიების გაუმჯობესებული კლასიფიცირება

168. იმ კონკრეტული ჯგუფური ერთეულების განსაზღვრებით, რომლებიც მნიშვნელოვნად ითვლებიან არაფორმალურ სექტორში, ISCO-88-ში გათვალისწინებულ იქნა არაფორმალურ დასაქმებაში უმეტესწილად წარმოდგენილი პროფესიების გაუმჯობესებული კლასიფიცირების საჭიროება. თუმცა, პრობლემატური იყო ის ფაქტი, რომ ამგვარი პროფესიების ასახვა ისევ არაადეკვატურად ხორციელდებოდა. ამ პროფესიებიდან ბევრი მათგანის ფარგლებში დასაქმების სტატისტიკა საერთაშორისო შედარებად მონაცემთა ბაზაში არ იყო შესამჩნევი, ვინაიდან მათი იდენტიფიცირება ხდებოდა ISCO-88-ის დეტალურ დონეებზე. მაგ., ISCO-88 მოიცავდა ორ ჯგუფურ ერთეულს გარე მოვაჭრეებისათვის – პროფესიული ჯგუფი, რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება არაფორმალურ დასაქმებასთან. ეს ორი ჯგუფური ერთეული გაერთიანდა იგივე მცირე ჯგუფში – კარდაკარ მოსიარულე და ტელეფონით გამყიდველებში, რომლებიც ხშირად ფორმალურ დასაქმებასთან ასოცირებულები არიან.

169. ISCO-08-ში ვრცლად აისახა პროფესიები, რომლებიც უმეტესწილად არაფორმალურ დასაქმებაშია წარმოდგენილი. სადაც შესაძლებელია, მსგავსი პროფესიები ერთიანდება მცირე ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში, რათა საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში უფრო მარტივად მოსაძებნი იყოს. მაგ., შეიქმნა 731 მცირე ჯგუფს – ხელოსნები, აგრეთვე, განხოციელდა მთელი რიგი ცვლილებები 9 ძირითადი ჯგუფის – დამწყები კვალიფიკაციის პროფესიები ტრუქტურაში, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

170. მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალური დასაქმების ფარგლებში სამსახურების ნახვა შეიძლება ISCO-ს ძირითად ჯგუფებში, 9 ძირითადი ჯგუფის – დამწყები კვალიფიკაციის პროფესიები – სტრუქტურაზე ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. კერძოდ, 9ძ ირითად ჯგუფში 3-დან 6-მდე გაიზარდა ქვეჯგუფების რაოდენობა, მათ შორის შეიქმნა ახალი 95 ქვეჯგუფი – გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს გაყიდვებისა და მომსახურების დარგის მუშები.[7]

171. ცხრილში 7 მოცემულია ISCO-88-სა და ISCO-08-ის ქვეჯგუფებისა და მცირე ჯგუფების სტრუქტურები 9 ძირითადი ჯგუფისთვის – დამწყები კვალიფიკაციის პროფესიები.

ცხრილი 7. ქვეჯგუფებისა და მცირე ჯგუფების სტრუქტურები 9 ძირითად ჯგუფში – დამწყები კვალიფიკაციის პროფესიები, ISCO-88 და ISCO-08.

ცხრილი 6. მე-5 ძირითადი ჯგუფის ქვეჯგუფები და მცირე ჯგუფები, ISCO-88 და ISCO-08

[7] კვების პროდუქტებით გარე მოვაჭრეები გაერთიანებული არიან ISCO-08-ის ჯგუფურ ერთეულში 5212: სასურსათო პროდუქტებით გარე მოვაჭრეები.

ISCO-88. ISCO-88-ის პროფესიის დასახელების კოდი	ISCO-08. ISCO-08-ის პროფესიის დასახელების კოდი
91 გაყიდვები და მომსახურებები, დამწყები კვალიფიკაციის პროფესიები	91 დამლაგებლები და დამხმარეები
911 გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მუშახელი	911 შინამოსამსახურეები, სასტუმროებისა და ოფისების დამლაგებლები და დამხმარეები
912 ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	912 ავტომობილების, ფანჯრების, სარეცხისა და მსგავსი ტიპის ხელით მრეცხავები
913 შინამოსამსახურეები და მონათესავე სფეროს დამხმარეები, მწმენდავები და მრეცხავები	
914 შენობის მომვლელები, ფანჯრების და მსგავსი ტიპის მრეცხავები	
915 კურიერები, პორტიეები, შვეიცარები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	
916 ნარჩენების შემგროვებლები და მონათესავე სფეროს მუშახელი	
92 სასოფლო-სამეურნეო, თევზჭერისა და მონათესავე ჯგუფის მუშახელი	92 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშახელი
921 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები	921 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები
93 სამთო-მომპოვებელი, მშენებლობის, წარმოებისა და ტრანსპორტის სფეროს მუშახელი	93 სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები
931 სამთო-მომპოვებელი და მშენებლობის სფეროს მუშახელი	931 სამთო-მოპოვებითი და სამშენებლო სფეროების დამწყები კვალიფიკაციის მუშები
932 წარმოების სფეროს მუშახელი	932 დამამუშავებელი მრეწველობის დამწყები კვალიფიკაციის მუშები
933 ტრანსპორტის სფეროს მუშახელი და ტვირთების კურატორები	933 სატრანსპორტო სფეროს დამწყები კვალიფიკაციის მუშები და მტვირთავები
	94 მზარეულების დამხმარეები
	941 მზარეულების დამხმარეები
	95 გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს გაყიდვებისა და მომსახურების დარგის მუშახელი
	951 გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მომსახურების დარგის მუშახელი
	952 გარე მოვაჭრეები(საკვები პროდუქტების გამყიდველების გარდა)
	96 ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი
	961 ნარჩენების გამტანები
	962 სხვა მუშახელი

172. გაიყო ISCO-88-ის 914 მცირე ჯგუფი – შენობის მომვლელები, ფანჯრებისა და მსგავსი ტიპის მრეცხავები. შენობის მომვლელები მოხვდა ISCO-08-ის კატეგორიაში, როგორც ჯგუფური ერთეული 515 მცირე ჯგუფში – შენობისა და სახლის ზედამხედველები. ცალკე ჯგუფური ერთეულები შემუშავდა ISCO-08-ში 912 მცირე ჯგუფი – ხელით მრეცხავები, მპრესავები, მანქანის მრეცხავები, ფანჯრის მწმენდავები და სხვა მსგავსი ტიპის მუშახელისათვის.

173. რაც შეეხება ISCO-88-ს, 915 მცირე ჯგუფის – კურიერები, პორტიეები, შვეიცარები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, პროფესიათა უმეტესობა, რომლებიც კლასიფიცირებულია 9152 ჯგუფურ ერთეულში – შვეიცარები, დარაჯები და მონათესავე პროფესიების მუშაკები – ამჟამად გაერთიანებულია ISCO-08-ის ჯგუფურ 5414 ერთეულში – დაცვის სამსახურის მუშაკები. დარჩენილი ჯგუფური ერთეული ამ მცირე ჯგუფში გაერთიანებულია 962 მცირე ჯგუფში – სხვა დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი.

4. შენიშვნები კონკრეტულ საკითხებსა და საზღვრების პრობლემატიკასთან დაკავშირებით

4.1 შენიშვნების მიზანი

174. მე-4 თავი განიხილავს და განსაზღვრავს ISCO-08-ის სივრცეებს იმ შემთხვევებისათვის, რომლებშიც მონათესავე ჯგუფებს შორის საზღვრების დადგენა ეროვნულ კონტექსტში შესაძლებელია რთული იყოს. იგი განიხილავს საქმეებს, რომლებშიც ISCO-88-სა და ISCO-08-ს შორის პრაქტიკა და საზღვრები შეიცვალა და რჩევებით უზრუნველყოფს მაშინ, როდესაც კონკრეტული სამსახურის ან პროფესიის მიმართ ISCO-08-ის ყველაზე მიზანშეწონილი კოდის განსაზღვრის პროცესი რთულია. ყველა ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ISCO-08-ის ეროვნულ ვერსიებსა და მათი გამოყენების პროცესში თანმიმდევრული ინტერპრეტაციის უზრუნველყოფას.

175. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია პირველყოვლისა ეხება კლასიფიკატორის კატეგორიებს შორის კონცეპტუალური საზღვრების სიტუაციებს, როდესაც ყველა ინფორმაცია მოცემული პროფესიების შესახებ ცნობილია. სტატისტიკური და ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებისას ხშირია, რომ შესრულებული სამუშაოს შესახებ მხოლოდ შეზღუდული ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ზოგიერთი მოცემული ინფორმაცია შეეხება მტკიცებულებას, რომელიც შესაძლებელია, საჭირო გახდეს უფრო რთულ ჯგუფებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირებისას. არსებობს მოლოდინი, რომ ISCO-სა და შესაბამისი ეროვნული კლასიფიკატორების დანერგვის მხარდასაჭერად ინსტრუმენტების შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ, ეს ინფორმაცია გამოიყენონ იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც ხსენებულ რთულ საქმიამონენთან დაკავშირებული ტრადიციული პროფესიების დასახელებების კლასიფიკაციის კოდების სათანადოდ მინიჭებას შეეხება.

176. ISCO-08 შეიქმნა იმ ფორმით, რომ სტატისტიკური მიზნების შესასრულებლად, პასუხები კითხვებზე, რომლებიც შეეხება: ა) პროფესიას ან სამუშაოს დასახელებას და ბ) მუშახელის მიერ შესრულებული ამოცანები ან მოვალეობები საკმარისია ISCO კოდის

მისანიჭებლად.[8] მე-6 თავში წარმოდგენილია ზოგადი მითითებები იმ კითხვების სტრუქტურასა და პროცედურებთან დაკავშირებით, რომელთა ადაპტირებაც შესაძლებელია, აუცილებელი გახდეს შესაბამისი და ზუსტი პროფესიული კოდების მისანიჭებლად, რომელიც დამყარებული იქნება მტკიცებულებაზე, კერძოდ, სტატისტიკურ და ადმინისტრაციულ კონტექსტებში. აღნიშნული საკითხებს უფრო სრულყოფილად ფარავს ISCO-08-ის სახელმძღვანელო დოკუმენტის დანერგვის.

4.2 საზღვრების საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს პროფესიათა მთელ სპექტრზე

ამოცანებისა და მოვალეობების ფართო სპექტრის პროფესიები

177. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიების კლასიფიკაცია განსაზღვრავს პროფესიებსა და პროფესიების ჯგუფებს მათთან დაკავშირებული ყველაზე დამახასიათებელი ამოცანებისა და ვალდებულებების კომბინაციას. პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც, ზოგიერთ სამსახურთან მიმართებაში, შესრულებული ამოცანები და მოვალეობები ზუსტად არ შეესაბამება კლასიფიკატორში მოცემულ ამოცანებსა და ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია შემდეგი წესების შემოღება, ქვემოთ მოცემული რიგითობის მიხედვით, როდესაც ISCO-08-ისა და მისი მსგავსი კლასიფიკატორების დანერგვასთან გვაქვს საქმე:

ა) თუ შესრულებული ამოცანები და მოვალეობები მოითხოვს სხვადასხვა დონის ტრენინგებისა და გამოცდილების შედეგად შეძენილ კვალიფიკაციას, სამსახურები უნდა დაჯგუფდნენ იმ ამოცანებისა და მოვალეობების საფუძველზე, რომლებიც მათგან კვალიფიკაციის ყველაზე მაღალ დონეს მოითხოვს. მაგ., სამსახური, რომელიც მოთხოვს სატვირთო მანქანის მართვას, ატვირთვას და გადმოტვირთვას, ტვირთის ფიზიკურად ადგილზე მიტანას, უნდა გაერთიანდეს ჯგუფურ 8322 ერთეულში – მანქანების, ტაქსისა და სატვირთო მანქანების მძღოლები;

ბ) თუ შესრულებული ამოცანები და მოვალეობები დაკავშირებულია საქონლის წარმოებასა და დისტრიბუციასთან, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მათთან ასოცირებულ ამოცანებსა და მოვალეობებთან შედარებით – ერთი და იგივე საქონლის გაყიდვებსა და წარმოებასთან, მათ ტრანსპორტირებასა და წარმოების პროცესის მართვასთან დაკავშირებული ამოცანები და მოვალეობები. მაგ., აცხობს პურისა და ფუნთუშეულის მცხობელი, რომელიც ამავდროულად ყიდის აღნიშნულ პროდუქტს, გამყიდველად არ უნდა იყოს კლასიფიცირებული, არამედ მცხობელად, რაც ISCO-08-ის კონტექსტში ნიშნავს 7512 ჯგუფურ ერთეულში – მცხობელები, ფუნთუშეულის მზარეულები და ტკბილეულის მწარმოებლები – გაერთიანებას.

[8] თუ არსებობს იმის საჭიროება, რომ 63 ქვეჯგუფში – სასარსებო მინიმუმზე მომუშავე ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები – კლასიფიცირებულ პროფესიები განვასხვავოთ სხვა კვალიფიციური სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროში დასაქმებულ მუშახელისგან, საარსებო მინიმუმზე მუშაობასთან დაკავშირებული ცალკე კითხვის დასმა მიზანშეწონილია.

გ) როდესაც ამოცანები და მოვალეობები სრულდება ერთისა და იმავე კვალიფიკაციისა და წარმოების დონეზე, ასეთი სამსახურები კლასიფიცირდება მთავარი შესრულებული ამოცანების საფუძველზე. მაგ., ცეცხლგამძლე კარის მემონტაჟეს უნდა შეეძლოს კარის, ჩარჩოს და შესაბამისი აპარატის აწყობა და დამონტაჟება, აგრეთვე, ელექტროგაყვანილობის სისტემის დამონტაჟება ისე, რომ ხანძრის განგაშის პირობებში კარი ავტომატურად ჩაიკეტოს. ასეთი სამსახური მოითხოვს როგორც ხუროსა და დურგლის გამოცდილებას, ისე ელექტრიკოსის კვალიფიკაციას, მაგრამ უფრო მეტ დროს მოითხოვს დურგლის საქმე. შესაბამისად, ასეთი სამსახური უნდა გაერთიანდეს 7115 ჯგუფურ ერთეულში – ხუროები და დურგლები – ნაცვლად 7411 ჯგუფური ერთეულისა – შენობისა და მსგავსი ტიპის ელექტრიკოსები.

მოსწავლეები და სტაჟიორები

178. ISCO-08-ში მოსწავლეები და სტაჟიორები კლასიფიცირებულია იმ პროფესიების მიხედვით, რომელსაც ასწავლიან, თუ ისინი მოსწავლედ ან სტაჟიორად დასაქმებულები არიან.[9]

179. ISCO-88-ის შესავალში (იხ., გვ. 11) წერია: „მოსწავლეები და სტაჟიორები კლასიფიცირებული არიან მათ მიერ უკვე შესრულებული ამოცანებისა და მოვალეობების მიხედვით და არა ისე, როგორც ეს ხდება ზოგიერთი პროფესიული კლასიფიკაციის შემთხვევაში – მათი სამომავლო პროფესიის მიხედვით.“ თუმცა, მოსწავლეთა და სტაჟიორთა უმეტესი ნაწილი ასრულებს იმავე ამოცანებს, რასაც სრულად კვალიფიციური თანამშრომელი, მაგრამ ამას ისინი ასრულებენ ზედამხედველობის სხვადასხვა დონეზე. გარდა ამისა, მონაცემთა წყაროების უმეტესი ნაწილი არ უზრუნველყოფს საკმარის დეტალურ ინფორმაციას იმისათვის, რომ შევძლოთ, განვსაზღვროთ ესა თუ ის მოსწავლე/სტაჟიორი ასრულებს თუ არა იმავე ან იმ პროფესიისგან განსხვავებულ სამუშაოს, რომლისთვისაც იგი გადის ტრენინგს/სტაჟირებას.

180. ამგვარად, ISCO-08 თანამშრომლებს აჯგუფებს დამქირავებელთან ფორმალური საგანმანათლებლო სტატუსის მიხედვით, რომელიც კლასიფიკატორში მოცემული პროფესიის ფარგლებში მათ უტარებს ინსტრუქტაჟს. მაგ., მოსწავლე დურგლები და ელექტრიკოსები კლასიფიცირებულები არიან, როგორც დურგლები და ელექტრიკოსები. სამედიცინო და იურიდიული სფეროების სტაჟიორები კლასიფიცრებულები არიან, როგორც ექიმები და იურისტები. როდესაც სტაჟიორები ამავდროულად არიან მონათესავე სფეროში დასაქმებულები, ასეთი სამსახურები იმ სამუშაოს მიხედვით უნდა დაჯგუფდნენ, რომლის შესრულებასაც ეს სამსახური მოითხოვს მაგ., როდესაც სამედიცინო ან სამართლის სტუდენტები დასაქმებულები არიან, როგორც საავადმყოფოს პალატის ექთნები, ექიმის თანაშემწეები ან იურისტის დამხმარეები.

---

[9] როდესაც სტუდენტები დასაქმების ფორმატში არ ასრულებენ სამუშაოს, ისინი კლასიფიცირდებიან დასაქმებული ეკონომიკური საქმიანობის სტატუსის ფარგლებში. მათი საგანმანათლებლო საქმიანობა ჩვეულებრივ პროფესიად არ არის კლასიფიცირებული. ვინაიდან ამგვარი სიტუაცია საკმაოდ ხშირია, ზოგიერთი პროფესიული ჯგუფის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებში, პროფესიული დასახელებების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „სტუდენტი მასწავლებელი“ ან „მოსწავლე ექთანი“ – სტატისტიკის შედგენისას საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის სტატუსოს განსაზღვრა.

181. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკის შემუშავების პროცესში შეგროვებული პასუხები ხშირად არ შეიცავს მოსწავლისა ან სტაჟიორის სტატუსზე ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ჯგუფის იდენტიფიცირებისთვის კონკრეტული კითხვაა დასმული. თუ აუცილებლობას წარმოადგენს მოსწავლისა ან სტაჟიორის სტატუსის მითითება, უფრო ეფექტური შეიძლება იყოს ამ ინფორმაციის ცალკე მოცემულობად ჩათვლა, რომელთანაც ცალკე კითხვაა დაკავშირებული, ნაცვლად იმისა, რომ დასაქმების ეროვნულ კლასიფიკატორში მოცემული მოსწავლე ან სტაჟიორი ჩაითვალოს როგორც ცალკე მდგომი პროფესიის ნაწილი.

4.3 მენეჯერები, ზედამხედველები და ბიზნესის მმართველები

მენეჯერები და ზედამხედველები

182. მენეჯერებსა და ზედამხედველებს შორის განსხვავებამ შეიძლება სირთულეები წარმოშვას. ეს პრობლემა არსებობდა ISCO-88-ში, რომელშიც ზოგიერთი საზედამხედველო პროფესია ზედამხედველობის პროფესიებისაგან განსხვავებით იდენტიფიცირებული იყო. მთავარი განსხვავება ის არის, რომ ზედამხედველები პასუხისმგებლები არიან მხოლოდ სხვა თანამშრომლების საქმიანობის ზედამხედველობაზე, მაშინ, როდესაც პროფესიებს, რომლებიც კლასიფიცირებულნი არიან 1 ძირითად ჯგუფში – მენეჯერები – გააჩნიათ უფრო ფართო პასუხისმგებლობა, რომ უზედამხედველონ მთლიანად ბიზნესისა და ორგანიზაციული ერთეულის საქმიანობას.

183. მენეჯერები და ზედამხედველები ერთნაირად გეგმავენ, ორგანიზებას უწევენ, აკონტროლებენ და მართავენ სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს. გარდა ამისა, მენეჯერებს, როგორც წესი, აკისრიათ შემდეგი გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობა:

ა) ბიზნესისა ან ორგანიზაციული ერთეულის საერთო სტრატეგიული სამუშაო მიმართულების შემუშავება (მაგ.,წარმოებული საქონლის სახეობაზე, რაოდენობასა და ხარისხზე გადაწყვეტილება);

ბ) ბიუჯეტი (რა რაოდენობის თანხა უნდა დაიხარჯოს და რა მიზნით);

გ) თანამშრომლების შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება.

184. აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს ის, რომ მენეჯერებს პასუხისმგებლობა ეკისრებოდეთ ზემოთჩამოთვლილი სამივე მიმართულებით: სტრატეგიული და ოპერატიული მიმართულებების განსაზღვრა, საბიუჯეტო საკითხები და თანამშრომლების შერჩევა-გათავისუფლება. აგრეთვე, შესაძლებელია, განსხვავდებოდეს მათი დამოუკიდებლობის ხარისხიც.

185. ზედამხედველების ფუნქცია შეიძლება იყოს მენეჯერებისათვის რეკომენდაციების მიცემა და ზემოთჩამოთვლილ საკითხებში დახმარება, განსაკურებით თანამშრომელთა შერჩევისა და გათავისუფლების პროცესში, მაგრამ მათ არ აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. ჩვეულებრივ, მათ გააჩნიათ ერთი ან მეტი პროფესიის ფარგლებში მუშაობის გამოცდილება. ისინი ასრულებდნენ ზედამხედველის ფუნქციას და არ უწევენ მეთვალყურეობენ იმ თანამშრომლებს, რომლებიც პროფესიათა ფართო სპექტრის ფარგლებში არიან დასაქმებულები.

186. არ არის აუცილებელი, რომ მენეჯერებმა იცოდნენ, როგორ შეასრულონ მათზე დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული ყველა თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაო, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია, იცოდნენ კიდეც. ხშირია შემთხვევები, როდესაც მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და აკონტროლებენ პროფესიათა ფართო სპექტრში დასაქმებულ თანამშრომლებს.

მენეჯერები და მცირე ბიზნესის მმართველები

187. თვითდასაქმებული პირები, რომლებიც საკუთარ ბიზნესს დამოუკიდებლად ან მცირე რაოდენობის დასაქმებული პირების დახმარებით მართავენ, თავიანთი რეგულარული საქმიანობის ფარგლებში ხშირად ასრულებენ გარკვეული ტიპის მენეჯერულ და ადმინისტრაციულ ამოცანებს. ISCO-08-ში ამგვარი სამსახურები გაერთიანებულია 1 ძირითად ჯგუფში – მენეჯერები. იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულია, რომ შესრულებული სამუშაოს ძირთადი კომპონენტი მართვა, მათ შორის თანამშრომლების ზედამხედველობაცაა. მაგ., ავტოსატრანსპორტო საშუალების მექანიკოსი, რომელიც ფლობს და მართავს თავის მცირე ბიზნესს და ამავდროულად დაქირავებული ჰყავს სხვა მექანიკოსებიც, მდივანი და დამლაგებელი, მაგრამ თავისი დროის უმეტეს ნაწილს უთმობს მანქანების შეკეთებას და/ან სხვა მექანიკოსების სამუშაოს ზედამხედველობას, გაერთიანებულია 7231 ჯგუფურ ერთეულში – ავტომობილების მექანიკოსები და შემკეთებლები.

188. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ISCO-08, ისევე, როგორც მისი წინამორბედი კლასიფიკატორი, არ ითვალისწინებს დასაქმებული პირი ბიზნესის მფლობელია თუ არა, ვინაიდან მუშახელთან დაკავშირებული მსგავსი ინფორმაცია, მაგ., იმის გარკვევა პირი დამქირავებელია თუ დაქირავებული, განსაზღვრავს სამსახურში მის სტატუსს და არა ამ პირის, როგორც თანამშრომლის ამოცანებსა და მოვალეობებს. შესაბამისად, უმჯობესია, რომ სამსახურების ამგვარი მახასიათებლები ცალკე მსაზღვრელად გამოიყოს, რომელიც ისეთი კლასიფიკატორის მიხედვით უნდა დაჯგუფდეს, როგორიცაა – დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკატორი (ICSE-93)[10]. დასაქმების სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია სამსახურებზე ISCO-08 კატეგორიების მინიჭებისას არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. დასაქმებულ პირს, მაგ., ბიზნესის მფლობელს, რომელიც თავისივე ბიზნესის ფარგლებშია დასაქმებული შეიძლება ძალიან მცირე ან საერთოდ არანაირი კავშირი არ ჰქონდეს ამ ბიზნესის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოსთან.

ორგანიზაციის სიდიდე

189. აშკარა დამოკიდებულება არსებობს პირის დამსაქმელი ორგანიზაციის სიდიდესა და ISCO-08-ს მენეჯმენტთან დაკავშირებულ კატეგორიებს შორის. მაგ., პროფესიები, რომლებიც გაერთიანებულები არიან 112 მცირე ჯგუფში – მმართველი და აღმასრულებელი

[10] იხ. აგრეთვე, ILO, 1993. დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICSE-93) მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია ILO-ს ვებ-გვერდზე: https://www.ilo.org/global/statistics-and-databases/statistics-overview-and-topics/status-in-employment/current-guidlines/lang--en/index.htm

დირექტორები – როგორც წესი, უფროსი იმ ორგანიზაციების, რომლებიც საკმარისად დიდია იმისათვის, რომ მათში მენეჯერთა იერარქია არსებობდეს, მენეჯერები არიან. ანალოგიურად, პროფესიათა უმეტესი ნაწილი, რომლებიც გაერთიანებულია 14 ქვეჯგუფში – სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები – არიან შედარებით მცირე ზომის ორგანიზაციების მენეჯერები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მენეჯერთა იერარქიული სტრუქტურა არ გააჩნიათ. მუშახელი, რომელიც დასაქმებულია 12 ქვეჯგუფში – ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები და 13 ქვეჯგუფში – წარმოებისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები – შესაძლებელია, დასაქმებულები იყვნენ მსხვილი იერარქიის ორგანიზაციებსა ან შედარებით მცირე ზომის ორგანიზაციებში, რომლებიც სხვა ორგანიზაციებს სპეციალისტებს ემსახურებიან.

190. მიუხედავად ამ დამოკიდებულებებისა, ინფორმაცია ორგანიზაციის სიდიდისზე, რომელშიც ინდივიდუალური მენეჯერია დასაქმებული, ISCO-08-ის შესაბამისი კოდის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს. ამის მიზეზი ისაა, რომ ISCO-08-ის 1 ძირითადი ჯგუფი ორგანიზებულია ფუნქციური სპეციალიზაციისა და არა ორგანიზაციის სიდიდის მიხედვით.

191. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიების მენეჯერთა უდიდესი ნაწილი პასუხისმგებელია შედარებით მცირე ორგანიზაციის მართვაზე, დიდი სუპერმარკეტებისა და სავაჭრო ცენტრების მენეჯერები მაინც მაღაზიის მენეჯერებად არიან კლასიფიცირებულები. მაღაზიის სხვა მენეჯერებთან ერთად ისინი გაერთიანებულები არიან 1420 ჯგუფურ ერთეულში – საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები. ხოლო 112 მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული აღმასრულებელი დირექტორების მთავარი ფუნქციებია სხვა სპეციალიზებული ფუნქციების მქონე მენეჯერების მთელი სპექტრის საქმიანობის მართვა და დირექტორთა საბჭოს მიმართ ანგარიშვალდებულება. აღნიშნულს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ორგანიზაციის მენეჯმენტისა და მმართველობის მოწყობა და კარგად მიუთითებს არა მხოლოდ ორგანიზაციის ფუნქციების სირთულეზე, არამდე მის სიდიდეზეც.

192. შესაბამისად, 1 ძირითად ჯგუფის სხვადასხვა ქვეჯგუფებში კლასიფიცირებული მენეჯერებისგან განსასხვავებლად, რეკომენდებული არ არის დამსაქმებელი ორგანიზაციის სიდიდის ინფორმაციის გამოყენება. იგი იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენი ადამიანია მასში დასაქმებული, როგორი ბრუნვა აქვს, ან დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით. ანალოგიურად, ორგანიზაციის სიდიდის შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვანძირითად ჯგუფებში გაერთიანებული მცირე ბიზნესის მმართველებისაგან მენეჯერების განსასხვავებლად. სტატისტიკურ და ადმინისტრაციულ მონაცემებში აღნიშნული განსხვავების დაფიქსირებისათვის ყველაზე საიმედო გზაა ორივე პროფესიისა და სამსახურის დასახელებისა და მათზე დაკისრებული ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაა.

4.4. მონათესავე პროფესიები სხვადასხვა კვალიფიკაციების დონეებზე

ზოგადი პრინციპები

193. ISCO-08 და ISCO-88-ში არის შემთხვევები, რომლებშიც უნარების სპეციალიზაციებით მსგავსი პროფესიები კვალიფიკაციის დონეების განსხვავების მიხედვით დაჯგუფებულები არიან სხვადასხვა ძირითად ჯგუფში. ხშირ შემთხვევაში პროფესიებს შორის განსხვავებები

ნათლად და გასაგებად არის მოცემული, თუმცა, ზოგ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება გასამახვილებელია, რომ პროფესიულ ჯგუფებს შორის განსხვავებები ISCO-08-ის კატეგორიებთან მიმართებაში შესაბამის ნაციონალურ კონტექსტში იყოს სათანადოდ განმარტებული. ზოგადად, იმის განსასაზღვრად, თუ ISCO-08 -ში კონკრეტულად კვალიფიკაციის დონის მიხედვით სად უნდა დაჯგუფდეს კონკრეტული პროფესიები, საჭიროა შემდგომი პრინციპების დაცვა:

(ა) გადაწყვეტილებები რეალურად შესრულებული ფუნქციების შესაბამისად უნდა იქნას მიღებული და არა სხვადასხვა ქვეყნაში კვალიფიკაციის რა დონეებია საჭირო ან რამდენად რეგულირებულია ზემოთ აღნიშნული პროფესიონალური კვალიფიკაციები. აქედან გამომდინარე, ის პროფესიები, რომლებიც მსგავს ფუნქციებს მოიცავენ, ყოველთვის ISCO-08-ის ერთ ჯგუფში გჯუფდებიან;

(ბ) პროფესიონალის პირადი და ინდივიდუალური კვალიფიკაციები არ უნდა იყოს გათვალისწინებული;

(გ) სამუშაო პოზიციები დაკავებული მაღალი პირადი კვალიფიკაციისა და დიდი გამოცდილების პროფესიონალებისა და შედარებით ნაკლები გამოცდილების და კვალიფიკაციისგან უნდა კლასიფიცირდეს ერთ ჯგუფში, რადგან მათ მიერ შესრულებული ფუნქციები იგივე რჩება. მაგ.: მთავარი, უფროსი, უმცროსი და მოსწავლე დურგლები კლასიფიცირებულებიი არიან ერთ 7115 ჯგუფურ ერთეულში – ხუროები და დურგლები. დამწყები კვალიფიკაციის სამსახურიდან გამომდინარე უნარების დონე განსაზღვრულია.

194. საზღვრები და განსხვავებები პროფესიონალურ კლასიფიკაციებს შორის 9 ძირითად ჯგუფში – დაწყებითი პროფესიები და უნარების სპეციალიზაციებში მსგავსი პროფესიები – რომლებიც მოცემულნი არიან 6, 7, და 8 ძირითად ჯგუფებში, შესაძლებელია, იწვევდნენ გაუგებრობას შემდგომი პროფესიების სახელწოდებებისას: „ფერმის მუშა“, „მშენებლობის მუშა“, და „ფაბრიკის მუშა“. ზოგადი პრინციპის მიხედვით, პროფესიები, რომლებიც ჩამოთვლილია 9 ძირითად ჯგუფში, ითვალისწინებს მარტივი და რუტინული, ფიზიკური და მექანიკური ამოცანების შესრულებას, რომლებიც მხოლოდ დაწყებით ტრეინინგს და წიგნიერების, მათემატიკის და ინტერ-პერსონალური კომუნიკაციის ზოგად უნარ-ჩვევებს საჭიროებენ. არ საჭიროებს კომპლექსური ტექნოლოგიური მექანიზმების გამოყენებას, თუმცა, სამუშაო იარაღების ოსტატურად გამოყენებას კი.

195. სადაც განსხვავები განსაკუთრებით საყურადღებოა, ISCO-08-ის ჯგუფების განმარტებებთან ქვეტექსტად აღნიშნულია ინსტრუქცია. აგრეთვე, მოცემულია პროფესიების სახელწოდებების მაგალითები. ქვეყნების სპეციფიკური ტერმინოლოგია პროფესიულ კლასიფიკაციებში ზოგადად არ არის ჩამოთვლილი დოკუმენტის სქოლიოში. ასეთ შემთხვევებში ქვეყნებმა თავიანთ ნაციონალურ კონტექსტში თავად უნდა გადაწყვიტონ დასახელებები. ქვემოთ მოცემული მაგალითები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მათ შეიძლება გაამყარონ ზემოთ აღნიშნული არგუმენტი.

საექთნო სფეროს პროფესიონალები, ასოცირებული პროფესიონალები და ინდივიდუალური მომვლელები

196. პროფესიები, რომელთა დასახელებებიც მოიცავენ სიტყვებს „ექთანი“ ან „საექთნო საქმიანობა“ გაერთიანებულია 2221 ჯგუფურ ერთეულში – საექთნო სფეროს

პროფესიონალები და 3221 – საექთნო სფეროს ასოცირებული პროფესიონალები, აგრეთვე, 532 მცირე ჯგუფში – ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მომვლელები.

197. ამ ჯგუფებს შორის საზღვრები მათ მიერ შესრულებული ამოცანების კონტექსტში ჯგუფის დეფინიციითა და მათთან ასოცირებულ შენიშვნებით განისაზღვრება. ჯამში, საექთნო სფეროს პროფესიონალები პასუხისმგებლები არიან პაციენტებზე ზრუნვის დაგეგმვასა და მართვაზე, მუშაობენ დამოუკიდებლად ან ექიმებისა და სხვა ჯანმრთელობის პროფესიონალთა ჯგუფთან ერთად. საექთნო სფეროს ასოცირებული პროფესიონალები ასრულებენ ელემენტარულ საექთნო საქმეს და უვლიან ინდივიდუალურად. ისინი ჩვეულებრივ მუშაობენ სამედიცინო, საექთნო და ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალების ზედამხედველობის ქვეშ ან მათი დახმარებით. ინდივიდუალური მომვლელები უვლიან, ზრუნავენ და გადაადგილებისას და ყოველდღიურ ცხოვრებაში ეხმარებიან, მაგრამ მათი ფუნქციები არ ითვალისწინებს საექთნო საქმეს და ამ მხრივ არ სცდება გამოწერილი წამლების მიღების პროცესში პაციენტის დახმარებასა და ტანსაცმლის გამოცვლაში დახმარებას.

198. პროფესიული დასახელებები, როგორებიცაა: „მედდა“, „რეგისტრირებული ექთანი“, „პასუხისმგებელი მედდა“, „სტაჟიორ-ექთანი“, „დამხმარე ექთანი“, „ექთნის თანაშემწე“, „მეანი“, „ექთნის დამხმარე“ და სხვები – იმის მიხედვით უნდა გადანაწილდნენ ISCO-08-ის შესაბამის ჯგუფურ ერთეულებსა და მცირე ჯგუფებში, თუ შესაბამის ეროვნულ კონტექსტში რა შინაარსით არის ეს ტერმინები დატვირთული. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პროფესიის დასახელება მოცემულია ISCO-08-ის განსაზღვრებებსა და სქოლიოებში, ამგვარი დასახელებების გამოყენების ფარგლები შესაძლებელია ქვეყნებს შორის და დროთა განმავლობაში ქვეყნის შიგნითაც განსხვავდებოდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის ამოცანები, რომლებსაც მოცემულ პროფესიაში ამ დასახელებით დასაქმებული პერსონალი ასრულებს იყოს კომპეტენტური და ეროვნულ კონტექსტში მათ შესრულებაზე შესაბამის სპეციალისტებს ჰქონდეთ უფლებამოსილება, აგრეთვე, შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების ISCO-08-ში მოცემულ ფუნქცია-მოვალეობებთან შედარება, რაც განსასაზღვრავ, კლასიფიკატორის თუ ნაწილში უნდა გაერთიანდეს თითოეული პროფესია. ამ გზით, პროფესიების დასახლებების ეროვნულ ინდექსში ყველა შესაბამისი ტერმინი სათანადოდ იქნება ასახული.

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებათა აღმზრდელები და ბავშვების მომვლელები

199. პროფესიები, რომლებიც დაწყებითი განათლების ასაკამდე ბავშვების მოვლასა და განვითარებას ითვალისწინებენ, ერთიანდება 2342 ჯგუფურ ერთეულში – სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებათა აღმზრდელები და 5311 – ბავშვების მომვლელები ან 5312 – დამხმარე მასწავლებლები.

200. 2342 ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები განსხვავდებიან დანარჩენ ორ ჯგუფურ ერთეულში გაერთიანებული პროფესიებისაგან იმით, რომ ისინი გეგმავენ, ორგანიზებას უწევენ და წარმართავენ განათლებასა და თამაშს, რომლის მიზანი ბავშვის დაწყებითი სკოლის ასაკამდე განვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ მიზანშეწონილი არ არის ინდივიდუალური პირების ფორმალური კვალიფიკაციის განხილვა, უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო და სკოლამდელი საგანმანათლებლო განვითარების სფეროში უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია აუცილებელი მოთხოვნაა.

201. ბავშვის მომვლელების ფუნქცია ბავშვების მოვლა და მათი მეთვალყურეობაა. დამხმარე მასწავლებლები ასრულებენ მთელ რიგს არასაგანმანათლებლო ამოცანებს, რათა ხელი შეუწყონ მასწავლებლებსა და აღმზრდელებს თავიანთი ფუნქციების შესრულებისას. ამ ორ ჯგუფთაგან არცერთი არ გეგმავს და მართავს თამაშსა და საგანმანათლებლო საქმიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება აღნიშნული საქმიანობის შესრულებისას ეხმარებოდნენ.

ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები და ასოცირებული პროფესიონალები

202. შემდეგ ორ ჯგუფურ ერთეულში გაერთიანებულ კატეგორიებს: 2230 – ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები და 3230 – ასოცირებული პროფესიონალები – შორის განსხვავება შესაძლო ბუნდოვანების წყაროა, განსაკურებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც ამ ტიპის პრაქტიკა არ არის ჯანდაცვის სერვისების ძირითადი მიწოდებელი.

203. მთავარი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები თავიანთი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების საშუალებით შეიმუშავებენ და ახორციელებენ ადამიანების დაავადებების მკურნალობის გეგმებს. აღნიშნული ამოცანების კომპეტენტურად შესრულება მოითხოვს თეორიებისა და ცნებების საფუძვლიან ცოდნას, ისევე როგორც გამოცდილებას, რომელიც სათავეს კონკრეტული კულტურების ფარგლებში იღებს. ეს პროფესიები, რომელთა პრაქტიკული გამოყენებაც ნაკლებად საფუძვლიან ცოდნასმ ოითხოვს, რომელიც ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და ტრენინგის შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში, ან მათი წარმომშობი კონკრეტული თემებისა და საზოგადოების ტრადიციებისა და პრაქტიკის გავლენითა შეძენილი გაერთიანებულია 3230 ჯგუფურ ერთეულში – ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის ასოცირებული პროფესიონალები.

204. თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული პროფესიების დასახელებების სრულყოფილი სია მოცემულია ჯგუფური ერთეულების განსაზღვრებებსა და ISCO-08-ის პროფესიების დასახლებების სქოლიოებში, რომლის ხილვაც შესაძლებელია ISCO-ს ვებგვერდზე. ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ კონტექსტში აღნიშნული პროფესიების დასახლებების ინტერპრეტაციას, ვინაიდან მათი პრაქტიკული ფარგლებითა და მათთან დაკავშირებული პროფესიების დასახელებების გამოყენებით ინდივიდების მიერ შესრულებული ამოცანების შინაარსი ქვეყნებს შორის განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში არატრადიციული მედიცინის სფეროში კვალიფიკაციის აღიარება შეიძლება შეიზღუდოს, ან მარეგულირებელმა ჩარჩოებმა არ შეასრულოს გარკვეული ფუნქციები, როგორც ეს სხვა პროფესიულ ჯგუფებთან მიმართებაშია. ორ ჯგუფს შორის განსხვავება ამ პროფესიების ფარგლებში შესრულებული ამოცანების მიხედვით უნდა დადგინდეს ეროვნულ კონტექსტში, ნაცვლად პროფესიონალების კვალიფიკაციისა. მაგ., შესაძლებელია, მიზანშეწონილი იყოს სხვების მიერ დადგენილი გეგმის ფარგლებში მკურნალობის მკურნალობის პროცესის წარმმართველი პრაქტიკოსები კლასიფიცირდება 3230 ჯგუფურ ერთეულში და არა 2230-ში.

საკვების მომზადებასთან დაკავშირებული პროფესიები

205. პროფესიები, რომლებიც ითვალისწინებენ ძირითადად დაუყოვნებლივ მოსახმარებლად საკვების მომზადებას, აწყობასა და პრეზენტაციას, უნდა გაერთიანდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ ჯგუფში:

3434 შეფმზარეულები;
5120 მზარეულები;
9411 სწრაფი კვების მომზადების სპეციალისტები;
9412 სამზარეულოს დამხმარეები.

206. ამ ჯგუფებს შორის საზღვრების დადგენისას შემდეგი საკითხებს უნდა მიექცეს განსაკურებული ყურადღება:

ა) შეფმზარეულები, რომლებიც გაერთიანებულები არიან 3434 ჯგუფურ ერთეულში, გეგმავენ და შეიმუშავებენ რეცეპტებსა და მენიუებს, ქმნიან კერძებსა და ზედამხედველობენ კერძების დაგეგმვას, ორგანიზებას, მომზადებასა და პროცესს;

ბ) მზარეულები, რომლებიც გაერთიანებულები არიან 5120 ჯგუფურ ერთეულში, შეფმზარეულის რეცეპტების მიხედვით და მისი ზედამხედველობის ქვეშ გეგმავენ და ამზადებენ კერძების სახეობების ფართო სპექტრს. როგორც წესი, ისინი არ შეიმუშავებენ მენიუებსა და არ ქმნიან ახალ კერძებს;

გ) სწრაფი კვების მომმზადებლები, რომლებიც გაერთიანებულები არიან 9411 ჯგუფურ ერთეულში, შეკვეთებისათვის ამზადებენ კერძებისა და სასმელების სახეობების შეზღუდულ რაოდენობას, რაც მომზადების მარტივ პროცესს და ინგრედიენტების მცირე რაოდენობას ითვალისწინებს. აქ მთავარი ისაა, რომ ისინი ამზადებენ საკვებსა და სასმელს, რომლის მოსამზადებლადაც საფუძვლიანი მზარეულობის კვალიფიკაცია არ არის საჭირო;

დ) სამზარეულოს დამხმარეები, რომლებიც ერთიანდებიან 9412 ჯგუფურ ერთეულში, ძირითადად მზარეულებს, შეფ-მზარეულებსა და მიმტანებს ეხმარებიან სამზარეულოსა და საკვებით მომსახურების სივრცის სისუფთავის შენარჩუნებაში, აგრეთვე, ზემოთჩამოთვლილ კატეგორიებს ეხმარებიან საკვების მომზადებისას ელემენტარული ამოცანების შესრულებაში.

ე) სამსახურები, რომლებიც აერთიანებენ საკვების მარტივ მომზადებასა და კლიენტებთან მომსახურების მნიშვნელოვან ელემენტებს, უნდა გაერთიანდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ ჯგუფში:

5131 მიმტანები;
5212 საკვები პროდუქტებით გარემოვაჭრეები;
5246 სასურსათო მომსახურების პუნქტების პერსონალი.

ასეთ შემთხვევებში მომხმარებლის მომსახურებისათვის უფრო მაღალი გამოცდილების ხარისხია საჭირო, რომელსაც 4.2 ნაწილში მოცემული პრიორიტეტული „ა“ წესის საფუძველზე უპირატესობა ენიჭება საკვების მომზადების მარტივი ამოცანების შესრულებასთან მიმართებაში;

ვ) შეფმზარეულები და მზარეულები, რომლებიც უფრო რთულ კერძებს ამზადებენ და ამავე დროს პირდაპირ ემსახურებიან მომხმარებლებს, 4.2 ნაწილში მოცემული

პრიორიტეტული „ბ“ წესის საფუძველზე უნდა გაერთიანდნენ შეფმზარეულებისა და მზარეულების კატეგორიაში.

207. მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალურ დონეზე ამ ჯგუფებს შორის საზღვრები შედარებით ნათელია, შესაძლებელია, პრაქტიკაში უფრო რთული იყოს არსებულ შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ეროვნული წესების შესაბამისად კონკრეტული პროფესიების კლასიფიცირება, როგორიცაა: პროფესიის დასახელება და ამოცანების მოკლე აღწერილობა. პროფესიების დასახელებები: „შეფმზარეული“ და „მთავარი მზარეული“ – შეიძლება მოხვდეს კატეგორიებში, რომლებიც მიეკუთვნება 3434 ჯგუფურ ერთეულს – შეფმზარეულები.[11] ტერმინს „მზარეული“ ყოველგვარი კვალიფიკაციისა ან ინფორმაციის გარეშე შეიძლება მიენიჭოს კოდი 5120 – მზარეულები.

208. როდესაც მომზადებული საკვების ტიპი დაზუსტებულია, შესაძლებელია, საჭირო გახდეს მომზადების პროცესის გათვალისწინება და ეროვნულ კონტექსტში იმის გარკვევა, მსგავსი კერძები მარტივი წინასწარ განსაზღვრული პროცესის შესაბამისად მომზადდა თუ არა. მაგ., „ჰამბურგერის მომმზადებელი“ კოდი ჩვეულებრივ მიეკუთვნება 9411 ჯგუფურ ერთეულს – სწრაფი კვების მომზადების სპეციალისტები. ბევრ შემთხვევაში დამქირავებლის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია სასარგებლო იყოს ზუსტი კოდის განსასაზღვრად. მაგ., მიზანშეწონილია ზოგიერთი ცნობილი სწრაფი კვების ქსელებში დასაქმებული „მზარეულების“ კლასიფიცირება, რომლებიც სპეციალიზდებიან სწრაფი კვების კერძების – ჰამბურგერებისა ან შემწვარი ქათმის – მომზადებაზე.

209. მზარეულები, რომელთა სპეციალობა კონკრეტული ეროვნული ან რეგიონალური სამზარეულოსათვის დამახასიათებელი კერძების მომზადებაა და რომლებიც ჩვეულებრივ მრავალფეროვან კერძებს ამზადებენ, უნდა გაერთიანდეს 5120 ჯგუფურ ერთეულში – მზარეულები, მაშინაც კი, თუკი აღნიშნული კერძი მოიხმარება სწრაფი კვების ობიექტში.

შინამოსამსახურეები და დამლაგებლები

210. შინამოსამსახურეებს, რომლებიც გაერთიანებულები არიან 5152 ჯგუფურ ერთეულში, დამლაგებლებსა და დამხმარეებს, რომლებიც გაერთიანებულები არიან ჯგუფურ ერთეულში 9111 – ბევრი საერთო ფუნქცია-მოვალეობები აქვთ. მთავარი განსხვავება ის არის, რომ შინამოსამსახურეები პასუხისმგებლები არიან კერძო მფლობელობაში მყოფი სახლის საქმის ორგანიზებასა და ზედამხედველობაზე, ისევე როგორც ამ ფუნქციების ნაწილობრივ ან სრულად თავად შესრულებაზე. სახლის დამლაგებლები და დამხმარეები, მეორე მხრივ, თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ შინამოსამსახურედ დაქირავებული პირის ან მოცემული ოჯახის წევრის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც ითავსებს საოჯახო-სამეურნეო საქმეების ორგანიზების ფუნქციებს.

4.5 სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობისა და თევზჭერის პროფესიულ ჯგუფებს შორის საზღვრები

[11] ზოგიერთ კონტექსტში „შეფმზარეული“ და „მზარეული“ შეიძლება გამოიყენოს ერთმანეთის ნაცვლად. ასეთ შემხვევებში გათვალისწინებულ უნდა იყოს ეროვნულ მოთხოვნებში ალტერნატიული მიდგომების მორგება.

211. სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის პროფესიების კლასიფიცირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს შორის საზღვრებს:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მენეჯერები, ფერმერები და ფერმის მენეჯერები;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სასაქონლო მეურნეობების შერეულ მწარმოებლებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სასაქონლო მეურნეობების მომყვანებსა და მმართველებს;
- პროფესიები, რომლებიც არიან 63 ქვეჯგუფში – საარსებო მინიმუმზე მომუშავე ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები და იმ 61 და 62 ქვეჯგუფებში – ბაზარზე ორიენტირებულ კლასიფიცირებულ პროფესიებს;
- კვალიფიციური სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშახელი ერთიანდება 6 ძირითად ჯგუფში – მუშები, რომლებიც გაერთიანებულები არიან 9 ძირითად ჯგუფში – დამწყები კვალიფიკაციის პროფესიები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მენეჯერები, ფერმერები და ფერმის მენეჯერები

212. 131 მცირე ჯგუფი – წარმოების მენეჯერები სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროებში – ვრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც მართავს წარმოების პროცესს ფართომასშტაბიანი სოფლის მეურნეობის, მებაღეობის, მეტყევეობის, წყლის კულტურებისა და თევზჭერის სფეროებში. მსგავსი საქმიანობა ითვალისწინებს ვრცელი პლანტაციების, დიდი რანჩოების, კოლექტიური ფერმებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებას. ჩვეულებრივ, ამგვარ საწარმოებს გააჩნიათ მენეჯერთა იერარქია და წარმოების მენეჯერი ანგარიშვალდებულია მმართველ დირექტორთან.

213. „ფერმერები“, მეორე მხრივ, ტრადიციულად ფლობენ და ამუშავებენ საკუთარ ფერმას. ისინი ასრულებენ მთელ რიგ მენეჯერულ ფუნქცია-მოვალეობებს, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასთან ასოცირებულ ამოცანებს. ისინი, იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ფერმაში მუშაობენ, ერთიანდებიან 6 ძირითადი ჯგუფში – კვალიფიციური სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროების მუშახელი,.

214. ამ ორ ჯგუფს შორის კონცეპტუალური საკმაოდ სწორხაზოვანი კონცეპტუალური გასხვავების თვალსაზრისით, შესაძლებელია, პრაქტიკაში რთული იყოს იმის განსაზღვრა, პროფესია სახელწოდებით „ფერმის მენეჯერი“ უნდა გაერთიანდეს თუ არა 1 ან 6 ძირითად ჯგუფში. ამგვარი ტერმინები ფართოდ გამოიყენება სიტუაციებში, რომლებშიც ფერმის საქმეების გასაძღოლად ფერმის მესაკუთრე ქირაობს თანამშრომელს. აღნიშნული თანამშრომელი ეფექტურად ასრულებს იგივე ამოცანებს, რასაც ასრულებს ფერმერი, რომელიც ფლობს და მართავს ფერმას. შესაბამისად, ის უნდა გაერთიანდეს 6 ძირითად ჯგუფში. ასეთ შემთხვევებში განსხვავება ფერმერსა და ფერმის მენეჯერს შორის უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება დასაქმების სტატუსით (ILO, 1993) და არა პროფესიით, რომელიც განსაზღვრულია შესრულებული სამუშაოს ტიპის მიხედვით და ჩვეულებრივ არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ISCO-08-ის კონკრეტული პროფესიების შესახებ ინფორმაციის შესაფერისი კოდის განსაზღვრის პროცესში (იხ., ნაწილი 4.3).

215. შესაძლებელია, იყოს შემთხვევები, რომლებშიც პროფესიის დასახელებები: "ფერმის მენეჯერი" და „რანჩოს მენეჯერი" დაკავშირებულია მენეჯერთა იერარქიის დიდი საწარმოების წარმოების მენეჯმენტთან. როდესაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, შესაძლებელია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეროვნულ დონეზე ორგანიზების აუცილებლობის წინაშე დავდგეთ, აგრეთვე, ეროვნულ კონტექსტში პროფესიების დასახელებების გამოსაყენებლად უნდა შემუშავდეს პროფესიების დასახელებებისათვის კოდების მინიჭების შესაბამისი ეროვნული მიდგომები.

შერეული და სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და საქონელო მეურნეობების მენეჯერები

216. 6130 ჯგუფური ერთეულის – შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და საქონელო მეურნეობების მწარმოებლები – განმარტებასთან ერთად მოცემული შენიშვნების მიხედვით, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მუშები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები უმეტესწილად საქონლის მოშენებას ან სოფლის მეურნეობის კულტურების მოყვანას ითვალისწინებს, აგრეთვე, საქონლის მოვლის ან სოფლის მეურნეობის კულტურების მოყვანის პროცესში გარკვეულ შემთხვევით საქმიანობასაც, არ უნდა გაერთიანდნენ ამ კატეგორიაში. სტატისტიკური ბაზის შემუშავების პროცესში შერეულ და სპეციალისტ მწარმოებლებს შორის ზღვარის გავლება შესაძლებელია, რამაც შესაძლებელია პრობლემა იყოს.

217. გარკვეულ შემთხვევებში საკმარისი იქნება პროფესიის დასახელების მითითება. მაგ., თუ პროფესიის შესახებ კითხვარში მოცემულ კითხვაზე პასუხია, რომ ესა თუ ის პიროვნება არის „ხილისა და ბოსტნეულის მომყვანი" ან „მწყემსი",დამატებითი მტკიცებულებების მოძიება აღარ იქნება საჭირო. ბევრ შემთხვევაში ინფორმაცია შესრულებული ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას. მაგ., „ფერმერი", რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს „ცხვრების მოვლა და მარცვლეულის მოყვანა" ან „სასაქონლო მეურნეობისა და მარცვლეულის ფერმის მართვა" უნდა გაერთიანდეს 6130 ჯგუფურ ერთეულში – შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და საქონელო მეურნეობების მწარმოებლები.

218. თუ ინფორმაცია პროფესიის დასახელებისა და შესრულებული ამოცანის შესახებ არასრულყოფილია, ინფორმაცია დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობის (მრეწველობის), რომელშიც ადამიანია დასაქმებული, შესაძლებელია სასარგებლო იყოს, მაგრამ მის გამოყენებას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მაგ., გონივრული იქნება იმის დაშვება, რომ კვალიფიციური ფერმის მუში, რომელიც სასაქონლო მეურნეობაშია დასაქმებული, უნდა კლასიფიცირდეს 6121 ჯგუფურ ერთეულში – საქონლისა და რძის პროდუქტების მწარმოებლები. მაგრამ შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ინდივიდუალური მუშა შერეულ ფერმებში სპეციალიზებული იყოს საქონლის გაზრდასა ან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაზე. მაგ., შერეულ ფერმებში შესაძლებელია როგორც მწყემსების, ისე ხეების გამსხლავების დაქირავება.

219. ეკონომიკური საქმიანობის სახეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია წერილობითი ინფორმაციის სახით, რომელიც მოცემულია დმსაქმებელი დაწესებულების შესახებ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხების ფორმატში, ან ინფორმაციის სახით, რომელიც კოდირებულია ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორში. განსაკუთრებული

ყურადღებაა საჭირო, როდესაც კოდირებული ინფორმაცია გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დაწესებულების ეკონომიკურ საქმიანობაზე, რათა მიენიჭოს პროფესიული კოდები. სწორედ ამიტომაა, რომ პრეცედენტები, რომლებიც უპირატესი საქმიანობის განსასაზღვრად ვრცელდება, რომელიც თავის მხრივ მიზნად ეკონომიკური სტატისტიკის შემუშავებას ისახავს, შესრულებული სამუშაოს სახეობასთან დაკავშირებით შესაძლებელია, არ შეესაბამებოდეს პროფესიების კლასიფიკატორს, რომელიც კვალიფიკაციის მოთხოვნებით განისაზღვრება. მაგ., ყველა ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სამეწარმეო სტანდარტების კლასიფიკატორის (ISIC Rev.4) მოქმედი ვერსიის მიხედვით, „თუ მოცემულ ერთეულში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და საქონლის წარმოება აჭარბებს მთლიანი სტანდარტული ზღვარის, 66% ან მეტს, კომბინირებული საქმიანობა არ უნდა გაერთიანდეს 0150 კატეგორიაში – შერეული ფერმერული საქმიანობა, მაგრამ უნდა გაერთიანდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სასაქონლო მეურნეობების მართვის კატეგორიაში (UN, 2008, გვ. 72). ფერმერები, რომელთა სპეციალიზაციაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და სასაქონლო მეურნეობებია, შეიძლება დასაქმდნენ შერეულ ფერმებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების და საქონლის გაზრდასთან ასოცირებულია და კლასიფიცირებულია ISIC-ის კატეგორიებში.

220. იმის მიუხედავად, რომ შეუძლებელია მკაცრი წესების დაწესება, რომელიც ყველა სიტუაციასა და ეროვნულ კონტექსტში შეიძლება გავრცელდეს, მნიშვნელოვანია თავიდანვე მკაფიოდ იყოს ხაზგასმული, რომ დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ინფორმაციას პროფესიის დასახელების და მის ფარგლებში შესრულებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ მოცემულ ინფორმაციაზე არ ენიჭება უპირატესობა. მნიშვნელოვანი არგუმენტი ის არის, რომ ამ პროფესიის ფარგლებში ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი კვალიფიკაცია მთავარი ფაქტორია პროფესიის შესაბამისი კოდის განსასაზღვრად. შესაბამისად, თუ საქონლის აღზრდასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები აუცილებელი მოთხოვნაა, მაშინ ასეთი სამსახურები უნდა გაერთიანდეს კატეგორიაში – შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და სასაქონლო მეურნეობები.

საარსებო მინიმუმზე მომუშავე ბაზარზე ორიენტირებული მუშახელი

221. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განსხვავებას, ერთი მხრივ, საარსებო მინიმუმზე მომუშავე ფერმერებსა და მეთევზეებს და ამავე სფეროებში ბაზარზე ორიენტირებულ მეწარმეებს შორის, როგორც ეს 3.5 თავში იყო განხილული, აღნიშული მუშახელი უნდა კლასიფიცირდეს 63 ქვეჯგუფში – საარსებო მინიმუმზე მომუშავე ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები, თუ წარმოების მთავარ მიზანს წარმოადგენს საკვების, თავშესაფრის და სხვა საქონლის წარმოება მოცემული მუშახელის ოჯახის წევრების პირადი მოხმარებისათვის.

222. უმეტესწილად, საარსებო მინიმუმის მიღებაზე გათვლილი საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქტის გაყიდვის მიზანი მინიმალური შემოსავლის ნაღდი ფულით მიღებაა. თუ საქმე არ გვაქვს ნაღდი ფულით მინიმალური შემოსავლის მიღებასა ან ბარტერულ გაცვლასთან, პირადი მოხმარებისთვის წარმოებული ნებისმიერი პროდუქტი დასაქმებად და მსგავსი საქმიანობა საარსებო მინიმუმზე გათვლილ წარმოებად უნდა ჩაითვალოს. ანალოგიურად, თუ ზედმეტი მოსავალი დაფიქსირდა და უფრო მეტი საქონელი

გაიყიდა, ვიდრე მოხმარებული, მაგრამ წარმოების მთავარი მიზანი პირადი მოხმარება იყო, ასეთი სამსახური მაინც უნდა გაერთიანდეს 63 ქვეჯგუფში. პროფესიები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ბაზარზე ორიენტირებულად სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, თევზჭერის ან ნადირობის სფეროში, თუ საქმიანობის ძირითად მიზანს ბაზარზე გასატანად წარმოებაა.

223. ზოგიერთ (მეტწილად სამეწარმეო) ქვეყნებში, საარსებო მინიმუმზე გათვლილი ფერმერული საქმიანობა იშვიათი ან არსებული მოვლენა შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევაში ცალკე კატეგორიის არსებობის აუცილებლობა აღარ დგას და აღარ იქნება საჭირო საარსებო მინიმუმზე ორიენტირებული საქმიანობის ამსახველი ჯგუფის გაერთიანება ISCO-08-ის ეროვნულ ვერსიებში. თუმცა, ბევრ ქვეყანაში საარსებო მინიმუმის მიღებაზე გათვლილი ფერმერული საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო დასაქმების უდიდეს ნაწილია. ასეთ დროს მნიშვნელოვანია სოციალურ, ეკონომიკურ და შრომის ბაზრის პოლიტიკასთან დაკავშირებული ბაზარზე და საარსებო მინიმუმის მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობა განვასხვავოთ.

224. ქვეყნებში, რომლებშიც პროფესიების ცალკე დასახელებები საარსებო მინიმუმზე მომუშავე და ბაზარზე ორიენტირებული მუშახელის გამოსავლენად გამოიყენება, შესაბამისი კოდების მინიჭების პარალელურად უნდა გაერთიანდეს პროფესიების დასახლებების ეროვნულ ინდექსში. როდესაც მსგავს შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, დაბალია ალბათობა, რომ შესრულებული ამოცანების შესახებ ინფორმაცია საკმარისი იყოს იმისათვის, რომ საარსებო მინიმუმზე მომუშავე მუშახელის სათანადოდ კლასიფიცირდეს, რადგან მათი ბევრი ფუნქცია-მოვალეობა ბაზარზე ორიენტირებული მუშახელის ფუნქცია-მოვალეობებს ემთხვევა. თუ საარსებო მინიმუმზე ორიენტირებული ფერმერული საქმიანობა განსაკუთრებულად პრობლემატურ საკითხია, შესაძლებელია კითხვარში შეკითხვის დამატების აუცილებლობა დადგდეს, რომელიც პროფესიის შესახებ დასმული სხვა კითხვებისა (დასახელება და ფუნქცია-მოვალეობანი) ან ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების სტატუსის კონტექსტში იქნება დასმული. როდესაც საოჯახო მეურნეობებისათვის განკუთვნილ კითხვარებსა და მოსახლეობის გამოკითხვებში მსგავსი კითხვების ერთიანდება, მნიშვნელოვანია მათი პასუხების პროფესიების კოდირებისას და რედაქტირებისას გამოყენება.

225. საარსებო მინიმუმის მიღებაზე ორიენტირებულ საქმიანობასთან დაკავშირებული კითხვების ფორმულირებისა და ტესტირების შესახებ წინადადებების ნახვა შესაძლებელია მე-6 თავში.

კვალიფიციური ფერმერი (6 ძირითადი ჯგუფი) და ფერმის მუშები (9ძირითადი ჯგუფი)

226. მუშახელი, რომელიც კლასიფიცირებულია 92 ქვეჯგუფში – სასოფლო-სამეურნეო, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები შეზღუდული სპექტრის მარტივ და რუტინულ ხელით შესასრულებელ ფუნქციებს ასრულებენ, რომელიც შეზღუდულ ტრენინგებსა და გამოცდილებას მოითხოვს. პროფესიები, რომლებიც ერთიანდებიან 6 ძირითად ჯგუფში – კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები ჩვეულებრივ ფუნქცია-მოვალეობათა ფართო სპექტრს ასრულებენ და გამოცდილება და უნარ-ჩვევები მოეთხოვებათ, რომელიც ფართო გამოცდილებისა და/ან ტრენინგის საფუძველზეა შეძენილი. უნდა აღინიშნოს, რომ რუტინული და ხელით შესასრულებელი

სამუშაოები შეიძლება მექანიზებული ხელსაწყო-დანადგარების გამოყენებას ითვალისწინებდეს, რომლის ცოდნისათვის ტრენინგის გავლაა საჭირო.

227. ცალკეულ შემთხვევებში მხოლოდ პროფესიის დასახელებები საკმარისია იმისათვის, რომ კვალიფიციური და დამწყები კვალიფიკაციის ფერმერები განვასხვავოთ. მაგ., პროფესიის დასახელებები, რომლებშიც მთავარი სიტყვებია: „ფერმერი“, „მომყვანი”, „მწყემსი“, „მკრეჭავი“ ან „ცხოველების ბეწვის მკრეჭავი“ – მიუთითებს ფუნქციების ფართო სპექტრის შესასრულებელ პროფესიაზე, ან მაღალი კვალიფიკაციის გამოცდილებაზე, რაც საფუძვლიან ტრენინგსა და გამოცდილებას მოითხოვს და ერთიანდებიან 6 ძირითად ჯგუფში. ანალოგიურად, პროფესიის დასახელებები: „ფერმის მუშა“, „ხილის მკრეფავი“ ან „ლერწმის გამსხლელი“ – მიუთითებს რუტინულ ან განმეორებით ამოცანებზე, რომელიც არასრულ მცირე კვალიფიკაციასა და ინიციატივას მოითხოვს.

228. პროფესიების დასახელებები: „ფერმის მუშა“ ან „ფერმის დამხმარე“ – შესაძლებელია, უფრო ფართო განხილვას მოითხოვდეს, რადგან ისინი ფერმის თანამშრომლები არიან და მათი კლასიფიცირება მათი უშუალო პროფესიისათვის საჭირო კვალიფიკაციის დონის და მოვალეობების მიხედვით არ უნდა იყოს განპირობებული. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიის ეროვნულ კონტექსტში შემუშავება, განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო სფეროს. მაგ., ტერმინი „სასაქონლო მეურნეობაში დამხმარე მუში“ ზოგიერთ ქვეყანაში ნიშნავს თანამშრომელს, რომელიც ზრუნავს საქონელზე, კლასიფიცირებულია 6121 ჯგუფურ ერთეულში – საქონლისა და რძის პროდუქტების მწარმოებლები, მაგრამ „ბოსტანში დამხმარე“ შეიძლება მიანიშნებდეს ხილის მკრეფავსა და რუტინულ ხელით შემსრულებელ მუშახელზე, იმ პირებისაგან განსხვავებით, რომლებიც ხეებს კრეჭენ, ამოწმებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებების მიმართ მდგრადობასა და უზრუნველყოფენ ხილის ხეების ჯანმრთელ ზრდასა და პროდუქტიულობას.

229. გამოსადეგია იმ პროფესიების დასახლებების ერთობლიობა, რომელთა ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ფუნქცია-მოვალეობები და საჭირო კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია არსებობს. მაგ., „რძის პროდუქტების მწარმოებელი ფერმის მუშა“, რომელიც ძროხას წველის, უნდა კლასიფიცირდეს 6121 ჯგუფურ ერთეულში – საქონლისა და რძის პროდუქტების მწარმოებლები. მხოლოდ პროფესია „რძის პროდუქტების მწარმოებელი ფერმის დამხმარე მუშა“, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს საქონლის სისუფთავის შენარჩუნება, უნდა კლასიფიცირდეს 9212 ჯგუფურ ერთეულში – სასაქონლო ფერმის მუშა. კომბინირებული ამოცანების შესრულებისას, მათ შორის ისეთის, რომლებიც კვალიფიკაციის ან ინიციატივის მაღალ დონეს მოითხოვს, მიზანშეწონილია 6 ძირითადი ჯგუფის გამოყენება.

230. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დამწყები კვალიფიკაციის პროფესიები, რომლებიც გავრცელებულია სოფლად ან ფერმებში შეიძლება შგვხვდეს არა სასოფლო-სამეურნეო სექტორში, რომლებიც აუცილებელი არ არის, ითვალისწინებდეს ცხოველებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან პირდაპირ კავშირს. მსგავსი პროფესიები ერთიანდება შესაბამის ჯგუფებში, რომლებიც არ მიეკუთვნება 92 ძირითად ჯგუფს – სოფლის მეურნეობის, მეტყეევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები. მაგ., სარწყავი არხების გამთხრელი მუშები კლასიფიცირებულნი არიან 9312 ჯგუფურ ერთეულში – სამოქალაქო ინჟინერიის სფეროს მუშები, ხოლო წყლის გადამტანები ერთიანდებიან 9624 ჯგუფურ ერთეულში – წყლისა და შეშის შემგროვებლები.

ფერმისა და მეტყევეობის მანქანა-დანადგარების ოპერირება

231. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი კვალიფიციური სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სფეროს მუშა მართავს სპეციალიზებულ მანქანა-დანადგარებს: ტრაქტორსა და მოტორიზებულ სატრანსპორტო საშუალებას – რაც მათ ჩვეულ ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს. სამსახურები, რომლებიც სხვა კვალიფიციურ ფერმერულ საქმიანობასთან ერთად მოითხოვს მანქანა-დანადგარების გამოყენებას, ერთიანდებიან 6 ძირითად ჯგუფში. მუშები, რომელთა ფუნქციები მოსავლის მოყვანაა და მანქანა-დანადგარების გამოყენებაზე სპეციალიზდებიან, მაგრამ ამავდროულად ასრულებენ სხვა ფერმასა ან მეტყევეობასთან დაკავშირებულ გაუთვალისწინებელ ფუნქციებს, მათ მიერ მართული მანქანა-დანადგარების შესაბამისად უნდა გაერთიანდნენ შესაბამის ჯგუფურ ერთეულებში. უმეტეს შემთხვევებში ეს კატეგორიაა 8341 ჯგუფური ერთეული – სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები.

5. ISCO-08-ს მორგება ეროვნულ დონეზე მის გამოსაყენებლად და საერთაშორისო დონეზე შედარებადი მონაცემების წარმოებისთვის

5.1. ეროვნულ დონეზე ISCO-08-ს მორგების მექანიზმები

232. სახელმწიფოს თავისებურებების გათვალისწინებით ეროვნულ დონეზე არსებობს ISCO-08-ს მორგების ან მისი დამკვიდრების სამი ძირითადი გზა:

- ISCO-08-ს პირდაპირ გადატანა ეროვნულ პრაქტიკაში (აღიშნული უმეტეს შემთხვევებში არაა რეკომენდებული);
- ეროვნული კლასიფიკაციების განვითარება ან მათი მორგება ISCO-08-ზე;
- ISCO-08-ს შესაბამისად ISCO-08-ისგან განსხვავებული ეროვნული კლასიფიკაციების დაგეგმვა, რათა შემუშავდეს საერთაშორისო დონეზე შესაფასებლად ვარგისი მონაცემები.

233. მოცემულ თავში განხილულია ISCO-08-ს გამოყენების სამივე ხერხი. უფრო დეტალური განმარტებები მოწოდებული იქნება ISCO-08-ს სახელმძღვანელოში.[12]

234. როგორც პირველ თავში აღინიშნა, ყველაზე იდეალური მდგომარეობ მაშინაა, როდესაც სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ კლასიფიკატორებს ავითარებენ, რომლებიც იმავდროულად შესაბამისობაში არიან საერთაშორისო შეფასების კლასიფიკატორებთან. ეს იმას გულისხმობს, რომ აღნიშნული სამუშაოს შესრულებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ როგორც საერთაშორისო შედარების სტანდარტები, აგრეთვე, კონკრეტულ სამუშაოზე მომუშავე მუშახელის სტრუქტურისა და ეროვნული პოლიტიკის გათვალისწინებით მასში ასახული უნდა იყოს ეროვნულ დონეზე არსებული მოთხოვნები. რამდენადაც აღნიშნული მონაცემები შეიძლება ერთმანეთთან თავსებადი არ იყოს, შესაძლებელია, ეროვნულ პრიორიტეტებსა და საერთაშორისო დონეზე შედარების შესაძლებლობას შორის აუცილებელი გახდეს რთული გადაწყვეტილების მიღება და არჩევანის გაკეთება.

[12] See also Embury et al., 1997

5.2. ISCO-08-ს პირდაპირ გადატანა ეროვნულ პრაქტიკაში

235. როდესაც ქვეყნებს არ აქვთ შესაბამისი რესურსი, შესაძლებლობა ან დრო ეროვნული პროფესიების კლასიფიკატორის განსაავითარებლად, რომელიც მოცემული ქვეყნის რეალობასა და მოთხოვნებს იქნება მორგებული, შესაძლებელია, მათ არ ჰქონდეთ არჩევანი, დროის მცირე ან საშუალო მონაკვეთში გადმოიტანონ თუ არა ISCO-08 მინიმალური ცვლილებებით. აღნიშული მიდგომა ძალიან შორსაა იდეალური მიდგომისგან, რამდენადაც ქვეყნების მიხედვით როგორც ძალიან განსხვავდება ეროვნული შრომის ბაზარი, აგრეთვე, ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნებიც. აგრეთვე, საეჭვოა, რომ პროფესიების სტატისტიკისა და ინფორმაციის მიმართულებით შესაბამისი ცვლილებების გარეშე გადატანილმა ISCO-08-მ დააკმაყოფილოს მთელი რიგი ეროვნული მოთხოვნები.

236. თუმცა, ISCO-08-ს ამ ფორმით მიღება მაინც დიდ მომზადებას საჭიროებს იმ სააგენტოების მიერ, რომელთაც სურთ ISCO-ს გამოყენება პროფესიების შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის. აღნიშნული შეიძლება, აგრეთვე, გულისხმობდეს კონკრეტული ქვეყნის ენაზე ან ენებზე ISCO-08-ს თარგმნას, სადაც ეს საჭიროა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, სად უნდა ჩაისვას ISCO-08-ში კონკრეტული ქვეყნისთვის დამახასიათებელი პროფესიული ჯგუფები.

237. ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, მაგალითისთვის, ძიძობასთან დაკავშირებული პროფესიები რამდენად უნდა შევიდეს 2 ძირითად ჯგუფში – პროფესიონალები; 3 ძირითად ჯგუფში – ტექნიკოსები და ასისტენტები, თუ ზოგიერთი ძიძობასთან დაკავშირებული პროფესია უნდა კლასიფიცირდეს ერთში და ზოგი სხვა – ჯგუფში. საკითხი უნდა გადაწყდეს მოცემულ ქვეყანაში ძიძობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამუშაოს თავისებურებიდან გამომდინარე, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იყოს ISCO-ს ეროვნულ დონეზე დანერგვასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევაც.

238. შესაძლებელია, კონკრეტულ ქვეყანაში არსებობდეს პროფესიები, რომლებიც სხვა ქვეყნებში არაა და არც გამოყოფილად არაა აღნიშნული ISCO-08-ში. ამიტომაც, სახელმწიფოებმა ინფორმაცია უნდა მოაგროვონ ამ პროფესიების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს, აგრეთვე, საჭირო უნარ-ჩვევების შესახებ, რათა დადგინდეს ISCO-08-ს შესაბამისი ჯგუფი, სადაც პროფესიები უნდა ჩაისვას.

239. მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელშიც რესურსებიც შეზღუდულია, არის პროფესიების სახელწოდებების ეროვნული ვერსიის შედგენა, რომელიც ISCO-08-ს კოდირების მიხედვით იქნება (და/ან მისი ეროვნული, ადაპტირებული ვერსიის მიხედვით). მოცემული სავარჯიშოს მიზანია პროფესიების სტანდარტული კლასიფიკაციის მიხედვით ეროვნულ დონეზე გამოყენებული პროფესიათა სახელწოდებების მონაცემების შედგენა. არსებული ISCO-08-ს, როგორც ეროვნულ დონეზე არსებული დანართის საწყის ვერსიად გამოყენება შეიძლება (იხ., 6.4. პუნტქი).

240. ISCO-08-ს დანართი მოიცავს პროფესიების სახელწოდებების გავრცელებულ, საერთო კომბინაციებს, აგრეთვე, შესრულებულ სამუშაოებსა და სხვა ინფორმაციას კვალიფიკაციის შესახებ, რაც ეროვნულ დონეზე ISCO-08-ის გამოყენებისთვის შეიძლება იყოს სასარგებლო. მოცემული ტერმინების ეროვნულ დონეზე გამოყენება მაინც უნდა დაამტკიცონ მათ, ვინც პროფესიათა სახელწოდებებს ეროვნულ დონეზე ავითარებენ. გამოყენებული პროფესიების ეროვნული სახელწოდებები, რომლებიც ნახსენები არაა ISCO-ში, შესაბამისი ISCO კოდის მინიჭებასთან ერთად უნდა დაემატოს მის დანართს.

5.3. ეროვნული კლასიფიკაციების განვითარება ან მათი მორგება ISCO-08-ს

241. ეროვნული კლასიფიკაციების განვითარების ან მათი ISCO-08-სთან მორგების დროს, შესაძლებელია, საჭირო გახდეს 5.2. ნაწილში მოხსენიებულ პროფესიებთან ერთად, დამატებითი კატეგორიების დამატება ან წაშლა იმის მიხედვით, რამდენად საჭიროა მათი დამატება/წაშლა მოცემული ქვეყნის მონაცემების მიხედვით. იგი, აგრეთვე, შეიძლება მოიცავდეს ქვეყნისთვის დამახასიათებელი პროფესიის შესახებ ინფორმაციას ან ქვეყნის მახასიათებლების მიხედვით ადაპტირებულ პროფესიათა ჯგუფზე ინფორმაციას. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭირო იქნება კვლევა, რათა პირველ რიგში დადგინდეს ეროვნულ შრომის ბაზარზე არსებულ პროფესიათა სტრუქტურა, ხოლო შემდგომ, იმ საჭირო პროფესიების შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრისთვის იქნება საჭირო.

242. აღნიშნული ინფორმაციის მოიპოვონ, ერთი მხრივ, ამ პროფესიების მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის შემქმნელებისა და პროფესიების წარმომადგენლებისგან, მეორე მხრივ კი, პროფესიების მიხედვით კლასიფიცირებული მონაცემების ანალიზით. მოცემული ინფორმაცია გამოიყენება ISCO-08-ს კატეგორიები და სტრუქტურა კონკრეტული ქვეყნის თავისებურებებისა და მოთხოვნების ასახვის დასადგინად. შესაძლებელია, კონკრეტულ სფეროში უფრო დეტალური ინფორმაციის მისაწოდებლად საჭირო გახდეს ISCO-08-ს ზოგიერთი კატეგორიის გაყოფა, ან გარკვეული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად დამატებითი უფრო დეტალური იერარქიული დონის შექმნა.

243. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კლასიფიკატორები გამოიყენება ადმინისტრაციულ ან მომხმარებელზე ორიენტირებულ საქმიანობებში, მაგ.: ვაკანსიებთან სამუშაოს მაძიებელთა დაკავშირება, სტატისტიკურ აპლიკაციებში – მაშინ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი სააგენტოების სპეციფიკური და პოტენციურად ერთმანეთთან წინააღმდეგობრივი ოპერაციული ინფორმაციები: დასაქმების ეროვნული სამსახური და სტატისტიკის ეროვნული ოფისი. დასაქმების სერვისები შესაძლებელია, მოითხოვდნენ უფრო დეტალურ და უფრო ხშირად განახლებად ინფორმაციას, ვიდრე სტატისტიკური კვლევებისას. ამიტომაც, კლასიფიკაციების შემმუშავებლები მჭიდროდ იყვნენ დაუკავშირდნენ სხვადასხვა ეროვნულ სააგენტოს, რომლებიც შემდგომ გამოიყენებენ ამ კლასიფიკატორს.

244. იმ სააგენტოების, რომელთაც ოპერაციული მიზნებიდან გამომდინარე და პოლიტიკის ანალიზისთვის მოცემულ პროფესიათა კლასიფიკაციები მონაცემების საწარმოებლად სჭირდებათ, შესაძლებელია ურთიერთთანამშრომლობით, ამ საკითხზე ერთიანი ეროვნული მიდგომა განვითარდეს. შესაძლებელია, ასეთმა თანამშრომლობამ პროფესიებთან დაკავშირებით ერთიანი დებულებების ჩამოყალიბება განაპირობოს, რომელიც დაფუძნებული იქნება სტატისტიკური და ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის განსაზღვრულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე და ყველა შემთხვევაში გამოყენებული იქნება კლასიფიკატორების ერთიანი ჩარჩო. სხვა მხრივ, შესაძლებელია, განსხვავებული კლასიფიკატორებით აგებულ სისტემებს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, შეგროვებულ ინფორმაციას სხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან შერწყმითა თუ შედარებით უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

245. როდესაც დგას ISCO-08-ს ერთეული ან უფრო დიდი ჯგუფების გაერთიანების საკითხი, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ასეთმა ქმედებამ შესაძლებელია,

შეზღუდოს სახელმწიფოთა შესაძლებლობა ISCO-08-ს მონაცემებთან თავიანთი ეროვნული მონაცემების შესაბამისობა. მაგალითისთვის, ეროვნული პროფესიების კლასიფიკატორების კონკრეტული დონე უნდ შეესაბამებოდეს ISCO-ს უფრო მაღალ დონეს.

246. თუ უკვე არსებობს პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორი, რომელიც ISCO-08-სგან განსხვავდება, მაშინ სასურველია აღნიშნული კლასიფიკატორის გადახედვა, რათა ეროვნული მონაცემების საერთაშორისო დონეზე შეფასების შესაძლებლობა გაუმჯობესდეს და განისაზღვროს, შეიძლება თუ არა საერთაშორისო სტანდარტის რომელიმე მახასიათებელი ეროვნული მიზნებისათვის გამოსადეგი იყოს.

5.4. პროფესიათა ეროვნული კლასიფიკაციების დაგეგმვა ISCO-ს მიხედვით

247. გარდა იმ შემთხვევისა, რომლებშიც ISCO-08 ეროვნულ დონეზე პირდაპირ გამოიყენება, სხვა შემთხვევაში აუცილებელია პროფესიების ეროვნული სტატისტიკების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კონვერტაცია, რათა შესაძლებელი გახდეს სტანდარტების ქვეყნებსა და რეგიონებს შორის შედარება. შესაძლებელია, პროფესიების ეროვნული კატეგორიების ISCO-08-ს მიხედვით დაგეგმვით მიღწევა, როგორც ეს 5.5. ნაწილშია აღწერილი – პირდაპირ საერთაშორისო კლასიფიკაციებში კოდირებით.

248. ერთი კლასიფიკაციის მეორეს მიხედვით დაგეგმვა იგივეა, რაც პირველ კლასიფიკაციაში არსებულ პირველ ჯგუფს შეუსაბამო მეორე ჯგუფის კლასიფიკატორი. დაგეგმვის მიზანშეწონილობა და სიზუსტე გაიზრდება იმ ჯგუფების დაკონკრეტებით, რომლებშიც კონვერტირდება. პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორი უნდა დაიგეგმოს ISCO-08-ს ყველაზე შესაძლო დაბალ დონეზე (იხ., Hoffmann, 1994). დაგეგმარება, როგორც წესი, წარმოდგენილია შესაბამისობების დაფაზე, რომელზეც ნათლად ჩანს კატეგორიებსა და კლასიფიკაციებს შორის არსებული კავშირი და თანაფარდობა.

249. დაგეგმარების პროცესში ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი სამი სიტუაცია:

ა) პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორის ჯგუფი ნათლად მიეკუთვნება ISCO-08-ს ერთეულ ჯგუფს. მოცემული არის ყველაზე მარტივი სიტუაცია და უმეტეს შემთხვევაში პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორი კონცეპტუალურად იმეორებს ISCO-08-ს მოდელს;

ბ) პროფესიების ეროვნული მახასიათებელი, თავის ყველაზე მცირე ქვეჯგუფში განსხვავდება ISCO-08-ს ერთეული ჯგუფის შემადგენლობისაგან, თუმცა, განსხვავება არაა ისეთი მნიშვნელოვანი, რომ პროფესიების ეროვნული მახასიათებლის მცირე ჯგუფის ISCO-08-ს უფრო მაღალ ჯგუფში ჩასმა შეფერხდეს. მაგალითისთვის, პროფესიების ეროვნული მახასიათებელი მცირე ფერმას, მეტყევეობისა და მიწის ამოღების დანადგარების ოპერატორებს აერთიანებს ერთ ყველაზე მცირე ქვეჯგუფში, ISCO-08-ს მიხედვით აღნიშნული პროფესიები ორ ცალკე ჯგუფშია დაყოფილი, მაგრამ ორივე კლასიფიკაციის მიხედვით, მოცემული პროფესიები შემდგომი საერთო მახასიათებლის მიხედვით გაერთიანდება;

გ) პროფესიების ეროვნულ კლასიფიკატორსა და ISCO-08-ში სხვადასხვა მეთოდითაა განაწილებული საქმიანობები, რის შედეგადაც არსებული პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორი ISCO-08-ს ჯგუფების მიხედვით არ შეიძლება დაიგეგმოს. მაგალითისთვის, გაერთიანების ყველაზე ელემენტარულ დონეზე პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორის მიერ ერთ ჯგუფში ერთიანდება შინაური

საქონლის ფერმერები და ფერმის მუშები, ეს პროფესიები ISCO-08-ს მიერ სხვადასხვა ერთეულ ჯგუფშია გადანაწილებული, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა მცირე, ქვე- და ძირითად ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

250. იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისოდ ცნობილი პროფესიების სტატისტიკა უნდა მოთავსდეს ISCO-08-ს ქვეჯგუფში, ან უფრო მაღალ დონეზე, შესაძლებელია, წარმოიშვას რამდენიმე მცირე პრობლემა, რაც ზემოთ „ბ“ პუნქტში იყო აღწერილი. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ISCO-08-ს ერთეულ ჯგუფში და არსებული შემთხვევა იდენტურია ზემოთ აღწერილი „ბ“ და „გ“ პუნქტებისა, ქვემოთ მოცემული პრიორიტეტულობის მიხედვით მაშინ უნდა გამოვიყენოთ ISCO-88-თვის თავდაპირველად შემუშავებული წესები:

ა) პროფესიათა ეროვნულ კლასიფიკატორში არსებული პროფესიების მსგავსებასთან დაკავშირებით, რიცხობრივი დომინანტობის წესის მიხედვით, რაც გულისხმობს ეკონომიკური და სხვა სახის სტატისტიკებიდან მიღებული დამატებითი ინფორმაციის, სექტორული ექსპერტების შეფასებებისა და დასკვნის მიხედვით გადაწვეტილების მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიათა ეროვნულ კლასიფიკატორში კლასიფიცირებული პროფესიების 80% მიეკუთვნება ISCO-08-ის ჯგუფს, მაშინ მთლიანი პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორის ჯგუფი უნდა კლასიფიცირდეს ISCO-08-ის ჯგუფში;

ბ) უნარების დონის განსაზღვრის წესის მიხედვით – პროფესიათა ეროვნულ კლასიფიკატორში პროფესიული მზაობა უნდა შემოწმდეს ISCO-08-ის უნარების დონის კონცეფციაზე დატრდნობით. ამის შემდეგ ISCO-08-ში პროფესიები უნდა გადანაწილდეს, მაღალკვალიფიციურ მუშაობის მოთხოვნის საფუძველზე;

გ) პროდუქციის/წარმოების წესი მიხედვით, ISCO-08-ს დასაგეგმარებლად პროფესიათა ეროვნულ კლასიფიკატორებში მოცემულ პროდუქციასთან/წარმოებასთან დაკავშირებული პროფესიები გაყიდვებისა ან მენეჯერულ პროფესიებთან შედარებით პრიორიტეტია.

251. პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორების ISCO-08-სთან შესაბამისობაში მოსაყვანად „ა“, „ბ“ და „გ“ პინქტებში მოცემული წესების გამოყენებას აუცილებლად ექნება უარყოფითი შედეგი და კონვერტაციისას შესაძლებელია სიზუსტის დარღვევაც. აღნიშნულმა კი შეიძლება საერთაშორისო შედარებებისას სერიოზული შეზღუდვები დააწესოს. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია აღნიშნული გზით კონვერტაცია, მაშინ პროფესიების ეროვნული მონაცემების კოდირება უნდა მოხდეს პირდაპირ ISCO-08-ს მიხედვით, როგორც ეს 5.5. ნაწილშია განხილული.

5.5. ISCO-სა და პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისად კოდირება

252. იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს პროფესიათა სტატისტიკების საერთაშორისო შესაფასებლად გამოყენება, აუცილებელია საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით თავდაპირველი მონაცემების კოდირება (Hoffmann, 1994, pp. 208-209). თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კლასიფიკატორების მიხედვით მონაცემები უკვე იყო კოდირებული, მაშინ შესაძლებელია, ახალ კოდირებაზე გასაწევი ხარჯი გაუმართლებელიც იყოს. იმ შემთხვევაში თუ პროფესიები კოდირებულია როგორც ეროვნული, აგრეთვე, ISCO-08-ის მიხედვით, მაშინ შესაძლებელია ორივე კლასიფიკაციის კოდირებების დატოვება.

აღნიშნული კი მონაცემების შეგროვებისას კოდირებისთვის ერთგვაროვანი პროცესის წარმართვის ნაკლები დანახარჯებით ორგვარი კოდირებაა. ერთის ნაცვლად ორგვარად კოდირებამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს უმნიშვნელო დანახარჯები, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი კომპიუტერულად იმართება ან ავტომატური კოდირების სისტემა გამოიყენება, მაშინ დანახარჯები მინიმალური იქნება.

253. ორმაგი კოდირების პროცესის სირთულე დამოკიდებულია იმაზე, თუ ISCO-08-ისგან რამდენად განსხვავდება პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორი. მაგალითისთვის, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორი დაფუძნებულია ISCO-08-ზე და მსგავს კონცეპტუალურ მოდელს იყენებს, მაშინ პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორისა და ISCO-08-ს კოდირება უფრო მარტივი იქნება.

254. იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ კალსიფიკატორს განხვავებული კონცეპტუალური მიდგომა აქვს, მაშინ ორივე კლასიფიკატორისთვის ერთიანი კოდირების შემუშავება რთული იქნება. შესაძლებელია, საჭირო გახდეს დამატებითი ინდექსების შემუშავება, რათა ორივე სისტემის კლასიფიკაციებს შორის განსხვავებების დადგენა იყოს შესაძლებელი. ეროვნული კლასიფიკატორიდან ISCO-08-ში გადაყვანის დროს სწორედ მოცემულ სიტუაციაში შეიძლება იყოს უშედეგო შესაბამისობის ცხრილის გამოყენება. მსგავს შემთხვევებში ორივე კლასიფიკატორისთვის ერთიანი კოდირებების ინდექსების მოსაფიქრებლად ერთადერთი ეფექტური გზა საერთაშორისო შედარებისთვის ვარგისი მონაცემების მისაღებად დამატებითი ძალისხმევის მობილიზებაა.

6. მონაცემების შეგროვება და ISCO-08-ის მიხედვით კოდირება

255. მოცემული თავი ეძღვნება იმ ძირითად საკითხებს, რომელთა მხედველობაში მიღებაც აუცილებელია პროფესიებზე მონაცემების შეგროვებისას. იგი, აგრეთვე, აჯამებს ISCO-08-ის მიხედვით პროფესიების კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხებსაც. მოცემული პროცედურები მოხსენიებული იქნება როგორც კოდირების პროცესი.

256. პროფესიებზე მონაცემების შეგროვებისა და კოდირების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2010 წელს გამოცემულ *სახელმძღვანელოში – **მოსახლეობის აღწერით ეკონომიკური აქტივობის დადგენა.*** სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის დიდი ნაწილი გამოსადეგია სხვა სახის აღწრებისა და საოჯახო საქმიანობის შესახებ არსებული აღწერების შეჯამებისასაც. დამატებითი რეკომენდაციები მოცემული იქნება ISCO-08-ს სტანდარტების *შემუშავების სახელმძღვანელოში.*

6.1. კოდირებისათვის საჭირო ინფორმაცია

257. ისევე როგორც ISCO-08-ს მიხედვით, აგრეთვე, ნებისმიერი ეროვნული კლასიფიკაციის წარმოებისას საჭიროა შემდეგი ინფორმაცია:

- პროფესიის დასახელება
- მოცემული საქმიანობის ფარგლებში შესასრულებელი ძირითადი სამუშაოები

258. შესაძლებელია, სასარგებლო იყოს შემდეგი ინფორმაციაც:

- საწარმოს(ინდუსტრიის) ეკონომიკური საქმიანობის სახე;
- ასევე, საქმიანობის ძირითადი მიზანი – არის თუ არა პროდუქციის წარმოება გამიზნული თვითმოხმარებისათვის.

259. ეკონომიკური აქტივობის (ან მრეწველობის) შესახებ ინფორმაცია, სადაც პირი მუშაობს, აგრეთვე, საწარმოს სახელი, გარკვეულ შემთხვევებში, პროფესიის სახელწოდებასა და შესრულებულ სამუშაოებთან ერთად, შესაძლებელია იყოს დამხმარე. თუმცა, მხოლოდ ცალკეული დმსაქმბელი საწარმოების დასახელება პროფესიათა კოდირების განსაზღვრისას ვერ იქნება სასარგებლო.

260. თუ ფერმერობა ან მეთევზეობა ქვეყანაში საქმიანობის ძირითადი სფეროებია და შესაბამისად, პოლიტიკის მიმართულებასაც განსაზღვრავს, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ინფორმაციის – მუშახელის მიერ მოპოვებული პროდუქცია შრომის ბაზარზე ბარდება თუ ოჯახის მოხმარებისათვის გამოიყენებაიმაზე – მოძიება.

261. ინფორმაცია პირის უნარებისა და კვალიფიკაციის შესახებ არაა საჭირო და მნიშვნელოვანი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ინდივიდებს იმაზე მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, რაც სამუშაოსთვის მოითხოვება, ან პირიქით, შესაძლებელია, მოცემული სამუშაოსთვის მათ საერთოდ არ ჰქონდეთ მიღებული ფორმალური კვალიფიკაცია. ასეთი ინფორმაციის პროფესიის კოდირების დროს გამოყენებამ შესაძლებელია, შეცდომამდე მიგვიყვანოს და პროფესიის შესახებ ინფორმაციისა და კვალიფიკაციის დონეს შორის ალოგიკური ურთიერთმიმართების დადგენა გამოიწვიოს.

6.2. პროფესიების შესახებ შეკითხვების ვარიანტები

262. პროფესიების შესახებ ეროვნულ აღწერებსა და საოჯახო საქმიანობის კვლევებში სამი სახის შეკითხვა გამოიყენება:

— იმ სამსახურების შესახებ, რომელიც ინდივიდს ჰქონია, ერთი ან ორი წინასწარ კოდირებული (გრაფიან-დახურული მონიშვნის) შეკითხვის გამოყენება (არაა რეკომენდებული);

— ინდივიდის სამუშაოებთან დაკავშრებული ინფორმაციის მოსაპოვებლად ერთი ღია კითხვა, რომელიც მოცემულ პროფესიასთან იქნება შერჩეული;

— ორი ან მეტი ღია კითხვა: ძირითადი შეკითხვაა დაკავებულ პოზიციაზე, რომელსაც მოჰყვება შეკითხვა იმ ძირითადი ფუნქციების შესახებ, რომელსაც ინდივიდი სამუშაოზე ასრულებდა.

263. კვლევებისა და ადმინისტრაციული ინფორმაციის მონაცემების შეგროვებისას შესაძლებელია, სამუშაოსა ან მოვალეობების შესახებ აღწერილობა პროფესიის კლასიფიკაციაში პირდაპირ იყოს კოდირებული, როგორც კოდირების ინდექსის, აგრეთვე, კლასიფიკაციის ჯგუფის დეტალური აღწერილობის გამოყენებით. მოცემული წყაროებიდან აღებული ინფორმაციის ტიპი და დეტალები შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს იმ შეგროვებული ინფორმაციისგან, რომელიც ოჯახურ საქმიანობაზე შეგროვდა.

კოდირებამდე დასასმელი შეკითხვები

264. დახურული ტიპის კოდირებამდე დასასმელი შეკითხვები მაინც შეიძლება ზუსტი არ იყოს, რამდენადაც პროფესიათა კლასიფიკაციისთვის მოცემული დასახელებები შეიძლება არ შეესაბამებოდეს იმ რეალურ ტერმინს, რომელიც სამუშაოთა აღსაწერად გამოიყენება. აგრეთვე, იმდენად რამდენადაც მოცემული შეკითხვები ეხება მხოლოდ პროფესიათა კატეგორიების მცირე ჯგუფს, შესაძლებელია, მომხმარებელთა უმეტესობაზე ამ ინფორმაციით დეტალური ინფორმაცია ვერ მივიღოთ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დიდი მოცულობის იქნება თავად კვლევა.

265. დახურული შეკითხვების მნიშვნელოვანი უპირატესობაა ის, რომ პასუხების დამუშავება უფრო ნაკლებ დროში და ნაკლები დანახარჯებითაა შესაძლებელი. ფინანსების ნაკლებობის გამო თუ აღნიშნული სახის შეკითხვების გამოყენება გადაწყდება, მაშინ მაღალი მნიშვნელობის მქონე ჯგუფებისთვის მაინც უნდა იყო შეთავაზებული განსხვავებული, უფრო დაკონკრეტებული პასუხის შესაძლებლობა. კითხვების სიზუსტე შემოწმდება შეკითხვების დატესტვითა და დახვეწით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კლასიფიკაციის ფართო ჯგუფებში ნახსენები კატეგორიათა სახელები, როგორც წესი, მოცემულ შეკითხვებში არა არის მოხსენიებული.

ღია ტიპის შეკითხვები

266. კარგად შედგენილი ღია ტიპის შეკითხვებით შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის შეგროვება, რომელიც სასარგებლო იქნება ოთხნიშნა ISCO-08-ს კოდის მისანიჭებლად. აუცილებელია პასუხებისათვის გამოიყოს შესაბამისი სივრცე, აგრეთვე, შეკითხვა ან შეკითხვები გამიზნული უნდა იყოს როგორც პროფესიის დასახელების, ისე ძირითადი ფუნქციების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. შესაბამისი პასუხებში, განსაკურებით იმ შეკითხვებზე, რომლებსაც თავად რესპონდენტი ავსებს, მოცემული უნდა იყოს სიმართლე.

მონაცემების ტელეფონით ან პირადი ინტერვიუს დროს შეგროვებისას, გარანტირებული ადეკვატური პასუხების მისაღებად აუცილებელია ინტერვიუერების ტრენინგი.

267. ღია კითხვების უარყოფით მხარედ მიჩნეული უნდა იყოს ის, რომ პასუხებს პროფესიის ინდექსით შესაბამისი კოდი უნდა მიენიჭოს. ეს კი საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია, თუმცა, ესაა ერთადერთი გზა, რომლითაც შესაძლებელია, სანდო და ზუსტი სტატისტიკისა და პროფესიებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ინფორმაციის მიღება. აგრეთვე, არსებობს უფრო სწრაფი და ნაკლებ ხარჯიანი მეთოდებიც, თუმცა, ისინი მნიშვნელოვნად განსავითარებელია.

268. კვლევებში ხშირად დასმული შეკითხვებია:

- რა არის მოცემულ სამუშაო ადგილას ძირითადი პროფესია?
- რა სახის სამუშაოს ასრულებს პირი?

269. ამ მიდგომით შესაძლებელია ზოგიერთი ადეკვატური ინფორმაციის მოგროვება, თუმცა არა ყველა რესპონდენტისაგან. ამ ტიპის შეკითხვებზე პასუხი, როგორც წესი, არის „მენეჯერი“, „კონსულტანტი“, „ფერმის მუშა“. მოცემული პასუხები ვერ ჩაისმება ISCO-08-ს ვერც ერთ დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პასუხები დაფიქსირდება, ინტერვიუერები უნდა იყვნენ კარგად დატრენინგებულები, რათა დამატებით აცნობონ რესპონდენტებს, რომ პასუხში მოცემული ინფორმაცია არასაკმარისია.

270. პროფესიის დასახელებისა და გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით ცალ-ცალკე შეკითხვები დასმა უფრო და უფრო მეტად გამოიყენება სტატისტიკური ინფორმაციის შემგროვებელი ოფიცრების მიერ და რეკომენდებულია განსაკურებით ოჯახის საქმიანობის კვლევისა და აღწერის დროს. ორი შეკითხვის დასმა იძლევა ინფორმაციის გარანტიას. ორი სხვადასხვა ტიპის შეკითხვის დასმა რესპონდენტს დაეხმარება სრულად და უფრო დეტალურად უპასუხოს მეორე შეკითხვას, მაგ.:

- სახელწოდება – გაყიდვების მენეჯერი;
- საქმიანობები – ნახმარი მანქანების გაყიდვა;
- სახელწოდება – მომხმარებელთა მომსახურების კონსულტანტი;
- საქმიანობები – ნახმარი მანქანების გაყიდვა.

6.3. ტესტირებისა და შემდგომი განვითარებისათვის შეთავაზებული შეკითხვები

271. შეკითხვები, რომლებიც გამოიყენება სტატისტიკური მონაცემების შესაგროვებლად, ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით კონკრეტული მონაცემების შეგროვების შესაბამისობაში უნდა იყოს პრაქტიკაში გამოყენებული. ტესტირების დროს ყურადღება უნდა მიექცეს გაცემულ პასუხებზე კლასიფიკაციის კოდების მინიჭების შესაძლებლობას (კოდირების ტესტირება), ინფორმაციის შემგროვებელსა და რესპონდენტს შორის ინტერვიუს შემდგომი წარმართვის შესაძლებლობას. კოდირების დატესტვა, აგრეთვე, სასარგებლო მეთოდია კოდირების ინდექსის განსავითარებლად, დასატესტად და დასახვეწად.

272. პროფესიების შესახებ ეროვნულ დონეზე მონაცემების შეგროვებისას მოცემული შეკითხვების გამოყენება რეკომენდებულია.

1. წინა კვირას რა იყო ის ძირითადი საქმიანობა რასაც ასრულებდით სამსახურში?

გთხოვთ სრულად დაასახელეთ რა საქმიანობას ეწევით და იყავით სპეციფიკური. მაგ.:

- ხილის მკრეფავი;
- სამართლებრივი მდივანი;

— რესტორნის მენეჯერი;
— საშუალო სკოლის მასწავლებელი;
— მსხვილი რქოსანი საქონლის ფერმერი;
— რეგისტრირებული ძიძა.

პროფესია: ----------

2. რა იყო მოცემული სამუშაოზე თქვენი მთავარი ამოცანები და მოვალეობები:
გთხოვთ უპასუხეთ დეტალურად. მაგ.:
— ფორთოხლებისა და ატმებს კრეფა და წაღება;
— სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება;
— რესტორნის საქმიანობის მართვა;
— მათემატიკის სწავლება;
— მსხვილი რქოსანი საქონლის ფერმის მართვა;
— ავადმყოფთა მოვლა და მედიკამენტების მიცემის უზრუნველყოფა;

ძირითადი ამოცანები და მოვალეობები: ----------

273. სპეციალური ყურადღება უნდა გამახვილდეს საარსებო მინიმუმზე გათვლილ ფერმერულ საქმიანობასა და თევზჭერაზე. იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები არიან ან დასაქმების უმეტესი წილი მათზე მოდის, მაშინ ზუსტი მონაცემების გასარანტირებლად რეკომენდებულია დამატებითი კითხვების დასმა. შეეთავაზება შემდეგი მიდგომა:

3. პროდუქციას უმეტესწილად გასაყიდად აწარმოებთ თუ ოჯახის მოხმარებისათვის?
- მხოლოდ გასაყიდად;
- უმეტესწილად გასაყიდად, თუმცა, ნაწილობრივ ოჯახში მოსახმარებლად;
- უმეტესწილად ოჯახში მოსახმარებლად, თუმცა, ნაწილობრივ გასაყიდადაც;
- მხოლოდ ოჯახში მოსახმარებლად.

274. მოცემული შეკითხვის დახურულ შეკითხვად დასმაც შეიძლება, რათა ზუსტად დადგინდეს ნაწარმოები პროდუქცია ოჯახის მოხმარებისთვისაა თუ გასაყიდადაა წარმოებული. ზემოთ მოცემული ოთხი პასუხი ამ დახურულ შეკითხვაზე მოითხოვს რესპონდენტისაგან დაკონკრეტებას, წარმოებული პროდუქცია უმეტესწილად ოჯახის მოხმარებისათვის გამოიყენება თუ გასაყიდად. იმ შემთხვევაში, თუ ავირჩევთ მესამე ან მეოთხე პასუხს, მაშინ აღნიშნული საქმიანობის ISCO-08-ს 63 ქვეჯგუფში – საარსებო პროდუქციის მწარმოებელი ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები – ჩასმა იქნება შესაფერისი.

275. იმ შემთხვევაში, თუ არსებითი საქმიანობის შესახებ მონაცემები გროვდება დასაქმების ან ეკონომიკური საქმიანობის სტატუსის განმსაზღვრელი შეკითხვების დასმითაც, მაშინ მოცემული პასუხების პროფესიების კოდირების დროს გამოყენებაც შესაძლებელია, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ჩასწორება და ადაპტაცია, რათა ISCO-08-ს 63 ქვეჯგუფს მოერგონ.

6.4. კვლევის პასუხებთან კლასიფიცირების კოდების მინიჭება (კოდირება)

276. ღია კითხვებზე გაცემული პასუხები პროფესიების კლასიფიკაციაში შესაბამის კატეგორიაში უნდა მოთავსდეს. ეს მარტივი პროცესი არაა, მიუხედავად იმისა, პროფესიების კლასიფიკაცია ხდება ISCO-08-ს მიხედვით თუ არა. პროფესიების კოდირებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის პროფესიის სახელწოდებისა და საქმიანობის, მრეწველობის, აგრეთვე, საწარმოს სახელისა და მისამართის შესახებ პასუხები. ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხი, რომელიც საქმიანობის არსებით შინაარსზე ინფორმაციის მატარებელია, უნდა იყოს გათვალისწინებული.

277. პროფესიების შესახებ ღია კითხვებზე გაცემული პასუხების კოდირებისთვის მნიშნელოვანია სამი დოკუმენტის მომზადება. ესენია:

1) კოდირების ინსტრუქციები, რომლებშიც მოცემულია პროცედურები, რომელსაც უნდა მკოდირებელი უნდა მიჰყვეს;

2) კოდირების ინდექსი;

3) პასუხების კოდირების პროცედურები, რომლებიც აკონკრეტებს პასუხების კლასიფიცირებას, რომელთა კოდირებაც არსებული ინდექსისა და კოდირების სტანდარტული პროცედურის მიხედვით ვერ მოხდება, რომელზეც „1“-ელ პუნქტშია საუბარი.

278. მიღებული პასუხების ISCO-08-ს კოდებთან შესაბამისობის დასადგენად კოდირების ინდექსი არის მთავარი ინსტრუმენტი. იგი შეიძლება ნაბეჭდი პუბლიკაციის, მოცულობითი კრებულის, ელექტრონული ვერსიისა თუ სისტემების სახით არსებობდეს. იგივე ინდექსის გამოყენება შესაძლებელია სახელმძღვანელოების, კომპიუტერულად და ავტომატური კოდირებით მართული ნებისმიერი სახის ოპერაციის შესრულებისას.

279. ინდექსის გამოყენება იმიტომაა აუცილებელი, რომ კლასიფიკაციის კატეგორიების ფორმალური სახელები (მაგ., განათლების მენეჯერი) არაა იგივე, რაც სასაუბრო ენის დროს საქმიანობის აღწერისას გამოყენებული ტერმინოლოგია (მაგ.: კლასის დამრიგებელი, სკოლის დირექტორი, უნივერსიტეტის დეკანი, მასწავლებელი).

280. ინდექსები, როგორც წესი, მოიცავენ ერთი ან რამდენიმე კლასიფიცირების სისტემის კოდს, ისევე როგორც კვლევებიდან მითითებული პასუხების საფუძველზე ერთ ან მეტ სიტყვას. სხვადასხვა ფუნქციები, როგორებიცაა: სიტყვის გამოყოფა, ხაზგასმა ან დახრა – გამოიყენება იმისთვის, თუ რასთან დაკავშირებითაა მოხმობილი კონკრეტული სიტყვა: პროფესიის სახელთან, შესრულებულ სამუშაოებთან თუ სხვა დამატებით ინფორმაციას იძლევა, მაგ., მრეწველობაზე. ინდექსები იძებნება ანბანური წესით, თუმცა, განახლებისა და დამატებითი ინფორმაციის დამატებისთვის კოდის რიგითობის მიხედვითაც შესაძლებელია მისი დალაგება.

281. ეროვნული ინდექსებისა თუ რამე სხვა სახის წყაროს არარსებობის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ეროვნული ინდექსის დასრულებულობის შეფასება, გამოიყენება ISCO-08-ს ინდექსი პროფესიათა სახელწოდებების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია როგორც ISCO-08, მეორე გამოცემა. ეროვნული ინდექსის შედგენისას აუცილებელია მასში მოცემული ქვეყნის პროფესიათა შესახებ კვლევის ჩატარების დროს გამოყენებული ტერმინოლოგიის ასახვა.

282. ISCO-08-ს ინდექსი პროფესიათა სახელწოდებების შესახებ ელექტრონული ფორმით მოიპოვება ISCO-ს ვებგვერდზე: http://www.ilo.org./public/english/bureau/stat/isco/index.htm, ან მისი მიღება შესაძლებელია ელექტრონულ ფოსტაზე – ISCO@ilo.org მოთხოვნის გაგზავნით.

მისი გამოყენებით მსოფლიოს შრომის ორგანიზაციის საავტორო უფლებების დარღვევის გარეშე შესაძლებელია ეროვნული კოდირების ინდექსის განვითარება.

283. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი კოდირებული იყო მხოლოდ პროფესიათა კონკრეტული დონის მიხედვით, რომელიც კლასიფიკაციის სტრუქტურაში გვხვდება (მაგ., ISCO-ს სამნომრიანი დონით). ამის მთავარი არგუმენტი იყო კატეგორიათა სხვა დონეების კოდირებისას შეცდომების დაშვების გამოსარიცხად უფრო დიდი ადამიანური და ფინანსური რესურსის საჭიროება. აგრეთვე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კვლევის პასუხებიდან გამომდინარე შესაძლებელია უფრო დეტალური კატეგორიების კოდირება ვერ მოხერხდეს, ისევე როგორც შედეგები არ იყოს გამოსაქვეყნებლად ვარგისი.

284. ბევრი სტატისტიკური სააგენტოს გამოცდილებამ აჩვენა, რომ ISCO-ს კატეგორიების კოდირების ზღვრული ღირებულება დაბალია. შეცდომების რიცხვი არც ისე დიდია და მათი რაოდენობა ქვეჯგუფებში უფრო და უფრო იკლებს. დეტალურ კოდირებაში ბევრი პასუხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ზოგიერთი კი არა. კლასიფიკაციის დონის თვითნებურად დაკონკრეტებამ კოდირებისას შესაძლებელია საჭირო ინფორმაციის დაკარგვა გამოიწვიოს. კლასიფიკაციისას შეირჩევა რა შესაბამისი დონეები, მნიშვნელოვანია პროფესიათა კლასიფიკაციის აღინიშვნა, მათ შორის ISCO-08-ში, როგორც წესი, არაა დალაგებული ისე, რომ ყოველ კონკრეტულ იერარქიულ დონეზე კატეგორიები ერთი მოცემულობის იყვნენ – ზოგიერთი ჯგუფი კლასიფიკაციის უფრო დაბალ, დეტალურ დონეზე შეიძლება უფრო მოცულობითი იყოს, ვიდრე სხვა უფრო მაღალი დონის ჯგუფი. რაც უფრო მაღალ დონეზე კოდირდება, პარამეტრები უფრო შეზღუდულია, მათ შორის საერთაშორისო ანგარიშგებიდან გამოდინარეც და შესაძლებელია, უფრო მოქნილი, თუმცა არასტანდარტული ინფორმაციის შეზღუდვა.

6.5. ბუნდოვანი და არაადეკვატური პასუხების კოდირება

285. მიუხედავად იმისა, კლასიფიკაციის რომელ დონეზე ვსაუბრობთ, ზოგიერთი პასუხი შეიძლება ძალიან ბუნდოვანი იყოს და კოდირების განმახორციელებელი ვერ ახერხებდეს მის რომელიმე საქმიანობის კატეგორიაში მოთავსებას. აღნიშნული პასუხები კლასიფიკაციის კონკრეტულ ჯგუფში უნდა ჩაისვას კითხვარში მოცემული ინფორმაციის დახმარებით. მათი ჩასმა არ შეიძლება ისეთ დეტალურ კატეგორიებში, რომლებშიც მხოლოდ ის საქმიანობების კლასიფიცირდება, რომელთა განხორციელებაზეც ზუსტი პასუხები არსებობს. განსაკუთრებით მნიშვნელვანია ის, რომ ბუნდოვანი პასუხები არ უნდა ჩაისვას იმ ჯგუფებში, რომლებშიც ის პროფესიები კლასიფიცირდება, რომლებიც არც ერთ სხვა კატეგორიაში არ შედიან.

286. მოცემულ ბუნდოვან შეკითხვებთან დაკავშირებით ხშირად გავრცელებული ბუნდოვანი პასუხებისთვის საუკეთესო გამოსავალი არის კოდირების ინდექსში დამატებითი განყოფილების დამატება. ბუნდოვან პასუხებს მიენიჭებათ შესაბამისი უფრო მაღალი კატეგორიის კოდი და შემდეგ დაემატებათ ნულით გამოყოფილი. გარდა ამისა, ასეთი კოდირება შესაძლებელია სპეციალურად დატრენინგებული პერსონალის ან ზედამხედველების მიერ, როგორც კითხვარების დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნაწილი. მაგ., თუ ერთადერთი ინფორმაცია რაც გვაქვს, არის ის, რომ პირი არის მენეჯერი, მაშინ პასუხს უნდა მიენიჭოს პირველი ძირითადი ჯგუფის კოდი – მენეჯერი,

რასაც უნდა მოჰყვეს სამი ნული: „1000 – მენეჯერები, რომლებიც შემდგომ არ არიან განსაზღვრულები“.

287. იგივენაირი მიდგომა გავრცელდება იმ ინფორმაციაზეც, რომელიც ქვეჯგუფში კოდირდება, მაგ., თუ ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც ვიცით, არის პროფესიის სახელწოდება – „მასწავლებელი“, იგი შესაძლებელია, კოდირებული იყოს შემდეგ 23 ქვეჯგუფში – მასწავლებლები. ამ პასუხს შეიძლება მიენიჭოს შესაბამისი კოდი და ხელოვნურად შექმნილ ერთეულ ჯგუფში გაერთიანდეს (2300 – მასწავლებლები, რომლებიც შემდეგ არ არიან განსაზღვრულები) და დაემატოს ორი გამოყოფილი ნული.

288. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის კოდირება მხოლოდ მცირე ჯგუფშია შესაძლებელი, სამნიშნა მცირე ჯგუფის ნომერს უნდა დაემატოს ერთი გამოყოფილი ნული, მაგ., თუ ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც მოიპოვება, არის ის, რომ პირი არის ექიმი, შეუძლებელია დადგინდეს იგი მიეკუთვნება ზოგადი მედიცინის პრაქტიკოსებს (2211 ჯგუფური ერთეული) თუ მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსებს (2212 ჯგუფური ერთეული). პასუხი დანამდვილებით უნდა იყოს კოდირებული 221 მცირე ჯგუფში – ექიმები და მიენიჭოს 2210 კოდი – ექიმები, რომლებიც შემდეგ არ არიან განსაზღვრულები. სხვა მაგალითის შემთხვევაში თუ ვიცით მხოლოდ ის, რომ პირი არის ინჟინერი და სხვა ინფორმაცია არ გვაქვს, გამართლებული იქნება თუ მას მივანიჭებთ 2140 კოდს – ინჟინრები, რომლებიც შემდეგ არ არიან განსაზღვრულები.

289. სტატისტიკური მონაცემების პასუხებზე მუშაობისას არსებობს ორი მთავარი გზა: ერთი მხრივ, შესაძლებელია პროპორციულად დეტალურ კატეგორიებში მათი ჩასმა; მეორე მხრივ, ისინი დასახელდეს, როგორც ჯგუფის სახელი, რომელიც შემდეგ არ არის განსაზღვრული. მაგ., იმ შემთხვევაში თუ ISCO-08-ის პირველ ძირითად ჯგუფში კოდირებული პასუხების 15% არ შეიცავს უფრო მეტ ინფორმაციას ვიდრე:

- პროფესიის დასახელება – მენეჯერი,
- შესრულებული საქმიანობა და ვალდებულებები – პერსონალის მენეჯმენტი და ხელმძღვანელობა,

შესაძლებელია, მართებული იყოს მოცემული ინფორმაცია კლასიფიცირდეს როგორც ISCO-08 1000 კოდით – მენეჯერები, რომლებიც შემდეგ არ არიან განსაზღვრულნი. მოცემული შედეგების განსაზღვრისას, მოცემული ბუნდოვანი პასუხები, აგრეთვე, ითვლება იმ ჯგუფის მონაცემებში, რომლებშიც ისინი შედიან.

290. დამატებითი ნულებით ახალი კოდირებების შექმნა იწვევს ინფორმაციის გადამუშავებისა და შედეგების ანალიზისთვის ახალი დამატებითი ფორმულების გაჩენას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან კლასიფიკაციის არსებითი კატეგორიები, აუცილებელია მათი როგორც ინფორმაციის შენახვისა და გადამუშავების მიზნებისთვის ვალიდური კოდების დაკონკრეტება, რათა „არაადეკვატურად აღწერილი“, „არასრულყოფილი“ ან „შეუსაბამო“ პასუხების შემთხვევაშიც გადამუშავდეს ინფორმაცია.

დანართი 1

შრომის სტატისტიკოსების მეჩვიდმეტე საერთაშორისო კონფერენცია: მესამე რეზოლუცია

პროფესიების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტების დახვეწის შემდგომი რეზოლუცია

შრომის სტატისტიკოსების მეჩვიდმეტე კონფერენცია.

შემოწმდა რა კონფერენციისათვის გამოგზავნილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობა კლასიფიკაციებთან დაკავშირებით.

ვაცნობიერებთ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წლების განმავლობაში გაწეულ მუშაობას პროფესიების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდატების უახლესი ვერსიის განვითარებაში (ISCO-88) და ვიძლევით რა რეკომენდაციებს პროფესიების ეროვნული კლასიფიკაციების, აგრეთვე, სტატისტიკისა და მომხმარებელთან დაკავშირებული საქმიანობის დროს მისი გამოყენების ეფექტურობისა და საიმედოობის შესახებ.

ვაცნობიერებთ, რომ ზოგიერთ ქვეყანას აქვს ეროვნული პროფესიების კლასიფიკატორი, რომელიც დიდწილად განსხვავდება ISCO-88-სგან და საჭიროა რა მისი ეროვნულ დონეზე ასახვა.

ვასკვნით, რომ არ უნდა შეიცვალოს ISCO-88-ს ძირითადი პრინციპები და სტრუქტურა, თუმცა ზოგიერთი მიმართულებით საჭიროა ცვლილებების იმისთვის, რომ ერთი მხრივ, მრავალი სახელმწიფოს მიერ ISCO-88-ის გამოყენებით მიღებული გამოცდილება აისახოს, მორე მხრივ, კი ბოლო 15 წლის განმავლობაში მსოფლიოში განვითარებულ დოკუმენტის მოვლენებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ვაკვირდებით, რომ პროფესიების ეროვნული კლასიფიკატორების შემქმნელები, როგორც მომხმარებლები მნიშვნელოვანწილად სარგებლობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაწეული ტექნიკური დახმარებით.

ვეხმაურებით გაერთიანებული ერების სტატისტიკური კომისიის მიერ 34-ე სესიაზე (2003 წლის მარტი) გაკეთებულ მოთხოვნას, რომ ISCO-ს ცხრილი და განახლებული ვერსია შესაბამისობაში უნდა იყოს 2010 წლის მსოფლიო მოსახლეობასა და საცხოვრებელ პირობებთან;

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოს ვთხოვთ:

ა) იმის გარანტირებას, რომ შრომის სართაშორის ორგანიზაციას, როგორც პროფესიების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტადარტის დამდგენს (ISCO-88), ექნება შესაძლებლობა:

1. ISCO-88-ის შესაბამისი მოდიფიკაციის განსახორციელებლად ჩაატაროს კვლევა და საჭირო კონსულტაციები იმის გასარანტირებლად, რომ აღნიშნული სტანდარტები პროფესიათა ეროვნული კლასიფიკაციების შესაქმნელად სტატისტიკისა და მომხმარებლებზე ორიენტირებული სამუშაოების წარმოებისასაც გამოდგება;
2. სამუშაოები დასრულდეს არაუგვიანეს 2007 წლისა, რათა მისი შედეგები 2010 წლისთვის განსახორციელებელი მოსახლეობის აღწერისას მხედველობაში იყოს მიღებული.

ბ) სამუშაოების განსავითარებლად და განსახორციელებლად პროფესიების ეროვნულ კლასიფიკატორებზე მომუშავე პირებთან, სხვა ექსპერტებსა და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობასა და კონსულტაციებს;

გ) აღმასრულებელი ორგანოს მუშაობის შედეგების შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გასაცემადშრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა შეხვედრის მოწვევას;

დ) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სარეკომენდაციო ხასიათის ტექნიკურ დახმარებას, რომელიც განსაკურებით საჭირო იქნება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის, რათა გარანტირებული იყოს პროფესიათა ეროვნული კლასიფიკატორების სათანადო შემუშავება, მათი ეფექტურობა და სანდოობა.

დანართი 2

პროფესიათა კლასიფიკაციების საერთაშორისო სტანდარტების განახლებიაზე

შრომითი სტატისტიკისა და ISCO-ს განახლებაზე მომუშავე ექსპეტთა სამმხრივი შეხვედრა, რომელიც მოწვეული იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოს მიერ და რომელიც ჩატარდა ჟენევაში 2007 წლის 3-დან 6 დეკემბრამდე.

ეხმიანება შრომითი სტატისტიკისა და ISCO-ს განახლებაზე მომუშავე ექსპეტთა 1987 წლის 6 ნოემბრის რიგით მეთოთხმეტე შეხვედრას, ISCO-ს 1988 წლის სტანდარტების გაძლიერების შესახებ (ISCO-88).

ეხმიანება, გაერთიანებული ერების სტატისტიკის კომისიის 34-ე სესიის (2003 წლის მარტი) მოთხოვნას, გადაიხედოს ISCO, რათა შესაბამისობაში მოვიდეს 2010 წლისთვის მოსახლეობისა და საოჯახო პირობების მონაცემებთან.

ვასკვნით, რომ არ უნდა მოხდეს ISCO-88-ს ძირითადი პრინციპებისა და სტრუქტურის შეცვლა, თუმცა, ზოგიერთი მიმართულებით საჭიროა ცვლილებების განხორციელება, ერთი მხრივ, მრავალი სახელმწიფოს მიერ ISCO-88-ის გამოყენებით მიღებული გამოცდილების ასახვა, მეორე მხრივ, კი ბოლო პერიოდის განმავლობაში მსოფლიო განვითარების კვალდაკვალ ეროვნული კლასიფიკატორების შესაქმნელადიყოს სასარგებლო დოკუმენტი, აგრეთვე, საერთაშორისოდ შედარებადი და პროფესიების მიხედვით კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი.

ვეხმაურებით შრომითი სტატისტიკოსების მეჩვიდმეტე საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც 2003 წელს გაიმართა და რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ISCO-88-ის განსაახლებლად გაწეული მუშაობის შეფასებას და აღმასრულებელი ორგანოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას ეხებოდა.

განხილული გვაქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ISCO-88-ის განახლებასთან დაკავშირებული შეხვედრის ანგარიში.

2007 წლის 6 დეკემბერს ვიღებთ შემდეგ რეზოლუციას:

1. ძირითად ჯგუფებში, ქვეჯგუფებში, მცირე და ჯგუფურ ერთეულებში პროფესიათა კლასიფიცირება, რომელიც დანართად ერთვის ამ რეზოლუციას, მიღებულია შრომითი სტატისტიკოსების ექსპერტთა შეხვედრაზე და 2008 წლისთვის ადგენს პროფესიათა კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტებს (ISCO-08);

2. ISCO-ში სამუშაოები კლასიფიცირდება. ISCO-08-ის მიზნებისთვის სამუშაო განისაზღვრება როგორც ამოცანათა და მოვალეობათა ერთიანობა, რომელიც სრულდება ან უნდა შესრულდეს, ერთი ადამიანის მიერ, როგორც დასაქმებული, აგრეთვე, თვითდასაქმებული პირის მიერ;

3. პროფესია განისაზღვრება როგორც სამუშაოთა ერთობა, რომლებიც შესასრულებელი ამოცანებითა და მოვალეობებით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. პირი შესაძლებელია კონკრეტული პროფესიის მქონედ იგულისხმებოდეს იმ სამუშაოს გამო, რომელსაც იმ მომენში ასრულებს, მეორეული სამუშაოს ან ადრე შესრულებული სამუშაოს გამო.

4. სამუშაოები კლასიფიცირდება პროფესიის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს მიხედვით (მაგ., ისეთ გრაფებში ასასახად, როგორებიცაა: შრომის ბაზრის ანალიზი, საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსების დაგეგმვა, პროფესიული ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და სახელფასო ანალიზი და სხვ.), თითოეული სახელმწიფო უნდა

შეეცადოს ისეთი ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც ISCO-08 სისტემაში ადვილად კონვეტირდება, რათა გამოსაყენებელი იყოს საერთაშორისო მოხმარებისა და პროფესიების შესახებ საერთაშორისო შედარებისთვის;

6. სახელმწიფოებმა შრომის საერთაშორისო ორგანზიაციას უნდა მიაწოდონ ინფორმაცია იმაზე, თუ რა არის პროფესიათა კლასიფიკაციაში (კლასიფიკაციებში) არსებული მონაცემების ISCO-08-სთან შესაბამისობაში მოყვანის საუკეთესო გზა;

7. ექსპერტთა შეხვედრა აცხადებს, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია გეგმავს:

ა) ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე გამოსცეს ISCO-08 თავისი ძირითადი, ქვეჯგუფები, მცირე და ჯგუფური ერთეულები განმარტებებითა და პროფესიათა დანართით;

ბ) ISCO-08-ს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე გამოსაყენებლად შესაბამისი სახელმძღვანელოსა და ტრენინგის მასალების მომზადებას როგორც ერთ რეგიონში, ისე რამდენიმე რეგიონში სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას;

გ) იმის გარანტიას, რომ როგორც პროფესიათა კლასიფიცირების საერთაშორისო სტანდარტების (ISCO-08) შემქმნელი, მას ექნება შესაძლებლობა ტექნიკურად დაეხმაროს, რომელიც განსაკურებით საჭირო იქნება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის, რათა გარანტირებული იყოს პროფესიათა ეროვნული კლასიფიკატორების სათანადოდ შემუშავება, მათი ეფექტურობა და სანდოობა.

ბიბლიოგრაფია

Budlender, D. 2003, *Whither the International Standard Classification of Occupations (ISCO-88)?* Working Paper No.9, Policy Integration Department, Bureau of Statistics (Geneva, ILO).

Embury, B. et al. 1997. *Constructing a map of the world of work: How to develop the structure and contents of a national standard classification of occupations,* Working Paper No. 95/2, Bureau of Statistics (Geneva, ILO).

Hoffmann, E. 1994. *"Mapping a national classification of occupations into ISCO-88: Outline of a strategy*", Chapter 23 in I. Chernushev (ed.): Labour *statistics for a market economy: Challenges and solutions in the transition countries of Central and Eastern Europe and the former Soviet Union* (Budapest, Central European University Press).

— 1999. International Statistical comparisons of occupations and social structures: Problems, possibilities and th role of ISCO-88. Availabe at: http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/papers/index/hrm.

— 2001. Coding occupation and industry in a population census, Working Paper 2001/2, Bureau of Statistcs (Geneva, ILO).

— Et al. 1995, *What kind of Work do you do? Data Collection and processing strategies when measuring "occupation" for statistical surveys and administrative rrcords,* Working Paper No. 95/1, Burea of Statistcs (Geneva, ILO).

Hunter, D.; Dal Poz, M.R..; Kunjument, T. 2009. *"Boundaries of the health worforce: Definition and classifications of health workrs",* in WHO: *Handbook on monitoring and evaluation of human resources for health* (Geneva).

International Labour Office (ILO). 1923. *Systems of classification of industries and occupations,* Studies and Reports, Series N, No. 1 (Geneva).

— 1924. *Report on the International Conference of Representatives of Labour Statistical Departments* [International Conference of Labour Statisticians]. 1923 (Geneva)

— 1949. *International Standard Classification of Occupations*, Report Prepared for the Seventh International Conference of Labour Statisticians, Geneva, September 1949 (Geneva).

— 1951. *The Seventh International Conference of Labout Statisticians*, Geneva, 26 September to 8 October 1949 (Geneva).

— 1952, *International Classification of Occupations for Migration and Employment Placement* (Geneva).

— 1955. *The Eighth International Conference of Labour Statisticians*, Geneva, 23 November to 3 December 954 (Geneva).

— 1958. *International Standard Classification of Occupations* (Geneva).

— 1969. *International Standard Classification of Occupations, Revised Edition 1968 (Geneva)*

— 1990. *International Standard Classification of Occupations (ISCO-88) (Geneva)*

— 1993. *Resolution* Concerning the *International Classification of Status in Employment (ICSE)*, in

ILO: *Fifteenth International Conference of Labour Statisticians: Report of the Appendix I, Resolution I (Geneva).*

— *2004. Report of the Conference: Seventeenth International Conference of Labour Statisticians, 24*

November–3 December 2003 ICLS/17/2003/4)Geneva)

— 2005. Updating ISCO-88: Discussion Report, Meeting of the Expert Group on International Economic and Social Classifications, New York, 20-24 June 2005, United Nations Department of Economic and Social Affairs, Statistics Division (New York).

— 2008. R*eport of Meeting of Experts on Labour Statistics, Geneva, 3–6 December 2007: Updating the International Standard Classification of Occupations (ISCO), MELS/2007/2 (Geneva).*United Nations (UN). 2000. *International Standard Industrial Classification of All Economic Activities, Revision 3, Statistical Papers, Series M, No. 4, Rev. 4 (New York).*

— *2003. United Nations Statistical Commission (2003): Report on the thirty-fourth session (4–7 March 2003)*, Economic and Social Council, Official Records 2003, Supplement No. 4 (New York).

— 2005. *Final report: Meeting of the Expert Group on International Economic and Social Classifications, New York, 20–24 June 2005, Department of Economic and Social Affairs, Statistics Division* (New York).

— 2007a. *United Nations Statistical Commission, Report on the thirty-eighth session (27 February to 2 March 2007)* Economic and Social Council, Official Records 2007, Supplement No. 4 (New York).

— 2007b. *Meeting of the Expert Group on International Economic and Social Classifications, 16–18 April 2007, Final report (draft version)* (New York).

— 2008. *International Standard Industrial Classification of All Economic Activities (ISIC Rev. 4)* (New York).

United Nations and International Labour Office. 2010. *Measuring the economically active in population censuses: A handbook, Studies in methods, Series F, No. 102 (New York)*

United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO). 1997. *International Standard Classification of Education (ISCED 1997)* (Paris).

1 ძირითადი ჯგუფი
მენეჯერები

მენეჯერები გეგმავენ, კოორდინირებენ და აფასებენ საწარმოების, მთავრობისა და სხვა ორგანიზაციების ან მათი ქვედანაყოფების საქმიანობას, აყალიბებენ და იხილავენ მათ პოლიტიკას, კანონებს, წესებსა და რეგულაციებს. წინამდებარე ძირითადი ჯგუფის პროფესიების დიდი ნაწილის შემთხვევაში, დაკისრებული ვალდებულებების კომპეტენტურად შესრულებისთვის მოითხოვება ISCO კვალიფიკაციის მეოთხე დონე, გარდა მეთოთხმეტე ქვეჯგუფისა (სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები), რომელთაც, ძირითადად, ISCO კვალიფიკაციის მესამე დონე მოითხოვებათ.

მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საწარმოების, მთავრობისა და სხვა ორგანიზაციული ქვედანაყოფების პოლიტიკის, ბიუჯეტის, კანონებისა და რეგულაციების შემუშავებასა და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემას; ამოცანების შემუშავებასა და სტანდარტების დამკვიდრებას. ასევე, მათი შესრულების მიზნით პროგრამების, პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბებასა და შეფასებას; საბიუჯეტო კონტროლისათვის შესაბამისი სისტემებისა და პროცედურების შემუშავებასა და დანერგვას; პოლიტიკისა და პროგრამების მართვისათვის მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფას; ორგანიზაციის ან საწარმოსა და მისი თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგსა და შეფასებას; თანამშრომელთა შერჩევას ან შერჩევის დამტკიცებას; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფას; ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას; შეხვედრებსა თუ სხვა ფორუმებზე მთავრობის, საწარმოსა თუ ორგანიზაციის ქვედანაყოფის წარდგინებას და მისი სახელით მოლაპარაკებების გამართვას.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

11 აღმასრულებელი დირექტორები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები;
12 ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები;
13 წარმოებისა და სპეციალური მომსახურების მენეჯერები;
14 სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურების მენეჯერები.

<u>შენიშვნა:</u>

უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველ ძირითად ჯგუფში (მენეჯერები და ზედამხედველები) წარმოდგენილმა მენეჯერებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვა ძირითადი ჯგუფის კატეგორიასაც, შესაძლებელია, დაგეგმონ, ორგანიზება და კოორდინაცია გაუწიონ, გააკონტროლონ და წარმართონ სხვების მიერ შესრულებული სამუშაო. გარდა ამისა, მენეჯერებს, ხშირ შემთხვევაში, გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება შემდეგ საკითხებზე: ბიზნესის ან ორგანიზაციული ქვედანაყოფის ზოგადი სტრატეგიული და სამოქმედო მიმართულებების განსაზღვრისას (მაგალითად, წარმოებული საქონლის ტიპი, ხარისხი და რაოდენობა); ბიუჯეტის დაგეგმვისას (რა რაოდენობის თანხა უნდა დაიხარჯოს და რა მიზნით); ასევე, თანამშრომელთა შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლებისას. ზედამხედველებმა შესაძლებელია, გასცენ რჩევები და გაუწიონ დახმარება მენეჯერებს ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი

თანამშრომელთა შერჩევისა და მათი გათავისუფლებისას, თუმცა, მათ არ გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღების რეალური უფლებამოსილება.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი მენეჯერის ვალდებულებად განისაზღვროს როგორც სტრატეგიული და სამოქმედო მიმართულები, ისე ბიუჯეტის მართვა და თანამშრომელთა შერჩევა ან გათავისუფლება. კონკრეტულ შემთხვევებში მათთვის მინიჭებული უფლებები შესაძლებელია, განსხვავდებოდეს. მთავარი განსხვავება კი ის გახლავთ, რომ ზედამხედველები პასუხისმგებლები არიან მხოლოდ სხვა მუშაკების ქმედებების ზედამხედველობაზე მაშინ, როდესაც მენეჯერების ვალდებულება მთლიანად ორგანიზაციული ქვედანაყოფის მართვაა.

11 ქვეჯგუფი
აღმასრულებელი დირექტორები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები

აღმასრულებელი დირექტორები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები სხვა მენეჯერების დახმარებით აყალიბებენ და იხილავენ პოლიტიკას, გეგმავენ, მართავენ, კოორდინირებენ და აფასებენ საწარმოების, მთავრობისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას. წინამდებარე ძირითადი ჯგუფის პროფესიების დიდი ნაწილის შემთხვევაში დაკისრებული ვალდებულებების კომპეტენტურად შესრულებისთვის მოითხოვება ISCO კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საკანონმდებლო ორგანოების, დირექტორთა საბჭოებისა და კომიტეტების სესიების თავმჯდომარეობას ან მასში მონაწილეობას; საწარმოების, მთავრობისა და სხვა ორგანიზაციების პოლიტიკის, ბიუჯეტის, კანონებისა და რეგულაციების შემუშავებას; საწარმოების, მთავრობის დეპარტამენტებისა თუ სააგენტოების, ასევე, სხვა ორგანიზაციების საქმიანობის მიზნების დასახვას; მათი შესრულების მიზნით პროგრამების, პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბებას ან დამტკიცებასა და შეფასებას; საბიუჯეტო კონტროლისთვის შესაბამისი სისტემებისა და პროცედურების შემუშავებასა და მათი იმპლემენტაციის უზრუნველყოფას; პოლიტიკისა და პროგრამების წარმართვისთვის მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფას; ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგსა და შეფასებას; თანამშრომელთა შერჩევას ან შერჩევის დამტკიცებას; ფორმალური ვალდებულებების შესრულებას და ოფიციალურ ღონისძიებებზე, შეხვედრებზე, მოლაპარაკებებზე, ყრილობებსა და საჯარო მოსმენებზე საწარმოს, მთავრობის, ორგანიზაციის ან საზოგადოების წარმოდგენას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

111 კანონმდებლები და მაღალი თანამდებობის პირები;

112 მმართველი დირექტორები და აღმასრულებელი დირექტორები.

1.1.1. მცირე ჯგუფი
კანონმდებლები და მაღალი თანამდებობის პირები

კანონმდებლები და მაღალი თანამდებობის პირები განსაზღვრავენ, აყალიბებენ, გასცემენ რჩევებს და მართავენ ეროვნული, სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი მთავრობების ან საზოგადოებების და კონკრეტული დანიშნულების ორგანიზაციების პოლიტიკას. ისინი ქმნიან კანონებს, საჯარო წესებსა და რეგულაციებს, რატიფიცირებას, შესწორებასა ან გაუქმებას; ისინი აგრეთვე, გეგმავენ, კოორდინირებენ, მართავენ, აკონტროლებენ და აფასებენ მთავრობის დეპარტამენტებისა და სააგენტოების, ტრადიციული საზოგადოებებისა და კონკრეტული დანიშნულების ორგანიზაციების სრულ საქმიანობას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საკანონმდებლო ორგანოების, მთავრობათა ადმინისტრაციული

საბჭოების, საკანონმდებლო ასამბლეების, ადგილობრივი თემებისა და კონკრეტული ინტერესების ორგანიზაციების სესიების თავმჯდომარეობას ან მასში მონაწილეობას; სამთავრობო ადმინისტრაციული საბჭოების ან ოფიციალური კომიტეტების წევრობას; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოძიებასა და ამომრჩეველთა ინტერესების წარმოჩენას; მთავრობის პოლიტიკის, ბიუჯეტის, კანონებისა და რეგულაციების შემუშავებასა და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და რჩევების გაცემას; შესრულების მიზნით პროგრამების, პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბებას ან დამტკიცებასა და შეფასებას; წარდგენილი დოკუმენტების, დასკვნებისა და ანგარიშების თაობაზე რეკომენდაციების გაცემას, მათ გადახედვას, შეფასებასა და დამტკიცებას; საბიუჯეტო კონტროლისთვის შესაბამისი სისტემებისა და პროცედურების შემუშავებასა და მათი იმპლემენტაციის უზრუნველყოფას; გამოყენების მიზნით კომუნალური მიწებისა და სხვა რესურსების გამოყოფას; ფორმალური ვალდებულებების შესრულებასა და ოფიციალურ ღონისძიებებზე, შეხვედრებზე, მოლაპარაკებებზე, ყრილობებსა და საჯარო მოსმენებზე საწარმოს, მთავრობის, ორგანიზაციის ან საზოგადოების წარმოდგენას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1111 კანონმდებლები;

1112 მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები;

1113 დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები;

1114 კონკრეტული მიმართულების ორგანიზაციების მაღალი თანამდებობის პირები.

<u>1111 ჯგუფური ერთეული</u>
კანონმდებლები

კანონმდებლები განსაზღვრავენ, აყალიბებენ და მართავენ ეროვნული, სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი მთავრობების ან საერთაშორისო მთავრობათაშორისი სააგენტოების პოლიტიკას. ისინი ქმნიან კანონებს, საჯარო წესებსა და რეგულაციებს, რატიფიცირებას, შესწორებას ან გაუქმებას. აგრეთვე, გვევლინებიან როგორც არჩეული, ისე აურჩეველი პარლამენტის, საბჭოებისა და მთავრობების წევრებად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საკანონმდებლო ორგანოების, ეროვნული, სახელმწიფო, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობების ადმინისტრაციული საბჭოების ან საკანონმდებლო ასამბლეების სესიების თავმჯდომარეობას ან მასში მონაწილეობას;
2. ეროვნული, სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი მთავრობების პოლიტიკის განსაზღვრას, ჩამოყალიბებასა და წარმართვას;
3. კანონმდებლობით დადგენილი ან კონსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში კანონების, საჯარო წესებისა და რეგულაციების შექმნას, რატიფიცირებას, შესწორებას ან გაუქმებას;
4. სამთავრობო ადმინისტრაციული საბჭოების ან ოფიციალური კომიტეტების წევრობას;

5. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოძიებასა და მათ მიერ წარმოდგენილი ამომრჩევლის ინტერესების წარმოჩენას;
6. საზოგადოებისათვის მომსახურების გაწევის, საჯარო აზრის გათავისებისა და მათთვის სამთავრობო გეგმების გაცნობის მიზნით საზოგადოებრივ შეკრებებსა და შეხვედრებზე დასწრებას;
7. სხვადასხვა ინტერესების შეჯერებისა და პოლიტიკის შემუშავებისა და შეთანხმების მიღწევის მიზნით სხვა კანონმდებლებთან და ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების გამართვას;
8. მთავრობის პოლიტიკის ინტერპრეტაციასა და მათ შესრულებაზე როგორც მთავრობის წევრებისთვის, აგრეთვე, მისი დეპარტამენტებისა და სააგენტოების უფროსი ადმინისტრატორებისა და მაღალი თანამდებობის პირებისთვის სახელმძღვანელო წესების გაცნობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქალაქის გამგებელი;
- მთავრობის კაბინეტის წევრი (მინისტრი);
- მერი;
- პარლამენტის წევრი;
- პრეზიდენტი (მთავრობა);
- სახელმწიფო მდივანი;
- სენატორი;
- შტატის გუბერნატორი.

1112 ჯგუფური ერთეული
მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

მაღალი რანგის თანამდებობის პირები მთავრობებს აძლევენ პოლიტიკის საკითხებზე რჩევებსა და რეკომენდაციებს, ზედამხედველობას უწევენ მათი დეპარტამენტებისა და სააგენტოების მიერ სამთავრობო პოლიტიკისა და კანონმდებლობის ინტერპრეტაციასა და შესრულებას, თავიანთ ქვეყანას საზღვარგარეთ წარმოადგენენ და მისი სახელით მოქმედებენ ან მთავრობათაშორის ორგანიზაციებში მსგავს საქმიანობას ახორციელებენ. ისინი მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისად გეგმავენ, მართავენ, აკონტროლებენ და აფასებენ მუნიციპალური თუ ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული მთავრობის დეპარტამენტების, საბჭოების, სააგენტოებისა თუ კომისიების მთელ საქმიანობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პოლიტიკის საკითხებზე ეროვნული, სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი მთავრობებისა და კანონმდებლებისათვის რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემას;
2. მთავრობის ბიუჯეტის, კანონებისა და რეგულაციების, მათ შორის, მათში შესწორების შეტანაზე რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემას;

3. მთავრობის კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისად დეპარტამენტებისა თუ სააგენტოებისათვის მიზნების ჩამოყალიბებას;
4. მთავრობასთან თანამშრომლობითა და მასთან კონსულტაციებით, სამთავრობო პოლიტიკის დანერგისთვის პროგრამებისა და პროცედურების ჩამოყალიბებას ან დამტკიცებასა და შეფასებას;
5. საშუალო დონის მენეჯერებისა და უფროსი თანამშრომლების მიერ წარდგენილი დოკუმენტების, დასკვნებისა და ანგარიშების თაობაზე რეკომენდაციების გაცემას, მათ გადახედვასა და შეფასებას;
6. საბიუჯეტო კონტროლის მიზნით შესაბამისი სისტემებისა და პროცედურების შემუშავებასა და მათი იმპლემენტაციის უზრუნველყოფას;
7. მთავრობის უფროს მენეჯერებსა და მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად საქმიანობის კოორდინაციას;
8. პოლიტიკაზე, პროგრამებსა თუ ბიუჯეტზე საკანონმდებლო და სხვა სამთავრობო კომიტეტებისთვის პრეზენტაციის მომზადებას;
9. მთავრობის დეპარტამენტებისა და სააგენტოების მიერ სამთავრობო პოლიტიკისა და კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და შესრულების ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ელჩი;
- ქალაქის ადმინისტრატორი;
- სამოქალაქო სამსახურის კომისარი;
- გენერალური კონსული;
- გენერალური დირექტორი (მთავრობის დეპარტამენტი);
- გენერალური დირექტორი (მთავრობათაშორისი ორგანიზაცია);
- სახანძრო სამსახურის კომისარი;
- გენერალური ინსპექტორი (პოლიცია);
- მუდმივი თავმჯდომარე (მთავრობის დეპარტამენტი);
- პოლიციის უფროსი;
- პოლიციის კომისარი;
- გენერალური მდივანი (მთავრობის ადმინისტრაცია);
- გენერალური მდივანი (მთავრობა).

<u>შენიშვნა:</u>

მთავრობის საკუთრებაში არსებული საწარმოების აღმასრულებელი დირექტორები გაერთიანებულია 1120 ჯგუფურ ერთეულში – მმართველი დირექტორები და აღმასრულებელი დირექტორები.

<u>1113 ჯგუფური ერთეული</u>
დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები

დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები ასრულებენ სხვადასხვა სახის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და ფორმალურ ამოცანებსა და დავალებებს, რომლებიც განპირობებულია ძირძველი ტრადიციებითა სოფლის თავსა და ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ ხელისუფლებას შორის უფლებების განაწილებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გამოყენების მიზნით თემსა თუ სოფელში საოჯახო მეურნეობებიდან კომუნალური მიწისა და სხვა რესურსების გამოყოფას;
2. თემისა თუ სოფლის ზედმეტი პროდუქციის შეგროვებასა და დისტრიბუციას;
3. თემისა თუ სოფლის წევრებს შორის დავების გადაწყვეტას;
4. ადათ-წესების დარღვევებისთვის თემისა თუ სოფლის წევრების დისციპლინაზე ზრუნვას;
5. დაბადებასთან, ქორწინებასთან, გარდაცვალებასთან, მოსავალსა და სხვა მნიშვნელოვან შემთხვევებთან დაკავშირებით ფორმალური ვალდებულებების შესრულებას;
6. ადგილობრივ ან რეგიონულ საბჭოებში თემისა თუ სოფლის წარმოდგენას;
7. მთავრობის წესებისა და რეგულაციების შესახებ თემისა თუ სოფლის ინფორმირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სოფლის უფროსი;
- სოფლის თავი.

1114 ჯგუფური ერთეული
კონკრეტული მიმართულების ორგანიზაციების მაღალი თანამდებობის პირები

კონკრეტული მიმართულების ორგანიზაციების მაღალი თანამდებობის პირები განსაზღვრავენ, აყალიბებენ და წარმართავენ ისეთი ორგანიზაციების პოლიტიკას, როგორებიცაა: პოლიტიკური პარტიები, პროფესიული კავშირები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები, სავაჭრო და ინდუსტრიული ასოციაციები, ჰუმანიტარული ან საქველმოქმედო ორგანიზაციები ან სპორტული ასოციაციები. ისინი წარმოადგენენ თავიანთ ორგანიზაციებს და მოქმედებენ მათი სახელით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ორგანიზაციის პოლიტიკის, წესებისა და რეგულაციების განსაზღვრასა და ფორმულირებას;
2. ორგანიზაციის ზოგადი ფუნქციების დაგეგვას, მართვასა და კოორდინაციას;
3. ორგანიზაციის, მისი წევრებისა და შესაბამისი კონკრეტული დანიშნულების ჯგუფების სახელით მოლაპარაკებების გამართვას;
4. საკანონმდებლო ორგანოების, მთავრობისა თუ საზოგადოების წინაშე ორგანიზაციების, მისი წევრებისა და შესაბამისი კონკრეტული დანიშნულების ჯგუფების ინტერესების წარმოჩენას;

5. ორგანიზაციის პოლიტიკის, პროგრამების, წესებისა და რეგულაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი განყოფილებების დაგეგმვას, ორგანიზებასა და წარმართას;
6. საბიუჯეტო კონტროლის მიზნით შესაბამისი სისტემებისა და პროცედურების შემუშავებასა და მათი იმპლემენტაციის უზრუნველყოფას;
7. დადგენილი მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგსა და შეფასებას;
8. ოფიციალურ ღონისძიებებსა და დირექტორთა საბჭოს შეხვედრებზე, მოლაპარაკებებსა და ყრილობებზე, საჯარო მოსმენებსა და ფორუმებზე ორგანიზაციის წარმოდგენას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- თავმჯდომარე, პროფესიული კავშირი;
- გენერალური დირექტორი, დამსაქმებელთა ორგანიზაცია;
- ლიდერი, პოლიტიკური პარტია;
- პრეზიდენტი, პოლიტიკური პარტია;
- გენერალური მდივანი, გარემოს დაცვის ორგანიზაცია;
- გენერალური მდივანი, ადამიანი უფლებათა ორგანიზაცია.

112 მცირე ჯგუფი
მმართველი დირექტორები და აღმასრულებელი დირექტორები

მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები სხვა მენეჯერების დახმარებით აყალიბებენ და იხილავენ პოლიტიკას, გეგმავენ, წარმართავენ, კოორდინაციას უწევენ და აფასებენ საწარმოების ან ორგანიზაციების მთლიან საქმიანობას (გარდა კონკრეტული დანიშნულების ორგანიზაციებისა და მთავრობის დეპარტამენტებისა), როგორც წესი, დირექტორთა საბჭოს ან მმართველი ორგანოს მირ დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთა წინაშეც განხორციელებული სამუშაოსა და მიღწეული შედეგებისთვის პასუხისმგებლები არიან.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საწარმოებისა და ორგანიზაციების ზოგადი ფუნქციონირების დაგეგმვას, მართვასა და კოორდინაციას; საწარმოსა თუ ორგანიზაციის საქმიანობებისა და მიღწეული შედეგების გადახედვას და დირექტორთა საბჭოსა და მმართველი ორგანოსთვის ანგარიშის წარდგენას; საწარმოსა თუ ორგანიზაციის მიზნების, სტრატეგიის, პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრას; ორგანიზაციის საქმიანობების წარმართვასა და მენეჯმენტს; ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას – დანახარჯებზე კონტროლის დაწესებასა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფას; ორგანიზაციის პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციისთვის მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფას; დადგენილი მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგსა და შეფასებას; ~~უფროს~~ დამხმარე თანამშრომლებთან კონსულტაციას, რეკომენდაციებისა და ანგარიშების განხილვას; ოფიციალურ ღონისძიებებზე, მოლაპარაკებებსა და ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო

მოსმენებსა და ფორუმებზე ორგანიზაციის წარმოდგენას; შერჩევასა და დამტკიცებას; ორგანიზაციის მიერ შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისობის უზრუნველყოფას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1120 მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები.

1120 ჯგუფური ერთეული
მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები

სხვა მენეჯერების დახმარებით მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები აყალიბებენ და იხილავენ პოლიტიკას, გეგმავენ, წარმართავენ, კოორდინაციას უწევენ და აფასებენ საწარმოების ან ორგანიზაციების მთლიან საქმიანობას (გარდა კონკრეტული დანიშნულების ორგანიზაციებისა და მთავრობის დეპარტამენტებისა), როგორც წესი, დირექტორთა საბჭოს ან მმართველი ორგანოს მირ დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთა წინაშეც განხორციელებული სამუშაოსა და მიღწეული შედეგებისთვის პასუხისმგებლები არიან.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საწარმოებისა და ორგანიზაციების ზოგადი ფუნქციონირების დაგეგმვას, მართვასა და კოორდინაციას;
2. საწარმოსა თუ ორგანიზაციის საქმიანობებისა და მიღწეული შედეგების გადახედვასა და დირექტორთა საბჭოსა და მმართველ ორგანოსთვის ანგარიშის წარდგენას;
3. საწარმოსა თუ ორგანიზაციის მიზნების, სტრატეგიის, პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრას;
4. ორგანიზაციის საქმიანობების წარმართვასა და მენეჯმენტს;
5. საწარმოსა თუ ორგანიზაციის ზოგადი ხელმღვანელობისა და მართვის უზრუნველყოფას;
6. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას – დანახარჯებზე კონტროლის დაწესებასა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფას;
7. ორგანიზაციის პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციის მიზნით მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფას;
8. დადგენილი მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგსა და შეფასებას;
9. ~~უფროს~~ დამხმარე თანამშრომლებთან კონსულტაციას, რეკომენდაციებისა და ანგარიშების განხილვას;
10. ოფიციალურ ღონისძიებებზე, მოლაპარაკებებსა და ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო მოსმენებსა და ფორუმებზე ორგანიზაციის წარმოდგენას;
11. თანამშრომელთა შერჩევასა და დამტკიცებას;
12. ორგანიზაციის მიერ შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისობის უზრუნველყოფას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აღმასრულებელი დირექტორი;
- მმართველი დირექტორი;
- რეგიონული მენეჯერი.

<u>შენიშვნა:</u>

რეგიონული და სხვა უფროსი მენეჯერები, რომლებიც კოორდინირებენ და ზედამხედველობენ დაქვემდებარებული მენეჯერების საქმიანობას, რომელთაც ფართო სპექტრის ფუნქციონალური პასუხისმგებლობები გააჩნიათ, გათვალისწინებულია 1120 ჯგუფური ერთეულით – მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები. მენეჯერები, რომლებიც კონკრეტული გეოგრაფიული არეალში პასუხისმგებლები არიან სპეციალური ფუნქციების შესრულებაზე, აღნიშნული ჯგუფური ერთეულიდან გამოირიცხებიან. მაგ., რეგიონული გაყიდვების მენეჯერი მოცემულია 1221 ჯგუფური ერთეულში – გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები. სამუშაო, რომლის მთავარი დანიშნულება ერთი ან რამდენიმე საწარმოსა თუ ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრის წარმოდგენაა, გათვალისწინებულია 1120 ჯგუფური ერთეულით – მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები. მთავრობის საწარმოების აღმასრულებელი დირექტორები კი შედის 1120 ჯგუფურ ერთეულში – მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები.

12 ქვეჯგუფი
ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები

ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები გეგმავენ, მართავენ, აკონტროლებენ და კოორდინირებენ ფინანსურ, ადმინისტრაციულ, ადამიანურ რესურსებთან, პოლიტიკასთან, დაგეგმვასთან, კვლევასა და განვითარებასთან, რეკლამირებასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობასთან, გაყიდვებსა და მარკეტინგთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების, ან იმ საწარმოების საქმიანობას, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ. წინამდებარე ძირითადი ჯგუფის პროფესიების დიდი ნაწილის შემთხვევაში დაკისრებული ვალდებულებების კომპეტენტურად შესრულებისთვის მოითხოვება ISCO კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პოლიტიკასთან დაკავშირებულ რჩევებს, სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვის ფორმულირებასა და ადმინისტრირებას; სამოქმედო და ადმინისტრაციული პროცედურების ჩამოყალიბებასა და მართვას; სტრატეგიებისა და პოლიტიკის იმპლემენტაციას, მონიტორინგსა და შეფასებას; უფროსი მენეჯერებისათვის რჩევების მიცემას; ახალი პროდუქტების, მარკეტინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და სარეკლამო კამპანიების ინიციატივების წარმართვას; გაყიდვებთან, შერეულ პროდუქციასთან და მომხმარებელთა მომსახურების სტანდარტებთან დაკავშირებული საქმიანობების განსაზღვრასა და წარმართვას; ფასის დადგენასა და საკრედიტო შეთანხმებებს; შესაბამისი კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფას; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს კონტროლს; ბიუჯეტის მომზადებასა და ფინანსური ოპერაციების ზედამხედველობას; აღმასრულებელ დირექტორებთან და სხვა დეპარტამენტებისა თუ განყოფილებების მენეჯერებთან კონსულტაციების გამართვას; დანახარჯებზე კონტროლის დაწესებასა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფას; ოფიციალურ ღონისძიებებზე, მოლაპარაკებებსა და ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო მოსმენებსა და ფორუმებზე ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

121 კომერციული მომსახურებებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები;

122 გაყიდვების, მარკეტინგისა და განვითარების მენეჯერები.

<u>შენიშვნა:</u>

როგორც წესი, იმ პროფესიებს, რომლებიც გათვალისწინებულია მეორე (პროფესიონალები) და მესამე ძირითადი ჯგუფით (ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები), მოეთხოვებათ სპეციალური კვალიფიკაცია და გრძელვადიანი გამოცდილება. რეგიონული და სხვა უფროსი მენეჯერები, რომლებიც კოორდინირებენ და ზედამხედველობენ იმ ქვემდგომი მენეჯერების საქმიანობებს, რომელთაც გააჩნიათ ფართო სპექტრის ფუნქციონალური ვალდებულებები, ექცევიან 1120 ჯგუფურ ერთეულში – მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები.

121 მცირე ჯგუფი
კომერციული მომსახურებებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები

კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები გეგმავენ, მართავენ, აკონტროლებენ და კოორდინირებენ ფინანსურ, ადმინისტრაციულ, ადამიანურ რესურსებთან, პოლიტიკასთან და დაგეგმვასთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, ან იმ საწარმოების საქმიანობას, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პოლიტიკასთან დაკავშირებულ რჩევებსა და სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვის ფორმულირებასა და ადმინისტრირებას; სამოქმედო და ადმინისტრაციული პროცედურების ჩამოყალიბებასა და მართვას; სტრატეგიებისა და პოლიტიკის იმპლემენტაციას, მონიტორინგსა და შეფასებას; უფროსი მენეჯერებისა და საბჭოს წევრებისათვის ფინანსურ, ადმინისტრაციულ, სტრატეგიულ, პოლიტიკურ, პროგრამებისა და საკანონმდებლო საკითხებზე რჩევების მიცემას; სათანადო კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფას; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს კონტროლს; ბიუჯეტის მომზადებასა და ფინანსური ოპერაციების ზედამხედველობას; აღმასრულებელ დირექტორებთან და სხვა დეპარტამენტებისა თუ განყოფილებების მენეჯერებთან კონსულტაციების გამართვას; დანახარჯებზე კონტროლის დაწესებასა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფას; მოლაპარაკებებსა და ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო მოსმენებსა და ფორუმებზე ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1211 ფინანსური მენეჯერები;
1212 ადამიანური რესურსების მენეჯერები;
1213 პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები;
1214 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი კომერციული მომსახურებებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები.

1211 ჯგუფური ერთეული
ფინანსური მენეჯერები

ფინანსური მენეჯერები უფროს მენეჯერებთან და სხვა დეპარტამენტებისა თუ განყოფილებების მენეჯერებთან კონსულტაციებით, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ან იმ საწარმოების საქმიანობას, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საწარმოსა თუ ორგანიზაციის ფინანსური ოპერაციების დაგეგმვას, მართვასა და კოორდინაციას;

2. საწარმოსა თუ ორგანიზაციის ფინანსური სიტუაციის შეფასებას, ბიუჯეტის მომზადებასა და ფინანსური ოპერაციების ზედამხედველობას;
3. სხვა დეპარტამენტებისა თუ განყოფილებების აღმასრულებელ დირექტორსა და მენეჯერთან კონსულტაციების გავლას;
4. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას – დანახარჯების კონტროლსა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფას;
5. სამოქმედო და ადმინისტრაციული პროცედურების ჩამოყალიბებასა და წარმართვას;
6. ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვასა და წარმართვას;
7. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას;
8. გარე ორგანოებთან ურთიერთობისას საწარმოსა თუ ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კომპანიის მდივანი;
- ფინანსური მენეჯერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფინანსური ინსტიტუტების ფილიალის მენეჯერები – 1346;
- ფინანსური ოპერაციების მაკონტროლებელი პირები – 2411;
- მთავარი ბუღალტერი – 2411.

1212 ჯგუფური ერთეული
ადამიანური რესურსების მენეჯერები

ადამიანური რესურსების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებენ პერსონალთან, სამრეწველო ურთიერთობებთან, პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობების საწარმოებისა და ორგანიზაციების, ან იმ საწარმოების პოლიტიკას, ან იმ საწარმოების საქმიანობას, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საწარმოსა თუ ორგანიზაციის პერსონალისა და სამრეწველო ურთერთობებთან დაკავშირებული საქმიანობების, პოლიტიკისა და პრაქტიკის დაგეგმვას, მართვასა და კოორდინაციას;
2. თანამშრომელთა სამსახურში აყვანის, გადამზადების, წახალისების, გადაყვანისა და გათავისუფლების პროცედურების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
3. ხელფასის სტრუქტურისა და დონის განსაზღვრას, აგრეთვე, პერსონალთან დასაქმების პირობებთან დაკავშირებული კონსულტაციების პროცედურების დაგეგმვასა და მოლაპარაკებების ორგანიზებას;
4. უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასა და მასთან დაკავშირებულ პროგრამებისა და საქმიანობების ზედამხედველობას;

5. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას – დანახარჯების კონტროლსა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფას;
6. საინფორმაციო სისტემების განვითარებისა და დანერგვას;
7. დასაქმებულების უფლებებთან, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან, თანაბარ შესაძლებლობებსა და მსგავს საკითხებთან დაკავშირებული სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფას;
8. მთელი საწარმოსა თუ ორგანიზაციის თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას;
9. ხელმძღვანელობასთან, სხვა დეპარტამენტების მენეჯერებთან კონსულტაციების გამართვას;
10. გარე ორგანოებთან ურთიერთობისას საწარმოსა თუ ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სამრეწველო ურთიერთობების მენეჯერი;
- პერსონალის მენეჯერი;
- თანამშრომელთა სამსახურში აყვანის მენეჯერი.

<u>1213 ჯგუფური ერთეული</u>
პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები

პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ მთავრობისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციისა და კერძოს სექტორის სააგენტოს პოლიტიკასთან დაკავშირებული რჩევებისა და სტრატეგიის დაგეგმვის საქმიანობას, ან იმ საწარმოების საქმიანობას, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მიზნების, ამოცანებისა და სამუშაო სტანდარტების მისაღწევად სტრატეგიული გეგმების, პროგრამების, პოლიტიკის, პროცესების, სისტემებისა და პროცედურების შემუშავებასა და მათ იმპლემენტაციას;
2. პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის განვითარებას, წარმართვას, ადმინისტრირებასა და მასში მონაწილეობის მიღებას;
3. პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვას;
4. საქმიანობის ზომებისა და ანგარიშვალდებულების საზომების ჩამოყალიბებას;
5. ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვას;
6. თანამშრომელთა პოლიტიკის განვითარების, სტრატეგიისა და დაგეგმვის ხელმძღვანელობასა და მართვას;
7. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას;
8. ხელმძღვანელობასთან, სხვა დეპარტამენტების მენეჯერებთან კონსულტაციების გამართვას;

9. მოლაპარაკებებზე, ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო მოსმენებსა და ფორუმებზე საწარმოსა თუ ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დაგეგმვის საკითხებში კორპორატიული მენეჯერი;
- პოლიტიკის მენეჯერი;
- სტრატეგიული დაგეგმვის მენეჯერი.

1219 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი კომერციული მომსახურებებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული 121 მცირე ჯგუფში (კომერციული მომსახურებებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები) აერთიანებს კომერციული მომსახურებებისა და სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ადმინისტრაციის მენეჯერები. მაგ., ჯგუფი მოიცავს ისეთ პროფესიებს, როგორებიცაა: შენობის მენეჯერი, დასუფთავების სამსახურის მენეჯერი და ადმინისტრაციული სამსახურის მენეჯერი – რომლებიც დასაქმებულები არიან ან როგორც დიდი საწარმოსა და ორგანიზაციის დეპარტამენტის მენეჯერები, ან იმ საწარმოს დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ადმინისტრაციული, სტრატეგიული დაგეგმვისა და ოპერატიული მხარდაჭერის აღმოჩენას, კვლევის ჩატარებასა და ხელმძღვანელობისათვის შენობის მოწყობილობებისა და ადმინისტრაციული სამსახურის მართვასთან დაკავშირებული რჩევების მიცემას;
2. ორგანიზაციის ადმინისტრაციული და ფიზიკური რესურსების განვითარებასა და მართვას;
3. ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული და პროცედურული განცხადებებისა და სახელმძღვანელო წესების განვითარებასა და მათ დანერგვას;
4. ასოცირებული ანგარიშების, კორესპონდენციებისა და განაცხადებების ორგანიზებასა და მომზადებაზე გავლენის მქონე კომპლექსური რესურსების მართვის საკითხებისა და ინიციატივების ანალიზს;
5. ფინანსური ანგარიშებისა და ბიუჯეტის მომზადებისთვის ინფორმაციისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას;
6. ბიზნეს ოპერაციების სწორი მართვისა და გადამოწმებული ინფორმაციის დროულად მიწოდების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული პერსონალის ხელმძღვანელობას, მართვასა და განვითარებას;
7. მოლაპარაკებებზე, ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო მოსმენებსა და ფორუმებზე საწარმოსა თუ ორგანიზაციის წარდგინებას;
8. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას – დანახარჯების კონტროლსა და რესურსების ეფექტურ გამოყენებას;

9. ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვას;
10. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ადმინისტრაციული სამსახურის მენეჯერი;
- დასუფთავების სამსახურის მენეჯერი;
- კორპორატიული სამსახურის მენეჯერი;
- შენობის მენეჯერი.

122 მცირე ჯგუფი
გაყიდვების, მარკეტინგისა და განვითარების მენეჯერები

გაყიდვების, მარკეტინგისა და განვითარების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ, აკონტროლებენ და კოორდინირებენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ან იმ საწარმოების რეკლამირების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კვლევისა და განვითარების საქმიანობას, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სხვა მენეჯერებთან კონსულტაციით, რეკლამირების, საზოგადოებასთან ურთიერთობების, პროდუქციის განვითარების, გაყიდვებისა და მარკეტინგის პოლიტიკისა და გეგმების ფორმულირებასა და იმპლემენტაციას; ახალი პროდუქციის ან სამეცნიერო კვლევის, მარკეტინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და სარეკლამო კამპანიისთვის ინიციატივების განვითარების წარმართვას; გაყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობების, პროდუქციის შერევის, მომხმარებელთა მომსახურების სტანდარტებისა და მარკეტინგული მეთოდებისა და დისტრიბუციის პოლიტიკის განსაზღვრასა და წარმართვას; ფასების დადგენასა და საკრედიტო შეთანხმებებს; რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებას, მართვას და დანახარჯების კონტროლს; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას; ყრილობებზე, სავაჭრო გამოფენებსა და სხვა ფორუმებზე საწარმოსა თუ ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1221 გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები;
1222 რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები;
1223 კვლევისა და განვითარების მენეჯერები.

1221 ჯგუფური ერთეული
გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები

გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ან იმ საწარმოების გაყიდვებთან და მარკეტინგთან დაკავშირებულ საქმიანობებს, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გაყიდვების მონაცემებსა და ბაზრის შეფასებაზე დაყრდნობით, გაყიდვებისა და მარკეტინგის სფეროს სპეციალური პროგრამების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
2. ფასების ჩამონათვალის, ფასდაკლებისა და მიწოდების პირობების, გაყიდვების წახალისების შესახებ ბიუჯეტის, გაყიდვების მეთოდების, სპეციალური სამოტივაციო ღონისძიებებისა და კამპანიების განსაზღვრას;
3. გაყიდვებისა და მარკეტინგის საქმიანობებთან დაკავშირებული საოპერაციო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავებასა და წარმართვას;
4. გაყიდვებისა და მარკეტინგის თანამშრომელთა საქმიანობების ხელმძღვანელობასა და მართვას;
5. ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვასა და მართვას;
6. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვა – დანახარჯების კონტროლსა და რესურსების ეფექტურ გამოყენებას;
7. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას;
8. ყრილობებზე, სავაჭრო გამოფენებსა და სხვა ფორუმებზე საწარმოსა თუ ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მარკეტინგის მენეჯერი;
- გაყიდვების მენეჯერი.

1222 ჯგუფური ერთეული
რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები

რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ საწარმოებისა და ორგანიზაციების, ან იმ საწარმოების რეკლამირების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კვლევისა და განვითარების საქმიანობას, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საწარმოსა და ორგანიზაციის რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობის დაგეგმვას, წარმართვასა და კოორდინაციას;
2. სარეკლამო კონტრაქტებზე კლიენტებთან ან გაზეთებთან, რადიოსა და ტელევიზიასთან, სპორტულ და კულტურულ ორგანიზაციებთან და სარეკლამო კომპანიებთან მოლაპარაკებებს;

3. კანონმდებლებისთვის, მასობრივი მედიასაშუალებებისა და საზოგადოებისთვის საწარმოსა თუ ორგანიზაციის გეგმების, მიღწევებისა და შეხედულებების გაცნობის მისზნით საინფორმაციო პროგრამების დაგეგმვასა და მართვას;
4. რეკლამირებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე თანამშრომელთა საქმიანობის ხელმძღვანელობასა და მართვას;
5. რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებასა, მართვასს და დანახარჯების კონტროლს;
6. ოპერატიული და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავებასა და წარმართვას;
7. ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვას;
8. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სარეკლამო მენეჯერი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

1223 ჯგუფური ერთეული
კვლევისა და განვითარების მენეჯერები

კვლევისა და განვითარების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ან იმ საწარმოების კვლევისა და განვითარების საქმიანობებს, რომლებიც მსგავს მომსახურებას სხვებს უწევენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ორგანიზაციის შიგნით ან გარე კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორცილებული ახალი ან გაუმჯობესებული ტექნიკური პროცესების, პროდუქტების, ცოდნის ან მასალების გამოყენების განვითარებისთვის კვლევისა და განვითარების საქმიანობების დაგეგმვას, წარმართვასა და კოორდინირებას;
2. მიზნებისა და საბიუჯეტო მოთხოვნების დაკონკრეტებისთვის საწარმოს ან ორგანიზაციის განვითარების პროგრამების დაგეგმვას ან ვრცელი კვლევის წარმოებას;
3. კვლევისა და განვითარების საკითხებზე მომუშავე თანამშრომელთა საქმიანობის ხელმძღვანელობასა და მართვას;
4. რესურსების ეფექტური გამოყენებ უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებას, მართვასა და დანახარჯების კონტროლს;
5. საოპერაციო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავებასა და წარმართვას;
6. ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვას;
7. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას;

8. ყრილობებზე, სემინარებსა და კონფერენციებზე საწარმოსა თუ ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პროდუქციის განვითარების მენეჯერი;
- კვლევების მენეჯერი.

13 ქვეჯგუფი
წარმოებისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები

წარმოებისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ საწარმოსა თუ ორგანიზაციის მიერ საქონლის წარმოებას, სპეციალისტებისა და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას, იმ საწარმოსა თუ ორგანიზაციის დეპარტამენტის ან გენერალური მენეჯერის სახით, რომელსაც მენეჯერთა იერარქიული სისტემა არ გააჩნია. ისინი პასუხისმგებლები არიან წარმოებაზე, სამთო მრეწველობაზე, მშენებლობაზე, ლოგისტიკაზე, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ფართომასშტაბიან სასოფლო-სამეურნეო, მეტყევეობასა და თევზჭერასთან დაკავშირებული საქმიანობებზე, ასევე, ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური კეთილდღეობის, საბანკო, სადაზღვევო და სხვა პროფესიონალურ და ტექნიკურ მომსახურებებზე. წინამდებარე ქვეჯგუფის პროფესიების დიდი ნაწილის შემთხვევაში, დაკისრებული ვალდებულებების კომპეტენტურად შესრულებისთვის მოითხოვება ISCO კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პროდუქციის გამოშვების, მომსახურების გაწევის, ხარისხის, რაოდენობის, ღირებულების, სამუშაოს დროულად შესრულების მოთხოვნებთან დაკავშირებული საქმიანობის დეტალების დაგეგმვას; სტანდარტების ჩამოყალიბებასა და მიზნების დასახვას; დანადგარებისა და პროცედურების მიმდინარეობის კონტროლს; წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფას; ტენდერებისა და საკონტრაქტო წინადადებების მომზადებას; ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას – ხარჯების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მონიტორინგს და საქმიანობების, პროცედურებისა და რესურსების დარეგულირებას; ახალი სამრეწველო დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენისა და დამონტაჟების ზედამხედველობას; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების კოორდინაციის დანერგვას; ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვასა და წარმართვას; თანამშრომელთა შერჩევას, გადამზადებასა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას; ანგარიშების, ბიუჯეტისა და წინასწარი პროგნოზების დოკუმენტის მომზადებასა ან მათი მომზადების უზრუნველყოფას; სხვა სააგენტოებთან ერთად, მოლაპარაკებებზე, ასევე, ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო მოსმენებსა და ფორუმებზე საწარმოს ან ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

131 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროებში წარმოების მენეჯერები;

132 წარმოების, სამთო-მოპოვებითი, მშენებლობისა და დისტრიბუციის მენეჯერები;

133 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების მენეჯერები.

134 პროფესიული მომსახურების მენეჯერი

შენიშვნა:

როგორც წესი, მეორე (პროფესიონალები) ან მესამე (ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები) ძირითად ჯგუფში გათვალისწინებულ პროფესიებს მოითხოვებათ სპეციალური კვალიფიკაცია და გრძელვადიანი გამოცდილება. რეგიონული

და სხვა უფროსი მენეჯერები, რომლებიც მართავენ და ზედამხედველობენ იმ ქვემდგომი მენეჯერების საქმიანობებს, რომელთაც გააჩნიათ ფართო სპექტრის ფუნქციონალური ვალდებულებები, ექცევიან 1120 ჯგუფურ ერთეულში – მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები.

131 მცირე ჯგუფი
სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროებში წარმოების მენეჯერები

სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროებში წარმოების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ ფართომასშტაბიან სოფლის მეიურნეობის, მებაღეობის, მეტყევეობის, წყლის კულტურებისა და თევზჭერის ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა: პლანტაციები, დიდი რანჩოები, კოლექტიური ფერმები და კოოპერატივები, მოსავლის ზრდა და მოსავლის აღება, შინაური საქონლის, თევზისა და კიბოსმაგვარების მოშენება და გაზრდა, თევზჭერა და წყლის ცხოვრების სხვა ფორმები.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კონტრაქტისა პირობებისა და ბაზრის მოთხოვნების შესასრულებლად საბაზრო საქმიანობის მონიტორინგსა და წარმოების დაგეგმვას; ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას – პროდუქციის გამოშვებისა და ხარჯების მონიტორინგს, იმგვარი ინფორმაციების შენახვას, როგორებიცაა: ფერმა და თევზჭერის მართვის პრაქტიკა, აგრეთვე, ფინანსური და ოპერატიული ანგარიშების მომზადება; მოსავლის, დაჭერილი თევზისა და საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით მყიდველებთან მოლაპარაკებების წარმართვას; პროდუქციის წარმოებისა და მართვის საკითხებზე ფერმერებთან, გემის კაპიტნებთან ან დამოუკიდებელ მესაკუთრეებთან ხელშეკრულებების გაფორმებას; ოპერაციების ტიპის, ინტენსიურობისა და მიმდევრობის დაგეგმვას; მანქანების, აღჭურვილობისა და მარაგის შესყიდვას; გარემოს ტოქსინების, სარეველას, მავნებლებისა და დაავადებების იდენტიფიცირებასა და კონტროლს; იმგვარი ოპერაციების (შენობების მოვლა-პატრონობის, წყლის მომარაგების სისტემისა და აღჭურვილობის) ორგანიზებას; დასასაქმებელთა და კონტრაქტორთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1311 სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის პროდუქტების წარმოების მენეჯერები;

1312 წყლის კულტურებისა და თევზჭერის პროდუქციის წარმოების მენეჯერები.

1311 ჯგუფური ერთეული
სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის პროდუქტების წარმოების მენეჯერები

სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის პროდუქტების წარმოების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ ფართომასშტაბიან სოფლის მეურნეობის, მებაღეობის, მეტყევეობის, წყლის კულტურებისა და თევზჭერის ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა: პლანტაციები, დიდი რანჩოები, კოლექტიური ფერმები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მოსავლის ზრდა და მოსავლის აღება, შინაური საქონლის მოშენება.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კონტრაქტისა და ბაზრის მოთხოვნების შესასრულებლად სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მონიტორინგსა და წარმოების დაგეგმვას;
2. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას – პროდუქციის გამოშვებისა და ხარჯების მონიტორინგს, იმგვარი ინფორმაციის შენახვას, როგორიცაა ფერმის მართვის პრაქტიკა, ასევე, ფინანსური და საოპერაციო ანგარიშების მომზადებას;
3. მოსავლისა და საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით მყიდველებთან მოლაპარაკებებს;
4. მოსავლისა და საქონლის წარმოებაზე, ან წარმოების მართვაზე ფერმერებთან ან დამოუკიდებელ მესაკუთრეებთან ხელშეკრულებების გაფორმებას;
5. ოპერაციების ტიპის, ინტენსიურობისა და მიმდევრობის დაგეგმვას (მაგ., მოსავლის დათესვის, მორწყვისა და მოსავლის აღების საუკეთესო დროის განსაზღვრას);
6. მაქსიმალური წარმოების მიღებისათვის აუცილებელი სასუქის ტიპისა და რაოდენობის განსაზღვრის მიზნით მიწის კვლევა-ანალიზს;
7. მანქანების, აღჭურვილობისა და მარაგის შესყიდვას, როგორებიცაა: ტრაქტორები, თესლი, სასუქი და ქიმიკატები;
8. სოფლის მეურნეობისა და გარემოს ტოქსინების, სარეველას, მავნებლებისა და დაავადებების იდენტიფიცირებასა და კონტროლს;
9. იმგვარი ოპერაციების (შენობების მოვლა-პატრონობის, წყლის მომარაგების სისტემისა და აღჭურვილობის) ორგანიზებას;
10. დარგვის, მორწყვის, ქიმიკატების გამოყენების, მოსავლის აღებისა და დახარისხების საქმიანობების მართვასა და კოორდინაციას;
11. კულტურების სიმწიფის განსაზღვრის ან წყლის მიერ მატი პოტენციური დაზიანების შეფასებისთვის პლანტაციებისა და მინდვრების ინსპექტირებას;
12. დასასაქმებელთა და კონტრაქტორთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეტყევეობის მენეჯერი;
- პლანტაციების მენეჯერი;
- რანჩოს მენეჯერი.

<u>1312 ჯგუფური ერთეული</u>
წყლის კულტურებისა და თევზჭერის პროდუქციის წარმოების მენეჯერები

წყლის კულტურებისა და თევზჭერის პროდუქციის წარმოების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ ფართომასშტაბიან წყლის კულტურებისა და თევზჭერის ისეთ

საქმიანობებს, როგორებიცაა: თევზებისა და კიბოსიანების დაჭერა ან გაზრდა, ასევე, წყლის ცხოვრების სხვა საქმიანობების, მაგ., სასაქონლო კულტურების ან თევზების სუფთა ან მარილიან წყლებში გაშვება.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კონტრაქტისა და ბაზრის მოთხოვნების შესასრულებლად წყლის კულტურისა და თევზჭერის მონიტორინგსა და დაგეგმვას;
2. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას, პროდუქციის გამოშვებისა და ხარჯების მონიტორინგს, იმგვარი ინფორმაციის შენახვას, როგორიცაა თევზჭერის მართვის პრაქტიკა, აგრეთვე, ფინანსური და საოპერაციო ანგარიშების მომზადებას;
3. მოსავლისა და დანაჭერი თევზის გაყიდვაზე მყიდველებთან მოლაპარაკებებს;
4. თევზჭერასა და წყლის კულტურის საქმიანობებთან დაკავშირებით, ან პროდუქციის მართვის მიზნით გემის კაპიტნებთან ან ხომალდის მესაკუთრეებსა და წყლის კულტურების ფერმებთან ხელშეკრულებების გაფორმებას;
5. დაავადებებისა თუ პარაზიტების იდენტიფიცირების მიზნით წყლის კულტურის ან თევზჭერის პროდუქციის შემოწმების ჩატარებასა და ორგანიზებას;
6. თევზის მოშენებისა და ზრდის დონის გაუმჯობესების დაგეგმვასა და კოორდინირებას, ასევე, თევზსაშენში დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას;
7. წყლის ცხოვრების პირობების შენარჩუნების ან გაუმჯობესების მიზნით გარემოს მონიტორინგს;
8. თევზის ანკესების ორგანიზებისა და მათ მიერ ქვირითის დაყრის პროცესის წარმართვასა და მონიტორინგს, ასევე, პროცესის მართვისა და თევზის კულტურის ტექნიკების ცოდნის გამოყენებით თევზის კვერცხის ინკუბაციასა და წვრილი თევზის მოშენებას;
9. ლიფსიტების შერჩევისა და მოვლის კოორდინირებას;
10. ტბებში, გუბეებში, მდინარეებსა თუ კომერციულ თევზსაშენებში მოწიფული თევზის გაშვების მართვასა და მონიტორინგს;
11. მანქანების, აღჭურვილობისა და მარაგების (გემები და ბადეები) შესყიდვას;
12. გემების, ნავებისა და აღჭურვილობის მოვლა-პატრონობას;
13. წყლის კულტურების ან მეთევზეებისა და კონტრაქტორთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- წყლის კულტურების პროდუქციის მენეჯერი;
- თევზჭერის ოპერაციების მენეჯერი;
- კაპიტანი (თევზჭერა);
- ტრალერის მენეჯერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- თევზის ფერმერი – 6221

132 მცირე ჯგუფი
წარმოების, სამთო-მოპოვების, მშენებლობისა და დისტრიბუციის მენეჯერები

წარმოების, სამთომოპოვების, მშენებლობისა და დისტრიბუციის მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ სამრეწველო, მინერალების მოპოვების, სამშენებლო, მომარაგების, დასაწყობებისა და ტრანსპორტირების ოპერაციებს, იმ საწარმოსა თუ ორგანიზაციის დეპარტამენტის ან გენერალური მენეჯერის მსგავსად, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯერთა იერარქიული სისტემა.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პროდუქციის გამოშვების ხარისხის, რაოდენობისა და ღირებულების, სამუშაოს დროულად შესრულების მოთხოვნებთან მიმართებაში საქმიანობის დეტალების დაგეგმვას; სამუშაო საათების განსაზღვრისა და აღჭურვილობის მომარაგებით სამრეწველო დანადგარების ოპერირებისა და ხარისხის პროცედურების კონტროლის დაგეგმვასა და მოვლა-პატრონობას; ტენდერებისა და საკონტრაქტო წინადადებების მომზადებას; ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას, ხარჯების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მონიტორინგსა და საქმიანობების, პროცედურებისა და რესურსების დარეგულირებას; ახალი სამრეწველო დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენისა და დამონტაჟების ზედამხედველობას; პროდუქციის ჩანაწერებისა და ანგარიშების მომზადების კონტროლს; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების კოორდინაციის იმპლემენტაციას; ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვასა და წარმართვას; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1321 წარმოების მენეჯერები;

1322 სამთო-მოპოვებითი საქმიანობის მენეჯერები;

1323 მშენებლობის მენეჯერები;

1324 მომარაგების, დისტრიბუციისა და მონათესავე სფეროს მენეჯერები.

1321 ჯგუფური ერთეული
წარმოების მენეჯერები

წარმოების მენეჯერები გეგმავენ, წმართავენ და კოორდინირებენ საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის წარმოებასთან, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება-დისტრიბუციასთან, ნარჩენების შეგროვებასთან, დამუშავებასა და მართვასთან. ისინი შესაძლებელია, მართავდნენ დიდი საწარმოების წარმოების დეპარტამენტებს ან წარმოადგენდნენ პატარა სამრეწველო კომპანიების მენეჯერებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროდუქციის სტრატეგიის, პოლიტიკისა და გეგმების განსაზღვრას, იმპლემენტაციასა და მონიტორინგს;
2. პროდუქციის გამოშვების ხარისხისა და რაოდენობის, ღირებულების, სამუშაოს დროულად შესრულების მოთხოვნებისთვის საქმიანობის დეტალების დაგეგმვას;
3. დაგეგმვისა და მოვლა-პატრონობის, სამუშაო საათების განსაზღვრისა და ნაწილებისა და ხელსაწყოების მომარაგებით სამრეწველო დანადგარების ოპერირებასა და ხარისხის პროცედურების კონტროლს;
4. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას, ხარჯების მინიმუმამდე დასაყვანად მონიტორინგსა და საქმიანობების, პროცედურებისა და რესურსების დარეგულირებას;
5. ახალი სამრეწველო დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენისა და დამონტაჟების ზედამხედველობას;
6. პროდუქციის ჩანაწერებისა და ანგარიშების მომზადების კონტროლს;
7. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების კოორდინაციის იმპლემენტაციას;
8. ბიზნეს შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და წარმოებისთვის გამზადებული პროდუქციის განსაზღვრას;
9. სამრეწველო ოპერაციებსა და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე რეგულაციური და კანონით განსაზღვრული მოთხოვნების კვლევასა და იმპლემენტაციას;
10. სპეციალური საქონლის წარმოებისთვის კოტირების დებულებების ზედამხედველობასა და მომხმარებლებსა და მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებას;
11. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეწარმე;
- წარმოების მენეჯერი;
- წარმოებისა და ოპერაციების მენეჯერი (წარმოება).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- წარმოების ზედამხედველი (წარმოება) – 3122.

<u>1322 ჯგუფური ერთეული</u>
სამთო-მოპოვებითი საქმიანობის მენეჯერები

სამთო-მოპოვებითი საქმიანობის მენეჯრები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია სამთომოპოვებით წარმოებასთან, კარიერისა და ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვების ოპერირებასთან, იმ საწარმოსა თუ ორგანიზაციის დეპარტამენტის ან გენერალური მენეჯერის მსგავსად, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯერთა იერარქიული სისტემა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვა მენეჯერებთან მოლაპარაკებებით, პროდუქციის კვოტების, მოპოვების ადგილმდებარეობის დადგენასა და ნედლეულის ამოღების პოლიტიკის განვითარებას;
2. დასაქმებული პერსონალისა და გამოყენებული აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოს გრაფიკსა ან აღჭურვილობაში ცვლილებების შეტანის დასადაგენად წარმოების ადგილების ეფექტურობის შეფასებას;
3. პროდუქციის გამოშვების ხარისხისა და რაოდენობის, ღირებულების, სამუშაოს დროულად შესრულებისა და შრომით მოთხოვნებთან მიმართებით წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის დეტალების დაგეგმვას;
4. დაგეგმვისა და მოვლა-პატრონობის, სამუშაო საათების განსაზღვრისა და ნაწილებისა და ხელსაწყოების მომარაგებით სამრეწველო დანადგარების ოპერირებისა და ხარისხის პროცედურების კონტროლს;
5. ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას, ხარჯების რაოდენობის მინიმუმამდე დასაყვანად მონიტორინგსა და საქმიანობების, პროცედურებისა და რესურსების დარეგულირებას;
6. ახალი სამრეწველო დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენისა და დამონტაჟების ზედამხედველობას;
7. პროდუქციის ჩანაწერებისა და ანგარიშების მომზადების კონტროლს;
8. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების კოორდინაციის იმპლემენტაციას;
9. სამრეწველო ოპერაციებისა და გარემოსთან დაკავშირებული საკითხებზე რეგულაციური და კანონით განსაზღვრული მოთხოვნების კვლევასა და იმპლემენტაციას;
10. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მაღაროს მენეჯერი;
- წარმოების მენეჯერი (მაღარო);
- წარმოების მენეჯერი (ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება);
- წარმოების მენეჯერი (კარიერის მოპოვება);
- კარიერის მოპოვების მენეჯერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მაღაროს უფროსის მოადგილე – 3121;
- მაღაროს ზედამხედველი – 1321;
- მაღაროს მენეჯერის მოადგილე – 1321;
- კარიერის მოპოვების ზედამხედველი – 1321.

<u>1323 ჯგუფური ერთეული</u>
მშენებლობის მენეჯერები

მშენებლობის მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ სამოქალაქო-საინჟინრო პროექტების, შენობებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას იმ საწარმოსა თუ ორგანიზაციის დეპარტამენტის ან გენერალური მენეჯერის მსგავსად, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯერთა იერარქიული სისტემა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. არქიტექტურული ნახაზებისა და ტექნიკური პირობების ინტერპრეტაციას;
2. სამუშაო რესურსისა და შესყიდვების კოორდინაციას, ასევე, მასალების, დანადგარებისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფას;
3. ბიუჯეტის ფარგლებში პროექტების დროულად დასრულების უზრუნველსაყოფად მშენებლობის პროცესში მონაწილე შენობის მეპატრონეებთან, საკუთრების დეველოპერებსა და ქვეკონტრაქორებთან მოლაპარაკებების წარმართვას;
4. ტენდერებისა და საკონტრაქტო წინადადებების მომზადებას;
5. მშენებლობის ადგილებისთვის კოორდინირებული სამუშაო პროგრამების ოპერირებასა და იმპლემენტაციას;
6. შენობის რეგულაციებთან, სამუშაოს შესრულების სტანდარტებთან, ხარისხთან, ხარჯებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
7. ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ნახაზების წარდგინების ორგანიზებას;
8. კონტრაქტის ან ქვეკონტრაქტის სპეციალური მშენებლობის მომსახურებების შესაბამისად მშენებლობის წარმოებას;
9. შესაბამისი დაწესებულებების მიერ შენობის ინსპექტორების უზრუნველყოფას;
10. ხარჯების კონტროლსა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფად ფაბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას;
11. თანამშრომელთა და ქვეკონტარქტორთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სამოქალაქო-საინჟინრო პროექტის მენეჯერი;
- მშენებლობის პროექტის მენეჯერი;
- მშენებლობის პროექტის ხელმძღვანელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- შენობის მშენებლობის ზედამხედველები – 3123;
- საცხოვრებელი სახლების მშენებელი – 7111.

<u>1324 ჯგუფური ერთეული</u>

მომარაგების, დისტრიბუციისა და მონათესავე სფეროს მენეჯერები

მომარაგების, დისტრიბუციისა და მონათესავე სფეროს მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ მგზავრთა ტრანსპორტირების სისტემასა და საშუალებებს და საქონლის მიწოდებას, ტრანსპორტირებას, დასაწყობებასა და დისტრიბუციას, იმ საწარმოსა თუ ორგანიზაციის დეპარტამენტის ან გენერალური მენეჯერის მსგავსად, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯერთა იერარქიული სისტემა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შესყიდვის, დასაწყობებისა და დისტრიბუციის სტრატეგიების, პოლიტიკისა და გეგმების განსაზღვრას, იმპლემენტაციასა და მონიტორინგს;
2. მარაგის საჭირო დონის მინიმალური ხარჯების შენახვისთვის გეგმების მომზადებასა და იმპლემენტაციას;
3. ხარისხის, ხარჯებისა და მიწოდების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მომწოდებლებთან კონტრაქტებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვას;
4. მიწოდების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მარაგის დონის გასაკონტროლებლად საწყობისა და ინვენტარის სისტემების მონიტორინგსა და გადახედვას;
5. საგზაო ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, მატარებლებში, ხომალდებსა თუ თვითმფრინავებში ტვირთის ჩატვირთვის ზედამხედველობას;
6. საქონლის გადაადგილების მონიტორინგის მიზნით ჩანაწერების სისტემების ოპერირებსაა და ოპტიმალური დროის მონაკვეთში ხელახალი მომარაგებით უზრუნველყოფას;
7. გასატანი საქონლისა და ასოცირებული ტრანსპორტირების მოთხოვნებთან დაკავშირებით სხვა დეპარტამენტებსა და მომხმარებლებთან კავშირების დამყარებას;
8. შესყიდვის, დასაწყობებისა და დისტრიბუციასთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის შენახვის ზედამხედველობას;
9. ხარჯების კონტროლისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას;
10. საოპერაციო და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა-შემუშავებას;
11. ყოველდღიური ოპერაციების დაგეგმვასა და მართვას;
12. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავტობუსის სადგურის მენეჯერი;
- ლოგისტიკის მენეჯერი;
- შესყიდვების მენეჯერი;
- რკინიგზის სადგურის მენეჯერი;
- რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელი;
- მიწოდებისა და დისტრიბუციის მენეჯერი;
- მიწოდების ქსელის მენეჯერი;
- სატრანსპორტო კომპანიის მენეჯერი;
- ურბანული სატრანზიტო სისტემის მენეჯერი;
- საწყობის მენეჯერი.

შენიშვნა:

აეროპორტების, სარკინიგზო კომპანიების, ურბანული სატრანსპორტო სისტემებისა და სხვა სატრანსპორტო კორპორაციების მთავარი აღმასრულებელი დირექტორები, რომელთაც გააჩნიათ მენეჯერთა იერარქიული სისტემა, მოქცეულნი არიან 1120 ჯგუფურ ერთეულში – მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები.

133 მცირე ჯგუფი

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების მენეჯერები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ კომპიუტერული და კავშირგაბმულობის სისტემების შეძენას, განვითარებას, მოვლა-პატრონობასა და გამოყენებას, იმ საწარმოსა თუ ორგანიზაციის დეპარტამენტის ან გენერალური მენეჯერის მსგავსად, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯერთა იერარქიული სისტემა.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კომპიუტერული და სისტემის მოთხოვნების შესაფასებლად, ტექნოლოგიების ხსენებული მოთხოვნების შესრულების დასაზუსტებლად მომხმარებლებთან, ხელმძღვანელობასთან, მიმწოდებლებსა და ტექნიკოსებთან კონსულტაციების გამართვას; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის, პოლიტიკისა და გეგმების ფორმულირებასა და წარმართვას; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რესურსების შერჩევისა და დამონტაჟების წარმართვასა და მომხმარებელთა გადამზადების უზრუნველყოფას; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერაციების, სამუშაოს ანალიზის, პრიორიტეტების, სტანდარტებისა და ბოლო ვადის დადგენას; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემების უსაფრთხოების ზედამხედველობას; სისტემის ანალიტიკოსების, პროგრამისტებისა და კომპიუტერთან დაკავშირებული მუშაკების სამუშაოს განაწილებას, გადახედვას, მართვასა და ხელმძღვანელობას; ორგანიზაციის მიერ ტექნოლოგიების გამოყენების, საჭიროებებისა (კომპიუტერული ტექნიკისა) და რეკომენდებული გაუმჯობესების (პროგრამების განახლების) შეფასებას; ხარჯების კონტროლისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას; საოპერაციო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავებას; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას; ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ყრილობებზე, სემინარებსა და კონფერენციებზე საწარმოსა ან ორგანიზაციის წარმდგინება.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1330 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების მენეჯერები.

1330 ჯგუფური ერთეული
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების მენეჯერები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ კომპიუტერული და კავშირგაბმულობის სისტემების შეძენას, განვითარებას, მოვლა-პატრონობასა და გამოყენებას, საწარმოსა თუ ორგანიზაციის დეპარტამენტის ან გენერალური მენეჯერის მსგავსად, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯერთა იერარქიული სისტემა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კომპიუტერული და სისტემის მოთხოვნების შესაფასებლად და ტექნოლოგიების ხსენებული მოთხოვნების შესასრულების დასაზუსტებლად მომხმარებლებთან, ხელმძღვანელობასთან, მიმწოდებლებსა და ტექნიკოსებთან კონსულტაციების გამართვას;
2. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის, პოლიტიკისა და გეგმების ფორმულირებასა და წარმართვას;
3. მომხმარებელთა გადამზადების უზრუნველსაყოფად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რესურსების შერჩევასა და დამონტაჟებას;
4. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერაციების, სამუშაოს ანალიზის, პრიორიტეტების, სტანდარტებისა და ბოლო ვადის დადგენას;
5. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემების უსაფრთხოების ზედამხედველობას;
6. სისტემის ანალიტიკოსების, პროგრამისტებისა და კომპიუტერთან დაკავშირებული დასაქმებულებისთვის სამუშაოს განაწილებას, გადახედვას, მართვასა და ხელმძღვანელობას;
7. ორგანიზაციის მიერ ტექნოლოგიების გამოყენების, საჭიროებებისა (კომპიუტერული ტექნიკისა) და რეკომენდებული გაუმჯობესების (პროგრამების განახლების) შეფასებას;
8. ხარჯების კონტროლისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას;
9. საოპერაციო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავებას;
10. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას;
11. ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ყრილობებზე, სემინარებსა და კონფერენციებზე საწარმოსა ან ორგანიზაციის წარდგინება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აპლიკაციების განვითარების მენეჯერი;
- ოპერაციების უფროსი ოფიცერი;
- მონაცემთა ოპერაციების მენეჯერი;
- მონაცემთა გადამუშავების მენეჯერი;
- საინფორმაციო სისტემების დირექტორი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი (IT მენეჯერი);

- ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერი;
- ქსელის მენეჯერი.

134 მცირე ჯგუფი
პროფესიული მომსახურებების მენეჯერები

პროფესიული მომსახურებების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ ბავშვის მოვლას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, განათლებასა და სხვა პროფესიულ მომსახურებებს, ასევე, მართავენ იმ ინსტიტუტების შტოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსურ და სადაზღვევო მომსახურებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დაწესებულებების მომსახურებებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით პოლიტიკისა და გეგმების ფორმულირებას; სტანდარტებისა და მიზნების ჩამოყალიბებას; კლიენტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად პროგრამებისა და მომსახურებების განვითარებასა და იმპლემენტაციას; გამოყოფილი რესურსების მართვასა და კოორდინაციას; თანამშრომლობისა და კოორდინაციის სფეროების განსახილველად მშობლებთან, საბჭოებთან, დამფინანსებელ ორგანოებთან, საზოგადოების წარმომადგენლებსა და შესაბამის სააგენტოებთან კავშირების დამყარებას; დანახარჯების მონიტორინგსა და კონტროლს; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას; ანგარიშების, ბიუჯეტისა და წინასწარი პროგნოზების დოკუმენტების მომზადებასა და ორგანიზებას; სხვა სააგენტოებთან მოლაპარაკებებზე, აგრეთვე, ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო მოსმენებსა და ფორუმებზე საწარმოსა ან ორგანიზაციის წარდგინება.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1341 ბავშვის მოვლის მომსახურებების მენეჯერები;
1342 ჯანდაცვის სფეროსმომსახურებების მენეჯერები;
1343 მოხუცებულთა მოვლის მომსახურებების მენეჯერები;
1344 სოციალური კეთილდღეობის სფეროს მენეჯერები;
1345 განათლების სფეროს მენეჯერები;
1346 ფინანსური და სადაზღვევო მომსახურების ფილიალის მენეჯერები;
1349 პროფესიული მომსახურებების მენეჯერები, რომლებიც სხვა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან.

შენიშვნა:

პროფესიული მომსახურებების მენეჯერები პასუხისმგებლები არიან სპეციალური პროფესიული და ტექნიკური მომსახურებების დაგეგმვაზე, წარმართვასა და კოორდინაციაზე. როგორც წესი, იმ პროფესიებს, რომლებიც გათვალისწინებულია მეორე (პროფესიონალები) და მესამე ძირითადი ჯგუფით (ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული

პროფესიონალები) მოეთხოვებათ სპეციალური კვალიფიკაცია და გრძელვადიანი გამოცდილება.

1341 ჯგუფური ერთეული
ბავშვის მოვლის მომსახურებების მენეჯერები

ბავშვის მოვლის მომსახურებების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ, კოორდინირებენ და აფასებენ ბავშვის მოვლის მომსახურებების უზრუნველყოფას სკოლამდელ, სკოლის შემდგომ, სხვადასხვა (დღისა და საზაფხულო) სერვის ცენტრებში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ახალგაზრდა ბავშვების ფიზიკური, სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების პროგრამების შემუშავებასა და იმპლემენტაციას;
2. ბიუჯეტის შემუშავებასა და მონიტორინგს, ასევე, თანამშრომლებისთვის თანხების, მარაგის, მასალების, აღჭურვილობისა და ტექნიკური მოწყობილობების გამოყოფის განსაზღვრას;
3. სკოლამდელ, სკოლის შემდგომ, დღისა და საზაფხულო ცენტრებში ბავშვთა მოვლის უზრუნველყოფის ზედამხედველობასა და კოორდინაციას;
4. ბავშვების მოვლის პროცესში მომვლელების ზედამხედველობას;
5. ბავშვების, თანამშრომლებისა და ვიზიტორების ცენტრების უსაფრთხოების, აღჭურვილობისა და ჰიგიენის უზრუნველსაყოფად შენობების მართვას;
6. სამთავრობო კოდების გადახედვასა და ინტერპრეტაციას, ასევე, კოდებთან დაკავშირებული პროცედურების განვითარებას (მაგ., უსაფრთხოებასთან დაკავშირებით);
7. ბავშვთა პროგრესის მონიტორინგსა და მშობლებსა ან მეურვეებთან თანამშრომლობას;
8. ბავშვთა მოვლის ცენტრებისთვის ჩანაწერებისა და ანგარიშების მომზადებასა და შენარჩუნებას;
9. თანამშრომელთა სამსახურში აყვანასა და შეფასებას, ასევე, მათი პროფესიონალური განვითარების კოორდინაციას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- ბავშვთა მოვლის ცენტრის მენეჯერი.

1342 ჯგუფური ერთეული
ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების მენეჯერები

ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ, კოორდინირებენ და აფასებენ საავადმყოფოებში, კლინიკებში, საჯარო ჯანმრთელობის დაცვის სააგენტოებსა და მსგავს ორგანიზაციებში კლინიკური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომსახურებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა თუ ცენტრების საქმიანობების ზოგადი მართვისა და მენეჯმენტის უზრუნველყოფას;
2. სამედიცინო, საექთნო, ტექნიკური, საკანცელარიო, მომსახურების, მოვლა-პატრონობისა და სხვა სფეროს პერსონალის საქმიანობების წარმართვას, ზედამხედველობასა და შეფასებას;
3. მათ მიერ მართული ერთეულებისთვის მიზნებისა და შეფასებითი ან ოპერატიული კრიტერიუმების ჩამოყალიბებას;
4. თანამშრომელთა სამსახურში აყვანას და პერსონალის გადამზადებასა ან ორგანიზებას;
5. სამედიცინო, საექთნო, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის პროცედურების, პოლიტიკისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სტანდარტების შემუშავებას, განვითარებას, იმპლემენტაციასა და მონიტორინგს;
6. რესურსების ეფექტური გამოყენებისა და დამატებითი პერსონალის, აღჭურვილობისა და მომსახურებების საჭიროების შეფასების უზრუნველსაყოფად დიაგნოსტიკური მომსახურებების, სტაციონალური საწოლების, მოწყობილობებისა და პერსონალის გამოყენების მონიტორინგს;
7. ადმინისტრაციული ოპერაციების (მაგ.: ბიუჯეტის დაგეგმვის, ანგარიშების მომზადებისა და მარაგის, აღჭურვილობისა და მომსახურებების) ხარჯების კონტროლს;
8. მომსახურებების კოორდინირების უზრუნველსაყოფად სხვა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების პროვაიდერებთან, საბჭოებსა და დამფინანსებელ ორგანოებთან კავშირების დამყარებას;
9. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებებისა და დაწესებულებების გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომების შესახებ სამთავრობო ორგანოებისთვის რეკომენდაციების მიწოდებას;
10. მოლაპარაკებებზე, ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო გამოსვლებსა და ფორუმებზე ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უფროსი სპეციალისტი;
- კლინიკის დირექტორი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის კოორდინატორი;
- საექთნო განყოფილების დირექტორი;
- ჯანმრთელობის დაწესებულების ადმინისტრატორი;
- საავადმყოფოს დირექტორი;
- სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- მოხუცებულთა მოვლის მომსახურებების მენეჯერი – 1343.

1343 ჯგუფური ერთეული
მოხუცებულთა მოვლის მომსახურებების მენეჯერები

მოხუცებულთა მოვლის მომსახურებების მენეჯერებიგეგმავენ, წარმართავენ, კოორდინაციას უწევენ და აფასებენ საცხოვრებელი და ინდივიდუალური მოვლის მომსახურებების აღმოჩენას იმ ადამიანებისა და ოჯახებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მსგავს მომსახურებებს წლების მატებასთან დაკავშირებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომსახურებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა თუ ცენტრების საქმიანობების მენეჯმენტს;
2. სამედიცინო, საექთნო, ტექნიკური, საკანცელარიო, მომსახურების, მოვლა-პატრონობისა და სხვა სფეროს პერსონალის საქმიანობების მართვას, ზედამხედველობასა და შეფასებას;
3. მათ მიერ მართული ერთეულებისთვის მიზნებისა და შეფასებითი ან ოპერატიული კრიტერიუმების ჩამოყალიბებას;
4. თანამშრომელთა სამსახურში აყვანისა და პერსონალის გადამზადების მართვასა ან ორგანიზებას;
5. სამედიცინო, საექთნო, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის პროცედურების, პოლიტიკისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სტანდარტების შემუშავებას, განვითარებას, იმპლემენტაციასა და მონიტორინგს;
6. მოხუცებულთა სოციალური პროგრამებისა და მოვლის კოორდინაციასა და ადმინისტრირებას;
7. ადმინისტრაციული ოპერაციების (მაგ.: ბიუჯეტის დაგეგმვის, ანგარიშების მომზადებისა და მარაგის, აღჭურვილობისა და მომსახურებების) ხარჯების კონტროლს;
8. მომსახურებების კოორდინირების უზრუნველსაყოფად სხვა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების პროვაიდერებთან, საბჭოებსა და დამფინანსებელ ორგანოებთან დაკავშირებას;
9. სამთავრობო ორგანოებისთვის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებებისა და დაწესებულებების გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომების შესახებ რეკომენდაციების მიცემას;
10. მოლაპარაკებებზე, ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო გამოსვლებსა და ფორუმებზე ორგანიზაციის წარდგინებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მოხუცებულთა სახლის დირექტორი;
- მოხუცებულთა მოვლის საზოგადოებრივი დაწესებულების კოორდინატორი;
- მოხუცებულთა თავშესაფრის დირექტორი;
- პენსიონერთა სოფლის კოორდინატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- ჯანდაცვის მომსახურებების მენეჯერი – 1342.

1344 ჯგუფური ერთეული
სოციალური კეთილდღეობის სფეროს მენეჯერები

სოციალური კეთილდღეობის სფეროს მენეჯერები გეგმავენ, მართავენ, კოორდინირებენ და აფასებენ სოციალური და საზოგადოებრივი მომსახურების შემდეგ პროგრამებს: შემოსავლის უზრუნველყოფას, ოჯახის დახმარებას, ბავშვთა და სხვა საზოგადოებრივ პროგრამებსა და მომსახურებებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომსახურებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა თუ ცენტრების საქმიანობების მენეჯმენტს;
2. პერსონალისთვის პროცედურების, პოლიტიკისა და სტანდარტების შემუშავებას, განვითარებას, იმპლემენტაციასა და მონიტორინგს;
3. სოციალური დახმარების, განთავსებისა და სხვა სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წყაროების მონიტორინგსა და შეფასებას;
4. ადმინისტრაციული ოპერაციების (მაგ.: ბიუჯეტის დაგეგმვის, ანგარიშების მომზადებისა და მარაგის, აღჭურვილობისა და მომსახურებების) ხარჯების კონტროლს;
5. ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურებების სფეროში თანამშრომლობისა და კოორდინირების საკითხების განსახილველად სხვა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების პროვაიდერებთან, საბჭოებსა და დამფინანსებელ ორგანოებთან კავშირების დამყარებას;
6. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებებისა და დაწესებულებების გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომების შესახებ სამთავრობო ორგანოებისთვის რეკომენდაციების მიცემას;
7. მოლაპარაკებებზე, ყრილობებზე, სემინარებზე, საჯარო გამოსვლებსა და ფორუმებზე ორგანიზაციის წარდგინებას;
8. დანახარჯებზე კონტროლისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას;
9. საოპერაციო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავებასა და მართვას;
10. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საზოგადოებრივი ცენტრის მენეჯერი;
- საოჯახო მომსახურების მენეჯერი;
- განთავსების მომსახურების მენეჯერი;
- სოციალური მომსახურების ცენტრის მენეჯერი.

1345 ჯგუფური ერთეული
განათლების სფეროს მენეჯერები

განათლების სფეროს მენეჯერები გეგმავენ, მართავენ, კოორდინირებენ და აფასებენ საგანმანათლებლო მომსახურებების, დამწყები და საშუალო სკოლების, კოლეჯებისა და ფაკულტეტების, ასევე, უნივერსიტეტის დეპარტამენტებისა და სხვა ~~საგანმანათლებლო~~ დაწესებულებების საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ ასპექტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. განათლების სფეროს თანამდებობის პირებისა და მმართველი ორგანოების მიერ დადგენილი ჩარჩოს საფუძველზე საგანმანთლებლო პროგრამების განსაზღვრას;
2. სკოლის ფუნქციონირებისა და სტუდენტთა ჩართულობის მონიტორინგის მიზნით სისტემებისა და პროცედურების იმპლემენტაციას;
3. სტუდენტების მიღებასა და საგანმანათლებლო მომსახურებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და საკანცელარიო საქმიანობების მართვას;
4. ადმინისტრაციული ოპერაციების (მაგ.: ბიუჯეტის დაგეგმვის, ანგარიშების მომზადებისა და მარაგის, აღჭურვილობისა და მომსახურებების) ხარჯების კონტროლს;
5. სასწავლო, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ასევე, სტუდენტებისთვის სახელმძღვანელო წესების უზრუნველყოფასა და მათ ხელმძღვანელობას;
6. საკლასო ოთახების დათვალიერებით, სასწავლო მეთოდიკის დაკვირვებით, საინსტრუქციო მიზნების გადახედვითა და სასწავლო მასალების განხილვით მასწავლებელთა და ლექტორთა სამუშაოს შეფასებას;
7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელშეწყობას, მომსახურებისა თუ ინსტიტუტის ფართო საზოგადოებისთვის წარდგენას;
8. საგანმანათლებლო დაწესებულებების მოვლა-პატრონობის ზედამხედველობას;
9. სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის უსაფრთხო და ხელისშემწყობი გარემოს უზრუნველსაყოფად დისციპლინის კოდექსის განვითარებასა და ამოქმედებას;
10. მშობლებთან, საზოგადოებრივ ჯგუფებსა და სპონსორებთან თანამშრომლობით დამატებითი ფულადი სახსრების მოძიებასა და იმპლემენტაციას;
11. თანამშრომლების შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კოლეჯის დირექტორი;
- რექტორი (უნივერსიტეტის);
- დამრიგებელი;
- სკოლის დირექტორი.

1346 ჯგუფური ერთეული
ფინანსური და სადაზღვევო მომსახურების ფილიალის მენეჯერები

ფინანსური და სადაზღვევო მომსახურების ფილიალის მომსახურების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ ინსტიტუტების იმ სფეროებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთ ფინანსურ და სადაზღვევო მომსახურებების მიწოდებას, როგორებიცაა: ბანკები, საფინანსო საზოგადოებები, საკრედიტო კავშირები და სადაზღვევო კომპანიები. ისინი კლიენტებს აძლევენ რჩევებს და ეხმარებიან საფინანსო და სადაზღვევო საკითხებზე.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფილიალში თანამშრომელთა საქმიანობების დაგეგმვას, წარმართვასა და კოორდინაციას;
2. ინდივიდუალურ და ბიზნეს კლიენტებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას;
3. კლიენტებისთვის ფინანსურ და სადაზღვევო საჭიროებებსა და კანონის ცვლილებებზე რჩევების მიცემასა და დახმარებას;
4. სასესხო და სადაზღვევო განაცხადების განხილვას, შეფასებასა და დამუშავებას;
5. კრედიტის ვადის გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მონიტორინგს;
6. ფინანსური გამოძიებების ჩატარებას;
7. ნაღდი ფულისა და ფინანსური ინსტრუმენტების ნაკადის ზედამხედველობას, ასევე, ფინანსური და მარეგულირებელი ანგარიშების მომზადებას;
8. კომერციული, უძრავი ქონების დანიშნულების საკრედიტო ხაზებისა და პირადი სესხების დამტკიცებასა ან უარის თქმას, ან კიდევ, მათი დამტკიცების ან მათზე უარის თქმის კოორდინაციას;
9. კომპანიის სხვა ფილიალებთან თანამშრომლობის კოორდინაციას;
10. დანახარჯებზე კონტროლის დასაწესებლად და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას;
11. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბანკის მენეჯერი;
- საფინანსო საზოგადოების მენეჯერი;
- საკრედიტო კავშირის მენეჯერი;
- საფინანსო ინსტიტუტის ფილიალის მენეჯერი;
- სადაზღვევო სააგენტოს მენეჯერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფინანსური მენეჯერი – 1211;
- საკრედიტო და სესხების ოფიცრები – 3312;
- სადაზღვევო აგენტი.

1349 ჯგუფური ერთეული
პროფესიული მომსახურებების მენეჯერები, რომლებიც სხვა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს მენეჯერებს, რომლებიც გეგმავენ, მართავენ, კოორდინირებენ და აფასებენ სპეციალიზებულ პროფესიულ და ტექნიკურ მომსახურებებს და არ მიეკუთვნებიან 121 მცირე (ბიზნეს მომსახურებები და ადმინისტრაციის მენეჯერები), ან 134 (პროფესიული მომსახურებების მენეჯერები) მცირე ჯგუფს. ამ ჯგუფში კლასიფიცირებულია, მაგ.: პოლიტიკასთან, სასჯელაღსრულებასთან, ბიბლიოთეკასთან, სამართლებრივ საკითხებსა და ხანძართან დაკავშირებულ მომსახურებებზე პასუხისმგებელი მენეჯერები.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომსახურებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა თუ ცენტრების საქმიანობების მენეჯმენტს;
2. პერსონალისთვის პროცედურების, პოლიტიკისა და სტანდარტების შემუშავებას, განვითარებას, იმპლემენტაციასა და მონიტორინგს;
3. პროფესიული, ტექნიკური, საკანცელარიო, მომსახურე, მოვლა-პატრონობისა და სხვა სფეროს პერსონალის საქმიანობების წარმართვას, ზედამხედველობასა და შეფასებას;
4. მომსახურების გაწევისათვის საჭირო რესურსების მონიტორინგსა და შეფასებას;
5. ადმინისტრაციული ოპერაციების (მაგ.: ბიუჯეტის დაგეგმვის, ანგარიშების მომზადებისა და მარაგის, აღჭურვილობისა და მომსახურებების) ხარჯების კონტროლს;
6. მომსახურების გაწევის დაგეგმვას, წარმართვასა და კოორდინაციას;
7. იგივე ან მონათესავე სფეროებში მომსახურების უზრუნველმყოფ სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობის კოორდინაციას;
8. დანახარჯებზე კონტროლის დასაწესებლად და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას;
9. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- არქივის მენეჯერი;
- ხელოვნების გალერეის მენეჯერ;ი
- სასჯელაღსრულების მომსახურების მენეჯერი;
- იურიდიული მომსახურების მენეჯერი;
- ბიბლიოთეკის მენეჯერი;
- მუზეუმის მენეჯერი;
- პოლიციის უფროსი;
- ციხის მმართველი.

შენიშვნა:

პროფესიული მომსახურებების მენეჯერები პასუხისმგებლები არიან სპეციალური პროფესიული და ტექნიკური მომსახურებების დაგეგმვაზე, წარმატებასა და

კოორდინირებაზე. როგორც წესი, პროფესიებს, რომლებიც გათვალისწინებულია მეორე (პროფესიონალები) და მესამე (ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები) ძირითად ჯგუფში, მოითხოვებათ სპეციალური კვალიფიკაცია და გრძელვადიანი გამოცდილება.

14 ქვეჯგუფი
სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები

სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ იმ დაწესებულებების საქმიანობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ განთავსების, სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მიწოდებას. წინამდებარე ქვეჯგუფის პროფესიების დიდი ნაწილის შემთხვევაში, დაკისრებული ვალდებულებების კომპეტენტურად შესრულებისთვის მოითხოვება ISCO კვალიფიკაციის მესამე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სპეციალური ფუნქციების, სპორტული, აზარტული თამაშებისა და გასართობი საქმიანობების, ასევე, პროდუქციის ფართო სპექტრისა და მათი ნაზავის, დონის მარაგის და მომსახურების სტანდარტების დაგეგმვასა და ორგანიზებას; საქონლისა და მომსახურებების რეკლამირებასა და გაყიდვას; სპირტიან სასმელებთან, აზარტულ თამაშებთან, ჯანმრთელობასა და სხვა სფეროებთან დაკავშირებული კანონებისა და რეგულაციების შესრულებას; მომხმარებელთან ურთიერთობასა და მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, პროგრამებისა და პროცედურების განვითარებასა და გადახედვას; პოტენციური მომხმარებლებისთვის კონფერენციების, ყრილობებისა და სავაჭრო გამოფენების მხარდაჭერას; სატრანსპორტო საშუალებების, აღჭურვილობისა და საწვავის შესყიდვისა და მოვლა-პატრონობის ორგანიზებასა და საქონლის ტრანსპორტირებას; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს; პროფესიულ ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

141 სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯერები;

142 საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები;

143 სხვა მომსახურებების მენეჯერები.

შენიშვნა:

14 ქვეჯგუფი (სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები), გულისხმობს იმ დაწესებულებების მენეჯერებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისთვის პირდაპირ მომსახურებებს იმ ორგანიზაციებში, რომლებიც საკმაოდ პატარაა იმისთვის, რომ მენეჯერების იერარქიული სტრუქტურა გააჩნდეთ. მენეჯერები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სპეციალური პროფესიული და ტექნიკური მომსახურებების დაგეგმვაზე, წარმართვასა და კოორდინაციაზე და, როგორც წესი, სჭირდებათ სპეციალური კვალიფიკაცია, გათვალისწინებულია მეთორმეტე (ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები) და მეცამეტე (პროდუქციისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები) ქვეჯგუფის სხვადასხვა ჯგუფური ერთეულებით.

პატარა მაღაზიების, საოჯახო სასტუმროების (Guest House), კაფეების, რესტორნებისა და ბარების მენეჯერები, რომელთათვისაც პერსონალის მართვა და ზედამხედველობა სამუშაოს განმსაზღვრელი კომპონენტი არაა, მიეკუთვნებიან ორმოცდამეთერთმეტე

(ინდივიდუალური მომსახურების მუშაკები) ანდა ორმოცდამეთორმეტე (გაყიდვების სფეროს მუშაკები) ქვეჯგუფის შესაბამის ჯგუფურ ერთეულებს.

141 მცირე ჯგუფი
სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯერები

სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯერები გეგმავენ, კოორდინირებენ და მართავენ იმ დაწესებულებების საქმიანობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ განთავსების, საკვების, სასმელისა და სხვა მომსახურებების მიწოდებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სპეციალური ფუნქციების, სპორტული, აზარტული თამაშებისა და გასართობი საქმიანობების დაგეგმვასა და ორგანიზებას; ჯავშნების, სტუმრების დახვედრის, ოთახის მომსახურებისა და დასუფთავების მომსახურებების მართვასა და ზედამხედველობას; სპირტიან სასმელებთან, აზარტულ თამაშებთან, ჯანმრთელობასთან და სხვა სფეროებთან დაკავშირებული კანონებისა და რეგულაციების შესრულებას; საკვებისა და მომსახურებების მომზადებისა და პრეზენტაციის ყველა ეტაპზე ხარისხის მონიტორინგს; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს; პროფესიულ ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1411 სასტუმროს მენეჯერები;

1412 რესტორნის მენეჯერები.

1411 ჯგუფური ერთეული
სასტუმროს მენეჯერები

სასტუმროს მენეჯერები სტუმრების განთავსებისა და სხვა მომსახურებების უზრუნველსაყოფად გეგმავენ, კოორდინირებენ და მართავენ სასტუმროების, მოტელებისა და მსგავსი დაწესებულებების საქმიანობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯავშნების, სტუმრების დახვედრის, ოთახის მომსახურებისა და დასუფთავების მომსახურებების მართვასა და ზედამხედველობას;
2. უსაფრთხოების ზომებისა და საკუთრების მოვლა-პატრონობის ზედამხედველობას;
3. ბარის, რესტორნის, ფუნქციებისა და საკონფერენციო საქმიანობების დაგეგმვასა და ზედამხედველობას;
4. სპირტიან სასმელებთან, აზარტულ თამაშებთან და სხვა სფეროებთან დაკავშირებული კანონებისა და რეგულაციების შესრულებას;
5. მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასებასა და გადახედვას;

6. საბუღალტრო და შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობების ზედამხედველობას;
7. დაწესებულების ბიუჯეტის შემუშავებას;
8. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს;
9. პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებას;
10. ადგილობრივი ტურიზმზე, ტურებსა და ტრანსპორტირებაზე სტუმრებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასტუმროს მენეჯერი;
- მოტელის მენეჯერი;
- ახალგაზრდული სასტუმროს მენეჯერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- საოჯახო სასტუმროების (Bed and Breakfast) მფლობელები – 5152.

<u>შენიშვნა:</u>

პატარა – საოჯახო (Bed and Breakfast) და პატარა საოჯახო (Guest House) სასტუმროების მფლობელები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლიენტების განთავსებასა და შეზღუდული კვებით მომსახურებას და რომელთათვისაც პერსონალის მართვა და ზედამხედველობა არ არის სამუშაოს განმსაზღვრელი კომპონენტი, მიეკუთვნებიან 5152 ჯგუფურ ერთეულს (შინამოსამსახურეები).

სასტუმრო მენეჯმენტის კომპანიების ან სასტუმრო ქსელების აღმასრულებელი დირექტორები და სპეციალური მენეჯერები მიეკუთვნებიან მეთერთმეტე და მეთორმეტე ქვეჯგუფების შესაბამის ჯგუფურ ერთეულებს.

<u>1412 ჯგუფური ერთეული</u>
რესტორნის მენეჯერები

რესტორნის მენეჯერები სასადილო და საზოგადოებრივი კვების მომსახურებების უზრუნველსაყოფად გეგმავენ, კოორდინირებენ და მართავენ კაფეების, რესტორნებისა და მსგავსი დაწესებულებების მუშაობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შეფ-მზარეულებთან და მზარეულებთან კონსულტაციებით მენიუების შემუშავებას;
2. სპეციალური ფუნქციების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
3. საქონლის შესყიდვისა და ბიუჯეტის მიხედვით ფასების განსაზღვრას;
4. მარაგის დონისა და ფინანსური ტრანზაქციების შესახებ მონაცემების შენახვას;
5. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რეგულაციებთან სასადილოს, სამზარეულოსა და საკვების საწყობის შესაბამისობისა და მათი სისუფთავის, ფუნქციონირებისა და გარეგნული იერის შენარჩუნების უზრუნველყოფას;

6. საკვებთან და მომსახურებასთან დაკავშირებით კმაყოფილების შეფასების მიზნით მომხმარებლებთან ურთიერთობას;
7. პერსონალის შერჩევას, მათი სამუშაო გრაფიკის გაწერას, მიმტანებისა და სამზარეულოში მომუშავე პერსონალის გადამზადებასა და მათი ზედამხედველობას;
8. ჯავშნების მიღებას, სტუმრების დახვედრასა და შეკვეთის მიღებისას მათთვის დახმარებას;
9. კლიენტებთან და მიმწოდებლებთან საორგანიზაციო საკითხებზე მოლაპარკებებს;
10. პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კაფეს მენეჯერი;
- საზოგადოებრივი კვების საწარმოს მენეჯერი;
- რესტორნის მენეჯერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- შეფმზარეული – 3434.

<u>შენიშვნა:</u>

იმ პატარა კაფეების, რესტორნებისა და ბარების მფლობელები, რომელთათვისაც, მათ მიერ ძირითადი საქმიანობის შესრულების გათვალისწინებით, პერსონალის მართვა და ზედამხედველობა არ არის სამუშაოს განმსაზღვრელი კომპონენტი, მიეკუთვნებიან 5120 (მზარეულები), 5131 (მიმტანები) ან 5132 (ბარმენები) ჯგუფურ ერთეულებს.

<u>142 მცირე ჯგუფი</u>
საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები

საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები გეგმავენ, ორგანიზებენ, კოორდინირებენ და აკონტროლებენ იმ დაწესებულებების საქმიანობებს, რომლებიც ეწევიან საცალო და საბითუმო საქონლით ვაჭრობას. ისინი არიან პასუხისმგებელნი მაღაზიების ან მაღაზიის შიგნით იმ საორგანიზაციო ერთეულების ბიუჯეტის, პერსონალის შერჩევის, სტრატეგიული და საოპერაციო მიმართულებების შემუშავებაზე, რომლებიც კონკრეტული სახის პროდუქციას ყიდიან.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროდუქციის ნაზავის, მარაგის დონისა და მომსახურების სტანდარტების განსაზღვრას;
2. შესყიდვებისა და მარკეტინგის პოლიტიკის ფორმულირებასა და იმპლემენტაციას, აგრეთვე, ფასების დადგენას;
3. დაწესებულების საქონლისა და მომსახურების რეკლამირებასა და წარმოჩენას;
4. მარაგის დონისა და ფინანსური ტრანზაქციების შესახებ მონაცემების შენახვას;
5. დაწესებულების ბიუჯეტის შემუშავებას;

6. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს;
7. პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1420 საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები.

<u>შენიშვნა:</u>

საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები, ხშირ შემთხვევაში, დასაქმებულები არიან შედარებით პატარა დაწესებულებებში, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯერების იერარქიული სისტემა. თუმცა, უფრო დიდი საცალო დაწესებულებების – სუპერმარკეტებისა და უნივერსალური მაღაზიის – მენეჯერები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ჯგუფში, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ დაწესებულებებს შესაძლებელია, გააჩნდეთ მენეჯერებისა და ზედამხედველების იერარქიული სისტემა. დაწესებულებების ჯგუფების გენერალური მენეჯერები – სუპერმარკეტისა თუ უნივერსალური მაღაზიის ქსელები – კი კლასიფიცირებულია 1120 ჯგუფურ ერთეულში: მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები.

იმ პატარა მაღაზიების მფლობელები, რომელთათვისაც პერსონალის მართვა და ზედამხედველობა არ არის სამუშაოს განმსაზღვრელი კომპონენტი, მიეკუთვნებიან 5221 ჯგუფურ ერთეულს (მაღაზიის მეპატრონეები).

პერსონალი, რომელიც აკონტროლებს და წარმართავს მაღაზიის გაყიდვების ასისტენტების, მოლარე ოპერატორებისა და სხვა მუშაკების საქმიანობებს, მაგრამ არ იღებს პასუხისმგებლობას პროდუქციის ნაზავის, ფასის ზოგადი დადგენის, ბიუჯეტისა და პერსონალის დონის, შერჩევისა და რეკრუტირების საკითხებზე, მიეკუთვნება 5222 ჯგუფურ ერთეულს (მაღაზიის ზედამხედველები).

<u>1420 გუფური ერთეული</u>
საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები

საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები გეგმავენ, მართავენ, კოორდინირებენ და აკონტროლებენ იმ დაწესებულებების საქმიანობებს, რომლებიც ეწევიან საცალო და საბითუმო საქონლით ვაჭრობას. ისინი არიან პასუხისმგებლები მაღაზიების ან მაღაზიის შიგნით იმ საორგანიზაციო ერთეულების ბიუჯეტის, პერსონალის შერჩევისა და სტრატეგიული და საოპერაციო მიმართულებების შემუშავებაზე, რომლებიც კონკრეტული სახის პროდუქციას ყიდიან.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროდუქციის ნაზავის, მარაგის დონისა და მომსახურების სტანდარტების განსაზღვრას;
2. შესყიდვებისა და მარკეტინგის პოლიტიკის ფორმულირებასა და იმპლემენტაციას, აგრეთვე, ფასების დადგენას;
3. დაწესებულების საქონლისა და მომსახურების რეკლამირებასა და წარმოჩენას;
4. მარაგის დონისა და ფინანსური ტრანზაქციების შესახებ მონაცემების შენახვას;
5. დაწესებულების ბიუჯეტის შემუშავებას;
6. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს;
7. პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გასტრონომიული მაღაზიის მენეჯერი;
- საცალო მაღაზიის მენეჯერი;
- მაღაზიის მენეჯერი;
- სუპერმარკეტის მენეჯერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- გაყიდვების მენეჯერი – 1221;
- მაღაზიის მეპატრონე – 5221;
- მაღაზიის ზედამხედველი – 5222;
- მაღაზიის გაყიდვების ასისტენტი – 5223.

<u>შენიშვნა:</u>

საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები, ხშირ შემთხვევაში, დასაქმებულები არიან შედარებით პატარა დაწესებულებებში, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯერების იერარქიული სისტემა. თუმცა, უფრო დიდი საცალო დაწესებულებების – სუპერმარკეტებისა და უნივერსალური მაღაზიების – მენეჯერები უნდა გავითვალისწინოთ ამ ჯგუფში, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ დაწესებულებებს შესაძლებელია, გააჩნდეთ მენეჯერებისა და ზედამხედველების იერარქიული სისტემა. დაწესებულებების ჯგუფების – სუპერმარკეტებისა თუ უნივერსალური მაღაზიების ქსელების – გენერალური მენეჯერები კი კლასიფიცირებულია 1120 ჯგუფურ ერთეულში (მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები).

იმ პატარა მაღაზიების მფლობელები, რომელთათვისაც პერსონალის მართვა და ზედამხედველობა არ არის სამუშაოს განმსაზღვრელი კომპონენტი, მიეკუთვნებიან 5221 ჯგუფურ ერთეულს (მაღაზიის მეპატრონეები).

პერსონალი, რომელიც აკონტროლებს და წარმართავს მაღაზიის გაყიდვების ასისტენტების, მოლარე ოპერატორებისა და სხვა დასაქმებულების საქმიანობებს, მაგრამ არ იღებს პასუხისმგებლობას პროდუქციის ნაზავის, ზოგადი ფასის დადგენის, ბიუჯეტისა და პერსონალის დონის, შერჩევისა და რეკრუტირების საკითხებზე, მიეკუთვნება 5222 ჯგუფურ ერთეულს (მაღაზიის ზედამხედველები).

143 მცირე ჯგუფი
სხვა მომსახურებების მენეჯერები

სხვა მომსახურებების მენეჯერები გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ იმ დაწესებულებების საქმიანობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სპორტული, კულტურული, რეკრეაციული, სამოგზაურო, მომხმარებლებთან კონტაქტისა და სხვა ტიპის კეთილმოწყობის მომსახურებებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მომსახურების ან საქმიანობების ფართო სპექტრისა და მათი ნაზავის დაგეგმვასა და ორგანიზებას; შენობა-ნაგებობების სუფთა და კარგ მდგომარეობაში ყოფნას; გაწეული მომსახურების შესაბამისი ტენდენციებისა და განვითარებების შენარჩუნებას; არსებულ შენობა-ნაგებობებზე რჩევების მიცემასა და საჯაროობის ხელშეწყობას; ქვითრების შემოწმება-შენახვასა და მარაგის რეგულარულ ინსპექტირებას; ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას; რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ხარჯების კონტროლს; ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვასა და მართვას; თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს; პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

1431 სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ცენტრების მენეჯერები;

1439 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მომსახურებების მენეჯერები.

1431 ჯგუფური ერთეული
სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ცენტრების მენეჯერები

სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ცენტრების მენეჯრები გეგმავენ, მართავენ და აკონტროლებენ იმ დაწესებულებების საქმიანობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სპორტული, სამხატვრო, თეატრალური და სხვა რეკრეაციული და კეთილმოწყობის მომსახურებებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცენტრის მიერ შესათავაზებელი გასართობი, კულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი პროგრამების ფართო სპექტრისა და მათი ნაზავის დაგეგმვასა და ორგანიზებას;
2. შენობა-ნაგებობების სუფთა და კარგ მდგომარეობაში ყოფნას;
3. შემოქმედებითი ხელოვნებისა და თეატრალური ნაწარმოებების, ასევე, ჯგუფებისა და ორკესტრების მიერ წარმოდგენილი დადგმის ტენდენციებისა და განვითარებების შენარჩუნებას;
4. ღონისძიებებთან, შოუებსა და საქმიანობებთან დაკავშირებით არსებული შენობა-ნაგებობების თაობაზე რჩევების მიცემასა და საჯაროობის ხელშეწყობას;

5. ქვითრების შემოწმება-შენახვასა და მარაგის რეგულარულ ინსპექტირებას;
6. ხარჯების კონტროლისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის შემუშავებასა და მართვას;
7. ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვასა და მართვას;
8. თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და ზედამხედველობის კონტროლს;
9. პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გასართობი პარკის მენეჯერი;
- საბილიარდოს ან საცურაო აუზის მენეჯერი;
- კაზინოს მენეჯერი;
- კინოთეატრის მენეჯერი;
- გასართობი ცენტრის მენეჯერი;
- საცხენოსნო სკოლის მენეჯერი;
- სპორტული ცენტრის მენეჯერი;
- თეატრის მენეჯერი;
- თემატური გასართობი პარკის მენეჯერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხელოვნების გალერეის მენეჯერი – 1349;
- ბიბლიოთეკის მენეჯერი – 1349;
- მუზეუმის მენეჯერი – 1349.

1439 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მომსახურებების მენეჯერები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს მენეჯერებს, რომლებიც გეგმავენ, მართავენ და კოორდინირებენ მომსახურებების მიწოდების უზრუნველყოფას და არ მიეკუთვნებიან მეცამეტე (წარმოებისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები) ან მეთოთხმეტე (სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები) ჯგუფს. მაგ.: ტურისტული სააგენტოები, საკონფერენციო, სატელეფონო მომსახურებისა და სავაჭრო ცენტრები კლასიფიცირებულები არიან წინამდებარე ჯგუფში.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბანაკის მენეჯერი;
- კარვების ბანაკის მენეჯერი;
- საკონფერენციო ცენტრის მენეჯერი;
- სატელეფონო მომსახურების ცენტრის მენეჯერი;
- სავაჭრო ცენტრის მენეჯერი;
- ტურისტული სააგენტოს მენეჯერი.

შენიშვნა:

წინამდებარე ჯგუფური ერთეულისგან განცალკევებით არის პროფესიები, რომლებიც ითვალისწინებენ სპეციალური პროფესიული და ტექნიკური მომსახურებების უზრუნველყოფის მართვას და ითხოვენ სპეციალურ კვალიფიკაციასა და გრძელვადიან გამოცდილებას, რომელიც შეესაბამება მეორე (პროფესიონალები) და მესამე (ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები) ძირითად ჯგუფებში კლასიფიცირებულ ერთ ან რამდენიმე პროფესიას. აღნიშნული მენეჯერული პროფესიები მიეკუთვნებიან მეთორმეტე (ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები) და მეცამეტე (წარმოებისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები) ქვეჯგუფების სხვადასხვა ჯგუფურ ერთეულს.

2 ძირითადი ჯგუფი
პროფესიონალები

პროფესიონალები ზრდიან არსებული ცოდნის მარაგს, იყენებენ სამეცნიერო თუ შემოქმედებით კონცეფციებსა და თეორიებს, სწავლებისას იყენებენ სისტემურ მეთოდოლოგიას, ან ერთვებიან აღნიშნული საქმიანობების ნებისმიერ გაერთიანებაში. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ანალიზსა და კვლევას, აგრეთვე კონცეფციების, თეორიებისა და სამოქმედო მეთოდიკის შემუშავებას; ფიზიკური მეცნიერებების, მათემატიკის, ინჟინერიის, ტექნოლოგიების, საყოფაცხოვრებო მეცნიერებების, მედიცინისა და ჯანდაცვის მომსახურებების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროებში რჩევების მიცემასა ან არსებული ცოდნის გამოყენებას; განათლების სხვადასხვა დონეზე ერთი ან მეტი დისციპლინის თეორიისა და პრაქტიკის სწავლებას; სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების ან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა სწავლებასა და მათ განათლებას; სხვადასხვა ტიპის ბიზნესს, იურიდიული და სოციალური მომსახურებების გაწევას;ხელოვნების ნიმუშების შექმნასა და შესრულებას; სულიერ წინამძღოლობას; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას; შესასრულებელი ამოცანები აგრეთვე, შესაძლებელია, მოიცავდეს სხვა სპეციალისტების ზედამხედველობასაც.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

21 მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები;
22 ჯანდაცვის პროფესიონალები;
23 განათლების პროფესიონალები;
24 ბიზნესისა და ადმინისტრირების პროფესიონალები;
25 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიონალები;
26 სამართლის, სოციალური და კულტურის პროფესიონალები.

21 ქვეჯგუფი
მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები

მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები ატარებენ კვლევებს, შეიმუშავებენ ან ავითარებენ კონცეფციებს, თეორიებსა და მოქმედების მეთოდიკას, ან იყენებენ ისეთ დარგებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ცოდნას, როგორებიცაა: ფიზიკა, ასტრონომია, მეტეოროლოგია, ქიმია, გეოფიზიკა, გეოლოგია, ეკოლოგია, ფარმაკოლოგია, მედიცინა, მათემატიკა, სტატისტიკა, არქიტექტურა, ინჟინერია, დიზაინი და ტექნოლოგია. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კვლევას, აგრეთვე ინჟინერიას – ფიზიკური ნივთიერებისა და ფენომენის სტრუქტურებისა და თვისებების, ქიმიური მახასიათებლებისა და სხვადასხვა ნივთიერების, მასალებისა და პროდუქტების პროცესების, ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის, აგრეთვე, მათემატიკური და სტატისტიკური კონცეფციებისა და მეთოდების ყველა ფორმის შესწავლით მიღებული კონკრეტული ცოდნის გამოყენებას ან მასთან დაკავშირებული რჩევების მიცემას; შენობების, ქალაქებისა და სატრანსპორტო სისტემების, ან სამოქალაქო ინჟინერიისა და ინდუსტრიული სტრუქტურების, აგრეთვე, მანქანებისა და სხვა მოწყობილობების კონსტრუქციებზე რჩევების მიცემას, მათი დიზაინის შემუშავებასა და კონსტრუქციის პროცესის მართვას; სამთომოპოვების მეთოდებზე რჩევების მიცემასა და მათ ოპტიმალურ გამოყენებას; ხმელეთისა და ზღვის გეოდეზიურ კვლევასა და რუსების შექმნას; კონკრეტული მასალების, პროდუქტებისა და პროცესების, აგრეთვე, წარმოების ეფექტურობისა და სამუშაოს ორგანიზების შესწავლასა და რჩევების მიცემას; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას; შესასრულებელი ამოცანები შესაძლებელია აგრეთვე, მოიცავდეს სხვა სპეციალისტების ზედამხედველობასაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

211 ფიზიკისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროფესიონალები;
212 მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები;
213 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების პროფესიონალები;
214 ინჟინრები;
215 ელექტროინჟინრები;
216 არქიტექტორები, დამგეგმავები, ტოპოგრაფები და დიზაინერები.

211 მცირე ჯგუფი
ფიზიკისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროფესიონალები

ფიზიკოსები და გეოლოგები ატარებენ კვლევებს, შეიმუშავებენ ან ავითარებენ კონცეფციებს, თეორიებსა და მოქმედების მეთოდიკას, ან იყენებენ ისეთ დარგებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ცოდნას, როგორებიცაა: ფიზიკა, ასტრონომია, მეტეოროლოგია, ქიმია, გეოფიზიკა და გეოლოგია.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მექანიკასთან, თერმოდინამიკასთან, ოპტიკასთან, აკუსტიკასთან, ელექტროენერგიასთან, მაგნეტიზმსთან, ელექტრონიკასთან, ბირთვულ ფიზიკასთან, ასტრონომიასთან, ქიმიის სხვადასხვა დარგთან, ატმოსფერულ მდგომარეობასა და დედამიწის ფიზიკურ ბუნებასთან დაკავშირებული კვლევებითა და ექსპერიმენტებით სამეცნიერო ცოდნის გაღრმავებას, რაც უკავშირდება; ისეთ დარგებთან, როგორებიცაა: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მედიცინა, ნავიგაცია, სივრცის – კვლევასთან დაკავშირებით რჩევების მიცემასა ან მის გამოყენებას; ნავთობის, ბუნებრივი აირის, წყლისა და მინერალების ექსპლოატაციას, კავშირგაბმულობასა და სხვა მომსახურებებს, ან სამოქალაქო ინჟინერიას; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2111 ფიზიკოსები და ასტრონომები;

2112 მეტეოროლოგები;

2113 ქიმიკოსები;

2114 გეოლოგები და გეოფიზიკოსები.

<u>2111 ჯგუფური ერთეული</u>
ფიზიკოსები და ასტრონომები

ფიზიკოსები და ასტრონომები ნივთიერებაზე, სივრცეზე, დროზე, ენერგიაზე, ძალებზე, სფეროებსა და აღნიშნულ ფიზიკურ ფენომენებს შორის ურთიერთკავშირზე ატარებენ კვლევებს და შეიმუშავებენ ან ავითარებენ კონცეფციებს, თეორიებსა და მოქმედების მეთოდიკას. ისინი იყენებენ ფიზიკასა და ასტრონომიასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ცოდნას, რომელსაც იყენებენ ინდუსტრიულ, სამედიცინო, სამხედრო ან სხვა სფეროებში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფიზიკასა და ასტრონომიასთან დაკავშირებული კვლევებისა და კონცეფციების, თეორიების, ინსტრუმენტირების, კომპიუტერული პროგრამებისა და მოქმედების მეთოდიკის შემუშავებასა ან განვითარებას;
2. ნივთიერებათა სტრუქტურასა და ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: მექანიკა, თერმოდინამიკა, ელექტრონიკა, კომუნიკაცია, ენერგიის წარმოება და დისტრიბუცია, აეროდინამიკა, ოპტიკა და ლაზერი, დისტანციური ზონდირება, მედიცინა, აკუსტიკა, მაგნეტიზმი და ბირთვული ფიზიკა ექსპერიმენტების, ტესტებისა და ანალიზების ჩატარებას;
3. ძირითადად მათემატიკური ტექნიკისა და მოდელების გამოყენებით კვლევებისა და ექსპერიმენტების შედეგების შეფასებასა და დასკვნების გაკეთებას;
4. ინდუსტრიული, სამედიცინო, სამხედრო და ფიზიკისა თუ ასტრონომიის პრინციპებისა და ტექნიკის სხვა პრაქტიკული გამოყენების შემუშავებისა ან განვითარებისთვის პრინციპების, ტექნიკისა და პროცესების გამოყენებას;

5. ექიმის მიერ დასმული დიაგნოსტიკური ან თერაპევტული შედეგის მისაღწევად პაციენტებისთვის რადიაციის (იონიზირებული და არაიონიზირებული) უსაფრთხო და ეფექტურ მიწოდებას;
6. სამედიცინო სფეროში გამოყენებული ფიზიკური რაოდენობების სწორ გაზომვასა და დახასიათებას;
7. რენტგენოლოგიის, სამედიცინო მკურნალობისა და დოზიმეტრიის სფეროებში გამოყენებული დანადგარების ტესტირებას, გამოყენებასა და შეფასებას;
8. რადიაციის სასარგებლო და მავნე ეფექტებზე ექიმებისა და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებისაგან რჩევების მიღებასა და მათთან კონსულტაციების გავლას;
9. ისეთი დარგებში, როგორებიცაა: ნავიგაცია, სატელიტის კომუნიკაცია, სივრცის კვლევა, ციური სხეულები და კოსმიური რადიაცია – ცოდნის გასაღრმავებლად ციური ფენომენებისა და განვითარებადი მეთოდების, რიცხობრივი მოდელებისა და ტექნიკის დაკვირვებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას;
10. ფიზიკური ფენომენებისა და ინდუსტრიულ და სამედიცინო სფეროში ბირთვული ტექნოლოგიების გამოყენების შესაფასებელი სტანდარტებისა და რეგულაციების შემუშავებას, იმპლემენტაციასა და შენარჩუნებას;
11. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ასტრონომი;
- სამედიცინო ფიზიკოსი;
- ბირთვული ფიზიკოსი;
- ფიზიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- რადიაციის ონკოლოგი – 2212.
- რადიოლოგი – 2212.
- ექიმი-სპეციალისტი (ბირთვული მედიცინა) – 2212;
- რენტგენოლოგი – 3211.

<u>შენიშვნა:</u>

უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო ფიზიკოსები სხვა ფიზიკოსებთან ერთად მიეკუთვნებიან აღნიშნულ ჯგუფურ ერთეულს. ისინი პროფესიებთან, რომლებიც მიეკუთვნებიან 22 ქვეჯგუფს – ჯანდაცვის პროფესიონალები, აგრეთვე, მეორე ძირითადი ჯგუფის სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებულ პროფესიებთან ერთად, განიხილებიან ჯანდაცვის სპეციალისტთა განუყოფელ ნაწილად.

<u>2112 ჯგუფური ერთეული</u>
მეტეოროლოგები

მეტეოროლოგები ავიაციისთვის, საზღვაო გადაზიდვებისთვის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროებსითვის, აგრეთვე ფართო საზოგადოებისთვის ამზადებენ მოკლევადიან ან

გრძელვადიან ამინდის პროგნოზებს. ისინი იკვლევენ ატმოსფეროს შემადგენლობას, სტრუქტურასა და დინამიკას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჰაერის მოძრაობის, წნევის, ტემპერატურის, ტენიანობის, დაბინძურების ფიზიკური და ქიმიური ტრანსფორმაციისა და სხვა ფენომენების: ღრუბლებისა და ნალექის წარმოქმნა, ელექტრო დარღვევები ან მზის რადიაცია – მიმართულებებისა და სისწრაფის კვლევას;
2. ამინდის პროგნოზირებისთვის მეტეოროლოგიური სადგურებიდან მოწოდებულ მონაცემების, რადარებისა და სატელიტური ფოტოების, აგრეთვე, კომპიუტერული მოდელების შესწავლას;
3. ატმოსფერული ფენომენების: ციკლონები, შტორმები და სხვა სიცოცხლისა და საკუთრებისათვის საშიში მოვლენები, მოკლე და გრძელვადიანი ამინდის რუკების, პროგნოზებისა და გაფრთხილებების მომზადებასა და ანგარიშების წარდგენას, აგრეთვე, ატმოსფერული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა მედიასაშუალებით: რადიო, ტელევიზია, ბეჭვდითი პრესა და ინტერნეტი – გავრცელებას;
4. ნისლის გაფანტვაზე, ღრუბლების წარმოქმნაზე, წვიმის გაძლიერებასა და სხვა ტიპის ამინდის მოდიფიცირების პროგრამებზე ექსპერიმენტების ჩატარებას;
5. ექსპერიმენტული ან ოპერაციული გამოყენებისთვის ამინდისა და კლიმატის მათემატიკური კომპიუტერული მოდელების შემუშავებასა და ტესტირებას;
6. ამინდის გარემოზე ზემოქმედების კვლევებში მონაწილეობას;
7. კლიმატსა და ჰაერის ხარისხზე ინდუსტრიული პროექტებისა და ადამიანთა ჩარევის ზეგავლენის ანალიზს, აგრეთვე, სოციალური მეცნიერების, ინჟინერიისა და ეკონომიკის საზოგადოებებთან ერთად შესაბამისი ნეგატიური შედეგების შესუსტებაზე სტრატეგიის შემუშავებას;
8. მეტეოროლოგიურ მონაცემთა შეგროვებისა და დისტანციური ზონდირების, ან მსგავს საკითხებზე ახალი დანადგარებისა და პროცედურების დიზაინსა და განვითარებაში ჩართვას;
9. ატმოსფეროს შემადგენლობას, სტრუქტურასა და დინამიკას დაკავშირებული კვლევებისა და კონცეფციების, თეორიებისა და სამოქმედო მეთოდიკის შემუშავებასა ან განვითარებას, აგრეთვე, კვლევის შედეგებზე სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კლიმატოლოგი;
- ჰიდრომეტეოროლოგი;
- მეტეოროლოგი;
- სინოპტიკოსი.

2113 ჯგუფური ერთეული
ქიმიკოსები

ქიმიკოსები ხარისხისა და პროცესის კონტროლის მიზნით ცოდნისა თუ პროდუქციის გასავითარებლად იკვლევენ, შეიმუშავებენ ან ავითარებენ კონცეფციებს, თეორიებსა და მოქმედების მეთოდიკას, ან იყენებენ ქიმიასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ცოდნას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კვლევებს, ქიმიასთან დაკავშირებული კონცეფციების, ინსტრუმენტების, თეორიებისა და მოქმედების მეთოდიკის შემუშავებასა ან განვითარებას;
2. სხვადასხვა ბუნებრივ თუ სინთეტიკურ ნივთიერებაში, მასალებსა და პროდუქტებში ქიმიური შემადგენლობისა და ენერგიის, აგრეთვე, ქიმიური ცვლილებების გამოსაკვლევად ექსპერიმენტების, ტესტებისა და ანალიზის ჩატარებას;
3. მწარმოებელთა თუ მომხმარებელთათვის გარემოს კონტროლის, ხარისხის კონტროლისა და სხვადასხვა პროცედურის განსახორციელებლად პროცედურების შემუშავებას;
4. გარემოს ტოქსინების იდენტიფიცირებისა და მათი რაოდენობის განსასაზღვრად ნიმუშებისა და მონაცემების შეგროვებას და მათი ანალიზის პროგრამების დანერგვას;
5. ინტერ-დისციპლინურ კვლევებში მონაწილეობასა და ინჟინერ-ქიმიკოსებთან, ბიოლოგებთან, მიკრობიოლოგებთან, აგრონომებთან, გეოლოგებთან ან სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან პროექტების განხორციელება;
6. ნივთიერებათა ახალ ნაერთად გადასაქცევად მიკროორგანიზმების გამოყენებას;
7. მასალების გაძლიერებისა თუ შეერთების ან განვითარებისთვის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას;
8. ბუნებრივად წარმოქმნილი ნივთიერებების ხელახალი წარმოებასა და სინთეზირებას, აგრეთვე, ახალი ხელოვნური ნივთიერებების შექმნას;
9. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიაა:

- ქიმიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბიოქიმიკოსი – 2131;
- ფარმაკოლოგი – 2131;
- ფარმაცევტი – 2262.

2114 ჯგუფური ერთეული
გეოლოგები და გეოფიზიკოსები

გეოლოგები და გეოფიზიკოსები გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად და ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად ატარებენ იკვლევენ, შეიმუშავებენ ან ავითარებენ კონცეფციებს, თეორიებსა და მოქმედების მეთოდიკას, იყენებენ გეოლოგიისა და გეოფიზიკის დარგებთან: ნავთობის, ბუნებრივი აირის და მინერალების აღმოჩენა-მოპოვებასთან, წყლის კონსერვაციასთან, სამოქალაქო ინჟინერიასთან, კავშირგაბმულობასა და ნავიგაციასთან, მშენებლობასა და ნარჩენების განადგურებასთან – დაკავშირებულ სამეცნიერო ცოდნას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კვლევებს, გეოლოგიასა და გეოფიზიკასთან დაკავშირებული კონცეფციების, ინსტრუმენტების, თეორიებისა და მოქმედების მეთოდიკის შემუშავებასა ან განვითარებას;
2. დედამიწის ქერქის შემადგენლობისა და სტრუქტურის შესწავლას, აგრეთვე დედამიწის განვითარებაზე ზემოქმედების პროცესების განსასაზღვრად, წარსულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაძიებლად, გეოლოგიური ფორმაციების ბუნებისა და ქრონოლოგიის დასადგენად და კომერციული მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობების გასასაზღვრად კლდეების, მინერალების, წიაღისეულისა და სხვა მასალების კვლევას;
3. კვლევითი მონაცემების ინტერპრეტაციასა და გეოლოგიური ანგარიშების, რუკების, ცხრილებისა და დიაგრამების, ანგარიშებისა და დოკუმენტების მომზადებას;
4. სამოქალაქო ინჟინერიის: დამბების, ხიდების, გვირაბებისა და დიდი შენობების მშენებლობისა და მიწის მელიორაციის – პროექტებში გეოლოგიური ცოდნის გამოყენებას;
5. დედამიწაზე ზემოქმედი სეისმური, გრავიტაციული, ელექტრონული, თერმული და მაგნიტური ძალების გამოსაკვლევად და გასაზომად დისტანციური ზონდირების სხვადასხვა პროგრამის გამოყენებას;
6. დედამიწის წონის, ზომისა და მასის გაზომვა და მისი შიდა ქანის შემადგენლობისა და სტრუქტურის, აგრეთვე, დედამიწის ბუნების, ქმედებებისა – ვულკანებისა და მიწისძვრების ამოქმედებისა და მყინვარების წარმოქმნის შესწავლას;
7. მაუწყებლობის, ნავიგაციისა და სხვა მიზნებისთვის დედამიწის მაგნიტურ რუკაზე მოხაზვა და მისი და სხვა შეგროვებულ მონაცემთა გამოყენებას;
8. ზღვებისა და ატმო ფიზიკური თვისებებისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლასა და შეფასებას, როგორიცაა თერმული ენერგიის გაცვლა / ზღვებისა და ატმოსფეროს ფიზიკური თვისებებისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების (როგორიცაა თერმული ენერგიის გაცვლა) შესწავლასა და შეფასებას;
9. ნავთობის, ბუნებრივი აირისა და მინერალების ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და სეისმოლოგიური, გრავიტაციული, მაგნიტური, ელექტრონული ან რადიომეტრული მეთოდებით ბუნებისა და რაოდენობის დადგენას;
10. კონკრეტული აგრეგატების, გზების შევსებისა თუ სხვა სამუშაოებზე გამოსაყენებლად სამშენებლო მასალების რაოდენობის დადგენასა და მათი მახასიათებლებისა და ვარგისიანობის განსაზღვრას;

11. მიწისა და ზედაპირული წყლების მოძრაობის, განლაგებისა და ფიზიკური მახასიათებლების კვლევას;
12. ნარჩენების მართვაზე, მარშრუტისა და ადგილმდებარეობის შერჩევასა და დაბინძურებული ადგილების აღდგენაზე რჩევების მიცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გეოლოგ-ოკეანოლოგი;
- გეოლოგი;
- გეოფიზიკ-ოკეანოლოგი;
- გეოფიზიკოსი;
- მეცნიერ-გეოლოგი.

212 მცირე ჯგუფი
მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები

მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები იკვლევენ, ხვეწენ ან ავითარებენ მათემატიკურ და სტატისტიკურ კონცეფციებს, თეორიებს, მოქმედების მეთოდიკასა და ტექნიკას. აღნიშნულ ცოდნას იყენებენ ისეთი დარგების, როგორებიცაა ინჟინერია, ბიზნესი და სოციალური და სხვა მეცნიერებები – ამოცანებთან მიმართებაში.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მათემატიკური და სტატისტიკური კონცეფციების, თეორიებისა და მოქმედების მეთოდიკისა და ტექნიკის შესწავლას, დახვეწასა და განვითარებას; მათემატიკური პრინციპების, მოდელებისა და ტექნიკის საკითხებზე რჩევების მიცემასა ან ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ინჟინერია, ბუნებრივი, სოციალური ან სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები – მათ გამოყენებას; მონაცემთა შეყვანისა და წარმოების ეფექტურობის, აგრეთვე, თითოეული პრობლემის მოდელების მათემატიკური ფორმულირებით, ძირითადად, პროგრამირებითა და კომპიუტერით პრობლემის გადასაწყვეტად მართვის პრობლემებთან დაკავშირებული ლოგიკური ანალიზის შემუშავებას; საპენსიო სქემებისა და სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სოციალური და სხვა ტიპის დაზღვევების სისტემათა შემუშავებასა და ამოქმედებას; მომავალი ღონისძიებების პოტენციური ფინანსური ზეგავლენის შესაფასებლად მათემატიკური, სტატისტიკური, ალბათობისა და რისკების თეორიების გამოყენებას; გამოკითხვებისა და სხვა სტატისტიკურ მონაცემთა დაგეგმვასა და ორგანიზებას, აგრეთვე, მათ გამოსაქვეყნებლად მომზადებას; სხვადასხვა მონაცემთა შეგროვებაზე, სტატისტიკური მეთოდებსა და ტექნიკაზე რჩევების მიცემას ან მათი გამოყენებას, აგრეთვე, დასკვნების სანდოობის განსაზღვრას, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ბიზნესი ან მედიცინა, აგრეთვე, ბუნებრივი, სოციალური ან სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას; მათემატიკისა და სტატისტიკის ასისტენტებისა და საქმიანობის სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე მცირე გჯუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2120 მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები.

2120 ჯგუფური ერთეული
მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები

მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები იკვლევენ, ხვეწენ ან ავითარებენ მათემატიკურ და სტატისტიკურ კონცეფციებს, თეორიებს, მოქმედების მეთოდიკასა და ტექნიკას. აღნიშნულ ცოდნას იყენებენ ისეთი დარგების, როგორებიცაა ინჟინერია, ბიზნესი და სოციალური და სხვა მეცნიერებები – ამოცანებთან მიმართებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მათემატიკური და სტატისტიკური კონცეფციების, თეორიებისა და მოქმედების მეთოდიკისა და ტექნიკის შესწავლას, დახვეწასა და განვითარებას;
2. მათემატიკური პრინციპების, მოდელებისა და ტექნიკის საკითხებზე რჩევების მიცემასა ან ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ინჟინერია, ბუნებრივი, სოციალური ან სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები – მათ გამოყენებას;
3. საპენსიო სქემებისა და სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სოციალური და სხვა ტიპის დაზღვევების სისტემათა შემუშავებასა და ამოქმედებას;
4. მომავალი ღონისძიებების პოტენციური ფინანსური ზეგავლენის შესაფასებლად მათემატიკური, სტატისტიკური, ალბათობისა და რისკების თეორიების გამოყენებას;
5. გამოკითხვებისა და სხვა სტატისტიკურ მონაცემთა დაგეგმვასა და ორგანიზებას, აგრეთვე, მათ გამოსაქვეყნებლად მომზადებას;
6. სხვადასხვა მონაცემთა შეგროვებაზე, სტატისტიკური მეთოდებსა და ტექნიკაზე რჩევების მიცემას ან მათი გამოყენებას, აგრეთვე, დასკვნების სანდოობის განსაზღვრას, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ბიზნესი ან მედიცინა, აგრეთვე, ბუნებრივი, სოციალური ან სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
7. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას;
8. მათემატიკისა და სტატისტიკის ასისტენტებისა და საქმიანობის სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აქტუარები;
- დემოგრაფები;
- მათემატიკოსები;
- ანალიტიკოსები;
- სტატისტიკოსები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- საინფორმაციო სისტემების ანალიტიკოსი – 2511;

- აქტუარების ასისტენტები – 3314;
- მათემატიკოსების ასისტენტები – 3314;
- სტატისტიკოსების ასისტენტები – 3314;
- მათემატიკოს-სტატისტიკოსები – 4312;
- სტატისტიკოსები – 4312.

213 მცირე ჯგუფი
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების პროფესიონალები

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების პროფესიონალები იყენებენ ადამიანის, ცხოველისა და მცენარეთა სიცოცხლისა და მათი ერთმანეთთან ინტერაქციის, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და ტყის პროდუქციის კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნას და არეგულირებს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ახალი პროცესებისა და ტექნიკის იდენტიფიცირებისა და განვითარებისთვის ექსპერიმენტული და დარგობრივი მონაცემების შეგროვებას, ანალიზსა და შეფასებას; მთავრობებისთვის, ორგანიზაციებისა და ბიზნესებისთვის რჩევების მიცემასა და მათთვის ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიური მდგრადი განვითარების თაობაზე დახმარებას აღმოჩენას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2131 ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე სფეროების პროფესიონალები;
2132 ფერმერების, მეტყევეების და მეთევზეების მრჩევლები;
2133 გარემოს დაცვის პროფესიონალები.

2131 ჯგუფური ერთეული
ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე სფეროს პროფესიონალები

ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე სფეროების პროფესიონალები სწავლობენ ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთობას, აგრეთვე, ამ ცოდნას იყენებენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. ისინი მუშაობენ ისეთ მრავალფეროვან სფეროებში, როგორებიცაა: ბოტანიკა, ზოოლოგია, ეკოლოგია, საზღვაო ბიოლოგია, გენეტიკა, იმუნოლოგია, ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგია, ფიზიოლოგია, ბაქტერიოლოგია, ვირუსოლოგია.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცოცხალი ორგანიზმებზე სამეცნიერო ცოდნის გასაზრდელად, ახალი ინფორმაციის აღმოსაჩენად, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: გარემო, სოფლის მეურნეობა და ჯანმრთელობა, აგრეთვე, ახალი პროდუქტების შექმნა, პროცესები და ფარმაკოლოგიაში, სასოფლო-სამეურნეოსა და გარემოს დაცვაში გამოსაყენებელი ტექნიკა – პრობლემების გადასაჭრელად და ჰიპოთეზების დასატესტად ლაბორატორიებში კვლევების ჩატარებას;
2. ექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარებას;
3. ადამიანის, ცხოველის, მწერისა და მცენარის ნიმუშებისა და მონაცემების შეგროვებასა და მათი წარმოშობის, სტრუქტურის, შემადგენლობის, სასიცოცხლო და რეპროდუქციული პროცესების შესწავლას;
4. სხვადასხვა სპეციალური დანადგარების, ინსტრუმენტების, ტექნოლოგიებისა და ტექნიკის გამოყენებით, როგორებიცაა: ელექტრონული მიკროსკოპები, ტელემეტრი, გლობალური პოზიციონირების სისტემები, ბიოტექნოლოგია, სატელიტური სურათები, გენური ინჟინერია, ციფრული სურათების ანალიზი, პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქცია და კომპიუტერული მოდელირება – ცოცხალი ორგანიზმების კვლევას;
5. ცოცხალი ორგანიზმების იდენტიფიცირებას, კლასიფიკაციას, შენახვასა და მონიტორინგს, აგრეთვე, მონაცემთა ბაზის შენარჩუნებას;
6. საკვლევი თემის შემდგომ განსახილველად სამეცნიერო საზოგადოებისთვის სამეცნიერო ჟურნალებითა თუ კონფერენციებით ხელმისაწვდომი ჩატარებული კვლევის პროცესებისა და ახალი დასკვნების დეტალურად აღმწერი სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშები შემუშავებას;
7. მოხდეს ბუნებრივ თუ ადამიანურ ფაქტორებზე არსებული გარკვეული ცვლილებების იდენტიფიკაციისთვის გარემოზე ზეგავლენის შეფასებებას;
8. მთავრობებისთვის, ორგანიზაციებისა და ბიზნესებისთვის რჩევების მიცემასა და კონსერვაციაში, ბუნებრივი რესურსების მართვასა და კლიმატის ცვლილებებისა და დაბინძურების შედეგებში მათ დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ცხოველთა საკითხებზე მომუშავე ბიჰევიორისტი;
- ბაქტერიოლოგი;
- ბიოქიმიკოსი;
- ბიოლოგი;
- ბიომედიცინის მკვლევარი;
- ბიოტექნოლოგი;
- ბოტანიკოსი;
- უჯრედის გენეტიკოსი;
- საზღვაო ბიოლოგი;
- მიკრობიოლოგი;
- მოლეკულური ბიოლოგი;
- მოლეკულური გენეტიკოსი;
- ფარმაკოლოგი;
- ზოოლოგი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- ეკოლოგი – 2133.

შენიშვნა:

მედიცინის მკვლევრები, რომლებიც მონაწილეობენ ბიომედიცინის კვლევებში, იყენებენ ცოცხალ ორგანიზმებს და არ გადიან კლინიკურ პრაქტიკებს, მიეკუთვნებიან 2131 ჯგუფურ ერთეულს – ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები. ხოლო ისინი, ვინც კლინიკურ პრაქტიკებს გადიან, მიეკუთვნებიან 221 მცირე ჯგუფს – ექიმები.

2132 ჯგუფური ერთეული
ფერმერების, მეტყევეებისა და მეთევზეების მრჩევლები

ფერმერების, მეტყევეებისა და მეთევზეების მრჩევლები სწავლობენ, ეხმარებიან და რჩევებს გასცემენ ფერმის, მეტყევეობისა და თევზის ჭერის მართვაზე, მათ შორის კულტივაციაზე, ნიადაგის გაპატივებზე, მოსავლის აღებაზე, ნიადაგის ეროზიასა და შემადგენლობაზე, დაავადებათა თავიდან აცილებაზე, კვებაზე, თესლბრუნვასა და ვაჭრობაზე. ისინი მზარდი პროდუქტიულობისათვის ავითარებენ ტექნიკას, შეისწავლიან, მიწისა და თევზის ჭერისთვის ავითარებენ გეგმებსა და პოლიტიკას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. წარმოებაზე, კვებაზე, მიწაზე, წყლის ხარისხსა და ფერმაზე გამვლენ სხვა ფაქტორებზე, ტყესა თუ თევზის ჭერასზე მონაცემებისა და ნიმუშების შეგროვებასა და ანალიზს;
2. მარცვლეულის, პირუტყვისა და თევზის, აგრეთვე, ალტერნატიული პროდუქციის წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებაზე რეკომენდაციების გაცემას;
3. პირუტყვისა და მარცვლეულის დაავადებებზე, შინაურ ცხოველებსა და სარეველების კონტროლზე, ნიადაგის გაუმჯობესებაზე, ცხოველების მოვლასა და კვების პროგრამებზე რეკომენდაციების გაცემას;
4. მარცვლეულის კომერციულ წარმოებაზე, საძოვრების ზრდაზე, ცხოველთა კვებაზე, თევზის მარაგზე, ტყის ხეების ზრდასა და მათ სიჯანსაღეზე გამვლენი გარემო ფაქტორების შესწავლას;
5. კულტივაციის ტექნიკის, ნიადაგის, მწერების, დაავადებათა და ცხოველთა, მარცვლეულთა, მეტყევეობისა და თევზის ჭერის წარმოების პრაქტიკის გავლენის შესწავლას;
6. თევზების მიგრაციის, ზრდის, კვებისა და ქვირითის ყრის პროცესების, აგრეთვე, ქვირითის შეგროვების, განაყოფიერების, ინკუბაციისა და ნაყოფის დაბადების მეთოდების შესწავლას;
7. ნიადაგის მახასიათებლების, მათი გამოყენებისა და პროდუქტიულობის კვლევასა და გაუმჯობესებული სოფლის მეურნეობის, მებაღეობისა და მეტყევეობის პრაქტიკის შესახებ დასკვნების გამოყენებას;

8. სოფლის მეურნეობის პრობლემების გადასაჭრელი პროცედურების შემუშავებასა და წარმოების ეფექტურობის გაუმჯობესებას;
9. გრძელვადიანი კომერციული, რეკრეაციული და გარემოს დაცვითი სარგებელის გასაზრდელად ტყისა და თევზის ჭერის რესურსების მართვას;
10. ტყის ხეების გამრავლებისა და კულტურის, მარაგის ზრდის გაუმჯობესების მეთოდიკის, აგრეთვე, ტყის წარმოების შემცირების ზეგავლენის შესწავლას;
11. ხანძართან, წყალდიდობასთან, გვალვასთან, ნიადაგის ეროზიასთან, პარაზიტებსა და დაავადებათა შედეგებთან გასამკლავებლად მართვის პროცედურების კვლევას, დაგეგმვასა და დანერგვას;
12. ფერმერთა, მეტყევეთა და მეთევზეთა საზოგადოებებისა და სხვა ჯგუფებისთვის სამეცნიერო ანგარიშები მომზადებასა და სარეკომენდაციო ხასიათის საინფორმაციო სესიებისა და ლექციების ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აგრონომი;
- მეთევზეების მრჩევლები;
- მეტყევეების მრჩევლები;
- მეტყევეობის მეცნიერი;
- მებაღეობის მეცნიერი;
- მეტყევე;
- ნიადაგის მეცნიერი.

<u>2133 ჯგუფური ერთეული</u>
გარემოს დამცველები

გარემოს დამცველები სწავლობენ და აფასებენ ადამიანის გარემოში ჩარევის ისეთ შედეგებს, როგორებიცაა: ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ხმაური, ნიადაგის გახრწნა, კლიმატის ცვლილება, ტოქსიკური ნარჩენები, ბუნებრივი რესურსების გამოლევა და დეგრადაცია. ისინი იცავენ, ინარჩუნებენ, აღადგენენ, ამცირებნ და თავიდან იცილებენ გარემოს შემდგომ დაზიანებებეს და წყვეტენ პრობლემებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კვლევის ჩატარებას, ცდების წარმოება, ნიმუშების შეგროვება, საველე და ლაბორატორიული ანალიზების ჩატარება, რათა მოხდეს გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გაიცეს რეკომენდაციები მათი თავიდან აცილების, კონტროლისა და გამოსწორების მიმართულებით;
2. პოტენციური ან შეთავაზებული საქმიანობების, პროექტებისა და განვითარებების გარემოზე შესაძლო ზეგავლენის შეფასებასა და განსავითარებელი რეკომენდაციების გაცემას;
3. ორგანიზაციებოს მიერ გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობების, პროდუქტებისა და მომსახურებების გამოსავლენად, დასაკვირვებლად და გასაკონტროლებლად გარემოს მართვის სისტემების დანერგვის კოორდინაციას;

4. გარემოზე მიმდინარე საქმიანობების, პროცესების, ნარჩენების, ხმაურისა და ნივთიერებების მავნე შედეგების შესაფასებლად აუდიტის ჩატარებას;
5. ორგანიზაციის მიერ სამთავრობო და შიდა გარემოს დაცვითი რეგულაციებისა და სახელმძღვანელო წესების დაცვის შეფასებას, დარღვევების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი გამოსასწორებელი ქმედებების განსაზღვრას;
6. გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემების გასამკლავებლად, გარემოს დაზიანებისა და ფინანსური დანაკარგების შესამცირებლად ორგანიზაციებისთვის ტექნიკური რჩევების მიცემასა და დახმარებას;
7. კონსერვაციის გეგმების შემუშავებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჰაერის დაბინძურების ანალიტიკოსი;
- კონსერვაციის სპეციალისტი;
- ეკოლოგი;
- გარემოს დაცვის აუდიტორი;
- მრჩეველი გარემოს დაცვის საკითხებში;
- გარემოს დაცვის მკვლევარი მეცნიერი;
- გარემოს დაცვის სპეციალისტი;
- პარკის მცველი;
- წყლის ხარისხის ანალიტიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- გარემოს დაცვის ინჟინერი – 2143.

214 მცირე ჯგუფი
ინჟინრები

ინჟინრები (გარდა ელექტრო ტექნოლოგიისა) ადგენენ, გეგმავენ და ორგანიზებას უწევენ სტრუქტურების, მანქანებისა და სხვა კომპონენტების, აგრეთვე, სისტემებისა და დანადგარების ცდებს, მშენებლობას, მონტაჟსა და მოვლა-პატრონობას. საინჟინრო პროექტების უსაფრთხოდ, ეფექტურად და ნაკლები დანახარჯებით განსახორციელებლად გეგმავენ წარმოების განრიგსა და სამუშაო პროცედურებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ქიმიური პროცესის სისტემების, სამოქალაქო საინჟინრო პროექტების, მექანიკური დანადგარებისა და სისტემების, სამთო-მოპოვებითი და სათხრელი სამუშაოების, აგრეთვე, სხვა საინჟინრო პროექტების დაგეგმვასა და შემუშავებას; ნახაზებისა და გეგმების შექმნასა და მათი ინტერპრეტაციას, აგრეთვე, მშენებლობის მეთოდის განსაზღვრას; სტრუქტურების, წყლისა და გაზის მარაგისა და სატრანსპორტო სისტემების მშენებლობის ზედამხედველობას, აგრეთვე, მოწყობილობების, მანქანებისა და დანადგარების წარმოებას, მონტაჟს, მოხმარებასა და მოვლა-პატრონობას; პროექტის მუშახელის ორგანიზებასა და მართვას, აგრეთვე, მასალების, დანადგარებისა და

მოწყობილობების მიწოდებას; ბიუჯეტის გასაკონტროლებლად სავარაუდო ხარჯების გამოთვლას, დეტალური ხარჯთაღრიცხვისა და ბიუჯეტის მომზადებას; ინჟინერიის სხვადასხვა დარგში საინჟინრო ტექნოლოგიების გამოყენებით დიზაინსა და მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას.

წინამდებარე მცირე გჯუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2141 მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები;
2142 ინჟინერ-მშენებლები;
2143 ინჟინერ-ინსპექტორები;
2144 ინჟინერ-მექანიკოსები;
2145 ინჟინერ-ქიმიკოსები;
2146 სამთო-ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროს პროფესიონალები;
2149 ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კატეგორიებს მიუკუთვნებელი ინჟინრები.

2141 ჯგუფური ერთეული
მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები

მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები იკვლევენ, შეიმუშავებენ, მართავენ და ზედამხედველობენ სამრეწველო პროცესებისა და მშენებლობების მონტაჟს, გამოყენებასა და მოვლა-პატრონობას. ისინი ადგენენ მრეწველობასთან დაკავშირებული საქმიანობების სამართავ პროგრამებს და აფასებენ მასთან დაკავშირებული ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დასაქმებულთა და სამუშაო განყოფილებების ფუნქციებისა და ვალდებულებების გასასაზღვრად და დუბლირებული სფეროების გამოსავლენად ფუნქციური განცხადებების, საორგანიზაციო ცხრილებისა და პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის შესწავლას;
2. სამუშაო ძალის გამოყენების სტანდარტების განსავითარებლად შეფასების პროგრამების დადგენასა და ნიმუშების ანალიზს;
3. დასაქმებულთა და მოწყობილობათა ოპტიმალური ეფექტურობის დონის გასაზაზღვრად სამუშაო ძალის გამოყენების, ადგილმდებარეობის წყობის, ოპერაციული მონაცემების, წარმოების განრიგისა და ხარჯების ანალიზს;
4. წარმოების სპეციფიური ფაქტორების განვითარებასა და მასალების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სისტემების სადენების, ნაკადების, მათი შესაძლებლობისა და წყობის განსაზღვრას;
5. პროექტში მონაწილე სამუშაო ძალის ორგანიზებასა და მართვას, აგრეთვე, მასალების, დანადგარებისა და მოწყობილობების მიწოდების უზრუნველყოფას;
6. საინჟინრო პრინციპებისა და უსაფრთხოების რეგულაციების შესაბამისად მონტაჟის, მოდიფიცირების, ხარისხის კონტროლის, ცდების, შემოწმებისა და მოვლა-პატრონობის სტანდარტებისა და პოლიტიკის დადგენას;
7. სამუშაოს შესრულების გაუმჯობესებისა და შენარჩუნებისთვის დანადგარების ინსპექტირებას;

8. დანადგარებისა და მოწყობილობების მშენებლობის მართვასა და მოვლა-პატრონობას, აგრეთვე, ახალი გეგმების, კვლევებისა და მოვლა-პატრონობის განრიგის მოთხოვნების კოორდინაციას;
9. წარმოების ახალი მეთოდებზე, ტექნიკისა და მოწყობილობებზე მენეჯმენტისთვის რჩევების მიცემას;
10. შესაბამისი მასალების თანმიმდევრული და დროული მიწოდების უზრუნველსაყოფად შესყიდვის, დასაწყობებისა და მაკონტროლებელ დეპარტამენტებთან კავშირების დამყარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ინჟინერ-დამპროექტებლები;
- ინჟინერ-მშენებლები;
- ინჟინერ-მექანიკოსები;
- ინჟინერ-ელექტრიკოსები;
- ინჟინერ-ტექნოლოგები.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- წარმოების მენეჯერი – 1321.

2142 ჯგუფური ერთეული
ინჟინერ-მშენებლები

ინჟინერ-მშენებლები გასცემენ დიზაინთან დაკავშირებულ რჩევებს და წარმართავენ მშენებლობას, მართავენ სამოქალაქო-საინჟინრო სტრუქტურების საქმიანობებსა და მათ შენარჩუნებას, ან შეისწავლიან კონკრეტული მასალების ტექნოლოგიურ ასპექტებს და გასცემენ მათზე რეკომენდაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კვლევის ჩატარებასა და სამოქალაქო ინჟინერიასთან დაკავშირებული ახალი ან გაუმჯობესებული თეორიებისა და მეთოდების განვითარებას;
2. რჩევების გაცემასა და ხიდების, დამბების, ნავსაშენების, აეროპორტების, რკინიგზების, არხების, მილსადენების, ნარჩენების განადგურებისა და წყალდიდობის მაკონტროლებელი სისტემების, აგრეთვე, ინდუსტრიული და სხვა დიდი მშენებლობების ტრუქტურების შედგენას;
3. მშენებლობის მეთოდების, მასალებისა და ხარისხის სტანდარტების განსაზღვრასა და დაკონკრეტებას, აგრეთვე, სამშენებლო სამუშაოების წარმართვას;
4. სტრუქტურების ეფექტური ფუნქციონირებისთვის, აგრეთვე, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისთვის მაკონტროლებელი სისტემების ჩამოყალიბებას;
5. არსებული სამოქალაქო-საინჟინრო სტრუქტურების მოვლა-პატრონობისა და შეკეთების ორგანიზებასა და წარმართვას;

6. კონკრეტული სტრუქტურის მშენებლობის ნიადაგისა და კლდეების მახასიათებლების ანალიზს;
7. სტრუქტურების სტაბილურობის ანალიზსა და მშენებლობაში გამოყენებული მასალების მახასიათებლებისა და გამძლეობის შემოწმებას;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ინჟინერ-მშენებელი;
- ინჟინერ-ტექნოლოგი;
- ინჟინერ-დამპროექტებელი;

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სამოქალაქო ინჟინერიის პროექტი მენეჯერი – 1323;
- გეოდეზისტები – 2114;
- ინჟინერ-მეტალურგები – 2146;
- სამთომოპოვების ინჟინრები – 2146;
- ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების დამგეგმარებლები – 2164.

2143 ჯგუფური ერთეული
ინჟინერ-ინსპექტორები

ინჟინერ-ინსპექტორები ატარებენ კვლევებს, გასცემენ რჩევებს, შეიმუშავებენ და წარმართავენ სხვადასხვა საინჟინრო დისციპლინის გამოყენებით ადამიანის ქმედებების გარემოზე ზემოქმედების ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად, გასაკონტროლებლად ან შესაამცირებლად პრობლემების გადაჭრის დანერგვის პროცესებს. ისინი სამშენებლო და სამოქალაქო-საინჟინრო პროექტების გარემოს დაცვითი პერსპექტივიდან აფასებენ და დაბინძურების გასაკონტროლებლად, ნარჩენების სამართავად და მათ გასანადგურებლად იყენებენ ინჟინერიის პრინციპებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კვლევის ჩატარებასა და არსებული და შემოთავაზებული მშენებლობების, სამოქალაქო ინჟინერიისა და სხვა საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების კუთხით შეფასებასა და ანგარიშების წარდგენას;
2. ოპერაციული ეფექტურობის შესაფასებლად და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციების შესასრულებლად სამრეწველო და მუნიციპალური დაწესებულებებისა და პროგრამების ინსპექტირებას;
3. წყლის, ჰაერისა თუ ნიადაგის ხარისხის გასაკონტროლებლად, სამართავად თუ აღსადგენად სისტემების, პროცესებისა და დანადგარების შექმნასა და მათი განვითარების ზედამხედველობას;
4. გარემოს დაცვის თვალსაზრისით, კომუნიკაციებისა და რეგულაციების ანალიზში, მონაცემთა ბაზის განვითარების დაგეგმვისა თუ მათი გადახედვაში დახმარებას;

5. გეგმების, ნებართვებისა და სტანდარტული სამოქმედო პროცედურების მოძიებას, განახლებასა და შენარჩუნებას;
6. გარემოს აღდგენაში და სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ პროექტებში, აღდგენის სისტემის შემუშავებასა და რეგულაციური გამოყენების განსაზღვრაში საინჟინრო და ტექნიკურ დახმარებას;
7. გარემოს გაუმჯობესების პროგრამების პროგრესის მონიტორინგს;
8. ხალხისა და გარემოს დასაცავად, დაბინძურებული ადგილების გასასუფთავებლად საჭირო პროცედურებისკორპორაციებისა და მთავრობის წარმომადგენლებისთვის რეკომენდაციების მიცემას;
9. გარემოს დაცვითი პრობლემების გადასაჭრელად გარემოს დაცვის მკვლევრებთან, მგეგმავებთან, საშიში ნარჩენების ტექნიკოსებთან, სხვა დისციპლინების ინჟინრებსა და სამართლისა და ბიზნესის სპეციალისტებთან თანამშრომლობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჰაერის დაბინძურების კონტროლის ინჟინერი;
- გარემოს დაცვის ანალიტიკოსი;
- გარემოს დაცვის ინჟინერი;
- გარემოს აღდგენის სპეციალისტი;
- ნარჩენი წყლის დამუშავების ინჟინერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- გარემოს დაცვის მეცნიერი – 2133;
- რადიაციისგან დაცვის ექსპერტები – 2263.

<u>2144 ჯგუფური ერთეული</u>
ინჟინერ-მექანიკოსები

ინჟინერ-მექანიკოსები ატარებენ კვლევებს, გასცემენ რჩევებს, შეიმუშავებენ და წარმართავენ მანქანების, თვითმფრინავების, გემების, სამანქანო და სამრეწველო დანადგარების, მოწყობილობებისა და სისტემების წარმოებას, გასცემენ რჩევებს და წარმართავენ მათი ფუნქციონერების, მოვლა-პატრონობისა და შეკეთების საქმიანობებს, ან შეისწავლიან და გასცემენ რეკომენდაციებს კონკრეტული მასალის, პროდუქციისა თუ პროცესის მექანიკურ ასპექტებზე.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მანქანებისა და იარაღების შესახებ რჩევების გაცემასა და წარმოების, სამთო-მოპოვებითი, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა ინდუსტრიული მიზნებისთვის მათ შექმნას;
2. სარკინიგზო ლოკომოტივების, საგზაო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა თუ თვითმფრინავების ასამუშავებლად და აგრეთვე, სხვა ინდუსტრიული მიზნებისთვის

გამოსაყენებელი ორთქლის, შიდა წვისა და სხვა არაელექტრო მოტორებსა და ძრავებზე რჩევების მიცემასა და მათი დიზაინის შემუშავებას;

3. გემის კორპუსების, სუპერ-სტრუქტურებისა და ძრავის ასამუშავებელი სისტემების, ენერგიის გამოშვების, კონტროლისა და გამოყენებისთვის მექანიკური დანადგარებისა და მოწყობილობების, გათბობის, ვენტილაციისა და გაგრილების სისტემების, საჭის, ტუმბოსა და სხვა მექანიკური დანადგარის თაობაზე რჩევების მიცემასა და მათ შექმნას;
4. საფრენი აპარატის კორპუსებზე, და სხვა დანადგარებზე, ასევე, მუხრუჭების სისტემებზე, მუხრუჭების, სატრანსპორტო საშუალებების კორპუსებისა საგზაო ტრანსპორტის სხვა კომპონენტებზე რჩევების მიცემასა და მათი დიზაინის შემუშავება;
5. აპარატისა თუ პროდუქციის არაელექტრო ნაწილებზე: პროცესორებზე, კომპიუტერებზე, ზუსტ ინსტრუმენტებზე, კამერებსა და პროექტორებზე – რჩევების მიცემასა და მათი დიზაინის შექმნას;
6. მანქანების, დანადგარების, ხელსაწყოების, მოტორების, ძრავების, სამრეწველო დანადგარების, მოწყობილობებისა თუ სისტემების ეფექტური ფუნქციონირებისთვის მაკონტროლებელი სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავებას;
7. უსაფრთხოების სტანდარტებით დადგენილ რეგულაციებთან დანადგარების აღჭურვის, მათი მოხმარებისა და მოვლა-პატრონობის წესები შეესაბამისობის უზრუნველყოფას;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ჰერნაოსნობის ინჟინერი;
- ინჟინერ-ჰიდრავლიკოსი;
- საზღვაო ინჟინერი;
- ინჟინერ-მექანიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- გემების ინჟინერი – 3151.

<u>2145 ჯგუფური ერთეული</u>
ინჟინერ-ქიმიკოსები

ინჟინერ-ქიმიკოსები იკვლევენ, ავითარებენ, ურჩევენ და წარმართავენ კომერციული მნიშვნელობის ნივთიერებებისა და ნივთების ქიმიურ პროცესებს: ნავთობის, საწვავის დერივატივების, საკვებისა და სასმელი პროდუქტების, მედიკამენტებისა ან სინთეტიკური მასალების. ისინი წარმართავენ ქიმიური დანადგარებისა და მოწყობილობების მოვლა-პატრონობასა და შეკეთებას, შეისწავლიან კონკრეტულ მასალებს, პროდუქციასა თუ პროცესების ქიმიურ ასპექტებს და გასცემენ რეკომენდაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ნავთობის და სხვა სითხეებისა თუ თხევადი აირის გაწმენდის, აგრეთვე, ნივთიერებებისა და ნივთების: საწვავის დერივატივები, ასაფეთქებლები, საკვები და სასმელი პროდუქტები, მედიკამენტები ან სინთეტიკური მასალების – საწარმოებლად კომერციული მნიშვნელობის ქიმიური პროცესების კვლევას, რჩევების მიცემასა და მათ განვითარებას;
2. ქიმიური მეთოდების, მასალებისა და ხარისხის სტანდარტების დაკონკრეტებას, აგრეთვე, მათ მიერ კონკრეტული მახასიათებლების შესრულებას;
3. ქიმიური წარმოების ოპერაციების უსაფრთხოებისა და ეფექტურობის, აგრეთვე, პერსონალის მიერ დანადგარების გამოყენებისა და ქიმიური რეაქტორების ახლო განლაგებული პერსონალის უსაფრთხოებისთვის კონტროლის სტანდარტებისა და პროცედურების დადგენას;
4. ქიმიკატებისა და პროდუქტების წარმოებისთვის ქიმიური დანადგარებისა და დაგეგმვის პროცესების შემუშავებას;
5. წარმოების დროს ცვალებადობების კონტროლის ხარისხის: ტემპერატურა, კონცენტრაცია, კონკრეტული მიზიდულობა და წნევა – ცდების ჩატარებას;
6. უსაფრთოხების პროცედურების შემუშავებას;
7. მენეჯმენტისთვის წარსადგენი წარმოების ხარჯების ბიუჯეტისა და პროგრესის ანგარიშის მომზადებას;
8. ახალი პროდუქტების წარმოებისა და შემოთავაზებული პროცესების ტესტირებისას მცირე მასშტაბიანი ოპერაციების (მაგ., საცდელი დანადგარი) ლაბორატორიული კვლევების განხორციელებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ინჟინერ-ქიმიკოსი;
- საწვავის ტექნოლოგი;
- პლასტმასის ტექნოლოგი;
- გადამუშავების ინჟინერი.

2146 ჯგუფური ერთეული
სამთო-ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები

სამთო-ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები იკვლევენ, ქმნიან, ავითარებენ და ინარჩუნებენ მადნიდან ლითონის, ან ნიადაგიდან მინერალების, წყლის, ნავთობისა თუ ბუნებრივი აირის მოპოვების, აგრეთვე, ახალი შენადნობების, კერამიკისა და სხვა მასალების განვითარების კომერციული მასშტაბის მეთოდებს, ანდა შეისწავლიან კონკრეტული მასალების, პროდუქტებისა თუ პროცესების სამთო-მოპოვებით თუ მეტალურგიულ ასპექტებს და გასცემენ რეკომენდაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქვანახშირის, ლითონის საბადოების, არამადნეული მინერალებისა და სამშენებლო მასალების: ქვისა და ხრეშის – მოპოვების ადგილისა და დაგეგმვის პროცესის განსაზღვრას;

2. ეფექტური სამთო-მოპოვებისა და მინერალების მოპოვების ყველაზე მოსახერხებელი მეთოდებისა და მაღაროში შესასვლელი ხვრელებისა და გვირაბების აგების, მშენებლობის წარმართვისთვის გამოსაყენებელი დანადგარების განსაზღვრას;
3. საბურღი ადგილებისა და ჭაბურღილიდან წყლის, ნავთობისა თუ ბუნებრივი აირის ნაკადის კონტროლის განსაზღვრას;
4. წყლის, ნავთობისა თუ ბუნებრივი აირის განთავსების, აგრეთვე, მათი თავდაპირველი დამუშავებისა და ტრანსპორტირების პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას;
5. უსაფრთხოების სტანდარტებისა და პროცედურების, აგრეთვე, პირველადი დახმარების ადგილების (განსაკუთრებით მიწისქვეშ) შექმნას;
6. კვლევას, მასალების მადნიდან მოპოვების მეთოდების განვითარებასა და მათ გამოყენებაზე რჩევების გაცემას;
7. ლითონებისა და შენაერთების თვისებების კვლევას, ახალი შენაერთების განვითარებას, ლითონისა და შენაერთების წარმოებისა და გადამუშავების ტექნიკური ასპექტების ზედამხედველობასა და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემას;
8. სხვა შესაბამის სპეციალისტებთან – გეოლოგებსა და გეოფიზიკოსებთან ტექნიკური კავშირების შენარჩუნებას;
9. სარგებლიანობის განსასაზღვრად კონცენტრატებისა თუ წიაღისეულის შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სამთო-მოპოვების მეტალურგი;
- სამთო-მოპოვების ინჟინერი;
- საწვავისა და ბუნებრივი აირის მოპოვების ინჟინერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- გეოლოგი – 2114;
- გეოფიზიკოსი – 2114.

2149 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნელი ინჟინრები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს ინჟინერებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 214 მცირე ჯგუფის – ინჟინრები (გარდა ინჟინერ-მექანიკოსებისა) ან 215 მცირე ჯგუფის – ინჟინერ-ტექნოლოგები კატეგორიებს. ჯგუფი მოიცავს იმ პროფესიონალებს, რომლებიც ატარებენ კვლევებს და გასცემენ რჩევებს, ან ავითარებენ საინჟინრო პროცედურებს და წყვეტენ სამუშაო ადგილის უსაფრთოხებასთან, ბიო-მედიცინის ინჟინერიასთან, ოპტიკასთან, მასალებთან, ბირთვული ენერგიის წარმოებასა და ასაფეთქებელ ნივთიერებებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბიოლოგიური და ჯანდაცვის სისტემებისა და პროდუქციის: ხელოვნური ორგანოების, პროთეზებისა და აპარატურის – დიზაინში, განვითარებასა და შეფასებაში ინჟინერიის ცოდნის გამოყენებას;
2. სხვადასხვა სამედიცინო პროცედურისა თუ დიაგნოსტიკური სისტემის დროს გამოსაყენებელი დანადგარების (მაგ.: მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და ინსულინის ავტომატური ინექცია ან სხეულის ფუნქციების კონტროლი) შექმნას;
3. სინათლის თვისებების გამომყენებელი ოპტიკური ინსტრუმენტების: ლინზების, მიკროსკოპების, ტელესკოპების, ლაზერების, ოპტიკური დისკის სიტემებისა და სხვა მოწყობილობების – კომპონენტების შექმნას;
4. სამხედრო შესყიდვების მახასიათებლებიას შესასრულებლად ასაფეთქებელი მასალების განვითარებას, ტესტირებასა და კოორდინირებას;
5. ბირთვული რექტორების, ჰესებისა და საწვავის გადამუშავებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობისა და მოხმარების დაგეგმვასა და ზედამხედველობას;
6. ბირთვული დანადგარების: რეაქტორების, რადიაციული დაცვისა და მასთან დაკავშირებული აპარატებისა და კონტროლის მექანიზმების – შექმნასა და განვითარებას;
7. დაზიანებებისა და საზღვაო სამაშველო ოპერაციების შეფასებას;
8. იმ კონკრეტული წარმოების პროცესების საინჟინრო ასპექტების შესწავლასა და შუშასთან, კერამიკასთან, ტექსტილთან, ტყავის პროდუქციასთან, ხესა და ბეჭდვასთან დაკავშირებული რჩევების მიცემას;
9. პოტენციურად საშიში ნივთიერებების გამოვლენას, უსაფრთხოების პროცედურებისა და დანადგარების დანერგვას;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ბიო-მედიცინის ინჟინერი;
- ასაფეთქებელი ნივთიერებების ინჟინერი;
- საზღვაო-სამაშველო ოპერაციების ინჟინერი;
- მასალების ინჟინერი;
- ბირთვული ენერგიის წარმოების ინჟინერი;
- ინჟინერ-ოპტიკოსი;
- ინჟინერ-ტექნოლოგი;
- უსაფრთხოების ინჟინერი;
- ინჟინერ-შემფასებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ინდუსტრიული და წარმოების ინჟინრები – 2141;
- გარემოს დაცვის ინჟინერი – 2143;
- ტოპოგრაფი – 2165.

შენიშვნა:

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ როდესაც ბიო-მედიცინის ინჟინრები სხვა საინჟინრო პროფესიებთან ერთად მიეკუთვნებიან აღნიშნულ ჯგუფურ ერთეულს, ისინი აგრეთვე, განიხილებიან ჯანდაცვის სპეციალისტთა განუყოფელ ნაწილად იმ პროფესიებთან ერთად, რომლებიც მიეკუთვნებიან 22 ქვეჯგუფს – ჯანდაცვის პროფესიონალები, აგრეთვე, სხვა

პროფესიებთან ერთად, რომლებიც კლასიფიცირებულნი არიან 2 ძირითადი ჯგუფის – პროფესიონალები სხვა ჯგუფურ ერთეულებში.

215 მცირე ჯგუფი
ინჟინერ-ტექნოლოგები

ინჟინერ-ტექნოლოგები აწარმოებენ კვლევას, გეგმავენ, გასცემენ რჩევებს და წარმართავენ ელექტრონული, ელექტრული და კავშირგაბმულობის სისტემების, კომპონენტების, მოტორებისა და მოწყობილობების აწყობისა და გამოყენების პროცესს. ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობებისა და სისტემების მონიტორინგისთვის ისინი ორგანიზებას მართავენ და შეიმუშავებენ მაკონტროლებელი სისტემებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კვლევის ჩატარებას, რეკომენდაციების გაცემასა და ელექტრული, ელექტრონული და კავშირგაბმულობის პროდუქტებისა და სისტემების მოვლა-პატრონობასა და შეკეთებას; ენერგოსადგურებისა და ელექტროენერგიის მწარმოებელი, გადამცემი და გამავრცელებელი სისტემების შექმნასა და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემას; ელექტრული, ელექტრონული და კავშირგაბმულობის სისტემებისა და მოწყობილობების ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების მაკონტროლებელი სტანდარტების მონიტორინგს.

წინამდებარე მცირე გჯუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2151 ინჟინერ-ელექტრიკოსები;
2152 ინჟინერ-ტექნოლოგები;
2153 ინჟინერ-ტექნიკოსები.

2151 ჯგუფური ერთეული
ინჟინერ-ელექტრიკოსები

ინჟინერ-ელექტრიკოსები აწარმოებენ კვლევას, გეგმავენ, გასცემენ რჩევებს და წარმართავენ ენერეგტიკული სისტემების, კომპონენტების, ძრავების და მოწყობილობების მონტაჟისა და ოპერირების პროცესს. გასცემენ რეკომენდაციებს დანადგარების მოვლა-პატრონობისა და შეკეთების, ელექტრული მასალების, პროდუქციისა და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ელექტრო სადგურებისა და ელექტროენერგიის მწარმოებელი, გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების შექმნასა და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემას;
2. ელექტრული ენერგიის წარმოების, გადაცემისა და გავრცელების სისტემების მოხმარების ზედამხედველობას, კონტროლსა და მონიტორინგს;

3. ელექტრული ძრავების წევის და სხვა მოწყობილობების, ან შიდა ელექტრული ხელსაწყოების სისტემების შესახებ რეკომენდაციების გაცემასა და მათ დაგეგმვას;
4. ელექტრული მოწყობილობებისა და გამოსაყენებელი დანადგარების ინდუსტრიულ და სხვა შენობებსა და ობიექტებზე დამონტაჟებას;
5. ელექტრული ენერგიის წარმოებისა და გავრცელების სისტემების, ძრავებისა და მოწყობილობების ფუნქციონირების მონიტორინგის მაკონტროლებელი სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავებას;
6. ახალი და არსებული ელექტრული სისტემების, ძრავების და მოწყობილობების მოვლა-პატრონობისა და შეკეთების მეთოდების განსაზღვრას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ინჟინერ-ელექტრიკოსი;
- ელექტროენერგიის წარმოების ინჟინერი;
- ინჟინერ ელექტრომექანიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბირთვული ენერგიის წარმოების ინჟინერი – 2149;
- ინჟნერ-ელექტრიკოსი – 2152;
- რადიოგადაცემის ინჟინერი – 2153;
- კავშირგაბმულობის ინჟინერი – 2153.

<u>2152 ჯგუფური ერთეული</u>
ინჟინერ-ტექნოლოგები

ინჟინერ-ტექნოლოგები ატარებენ კვლევებს, გეგმავენ და წარმართავენ ელექტრონული სისტემების კონსტრუქციის, ფუნქციონირების, მოვლა-პატრონობისა და შეკეთების საქმიანობებს, ან შეისწავლიან და ელექტრონული ინჟინერიის მასალებზე, პროდუქციისა და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტებზე გასცემენ რჩევებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ელექტრონული მოწყობილობების ან კომპონენტების, ელექტრონული სქემების, ნახევარგამტარებისა და სისტემების შექმნასა და მათ შესახებ რეკომენდაციების გაცემას;
2. წარმოების ან მონტაჟის მეთოდების, მასალებისა და ხარისხის სტანდარტების განსაზღვრას, აგრეთვე, ელექტრონული პროდუქციისა და სისტემების წარმოების ან საინსტალაციო სამუშაოების წარმართვას;
3. ელექტრონული სისტემების, ძრავებისა და მოწყობილობების ეფექტური ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მაკონტროლებელი სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავებას;
4. არსებული ელექტრონული სისტემებისა და მოწყობილობების მოვლა-პატრონობასა და შეკეთებას;

5. საჰაერო სივრცის სახელმძღვანელო პრინციპებისა და ძრავის კონტროლისთვის, აკუსტიკისთვის, ან ინსტრუმენტებისა და მაკონტროლებელი მოწყობილობებისსთვის ელექტრონული სქემებისა და აღჭურვილობის შექმნას;
6. რადარის, ტელემეტრისა და დისტანციური მართვის სისტემების, მიკროტალღებისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების კვლევასა და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემას;
7. შესაბამისი კომპიუტერული აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფით სიგნალის დამუშავების ალგორითმების შექმნას, განვითარებასა და დანერგვას;
8. ელექტრონული კომპონენტების, სქემებისა და სისტემების დასატესტად აპარატისა და პროცედურების განვითარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კომპიუტერული ტექნიკის ინჟინერი;
- ინჟინერ-ტექნოლოგი;
- აპარატურის ინჟინერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- კავშირგაბმულობის ინჟინერი – 2153.

2153 ჯგუფური ერთეული
კავშირგაბმულობის ინჟინრები

კავშირგაბმულობის ინჟინრები ატარებენ კვლევებს, გეგმავენ და ახორციელებენ კავშირგაბმულობის სისტემების კონსტრუქციის ფუნქციონირებას, მოვლა-პატრონობასა და შეკეთებას. ისინი შეისწავლიან კავშირგაბმულობის ინჟინერიის მასალებს, პროდუქციისა და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტებ და მათზე გასცემენ რჩევებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კავშირგაბმულობის დანადგარებისა ან კომპონენტების, სისტემების, მოწყობილობებისა და სადისტრიბუციო ცენტრების შექმნასა და მათ შესახებ რეკომენდაციების გაცემა;
2. წარმოების ან მონტაჟის მეთოდების, მასალების და ხარისხის სტანდარტების განსაზღვრას, აგრეთვე, კავშირგაბმულობის პროდუქციისა და სისტემების წარმოების ან სამონტაჟო სამუშაოების წარმართვას;
3. კავშირგაბმულობის სისტემების, მოტორებისა და მოწყობილობების ეფექტური ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მაკონტროლებელი სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავებას;
4. კავშირგაბმულობის მოწყობილობების კვლევას და მათთან დაკავშირებული რჩევების მიცემას;
5. ელექტროგაყვანილობების, ბოჭკოვან-ოპტიკური და უკაბელო საკომუნიკაციო მედიით კომუნიკაციის ქსელების დაგეგმვა-შექმნას;

6. შესაბამისი კომპიუტერული აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფით სიგნალის დამუშავების ალგორითმების შექმნას, განვითარებასა და დანერგვას;
7. საკაბელო ან უკაბელო კავშირგაბმულობის ქსელებით, რადიოთი და ტელევიზიით გავრცელების სიტემების შექმნას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მაუწყებლობის ინჟინერი;
- კავშირგაბმულობის ინჟინერი;
- კავშირგაბმულობის ინჟინერიის ტექნოლოგი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- ინჟინერ-ელექტრიკოსი – 2152.

216 მცირე ჯგუფი
არქიტექტორები, დამგეგმავები, ტოპოგრაფები და დიზაინერები

არქიტექტორები, დამგეგმავები, ტოპოგრაფები და დიზაინერები გეგმავენ და შეიმუშავებენ ლანდშაფტის, შენობების ექსტერიერისა და ინტერიერის, წარმოების პროდუქციის, აგრეთვე, ინფორმაციის კომუნიკაციის ვიზუალური და აუდიო-ვიზუალური ნაწილის დიზაინს; გეოგრაფიული მახასიათებლების ზუსტად განსაზღვრისთვის ატარებენ გამოკითხვებს; გეგმავენ, ამზადებენ და ამუშავებენ რუკებს; მიწის გამოყენების კონტროლისთვის ავითარებენ და ახორციელებენ გეგმებსა და პოლიტიკას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კლიენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით დიზაინის მიზნებისა და შეზღუდვების განსაზღვრას; ესთეტიური თვალსაზრისით ტექნიკურ, ფუნქციონალურ, ეკოლოგიურ და წარმოების მოთხოვნებთან თანხვედრაში დიზაინის კონცეფციებისა და გეგმების შემუშავებას; დიზაინის კონცეფციისა და სხვა ინფორმაციის მისაწოდებლად სკეტჩების, დიაგრამების, ილუსტრაციების, ანიმაციების, გეგმების, რუკების, ცხრილების, ნიმუშებისა და მოდელების მომზადებას; ფოტოების, სატელიტური სურათების, გამოკითხვის დოკუმენტებისა და მონაცემების, რუკების, ჩანაწერების, ანგარიშებისა და სტატისტიკის ანალიზს; ფუნქციონალური, სივრცითი, კომერციული, კულტურული, უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ესთეტიური მოთხოვნების კვლევას და მათ ანალიზს.

წინამდებარე მცირე გჯუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2161 შენობის არქიტექტორები;
2162 ლანდშაფტის არქიტექტორები;
2163 პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები;
2164 ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების მგეგმავები;
2165 კარტოგრაფები, ტოპოგრაფები და გეოდეზები;
2166 გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები.

2161 ჯგუფური ერთეული
შენობის არქიტექტორები

შენობის არქიტექტორები შეიმუშავებენ კომერციული, ინდუსტრიული, ინსტიტუციური, საცხოვრებელი და რეკრეაციული შენობების დიზაინს; გეგმავენ და მონიტორინგს უწევენ მათ მშენებლობას, მოვლა-პატრონობასა და რეაბილიტაციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ახალი ან გაუმჯობესებული არქიტექტურული თეორიებისა და მეთოდების განვითარებას;
2. ადგილების ინსპექტირებასა და შემოთავაზებული შენობების ფორმის, სტილისა და ზომის განსასაზღვრად, ან უკვე აშენებული შენობის დიზაინში ცვლილებების შესატანად კლიენტებთან, მენეჯმენტსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების გამართვას;
3. შენობის ფორმაზე, მასალებსა და მის სავარაუდო დასრულებაზე ინფორმაციის გაცემას;
4. სკეტჩებისა და ნახაზების ჩათვლით, პროექტის დოკუმენტაციის მომზადებასა და შენობის საბოლოო ფორმაში სტრუქტურული, მექანიკური და ესთეტიური ელემენტების შერწყმა;
5. მშენებლების მიერ გამოსაყენებლად და კლიენტების სახელით ტენდერების გამოსაცხადებლად ტექნიკური პირობებისა და საკონტრაქტო დოკუმენტების შემუშავებას;
6. შენობის სტილის, ხარჯების, დასრულების დროისა და სხვა რეგულაციებთან შესაბამისობასა და პროექტის განხორციელებაზე შესაბამისი კონტაქტების დამყარებას;
7. შენობის ინტერიერის ფუნქციონირებასა და ხარისხსთან დაკავშირებული პრობლემებიდან საუკეთესო გამოსავლის მოძიებას, აგრეთვე შენობის დიზაინისთვის აუცილებელი ნახაზებისა და გეგმების შემუშავებას;
8. ტექნიკურ პირობებთან და ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სამშენებლო თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგს;
9. სხვა შესაბამის სპეციალისტებთან ტექნიკური კავშირებისა და კონსულტაციების შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- შენობის არქიტექტორი;
- ინტერიერის არქიტექტორი;
- მხატვარ-დეკორატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ლანდშაფტის არქიტექტორი – 2162;
- ინტერიერის დეკორატორი – 3432;

- მხატვარ-დეკორატორი – 3432.

2162 ჯგუფური ერთეული
ლანდშაფტის არქიტექტორები

ლანდშაფტის არქიტექტორები გეგმავენ და შეიმუშავებენ ლანდშაფტისა და ღია (მაგ.: პარკები, სკოლები, ინსტიტუტები, გზები) და გარე (მაგ.: კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი ადგილების) სივრცეების დიზაინს, გეგმავენ და აკვირდებიან მათ მშენებლობას, მოვლა-პატრონობასა და რეაბილიტაციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ახალი ან გაუმჯობესებული თეორიებისა და მეთოდების განვითარებას და ლანდშაფტის არქიტექტურასთან დაკავშირებულ საკითხებზე რჩევების მიცემას;
2. ადგილების ინსპექტირებასა და შემოთავაზებული შენობების, პარკებისა და სხვა ღია სივრცეების ფორმის, სტილისა და ზომის განსასაზღვრად კლიენტებთან, მენეჯმენტთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების გამართვას, რათა განისაზღვროს;
3. მიწის გამოსაყენებელი საკითხების ჩამოსაყალიბებლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და გარემოზე ზემოქმედების გასააანალიზებლად გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ მახასიათებლებთან, მიწის ფორმებთან, ნიადაგთან, ვეგეტაციასთან, ადგილების ჰიდროლოგიასთან, ვიზუალურ მახასიათებლებსა და ადამიანის ჩარევის შედეგად შექმნილ სტრუქტურებთან დაკავშირებული ადგილებისა და საზოგადოებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს;
4. მიწის განვითარებისა და შემოთავაზებული ადგილისა და დეტალების მითითებით, მათ შორის ადგილის მოდელირების, სტრუქტურების, ვეგეტაციისა და ხელმისაწვდომობის ანგარიშების, სტრატეგიული გეგმების, ადგილის დაგეგმვის, სამუშაო ნახაზების, ტექნიკური პირობებისა და ხარჯების სავარაუდო ოდენობის მომზადებას;
5. მშენებლებისა და სამოქალაქო საინჟინრო კონტრაქტორების მიერ გამოსაყენებლად და კლიენტების სახელით ტენდერების გამოსაცხადებლად ტექნიკური პირობებისა და საკონტრაქტო დოკუმენტების შემუშავებას;
6. შენობის სტილის, ხარჯების, დასრულების დროისა და სხვა რეგულაციებთან შესაბამისად პროექტის განსახორციელებისთვის საჭირო კონტაქტების დამყარებას;
7. ექსტერიერთან, გარემოსა და შენობის დიზაინთან დაკავშირებული პრობლემებიდან საუკეთესო გამოსავლისთვის აუცილებელი ნახაზებისა და გეგმების შემუშავებას;
8. ტექნიკურ პირობებსა და ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზუნველსაყოფად სამშენებლო თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგს;
9. სხვა შესაბამის სპეციალისტებთან ტექნიკური კავშირებისა და კონსულტაციების შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ლანდშაფტის არქიტექტორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- შენობის არქიტექტორი – 2161;
- ქალაქდამგეგმარებელი – 2164.

2163 ჯგუფური ერთეული
პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები

პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები შეიმუშავებენ პროდუქციის დიზაინს და განავითარებენ მას წარმოებისთვის, აგრეთვე, ამზადებენ მასიური, კომპლექტური და ერთჯერადი გამოყენების პროდუქციის დიზაინსა და ტექნიკურ მონაცემებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. კლიენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით დიზაინის მიზნებისა და შეზღუდვების განსაზღვრას;
2. ტანსაცმლის, ტექსტილის, ინდუსტრიული, კომერციული და სამომხმარებლო პროდუქტებისა და სამკაულის დიზაინის კონცეფციების შემუშავებას;
3. ესთეტიური თვალსაზრისით ტექნიკურ, ფუნქციონალურ, ეკოლოგიურ და წარმოების მოთხოვნებთან თანხვედრას;
4. დიზაინის კონცეფციების გასავრცელებლად სკეტჩების, დიაგრამების, ილუსტრაციების, ანიმაციების, გეგმების, ნიმუშებისა და მოდელების მომზადებას;
5. დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად კლიენტებთან, მენეჯმენტთან, გაყიდვებისა და წარმოების თანამშრომლებთან მოლაპარაკებებს;
6. ფუნქციონალური და ესთეტიური მასალებზე, წარმოების მეთოდებსა და მის დასრულებაზე რეკომენდაციების განსაზღვრასა და გაცემას;
7. პროდუქციისთვის შერჩეული დიზაინის დეტალიზებასა და დოკუმენტირებას;
8. პროტოტიპებისა და ნიმუშების მომზადებასა და წარმოებაში დანერგვას;
9. ნიმუშების, პროგრამებისა და საშუალებების მომზადებას, აგრეთვე, წარმოების პროცესის ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- კოსტიუმების დიზაინერი;
- მოდის დიზაინერი;
- ინდუსტრიული დიზაინერი;
- სამკაულების დიზაინერი/იუველირი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ძრავის დიზაინერი – 2144;
- შენობის არქიტექტორი – 2161;
- ლანდშაფტის არქიტექტორი – 2162;
- ინტერიერის დიზაინერი – 3432.

2164 ჯგუფური ერთეული
ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების მგეგმავები

ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების მგეგმავები გეგმავენ და ავითარებენ ურბანული და სასოფლო მიწის, აგრეთვე, საგზაო სისტემების კონტროლირებისთვის აუცილებელ საკითხებს. ისინი ატარებენ კვლევებს და მიწის გამოყენებასა და საგზაო მოძრაობაზე გამვლენ ეკონომიკურ, გარემოს დაცვით და სოციალურ ფაქტორებთან დაკავშირებით აძლევენ რჩევებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ურბანული ადგილების განლაგების დაგეგმვასა და განვითარებას;
2. მიწის გამოყენებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ, იურიდიულ, პოლიტიკურ, კულტურულ, დემოგრაფიულ, სოციოლოგიურ, ფიზიკურ და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ფაქტორებზე მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს;
3. არქიტექტურასთან, დაგეგმვასთან, სოციალურ მეცნიერებებთან, გარემოს დაცვასა და სამართალთან დაკავშირებით მთავრობის მაღალჩინოსნებთან, საზოგადოებასა და დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციებს გამართვას;
4. მიწის გამოყენებისა და განვითარებაზე რეკომენდაციების შემუშავებასა და ჯგუფებისა და ინდივიდებისათვის გრაფიკული გეგმების, პროგრამებისა და დიზაინის წარდგენას;
5. ურბანული და რეგიონული დაგეგმვის საკითხებსა და შემოთავაზებებთან დაკავშირებით მთავრობის, კომპანიებისა და საზოგადოებისთვის რჩევების მიცემას;
6. გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ანგარიშების განხილვასა და შეფასებას;
7. პარკების, სკოლების, ინსტიტუტების, აეროპორტების, გზებისა და მასთან დაკავშირებული პროექტების, აგრეთვე, კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი ადგილების გასაშენებლად მიწის ნაკვეთების დაგეგმვასა და მათი განვითარების კოორდინაციას;
8. ეფექტურობისა და უსაფრთხოებისთვის საგზაო მოძრაობისა და საზოგადოებრივ-სატრანსპორტო სისტემების მარშრუტთან და მის კონტროლთან დაკავშირებული პროცესების დაგეგმვასა და რეკომენდაციების გაცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მიწის მგეგმავი/გეოდეზისტი;
- საგზაო მოძრაობის მგეგმავი;
- ქალაქდამგეგმარებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მშენებლობის არქიტექტორი – 2161;
- ლანდშაფტის არქიტექტორი – 2162.

2165 ჯგუფური ერთეული
გეოდეზები, კარტოგრაფები და ტოპოგრაფები

კარტოგრაფები და ტოპოგრაფები მეცნიერული და მათემატიკური პრინციპების გამოყენებით განსაზღვრავენ მიწის, ზღვების, მიწისქვეშა ტერიტორიებისა და ციური სხეულების ბუნებრივი და კონსტრუქციული მახასიათებლებისა და საზღვრების ციფრული, გრაფიკული და ფერწერული რუკების, ცხრილებისა თუ სხვა ვიზუალური დოკუმენტების ზუსტ ადგილმდებარეობას, მომზადებასა და გადახედვას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მიწის ზედა და ქვედა ზედაპირზე, წიაღზე, ზღვებზე, მდინარეებისა და ტბებზე ინფორმაციის შეგროვებას, გაზომვასა და აღწერას;
2. სხვადასხვა მახასიათებლის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და ინფორმაციის ციფრული ფორმატით აღნუსხვას;
3. სანავიგაციო წლებისა და არხების განსასაზღვრად, აგრეთვე, საზღვაო სტრუქტურების მშენებლობის დასაგეგმად ცხრილებისა და რუკების მომზადებას;
4. აეროგრაფიული კვლევების დაგეგმვასა და განხორციელებას;
5. აერო და სხვა ფოტოების, სატელიტური ფოტოების, შეგროვებული მონაცემების, არსებული რუქებისა და ჩანაწერების, ანგარიშებისა და სტატისტიკის გამოყენებით რუკებისა და ცხრილების შემუშავებას, შეგროვებასა და გადახედვას;
6. კვლევას, მოძიებული ინფორმაციისა და ფოტოგრამმეტრიული საზომი და საკადასტრო სისტემების, აგრეთვე, მიწასთან დაკავშირებული საინფორმაციო სისტემების განვითარებას;
7. რუკის შედგენის ტექნიკური, ესთეტიური და ეკონომიკური ასპექტების შესწავლასა და მასთან დაკავშირებული რჩევების მიცემას;
8. სხვა შესაბამის სპეციალისტებთან ტექნიკური კავშირებისა და კონსულტაციების შენარჩუნება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აეროფოტოტოპოგრაფისტი;
- გეოდეზისტი/კადასტრული;
- კარტოგრაფი;
- ჰიდროგრაფიული ამგეგმავი;
- ტოპოგრაფი;
- მარკშეიდერი/მიწისმზომელი;
- აეროფოტოგეოდეზისტი/მაღაროს;
- ფოტოგრამმეტრიული სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ინჟინერ მწარმოებელი – 2149;
- უძრავი ქონების ამგეგმავი – 3112;

- საზღვაო ამგეგმავი – 3115.

2166 ჯგუფური ერთეული
გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები

ინფორმაციის კომუნიკაციისათვის გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები ნაბეჭდი, ფირის, ელექტრონული, ციფრული და სხვა ფორმის ვიზუალური და აუდიო მედიის გამოყენებით შეიმუშავებენ ვიზუალური და აუდიოვიზუალური შინაარსის დიზაინს. ისინი ქმნიან გრაფიკულ, სპეციალური ეფექტების მქონე, ანიმაციურ თუ სხვა ტიპის ნახატებს, რომლებიც კომპიუტერულ თამაშებში, ფილმებში, მუსიკალურ კლიპებში, ბეჭდურ მედიასა და სარეკლამო სფეროში გამოიყენება.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კლიენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით დიზაინის მიზნებისა და შეზღუდვების განსაზღვრას;
2. კვლევის ჩატარებასა და საკომუნიკაციო მოთხოვნების ფუნქციურ ანალიზს;
3. საკომუნიკაციო საკითხებზე დიზაინის კონცეფციის შემუშავებას;
4. კომუნიკაციის დიზაინის კონცეფციისთვის სკეტჩების, დიაგრამების, ილუსტრაციებისა და მაკეტების მომზადება;
5. დიზაინის ფუნქციური, ესთეტიური და შემოქმედებითი მოთხოვნების შესაბამისად კომპლექსური გრაფიკული და ანიმაციური დიზაინის შექმნა;
6. კომპიუტერული ანიმაციითა ან მოდელირების პროგრამით ორ- და სამგანზომილებიანი მოძრავი გამოსახულებისა ან ილუსტრაციის პროცესის შექმნას;
7. დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად კლიენტებთან, მენეჯმენტსა და გაყიდვებისა და წარმოების თანამშრომლებთან მოლაპარაკებებს;
8. ფუნქციურ და ესთეტიური მასალებსა და მედიაზე რეკომენდაციების გაცემასა და წარმოებისთვის, მიწოდებისა თუ დემონსტრირებისთვის მათი განსაზღვრა;
9. პროდუქციისთვის შერჩეული დიზაინის დეტალიზებასა და დოკუმენტის სახის მიცემას;
10. შერჩეული მედიით პროდუქციის ზედამხედველობასა ან მის განხორციელებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ანიმატორი;
- კომერციული მხატვარი;
- კომპიუტერული თამაშების დიზაინერი;
- ციფრული მხატვარი;
- გრაფიკული დიზაინერი;
- ილუსტრატორი;
- მულტიმედიის დიზაინერი;
- გამომცემლობის დიზაინერი;
- ვებგვერდის დიზაინერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ინტერიერის არქიტექტორი – 2161;
- მულტიმედიის განვითარების სპეციალისტი – 2513;
- ვებგვერდის განვითარების სპეციალისტი – 2513;
- მხატვარი – 2651;
- ინტერიერის დიზაინერი – 3432.

22 ქვეჯგუფი
ჯანდაცვის პროფესიონალები

ჯანდაცვის პროფესიონალები ატარებენ იკვლევენ, აუმჯობესებენ ან ავითარებენ კონცეფციებს, თეორიებსა და მოქმედების მეთოდებს და იყენებენ მედიცინასთან, საექთნო საქმესთან, სტომატოლოგიასთან, ვეტერინარიასთან, ფარმაცევტიკასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ მეცნიერულ ცოდნას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კვლევის ჩატარებასა და ადამიანური და ცხოველური დაავადებებისა და მათი მკურნალობის გზების შესწავლით სამეცნიერო ცოდნის მიღებას; ჯანმრთელობის ხელშემწყობი პრევენციული და სამკურნალო ზომების შემუშავებასა და გამოყენებას; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას; შესასრულებელი ამოცანები აგრეთვე, შესაძლებელია, მოიცავდეს სხვა სპეციალისტების ზედამხედველობას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

221 ექიმები;
222 ექთნები და მეანები;
223 ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინის პროფესიონალები;
224 პარამედიკოსები;
225 ვეტერინარები;
226 ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები

შენიშვნა:

ჯანდაცვის პერსონალთა გამომვლენ, აღმწერ და შემფასებელ სფეროებში ISCO-ის მიხედვით გარკვეული პროფესიები, რომლებიც განიხილებიან ჯანდაცვის სპეციალისტთა განუყოფელ ნაწილად, გარდა 22 ქვეჯგუფისა – ჯანდაცვის პროფესიონალთა მიეკუთვნებიან სხვა ჯგუფებს. ამგვარი პროფესიები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, დამოკიდებულებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირთა მრჩევლებს, ბიომედიცინის ინჟინრებს, კლინიკურ ფსიქოლოგებსა და ექიმებს.

221 მცირე ჯგუფი
ექიმები

თანამედროვე მედიცინის პრინციპებისა და პროცედურების გამოყენებით ექიმები შეისწავლიან, ადგენენ დიაგნოზს, მკურნალობენ და თავიდან იცილებენ ავადმყოფობას, დაავადებას, დაზიანებასა და ადამიანის სხვა ფიზიკურ და სულიერ პრობლემებს. ისინი გეგმავენ, ზედამხედველობენ და აფასებენ ჯანდაცვის სხვა სპეციალისტების მიერ მკურნალობის პროცესს და ახორციელებენ სამედიცინო განათლებისა და კვლევით საქმიანობებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პაციენტთა ფიზიკური გამოკვლევების ჩატარებასა და

ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად პაციენტთა და მათი ოჯახის წევრთა გამოკითხვას; დიაგნოსტიკური შემოწმების ჩატარების მოთხოვნასა და შედეგების ანალიზს; მკურნალობის კურსის განსაზღვრასა და მის ზედამხედველობას, აგრეთვე, პრევენციული ზომების მიღებას; ოპერაციებისა და სხვა კლინიკური პროცედურების ჩატარებას; პაციენტთა პროგრესის მონიტორინგსა და მკურნალობის შედეგებზე რეაგირებსს; ჯანმრთელობის ხემშემწყობი და დაავადებების სამკურნალო კვებისა და ცხოვრების წესის თაობაზე რჩევების გაცემას; ბავშვის დაბადებისა და შემდგომ პერიოდში გართულებების გამოვლენასა და მათ დროულ მართვას; სპეციალური, გრძელვადიანი ან სხვა ტიპის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების საჭიროების მქონე პაციენტებისთვის რეფერალური გეგმების შედგენას, მართვასა და დანერგვას; ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი მკურნალობის უზრუნველსაყოფად სამედიცინო ინფორმაციის გაცვლას; ბავშვის დაბადების, გარდაცვალებისა და სავალდებულო სარეგისტრაციო დაავადების შესახებ სამთავრობო უწყებების ინფორმირებას; ადამიანის ჯანმრთელობის მოშლისა და დაავადებების, აგრეთვე, პრევენციული ზომების ან მკურნალობის მეთოდების შესახებ კვლევების ჩატარებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2211 მედიცინის პრაქტიკოსები;

2212 მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები.

2211 ჯგუფური ერთეული
მედიცინის პრაქტიკოსები

მედიცინის პრაქტიკოსები (ოჯახისა და ინდივიდუალური მკურნალი ექიმების ჩათვლით) თანამედროვე მედიცინის პრინციპებისა და პროცედურების გამოყენებით ადგენენ დიაგნოზს, მკურნალობენ და თავიდან იცილებენ ავადმყოფობას, დაავადებას, დაზიანებასა და ადამიანის სხვა ფიზიკურ და სულიერ პრობლემებს, აგრეთვე, ინარჩუნებენ ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან ელემენტებს. მათი პრაქტიკა არ შემოიფარგლება კონკრეტული დაავადების მკურნალობის კატეგორიებითა თუ მეთოდებით და შესაძლებელია, უზრუნველყონ კონკრეტული პირების, ოჯახებისა და საზოგადოების წევრების ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი მკურნალობა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პაციენტთა ფიზიკური გამოკვლევების ჩატარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად პაციენტთა და მათი ოჯახის წევრთა გამოკითხვას;
2. დაავადებისა თუ ავადმყოფობის ხასიათის დასადგენად ლაბორატორიული შემოწმებების, რენტგენისა და სხვა დიაგნოსტიკური პროცედურების ჩატარების მოთხოვნასა და შედეგების ანალიზს;
3. პაციენტებისთვის გრძელვადიანი სამედიცინო მკურნალობის კურსის ჩატარებას, რომელიც აგრეთვე, მოიცავს მკურნალობისა და პრევენციული ზომების მიღებას, ადმინისტრირებასა და კონსულტაციების გამართვას;
4. ოპერაციებისა და სხვა კლინიკური პროცედურების ჩატარებას;

5. ჯანმრთელობის ხემშემწყობი და დაავადებების სამკურნალო კვებისა და ცხოვრების წესის თაობაზე რჩევების გაცემას;
6. საავადმყოფოებში, სარეაბილიტაციო ცენტრებსა ან სხვა ტიპის ჯანდაცვის ცენტრებში პაციენტებისა და ოჯახების რეფერირებას;
7. ბავშვის დაბადებისა და შემდგომ პერიოდში გართულებების გამოვლენასა და მათ დროულ მართვას;
8. პაციენტთა სამედიცინო ისტორიის შექმნა და სპეციალისტ პრაქტიკოსებთან და სხვა ჯანდაცვის მუშაკებთან ინფორმაციის გაცვლა განგრძობადი სამედიცინო მკურნალობის უზრუნველსაყოფის მიზნით/ხანგრძლივი სამედიცინო მკურნალობის უზრუნველსაყოფად პაციენტთა სამედიცინო ისტორიის შექმნას, აგრეთვე, ექიმ-პრაქტიკოსებსა და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან ინფორმაციის გაცვლას;
9. იურიდიული და პროფესიონალური მოთხოვნების შესასრულებლად ბავშვის დაბადების, გარდაცვალებისა და სავალდებულო სარეგისტრაციო დაავადების შესახებ სამთავრობო უწყებების ინფორმირებას;
10. ადამიანის ჯანმრთელობასა და სამედიცინო მომსახურებებზე კვლევების ჩატარებასა და სამეცნიერო ანგარიშების სახით შედეგების გავრცელებას;
11. საერთო დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებელი პროგრამების დაგეგმვასა და მათში მონაწილოების მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- უბნის ექიმ-თერაპევტი
- ოჯახის ექიმი;
- ექიმი (ზოგადი);
- ინდივიდუალური მკურნალი ექიმი;
- ზოგადი სპეციალიზაციის რეზიდენტი;
- სასწრაფოს ექიმი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფსიქიატრი – 2212;
- ქირურგი – 2212;
- კლინიკური ოფიცერი (პარამედიკოსი) – 2240;
- ფელდშერი – 2240.

შენიშვნა:

წინამდებარე ჯგუფური ერთეულით გათვალისწინებული პროფესიები ძირითად მოითხოვს უნივერსიტეტის ხარისხს სამედიცინო განათლების მიმართულებით, აგრეთვე, მაგისტრის ხარისხსაც, რომელსაც სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად ემატება კლინიკური ტრენინგი ან ანალოგიური ტიპის პრაქტიკა. წინამდებარე ჯგუფური ერთეული აერთიანებს მედიცინის ინტერნებსა ან რეზიდენტებს, რომელთაც საუნივერსიტეტო განათლება ძირითად სამედიცინო სფეროში მიიღეს და მაგისტრის ხარისხის შემდგომ კლინიკურ ტრენინგს ზოგადი მედიცინის სფეროში პროფესიონალიზმის გარეშე აგრძელებენ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში „ზოგადი პრაქტიკა“ და „საოჯახო პრაქტიკა“

შესაძლებელია, ჩაითვალოს, როგორც სამედიცინო სპეციალიზაცია და ეს პროფესიებიც ყოველთვის ამ კატეგორიას უნდა მიეკუთვნებოდნენ.

2212 ჯგუფური ერთეული
მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები

მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები (ექიმები) სპეციალური ტესტირებისა და დიაგნოსტიკური, სამედიცინო, ქირურგიული, ფიზიკური და ფსიქიატრიული ტექნიკისა და თანამედროვე მედიცინის პრინციპებისა და პროცედურების გამოყენებით ადგენენ დიაგნოზს, მკურნალობენ და თავიდან იცილებენ ავადმყოფობას, დაავადებას, დაზიანებასა და ადამიანის სხვა ფიზიკურ და სულიერ პრობლემებს. პაციენტის ტიპისა თუ მკურნალობის მეთოდების მიხედვით ისინი სპეციალიზდებიან კონკრეტული დაავადების კატეგორიებში და მათ მიერ არჩეული სპეციალიზაციის სფეროებში ატარებენ სამედიცინო კვლევას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად პაციენტთა ფიზიკური გამოკვლევების ჩატარებას, აგრეთვე, პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების გამოკითხვას;
2. წარმდგენი ექიმისა ან ჯანდაცვის სხვა სპეციალისტის მიერ სამედიცინო ინფორმაცის განხილვას;
3. სპეციალური დიაგნოსტიკური შემოწმებების ჩატარების მოთხოვნასა და დაავადებისა თუ ავადმყოფობის ხასიათის დადგენას;
4. პაციენტის მკურნალობაზე, მედიკამენტებზე, ანესთეზიაზე, ფსიქოთერაპიაზე, ფიზიკური რეაბილიტაციის პროგრამებსა და სხვა პრევენციულ და სამკურნალო ზომებზე რეაგირების ადმინისტრირებასა და მონიტორინგს;
5. ზოგადი და კონკრეტული ხასიათის ოპერაციების ჩატარებას;
6. ბავშვის დაბადებისს და შემდგომ პერიოდში გართულებების გამოვლენას;
7. ყოვლისმომცველი მკურნალობის უზრუნველსაყოფად პაციენტთა სამედიცინო ისტორიის შექმნასა და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან ინფორმაციის გაცვლას;
8. იურიდიული და პროფესიონალური მოთხოვნების შესასრულებლად ბავშვის დაბადების, გარდაცვალებისა და სავალდებულო სარეგისტრაციო დაავადების შესახებ სამთავრობო უწყებების ინფორმირებას;
9. კონკრეტული დაავადების პრევენციულ ზომებსა და მკურნალობაზე პაციენტების, ოჯახებისა და საზოგადოებებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
10. გარდაცვალების მიზეზის დასადგენად გაკვეთას;
11. ადამიანის ჯანმრთელობის აშლილობისა თუ დაავადებების პრევენციულ ან სამკურნალო მეთოდებთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებასა და სამეცნიერო ანგარიშების სახით შედეგების გავრცელებას;
12. საერთო დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებელი პროგრამების დაგეგმვასა და მათში მონაწილოების მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ანესთეზიოლოგი;

- კარდიოლოგი;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციალისტი;
- გინეკოლოგი (პოლიკლინიკა);
- მეან-გინეკოლოგი (სამშობიარო);
- ოფთალმოლოგი;
- პედიატრი;
- პათოლოგიების სპეციალისტი;
- პრევენციული მედიცინის სპეციალისტი;
- ფსიქიატრი;
- ქიმიოთერაპევტი / რადიოონკოლოგი;
- რადიოლოგი;
- კვალიფიციური რეზიდენტი;
- ექიმ-პრაქტიკოსი (საზოგადოებრივი ჯანდაცვა);
- ექიმ-სპეციალისტი (შიდა მედიცინა);
- ექიმ-სპეციალისტი (ბირთვული მედიცინა);
- ქირურგი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბიომედიცინის მკვლევარი – 2131;
- ზოგადი ექიმი – 2211;
- ზოგადი რეზიდენტი – 2211;
- სტომატოლოგი – 2261;
- ქირურგ-სტომატოლოგი – 2261;
- ყბა-სახის ქირურგი – 2261;
- კლინიკური ფსიქოლოგი – 2634.

შენიშვნა:

წინამდებარე ჯგუფური ერთეულით გათვალისწინებული პროფესიები ძირითადი მოითხოვს უნივერსიტეტის ხარისხს სამედიცინო განათლების მიმართულებით, აგრეთვე, მაგისტრის ხარისხსაც, რომელსაც სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად ემატება ტრენინგი (გარდაზოგადი პრაქტიკისა) ან ანალოგიური ტიპის პრაქტიკა. რეზიდენტი მედიცინის ოფიცრები და ინტერნები, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი (გარდაზოგადი პრაქტიკისა) მიეკუთვნებიან წინამდებარე ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში „სტომატოლოგი“ ითვლება სამედიცინო სპეციალობად, ისინი უნდა კლასიფიცირდნენ **2261** ჯგუფურ ერთეულში – სტომატოლოგები.

სამედიცინო სფეროს სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობენ ბიომედიცინის კვლევაში, იყენებენ ცოცხალ ორგანიზმებს და არ გაუვლიათ პრაქტიკა კლინიკაში, მიეკუთვნებიან 2131 ჯგუფურ ერთეულს – ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები.

222 მცირე ჯგუფი
პროფესიონალი ექთნები და მეანები

პროფესიონალი ექთნები და მეანები მკურნალობენ ფიზიკურად ან სულიერად დაავადებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან ავადმყოფ ადამიანებს, აგრეთვე, მათ, ვინც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით საჭიროებენ მოვლას, მათ შორის ბავშვის – დაბადებამდე, დაბადებისას და დაბადების შემდეგ. პრევენციული და სამკურნალო ზომების ასამოქმედებლად ისინი იღებენ პასუხისმგებლობას პაციენტთა მოვლის დაგეგმვას, მართვასა და შეფასებაზე, რაც აგრეთვე, მოიცავს ჯანდაცვის სხვა სპეციალისტთა ზედამხედველობას, ინდივიდუალურად ან ექიმებთან და სხვა პირებთან ერთად მუშაობას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პაციენტებისთვის თანამედროვე საექთნო და სამეანო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად საექთნო და სამეანო მკურნალობის შეფასებას, დაგეგმვასა და განხორციელებას; ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებსა და ჯგუფების წევრებთან კონსულტაციებით პაციენტთა მკურნალობის კოორდინაციას; მკურნალობის გეგმებისა და თერაპიის კურსების განვითარებასა და დანერგვას, აგრეთვე, მედიკამენტების ადმინისტრირებას; პაციენტებისთვის, რომლებსაც აწუხებთ ტკივილები და დისკომფორტი და იყენებენ ტკივილგამაყუჩებლებს, თერაპიის პროცესის მონიტორინგს; პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, მათ შორის ორსულობის პროგრესსა და მკურნალობის შედეგებს; ჯანდაცვის სხვადასხვა საკითხზე: ავადმყოფობის პრევენციზე, მკურნალობა-მოვლაზე, ორსულობაზე, ბავშვის დაბადებასა და სხვა – პაციენტებისთვის, ოჯახებისა და საზოგადოების ინფორმაციის მიწოდებას; ჯანდაცვის სხვა სპეციალისტთა სამუშაოს ზედამხედველობასა და მართვას; საექთნო და სამეანო პრაქტიკის კვლევასა და სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2221 პროფესიონალი ექთნები;

2222 პროფესიონალი მეანები.

შენიშვნა:

პროფესიონალი ექთნები და მეანები და მათთან დაკავშირებული პროფესიონალები ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, წინამდებარე განსაზღვრებითა და შესაბამისი ჯგუფური ერთეულით გათვალისწინებული დავალებებით. იმის გათვალისწინებით, რომ ექთნებისა და მეანების გადამზადების ელემენტები საგრძნობლად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნაში, აგრეთვე, ქვეყნების შიგნით, პირთა კვალიფიკაციები ან ის ფაქტორები, რომლებიც მიმდინარეობს ქვეყანაში, არ წარმოადგენენ განსხვავების დადგენის ძირითად ასპექტებს.

2221 ჯგუფური ერთეული
პროფესიონალი ექთნები

პროფესიონალი ექთნები მკურნალობენ, მხარს უჭერენ და უვლიან ასაკის, დაზიანების, ავადმყოფობის ან სხვა ფიზიკური თუ სულიერი პრობლემების, აგრეთვე, ჯანმრთელობის პოტენციური რისკის მქონე ადამიანებს. პრევენციისა და სამკურნალო ზომების ასამოქმედებლად ისინი იღებენ პასუხისმგებლობას პაციენტთა მოვლის დაგეგმვას, მართვასა და შეფასებაზე, აგრეთვე, ზედამხედველობენ ჯანდაცვის სხვა სპეციალისტთა მუშაობას ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პაციენტებისთვის თანამედროვე საექთნო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად საექთნო მკურნალობის შეფასებას, დაგეგმვასა და განხორციელებას;
2. ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებსა და ჯგუფების წევრებთან კონსულტაციებით პაციენტთა მკურნალობის მართვას;
3. პაციენტების ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური მკურნალობის მიზნით ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან ერთად მოვლის გეგმების შემუშავებასა და დანერგვას;
4. ინდივიდუალური მოვლისა და თერაპიის კურსების დაგეგმვასა და უზრუნველყოფას, აგრეთვე, მედიკამენტების ადმინისტრირებასა და მკურნალობისა თუ მოვლის შედეგებზე რეაგირებას;
5. ჭრილობების გაწმენდას, ქირურგიული სახვევებისა და დოლბანდების დადებას;
6. პაციენტებისთვის, რომლებსაც აწუხებთ ტკივილები და დისკომფორტი და იყენებენ ტკივილგამაყუჩებლებს, თერაპიის პროცესის მონიტორინგს;
7. კლინიკისა და საზოგადოებრივ გარემოში ჯანდაცვის განათლების პროგრამების, ხელშეწყობისა და ექთნების განათლებასთან დაკავშირებული საქმიანობების დაგეგმვასა და მათში მონაწილეობას;
8. პაციენტებისთვის, ოჯახებისა და საზოგადოების წევრებისთვის პასუხის გაცემა და მათთვის ინფორმაციის მიწოდება ავადმყოფობის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის შესახებ;
9. სხვა ექთნების, ჯანდაცვისა და ინდივიდუალური მოვლის სპეციალისტების სამუშაოს ზედამხედველობასა და მართვას;
10. საექთნო და სამეანო პრაქტიკის კვლევასა და სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კლინიკის ექთანი;
- უბნის ექთანი;
- მედდა ანესთეზიოლოგი;
- მედდა პედაგოგი;
- საოპერაციო მედდა;
- პროფესიონალი ექთანი;
- ექთნები;

- სახალხო მედიცინის ექთანი;
- მედდა.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- პროფესიონალი მეან-გინეკოლოგი – 2222;
- პარამედიკოსი – 2240;
- უნივერსიტეტის ლექტორი – 2310;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი – 2320;
- რეზიდენტები – 3221;
- ასოცირებული მეანი – 3222;
- დამხმარე მედდა (კლინიკა ან საავადმყოფო) – 5321;
- სანიტარი (კლინიკა ან საავადმყოფო).

<u>შენიშვნა:</u>

პროფესიონალი ექთნები და მეანები მათთან დაკავშირებული პროფესიონალები ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, წინამდებარე განსაზღვრებითა და შესაბამისი ჯგუფური ერთეულით გათვალისწინებული დავალებებით. იმის გათვალისწინებით, რომ ექთნებისა და მეანების გადამზადების ელემენტები საგრძნობლად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნაში, აგრეთვე, ქვეყნების შიგნით, პირთა კვალიფიკაციები ან ის ფაქტორები, რომლებიც მიმდინარეობს ქვეყანაში, არ წარმოადგენენ განსხვავების დადგენის ძირითად ასპექტებს.

ექთნები, რომლებიც პრაქტიკულ სამუშაოსთან ერთად ითავსებენ განათლების ან კვლევის კომპონენტებს, მიეკუთვნებიან **2221** ჯგუფურ ერთეულს – ექთნები. ექთან-მკვლევრები რომლებიც მონაწილეობენ ბიომედიცინის კვლევებში, იყენებენ ცოცხალ ორგანიზმებსა და არ გაუვლიათ პრაქტიკა კლინიკაში, მიეკუთვნებიან 2131 ჯგუფურ ერთეულს – ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები.

<u>2222 ჯგუფური ერთეული</u>
პროფესიონალი მეანები

პროფესიონალი მეანები გეგმავენ, მართავენ, უზრუნველყოფენ და აფასებენ სამეანო მოვლის მომსახურებებს ბავშვის დაბადებამდე, დაბადებისას და დაბადების შემდეგ. ჯანმრთელობის წინაშე არსებული რისკების შესამცირებლად ისინი უვლიან ქალსა და ახალდაბადებულ ჩვილს, მუშაობენ ინდივიდუალურად ან ჯგუფში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქალებისა და ბავშვებისთვის ბავშვის დაბადებამდე, დაბადებისას და მას შემდეგ თანამედროვე საექთნო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად მოვლისა და დახმარების მომსახურებების დაგეგმვას, გახორციელებასა და შეფასებას;
2. ქალებისა და ოჯახებისთვის ორსულობასა და ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რჩევების მიცემას, აგრეთვე, ჯანმრთელობის, კვების, ჰიგიენის, ვარჯიშის, დაბადებისა და სასწრაფო დახმარების გეგმების, ძუძუთი კვების, ჩვილთა

მოვლის, ოჯახის დაგეგმვისა და კონტრაცეფციის, აგრეთვე, ცხოვრების სტილისა და სხვა საკითხებზე საზოგადოებრივი განათლების კამპანიების განხორციელებას;

3. სამეანო გამოცდილების ექიმისთვის მისამართად სორსულობისა და ბავშვის დაბადებისას პროგრესის შეფასებას, გართულებების მართვასა და წინასწარი გაფრთხილების ნიშნების ამოცნობას;
4. ნეონატოლოგიის გამოცდილების ექიმისთვის მისამართად ახალშობილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, გართულებების მართვასა და წინასწარი გაფრთხილების ნიშნების ამოცნობას;
5. ქალის მიერ მშობიარობის პროცესში განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის გრძნობის მონიტორინგს, აგრეთვე, თერაპიითა და ტკივილგამაყუჩებლებით ტკივილის შემცირებას;
6. იურიდიული და პროფესიონალური მოთხოვნების შესასრულებლად ბავშვის დაბადების, გარდაცვალებისა და სავალდებულო სარეგისტრაციო დაავადების შესახებ სამთავრობო უწყებების ინფორმირებას;
7. სამეანო პრაქტიკისა და პროცედურების კვლევასა და შედეგების სამეცნიერო ანგარიშების სახით გავრცელებას;
8. კლინიკისა და საზოგადოებრივ გარემოში სამეანო განათლების საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- პროფესიონალი მეან-გინეკოლოგი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- პროფესიონალი ექთანი – 2221;
- დამხმარე პროფესიონალი ექთანი – 3221;
- ასოცირებული პროფესიონალი მეანი – 3222;
- რეზიდენტები (სანიტარი) – 5321.

შენიშვნა:

პროფესიონალი ექთნები და მეანები და მათთან დაკავშირებული პროფესიონალები ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, წინამდებარე განსაზღვრებითა და შესაბამისი ჯგუფური ერთეულით გათვალისწინებული დავალებებით. იმის გათვალისწინებით, რომ ექთნებისა და მეანების გადამზადების ელემენტები საგრძნობლად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნაში, აგრეთვე, ქვეყნების შიგნით, პირთა კვალიფიკაციები ან ის ფაქტორები, რომლებიც მიმდინარეობს ქვეყანაში, არ წარმოადგენენ განსხვავების დადგენის ძირითად ასპექტებს.

მეანები, რომლებიც პრაქტიკულ სამუშაოსთან ერთად ითავსებენ განათლების ან კვლევის კომპონენტებს, მიეკუთვნებიან 2222 ჯგუფურ ერთეულს – მეანები.

223 მცირე ჯგუფი
ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები

ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინის პროფესიონალები სინჯავენ პაციენტებს. მკურნალობენ დაავადებებს, ავადმყოფობებს, დაზიანებებსა და სხვა ფიზიკურ და მენტალურ პრობლემებს და ატარებენ პრევენციულ ზომებს. ინარჩუნებენ კონკრეტული კულტურებიდან გამომდინარე თეორიების, რწმენისა და გამოცდილებების ხანგრძლივი სწავლის შედეგად მიღებულ ადამიანთა ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობას ცოდნის.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად პაციენტთა ფიზიკურ გასინჯვას, აგრეთვე, მათი და მათი ოჯახების გამოკითხვას; მეთოდების: აკუპუნქტურა (რეფლექსოთერაპია), აიურვედა (ინდური მედიცინა), ჰომოეთერაპია და მცენარეული მედიცინა გამოყენებით ფიზიკური, მენტალური და ფსიქოლოგიური დაავადებების შესახებ მკურნალობის გეგმების შემუშავებასა და დანერგვას; მკურნალობის გეგმებით პაციენტის პროგრესის შეფასებასა და დოკუმენტირებას; ფიზიკური პირებისთვის, ოჯახებისა და საზოგადოებისთვის ჯანმრთელობის, კვებისა და ცხოვრების სტილის შესახებ რჩევების მიცემას; სხეულის შესაძლებლობის სიმულაცია თვითაღსადგენად ტრადიციული მედიცინის: მცენარეული, მინერალური და ცხოველური ექსტრაქტები – განსაზღვრასა და მომზადებას; ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად სხვა სპეციალისტებთან პაციენტების შესახებ ინფორმაციის გაცვლას; ტრადიციულ და არატრადიციული მედიცინისა და მკურნალობის შესახებ კვლევის ჩატარებასა და სამეცნიერო ანგარიშების სახით შედეგების გავრცელებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

2230 ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები.

2230 ჯგუფური ერთეული
ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები

ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინის პროფესიონალები სინჯავენ პაციენტებს. მკურნალობენ დაავადებებს, ავადმყოფობებს, დაზიანებებსა და სხვა ფიზიკურ და მენტალურ პრობლემებს და ატარებენ პრევენციულ ზომებს. ინარჩუნებენ კონკრეტული კულტურებიდან გამომდინარე თეორიების, რწმენისა და გამოცდილებების ხანგრძლივი სწავლის შედეგად მიღებულ ადამიანთა ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობას ცოდნის.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად პაციენტთა ფიზიკურ გასინჯვას, აგრეთვე, მათი და მათი ოჯახების გამოკითხვას;
2. მეთოდების: აკუპუნქტურა (რეფლექსოთერაპია), აიურვედა (ინდური მედიცინა), ჰომოეთერაპია და მცენარეული მედიცინა გამოყენებით ფიზიკური, მენტალური და

ფსიქოლოგიური დაავადებების შესახებ მკურნალობის გეგმების შემუშავებასა და დანერგვას;
3. მკურნალობის გეგმებით პაციენტის პროგრესის შეფასებასა და დოკუმენტირებას;
4. ფიზიკური პირებისთვის, ოჯახებისა და საზოგადოებისთვის ჯანმრთელობის, კვებისა და ცხოვრების სტილის შესახებ რჩევების მიცემას;
5. სხეულის შესაძლებლობის სიმულაცია თვითაღსადგენად ტრადიციული მედიცინის: მცენარეული, მინერალური და ცხოველური ექსტრაქტები – განსაზღვრასა და მომზადებას;
6. ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად სხვა სპეციალისტებთან პაციენტების შესახებ ინფორმაციის გაცვლას;
7. ტრადიციულ და არატრადიციული მედიცინისა და მკურნალობის შესახებ კვლევის ჩატარებასა და სამეცნიერო ანგარიშების სახით შედეგების გავრცელებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აკუპუნქტურისტი (რეფლექსოთერაპევტი);
- აიურვედისტი (ინდური მედიცინა);
- ჩინური მცენარეული მედიცინის სპეციალისტი;
- ჰომეოპათი;
- ნატუროპათი;
- უნანის სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქიროპრაქტიკოსი – 2269;
- ოსტეოპათი – 2269;
- აკუპუნქტურისტი – 3230;
- აიურვედისტი (ინდური მედიცინა) – 3230;
- მცენარეული მედიცინის სპეციალისტი – 3230;
- ჰომეოპათი – 3230;
- ვაკუუმური თერაპია – 3230;
- სოფლის მკურნალი – 3230;
- ექიმბაში – 3230;
- აკუპრესურის სპეციალისტი – 3255;
- ჰიდროთერაპევტი – 3255;
- შიაცუს თერაპევტი – 3255;
- სულიერი მკურნალი – 3413;

<u>შენიშვნა:</u>

ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიები, რომელთათვისაც სამუშაოს კომპეტენტურად შესრულება მოითხოვს იმ ტრადიციული და არატრადიციული თერაპიების სარგებლობისა და მეთოდების გრძელვადიან გამოცდილებას, რომელიც განვითარდა აღნიშნული ტექნიკური პირობების, აგრეთვე, ადამიანური ანატომიისა და თანამედროვე მედიცინის ელემენტების გრძელვადიანი ფორმალური კვლევის შედეგად, მიეკუთვნებიან

2230 ჯგუფურ ერთეულს – ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის სპეციალისტები. ეს პროფესიები, რომელთა პრაქტიკა მოითხოვს ფორმალური ან არაფორმალური განათლებისა და ტრენინგის შედარებით ნაკლებ ცოდნას, ან არაფორმალურად იმ საზოგადოებების ტრადიციებისა და პრაქტიკების მეშვეობით, რომელშიც მოხდა მათი წარმოშობა, მიეკუთვნებიან 3230 ჯგუფურ ერთეულს – ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის სპეციალისტები. პრაქტიკოსები, რომლებიც მუშაობენ მეცნიერული მედიცინის, სულიერი ან მანუალური თერაპიის ტექნიკისადმი მიდგომის ერთგვაროვან მეთოდებზე, მიეკუთვნებიან **2230** ჯგუფურ ერთეულს.

224 მცირე ჯგუფი
პარამედიცინის პრაქტიკოსები

პარამედიცინის პრაქტიკოსები გასცემენ რჩევებს, სვამენ დიაგნოზს, მკურნალობენ და უწევენ ექიმებთან შედარებით უფრო ნაკლებ პრევენციულ სამედიცინო მომსახურებებს. ისინი მუშაობენ ინდივიდუალურად ან ექიმების შეზღუდული ზედამხედველობის ქვეშ და დაავადებების, დაზიანებებისა და კონკრეტული საზოგადოებაში გახშირებული სხვა ფიზიკური ან მენტალური პრობლემების მკურნალობისა და პრევენციის მიზნით იყენებენ განვითარებულ კლინიკურ პროცედურებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად და პაციენტის სამედიცინო ისტორიის შესანახად პაციენტთა ფიზიკურ გასინჯვასა, მათი და მათი ოჯახების გამოკითხვას; ძირითადი ან უფრო მეტად რუტინული სამედიცინო და ქირურგიული პროცედურების – მკურნალობის, მედიკამენტებისა და სხვა პრევენციული ან სამკურნალო ზომების, განსაკუთრებით კი გახშირებული დაავადებებისა და აშლილობების განსაზღვრასა და ადმინისტრირებას; დიაგნოსტიკური გამოკვლევების (მაგ.: რენტგენის, ელექტროკარდიოგრამისა და ლაბორატორიული კვლევების) ადმინისტრირებასა ან მათი ჩატარების მოთხოვნას; თერაპევტული პროცედურების (მაგ.: ინექციის, იმუნიზაციის, ნაკერის დადების, ჭრილობის მოვლისა და ინფექციის მართვის) ჩატარებას; რთული ქირურგიული პროცედურების განხორციელების პროცესში ექიმების დახმარებას; ექიმისთვის მიმართვისას პაციენტის პროგრესის შეფასებას, მკურნალობაზე რეაგირებას, აგრეთვე, წინასწარი გაფრთხილების ნიშნებისა და სიმპტომების იდენტიფიცირებას; დაავადებათა თუ აშლილობათა პრევენცისა ან მკურნალობის ხელშემწყობი დიეტის, ვარჯიშისა და სხვა ჩვევების თაობაზე პაციენტებისა და ოჯახებისთვის რჩევების მიცემას; რთული და ან არაჩვეულებრივი შემთხვევების გამოვლენასა და მათ შესახებ ექიმებისთვის, საავადმყოფოებისა თუ სხვა სპეციალური მკურნალობის დაწესებულებებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;იურიდიული და პროფესიონალური მოთხოვნების შესასრულებლად პირის დაბადების, გარდაცვალებისა და სავალდებულო-სარეგისტრაციო დაავადების შესახებ სამთავრობო უწყებების ინფორმირებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

2240 პარამედიცინის პრაქტიკოსები.

2240 ჯგუფური ერთეული
პარამედიცინის პრაქტიკოსები

პარამედიცინის პრაქტიკოსები გასცემენ რჩევებს, სვამენ დიაგნოზს, მკურნალობენ და უწევენ ექიმებთან შედარებით უფრო ნაკლებ პრევენციულ სამედიცინო მომსახურებებს. ისინი მუშაობენ ინდივიდუალურად ან ექიმების შეზღუდული ზედამხედველობის ქვეშ და დაავადებების, დაზიანებებისა და კონკრეტული საზოგადოებაში გახშირებული სხვა ფიზიკური ან მენტალური პრობლემების მკურნალობისა და პრევენციის მიზნით იყენებენ განვითარებულ კლინიკურ პროცედურებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად და პაციენტის სამედიცინო ისტორიის შესანახად პაციენტთა ფიზიკურ გასინჯვასა, მათი და მათი ოჯახების გამოკითხვას;
2. ძირითადი ან უფრო მეტად რუტინული სამედიცინო და ქირურგიული პროცედურების – მკურნალობის, მედიკამენტებისა და სხვა პრევენციული ან სამკურნალო ზომების, განსაკუთრებით კი გახშირებული დაავადებებისა და აშლილობების განსაზღვრასა და ადმინისტრირებას;
3. დიაგნოსტიკური გამოკვლევების (მაგ.: რენტგენის, ელექტროკარდიოგრამისა და ლაბორატორიული კვლევების) ადმინისტრირებასა ან მათი ჩატარების მოთხოვნას;
4. თერაპევტული პროცედურების (მაგ.: ინექციის, იმუნიზაციის, ნაკერის დადების, ჭრილობის მოვლისა და ინფექციის მართვის) ჩატარებას;
5. რთული ქირურგიული პროცედურების განხორციელების პროცესში ექიმების დახმარებას;
6. ექიმისთვის მიმართვისას პაციენტის პროგრესის შეფასებას, მკურნალობაზე რეაგირებას, აგრეთვე, წინასწარი გაფრთხილების ნიშნებისა და სიმპტომების იდენტიფიცირებას;
7. დაავადებათა თუ აშლილობათა პრევენცისა ან მკურნალობის ხელშემწყობი დიეტის, ვარჯიშისა და სხვა ჩვევების თაობაზე პაციენტებისა და ოჯახებისთვის რჩევების მიცემას;
8. რთული და ან არაჩვეულებრივი შემთხვევების გამოვლენასა და მათ შესახებ ექიმებისთვის, საავადმყოფოებისა თუ სხვა სპეციალური მკურნალობის დაწესებულებებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
9. იურიდიული და პროფესიონალური მოთხოვნების შესასრულებლად პირის დაბადების, გარდაცვალებისა და სავალდებულო-სარეგისტრაციო დაავადების შესახებ სამთავრობო უწყებების ინფორმირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კვალიფიცირებული პარამედიკოს-მომვლელები;
- კლინიკის მოხელე (პარამედიცინა);
- პარამედიკოსი (ინტენსიური თერაპიის განყოფილება);
- პარამედიკოსი (პირველადი სამედიცინო დახმარება);
- ფერშალი;
- მთავარი მკურნალი პარამედიკოსი;
- ქირურგიული განყოფილების ფერშალი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ზოგადი მედიცინის პრაქტიკოსი – 2211;
- ქირურგი – 2212;
- ექიმის ასისტენტი – 3256;
- სასწრაფო დახმარების პარამედიკოსი – 3258.

შენიშვნა:

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში მოქცეული პროფესიები, როგორც წესი, მოითხოვს თეორიული და პრაქტიკული მედიცინის მომსახურებების სფეროში სამ დონიანი ტრენინგის დასრულებას. სასწრაფო დახმარების შედეგად გაწეული მკურნალობითა და პრაქტიკით შეზღუდული სპეციალისტები მიეკუთვნებიან 3258 ჯგუფურ ერთეულს – სასწრაფო დახმარების სპეციალისტები.

225 მცირე ჯგუფი
ვეტერინარები

ვეტერინარები სვამენ დიაგნოზს, მკურნალობენ და თავიდან ირიდებენ ცხოველების დაავადებებს, დაზიანებებსა და დისფუნქციას. მკურნალობენ ყველა სახის ცხოველებს; სპეციალიზდებიან კონკრეტული ცხოველთა ჯგუფის მკურნალობაში ან ირჩევენ კონკრეტულ დარგს; პროფესიონალურად ემსახურებიან ბიოლოგიური და ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელ კომერციული ფირმებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ფიზიკური კვლევით, ლაბორატორიული გამოკვლევითა და დიაგნოსტიკური ტექნიკით, აგრეთვე, რადიოგრაფიულ და ულტრასონოგრაფიულ პროცედურებით პათოლოგიების არსებობისა და ხასიათის დადგენას; სამედიცინო და ქირურგიული მეთოდებით ცხოველთა მკურნალობას, აგრეთვე, მედიკამენტების, ტკივილგამაყუჩებლებისა და ზოგადი და ადგილობრივი ანესთეზიის ადმინისტრირებასა და განსაზღვრას; ოპერაციების ჩატარებას, ჭრილობებისა და მოტეხილი ძვლების მკურნალობას; ცხოველებისთვის სამეანო მომსახურებების გაწევას; ცხოველთა დაავადებების პრევენციისა და გავრცელების თავიდან აცილებისკენ მიმართულ პროგრამებში მონაწილეობას; ცხოველთა აცრასა და გადამდები დაავადებებზე მათ გამოკვლევა, აგრეთვე, ცხოველთა ინფექციური დაავადების გაჩენაზე ხელისუფლების ინფორმირებას; გარდაცვალების მიზეზების დასადგენად გაკვეთას; კლიენტებისათვის ჯანმრთელობის, კვებისა და ჰიგიენის, ასევე, ცხოველთა მოვლის შესახებ რჩევების მიცემას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

2250 ვეტერინარები.

2250 ჯგუფური ერთეული
ვეტერინარები

ვეტერინარები სვამენ დიაგნოზს, მკურნალობენ და თავიდან ირიდებენ ცხოველების დაავადებებს, დაზიანებებსა და დისფუნქციას. მკურნალობენ ყველა სახის ცხოველებს; სპეციალიზდებიან კონკრეტული ცხოველთა ჯგუფის მკურნალობაში ან ირჩევენ

კონკრეტულ დარგს; პროფესიონალურად ემსახურებიან ბიოლოგიური და ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელ კომერციული ფირმებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფიზიკური კვლევით, ლაბორატორიული გამოკვლევითა და დიაგნოსტიკური ტექნიკით, აგრეთვე, რადიოგრაფიულ და ულტრასონოგრაფიულ პროცედურებით პათოლოგიების არსებობისა და ხასიათის დადგენას;
2. სამედიცინო და ქირურგიული მეთოდებით ცხოველთა მკურნალობას, აგრეთვე, მედიკამენტების, ტკივილგამაყუჩებლებისა და ზოგადი და ადგილობრივი ანესთეზიის ადმინისტრირებასა და განსაზღვრას;
3. ოპერაციების ჩატარებას, ჭრილობებისა და მოტეხილი ძვლების მკურნალობას;
4. ცხოველებისთვის სამეანო მომსახურებების გაწევას;
5. ცხოველთა დაავადებების პრევენციისა და გავრცელების თავიდან აცილებისკენ მიმართულ პროგრამებში მონაწილეობას;
6. ცხოველთა აცრასა და გადამდები დაავადებებზე მათ გამოკვლევა, აგრეთვე, ცხოველთა ინფექციური დაავადების გაჩენაზე ხელისუფლების ინფორმირებას;
7. გარდაცვალების მიზეზების დასადგენად გაკვეთას;
8. კლიენტებისათვის ჯანმრთელობის, კვებისა და ჰიგიენის, ასევე, ცხოველთა მოვლის შესახებ რჩევების მიცემას.
9. ცხოველებისთვის ევთანაზიის მომსახურებების გაწევას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ცხოველთა პათოლოგიების ექიმი (პათოლოგვეტერინარი);
- ვეტერინარი;
- ეპიდემიოლოგვეტერინარი;
- ინტერნვეტერინარი;
- ქირურგვეტერინარი.

<u>226 მცირე ჯგუფი</u>
ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები

ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები უზრუნველყოფენ სტომატოლოგიასთან, ფარმაცევტიკასთან, ეკოლოგიურ ჯანმრთელობასა და ჰიგიენასთან, პროფესიონალურ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან, ფიზიოთერაპიასთან, კვებასთან, სმენასთან, მეტყველებასთან, ხედვასა და სარეაბილიტაციო თერაპიასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის მომსახურებებს. წინამდებარე მცირე ჯგუფი მოიცავს ადამიანის ჯანმრთელობაზე მომუშავე ყველა პროფესიონალს, გარდა ექიმების, ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსების, ექთნების, მეანებისა და პარამედიცინის სპეციალისტებისა.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დაავადების, ავადმყოფობისა თუ პრობლემის დასადგენად პაციენტებისა ან კლიენტების შეფასებას; მკურნალობის გეგმების განვითარებასა და

დანერგვას, აგრეთვე, პაციენტების პროგრესის შეფასებასა და დოკუმენტირებას; კბილების, პირის, ყბისა და მასთან დაკავშირებული ქსოვილების დაავადებების, დაზიანებებისა და პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას; სამედიცინო პროდუქტების დასაწყობებას, შენახვას, შედგენას, ტესტირებასა და განაწილებას, აგრეთვე, მათი გამოყენებისა და უკუშედეგების შესახებ რჩევების გაცემას; ადამიანის მამოძრავებელი ფუნქციების გასაუმჯობესებლად ან აღსადგენად, მოძრაობის შესაძლებლობის მაქსიმალურად გასაზარდელად, ტკივილის სინდრომი შესამცირებლად ან კვებისა და საჭმლის გავლენა გასაძლიერებლებად, ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციურად ზემოქმედი გარემო ფაქტორების გამოვლენის, მეთვალყურეობისა და კონტროლის პროგრამების შეფასებას, დაგეგმვასა და განხორციელებას; ადამიანის სმენასთან, კომუნიკაციასა ან ყლაპვასთან დაკავშირებული ფიზიკური აშლილობის ან მხედველობითი სისტემის მოშლის დიაგნოსტიკას, მართვასა და მკურნალობას; განგრძობადი მკურნალობისა და მოვლის შესახებ კლიენტებისთვის რეკომენდაციების მიცემასა და სარეაბილიტაციო მომსახურებების უზრუნველყოფასა ან დაგეგმვას; კლიენტებისადმი მიმართვას ან საჭიროების შემთხვევაში ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან ან მათთან ასოცირებულ პროფესიონალებთან დაკავშირებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2261 სტომატოლოგები;
2262 ფარმაცევტები;
2263 გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სფეროს პროფესიონალები
2264 ფიზიოთერაპევტები;
2265 დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები;
2266 აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (ლოგოპედი);
2267 ოფთალმოლოგები, ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები;
2269 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ჯანდაცვის სპეციალისტები.

<u>2261 ჯგუფური ერთეული</u>
სტომატოლოგები

სტომატოლოგები თანამედროვე სტომატოლოგიის პრინციპებისა და პროცედურების გამოყენებით გამოავლენენ, მკურნალობენ და თავიდან იცილებენ კბილების, პირის, ყბისა და მასთან დაკავშირებული ქსოვილების დაავადებებს, დაზიანებებსა და პათოლოგიებს. პირის ღრუს განსავითარებლად და აღსადგენად ისინი იყენებენ ფართო სპექტრის დიაგნოსტიკურ, ქირურგიულ და სხვა ტექნოლოგიებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. რადიოგრაფებით, სანერწყვე ტესტებითა და სამედიცინო ისტორიებით კბილის, პირის ღრუსა და ყბის დაავადებების, დაზიანებების, პათოლოგიებისა და მალფუნქციონირების დადგენას;

2. ღრძილებისა და კბილების ირგვლივ მდებარე ქსოვილების მკურნალობას, ფრთოვანი ნაერთების გამოყენებასა და პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას;
3. პროცედურის დროს პაციენტის მიერ განცდილი ტკივილის შესამცირებლად ანესთეზიის გაკეთებას;
4. პროცედურის შემდგომი ტკივილის შესამსუბუქებლად მედიკამენტების გამოწერას;
5. პირის ღრუს აღდგენით მკურნალობას (მაგ.: იმპლანტების, კომპლექსური გვირგვინისა და ხიდის აღდგენა, ორთოდონტია), აგრეთვე, დაზიანებული და გაფუჭებული კბილების გაკეთებას;
6. ქირურგიული მკურნალობას (მაგ.: კბილის ამოღებას, ქსოვილების ბიოფსიას), აგრეთვე, ორთოდონტული მკურნალობის ჩატარებას;
7. კბილის პროთეზის ფორმისა და ზომის განსასაზღვრად პაციენტის ყბისა და კბილის ზომების აღებას;
8. სივრცის შემანარჩუნებლების, ხიდებისა და ხელოვნური კბილების პროტოდონტული ხელსაწყოების შექმნას, გაკეთებასა და მორგებას, აგრეთვე, ფაბრიკაციის ინსტრუქციების ჩამოწერას ან პროთეზისტისთვის მედიკამენტების გამოწერას;
9. მოძრავი და ფიქსირებული პროთეზით პირის ღრუს ფუნქციის აღდგენას;
10. პირის ღრუს ზოგადი დაავადებების (მაგ., დიაბეტის) დიაგნოსტიკის საკითხებში დახმარებას;
11. პირის ღრუს ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად სტომატოლოგიური ჰიგიენის, კვებისა და სხვა ზომების შესახებ პაციენტებისა და ოჯახებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
12. სტომატოლოგიური ჰიგიენის, დახმარებისა და სხვა საკითხების ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სტომატოლოგი;
- ქირურგი-სტომატოლოგი;
- ენდოდონტოლოგი;
- ყბა-სახის ქირურგი;
- პირის ღრუს პათოლოგისტი;
- ორთოდონტოლოგი;
- ბავშვთა სტომატოლოგი;
- პარადონტოლოგი;
- პროტოდონტოლოგი;
- სტომატოლოგი;
- სტომატოლოგი-ენდოდონტისტი.

<u>შენიშვნა:</u>

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში დაჯგუფებული პროფესიები, როგორც წესი, მოითხოვს სტომატოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ან მასთან დაკავშირებული მიმართულებით უნივერსიტეტის ხარისხს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში „სტომატოლოგია“ და „სტომატოლოგიური, პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგია“ შესაძლებელია, ჩაითვალოს

სამედიცინო სპეციალობად, აღნიშნული პროფესიები ყოველთვის უნდა გაერთიანდნენ ამ ჯგუფურ ერთეულში.

2262 ჯგუფური ერთეული
ფარმაცევტები

ფარმაცევტები აწყობებენ, ინახავენ, ადგენენ და ანაწილებენ სამედიცინო პროდუქტებს, აგრეთვე, ექიმებისა და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტების მიერ რეცეპტით გამოწერილი მედიკამენტების გამოყენებასა და უკუშედეგებზე გასცემენ რჩევებს. ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში მათ შეაქვთ წვლილი სამედიცინო თერაპიების კვლევით, ტესტირებით, მომზადებით, განსაზღვრითა და მეთვაყურეობით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ექიმების ან ჯანდაცვის სხვა პროფესიონალების მიერ გამოწერილი რეცეპტების მიღებას, პაციენტთა სამედიცინო ისტორიის შემოწმებასა და მათ გავრცელებამდე შესაბამისი დოზირებისა და მეთოდების ადმინისტრირებას, აგრეთვე, მედიკამენტის შესაბამისობის განსაზღვრას;
2. რეცეპტების შესავსებად თხევადი მედიკამენტების, მალამოების, ფხვნილების, ტაბლეტებისა და სხვა მედიკამენტების მომზადებისა და იარლიყების დაკვრის პროცესის ზედამხედველობას;
3. მედიკამენტების ურთიერთმოქმედებაზე, შეუსაბამობაზე, უკუჩვენებებზე, გვერდით ეფექტებზე, დოზირებასა და მათ შესაბამის ადგილსა და ტემპერატურაზე გასათავსებლად წამლის გამომწერებისა და კლიენტებისთვის ინფორმაციისა და რჩევების მიცემას;
4. პაციენტთა ინდივიდუალური სამედიცინო თერაპიის, აგრეთვე, კონკრეტული მედიკამენტებისა თუ თერაპიების ეფექტურობის დასაგეგმად, სამეთვალყურეოდ, გადასახედად და ხარისხის შესაფასებლად ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობას;
5. რეცეპტების დოკუმენტების შენახვასა და იურიდიული და პროფესიონალური მოთხოვნების შესაბამისად, ნარკოტიკების, საწამლავებისა და დამოკიდებულების გამომწვევი წამლების გაცემის ჩანაწერების გაკეთებას;
6. ფუჭებადი ვაქცინების, შრატებისა და სხვა მედიკამენტების დასაწყობებასა და შენახვას;
7. ურეცეპტო მედიკამენტებისა და დიაგნოსტიკის, ასევე, თერაპევტულ დახმარებაზე რჩევების გაცემასა და უზრუნველყოფას;
8. ფარმაცევტ-ტექნიკოსების, აფთიაქის დამხმარე სპეციალისტებისა და ასისტენ-გამყიდველების საქმიანობის ზედამხედველობასა და მართვას;
9. ფარმაცევტული, კოსმეტიკური და მასთან დაკავშირებული ქიმიური პროდუქტების განსავითარებელ-გასაუმჯობესებელი კვლევების ჩატარებას;
10. ტექნოლოგიებისა და ინგრედიენტების წარმოებზე ქიმიკოსებთან, ინჟინერ-პროფესიონალებსა და სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობას;
11. სპეციალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში, იდენტიფიკაციის, სისუფთავისა და სიძლიერის დასადგენად მედიკამენტების ტესტირებასა და ანალიზს;

12. მედიკამენტების იარლიყების, შეფუთვისა და რეკლამების შეფასებას;
13. კონკრეტული მედიკამენტების შესახებ ინფორმაციისა და რისკების შეფასების სრულყოფას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- წამლების მწარმოებელი ქიმიკოსი;
- საავადმყოფოს ფარმაცევტი;
- ინდუსტრიული ფარმაცევტი;
- საცალო წარმოების ფარმაცევტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფარმაკოლოგი – 2131
- ფარმაცევტ-ტექნიკოსი – 3213

2263 ჯგუფური ერთეული
გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სფეროს პროფესიონალები

გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის პროფესიონალები აფასებენ, გეგმავენ და ახორციელებენ პოტენციურად ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედი გარემო ფაქტორების გამოსავლენ, სამეთვალყურო და საკონტროლო პროგრამებს, აგრეთვე, უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და ქიმიური, ფიზიკური, რადიოლოგიური და ბიოლოგიური აგენტებისა თუ ერგონომიული ფაქტორების შედეგად წარმოშობილი დაავადებებისა თუ დაზიანებების პრევენციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე გამვლენი გარემო და პროფესიული რისკების შესამცირებლად პროგრამებისა და პოლიტიკის განვითარებას, იმპლემენტაციასა და გადახედვას;
2. კომერციული, ინდუსტრიული, სამედიცინო და საოჯახო ნარჩენების უსაფრთხო, ეკონომიური და კომფორტული მართვისთვის გეგმებისა და სტრატეგიების მომზადება-დანერგვას;
3. გადამდებ დაავადებებზე, საკვების უსაფრთხოებაზე, საკანალიზაციო სისტემის გაწმენდაზე, რეკრეაციული და შიდა წყლების ხარისხზე, აგრეთვე, დაბინძურებულ და საშიშ ნივთიერებებზე პრევენციული პროგრამებისა და სტრატეგიების დანერგვას;
4. საშიში ნივთიერებების გამოვლენას, მათ შესახებ ანგარიშების წარდგენასა და დოკუმენტირებას, აგრეთვე, გარემოსა და სამუშაო ადგილის რისკების შეფასება-კონტროლს და კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობაზე რჩევების მიცემას;
5. სამუშაო ადგილებისა და გარემოს დაბინძურების (მაგ.: ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური საშიშ ნივთიერებების) შესამცირებლად პროგრამების განვითარებას, დანერგვასა და მეთვაყურეობას;

6. მუშებთან, სტუდენტებთან, საზოგადოებასა და გარემოსთან მიმართებაში რადიოლოგიური და სხვა საშიში ნივთიერებების გავლენის პრევენციის, აღმოფხვრის, კონტროლისა თუ შემცირების მეთოდებზე რეკომენდაციების გაცემას;
7. დასაქმებულთა მოთხოვნების შესაბამისად სამუშაო ადგილზე (მაგ.: ავეჯის, მოწყობილობებისა და სამუშაო საქმიანობის) ერგონომიული პრინციპების განვითარების ხელშეწყობას;
8. პროფესიული ჰიგიენისა და გარემო ფაქტორების ჯანმრთელობაზე გავლენის ასპექტებზე ყველა დონეზე ინფორმაციის, ტრენინგისა და რჩევების მიწოდებას;
9. დაზიანებებისა და მოწყობილობებისადმი ზიანის მიყენებაზე ინფორმაციის შენახვასა და უსაფრთხოების ზომების შესახებ ანგარიშების წარდგენას;
10. შეჯიბრობითობის, რეაბილიტაციისა და დაზარალებული მუშების სამუშაოზე დაბრუნებისთვის საჭირო ზომების მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს გავლენის ოფიცერი;
- პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მრჩეველი;
- პროფესიული ჰიგიენის სპეციალისტი;
- რადიაციისგან დაცვის ექსპერტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- გარემოს დაცვის პროფესიონალი – 2133;
- სამედიცინო პრაქტიკოს-სპეციალისტი (საზოგადოებრივი ჯანმრთელობა) – 2212;
- ექთანი-სპეციალისტი (საზოგადოებრივი ჯანმრთელობა) – 2221;
- შრომის ჰიგიენის სპეციალისტი – 2269;
- ჯანმრთელობის ინსპექტორი – 3257;
- პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექტორი – 3257;
- სანიტარი – 3257;
- სანიტარიის ინსპექტორი – 3257.

<u>შენიშვნა:</u>

პროფესიონალები, რომლებიც აფასებენ, გეგმავენ და ახორციელებენ პროგრამებს, რომლის მიზანია ადამიანის საქმიანობის გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგი ან კონტროლი, მიეკუთვნებიან 2133 ჯგუფურ ერთეულს – გარემოს დაცვის სპეციალისტები.

<u>2264 ჯგუფური ერთეული</u>
ფიზიოთერაპევტები

ფიზიოთერაპევტები აფასებენ, გეგმავენ და ახორციელებენ ადამიანის მამოძრავებელი ფუნქციების, მოძრაობის შესაძლებლობის გაუმჯობესების, ტკივილის შესამსუბუქებელ თუ აღსადგენ სარეაბილიტაციო პროგრამებს, აგრეთვე, ისინი მკურნალობენ ან ახდენს დაზიანებების, დაავადებებისა და სხვა პრობლემების ფიზიკური წინაღობების პრევენციას.

ისინი იყენებენ ფართო სპექტრის ფიზიკურ თერაპიასა და ტექნოლოგიებს (მაგ.: მოძრაობას, ულტრასონოგრაფიას, დასხივებით გათბობას, ლაზერსა და სხვა ტექნოლოგიებს).

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პაციენტთა ფიზიკური პრობლემების გამოსავლენად და შესაფასებლად კუნთების, ნერვების, სახსრების ფუნქციონალური შესაძლებლობებისა და სხვა ტიპის ტესტების ჩატარებას;
2. გულმკერდოვანი, კარდიოვასკულარული და რესპირატორული ფუნქციების, სახსრების მობილურობის აღსადგენად და ბალანსისა და კოორდინაციის ფუნქციის გასაუმჯობესებლად პაციენტებთან ერთად მკურნალობის მიზნების დასახვასა და სამკურნალო პროგრამების შემუშავებას;
3. პაციენტების სამკურნალო ვარჯიშის, სიცხის, სიცივის, მასაჟის, მანიპულაციის, ჰიდროთერაპიის, ელექტროთერაპიის, ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების, აგრეთვე, ულტრასონოგრაფიის თერაპიული თვისებების გამოყენებით პროგრამებისა და მკურნალობის გეგმების განვითარებას, დანერგვასა და მეთვალყურეობას;
4. კლინიკის გარეთ გასაგრძელებელ პროცედურებზე პაციენტებისა და მათი ოჯახებისათვის ინსტრუქციების მიცემას;
5. სამედიცინო ისტორიაში პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მკურნალობაზე ინფორმაციის შენახვას, აგრეთვე, განგრძობადი და ყოვლისმომცველი მკურნალობის უზრუნველსაყოფად ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან ინფორმაციის გაზიარებას;
6. სკრინინგისა და გავრცელებული ფიზიკური დაავადებებისა და აშლილობების პროგრამების განვითარება-დანერგვას;
7. ფიზიოთერაპიის ასისტენტებისა და სხვების სამუშაოს ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გერიატრიის ფიზიკური თერაპევტი;
- მანიპულაციური თერაპევტი;
- ორთოპედიული ფიზიკური თერაპევტი;
- პედიატრიული ფიზიკური თერაპევტი;
- ფიზიკური თერაპევტი;
- ფიზიოთერაპევტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქიროპრაქტიკოსი – 2269;
- პროფესიული თერაპევტი – 2269;
- ოსთეოპათი – 2269;
- ექიმ-ორთოპედი – 2269;
- აკუპრესურის თერაპევტი – 3255;
- ჰიდროთერაპევტი – 3255;
- მასაჟების თერაპევტი – 3255;
- ფსიქოთერაპევტი – 3255;
- შიაცუს თერაპევტი (შიაცუს მასაჟის ტექნიკის მცოდნე მკურნალი) – 3255.

2265 ჯგუფური ერთეული
დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები

დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები აფასებენ, გეგმავენ და ახორციელებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე საჭმლისა და საკვების ზეგავლენის გასაძლიერებელ პროგრამებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ელემენტების რიცხვის გასაზრდელად და ჯანმრთელობისთვის პოტენციური რისკების წარმოშობის შესამცირებლად კვების, დიეტის დაგეგმვასა და საკვების მომზადებაზე პირების, ოჯახებისა და საზოგადოებებისათვის ინსტრუქციების მიცემას;
2. კვებასთან დაკავშირებული მკურნალობის უზრუნველსაყოფად დიეტებისა და მენიუების დაგეგმვას, საკვების მომზადების, გამასპინძლების, მიღებისა და ხარისხის მეთვალყურეობას;
3. წარმოდგენილი ან მოხმარებული საკვებისა ღირებულებებზე დაყრდნობით პირების, ჯგუფებისა და საზოგადოებების ჯანმრთელობისა და კვების სტატუსთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვებასა და შეფასებას;
4. ინდივიდებსა და საზოგადოებებს შორის კვების ხარისხის გასაუმჯობესებლად კვებასთან დაკავშირებული შეფასებების, ჩარევის პროგრამებისა და ტრენინგების დაგეგმვა-განხორციელებას;
5. პაციენტთა დიეტასთან დაკავშირებული საჭიროებების სამართავად ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან და მზრუნველობის უზრუნველყოფის მომწოდებლებთან კონსულტაციების გამართვას;
6. საკვებთან დაკავშირებული მოთხოვნების შესასრულებლად კვების პროდუქტების განვითარებასა და შეფასებას;
7. კვებაზე კვლევების ცატარებასა, აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მათ გავრცელებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კლინიკის დიეტოლოგი;
- კვების მომსახურების დიეტოლოგი;
- კვების სპეციალისტი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვების სპეციალისტი;
- სპორტის კვების სპეციალისტი;
- რაციონალური კვების სპეციალისტი სახელმწიფო ჯანდაცვის სფეროში.

2266 ჯგუფური ერთეული
აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (ლოგოპედი)

აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (ლოგოპედები) აფასებენ, მართავენ და მკურნალობენ ადამიანის სმენაზე, მეტყველებაზე, კომუნიკაციასა და ყლაპვის სისტემაზე

ზეგამვლენ ფიზიკურ აშლილობებს. ისინი სმენის დაქვეითების, მეტყველების ან მასთან დაკავშირებული სენსორული და ნერვიული დარღვევის მქონე პირებისთვის რეცეპტებით გამოწერენ მაკორექტირებელ მოწყობილობებსა ან სარეაბილიტაციო თერაპიებს, აგრეთვე, სმენის უსაფრთხოებასა და კომუნიკაციაზე დასცემენ რჩევებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პაციენტებში სმენისა და კომუნიკაციის პრობლემების ხასიათის დასადგენად სმენის, მეტყველებისა და ენის მდგომარეობის შეფასებას;
2. სპეციალური დიაგნოსტიკური ინსტრუმენტებითა და მოწყობილობებით, სხვა მეთოდოლოგიური, სოციალური და ქცევითი დიაგნოსტიკის მონაცემებთან ერთად მკურნალობის სათანადო კურსის განსასაზღვრად სმენისა ან მეტყველების ტესტების ან შემოწმების სხვა ფორმების გამოყენებას, აგრეთვე, ტესტის შედეგების ახსნას;
3. სმენასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული საკონსულტაციო, სკრინინგის, მეტყველების რეაბილიტაციისა და სხვა პროგრამების დაგეგმვას, წარმართვასა და მათში მონაწილოებას;
4. პაციენტთა საჭიროებების მიხედვით სასმენი აპარატებისა და სხვა დამხმარე მოწყობილობების გამოწერასა და მათი გამოყენების შესახებ ინსტრუქციების გაცემას;
5. მეტყველებასა და საყლაპავ სისტემაზე ფიზიკური ზეგავლენის სამართავად მკურნალობის პროგრამების დაგეგმვასა და ჩატარებას;
6. სმენა ან/და მეტყველება დარღვეულ პირებთან, მათ ოჯახებთან, მასწავლებლებსა და სპეციალისტებთან კონსულტაციების გამართვასა და მათთვის სახელმძღვანელო წესების გაცნობას;
7. საჭიროების შემთხვევაში, პაციენტებისა და ოჯახებისთვის დამატებითი სამედიცინო თუ საგანმანათლებლო მომსახურებების განსაზღვრას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- აუდიოლოგი;
- ენის თერაპევტი;
- მეტყველების სპეციალისტი;
- მეტყველების თერაპევტი.

<u>2267 ჯგუფური ერთეული</u>
ოფთალმოლოგები, ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები

ოფთალმოლოგები, ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები უზრუნველყოფენ თვალისა და ვიზუალური სისტემების დარღვევის დიაგნოსტირებას, მართვასა და მკურნალობას. ვიზუალური პრობლემების აღმოსაფხვრელად ისინი გასცემენ თვალის მოვლაზე რჩევებს, განსაზღვრავენ ოპტიკურ საშუალებებსა და თუ სხვა თერაპიებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. თვალის ჯანმრთელობის შესაფასებლად, აგრეთვე, მხედველობის პრობლემებისა და დარღვევების ხასიათისა და სირთულის დასადგენად პაციენტთა თვალების შემოწმებასა და დიაგნოსტიკური ტესტების ჩატარებას;
2. სპეციალური ინსტრუმენტებითა და მოწყობილობებით მხედველობითი ფუნქციების (მაგ.: მხედველობის სიმახვილის და შორსმხედველობის, ალტერნატიული მხედველობის ფუნქციონირების, მხედველობის სფეროების, თვალის მოძრაობის, თავისუფალი მხედველობის და თვალის შიდა წნევის) ტესტირებას;
3. თვალის დაავადებათა გამოვლენას, დიაგნოსტირებასა და მართვას, აგრეთვე, სამკურნალო მედიკამენტების გამოწერას;
4. პაციენტებისთვის კონსულტაციების გაწევასა და დამატებითი სამედიცინო მკურნალობის აუცილებლობის შემთხვევაში ოფთალმოლოგებთან ან ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან მიმართვას;
5. თვალის მოძრაობის დარღვევისა და ბინოკულარული ფუნქციების დეფექტების გამოვლენასა და დიაგნოსტიკას, მკურნალობის პროგრამების დაგეგმვასა და მართვას, აგრეთვე, თვალის მოძრაობის კოორდინაციისა და ფოკუსირებისთვის თვალის ვარჯიშის შესახებ პაციენტებთან კონსულტაციების გამართვას;
6. მაკორექტირებელი სათვალის, კონტაქტური ლინზებისა და მხედველობის სხვა საშუალებების გამოწერას, აგრეთვე, მუშაობის, უსაფრთოხების, კომფორტულობისა და ცხოვრების სტილის გათვალისწინებით ოპტიკური მოწყობილობების შემოწმებას;
7. ჯანსაღ მხედველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მაგ.: კონტაქტური ლინზების მოვლაზე, მოხუცებულთა მხედველობაზე ზრუნვაზე, ოპტიკაზე, მხედველობით ერგონომიკაზე, აგრეთვე, პროფესიული და ინდუსტრიული თვალის უსაფრთხოებაზე) რჩევების გაცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ოპტომეტრისტი და ოპტიკოსი;
- ოფთალმოლოგი;
- ბავშვთა ოფთალმოლოგი;
- ოპტიკოს-ოფთალმოლოგი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ოფთალმოლოგი – 2212;
- დამხმარე ოპტიკოსი (ოპტიკოსი-ოპტომეტრისტი) – 3254.

2269 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ჯანდაცვის პროფესიონალები

წინამდებარე ჯგუფი მოიცავს 22 ქვეჯგუფის (ჯანდაცვის) კატეგორიას მიკუთვნებელ პროფესიონალები. აღნიშნული ქვეჯგუფი მოიცავს დიაგნოსტიკურ, პრევენციულ, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებების გამწევ პროფესიებს (მაგ.: ექიმ-

ორთოპედის, შრომის ჰიგიენის პროფესიონალს, რეკრეაციულ თერაპევტს, ქიროპრაქტიკოსს, ოსთეოპათს და სხვა).

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის სტატუსის, ფუნქციონალური ზღვარის, ფიზიკური ან სულიერი აშლილობების, ავადმყოფობებისა თუ ჯანმრთელობის სხვა პრობლემების ხასიათის დასადგენად პაციენტთა გამოკითხვასა და დიაგნოსტიკური ტესტები ჩატარებას;
2. დაზიანებების, ავადმყოფობებისა და სხვა ფიზიკური და სულიერი აშლილობების მკურნალობის გეგმების განვითარებასა და დანერგვას;
3. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალიზებული, სარეაბილიტაციო ან სხვა მომსახურებების მისაღებად, გეგმების, პაციენტთა და ოჯახის ექიმებთან, აგრეთვე, ჯანდაცვის სხვა წარმომადგენლებთან მიმართვით პაციენტთა პროგრესის შეფასებასა და დოკუმენტირებას მკურნალობის;
4. მანუალური და ფიზიკური ქიროპრაქტიკითა და ოსტეოპათიით პაციენტთა თერაპევტულ მოვლასა და მკურნალობას;
5. ყოველდღიურად შესასრულებელ საქმიანობებსა და პროფესიულ ვალდებულებებზე ფუნქციურად შეზღუდული პირებისა და ჯგუფებისთვის სახლთან, გასართობი და დასასვენებელი ადგილებთან, სამუშაოსა და სკოლის გარემოსთან ადაპტაციის რეკომენდაციების გაცემას;
6. ფიზიკური, შემეცნებითი, ემოციური და სოციალური ფუნქციების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე, ხელოვნებითა და ხელსაქმით, ცეკვითა და მოძრაობით, მუსიკითა და სხვა გამაჯანსაღებელი საქმიანობებით ინდივიდებისა და ჯგუფების თერაპიული პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას;
7. დაავადების, ავადმყოფობისა თუ სხვა ფიზიკური დარღვევის გამო ფეხის, მუხლისა და მათთან დაკავშირებული პრობლემის გამოვლენასა და მკურნალობის კურსის განსაზღვრას, აგრეთვე, სამკურნალო ფეხსაცმლის გამოწერასა და დაავადების თავიდან ასაცილებლად ფეხის მოვლის საკითხებზე რჩევების გაცემას;
8. მცირე ქირურგიული პროცედურების ჩატარება ფეხსა და მუხლზე.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ქიროპრაქტიკოსი;
- ოსტეოპათი;
- ექიმ-თერაპევტი;
- რეკრეაციული თერაპევტი.

<u>შენიშვნა:</u>

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ქიროპრაქტიკოსები და ოსტეოპათები განიხილებიან როგორც სამედიცინო სპეციალობის მქონენი, აღნიშნული დისციპლინის პრაქტიკოსები ყოველთვის უნდა მიეკუთვნებოდნენ წინამდებარე ჯგუფს.

23 ქვეჯგუფი
განათლების პროფესიონალები

განათლების პროფესიონალები განთლების სხვადასხვა დონეზე ასწავლიან ერთი ან რამდენიმე დისციპლინის თეორიასა და პრაქტიკას; ატარებენ კვლევებს; კონკრეტულ დისციპლინაში აუმჯობესებენ და ავითარებენ კონცეპციებს, თეორიებსა და სამოქმედო მეთოდებს; ამზადებენ სამეცნიერო დოკუმენტებსა და წიგნებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კონკრეტულ საგანმანათლებლო დონეზე საგანმანათლებლო და პროფესიული მიზნებისთვის, კერძო გაკვეთილების ჩათვლით, გაკვეთილების, კურსების, სტუდენტებთან შეხვედრებისა და კონსულტაციების ჩატარებას; ზრდასრულთა განათლების პროგრამების განხორციელებას; სწავლის პრობლემების ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა სწავლებასა და განათლებას; სასწავლო პროგრამის დიზაინისა და მოდიფიცირებას; სასწავლო მეთოდებისა და საშუალებების შემოწმებასა და მათ შესახებ რჩევების გაცემას; სკოლასა და უნივერსიტეტში სწავლების ორგანიზებასა და მსგავსი საქმიანობებში გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას; კონკრეტულ საგნებში კონცეფციების, თეორიებისა ან სამოქმედო მეთოდიკის გასაუმჯობესებლად ან განსავითარებად ინდუსტრიულ და სხვა სფეროებში გამოსაყენებელი კვლევის ჩატარებას; სამეცნიერო დოკუმენტებისა და წიგნების მომზადებას; შესაძლებელია სხვების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

231 უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები;
232 პროფესიული განათლების მასწავლებლები;
233 საშუალო განათლების მასწავლებლები;
234 დაწყებითი სკოლისა და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები;
235 სხვა ტიპის სწავლების პროფესიონალები.

231 მცირე ჯგუფი
უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები

უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ერთ ან რამდენიმე საგანში გაწერილი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ამზადებენ და ატარებენ ლექციებს, სტუდენტებთან შეხვედრებსა და კონსულტაციებს. ისინი ატარებენ კვლევებს, ამზადებენ სამეცნიერო დოკუმენტებსა და წიგნებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასწავლო პროგრამის დიზაინსა და მოდიფიცირებას, ასევე, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო კურსების მომზადებას;

2. ლექციების, სტუდენტებთან შეხვედრების, კონსულტაციების, სემინარებისა და ლაბორატორიული ექსპერიმენტების მომზადებასა და ჩატარებას;
3. სტუდენტებში დისკუსიებისა და დამოუკიდებელი აზროვნების სტიმულირებას;
4. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული და პრაქტიკული სამუშაოს ზედამხედველობას;
5. საგამოცდო ნაწერებისა და ტესტები ადმინისტრირებას, შეფასებასა და ნიშნების დაწერას;
6. მაგისტრ სტუდენტთა ან კათედრის სხვა წევრთა კვლევების წარმართვას;
7. კონკრეტულ საგნებში კონცეფციების, თეორიებისა ან სამოქმედო მეთოდიკის გასაუმჯობესებლად ან განსავითარებად ინდუსტრიულ და სხვა სფეროებში გამოსაყენებელი კვლევის ჩატარებას;
8. სამეცნიერო დოკუმენტებისა და წიგნების ან სტატიების მომზადებას;
9. აკთედრის ან ფაკულტეტის შეხვედრებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2310 უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები.

2310 ჯგუფური ერთეული
უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები

უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ერთ ან რამდენიმე საგანში გაწერილი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ამზადებენ და ატარებენ ლექციებს, სტუდენტებთან შეხვედრებსა და კონსულტაციებს. ისინი ატარებენ კვლევებს, ამზადებენ სამეცნიერო დოკუმენტებსა და წიგნებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასწავლო პროგრამის დიზაინსა და მოდიფიცირებას, ასევე, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო კურსების მომზადებას;
2. ლექციების, სტუდენტებთან შეხვედრების, კონსულტაციების, სემინარებისა და ლაბორატორიული ექსპერიმენტების მომზადებასა და ჩატარებას;
3. სტუდენტებში დისკუსიებისა და დამოუკიდებელი აზროვნების სტიმულირებას;
4. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული და პრაქტიკული სამუშაოს ზედამხედველობას;
5. საგამოცდო ნაწერებისა და ტესტები ადმინისტრირებას, შეფასებასა და ნიშნების დაწერას;
6. მაგისტრ სტუდენტთა ან კათედრის სხვა წევრთა კვლევების წარმართვას;
7. კონკრეტულ საგნებში კონცეფციების, თეორიებისა ან სამოქმედო მეთოდიკის გასაუმჯობესებლად ან განსავითარებად ინდუსტრიულ და სხვა სფეროებში გამოსაყენებელი კვლევის ჩატარებას;
8. სამეცნიერო დოკუმენტებისა და წიგნების ან სტატიების მომზადებას;

9. აკთედრის ან ფაკულტეტის შეხვედრებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პროფესორი;
- ასოცირებული პროფესორი;
- ასისტენტ-პროფესორი;
- მოწვეული პროფესორი;
- მოწვეული სპეციალისტი;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის ხელმძღვანელი – ჯგუფხელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- უნივერსიტეტის რექტორი – 1120 (რექტორი);
- უნივერსიტეტის კანცლერი – 1120;
- დეკანი (უნივერსიტეტი) – 1345;
- უმაღლესი განათლების ფაკულტეტის ხელმძღვანელი (დეკანი) – 1345;
- პროფესიული განათლების პედაგოგი – 2320.

232 მცირე ჯგუფი
პროფესიული განათლების მასწავლებლები

სრულწლოვანთა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე, საშუალო სკოლებსა და კოლეჯებში პროფესიული განათლების მასწავლებლები ასწავლიან პროფესიულ ან პროფესიონალურ საგნებს. ისინი კონკრეტულ პროფესიებში ან პროფესიონალურ დარგებში ამზადებენ სტუდენტებს სამუშაოდ, რომლისთვისაც, როგორც წესი, საუნივერსიტეტო ან უმაღლესი განათლება არ მოითხოვება.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასწავლო პროგრამების შემუშავებას, კურსის შინაარსისა და ინსტრუქციის მეთოდიკის დაგეგმვას;
2. სტუდენტების ან სხვების ტრენინგის განსაზღვრასა და შესაბამისი განათლებისა და ტრეინინგის პროგრამების უზრუნველსაყოფად პირებთან, საწარმოებთან და სხვა განათლების სექტორებთან კავშირების დამყარებას;
3. სტუდენტების ცოდნისა და კომპეტენციის გასაზრდელად ლექციების პრეზენტაციისა და დისკუსიების გამართვას;
4. ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და მასალების გამოყენებისას და დაზიანებების თავიდან ასაცილებლად სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ მეთვალყურეობას;
5. პროგრესის განსასაზღვრად სტუდენტების სამუშაოს მეთვალყურეობასა და შეფასებას, ასევე, საპასუხო რეაგირებასა და აღნიშნული პროცესის გასაუმჯობესებელი წინადადებების წარდგენას;

6. პროგრესის განსასაზღვრად სიტყვიერი, წერითი და საშემსრულებლო ტესტების ადმინისტრირებას, ასევე, ტრენინგის ეფექტურობისა და კომპეტენციის შეფასებას;
7. ანგარიშების მომზადებასა და ჩანაწერების (მაგ.: სტუდენტების ნიშნების, დასწრებისა და ტრენინგის დეტალების) შენახვას;
8. ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტების, საველე საქმიანობის, ლაბორატორიული მუშაობისა ან სხვა ტრენინგების მეთვალყურეობას;
9. ინდივიდუალური ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების სტუდენტებისათვის გაზიარებას;
10. კონკრეტული საგნის პრინციპების, ტექნიკის, პროცედურებისა თუ მეთოდიკის სასწავლად სამუშაო ადგილზე ტრენინგის ჩატარებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

2320 პროფესიული განათლების მასწავლებლები.

2320 ჯგუფური ერთეული
პროფესიული განათლების მასწავლებლები

სრულწლოვანთა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე, საშუალო სკოლებსა და კოლეჯებში პროფესიული განათლების მასწავლებლები ასწავლიან პროფესიულ ან პროფესიონალურ საგნებს. ისინი კონკრეტულ პროფესიებში ან პროფესიონალურ დარგებში ამზადებენ სტუდენტებს სამუშაოდ, რომლისთვისაც, როგორც წესი, საუნივერსიტეტო ან უმაღლესი განათლება არ მოითხოვება.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასწავლო პროგრამების შემუშავებას, კურსის შინაარსისა და ინსტრუქციის მეთოდიკის დაგეგმვას;
2. სტუდენტების ან სხვების ტრენინგის განსაზღვრასა და შესაბამისი განათლებისა და ტრეინინგის პროგრამების უზრუნველსაყოფად პირებთან, საწარმოებთან და სხვა განათლების სექტორებთან კავშირების დამყარებას;
3. სტუდენტების ცოდნისა და კომპეტენციის გასაზრდელად ლექციების პრეზენტაციისა და დისკუსიების გამართვას;
4. ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და მასალების გამოყენებისას და დაზიანებების თავიდან ასაცილებლად სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ მეთვალყურეობას;
5. პროგრესის განსასაზღვრად სტუდენტების სამუშაოს მეთვალყურეობასა და შეფასებას, ასევე, საპასუხო რეაგირებასა და აღნიშნული პროცესის გასაუმჯობესებელი წინადადებების წარდგენას;
6. პროგრესის განსასაზღვრად სიტყვიერი, წერითი და საშემსრულებლო ტესტების ადმინისტრირებას, ასევე, ტრენინგის ეფექტურობისა და კომპეტენციის შეფასებას;
7. ანგარიშების მომზადებასა და ჩანაწერების (მაგ.: სტუდენტების ნიშნების, დასწრებისა და ტრენინგის დეტალების) შენახვას;

8. ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტების, საველე საქმიანობის, ლაბორატორიული მუშაობისა ან სხვა ტრენინგების მეთვალყურეობას;
9. ინდივიდუალური ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების სტუდენტებისათვის გაზიარებას;
10. კონკრეტული საგნის პრინციპების, ტექნიკის, პროცედურებისა თუ მეთოდიკის სასწავლად სამუშაო ადგილზე ტრენინგის ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავტომატური ტექნოლოგიის ინსტრუქტორი (მასწავლებელი);
- კოსმეტოლოგის ინსტრუქტორი (მასწავლებელი);
- პროფესიული განათლების პედაგოგი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სკოლის დირექტორი – 1345;
- საშუალო განათლების მასწავლებელი – 2330.

<u>შენიშვნა:</u>

კონკრეტულ ჯგუფში პროფესიული საგნების მასწავლებლები, სტუდენტთა დასაქმებისთვის მომმზადებლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუშაობენ საშუალო სკოლაში, პროფესიულ თუ ტექნიკურ სასწავლებელსა თუ კოლეჯში, მიეკუთვნებიან 2320 ჯგუფურ ერთეულს – პროფესიული განათლების მასწავლებლები. საშუალო განათლების დონეზე, დასაქმებაზე არაორიენტირებული საგნების (მაგ.: მათემატიკის) მასწავლებლები მიეკუთვნებიან 2330 ჯგუფურ ერთეულს – საშუალო განათლების მასწავლებლები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი დასაქმებულნი არიან პროფესიულ თუ ტექნიკურ კოლეჯში.

233 მცირე ჯგუფი
საშუალო განათლების მასწავლებლები

საშუალო განათლების მასწავლებლები საშუალო განათლების დონის დაწესებულებებში ასწავლიან ერთ ან რამდენიმე საგანს, გარდა იმ საგნებისა, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების კონკრეტულ პროფესიულ დარგში დასაქმებისთვის მომზადებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სასწავლო პროგრამების დიზაინსა და მოდიფიცირებას, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად საგანმანათლებლო კურსების მომზადებას; სტუდენტებს შორის წესრიგის დასამყარებლად ქცევის წესებისა და პროცედურების დადგენა-ამოქმედებას; ერთ ან რამდენიმე საგანში გაკვეთილების, დისკუსიებისა და პრეზენტაციების მომზადება-ჩატარებას; ყველა გაკვეთილის, თავისა ან პროექტისთვის ნათლად გაწერილი ამოცანების დადგენასა და სტუდენტებისთვის გაცნობას; ლექციისთვის მასალებისა და საკლასო ოთახების მომზადებას; სტუდენტების განსხვავებული საჭიროებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად სასწავლო მეთოდებისა და ინსტრუქციების მასალების ადაპტირებას; ტესტების, დავალებებისა და საგამოცდო ნაწერების მომზადებას, ადმინისტრირებასა და მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად ნიშნების დაწერას; მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მომზადებას, აგრეთვე, სხვა მასწავლებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობას; სკოლის საგანმანათლებლო ან საორგანიზაციო პოლიტიკის შეხვედრებში მონაწილეობას; სასკოლო აქტივობებში (მაგ.: ექსკურსიებში, სპორტულ ღონისძიებებსა და კონცერტებში) მონაწილოებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

2330 საშუალო განათლების მასწავლებლები.

2330 ჯგუფური ერთეული
საშუალო განათლების მასწავლებლები

საშუალო განათლების მასწავლებლები საშუალო განათლების დონის დაწესებულებებში ასწავლიან ერთ ან რამდენიმე საგანს, გარდა იმ საგნებისა, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების კონკრეტულ პროფესიულ დარგში დასაქმებისთვის მომზადებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასწავლო პროგრამების დიზაინსა და მოდიფიცირებას, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად საგანმანათლებლო კურსების მომზადებას;
2. სტუდენტებს შორის წესრიგის დასამყარებლად ქცევის წესებისა და პროცედურების დადგენა-ამოქმედებას;
3. ერთ ან რამდენიმე საგანში გაკვეთილების, დისკუსიებისა და პრეზენტაციების მომზადება-ჩატარებას;

4. ყველა გაკვეთილის, თავისა ან პროექტისთვის ნათლად გაწერილი ამოცანების დადგენასა და სტუდენტებისთვის გაცნობას;
5. ლექციისთვის მასალებისა და საკლასო ოთახების მომზადებას;
6. სტუდენტების განსხვავებული საჭიროებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად სასწავლო მეთოდებისა და ინსტრუქციების მასალების ადაპტირებას;
7. ტესტების, დავალებებისა და საგამოცდო ნაწერების მომზადებას, ადმინისტრირებასა და მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად ნიშნების დაწერას;
8. მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მომზადებას, აგრეთვე, სხვა მასწავლებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობას;
9. სკოლის საგანმანათლებლო ან საორგანიზაციო პოლიტიკის შეხვედრებში მონაწილეობას;
10. სასკოლო აქტივობებში (მაგ.: ექსკურსიებში, სპორტულ ღონისძიებებსა და კონცერტებში) მონაწილოებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სკოლის მასწავლებელი (მაღალი კლასები);
- საშუალო სკოლის მასწავლებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კლასის დამრიგებელი – 1345;
- სკოლის დირექტორი – 1345;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი – 2320;
- სკოლის ინსპექტორი – 2351;
- წერა-კითხვის მასწავლებელი (რეპეტიტორი) – 2359;
- მათემატიკის მასწავლებელი (რეპეტიტორი) – 2359;
- სკოლის მრჩეველი – 2359.

<u>შენიშვნა:</u>

კონკრეტულ ჯგუფში პროფესიული საგნების მასწავლებლები, სტუდენტთა დასაქმებისთვის მომმზადებლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუშაობენ საშუალო სკოლაში, პროფესიულ თუ ტექნიკურ სასწავლებელსა თუ კოლეჯში, მიეკუთვნებიან 2320 ჯგუფურ ერთეულს – პროფესიული განათლების მასწავლებლები. საშუალო განათლების დონეზე, დასაქმებაზე არაორიენტირებული საგნების (მაგ.: მათემატიკის) მასწავლებლები მიეკუთვნებიან 2330 ჯგუფურ ერთეულს – საშუალო განათლების მასწავლებლები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი დასაქმებულნი არიან პროფესიულ თუ ტექნიკურ კოლეჯში.

234 მცირე ჯგუფი
დაწყებითი სკოლისა და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები

დაწყებითი სკოლისა და ადრეული განათლების დაწესებულების მასწავლებლები განათლების დაწყებით საფეხურზე ასწავლიან ფართო სპექტრის საგნებს და სკოლამდელ ასაკამდე ბავშვებისთვის მართავენ საგანმანათლებლო აქტივობებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: განათლების დაწყებითი ფაზის უამრავ საკანში სასწავლო პროგრამების მომზადებასა და ინსტრუქციების მიცემას; ბავშვების ენის, ფიზიკური და სოციალური უნარების განსავითარებელი აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზებას; ანგარიშების მომზადება; შესაძლებელია სხვების ზედამხედველობაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2341 დაწყებითი სკოლისა და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები;

2342 სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები.

2341 ჯგუფური ერთეული
დაწყებითი სკოლისა და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები

დაწყებითი სკოლისა და ადრეული განათლების/სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები განათლების დაწყებით საფეხურზე ასწავლიან ფართო სპექტრის საგნებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასწავლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად ყოველდღიური და გრძელვადიანი გაკვეთილების გეგმების მომზადებას;
2. ინდივიდუალურად და ჯგუფურად, ბავშვებისთვის ადაპტირებული სხვადასხვა სასწავლო ტექნიკითა და მასალებით (მაგ.: კომპიუტერებით, წიგნებით, თამაშებით) ინსტრუქციების მიცემას;
3. საკლასო ოთახში დისციპლინისა და კარგი სამუშაო ქცევის შენარჩუნებას;
4. ბავშვებთან ერთად გარკვეული აქტივობების (მაგ.: სპორტული აქტივობების, კონცერტების, ექსკურსიების) დაგეგმვასა და განხორციელებას;
5. კლასისთვის სამუშაოსა და დავალების მიცემა-შეფასებას;
6. ტესტებისა და საშინაო დავალებების მომზადებას, ადმინისტრირებასა და ბავშვების პროგრესის შესაფასებლად ნიშნების დაწერას;
7. ბავშვების მომზადებისა და ქცევის ზედამხედველობა-შეფასებას;
8. კლასში და სკოლის დღეებში სხვა ადგილებზე, შესვენებების დროს სათამაშო მოედნების ჩათვლით, ბავშვების ზედამხედველობას;

9. თანამშრომელთა შეხვედრებსა და სხვა სესიებში მონაწილეობას, განათლების საკითხებზე სხვა მასწავლებლებთან ურთიერთობებას;
10. ბავშვების პროგრესისა და პრობლემების განსახილველად მშობელთა კრებების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სასწავლო ნაწილის გამგე – 1345;
- სკოლის დირექტორი – 1345;
- სკოლის ინსპექტორი – 2351.

2342 ჯგუფური ერთეული
სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები საგანმანათლებლო და სათამაშო აქტივობების უზრუნველყოფით ხელს უწყობენ დაწყებით სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სოციალურ, ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბავშვთა მოტორული, თანამშრომლობისა და ურთიერთობის უნარ-ჩვევების, ნდობისა და გაგების ცნების განვითარების ხელშეწყობად ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
2. ისტორიების მოყოლით, სცენური თამაშებით, სიმღერით, რითმებით, არაფორმალური საუბრებითა და დისკუსიებით ენის განვითარების ხელშეწყობას;
3. ბავშვებისთვის კრეატიული გამოხატვის აქტივობების (მაგ.: ხელოვნების მედიის, დრამატული დადგმების, მუსიკისა და ფიზიკური) ჩატარებას;
4. პროგრესის შესაფასებლად, აგრეთვე, განვითარებასთან, ემოციასა ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების ნიშნების გამოსავლენად ბავშვების ზედამხედველობას;
5. სტუდენტთა კვებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების საჭიროებების განსაზღვრა-შეფასება, აგრეთვე, სტუდენტთა პროგრესის შეფერხების ფაქტორების გამოვლენას;
6. კონფლიქტების უსაფრთოხებისა და მათი გადაჭრის უზრუნველსაყოფად ბავშვების აქტივობების ზედამხედველობას;
7. სწორი კვების, ჩაცმისა და საჭირო ოთახის მოხმარების წესების გამოსაყენებლად ბავშვებისთვის დახმარებას;
8. მშობლებთან და დაწესებულების სხვა თანამშრომლებთან ბავშვთა პროგრესისა თუ პრობლემების განხილვასა, აგრეთვე, შესაბამისი ქმედებების გამოვლენასა და სხვა სამსახურებთან მათ განხილვას;

9. ბავშვებთან მომუშავე სხვა მიწოდებლებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი;
- სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბავშვთა მოვლის ცენტრის მენეჯერი – 1341;
- ძიძა – 5311.

235 მცირე ჯგუფი
სხვა ტიპის სწავლების პროფესიონალები

სხვა ტიპის სწავლების სპეციალისტები იკვლევენ სწავლების მეთოდს და რჩევებს გასცემენ მასზე; ასწავლიან სწავლის პრობლემების მქონე ან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს; მიგრაციისა და მასთან დაკავშირებული მიზნებისთვის ასწავლიან ენებს; ატარებენ კერძო გაკვეთილებს; ასწავლიან ხელოვნებას, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სხვა საგნებს, რომლებიც არ შედის დაწყებით, საშუალო და უმაღლეს განათლებაში; აგრეთვე, ისინი უზრუნველყოფენ სწავლების იმ მომსახურებებით, რომლებიც არ მიეკუთვნება 23 ქვეჯგუფს – განათლების სპეციალისტები.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კვლევის ჩატარებასა და სასწავლო მეთოდების, კურსების განვითარებას, აგრეთვე, დახმარებასა და სათანადო რჩევების გაცემას; შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების ბავშვების, ახალგაზრდა პირებისა თუ ზრდასრულების, აგრეთვე, სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების სწავლებას; მიგრაციის მიზნებისთვის უცხო ენების სწავლებას; პრაქტიკის, თეორიისა და მუსიკის, დრამის, ცეკვის, სახვითი და სხვა ხელოვნების სტუდენტებისთვის სწავლებას; საინფორმაციო ტექნოლოგიების მომხმარებლებისთვის ტრენინგის პროგრამებისა და კურსების შემუშავებას, დაგეგმვასა და ჩატარებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2351 მეთოდისტები;
2352 სპეციალური მასწავლებელი;
2353 უცხო ენის მასწავლებლები;
2354 მუსიკის მასწავლებლები;
2355 ხელოვნების მასწავლებლები;
2356 ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლები;
2359 ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს მიუკუთვნებელი განათლების სპეციალისტები.

2351 ჯგუფური ერთეული
მეთოდისტები

მეთოდისტები ატარებენ კვლევებს და ავითარებენ სასწავლო მეთოდებს, კურსებს, ეხმარებიან და გასცემენ რჩევების. ისინი განიხილავენ და აკვირდებიან მასწავლებელთა მუშაობას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებასა და მიღწეულ შედეგებს, აგრეთვე, პროცესების ცვლილებებისა და მათი დახვეწისთვის გასცემენ რეკომენდაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასწავლო პროგრამის, მეთოდისა და სხვა საგანმანათლებლო პრაქტიკების სფეროში მიღწეული წარმატების კვლევას, აგრეთვე, აუცილებელი ცვლილებებისა და პროცესების გასაუმჯობესებლად რჩევების გაცემას;
2. კურსების შინაარსისა და განსახილველი მეთოდების შეფასებას, აგრეთვე, მათთან დაკავშირებით რჩევების გაცემას;
3. აუდიოვიზუალური და სწავლების პროცესის სხვა დამხმარე საშუალებების კვლევასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ დანერგვასა და ორგანიზებაზე რეკომენდაციების გაცემას;
4. საგნებისა და კურსების ინფორმაციის დოკუმენტირებას, აგრეთვე, ახალი კურსების შეფასებას;
5. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და კონსულტაციების გაცემას;
6. მასწავლებელთა ახალ პროგრამებსა და მეთოდებში გადასამზადებლად სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზებასა და ჩატარებას;
7. ახალი საგანმანათლებლო კურსებისა და პროგრამების სტრუქტურის, შინაარსისა და მიზნის განვითარებას;
8. სკოლების პერიოდულ მონახულებას, აგრეთვე, სასწავლო პროგრამებზე, მეთოდებზე, დანადგარებსა და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციულ და სასწავლო საბჭოსთან თანამშრომლობას;
9. მასწავლებელთა მოსამზადებლად და მიღებული სამეცნიერო შედეგების შესაფასებლად საკლასო ოთახების მონახულებასა და ტექნიკაზე დაკვირვებას;
10. საგანმანათლებლო უწყებებისთვის სასწავლო პროგრამაში, მეთოდებსა და სხვა საკითხებში შეტანილ შესაძლო ცვლილებებსა და განხორციელებულ განვითარებებზე ანგარიშების მომზადებასა და რეკომენდაციების გაცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასწავლო ნაწილი;
- მეთოდისტი;
- მანდატური;
- პროფესორის ასისტენტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სკოლის მრჩეველი -2359;

- სტუდენტების მრჩეველი (კურატორი) – 2359;
- საგანანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგი (მასწავლებელი) – 2634.

2352 ჯგუფური ერთეული
სპეციალური საჭიროებების მასწავლებლები

სპეციალური საჭიროებების მასწავლებლები ასწავლიან შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების ბავშვებს, ახალგაზრდა პირებსა თუ ზრდასრულებს, აგრეთვე, სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სწავლებას; ისინი ხელს უწყობენ თავიანთი სტუდენტების სოციალურ, ემოციურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური დარღვევების, გამორჩეული ინტელექტუალური შესაძლებლობის, ან სპეციალური შემთხვევების თვალსაზრისით სტუდენტების შესაძლებლობებისა და შეზღუდულობის დონის შეფასებას;
2. სასწავლო პროგრამის შემუშავებასა ან მოდიფიცირებას, აგრეთვე, სტუდენტების შესაძლებლობებსა და საჭიროებებთან ადაპტირებულ პროგრამების, გაკვეთილებისა და აქტივობების მომზადებასა და სტუდენტებისთვის მიწოდებას;
3. ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ საფუძველზე, სტუდენტთა საჭიროებებისათვის აუცილებელი სპეციალური ტექნიკისა თუ დამხმარე საშუალებების გამოყენებით ინსტრუქციების მიცემას;
4. ინსტრუქციების გაცემისას სენსორული და შემეცნებითი უნარებისა და მეხსიერების განსავითარებელი სპეციალური საგანმანათლებლო სტრატეგიისა და ტექნიკის გამოყენებას;
5. სტუდენტებში წესრიგის დასამყარებლად ქცევების, პოლიტიკისა და პროცედურების ასამოქმედებელი წესების ჩამოყალიბებას;
6. აკადემიური საგნებისა და პრაქტიკის, აგრეთვე, სმენის, მხედველობისა და სხვა პრობლემების ტუდენტებისთვის სწავლებას;
7. სტუდენტთა ნდობის, ინტერესის, შესაძლებლობების, ფიზიკური შრომის უნარისა და კოორდინაციის სტიმულირებასა და განვითარებას;
8. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის გაკვეთილების დასაგეგმად სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობებას;
9. სტუდენტების მონაცემებისა და სხვა ჩანაწერების მომზადება-შენახვაა, აგრეთვე, ანგარიშების წარდგენას;
10. თითოეული სტუდენტის მიღწევის შესაფასებლად შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას;
11. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების განსავითარებლად და განვითარების გასაუმჯობესებლად სტუდენტებთან, მშობლებთან, ხელმძღვანელ მასწავლებლებსა და სხვა სტუდენტების მოვლის პროცესში ჩართულ პროფესიონალებთან ურთიერთობების დამყარებას, რათა განვითარდეს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების (სტუდენტთა) პირთა სპეციალური განათლების მასწავლებელი;
- სწავლის წამხალისებელი მასწავლებელი;
- ქცევის გამომსწორებელი მასწავლებელი;
- განსაკურებულად ნიჭიერი სტუდენტების მასწავლებელი;
- სმენადაქვეითებულ სტუდენტთა მასწავლებელი;
- მხედველობადაქვეითებულ სტუდენტთა მასწავლებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- პროფესიული განათლების მასწავლებელი – 2320;
- საშუალო სკოლის მასწავლებელი – 2330;
- დაწყებითი სკოლის მასწავლებელი – 2341.

2353 ჯგუფური ერთეული
უცხო ენის მასწავლებლები

უცხო ენის მასწავლებლები სამიგრაციო მიზნებისთვის, აგრეთვე, სრულფასოვანი დასაქმების ან შესაძლებლობის მოთხოვნების შესასრულებლად, უცხო ენაზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშესაწყობად, ან პირადი მიზნებისთვისზრდასრულებსა და ბავშვებს ასწავლიან უცხო ენებს. სტუდენტებისა და მასწავლებლების დასახმარებლად ისინი მუშაობენ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან მის გარეთ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სტუდენტთა შესაძლებლობებისა და ენის სირთულის დონის შეფასებას, აგრეთვე, სტუდენტთა საჭიროებებისა და სწავლის მიზნების შემუშავებას;
2. ჯგუფებისა და ინდივიდებისთვის, პროგრესის შინაარსთან და შეფასებასთან ერთად სტუდენტთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული გაკვეთილებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, მომზადებასა და ჩატარებას;
3. სასწავლო მასალების შემუშავებასა და გამოცემას, აგრეთვე, არსებული მასალების ადაპტირებას;
4. სტუდენტთა პროგრესის შეფასებას;
5. უცხო ენის შემსწავლელ საკლასო ოთახებში სტუდენტების დახმარებას;
6. ძირითადი ენის შემსწავლელი სტუდენტებისთვის სპეციალური სასწავლო პროგრამების შექმნაში სხვა მასწავლებლებისთვის დახმარებას;
7. დავალების მიცემას და შემოწმება, აგრეთვე, გამოცდების მომზადებასა და მათში ნიშნის დაწერას;
8. სტუდენტის პროგრესის შეფასებას, დოკუმენტირებასა და მათ შესახებ ანგარიშების წარდგენას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ინტენსიური ენის მასწავლებელი;
- მიგრანტთა მასწავლებელი;
- პრაქტიკული ენის მასწავლებელი;
- უცხო ენის მასწავლებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- უნივერსიტეტის ლექტორი – 2310;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი – 2320;
- საშუალო სკოლის მასწავლებელი – 2330;
- დაწყებითი სკოლის მასწავლებელი – 2341.

2354 ჯგუფური ერთეული
მუსიკის მასწავლებლები (კერძო)

მუსიკის მასწავლებლები დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის გარეთ სტუდენტებს ასწავლიან მუსიკალურ პრაქტიკას, თეორიასა და შესრულებას, აგრეთვე, კლასგარეშე აქტივობად საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეუძლიათ ჩაატარონ კერძო ან პატარა ჯგუფური გაკვეთილები.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სტუდენტთა შესაძლებლობების დონის შეფასებას, აგრეთვე, სტუდენტთა საჭიროებებისა და სწავლის მიზნების შემუშავებას;
2. სასწავლო პროგრამების, გაკვეთილებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, მომზადებასა და ჯგუფებისა და ინდივიდუალური სტუდენტებისთვის ჩატარებას;
3. სასწავლო მასალების შემუშავებას, აგრეთვე, და მუსიკის თეორიისა და ინტერპრეტაციის პრეზენტაციას;
4. სიმღერის ან კონკრეტული ინსტრუმენტის დაკვრის ინსტრუქციების გაცემასა და ჩვენებას;
5. სტუდენტებისთვის მუსიკალური ნოტების კითხვისა და წერის სწავლებას;
6. სტუდენტების შესაძლებლობის, ინტერესისა და ნიჭის დონის გათვალისწინებით, დავალებების მიცემასა და მუსიკალური ნაწარმოების სწავლებას;
7. სტუდენტების შეფასებას, რჩევების მიცემას, კრიტიკასა და წახალისებას;
8. სასწავლო პროგრამის, კურსის, მასალებისა და მეთოდების გადახედვას;
9. სტუდენტების გამოცდებისთვის, დადგმებისა და შეფასებისთვის მომზადებას;
10. ვიზიტებისა და სამუსიკო ტურების ორგანიზებას;
11. მისაღები გამოცდებისა თუ სტუდენტთა ნამუშევრების დადგმების ორგანიზებასა და დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გიტარის მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- ფორტეპიანოს მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- სიმღერის მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- ვიოლინოს მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- დოლზე დაკვრის მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- ხალხური საკრავის მასწავლებელი (რეპეტიტორი).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- უნივერსიტეტის ლექტორი – 2310;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი – 2320;
- საშუალო სკოლის მასწავლებელი – 2330;
- დაწყებითი სკოლის მასწავლებელი – 2341.

შენიშვნა:

საშუალო და დაწყებითი სკოლის მუსიკის მასწავლებლები მიეკუთვნებიან **2330 ჯგუფურ** ერთეულს – საშუალო განათლების მასწავლებლები და 2341 ჯგუფურ ერთეულს – დაწყებითი სკოლის მასწავლებლები.

2355 ჯგუფური ერთეული
სახვითი და სხვა გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები

ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლები დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ასწავლიან სტუდენტებს ცეკვის, დრამისა და სახვითი და სხვა ხელოვნების (მუსიკის ჩათვლით) პრაქტიკას, თეორიასა და შესრულებას, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში კლასგარეშე აქტივობად ატარებენ კერძო ან პატარა ჯგუფურ გაკვეთილებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სტუდენტთა შესაძლებლობების დონის შეფასებასა და სასწავლო საჭიროებების განსაზღვრას;
2. სასწავლო პროგრამების, გაკვეთილებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, მომზადებასა და ჯგუფებისა და ინდივიდუალური სტუდენტებისთვის ჩატარებას;
3. სასწავლი საგნების თეორიული მასალების მომზადებასა და პრეზენტაციას;
4. დრამის, ცეკვის, სახვითი და ხელოვნების სხვა პრაქტიკული ასპექტების რჩევების გაცემასა და ჩვენებას;
5. სტუდენტების შესაძლებლობის, ინტერესისა და ნიჭის დონის გათვალისწინებით, დავალებებისა და სამუშაოს მიცემას, აგრეთვე, მუსიკალური ნაწარმოებების სწავლება;
6. სტუდენტების შეფასებას, რჩევების მიცემას, კრიტიკასა და წახალისებას;
7. სასწავლო გეგმის, კურსის, მასალებისა და ინსტრუქციის მეთოდების გადახედვას;
8. სტუდენტების გამოცდებისთვის, დადგმებისა და შეფასებისთვის მომზადებას;
9. ვიზიტებისა და საგამოფენო ტურების ორგანიზებას;
10. სტუდენტების ნამუშევრების გამოფენის ორგანიზებასა და დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ცეკვის მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- დრამის მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- ხატვის მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- ძერწვის მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- სამსახიობო ხელოვნების მასწავლებელი;
- ტრადიციული რეწვის მასწავლებელი (თექა).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- უნივერსიტეტის ლექტორი – 2310;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი – 2320;
- საშუალო სკოლის მასწავლებელი – 2330;
- დაწყებითი სკოლის მასწავლებელი – 2341;
- მუსიკის რეპეტიტორი; – 2354.

<u>შენიშვნა:</u>

საშუალო და დაწყებითი სკოლის მუსიკის მასწავლებლები მიეკუთვნებიან 2330 ჯგუფურ ერთეულს – საშუალო განათლების მასწავლებლები და 2341 ჯგუფურ ერთეულს – დაწყებითი სკოლის მასწავლებლები.

<u>2356 ჯგუფური ერთეული</u>
ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლები

ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლები დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარეთ კომპიუტერისა და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების მომხმარებლებისთვის ავითარებენ, გეგმავენ და ატარებენ ტრენინგ-პროგრამებსა და კურსებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინდივიდუალურ მომხმარებელთა და ორგანიზაციათა ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის საჭიროებებისა და მოთხოვნების გამოვლენას;
2. სასწავლო მასალებისა და დამხმარე საშუალებების (მაგ.: სახელმძღვანელოების, ვიზუალური დამხმარე საშუალებების, სასწავლო ინტერნეტმასალების, სადემონსტრაციო მოდელებისა და დამხმარე დოკუმენტების) მომზადებასა და განვითარებას;
3. ტრენინგების შემუშავებას, მართვას, დაგეგმვასა და ჩატარებას, აგრეთვე, ინდივიდუალური და ჯგუფური ინსტრუქციის, სამუშაო შეხვედრების, დემონსტრაციებისა და კონფერენციების მედიაციის პროგრამების განვითარებას;
4. ტრენინგის ხარისხისა და ეფექტურობის შეფასებების მონიტორინგსა და ტრენინგის მიზნების, მეთოდებისა და კურსის შედეგების გადახედვასა და მოდიფიცირებას;

5. გაგებული საგნის თემისა და სისტემის საბაზისო მასალების სრულყოფილებისთვის შეგროვებას, გამოძიებასა და კვლევას;
6. მომხმარებელებისთვის ახლად გამოსული პროდუქტების, პროგრამული განვითარებებისა და ზოგადი ინფორმაციული ტექნოლოგიების ტენდენციების განახლებასა და მომხმარებელებისთვის პროდუქტებისა და მასალების (მაგ.: ტრენინგების, კონსულტაციების, სახელმძღვანელო ინსტრუქციების, ონლაინ დახმარებას, გამოყენებისა და მოვლა-შენახვის) ინსტრუქციების დაწერას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კომპიუტერის მასწავლებელი;
- კომპიუტერული პროგრამების მასწავლებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- უნივერსიტეტის ლექტორი – 2310;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი – 2320;
- საშუალო სკოლის მასწავლებელი – 2330;
- დაწყებითი სკოლის მასწავლებელი – 2341;
- კადრების სპეციალისტი – 2424.

2359 ჯგუფური ერთეული
მასწავლებლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას

წინამდებარე ჯგუფი მოიცავს 23 ქვეჯგუფის – განათლების სპეციალისტები სხვა კატეგორიებს მიუკუთვნებელ მასწავლებლებს. მაგ., ჯგუფი მოიცავს სტუდენტებისთვის განათლების მიმართულებითკონსულტაციებს, აგრეთვე, უცხო ენებისა და ხელოვნების, კერძო რეპეტიტორებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სტუდენტების შესაძლებლობების დონის შეფასებასა და სასწავლო საჭიროებების განსაზღვრას;
2. ჯგუფებისა და ინდივიდუალური სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამების, გაკვეთილებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, მომზადებასა და ჩატარებას;
3. შესასწავლი საგნების თეორიული მასალების მომზადებასა და პრეზენტაციას;
4. შესასწავლი საგნების პრაქტიკული ასპექტებზე ინსტრუქციების გაცემასა და ჩვენებას;
5. სტუდენტების შესაძლებლობის, ინტერესისა და ნიჭის დონის გათვალისწინებით, დავალებებისა და სამუშაოს მიცემასა და მუსიკალური ნაწარმოებების სწავლებას;
6. სტუდენტების შეფასებას, რჩევების მიცემას, კრიტიკასა და წახალისებას;
7. სასწავლო გეგმის, კურსის შინაარსის, მასალებისა და ინსტრუქციის მეთოდების გადახედვას;
8. სტუდენტების გამოცდებისთვის, დადგმებისა და შეფასებისათვის მომზადებას;

9. საგანმანათლებლო საკითხებზე (მაგ.: კურსისა და პროგრამის შერჩევაზე, კლასის დაგეგმვაზე, სკოლის შეჩვევაზე, სკოლის გაცდენაზე, სასწავლო ჩვევებსა და კარიერის დაგეგმვაზე) სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევას;
10. სტუდენტებისთვის განათლებაზე გამვლენი პირადი, სოციალური თუ ქცევის პრობლემების გაგებასა და გადალახვაზე კონსულტაციების გაწევას;
11. სასწავლო შესაძლებლობისა და პრობლემის გასამკლავებელი გამოსაკვლევად და წასახალისებლად, სამომავლო საგანმანათლებლო გამოცდილებისთვის სტუდენტების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- წერა-კითხვის მასწავლებელი რეპეტიტორი);
- მათემატიკის მასწავლებელი (რეპეტიტორი);
- სკოლის მრჩეველი;
- სტუდენტების მრჩეველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- უნივერსიტეტის ლექტორი – 2310;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი – 2320;
- საშუალო სკოლის მასწავლებელი – 2330;
- დაწყებითი სკოლის მასწავლებელი – 2341;
- ინტენსიური ენის მასწავლებელი – 2353;
- მიგრანტთა განათლების მასწავლებელი – 2353;
- მუსიკის მასწავლებელი (რეპეტიტორი) – 2354;
- ცეკვის მასწავლებელი (რეპეტიტორი) – 2355;
- დრამის მასწავლებელი (რეპეტიტორი) – 2355;
- ხატვის მასწავლებელი (რეპეტიტორი) – 2355;
- ძერწვის მასწავლებელი (რეპეტიტორი) – 2355;
- განათლების ფსიქოლოგი – 2634;
- ოჯახის მრჩეველი – 2635;
- სოციალური მუშაკი – 2635.

24 ქვეჯგუფი
ბიზნესისა და ადმინისტრირების პროფესიონალები

ბიზნესისა და ადმინისტრირების პროფესიონალები ფინანსურ საკითხებში, ადამიანური რესურსის განვითარებაში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში, მარკეტინგსა და ტექნიკურ, სამედიცინო, საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სფეროში ასრულებენ ანალიტიკურ, კონცეპტუალურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, აგრეთვე, ორაგიზაციის სტრუქტურის, მისი მართვის მეთოდებისა და სისტემის შესახებ მიმოხილვას, საინვესტიციო პროგრამებზე გამვლენი ინფორმაციის რაოდენობრივ ანალიზს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ორგანიზაციის ფინანური მდგრადობის, ფასების სტრუქტურისა და ვაჭრობის ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის მოგროვებას, ანალიზსა და სხვებისთვის გაცნობას; ორგანიზაციის აუდიტის წარმოებას, ფინანსური განცხადებების მომზადებასა და ორგანიზაციის სახაზინო სისტემის კონტროლს; ფინანსური გეგმებისა და სტრატეგიების განვითარებასა და გადახედვას, აგრეთვე, ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტაციის აღსრულებას, საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოებას; პერსონალის აყვანის, ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლების პროგრამების განვითარებას, პრაქტიკაში გამოყენებასა და დახვეწას; მარკეტინგისა და საზოგადობრივი ინფორმირებულობის კამპანიის განვითარებასა და განხორციელებას; სამთავრობო და ბიზნესოპერაციების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე, ეფექტურობის გასაზრდელად მეთოდებისა და პოლიტიკის შესწავლასა და განვითარებას; დამსაქმებლებსა და კონკურენტების საქონლსა და სერვისებზე, აგრეთვე, ბაზრის მოთხოვნებზე ინფორმაციის ქონასა და მუდმივ რეჟიმში განახლებას; მომხმარებლების საჭიროებების შეფასებასა და მათთვის საქონლისა და სერვისების შეთავაზებას.

მოცემულ ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

241 ფინანსების პროფესიონალები;

242 ადმინისტრების პროფესიონალები;

243 გაყიდვების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების პროფესიონალები.

241 მცირე ჯგუფი
ფინანსების პროფესიონალები

ფინანსების პროფესიონალები ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისთვის გეგმავენ, მართავენ და ადმინისტრარებენ საბუღალტრო სისტემებს, აგრეთვე, მოცემულ ჯგუფში ჩამოთვლილი ზოგიერთი საქმიანობის განმახორციებლები ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისათვის ამოწმებენ და გააანალიზებენ საბუღალტრო და ფინანსურ ჩანაწერებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ორგანიზაციისთვის ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებასა და ორგანიზებას; ორგანიზაციის ფინანსური დოკუმენტაციის გადახედვას; ინდივიდებისა და ორგანიზაციებისთვის ფინანსური რჩევების მიცემას; ეკონომიკის ცალკეული სეგმენტებისა და მთლიანად ეკონომიკურ საქმიანობაზე ანალიტიკური რეპორტების მომზადებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

2411 ბუღალტრები;

2412 ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები;

2413 ფინანსური ანალიტიკოსები.

2411 ჯგუფური ერთეული
ბუღალტრები

ბუღალტრები ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისთვისგეგმავენ, მართავენ და ადმინისტრირებენ საბუღალტრო სისტემების მუშაობას. მოცემულ ჯგუფში ჩამოთვლილი ზოგიერთი საქმიანობის განმახორციებლები საბუღალტრო სისტემებსა და პროცედურებთან შესაბამისობისთვის, აგრეთვე, გარანტირებული სიზუსტისთვის ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისათვის ამოწმებენ და გააანალიზებენ საბუღალტრო და ფინანსურ ჩანაწერებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საბიუჯეტო და საბუღალტრო კონტროლს, აგრეთვე, საბუღალტრო საქმიანობის სხვა ასპექტებისა და სისტემების დაგეგმვას, დანერგვასა და კონსულტაციებს;
2. ხელმძღვანელების, აქციონერების, იურიდიული და სხვა კანონით დადგენილი პირებისათვის წარსადგენად საფინანსო ანგარიშების მომზადებასა და მათი უტყუარობის დამოწმებას;
3. საგადასახადო დეკლარაციების მომზადებას, დაბეგვრის პრობლემებზე კონსულტაციებსა და საგადასახადო კომისიის წინაშე სადავო საკითხების დაყენებას;
4. საშემოსავლო და საბიუჯეტო პროგნოზებთან დაკავშირებული ანგარიშებისა და მოხსენებების მომზადებას;
5. გაყალბებაზე, გადახდისუუნარობასა და გაკოტრებაზე ფინანსურ გამოძიებებს;
6. ბუღალტრული წიგნისა და ანგარიშგების შემოწმებას;
7. პროდუქტიულობის, პარტნიორების, გაყიდვების, ახალი პროდუქტების წარმოების გაზრდის ფინანსურ ეფექტებთან დაკავშრებით შესაბამისი კვლევის ჩატარებასა და რეკომენდაციების მომზადებას;
8. პროდუქტებისა და მომსახურებების ერთეული ფასის დასადგენად სპეციალური შეფასების სისტემების დანერგვასა და კონტროლს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბუღალტერი;
- მთავარი ბუღალტერი;
- ბუღალტერ-ოპერატორი;
- აუდიტორი;
- სერტიფიცირებული ბუღალტერი;
- სერტიფიცირებული აუდიტორი;
- ფინანსური კონტროლიორი;
- გადახდისუუნარობის რწმუნებული;
- მმართველი მოლარე;
- გადასახადების მოლარე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფინანსური მენეჯერები – 1211;
- ბუღალტრი დამხმარეები – 3313;
- ბუღალტერ-ოპერატორი – 3313.

<u>2412 ჯგუფური ერთეული</u>
ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები

ფინანსური და საინვესტიციო მრჩეველები ფიზიკური და ინდივიდუალური პირებისათვის ადგენენ ფინანსურ გეგმებს, აგრეთვე, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ თანხების ინვესტირებასა და მენეჯმენტს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კლიენტთა ბაზის შედგენასა და წარმოებას;
2. ფინანსური გეგმისა და ინვესტიციის სტრატეგიების განსახორციელებლადსაჭირო ფინანსური სტატუსისა და მიზნების დასადგენად, აგრეთვე, რისკებისადმი მათი დამოკიდებულებისა და სხვა ინფორმაციის მოსაპოვებლად კლიენტების გამოკითხვას;
3. ფინანსური მიზნების დასახვას, სტრატეგიების განვითარებასა და შესრულებას;
4. კლიენტებისთვის აქციებისა და ობლიგაციების ყიდვას;
5. ბაზრის შეცვლილ მოთხოვნებთან და საჭიროებებთან შესაბამისობაში ინვესტიციების ბრუნვის შემოწმებას, გეგმების გადახედვასა და შესწორებას;
6. კლიენტებისთვის დაზღვევის შეთავაზებასა და გარანტირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- უძრავი ქონების აგენტი;
- ფინანსისტი;
- საინვესტიციო მრჩეველი.

2413 ჯგუფური ერთეული
ფინანსური ანალიტიკოსები

ფინანსური ანალიტიკოსები აანალიზებენ საჯარო ან კერძო სექტორის საინვესტიციო პროგრამების რაოდენობრივ ინფორმაციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინვესტიციის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მისაღებად ბიზნესზე, ინდუსტრიისა და ეკონომიკური მდგომარეობზე ფინანსური ინფორმაციის ანალიზს.
2. ინდუსტრიულ ტექნოლოგიაში, ბიზნესში, ფინანსებისა და ეკონომიკის თეორიაზე ინფორმაციის ქონასა და თანამედროვე ცვლილებებზე ინფორმირებულობას;
3. საინვესტიციო პროგრამებზე გამვლენი მონაცემების (მაგ.: ფასის, სარგებლის, სტაბილურობის, სამომავლო პროგნოზების), საინვესტიციო რისკებისა და ეკონომიკური ზეგავლენების ანალიზს;
4. ფინანსური პუბლიკაციებიდან და სერვისებიდან, საინვესტიციო ფირმებიდან, სამთავრობო სააგენტოებიდან, სავაჭრო გამოცემებიდან, კომპანიის წყაროებითა და პირადი საუბრებიდან ეკონომიკურ, ინდუსტრიულ და კორპორაციული მოვლენებზე მიღებული ინფორმაციის ანალიზს;
5. კოპანიებისათვის, საინვესტიციო ფირმების პერსონალისა ან საზოგადოებისთვის ინვესტიციების განხორციელებასა და განხორციელების დროზე რეკომენდაციების მიცემას;
6. ფასიანი ქაღალდების ფასის დადგენასა და საზოგადოებისათვის შეთავაზებას;
7. ფინანსური ანალიზის საფუძვლად საინვესტიციო გეგმების შემუშავებას;
8. მოცემულ ინდუსტრიაში მონათესავე ფასიანი ქაღალდების შედარებასა და შეფასებას;
9. ძირითადი ეკონომიკურ მიმართულებებზე, ინდივიდუალურ კორპორაციებსა და ინდუსტრიებზე ზეპირი და წერილობითი ანგარიშების წარმოებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ობლიგაციების ანალიტიკოსი;
- საინვესტიციო ანალიტიკოსი;
- ფასიანი ქაღალდების კონსულტანტი;

242 მცირე ჯგუფი
ადმინისტრატრირების პროფესიონალები

ადმინისტრატრირების პროფესიონალები ორგანიზაციისა და თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად ნერგავენ სხვადასხვა კონცეფციასა და თეორიას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ორგანიზციის სტრუქტურის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესებების შეთავაზებას; ორგანიზციის საქმიანობის მიზნებსა და პოლიტიკის მიმართულებასთან თანთანხვედრის უზრუნველყოფას; ორგანიზაციაში პერსონალოს აყვანას, კვალიფიკაციის ამაღლებას, განვითარებასა და კონსულტაციას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

2421 მართვისა და ორგანიზების ანალიტიკოსები

2422 პოლიტიკის ადმინისტრირების პროფესიონალები;

2423 პერსონალისა და კარიერული განვითარების პროფესიონალები;

2424 სწავლებისა და თანამშრომელთა განვითარების პროფესიონალები.

2421 ჯგუფური ერთეული
მართვისა და ორგანიზების ანალიტიკოსები

მართვისა და ორგანიზების ანალიტიკოსები ეფექტურობის გაზრდისა და საორგანზიციო პრობელმების გადაწყვეტაში ეხმარებიან ორგანიზაციებს. ისინი სწავლობენ ორგანზიციის სტრუქტურას, მეთოდებს, სისტემებსა და პროცედურებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომხმარებელთა დასაკმაყოფილებლად და ორგანიზაციის რესურსების ეფექტურად გამოსაყენებლად, სტრატეგებისა და გეგმების განვითარებაში დახმარებას;
2. არსებული სისტემების ანალიზსა და შეფასებას;
3. პერსონალთან ერთად არსებული სისტემის განხილვასა და ორგანიზაციის ყველა დონეზე მასზე დაკვირვებას;
4. კლიენტებისათვის ეფექტური ორგანიზების სისტემის შეთავაზებასა და ორგანზიაციული პრობლემების გადაწყვეტას;
5. არსებული და შეთავაზებული მეთოდებისა და პროცედურების (მაგ.: ადმინისტრაციული და სამოხელეო პროცედურების) ანალიზით შესრულებული სამუშაოების შესრულების ეფექტურობის შემწომებას;
6. ორგანიზაციის შრომითი დატირთვის ცხრილების, ჩანაწერების, ანგარიშების, სახელმძღვაბელოებისა და სამუშაოთა აღწერილობის ჩაწერასა და ანალიზს;
7. მუშაობის მეთოდებისა და პროცედურების გადასახედად, სამუშაოს დატვირთვის, ფუნქციებისა და ორგანიზაციული პრობლემების გადასაწყვეტად, რეკომენდაციების მომზადებასა და შეთავაზებას;

8. მიღებული რეკომენდაციების შესრულებაში დახმარებას, გადახედილი ინსტრუქციებისა და პროცედურული სახელმძღვანელოების გამოცემასა და სხვა დოკუმენტაციის შედგენას;
9. ოპერაციული პროცედურების გადახედვას, აგრეთვე, პროცედურებისა და სტანდარტების დახვეწაზე რჩევის მიცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბიზნეს-კონსულტანტები;
- მენეჯმენტის სპეციალისტები;
- ორგანიზებისა და მეთოდების სპეციალისტები.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- ბიზნეს-ანალიტიკოსი (საინფორმაციო სისტემების ანალიტიკოსი) – 2511.

2422 ჯგუფური ერთეული
პოლიტიკის ადმინისტრირების პროფესიონალები

პოლიტიკის ადმინისტრირების პროფესიონალები ავითარებენ და აანალიზებენ მთავრობასა და სხვა კომერციულ ოპერაციებსა და პროგრამებაში გამოსაყენებელ პოლიტიკის მიმართულებების სახელმძღვანელოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პოლიტიკის საჭიროებების დასადგინად პროგრამის ადმინისტრატორებთან, აგრეთვე, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებასა და კონსულტაციას;
2. არსებული შეუსაბამობებისა და არარელევანტური დებულებების აღმოსაჩენად არსებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის გადახედვას;
3. სოციალური, ეკონომიკური და ინდუსტრიული მიმართულებების კვლევას, აგრეთვე, პროგრამებისა და მისაწოდებელი მომსახურებისადმი კლიენტების მოლოდინის განსაზღვრას;
4. პოლიტიკის მიმართულებების ფორმულირებასა და ანალიზს, აგრეთვე, პოლიტიკის ცვლილებებზე მოკლე მიმოხილვისა და რეკომენდაციების მომზადებას;
5. სხვა პროგრამებისა და პოლიტიკური და ადმინისტრაციული მდგრდობის გათვალისწინებით ზეგავლენებისა და ფინანსური მდგომარეობების შეფასებას;
6. რისკებისა და საფრთხეების შეფასებასა და საპასუხო მოქმედებების დაგეგმვას;
7. ორგანზიაციის პოლიტიკის მიმართუელებებთან შესაბამისობის დასადგენად არსებული ოპერაციებისა და პროგრამების გადახედვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დაზვერვის ოფიცერი;
- პოლიტიკის ანალიტიკოსი;

- პოლიტიკური მრჩეველი.

2423 ჯგუფური ერთეული
პერსონალის და კარიერული მართვის პროფესიონალები

პერსონალისა და კარიერული მართვის პროფესიონალების საქმიანობა მოიცავს პერსონალისადმი გასატარებელი პოლიტიკის განსაზღვრას, პერსონალის აყვანას, აგრეთვე, პროფესიული განვითარებისა და მათი საქმიანობის ანალიზის მიმართულებით მუშაობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პერსონალის აყვანასა და დახმარებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, წახალისებას, კომპენსაციას, პერსონალის მართვასა და პერსონალთან გასატარებელი პოლიტიკის სხვა მიმართულებებით საქმიანობას;
2. პერსონალთან გასაუბრებით, მათი ზედამხედველობითა და მართვით ორგანიზაციაში შესრულებული სამუშაოების შესწავლასა და ანალიზს, აგრეთვე, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე პოზიციის, პროფესიისა და საქმიანობის დეტალურ აღწერას;
3. საქმიანობაზე ან საქმიანობის კლასიფიკაციაზე ინფორმაციის მომზადებას;
4. პერსონალის ადმინსიტრირების, სამუშაო ძალის ძებნისა და დაგეგმვის, ტრენინგის, პროფესიული მიმართულებების მიცემის კუთხით საქმიანობის წარმართვასა და შესაბამისი რჩევების მიცემას;
5. კარიერული არჩევანით, სასურველი განათლებითა და ტრენინგებით ინდივიდების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კარიერის მრჩეველები;
- ადამიანური რესურსების ექსპერტი;
- პროფესიული საქმიანობის ანალიტიკოსი;
- დათხოვნილი თანამშრომლებისათვის სხვა სამსახურის შოვნის ექსპერტი;
- პერსონალის შერჩევის სპეციალისტი;
- რეკრუტინგის სპეციალისტი;
- პეროფესიული განვითარების სპეციალისტი.

2424 ჯგუფური ერთეული
სწავლებისა და თანამშრომელთა განვითარების პროფესიონალები

სწავლებისა და თანამშრომელთა განვითარების პროფესიონალები გეგმავენ, ავითარებენ, ახორციელებენ და აფასებენ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ და განსავითარებელ, ორგანიზაციული მიზნებისთვის მნიშვნელოვან პროგრამებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინდივიდებისა და ორგანიზაციისთვის საჭირო ტრენიგნებისა და მოთხოვნლებების დადგენას;
2. ადამიანური რესურსების განვითარების მიზნების განსაზღვრასა და სწავლების შედეგების შეფასებას;
3. ტრენინგის ინსტრუქციების მომზადებას, აგრეთვე, ჰენდბუქებით, ვიზუალური მასალებით, ონალინ გაკვეთილებით, მოდელების ჩვენებითა და სხვა დოკუმენტაციით დახმარებას;
4. ინდივიდებისა ან ორგანიზაციისათვის ტრენიგნებისა და განვითარების პროგრამების შედგენას, მართვას, დაგეგმვასა და ჩატარებას;
5. ვორკშოპების, შეხვედრების, საჩვენებელი შეხვედრებისა და კონფერენციების მოწყობას;
6. განსხვავებული ტრენინგებისა და განვითარების პროგრამების ჩასატარებლად გარე მომწოდებლებთან დაკავშირებას;
7. შიდა და გარე ტრენინგისა და განვითარების პროგრამების ხელშეწყობასა და აღნიშნული საქმიანობების შეფასებას;
8. ტრენინგის მიზნების, მეთოდებისა და შინაარსის შესაბამისი ცვლილებებისთვის შიდა და გარე ტრენინგების ეფექტურობისა და ხარისხის შეფასებას;
9. სხვადასხვა საკითხებსა და სისტემებზე ინფორმაციის შესაგროვებლად დამატებითი მასალების შეგროვებას, მოძიებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პერსონალის განვითარების სპეციალისტი;
- ტრენერი;
- სამუშაო ძალის განვითარების სპეციალისტი.

243 მცირე ჯგუფი
გაყიდვების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების პროფესიონალები

გაყიდვების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალები გეგმვენ, ავითარებენ, მართავენ და ავრცელებენ ორგანიზაციის, პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას; აგრეთვე, ტექნიკური, ინდუსტრიული, სამედიცინო, ფარმაცევტული, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) პროდუქტისა და მომსახურების გაყიდვის დროს წარმოადგენენ კომპანიებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბაზრის კვლევასა და შედეგების ანალიზს, აგრეთვე, რეკლამებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობების დაგეგმვას; სარეკლამო საქმიანობის, პოლიტიკისა და პროგრამის დაგეგმვა-განხორციელებით ბიზნესის ზრდის ხელშეწყობას; საზოგადოებრივი კამპანიების დაგეგმვასა და ორგანიზებას; საზოგადოებისათვის მოსაწონი პროდუქტის შესაქმნელად სცენარისტების, ფოტოგრაფების, ილუსტრატორებისა და სხვების მიერ შექმნილი პროდუქტების შეფასებასა და შერჩევას; მოწინააღმდეგეთა პროდუქტებსა და მომსახურებაზე, აგრეთვე, პერსონალსა და ბაზრის მოთხოვნებზე ინფორმაციის მოძიებას; მომხმარებელთა საჭიროებების დადგენასა და

მათთვის შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებას; საქმიანი ურთიერთობის დასადგენად და დასამყარებლად პოტენციური ან რეგულარული კლიენტების სტუმრობას; ფასებისა და განვადებების პირობების დადგენას, აგრეთვე, კონტრაქტების დადების ორგანიზებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

2431 რეკლამისა და მარკეტინგის პროფესიონალები;
2432 საზოგადოებასთან ურთიერთობების პროფესიონალები;
2433 ტექნიკური და სამედიცინო გაყიდვების ტექნოლოგიების პროფესიონალები (გარდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა – ICT);
2434 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გაყიდვების პროფესიონალები.

2431 ჯგუფური ერთეული
რეკლამისა და მარკეტინგის პროფესიონალები

რეკლამისა და მარკეტინგის პროფესიონალები ნერგავენ მარკეტინგის სტრატეგიებსა და კამპანიების, ახალი პროდუქტებისა და მომსახურებისთვის ადგენენ ბაზარს, აგრეთვე, ახალი და არსებული პროდუქტებისა და სერვისებისათვის ავლენენ და ადგენენ ბაზრის შესაძლებლობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გაყიდვის მიზნებიდან გამომდინარე რეკლამირების პოლიტიკისა და კამპანიების დაგეგმვას, განვითარებასა და ორგანიზებას;
2. რეკლამებისა და სატელევიზიო ტექსტების დაწერას, აგრეთვე, მედიაში, ტელევიზიასა და ფილმებში პროდუქციის რეკლამის განთავსებას;
3. მომხამარებელთა მახასიათებლებსა და ინტერესებზე ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს;
4. არსებული და სამომავლო მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებას;
5. ახალი პროდუქტებისა და სერვისების დასამატებლად პოტენციური და ბაზრის მოთხოვნების კვლევას;
6. მარკეტინგის მიზნების, პოლიტიკისა და პროგრამების გატარებით ბიზნესის ზრდისა და განვითარების ხელშეწყობას;
7. ახალი და არსებული პროდუქტებისა და მომსახურებების შესაძლებლოებების შესაფასებლად ბაზრის კვლევას და შეფასებას;
8. მარკეტინგის სხვადასხვა საშუალებზე (მაგ.: სხვადახვა პროდუქტის შერევაზე, ფასებზე, რეკლმირებსა და ფასდაკლებებზე) რჩევების გაცემას, აგრეთვე, გაყიდვებისა და დანაწილების გზების დახვეწას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- რეკლამების სპეციალისტი;
- მარკეტინგის სპეციალისტი;

- ბაზრის კვლევის ანალიტიკოსი.

2432 ჯგუფური ერთეული
საზოგადოებასთან ურთიერთობების პროფესიონალები

საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალები ავრცელებენ ინფორმაციას და გეგმვენ, ნერგავენ, ავითარებენ და აფასებენ ბიზნესისა და ორგანიზაციის, მისი პროდუქტების, მომსახურებისა და საზოგადოებაში მისი როლის გასავრცელებელ კომუნკაციურ სტრატეგიებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საზოგადოებრივი კამპანიებისა და კომუნიკაციის სტრატეგიების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
2. საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ხელმძღვანელობისათვის რჩევების მიცემას, აგრეთვე, ორგანიზაციის პოლიტიკაზე, პროგრამებსა და პრაქტიკაზე ინფორმაციის გასავრცელებლად ახალი ამბებისა და პრესრელიზების მომზადების კონტროლს;
3. საზოგადოებრივი აზრის კვლევას და შედეგების ანალიზს, აგრეთვე, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მხარდამჭერი კამპანიების დაგეგმვას;
4. ორგანიზაციისა საჯაროობისა და მისდამი პოზიტიურ დამოკიდებულების ხელშესაწყობად სპეციალური, გასართობი და სოციალური ღონისძიებების, სემინარებისა და შეჯიბრებების დაგეგმვას;
5. ორგანიზაციის წარმომადგენლობასა და მედიაში ინტერვიუების მიცემას;
6. საზოგადოებაში ორგანიზაციის ცნობადობის გასაზრდელად სოციალურ აქტივობებსა და სხვა საქმიანობებზე დასწრებას;
7. ფოტოებისა და სხვა ილუსტრაციების გადაღებასა და შეგროვებას;
8. ორგანიზაციის საჯაროობის მოსაპოვებლად სცენარების, ფოტოგრაფების, ილუსტრატორებისა და სხვათა მიერ შედგენილი პროდუქციის შეგროვებას, შეფასებასა და გადახედვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პრესასთან ურთიერთობის სპეციალისტი;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის სპეციალისტი;
- საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტი.

2433 ჯგუფური ერთეული
ტექნიკური და სამედიცინო გაყიდვების პროფესიონალი (გარდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა – ICT)

ტექნიკური და სამედიცინო გაყიდვების პროფესიონალები (გარდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა – ICT) ინდუსტრიულ, ბიზნეს, პროფესიულ და სხვა

დაწესებულებებში გასაყიდად წარმოადგენენ ინდუსტრიული, სამედიცინო, ფარმაცეტული პროდუქტებისა და მომსახურების კომპანიებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა საძიებო სისტემების დახმარებით პოტენციური კლიენტების სიის შედგენას;
2. დასაქმებული პერსონალის, აგრეთვე, კონკურენტებისა და ბაზრის მოთხოვნებზე ინფორმაციის ქონასა და განახლებას;
3. შედგომი თანამშრომლობის გასამყარებლად პოტენციული ბიზნესკლიენტების რეგულარულ ვიზიტს;
4. კლიენტების საჭიროებებისა და რესურსების შეფასებასა და შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებას;
5. კლიენტის საჭიროებების შესაბამისად პროდუქციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას;
6. შეტყობინებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, აგრეთვე, პროდუქტებისა და მომსახურებების უპირატესობების გასაანალიზებლად გაყიდვებზე პრეზენტაციების მომზადებას;
7. მოწყობილობების დამონტაჟების, მომსახურებებისა და მუშაობის ხარჯების შეფასებას;
8. მომხმარებელთა საჭიროებების, ცვლილებებისა და კონკურენტების საქმიანობის მეთვალყურეობასა და აღნიშნული ინფორმაციის გაყიდვების მენეჯმენტისთვის შეტყობინებას;
9. ფასებისა და განვადებების კონტროლს, აგრეთე, მოლაპარაკებების წარმოებას, ფასდაკლების კონტრაქტების მომზადებასა და ადმინსიტრირებას;
10. პროდუქტების გადატანის, მოწყობილობების დამონტაჟებისა და მომსახურებების ორგანიზებას;
11. ფასდაკლებებზე, პროდუქტებისა და მომსახურებების რეკლამირებაზე ხელმძღვანელობის ინფორმირებას;
12. გაყიდვების შემდეგ მყიდველების კმაყოფილებისა და პრობლემებზე რეაგირებისთვის კლიენტებთან კონსულტაციას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გაყიდვების წარომადგენელი (ინდუსტრიული პროდუქტები);
- გაყიდვების წარმომადგენელი (სამედიცინო და ფარმაცევტული პროდუქტები);
- ტექნიკური გაყიდვების წარმომადგენელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- გაყიდვების სპეციალისტები (კომუნიკაციების ტექნოლოგიების) – 2434;
- გაყიდვების სპეციალისტები (კომპიუტერები) – 2434;
- კომერციული გაყიდვების აგენტები – 3322.

2434 ჯგუფური ერთეული
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გაყიდვების პროფესიონალები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გაყიდვების პროფესიონალები საბითუმო ფასად ყიდიან კომპიუტერულ მოწყობილობებს, პროგრამებს, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებსა და მომსამხურებებს, აგრეთვე, ამონტაჟებენ მათ და საჭიროებისამებრ მომხმარებლებს აწვდიან ინფორმაციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფიზიკური მომხმარებლებისგან, ინდუსტრიული და სხვა დაწესებულებებისგან შეკვეთების მიღებასა და მათთვის ბითუმად ან საცალოდ პროდუქციის მიყიდვას;
2. ბიზნეს გაერთიანებებისა და ფიზიკური პირებისთვის ტექნიკური მოწყობილობების, მარაგებისა და სხვა მომსახურებების მიყიდვას;
3. ახალი და არსებული მომხარებელების საჭიროებების განხილვას, აგრეთვე, კონკრეტული მოწყობილობზე, მარაგსა თუ სერვისებზე მათთვის სპეციალიზებული ინფორმაციის მიწოდებას;
4. ფასებისა და განვადებების პირობების დადგენას, კონტრაქტების შევსებასა და ოქმების გაკეთებას;
5. მომხამრებელთა ჩანაწერებისა და გაყიდვების ინფორმაციის წარმოებას;
6. პროდუქტების გადატანას, მოწყობილობის დამონტაჟებასა და მომსახურებას;
7. მომხმარებელთა შეფასებებისა და მოთხოვნების ტექნიკურ მხარდაჭერას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გაყიდვების წარმომადგენელი (საკომუნიკაციო ტექნოლოგიები);
- გაყიდვების წარმომადგენელი (კომპიუტერები).

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- მაღაზიის გამყიდველ-კონსულტანტები – 5223.

25 ქვეჯგუფი
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიონალები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიონალები იკვლევენ, აგრეთვე, გეგმავენ, შეიმუშავებენ, იწერენ, ცდიან, ურჩევენ და ავითარებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებს, აღჭურვილობას, კომპიუტერულ პროგრამებსა და მათთან დაკავშირებულ კონცეფციებს; ავითარებენ გაერთიანებულ დოკუმენტებს, აგრეთვე, პრინციპებს, პოლიტიკასა და პროცედურებს; ოპტიმალური ეფექტურობისთვის, მონაცემთა ერთიანობისა და უსაფრთხოებისთვის ქმნიან, ავითარებენ, აკონტროლებენ, უვლიან და მხარს უჭერენ მონაცემთა ბაზასა და სხვა საინფორმაციო სისტემებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების კვლევას; განსავითარებელი სფეროების გამოვლენასა და კომპიუტერების გამოყენების თეორიული ასპექტებისა და ოპერაციული მეთოდების კვლევას; კონკრეტული აპლიკაციებისთვის აპარატურის ან კომპიუტერული პროგრამების კონფიგურაციების შეფასებას, დაგეგმვასა და შემუშავებას, ინტერნეტის, ინტრანეტისა და მულტიმედიის სისტემების ჩათვლით; კომპიუტერული პროგრამების შემუშავებას, დაწერას, ტესტირებასა და შენარჩუნებას; მონაცემთა ბაზის არქიტექტურისა და მართვის სისტემების შექმნასა და განვითარებას; უსაფრთხოების გეგმებისა და მონაცემთა ადმინისტრირების პოლიტიკის განვითარებასა და დანერგვას, აგრეთვე, კომპიუტერული ქსელებისა და მასთან დაკავშირებული გარემოს ადმინისტრირებას; კომპლექსური სისტემის დიზაინისა და არქიტექტურის მახასიათებლების, მონაცემთა მოდელებისა და დიაგრამების ანალიზს, განვითარებას, ინტერპრეტაციასა და შეფასებას, აგრეთვე, კომპიუტერული სისტემების განვითარებას, კონფიგურაციასა და შერწყმას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

251 პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები;

252 მონაცემთა ბაზისა და ქსელის განვითარების პროფესიონალები.

251 მცირე ჯგუფი
პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები

პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები კონკრეტული მოთხოვნების შესასრულებლად იკვლევენ, გეგმავენ, შეიმუშავებენ, იწერენ, ცდიან, ურჩევენ და ავითარებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებს: აპარატულ აღჭურვილობას, კომპიუტერულ პროგრამებსა და სხვა აპლიკაციებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების კვლევასა და განსავითარებელი სფეროების

გამოვლენას; კომპიუტერების გამოყენების თეორიული ასპექტებისა და ოპერაციული მეთოდების კვლევას; კონკრეტული აპლიკაციებისთვის აპარატურის ან კომპიუტერული პროგრამების კონფიგურაციების შეფასებას, დაგეგმვასა და შემუშავებას; კონკრეტული მოთხოვნებისთვის კომპიუტერული პროგრამების შემუშავებას, დაწერას, ტესტირებასა და შენარჩუნებას; ინტერნეტის, ინტრანეტისა და მულტიმედიური სისტემების შეფასებას, დაგეგმვასა და შექმნას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

2511 სისტემების ანალიტიკოსები;

2512 პროგრამისტი;

2513 ინტერნეტ ქსელისა და მულტიმედიის სპეციალისტი;

2514 აპლიკაციების პროგრამისტი;

2519 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები.

2511 ჯგუფური ერთეული
სისტემების ანალიტიკოსები

სისტემების ანალიტიკოსები არსებული ან მომავალი ინფორმაციული სისტემების გასაუმჯობესებლად იკვლევენ, აანალიზებენ და აფასებენ კლიენტის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ მოთხოვნებს, პროცედურებსა თუ პრობლემებს, ავითარებენ და ასრულებენ შემოთავაზებებს, რეკომენდაციებსა და გეგმებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სისტემების პრინციპების შესათანხმებლად, დოკუმენტის მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად და სამართავად მომხმარებლებთან კონსულტაციების გამართვას;
2. ბიზნესპროცესების, პროცედურებისა და სამუშაო პრაქტიკის გამოვლენასა და ანალიზს;
3. ხარვეზების გამოვლენასა და შეფასებას, აგრეთვე, ოპტიმალური ბიზნესპრაქტიკებისა და სისტემის ფუნქციონირებისა და ქცევის შესახებ რეკომენდაციების გაცემას;
4. პრობლემის ფუნქციონალური გადაწყვეტის (მაგ.: სისტემური ტესტების გეგმების შექმნის, მიღებისა და განხორციელების) პასუხისმგებლობის აღებას;
5. სისტემების განვითარების სპეციალისტებისთვის ფუნქციონალური მახასიათებლების განვითარებას;
6. სამუშაო ნაკადის გასაუმჯობესებლად ან ახალი მიზნებისთვი სისტემების გაფართოებასა ან მოდიფიცირებას;
7. ორგანიზაციის ფარგლებში კომპიუტერული სისტემების მართვასა და თავსებადობის გასაზრდელად ერთმანეთთან დაკავშირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბიზნესანალიტიკოსი (საინფორმაციო ტექნოლოგიები);
- საინფორმაციო სისტემების ანალიტიკოსი;
- სისტემების კონსულტანტი;
- სისტემების დიზაინერი (საინფორმაციო ტექნოლოგიები).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- სისტემების ადმინისტრატორი (კომპიუტერები) – 2522;
- კომუნიკაციების ანალიტიკოსი (კომპიუტერები) – 2523;
- ქსელის ანალიტიკოსი – 2523;

2512 ჯგუფური ერთეული
პროგრამისტი

პროგრამისტი იკვლევს, აანალიზებს და აფასებს არსებული ან ახალი პროგრამული აპლიკაციებისა და საოპერაციო სისტემების მოთხოვნებს, აგრეთვე, მოთხოვნების შესასრულებლად ავითარებს, ცდის და ინარჩუნებს კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. კომპიუტერული პროგრამული აპლიკაციებისა და ოპერატიული სისტემების მოთხოვნების კვლევას, ანალიზსა და შეფასებას;
2. პროგრამული სისტემების კვლევას, შემუშავებასა და განვითარებას;
3. აპარატული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული სისტემების დიზაინის შესაფასებლად ინჟინრებთან კონსულტაციების გამართვას;
4. კომპიუტერული პროგრამების ტესტირებისა და ამოქმედების პროცედურების განვითარებასა და წარმართვას;
5. ახალ აპარატულ სისტემასთან ადაპტაციისთვის ან დიზაინის განსაახლებლად და მუშაობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე, შეცდომების გასასწორებლად არსებული კომპიუტერული პროგრამის მოდიფიცირებას;
6. კომპიუტერული პროგრამების მართვასა და დოკუმენტაციის განვითარებას;
7. ოპერაციული სისტემების, საკომუნიკაციო გარემოსა და კომპიუტერული პროგრამების გამოსაყენებლად მოვლა-შენახვის პროცედურების შეფასებას, განვითარებას, განახლებასა და დოკუმენტირებას.
8. პროგრამული სისტემის ტექნიკურ მომსახურებაზე კლიენტებისთვის რჩევების მიცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- პროგრამების ანალიტიკოსი;
- პროგრამისტი;
- კომპიუტერული პროგრამების განმავითარებელი;
- ინჟინერ-პროგრამისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- აპლიკაციების პროგრამისტი – 2514.

2513 ჯგუფური ერთეული
ინტერნეტ ქსელისა და მულტიმედიის სპეციალისტი

ინტერნეტ ქსელისა და მულტიმედიის სპეციალისტები ტექსტის, გრაფიკის, ანიმაციის, ფოტოების, აუდიო-ვიდეო გამოსახულებებისა და სხვა ინტერაქციული მედიასაშუალებების გამაერთიანებელი ვებგვერდებისა და აპლიკაციების საკვლევად, გასაანალიზებლად, შესაფასებლად, შესაქმნელად, დასაპროგრამებლად და შესაცვლელად ერთიანებენ დიზაინსა და ტექნიკურ ცოდნას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხელოვნებისა და შემოქმედებითი ელემენტების გამოყენებით, აგრეთვე, სამუშაო გარემოსთან ერთად, პროგრამირების ენასთან და ინტერფეისთან მიმართებაში ვებგვერდების ანალიზს, დიზაინის შემუშავებასა და განვითარებას;
2. მულტიმედიური პროგრამების, საშუალებებისა და ხელსაწყოების, ინტერაქციული გრაფიკისა და პროგრამირების ენის გამოყენებით ციფრული ანიმაციების, ფოტოების, პრეზენტაციების, თამაშების, აუდიო და ვიდეო კლიპებისა და ვებაპლიკაციების შექმნასა და განვითარებას;
3. ქსელთან დაკავშირებულ (მაგ.: უსაფრთხოების და ვებგვერდებზე სტუმრობის, ინტერნეტისა და ვებსერვერის უსაფრთოხების, სივრცის გამოყოფის, მომხმარებელთა შესვლის, ბიზნეს განგრძობადობის, ვებგვერდის მონაცემთა შენახვისა და ავარიული მდგომარეობის აღდგენის დაგეგმვის კონტროლისა და ამოქმედების) საკითებზე ქსელის სპეციალისტებთან კომუნიკაციას;
4. ვებგვერდების შესაქმნელად, შესანარჩუნებლად და მხარდასაჭერად კომპიუტერული კოდის შექმნას, განვითარებასა და სხვა სპეციალიზებულ პროგრამებში (მაგ.: ფოტოფაილებში, აუდიოფაილებში და პროგრამულ ენებში) ინტეგრაციას;
5. ინტერნეტ სტრატეგიების, ვებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიისა და განვითარების გეგმების ანალიზს, დაკონკრეტებასა და განვითარებაში დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ანიმატორი;
- კომპიუტერული თამაშების სპეციალისტი;
- ინტერნეტდეველოპერი;
- მულტიმედიური პროგრამირების სპეციალისტი;
- ვებდიზაინერი;
- ვებდეველოპერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ვებდიზაინერი – 2166;
- ვებმასტერი – 3514;

- ვებადმინისტრატორი – 3514;
- ვებტექნიკოსი – 3514.

2514 ჯგუფური ერთეული
აპლიკაციების პროგრამისტი

აპლიკაციების პროგრამისტი ვებაპლიკაციებისა და ოპერატიული სისტემების ტექნიკურ ინსტრუქციებში იწერს და ინახავს პროგრამულ კოდს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხარისხისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად ინსტრუქციებსა და მახასიათებლებში მოცემული პროგრამული კოდის გადმოწერასა და შენახვას;
2. ოპერაციული ეფექტურობის დასახვეწად ან ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის არსებული პროგრამების გადახედვას, გაუმჯობესებასა ან გაფართოებას;
3. სასურველი ინფორმაციის დასადასტურებლად საცდელი პროგრამებისა და ვებაპლიკაციების გაშვებას;
4. პროგრამის განვითარების დოკუმენტაციის შეგროვებასა და გადმოწერას;
5. ტექნიკური პრობლემების, პროცესებისა და გადაჭრის გზების გამოვლენასა და კომუნიკაციას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- აპლიკაციების სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ვებანალიტიკოსი – 2512;
- ვებდეველოპერი – 2512;
- მულტიმედიის პროგრამირების სპეციალისტი – 2513.

2519 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები.

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს 251 მცირე ჯგუფის – პროგრამისტები, ვებდეველოპერები და ვებანალიტიკოსები – არცერთ კატეგორიას მიუკუთვნებელ პროგრამისტებს, ვებდეველოპერებსა და ვებანალიტიკოსებს. მაგ., ჯგუფი მოიცავს იმ პროფესიონალებს, რომლებიც სპეციალიზდებიან ხარისხის უზრუნველყოფაში, კომპიუტერული პროგრამების ტესტირების ჩათვლით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კომპიუტერული პროგრამების ტესტირების გეგმების განვითარებასა და დოკუმენტირებას;
2. კომპიუტერული პროგრამებისა დაყენებასა და ტესტირების პროცესში ოპერაციული სისტემის კომპიუტერული უზრუნველყოფის კონფიგურაციას;
3. მომხმარებელთა მოთხოვნებისა და დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად პროგრამების ფუნქციონირების გადამოწმებას;
4. კომპიუტერული პროგრამების ტესტების, ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის სისტემების ტესტების შედეგების აღსრულებას, ანალიზსა და დოკუმენტირებას;
5. კომპიუტერული პროგრამებისა და საინფორმაციო სისტემების ტესტირების პოლიტიკის, პროცედურებისა და სცენარების განვითარებასა და დანერგვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ხარისხის უზრუნველყოფის ანალიტიკოსი (კომპიუტერები);
- კომპიუტერული პროგრამების ტესტირების სპეციალისტი;
- კომპიუტერული სისტემების ტესტირების სპეციალისტი.

252 მცირე ჯგუფი
მონაცემთა ბაზისა და ქსელის განვითარების პროფესიონალები

მონაცემთა ბაზისა და ქსელის განვითარების პროფესიონალები ქმნიან, ავითარებენ, აკონტროლებენ, ინარჩუნებენ და ხელს უწყობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებისა და ინფრასტრუქტურის, აგრეთვე, მონაცემთა ბაზის, კომპიუტერული პროგრამებისა და უზრუნველყოფის, ქსელებისა და ოპერაციული სისტემების ოპტიმალურ მუშაობასა და უსაფრთხოებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მონაცემთა ბაზის არქიტექტურის, სტრუქტურის, ლექსიკონებისა და საინფორმაციო სისტემების პროექტების დასახელებების შექმნასა და განვითარებას; მონაცემთა ბაზის მართვის სისტემების შექმნას, კონსტრუქციას, მოდიფიცირებას, ინტეგრაციას, დანერგვასა და ტესტირებას; უსაფრთხოების გეგმების, მონაცემთა ადმინისტრაციის პოლიტიკის, დოკუმენტებისა და სტანდარტების განვითარება-განხორციელებას; კომპიუტერული ქსელებისა და მასთან დაკავშირებული გარემოს შენარჩუნებასა და ადმინისტრირებას; კომპიუტერული სისტემების განვითარების, კონფიგურაციისა და ინტეგრაციის პროცესში კომპლექსური სისტემური დიზაინისა და არქიტექტურული მახასიათებლების, მონაცემთა მოდელებისა და დიაგრამების ანალიზს, განვითარებას, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

2521 მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები;

2522 სისტემების ადმინისტრატორები;
2523 კომპიუტერული ქსელის პროფესიონალები;
2529 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მონაცემთა ბაზისა და ქსელის პროფესიონალები .

2521 ერთეული
მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები

მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები ქმნიან, ავითარებენ, აკონტროლებენ, ინარჩუნებენ და ხელს უწყობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებისა და ინფრასტრუქტურის მუშაობასა და უსაფრთხოებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საინფორმაციო სისტემების პროექტებისთვის მონაცემთა ბაზის, მონაცემთა სტრუქტურის, ცხრილების, ლექსიკონებისა და სახელწოდებების შექმნასა და განვითარებას;
2. მონაცემთა მართვის სისტემების შექმნას, კონსტრუქციას, მოდიფიცირებას, ინტეგრაციას, დანერგვასა და ტესტირებას;
3. კვლევის ჩატარებასა და მონაცემთა მართვის საშუალებების შერჩევაზე, გამოყენებასა და განხორციელებაზე რჩევების მიცემას;
4. მონაცემთა ადმინისტრირების პოლიტიკის, დოკუმენტაციის, სტანდარტებისა და მოდელების განვითარებასა და დანერგვას;
5. მონაცემთა ხელმისაწვდომობისა და გამოყენების, აგრეთვე, მონაცემთა შენახვისა და აღდგენისთვის პოლიტიკისა და პროცედურების განვითარებას;
6. მონაცემთა შენახვისა და აღდგენის პროცედურების შექმნასა და მათი პრევენციული მიზნით შენახვას, აგრეთვე, უსაფრთხოებისა და ინტეგრაციის კონტროლის ამოქმედებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მონაცემთა ადმინისტრატორი;
- მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი;
- მონაცემთა ბაზს ანალიტიკოსი;
- მონაცემთა ბაზის არქიტექტორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქსელის ადმინისტრატორი – 2522;
- კომპიუტერული სისტემების ადმინისტრატორი (კომპიუტერები) – 2522;
- ვებმასტერი – 3514;
- ვებადმინისტრატორი – 3514.

2522 ჯგუფური ერთეული
სისტემების ადმინისტრატორები

სისტემების ადმინისტრატორები ავითარებენ, აკონტროლებენ, ინახავენ და ხელს უწყობენ ინფორმაციული ტექნოლოგიის სისტემების ოპტიმალურ მუშაობასა და უსაფრთხოებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კომპიუტერული ქსელებისა და მასთან დაკავშირებული კომპიუტერული გარემოს შენარჩუნებასა და ადმინისტრირებას, აგრეთვე, პროგრამების, აპლიკაციებისა და კონფიგურაციების კომპიუტერულ უზრუნველყოფას;
2. სისტემებისა და ქსელის კონფიგურაციებსა და გაუმჯობესებაზე რეკომენდაციების გაცემას, აგრეთვე, აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით კომპიუტერული უზრუნველყოფისა თუ პროგრამების მოთხოვნაების განსაზღვრას;
3. კომპიუტერული უზრუნველყოფისა თუ პროგრამების პრობლემების დიაგნოსტირებას;
4. მონაცემთა შენახვასა და ავარიული მდგომარეობის აღდგენას;
5. კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ფუნქციონირების სამეთვალყურეოდ ძირითადი ბრჯენების გამოყენებას, აგრეთვე,კომპიუტერული ქსელის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების მართვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქსელის ადმინისტრატორი;
- კომპიუტერული სისტემების ადმინისტრატორი (კომპიუტერები).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი – 2521;
- ვებანალიტიკოსი – 2523;
- ვებმასტერი – 3514;
- ვებადმინისტრატორი – 3514;
- ვებტექნიკოსი – 3514.

2523 ჯგუფური ერთეული
კომპიუტერული ქსელის პროფესიონალები

კომპიუტერული ქსელის პროფესიონალები იკვლევენ, აანალიზებენ, ქმნიან, ცდიან და გასცემენ რეკომენდაციებს ქსელის არქიტექტურისა და განვითარების სტრატეგიებზე. ისინი ახორციელებენ, მართავენ, ინახავენ და ფორმას აძლევენ ქსელის კომპიუტერული ტექნიკასა და პროგრამებს, აგრეთვე, ოპტიმალურად მუშაობისთვის მეთვალყურეობენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კომპიუტერული სისტემების განვითარების, კონფიგურაციისა და ინტეგრაციის პროცესში კომპლექსური სისტემის დიზაინისა და არქიტექტურის მახასიათებლების,

მონაცემთა მოდელებისა და დიაგრამების ანალიზს, განვითარებას, ინტერპრეტაციასა და შეფასებას;

2. ქსელების ფორმულირებულობისა და ოპტიმალურად გამოყენებისთვის ინფრასტრუქტურის კვლევას, ანალიზს, შეფასებასა და მეთვალყურეობას;
3. ქსელის გამოყენების შეფასებასა და მათი გასაუმჯობესებელი რეკომენდაციების გაცემას, აგრეთვე, კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების, კომუნიკაციებისა და ოპერაციული სისტემების ინტეგრაციას;
4. ქსელის პრობლემებისა და ავარიული შემთხვევების დიაგნოსტირების პროცესში სპეციალური კვალიფიკაციის გამოვლენას;
5. ახალი და განახლებული ქსელების, კომპიუტერული პროგრამების, მონაცემთა ბაზის აპლიკაციების, სერვერებისა და სამუშაო სადგურების დამონტაჟებას, კონფიგურაციას, ტესტირებას, შენარჩუნებასა და ადმინისტრირებას;
6. ქსელის ინვენტარიზაციის პროცედურებისა და დოკუმენტების მომზადება-შენარჩუნებას, აგრეთვე, ქსელის ხარვეზების, მისი შენახვის ინსტრუქციების გაუმჯობესებისა და მოდიფიცირების გამოვლენის მონაცემების შენახვასა და აღნიშნული პრობლემების გადაჭრას;
7. შერწყმის გასაგრძელებლად და ოპტიმალურად გამოსაყენებლად ქსელის გადატვირთულობისა და მოქმედების, სიმძლავრისა და გამოყენების მეთვალყურეობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კომპიუტერული კომუნიკაციების ანალიტიკოსი;
- ვებანალიტიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ვებანალიტიკოსი – 2511;
- ვებადმინისტრატორი – 2522.

2529 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მონაცემთა ბაზისა და ქსელის პროფესიონალები

წინამდებარე ჯგუფი მოიცავს მონაცემთა ბაზისა და ქსელის პროფესიონალებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 252 მცირე ჯგუფის – მონაცემთა ბაზისა და ქსელის განვითარების სპეციალისტები – კატეგორიას. მაგ., ჯგუფი მოიცავს ინფორმაციული თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების სპეციალისტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სათადარიგო მონაცემების გადასამუშავებლად კომპიუტერულ ფაილების გაუთვალისწინებელი ან არაავტორიზებული მოდიფიკაციების, დესტრუქციისა თუ გამჟღავნების დასაცავი ზომების გატარებას;

2. სისტემის უსაფრთხოებისთვის, აგრეთვე, სერვერისა და ქსელის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად მომხმარებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლებას;
3. კომპიუტერულ მონაცემთა ხელმისაწვდომობის საჭიროებებზე, დარღვევები უსაფრთხოებასა და პროგრამირებაში ცვლილებების შეტანაზე მომხმარებლებთან ურთიერთობებას;
4. ვირუსებზე დაცვის სისტემების განსაახლებლად მეთვალყურეობას;
5. ახალი კომპიუტერული პროგრამების გასაერთიანებლად, შეცდომების გამოსასწორებლად თუ პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კომპიუტერის უსაფრთხოების ფაილების მოდიფიკაციაც;
6. მონაცემთა ფაილების გამოყენების მეთვალყურეობასა და კომპიუტერულ ფაილებში ინფორმაციის დაცვას;
7. უსაფრთხოების ზომების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფი რისკების შეფასებასა და მონაცემების გადასამუშავებელი ტესტების განხორციელებას;
8. გადასაცემი ციფრული მონაცემების დასაცავად დაშიფვრასა და კონფიდენციალურ ინფორმაციაზე კოდის დადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მონაცემთა ბაზის სპეციალისტი;
- ციფრული მონაცემების ექსპერტი;
- ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტი (ინფორმაციული და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიები).

26 ქვეჯგუფი
სამართლის, სოციალური და კულტურის პროფესიონალები

სამართლის, სოციალური და კულტურის პროფესიონალები ატარებენ კვლევებს; აუმჯობესებენ და ავითარებენ თეორიებს, ოპერატიული მეთოდებსა და კონცეფციებს; ან მოიძიებენ ონფორმაციას და იყენებენ სამართალს, არტეფაქტებს, ფსიქოლოგიას, სოციალურ კეთილდღეობას, პოლიტიკას, ეკონომიკას, ისტორიას, რელიგიას, ენებს, სოციოლოგიას და სხვა სოციალურ მეცნიერებებს და ხელოვნებას და რეკლამას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სამართლებრივი პრობლემების კვლევას; რეგულაციებისა და კანონების მომზადებას; სამართლებრივ საქმეებზე კლიენტებისთვის რჩევების მიცემას; სამართალწარმოების პროცესის მართვასა და ხელმძღვანელობას; გალერეასა და ბიბლიოთეკაში დაცული არქივის განვითარებასა და შენარჩუნებას; თეორიების, ოპერატიული მეთოდებისა და კონცეფციების გაუმჯობესებასა და განვითარებას; სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ცოდნის გამოყენებას; ლიტერატურული და არტისტული საქმიანობის განვითარებასა და შესრულებას; ფაქტების, იდეების, შეხედულებების, სიახლეების დაკავშირებასა და ინტერპრეტაციას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

261 სამართლის პროფესიონალები;
262 ბიბლიოთეკარები, არქივარიუსები და კურატორები;
263 სოციალური და რელიგიური სფეროს პროფესიონალები;
264 ავტორები (მწერლები), ჟურნალისტები და ლინგვისტები;
265 შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები.

261 მცირე ჯგუფი
სამართლის პროფესიონალები

სამართლის პროფესიონალები იკვლევენ სამართლებრივ პრობლემებს, სამართლებრივ საკითხებზე კლიენტებს აძლევენ რჩევებს, ხელმძღვანელობენ და აწარმოებენ სამართალებრივ და სისხლის სამართლებრივი დევნას, ამზადებენ რეგულაციებსა და კანონებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კლიენტებისთვის რჩევების მიცემას; კლიენტების ინტერესების დაცვასა და საჭიროების შემთვევაში სამართალწარმოების პროცესის განხორციელებას; სამართალწარმოების პროცესის ხელმძღვანელობასა და სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოცხადებას; შესაძლებელია სხვების ზედამხედველობაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2611 იურისტები;
2612 მოსამართლეები;
2619 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი სამართლის პროფესიონალები.

2611 ჯგუფური ერთეული
იურისტები

იურისტები სამართლებრივ საკითხებზე კლიენტებს აძლევენ რჩევებს, ამზადებენ სამართლებრივ დოკუმენტებს, ადმინისტრაციულ ორგანოებსა ან ტრიბუნალებში წარმოადგენენკლიენეტებს, სასამართლოებში იცავენ კლიენტის ინტერესებს, ახორციელებენ სისხლის სამართლებრივ დევნას, ან მაღალი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვასთან დაკავშირებით ადვოკატებს აძლევენ ინსტრუქციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა საკითხზე კლიენტებისთვის სამართლებრივი ხასიათის რჩევების მიცემასა და მათ ინტერესების დაცვას;
2. სპეციფიკურ საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პრეცედენტების, სტატუტებისა და სამართლებრივი პრინციპების კვლევას;
3. საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კლიენტებისა და მოწმეების გამოკითხვით, დაცვის მხარის არგუმენტების ფორმულირებისა ან სამართლებრივი მოქმედებებისთვის მტკიცებულებების შეგროვებას;
4. საქმეების საჩვენებლად სტრატეგიების, არგუმენტების მომზადებას, განვითარებას და დასკვნების შეფასებას;
5. ადმინისტრაციულ ორგანოებსა ან ტრიბუნალებში კლიენტის წარმომადგენლობას, სასამართლოებში კლიენტის ინტერესების დაცვას, სისხლის სამართლებრივ დევნას, ან ადვოკატებისთვის მაღალი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვასთან დაკავშირებით ინსტრუქციების მიცემას;
6. მაღალი ინსტანციის სასამართლო განხილვაში მონაწილეობას;
7. სახელმწიფო ბრალდების მხარდასაჭერად საპროკურორო საქმიანობის განხორციელებას;
8. სამართლებრივი ხასიათის დავების მოსაგვარებლად მოლაპარაკებებს;
9. არსებული კანონმდებლობის საფუძველზე კანონის შემუშავებასა და სახელმწიფო რეგულაციების მომზადებას;
10. ხელშეკრულებების, უძრავი ქონების ტრანზაქციების, განცხადებებთან დაკავშირებული სამართლებრივი მოსაზრებების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ადვოკატი;
- იურისტი;
- პროკურორი;
- იურიდიული მრჩეველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ნოტარიუსი – 2619;
- მოსამართლის მდივანი – 3411;
- სამართლის სპეციალისტები – 3411.

2612 ჯგუფური ერთეული
მოსამართლეები

მოსამართლეები სასამართლოში ხელმძღვანელობენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასამართლო სხდომების ხელმძღვანელობას;
2. პროცედურული წესების ინტერპრეტაციასა და აღსრულებას, აგრეთვე, მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას;
3. საქმეში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის შემთხვევაში მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრას;
4. ნაფიცი მსაჯულებისთვის საქმეში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ ინსტრუქციების მიცემას;
5. მტკიცებულებების შემოწმებასა და შეფასებას, აგრეთვე, ბრალდებულის უდანაშაულოდ ან დამნაშავედ ცნობაზე გადაწყვეტილების მიღებას;
6. მსჯავრდებულებისთვის სასჯელის შეფარდებას, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მიყენებული ზიანის ან სხვა სამართლებრივი ფაქტის განსაზღვრასა და შესაბამისი სასამართლო ბრძანებების გამოცემას;
7. სამართლებრივი საკითხებია კვლევას და შესაბამისი მოსაზრებების წერილობით ჩამოყალიბებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლე;
- მოსამართლე;
- მაგისტრი მოსამართლე.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- გამომძიებელი – 3411;
- მომრიგებელი მოსამართლე – 3411.

2619 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი სამართლის პროფესიონალები

მოცემული ჯგუფური ერთეული აერთიანებს 261 მცირე ჯგუფს – სამართლის პროფესიონალები – მიკუთვნებელ სამართლის პროფესიონალები. ეს ჯგუფი მოიცავს იმ

სამართლებრივი ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, რომლებიც არ მონაწილეობენ სასამართლო განხილვებში ან არ ხელმძღვანელობენ სამართალწარმოების პროცესს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ადმინისტრაციულ, სამეწარმეო, პირად საქმეებთან დაკავშირებით სამართლებრივი რჩევების მიცემას;
2. კონტრაქტებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას;
3. საკუთრების გადაცემის პროცესის ადმინისტრირებას;
4. პირის არაბუნებრივად გარდაცვალების მიზეზების გამოკვლევას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გამომძიებელი;
- იურისტი (გარდა მოსამართლისა და ადვოკატებისა);
- ნოტარიუსი.

262 მცირე ჯგუფი
ბიბლიოთეკარები, არქივარიუსები და კურატორები

ბიბლიოთეკარები, არქივარიუსები და კურატორები უვლიან და ინარჩუნებენ ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებში, არტგალერეებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში დაცულ კოლექციებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ისტორიული, კულტურული და ხელოვნების არქივებისა და არტეფაქტების შინაარსის განვითარებას, შეფასებას, ორგანიზებასა და მათ უსაფრთხოებასა და შენარჩუნებას; მუზეუმებში, არტგალერეებსა და მსგავს დაწესებულებებში დაცული კოლექციების გამოფენების ორგანიზებას; გამოქვეყნებული და დაცული მასალების კოლექციის სისტემატურ განვითარებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე, მომხმარებლებისათვის ბიბლიოთეკებისა და მსგავსი ინსტიტუტების ხელმისაწვდომობას; სასწავლო მასალებისა და ანგარიშების მომზადებას; კვლევების ჩატარებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

2621 არქივარიუსები და კურატორები;

2622 ბიბლიოთეკარები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები.

2621 ჯგუფური ერთეული
არქივარიუსები და კურატორები

არქივარიუსები და კურატორები აგროვებენ, აფასებენ და უზრუნველყოფენ საარქივო დოკუმენტების, არტეფაქტებისა და ისტორიული, კულტურული, ადმინისტრაციული და

მხატვრული შინაარსის ჩანაწერების უსაფრთხოებასა და შენარჩუნებას. ისინი გეგმავენ, ქმნიან და იწერენ ისტორიულად ფასეული დოკუმენტების უსაფრთხოებისთვის საჭირო სისტემებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ადმინისტრაციული, ისტორიული, იურიდიული, მტკიცებულებითი და სხვა მიზნებისათვის ჩანაწერების შეფასებასა და შენარჩუნებას;
2. შეგროვებული მასალისათვის ინდექსების (კოდების), ბიბლიოგრაფიების, მიკროფირებისა და სხვა დამხმარე ცნობათა მოსამზადებელი სამუშაოების ხელმძღვანელობასა და განხორციელებას, აგრეთვე, მომხმარებელთათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
3. კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებისა და საგნების წარმომავლობის, გავრცელებისა და გამოყენების სფეროს კვლევას;
4. მხატვრული, კულტურული, მეცნიერული თუ ისტორიული მნიშვნელობის ნივთების ორგანიზებას, სრულყოფასა და შენარჩუნებას;
5. მუზეუმებისა და მხატვრული გალერიების კოლექციათა ხელმძღვანელობას, აგრეთვე, მათ კლასიფიკაციას, კატალოგში შეტანასა და გამოფენების ორგანიზებას;
6. ისტორიულად მნიშვნელოვანი და ფასეული დოკუმენტების (მაგ.: სამთავრობო და პირადი დოკუმენტების, ფოტოების, რუკების, ხელნაწერებისა და აუდიოვიზუალური დოკუმენტების) კვლევას, შეფასებას, ორგანიზებასა და დაცვას;
7. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას;
8. არქივისა და ელექტრონული ჩანაწერების კომპიუტერული მართვის დაგეგმვასა და განხორციელებას;
9. მუზეუმებსა და სამხატვრო გალერეებში გამოფენების ორგანიზებას, აგრეთვე, საზოგადო, სპეციალიზებული თუ საგანმანათლებლო ინტერესების კუთხით ექსპონატების გასაჯაროებასა და სპეციალური გამოფენების მოწყობას;
10. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საარქივო კოლექციების შესაქმნელად და სრულყოფისთვის მათ შეფასებასა და მოპოვებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- არქივარიუსი;
- სამხატვრო გალერეების კურატორი;
- მუზეუმის კურატორი;
- ჩანაწერების მენეჯერი.

2622 ჯგუფური ერთეული
ბიბლიოთეკარები და სხვა მონათესავე პროფესიის პროფესიონალები

ბიბლიოთეკარები და სხვა მონათესავე პროფესიის პროფესიონალები აგროვებენ, არჩევენ, ავითარებენ, ორგანიზებენ და ინარჩუნებენ საბიბლიოთეკო კოლექციებსა და სხვა ინფორმაციულ საცავებს, აგრეთვე, აკონტროლებენ, მომხმარებლებს ემსახურებიან და აწვდიან ინფორმაციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. წიგნების, გამოცემებისა და სხვა ბეჭდური თუ აუდიოვიზუალური და ციფრული ტექნოლოგიებით ჩაწერილი მასალის ორგანიზებას, სრულყოფასა და შენარჩუნებას;
2. წიგნებისა და სხვა ბეჭდური თუ აუდიოვიზუალური და ციფრული ტექნოლოგიებით ჩაწერილი მასალის მოპოვებისას მათ შერჩევასა და რეკომენდაციას;
3. ბიბლიოთეკაში არსებული მასალის ორგანიზებას, დაჯგუფებასა და კატალოგში შეტანას;
4. ბიბლიოთეკებს შორის მატერიალური თუ ინფორმაციული ქსელებით მასალის გაცვლას;
5. საკუთარი თუ ბიბლიოთეკის კოლექციებისა და ინფორმაციული სისტემების საფუძველზე ინფორმაციის აღდგენასა და ბიზნეს თუ სხვა მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
6. მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად კვლევასა და ანალიზს ან ბიბლიოთეკისა და ინფორმაციული სერვისების გარდაქმნას;
7. ინფორმაციის შენახვის, ორგანიზების, დაჯგუფებისა და აღდგენის სქემებისა და კონცეპტუალური მოდელების შექმნა-განხორციელება;
8. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას;
9. ბიბლიოთეკაში არსებული მასალების მოსაპოვებლად მომხმარებლებისთვის დასახმარებლად ფიზიკურად გარჯას, აგრეთვე, ონლაინ თუ ინტერაქტიული კვლევების ჩატარებას, ბიბლიოთეკებს შორისი გაცვლების ორგანიზებასა და სხვა ფუნქციების შეთავსებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბიბლიოგრაფი;
- კატალოგისტი;
- ბიბლიოთეკარი.

<u>263 მცირე ჯგუფი</u>
სოციალური და რელიგიური სფეროს პროფესიონალები

სოციალური და რელიგიური სფეროს პროფესიონალები ატარებენ კვლევებს, აუმჯობესებენ ან ავითარებენ კონცეფციებს, თეორიებსა და მეთოდებს; იყენებენ ცოდნას ფილოსოფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის, ისტორიის, ფსიქოლოგიისა და სხვა სოციალურ მეცნიერებებში; ან საზოგადოებაში ცალკეული პირებისა თუ ოჯახების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უზრუნველყოფენ სოციალურ მომსახურებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: არსებული თუ მოსალოდნელი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის გზების ფორმულირებასა და მათ გამოყენებას; წარსულში მომხდარი მოვლენებისა და საქმიანობის კვლევასა და ანალიზს, აგრეთვე,

კაცობრიობის წარმოშობისა და განვითარების მოკვლევას; ცალკეული პირებისა და ჯგუფების გონებრივი პროცესებისა და ქცევების შესწავლას; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას; შეიძლება სხვა სფეროში მომუშავეთა დაკვირვებაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2631 ეკონომისტები;
2632 სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიის პროფესიონალები;
2633 ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები;
2634 ფსიქოლოგები;
2635 სოციალური სამუშაოსა და კონსულტაციების პროფესიონალები;
2636 რელიგიის პროფესიონალები.

2631 ჯგუფური ერთეული
ეკონომისტები

ეკონომისტები ატარებენ კვლევებს, აკონტროლებენ მონაცემთა ბაზას, აანალიზებენ ინფორმაციას, ეკონომიკური და საქმიანი პრობლემების გადასაჭრელად ამზადებენ ანგარიშებსა და გეგმებს, აგრეთვე, ეკონომიკური ქცევებისა და მოდელების გასაანალიზებლად, ასახსნელად და წინასწარ გასანსაზღვრად ავითარებენ მოდელებს. არსებული თუ მოსალოდნელი პრობლემების გადასაჭრელი გზების ჩამოყალიბებლად ისინი აძლევენ რჩევებს ბიზნეს-, ინტერეს ჯგუფებსა და მთავრობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ეკონომიკურ გარემოში მოკლევადიანი ბიუჯეტის შედგენის, გრძელვადიანი დაგეგმვისა და ინვესტიციების შეფასებისას ცვლილებების პროგნოზირებას;
2. ეკონომიკისთვის, საერთო სტრატეგიებისა და ინვესტიციებისთვის რეკომენდაციების, გასატარებელი პოლიტიკისა და გეგმების შემუშავებასა და პროექტებისთვის მიზანშეწონილი ანალიზის გაკეთებას;
3. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის სისწორის შესაფასებლად ეკონომიკის მონაცემთა ბაზის მონიტორინგს, ეფექტურობის შეფასებასა და რჩევების მიცემას;
4. წარსულში არსებულ წარმოებაზე, მომსახურებასა და ზოგად ეკონომიკურ და ინდუსტრიულ მდგომარეობაზე დაყრდობით კონკრეტული პროდუქტის, მომსახურების წარმოებისა და მოხმარების პროგნოზირებას;
5. შემოსავლებისა და ხარჯების, საპროცენტო და გაცვლითი განაკვეთების პროგნოზების მომზადებას;
6. სამუშაო ძალის მონაწილეობის, დასაქმების, ხელფასების, უმუშევრობისა და შრომითი ბაზრის სხვა შედეგების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზს;
7. მათემატიკური ფორმულებისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას, აგრეთვე, ეკონომიკური თეორიების ტესტირებისა და პრობლემებისათვის ალტერნატიული გზების შემუშავებას;
8. ეკონომიკის თეორიითა და სტატისტიკური მექანიზმებით მონაცემების შედგენას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას;

9. საჯარო ეკონომიკასა და ფინანსებთან დაკავშირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგების შეფასებას;
10. წარსულის, აწმყოსა და სამომავლო ეკონომიკური ფაქტორებისა და ტენდენციების გათვალისწინებით ეკონომიკურ პოლიტიკასა და შესაძლო მოქმედებებზე რჩევების მიცემას;
11. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას;
12. ცალკეული კომპანიების ეკონომიკურ აქტივობასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას;
13. საქონლისა და მომსახურების გაყიდვისა და ფასის დონის განსასაზღვრად, საბაზრო პოტენციისა და სამომავლო ტენდენციების შესაფასებლად და ბიზნესსტრატეგიების განსავითარებლად ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ სფეროებში საბაზრო პირობებზე კვლევის ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ეკონომეტრიკოსი;
- მრჩეველი ეკონომიკის სფეროში;
- ანალიტიკოსი ეკონომიკის სფეროში;
- ეკონომისტი;
- შრომის- ეკონომისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- მათემატიკოსი, რისკების შემფასებელი და სტატისტიკოსი – 2120.

2632 ჯგუფური ერთეული
სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიის პროფესიონალები

სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიის პროფესიონალები იძიებენ და აღწერენ საზოგადოების სტრუქტურას, წარმოშობასა და განვითარებას, გარემო პირობებსა და ადამიანის საქმიანობის ურთიერთდამოკიდებულებას. თავიანთ მიერ მოპოვებულ ცნობებზე დაყრდნობით ისინი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას გასცემენ რჩევებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კაცობრიობის საზოგადოების წარმოშობის, განვითარების, სტრუქტურის, სოციალური მოდელების, ორგანიზაციებისა და ურთიერთკავშირების კვლევების ჩატარებას;
2. ცვალებადი მახასიათებლების, კულტურული და სოციალური ინსტიტუტების შესწავლით კაცობრიობის წარმოშობისა და ევოლუციის მოკვლევას;
3. წარსულიდან შემორჩენილი მატერიალური ნაშთებით (მაგ.: საცხოვრებელი სახლებით, ტაძრებით, ინსტრუმენტებით, ჭურჭლით, მონეტებით, იარაღითა თუ ქანდაკებებით) კაცობრიობის განვითარების მოკვლევას;

4. ტერიტორიებისა და რეგიონების ფიზიკური და კლიმატური ასპექტების შესწავლასა და მოპოვებული ცნობების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საქმიანობასთან თანაფარდობაში მოყვანას;
5. სოციალური ფენომენის აღსაწერად და განსამარტად თეორიების, მოდელებისა და მეთოდების შექმნას;
6. სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგების შეფასებას;
7. სოციალური მონაცემთა ბაზის ანალიზსა და შეფასებას;
8. მოსახლეობის ჯგუფებისა და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ფორმულირებისას და ბაზრების განვითარებისას მოპოვებული ცნობების პრაქტიკული გამოყენებას;
9. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ანთროპოლოგი;
- არქეოლოგი;
- კრიმინალისტი;
- ეთნოლოგი;
- გეოგრაფი;
- სოციოლოგი.

2633 ჯგუფური ერთეული
ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები

ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები ატარებენ კვლევებს ადამიანის გამოცდილებსა და არსებობაზე, ადამიანის ისტორიის ფაზებსა და ასპექტებზე, პოლიტიკურ სტრუქტურაზე, გადაადგილებასა და ქცევაზე. პოლიტიკური და ინდივიდუალური მოქმედებების ინფორმირებითვის თავიანთ მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით ამზადებენ წერილობით ანგარიშებსა და მოხსენებებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მსოფლიოს, ადამიანის ქცევების, გამოცდილებისა და არსებობის ზოგადი მიზეზების, პრინციპებისა და მნიშვნელობის არგუმენტირებულ კვლევას;
2. ფილოსოფიური კონცეფციებისა და თეორიების განმარტებასა და შექმნას;
3. ძირითადი წყაროების (მაგ.: მომხდარი მოვლენების ორიგინალი ან თანამედროვე ჩანაწერების, დამხმარე წყაროების – არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური აღმოჩენების) გამოყენებასა და შედარებას;
4. შესაბამისი მასალის მოპოვებას, მისი ნამდვილობის შემოწმებას, კონკრეტული პერიოდის, ქვეყნისა თუ რეგიონის, ან კონკრეტული ასპექტის (მაგ.: ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური) ისტორიის აღწერის კვლევას;
5. პოლიტიკური ფილოსოფიასა ან სისტემების, ინსტიტუტებისა და ქცევების ადრინდელ და დღევანდელ თეორისა და პრაქტიკაში კვლევების ჩატარებას;

6. თანამედროვე პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და აზროვნებაზე დაკვირვებას და სხვადასხვა წყაროდან მათზე მონაცემების (მაგ.: მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების ოფიციალურ წარმომადგენლებსა და სხვა კომპეტენტურ პირებთან ინტერვიუების) შეგროვებას;
7. ადამიანის გამოცდილების არსისა და ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებისა და ქცევების გასაგებად და აღსაწერად თეორიების, მოდელებისა და მეთოდების ჩამოყალიბებას;
8. გამოსაქვეყნებლად, ან მთავრობის, პოლიტიკური პარტიებისა ან სხვა ორგანიზაციებისა თუ დაინტერესებული პირების გამოსაყენებლად კვლევის შედეგებისა და დასკვნების დადებას;
9. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გენეალოგი;
- ისტორიკოსი;
- ფილოსოფოსი;
- პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- პოლიტიკური მრჩეველი – 2422.

2634 ჯგუფური ერთეული
ფსიქოლოგები

ფსიქოლოგები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იკვლევენ და სწავლობენ ადამიანის მენტალურ პროცესებსა და ქცევებს. ამ ცოდნას იყენებენ პერსონალური, სოციალური, საგანმანათლებლო თუ პროფესიული დახვეწისა და განვითარების ხელშესაწყობად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კვლევის დაგეგმვასა და ჩატარებას, აგრეთვე, გონებრივი, ფიზიკური და სხვა მახასიათებლების (მაგ.: ინტელექტის, შესაძლებლობის, უნარების, პოტენციისა და სხვა) გაზომვას, შედეგების შეფასებასა და რჩევების მიცემას;
2. ინდივიდის აზროვნებასა და ქცევაზე მემკვიდრეობითი, სოციალური, პროფესიული და სხვა ფაქტორების გავლენის ანალიზს;
3. ინდივიდებთან და ჯგუფებთან საკონსულტაციო თუ თერაპიული შეხვედრების ჩატარებასა და მეთვალყურეობას;
4. საჭირო კონტაქტების (მაგ.: ოჯახის წევრებთან, საგანმანათლებლო ავტორიტეტებსა თუ დამსაქმებელთან) შენარჩუნებას, პრობლემის შესაძლო გადაჭრისა და მოგვარების გზებისათვის რჩევების მიცემას;
5. სხვა პროფესიონალებთან ერთად მენტალური დაავადებებისა და ემოციური თუ ინდივიდუალური აშლილობის დიაგნოზის, მკურნალობისა და პრევენციისას ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლასა და განხილვას;

6. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას;
7. მასწავლებლების მიერ დაგეგმვის მეთოდებში გამოსაყენებლად და ინსტრუქციების შინაარსში გასათვალისწინებლად არსებული მიღწევების, დიაგნოზებისა და მოსალოდნელი კვლევების ფორმულირებას;
8. სამუშაო ფორმებზე, სამუშაო ჯგუფებზე, მორალურ მახასიათებლებზე, მოტივაციის ელემენტებზე, ხელმძღვანელობასა და მენეჯმენტზე კვლევა-ძიების ჩატარებას;
9. ადამიანის ქცევის აღქმისა და გაგებისათვის თეორიების, მოდელებისა და მეთოდების ჩამოყალიბებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კლინიკური ფსიქოლოგი;
- განათლების ფსიქოლოგი;
- ორგანიზაციის ფსიქოლოგი;
- ფსიქოთერაპევტი;
- სპორტული ფსიქოლოგი;
- კლინიკური ფსიქოლოგი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- ფსიქიატრი – 2212.

2635 ჯგუფური ერთეული
სოციალური სამუშაოსა და კონსულტაციების სფეროს პროფესიონალები

სოციალური სამუშაოსა და კონსულტაციების სფეროს პროფესიონალები რჩევებს აძლევენ და ეხმარებიან პირებს, ოჯახების, ჯგუფებს, საზოგადოებასა და ორგანიზაციებს. ისინი ეხმარებიან პირებს უმუშევრობის, სიღარიბის, შეზღუდული შესაძლებლობების, რამეზე დამოკიდებულების, კრიმინალური და სამართალდამრღვევი ქცევისა და ქორწინების საკითხების პრობლემებთან გასამკლავებლად საჭირო უნარების ჩამოყალიბებაში, რესურსებისა და დამხმარე წყაროების შეფასებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პირადული და სოციალური პრობლემების მოგვარებასა და ჩასატარებელი სამუშაოს ტიპების განსაზღვრაში ცალკეული პირებისა და ოჯახების დახმარებას;
2. სასამართლოში ან სხვა იურიდიულ ინსტანციებში საქმეების გადასაცემად დოკუმენტების შეგროვებასა და მოხსენებების შედგენას;
3. კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად ინფორმაციების შეგროვებასა და უფლებებისა და მოვალეობების საკითხებში მათთვის რჩევების მიცემას;
4. ცალკეული პირებისთვის თავიანთი სოციალური და პირადული პრობლემების გადასაჭრელი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად კონსულტაციების, თერაპიების, მოლაპარაკებისა და ჯგუფური სესიების ხელშეწყობას;
5. კრიზისული სიტუაციების თავიდან ასაცილებელი, ფინანსური თუ იურიდიულ დახმარების სააგენტოებისათვის მისამართი, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა

საჭირო სერვისების შეტავაზებით ცალკეული პირებისათვის საჭირო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას;

6. საფრთხის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და სხვა პიროვნებების დასაცავად, ძალადობისა და ძალის ბოროტად გამოყენების შემთხვევების გამოძიებასა და შესაბამისი ზომების მიღებას;
7. საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესში დასახმარებლად და განმეორებითი სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად სასამართლო პროცესების მიმდინარეობისა და განაჩენის გამოტანის შემდეგ სამართალდამრღვევებთან შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას;
8. სამართალდარღვევისთვის თავისუფლების აღსაკვეთი, ციხიდან გასათავისუფლებელი თუ სხვა შესაბამისი ზომების მისაღები პირობების განსასაზღვრად საპატიმროს ზედამხედველობისთვის, პრობაციაზე გაგზავნილი პირებისა და პირობითად გათავისუფლებული პირების მეთვალყურეებისათვის რჩევების მიცემას;
9. საზოგადოებაში კონკრეტული ჯგუფების დახმარებასა და ზიანის მიმყენებელი პრობლემების გადაწყვეტას;
10. საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შესაბამისი პრევენციული ზომების მიღებასა და პროცესებში ჩარევისათვის აუცილებელი პროგრამების შემუშავებას;
11. ინფორმაციის უზრუნველყოფისა და პირების საერთო მდგომარეობის შესახებ რჩევების მისაღებად აღნიშნულ პირებთან დაკავშირებული სხვა სოციალური მომსახურების სპეციალისტებთან, საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და ჯანმრთელობის წარმომადგენლებთან კონტაქტის შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ფსიქიკური დამოკიდებულების სპეციალისტი;
- ბავშვთა და ახალგაზრდების კონსულტანტი;
- რაიონის სოციალური მუშაკი;
- ოჯახის კონსულტანტი;
- ქალთა კონსულნტანტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფსიქოლოგი – 2634;
- სოციალური მუშაკი – 3412.

2636 ჯგუფური ერთეული
რელიგიის პროფესიონალები

რელიგიის პროფესიონალები არიან სულიერი ტრადიციების, პრაქტიკის, რწმენის დოგმების დამცველები. ისინი ასრულებენ საეკლესიო მსახურებას, აღნიშნავენ ან მართავენ რელიგიურ რწმენასა და დღესასწაულებს, უზრუნველყოფენ სულიერ და მორალურ

თანადგომას, აგრეთვე, ითავსებენ რელიგიურ მსახურებასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სულიერი ტრადიციების, პრაქტიკისა და რწმენის დოგმების დაცვას;
2. რელიგიური მსახურების, წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების ჩატარებას;
3. სხვადასხვა ადმინისტრაციული და სოციალური მოვალეობის შესრულებას, აგრთვე, რელიგიური ორგანიზაციების შეხვედრებსა და სხდომებზე დასწრებას;
4. კონკრეტული რელიგიური აღმსარებლობის შესაბამისად სულიერ და მორალურ ხელმძღვანელობას;
5. საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ რელიგიური მოძღვრებების მომზადებას;
6. რელიგიური თემების მომზადებასა და ქადაგებას;
7. სასწავლო კურსებისა და რელიგიური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და ხელმძღვანელობას;
8. პერსონალურ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ, ფინანსურ თუ რელიგიურ საკითხებზე რჩევების მიცემას;
9. სპეციალური ღონისძიებების (მაგ.: ბანაკების, კონფერენციებისა და სემინარების) დაგეგმვასა და მათში მონაწილეობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბონზე;
- იმამი;
- პუჯარი;
- მღვდელი;
- რაბინი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მქადაგებელი – 3413;
- ბერი – 3413;
- მონაზონი – 3413.

<u>შენიშვნა:</u>

პროფესიისთვის დამახასიათებელი ამოცანების შემსრულებელი (მაგ., მასწავლებლები, მედდები თუ სოციალური საქმიანობის სფეროს სპეციალისტები) რელიგიური მსახურების მონაწილეები, უნდა დაჯგუფდნენ მათ მიერ შესრულებული ძირითადი საქმიანობისა და მოვალეობის მიხედვით.

264 მცირე ჯგუფი
ავტორები,ჟურნალისტები და ლინგვისტები

ავტორები, ჟურნალისტები და ლინგვისტები ქმნიან ან ასრულებენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს; მედიით აშუქებენ ახალ ამბებსა და საჯარო მოვლენებს; და თარგმნიან ერთი ენიდან მეორე ენაზე.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ლიტერატურულ სამუშაოებს; ლიტერატურული და სხვა სახის ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელობისა და ღირებულების შეფასებას; მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და აღწერას; გაზეთებით, ტელევიზიით, რადიოთია და სხვა მედიასაშუალებებით ახალი ამბებისა და საჯარო მოვლენების კვლევას, გამოძიებას, გადათარგმნასა და გაშუქებას; წერილობითი მასალის თარგმნას; სინქრონული თარგმნას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში ლკასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ელემენატრულ ჯგუფებად იყოფა:

2641 ავტორები (მწერლები, პოეტები და სხვა);

2642 ჟურნალისტები;

2643 მთარგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები.

2641 ჯგუფური ერთეული
ავტორები (მწერლები, პოეტები და სხვა)

ავტორები გეგმავენ, იკვლევენ და წერენ წიგნებს, ხელნაწერებს, ისტორიებს, დრამატულ ნაწარმოებებს, ესეებს, გამოსვლებს, ცნობარებს, ტექნიკურ მასალებსა თუ სხვა არაჟურნალისტურ სტატიებს (გარდა გაზეთებისა, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მასალებისა) დასაბეჭდად და გამოსაქვეყნებლად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დასაბეჭდად და გამოსაქვეყნებლად დაწერას, აგრეთვე, ნოველების, დრამატული ნაწარმოებების, სცენარების, პოეზიისა და სხვა ნაწარმოებების რედაქტირებას;
2. ფაქტობრივი შინაარსის ჩამოსაყალიბებლად კვლევებისა ჩატარებას და სხვა საჭირო ინფორმაციის მოპოვებას;
3. სცენარებისა დაწერასა და სასცენო, კინემატოგრაფიული, რადიო თუ სატელევიზიო პროგრამის მომზადებას;
4. ტექნიკური მასალების, შენიშვნებისა და ჩანახატების გაანალიზებას;
5. ნათლად და გონივრულად ასახსნელად პროგრამულით, ელექტრონულით, მექანიკურითა და სხვა აღჭურვილობით მუშაობა-შენარჩუნებით ცნობარების, ინსტრუქციების, გზამკვლევებისა და სხვა დოკუმენტების შექმნას;
6. ბროშურების, სახელმძღვანელოებისა და სხვა მსგავსი ტექნიკური მასალების დაწერას;

7. გამოსაქვეყნებელი მასალის შერჩევას, სტილის, გრამატიკის, შინაარსის სიზუსტის შემოწმებასა და საჭირო ცვლილებების შეტანას, აგრეთვე, გამოცემამდე საჭირო კორექტურის გაკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავტორი;
- წიგნის რედაქტორი;
- ესეისტი;
- მედიაკორესპონდენტი;
- ნოველისტი;
- დრამატურგი;
- პოეტი;
- სცენარისტი;
- საჯარო გამოსვლების ტექსტის ავტორი;
- ტექნიკური შუამავალი;
- მწერალი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- რეკლამისა და მარკეტინგის პროფესიონალი – 2431;
- საჯარო ურთიერთობების პროფესიონალი – 2432;
- ჟურნალისტი – 2642;
- გაზეთის რედაქტორი – 2642.

<u>2642 ჯგუფური ერთეული</u>
ჟურნალისტები

ჟურნალისტები გაზეთით, ტელევიზიით, რადიოთი და სხვა მედიასაშუალებებით იკვლევენ, იძიებენ, გადმოსცემენ და აშუქებენ ახალ ამბებსა და საჯარო საქმეებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინტერვიუთი, გამოძიებითა და დაკვირვებით, საჯარო ღონისძიებებზე დასწრებით, ჩანაწერების მოძიებით, წერილობითი მოხსენებების განხილვითა და კინო თუ თეარტალური ჩვენებებზე დასწრებით ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ახალი ამბების შეგროვებას;
2. გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებში დასაბეჭდად, ან რადიო, სატელევიზიო თუ ინტერნეტსივრცით მათ გასაშუქებლად ახალ ამბებსა და მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის შეგროვებას, გადმოცემასა და კომენტარის გაკეთებას;
3. ახალი ამბებისა და სხვა მონაცემების მიღებას, ანალიზსა და გადამოწმებას;
4. პრესკონფერენციებსა თუ სხვა საჯარო ღონისძიებებზე პოლიტიკოსებისა თუ სხვა საჯარო მოხელეებისაგან ინტერვიუს ჩამორთმევას, აგრეთვე, რადიო, სატელევიზიო თუ ინტერნეტსივრცისათვის ინდივიდუალური ინტერვიუს ჩაწერას;

5. სპეციალიზებულ დარგებში (მაგ.: მედიცინაში, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში) მიღწევებზეკვლევის ჩატარებასა და ანგარიშების შედგენას;
6. სახალხო ინტერესის გამოსაწვევად, პუბლიკაციებისა და სამაუწყებლო კომპანიის შეხედულებების გამოსახატად მიმდინარე აქტუალურ თემებზე სარედაქციო შრომებისა და კომენტარების დაწერას;
7. ცოდნაზე, საღ აზრსა და სხვა საგაზეთო, სატელევიზიო თუ რადიოს გამოცდილებაზე დაყრდნობით ლიტერატურული, მუსიკალური თუ სხვა მხატვრული ნაწარმოების კრიტიკას;
8. პუბლიკაციისთვის მასალის შერჩევას, ტექსტის სტილის, გრამატიკის, სიზუსტისა და კანონიერების შემოწმებას, ნებისმიერი საჭირო გადასინჯვისთვის მომზადებას;
9. დაბეჭვდამდე ცოტა ხნით ადრე ტექსტის საბოლოო ვერსიის საკონტროლო შემოწმებას;
10. ბიზნესსა და სხვა ორგანიზაციებზე საგაზეთო, სატელევიზიო, რადიო თუ სხვა მედიასაშუალებებისთვის საჯარო მასალის შერჩევას, შეგროვებასა და მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჟურნალისტი;
- გაზეთის რედაქტორი;
- გაზეთის კორესპოდენტი;
- სპორტული ჟურნალისტი;
- ქვერედაქტორი;
- ტელევიზიის/რადიოს ახალი ამბების პროდუსერი;
- ტელევიზიის/რადიოს ახალი ამბების კორესპოდენტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი – 2432;
- ავტორი და სხვა მონათესავე პროფესიის მწერალი – 2641;
- წიგნის რედაქტორი – 2641;
- ფოტოჟურნალისტი – 3431;
- ოპერატორი – 3521.

<u>2643 ჯგუფური ერთეული</u>
მთარგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები

მთარგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები თარგმნიან ერთი ენიდან მეორეზე და სწავლობენ ენების წარმოშობას, განვითარებასა და სტრუქტურას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ძველი ენების საფუძვლებსა და თანამედროვე ენათა ჯგუფებს შორის კავშირის შესწავლას, სიტყვების, გრამატიკული და ენობრივი ფორმების წარმოშობისა და ევოლუციის გარკვევასა და მიღებული შედეგების წარმოდგენას;

2. ენობრივი კლასიფიკაციების სისტემების, გრამატიკის წიგნების, ლექსიკონებისა და სხვა მსგავსი სახელმძღვანელოების მომზადებასა და მათზე რჩევების მიცემას;
3. ერთი ენიდან მეორეზე თარგმნასა და ორიგინალის სწორი მნიშვნელობის დაცვას, იურიდიული, ტექნიკური და სამეცნიერო ნაშრომების თარგმნის სიზუსტის, აგრეთვე, ლიტერატურული ნაწარმოების ფრაზეოლოგიის, ტერმინოლოგიის, სულისა და სტილის მაქსიმალურად ზუსტად გადმოცემას;
4. თარგმნის პროდუქტიულობისა და ხარისხის სრულყოფისთვის კომპიუტერზე მუშაობის მეთოდებისა და სხვა საშუალებების დახვეწას;
5. კონფერენციებზე, შეხვედრებზე და სხვა მსგავს ღონისძიებებზე ერთი სალაპარაკო თუ ჟესტების ენიდან მეორე სალაპარაკო თუ ჟესტების ენაზე თარმნას, ამავე დროს მნიშვნელობის სიზუსტის შენარჩუნების, სულისა და სტილის მაქსიმალურად ზუსტად გადაცემას;
6. ნათარგმნი მასალის გადახედვასა და შესწორებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- თარჯიმანი;
- ლექსიკოგრაფი;
- ფილოლოგი;
- ჟესტების ენის მთარგმნელი სპეციალისტი;
- სუბტიტრებზე მომუშავე სპეციალისტი;
- მთარგმნელი;
- მთარგმნელ-შემსწორებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ავტორი – 2641;
- წიგნის რედაქტორი – 2641;
- ჟურნალისტი – 2642.

<u>265 მცირე ჯგუფი</u>
შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები

შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები გავლენისთვის ფართო მედიასაშუალებით გადმოგვცემენ იდეებს, შთაბეჭდილებებსა და ფაქტებს; ღონისძიების შესრულებისა და ხელმძღვანელობისთვის განმარტავენ მუსიკალურ პარტიტურასა თუ სხვა ჩანაწერს, მასპინძლობენ მსგავსი ღონისძიებებსა თუ სხვა მედიამოვლენების პრეზენტაციებს;

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ფორმების ფორმულირებასა და შექმნას; ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოების ჩასახვასა და შექმნას; მუსიკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური თუ კინემატოგრაფიული ნომრების შექმნას, ფორმულირებას, რეპეტიციასა და წარდგინებას; სატელევიზიო გადაცემების, ფილმებისა თუ სასცენო დადგმების შექმნისას არსებული შემოქმედებითი, ფინანსური და ორგანიზაციული

პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას; სცენარის, თეატრალური დადგმისა თუ წიგნის შესწავლასა და მათი მნიშვნელობის ინტერპრეტაციასა და წარდგინებას; მუსიკალური ნაწარმოების, ვიდეოებისა თუ სხვა გასართობი მასალის შერჩევასა და წარდგინებას, აგრეთვე, მაუწყებლობისათვისა და კომერციული თუ საჯარო მომსახურებისთვის საჭირო განცხადებების გაკეთებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

2651 სახვითი ხელოვნების არტისტები;
2652 მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები;
2653 მოცეკვავეები და ქორეოგრაფები;
2654 ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროს რეჟისორები და პროდუსერები;
2655 მსახიობები;
2656 რადიოს, ტელევიზიისა და სხვა მედიასაშუალებების წამყვანები;
2659 სხვა კატეგორიასმიუკუთვნებელი შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები.

2651 ჯგუფური ერთეული
სახვითი ხელოვნების არტისტები

სახვითი ხელოვნების არტისტები ფერწერით, ხატვით, გრავირებითა თუ სხვა ტექნიკით ქმნიან და ასრულებენ ქანდაკებსა თუ კარიკატურებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფერწერული ნიმუშებისთვის, ნახატებისა თუ სკულპტურებისთვის იდეების, დიზაინისა და სტილის მოფიქრებასა და შექმნას;
2. არჩეული თემის მიხედვით, საგნების, განლაგების, პეიზაჟებისა და სხვა ვიზუალური ფორმების მოწყობას;
3. მხატვრული მედიის, მეთოდებისა და მასალის შერჩევას;
4. ფორმირებით, ამოტვიფრითა თუ მასზე სხვა სამუშაოების ჩატარებითა და შესაბამისი მასალის მაგ.: ხის, ქვის, წებოს, მეტალის, ყინულისა თუ ქაღალდის) შეგროვებით სამგანზომილებიანი თუ რელიეფური, გამოსახულებითი თუ აბსტრაქტული ფორმების შექმნას;
5. ფანქრით, მელნით, ცარცით, ზეთის საღებავებითა და აკვარელით ან სხვა ტექნიკით გამოსახულებითი თუ აბსტრაქტული ნახატებისა და ფერწერის შექმნას;
6. ნახატების შექმნასა და მეტალზე, ხესა თუ სხვა მასალაზე მათი ამოტვიფრასა თუ გრავირებას;
7. გაშარჟებული ფორმით ამა თუ იმ პიროვნებისა თუ მოვლენის კარიკატურების შექმნას;
8. დაზიანებული ნახატებისა და ხელოვნების სხვა ნიმუშების აღდგენას;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კარიკატურისტი;

- სამეთუნეო მხატვარი;
- ილუსტრატორი;
- ნახატის რესტავრატორი;
- პორტრეტისტი;
- მოქანდაკე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერი – 2163;
- გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერი – 2166;
- ხელოვნების სხვა დარგის მასწავლებელი – 2355;
- მეთუნუქე და სხვა მონათესავე პროფესიის სპეციალისტი – 7314;
- დეკორატიული ხატვის სპეციალისტი – 7316.

2652 ჯგუფური ერთეული
მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები

მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები წერენ, ქმნიან და ასრულებენ მუსიკალურ კომპოზიციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. მუსიკალური ფორმებით იდეებისა და ემოციების გამოსახატავად მელოდიური, ჰარმონიული და რითმული სტრუქტურების შექმნას;
2. შესრულებისა და რეპროდუქციის მიზნით მუსიკალური ნიშნებითა და სიმბოლოებით იდეებისა და კონცეფციების გამოხატვას;
3. კონკრეტული საშემსრულებლო თუ ვოკალური ჯგუფებისთვის, ინსტრუმენტებისა თუ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის მუსიკის შექმნასა და მორგებას;
4. საშემსრულებლო თუ ვოკალური ჯგუფების ხელმძღვანელობას;
5. ამა თუ იმ ღონისძიებისთვის მუსიკის შერჩევასა და მუსიკოსებისათვის საშემსრულებლო მონაკვეთების დადგენას;
6. ერთ ან რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრას (მაგ.: სოლისტი ან ორკესტრისა თუ მუსიკალური ჯგუფის წევრი);
7. სოლისტად ან ვოკალური ჯგუფისა ან სხვა ბენდის წევრად მღერა;
8. შესრულების მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად მუდმივ ვარჯიშსა და რეპეტიციას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- ბენდის ხელმძღვანელი;
- კომპოზიტორი;
- ინსტრუმენტალისტი;
- მუსიკალური ხელმძღვანელი;
- ღამის კლუბის მუსიკოსი;
- დირიჟორი;

- მომღერლი;
- ქუჩის მუსიკოსი;
- ქუჩის მომღერალი.

2653 ჯგუფური ერთეული
მოცეკვავეები და ქორეოგრაფები

მოცეკვავეები და ქორეოგრაფები დგამენ და ქმნიან ან ასრულებენ ცეკვებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. განსხვავებული ნაბიჯებით, მოძრაობებითა და ჟესტებით სხვადასხვა ისტორიის, თემის, იდეისა თუ ხასიათის ცეკვების დადგმასა და შექმნას;
2. ცოცხალი აუდიტორიის თუ სხვადასხვა მედიასაშუალებების წინაშე მარტო, პარტნიორთან ან ანსაბლში ცეკვების შესრულებას;
3. შესაბამისი შესაძლებლობებისა და სხეულის ფორმების შესანარჩუნებლად ვარჯიშსა და ცეკვის გაკვეთილების დასწრებას;
4. ცეკვის დადგმისთვის საჭირო ნაბიჯებისა და ტექნიკის გამეორებასა და პრაქტიკას;
5. საცეკვაო პარტიების გადანაწილებასა და ანსამბლში წევრად აყვანის ხელმძღვანელობას;
6. მუსიკოსების მიერ შესაბამისი მუსიკით უზრუნველყოფას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქორეოგრაფი;
- ბალეტის მოცეკვავე;
- ღამის კლუბის მოცეკვავე;
- ქუჩის მოცეკვავე.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- ცეკვის მასწავლებელი – 2355.

2654 ჯგუფური ერთეული
ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროს რეჟისორები და პროდუსერები

ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროს რეჟისორები და პროდუსერები აკონტროლებენ კინოს, ტელევიზიის, რადიოსა და სასცენო ტექნიკასა და არტისტულ ასპექტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მხატვრული ინტერპრეტაციისთვისა და მსახიობების ინსტრუქტაჟისთვის მწერლის არჩევასა და სცენარის შესწავლას;

2. სცენაზე, ტელევიზიაში, რადიოსა თუ კინოში დრამატურგიული ნაწარმოების ყველა ასპექტის (მაგ.: მსახიობების შერჩევას, კოსტიუმების, დიზაინის, ხმის ეფექტებისა თუ განათებასთან დაკავშირებული საკითხების) ხელმძღვანელობასა და საბოლოო მოგვარებას;
3. პრეზენტაციებზე, კინოში, სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებში სხვადასხვა სასცენო დადგმის დაგეგმვას, ორგანიზებასა და კონტროლს;
4. მთელი ტექნიკური პერსონალის ჩართულობის ზედამხედველობასა და სასცენო წარმოდგენის დაგეგმვას;
5. სასცენო წარმოდგენების დაარქივებასა და ჰონორარებზე მოლაპარაკებას;
6. პროგრამების ჩასაწერად და შესასწორებლად სცენარის შექმნას, დაგეგმვასა და დაწერას;
7. სცენარის, განათებისა და ხმის მოწყობილობების ზედამხედველობას

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დოკუმენტური მასალის რეჟისორი;
- ფილმის რეჟისორი;
- ფოტორეჟისორი;
- სასცენო რეჟისორი;
- ტექნიკური რეჟისორი;
- ტელევიზიისა თუ რადიოს ტექნიკური რეჟისორი;
- თეატრის პროდიუსერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტელევიზიის/რადიოს ახალი ამბების პროდიუსერი – 2642;
- სასცენო მენეჯერი – 3435;
- მაუწყებლობის ტექნიკური მხარდამჭერი – 3521;
- გამნათებელი – 3521;
- ხმის რეჟისორი – 3521;
- ვიდეოტექნიკოსი – 3521.

<u>2655 ჯგუფური ერთეული</u>
მსახიობები

მსახიობები მონაწილეობენ კინოგადაღებებში, რადიო და სატელევიზიო დადგმებსა და სპექტაკლებში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. რეპლიკების სწავლასა და სპექტაკლებში, რადიო, სარეკლამო ან სატელევიზიო დადგმებში როლების შესრულებას;
2. სცენარის ავტორის ან მწერლის მიერ შექმნილი როლების მორგებასა და აუდიტორიისთვის გადაცემას;

3. მსმენელთა გასართობად თუ განსაათლებლად ისტორიების მოყოლასა და ლიტერატურული ნაწარმოებების ხმამაღლა წაკითხვას;
4. როლის მისაღებად კასტინგებზე დასწრებას;
5. ინსტრუქტირებული რეპეტიციითა და რეჟისორის შენიშვნებით სასცენო წარმოდგენისათვის მზადებას;
6. თემებისა და ხასიათების უკეთ გასაგებად და აღსაქმელად სცენარის წაკითხვასა და დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;
7. რეპეტიციებით ამა თუ იმ ნაწილის შესრულებასა და ფილმში, ტელევიზიაში, რადიოსა თუ სასცენო დადგმებში როლების შესრულებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მსახიობი;
- პანტომიმი;
- მთხრობელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მასხარები – 3435;
- აკრობატები – 3435.

2656 ჯგუფური ერთეული
რადიო, ტელე და სხვა მედია საშუალებების წამყვანები

რადიო, ტელე და სხვა მედია საშუალებების წამყვანები ეთერში კითხულობენ ახალ ამბებს, უძღვებიან ინტერვიუებს, რადიოთი, ტელევიზიით, თეატრისა თუ სხვა მედიასაშუალებებით გადმოსცემენ სხვა განცხადებებსა ან წარადგენენ გარკვეულ პიროვნებებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. რადიოსა თუ ტელევიზიაში ახალი ამბებისა და სხვა სახის განცხადებების გადმოცემას;
2. რადიოთი, ტელევიზიით, თეატრებში, ღამის კლუბებსა და სხვა დაწესებულებებში რესპოდენტებისა და არტისტების წარდგენასა და მსგავსი განცხადებების გაკეთებას;
3. საჯაროდ, განსაკუთრებით რადიოთი ან ტელევიზიით ადამიანებისათვის ინტერვიუების ჩამორთმევას;
4. გადაცემებისა და ინტერვიუებისთვის შესაბამისად მოსამზადებლად რესპოდენტთან დაკავშირებული ინფორმაციის შესწავლას;
5. მუსიკასა და სხვა მოვლენებზე (მაგ.: ამინდსა თუ საგზაო მოძრაობაზე) კომენტარის გაკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ახალი ამბების წამყვანი;

- რადიოგადაცემის წამყვანი;
- სპორტული გადაცემის წამყვანი;
- ტოკშოუს წამყვანი;
- სატელევიზიო გადაცემის წამყვანი;
- ამინდის პროგნოზის წამყვანი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:
- ჟურნალისტი – 2642.

2659 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები

ეს ჯგუფური ერთეული მოიცავს 265 მცირე ჯგუფში – შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები – დაუჯგუფებელ ყველა შემოქმედებით და საშემსრულებლო არტისტს, მაგ.: კლოუნებს, ილუზიონისტებს, აკრობატებსა და სხვა საშემსრულებლო არტისტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. ანეკდოტების წარმოდგენასა და სასაცილო ისტორიების მოყოლას;
2. ილუზიონისტური ეშმაკობების წარმოდგენასა და ჰიპნოზს;
3. რთული და სანახაობრივი აერობიკისა და ტანვარჯიშის შესრულებას;
4. ცხოველებთან ერთად ვარჯიშსა და შესრულებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- აკრობატი;
- აერიალისტი;
- ჯამბაზი;
- ჰიპნოზისტი;
- ილუზიონისტი;
- თოჯინების სპეციალისტი;
- კომედიანტი;
- პაროდისტი.

3 ძირითადი ჯგუფი
ტექნიკოსები და ასოცირებული პროფესიონალები

ტექნიკოსები და ასოცირებული პროფესიონალები ასრულებენ ძირითადად ტექნიკურ და შინაარსობრივად მონათესავე სამუშაოებს, რომელებიც უკავშირდება კვლევას და სამეცნიერო ან მხატვრული კონცეფციების, მეთოდების, აგრეთვე, სამთავრობო ან ბიზნეს რეგულაციების აპლიკაციებს. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მესამე დონე.

მოცემულ ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ფიზიკური (მათ შორის, ინჟინერიასა და ტექნოლოგიას), სიცოცხლის შემსწავლელი (მათ შორის, მედიცინას), სოციალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებების კონცეფციებთან, მეთოდების კვლევასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ტექნიკური სამუშაოებს; ვაჭრობას, ფინანსებს, ადმინისტრირებას, სახელმწიფო კანონებისა და რეგულაციებას და სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტექნიკურ მომსახურებას; სახელოვნებო და გასართობი ღონისძიებების ტექნიკურ მხარდაჭერას; სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას; ზოგიერთი რელიგიური საქმიანობის შესრულებას; შესაძლებელია, სხვა დასაქმებულების ზედამხედველობის ფუქციების შეთავსებაც.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში პროფესიები იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

31 მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები;
32 ჯანდაცვის პროფესიონალები;
33 ბიზნესისა და ადმინისტრირების პროფესიონალები;
34 სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების პროფესიონალები;
35 საინფორმაციო და კომუნიკაციების სპეციალისტები.

31 ქვეჯგუფი
მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები

მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები ფიზიკური მეცნიერებებისა და ინჟინერიის დარგებში ასრულებენ კვლევასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სამუშაოებს: ზედამხედველობენ და აკონტროლებენ სამთომოპოვების, წარმოების, მშენებლობისა და სხვა საინჟინრო სამუშაოების ტექნიკურ და საექსპლოატაციო ფუნქციებს; ექსპლუატაციას უწევენ ტექნიკურ მოწყობილობებს, საფრენ აპარატებს, გემებს.

წინამდებარე ძირითადი ქვეჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მესამე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დანადგარებისა და აღჭურვილობის გამართვას, კონტროლსა და მართვას; სისტემებისთვის ექსპერიმენტების და ტესტების ჩატარებასა და მონიტორინგს; ნიმუშების შეგროვებასა და ტესტირებას; დაკვირვებების აღრიცხვასა და მონაცემთა ანალიზს; ტექნიკური ნახაზებისა და დიაგრამების მომზადებას, გადახედვასა და განმარტებას; სხვა დასაქმებულთა სამუშაოების კოორდინირებას, ზედამხედველობას, კონტროლსა და გაწერას; გამანაწილებელი დაფის, კომპიუტერიზებული საკონტროლო სისტემებისა და მრავალფუნქციური პროცესების მაკონტროლებელი მექანიზმების ექსპლოატაცია-კონტროლს; გემების, საჰაერო ხომალდების და სხვა მექანიზმების უსაფრთხო და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ტექნიკური ფუნქციების შესრულებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში პროფესიები იყოფა შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად:

311 ფიზიკური და საინჟინრო მეცნიერების ტექნიკოსები;
312 სამთომომპოვებელი მრეწველობისა და მშენებლობის ზედამხედველები;
313 ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის ზედამხედველი/ინჟინრები;
314 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებისა და მონათესავე დარგის პროფესიონალები;
315 გემისა და საჰაერო ხომალდების კონტროლიორები და ტექნიკოსები.

311 მცირე ჯგუფი
ფიზიკურ მეცნიერებათა ინჟინერ-ტექნიკოსები

ფიზიკურ მეცნიერებათა ინჟინერ-ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს კონცეფციების, პრინციპებისა და საოპერაციო მეთოდების კვლევისა და პრაქტიკული გამოყენების ხელშესაწყობად ფიზიკური მეცნიერებების, მათ შორის ინჟინერიის, ტექნიკური ხაზვის ან წარმოების პროცესების ეკონომიკურად ეფექტურ დარგებში.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ქიმიასთან, ფიზიკასთან, გეოლოგიასთან, მეტეოროლოგიასთან, ასტროლოგიასთან, ინჟინერიასა ან ტექნიკურ ხაზვასთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოების შესრულებას; ლაბორატორიული ხელსაწყოების და აღჭურვილობის გამართვას, ექსპლოატაციასა და მოვლას; ექსპერიმენტების მონიტორინგს; დაკვირვებებასა და შედეგების აღრიცხვა-კალკულაციას; საექსპერიმენტო მასალის შეგროვებას; სისტემების ტესტირებას; ნიმუშების შეგროვებასა და ტესტირებას; დაკვირვებებისა აღრიცხვასა და მონაცემთა ანალიზს; ტექნიკური ნახაზებისა და დიაგრამების, ელექტროგაყვანილობისა და

ელექტრონული პლატის აწყობის სქემების, დეტალური ნახაზების მომზადებას, გადახედვასა და განმარტებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში პროფესიები იყოფა შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად:
3111 ქიმიისა და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები;
3112 სამოქალაქო ინჟინერიის სპეციალისტები;
3113 ელექტრო ინჟინერ-ტექნიკოსები
3114 ელექტრონული ინჟინერიის სპეციალისტები;
3115 მანქანა-დანადგარების ტექნიკოსები;
3116 ქიმიური ინჟინერიის სპეციალისტები;
3117 სამთო-მოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკოსები;
3118 მხაზველები (პროექტის);
3119 ფიზიკურ და საინჟინრო მეცნიერებათა ტექნიკოსები, რომლებიც სხვა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან.

3111 ჯგუფური ერთეული
ქიმიისა და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები

ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები ქიმიის, ფიზიკის, გეოლოგიის, გეოფიზიკის მეტეოროლოგიის მიმართულებით განხორციელებულ კვლევებს უწყობენ ხელს, ისეთი პრაქტიკული მიმართულებების განსავითარებლად, როგორებიცაა: ინდუსტრიული, სამედიცინო და სამხედრო.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ექსპერიმენტებისთვის, ტესტებისა და ანალიზისათვის სინჯების შეგროვებლად შესაბამისი მასალებისა და მოწყობილობების მომზადებას;
2. ლაბორატორიული ტესტირებება და სხვადასხვა ტექნიკური მხარდაჭერა ქიმიისა და ფიზიკური მეცნიერებების კვლევაში, განვითარებაში, ანალიზსა და ტესტირებაში;
3. ლაბორატორიული მასალების ხარისხობრივი და რაოდენობრივი კონტროლი, ნიმუშების მონიტორინგისა და ტესტირების გზით დეტალური შეფასებების მომზადება;
4. ლაბორატორიული ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების დაყენებას, ფუნქციონირებასა და შენახვას;
5. ექსპერიმენტების მონიტორინგს, დაკვირვებას, შედეგების კალკულაციასა და აღრიცხვას;
6. ექსპერიმენტებისთვის მასალების (მაგ.: სინჯების გაყინვა და დაჭრა, ქიმიური ნივთიერებების შერევა) მომზადებას;
7. მიწისა და წყლის სინჯების შეგროვება-შემოწმებას, დაკვირვების შედეგების ჩაწერას, გეოლოგებისა და გეოგრაფების დახმარებით მონაცემების ანალიზს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქიმიის ტექნიკოსი;

- გეოლოგიის ტექნიკოსი;
- მეტეოროლოგიის ტექნიკოსი;
- ფიზიკის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:
- ქიმიური ინჟინერიის ტექნიკოსები – 3116;
- ქიმიური პროცესების ტექნიკოსი – 3133;
- სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ტექნიკოსი – 3141.

3112 ჯგუფური ერთეული
სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსები

სამოქალაქო ტექნიკოსები ახორციელებენ კვლევებს, აგრეთვე, შენობების, წყალმომარაგებისა და წყალანალირების სისტემების, ხიდების, გზების, კაშხლებისა და აეროპორტების დაპროექტებას, მშენებლობას, ექსპლუატაციასა და აღდგენას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ნიადაგისა და სამშენებლო მასალების საველე და ლაბორატორიულ შემოწმებას ან შემოწმებაში დახმარებას;
2. შენობების და სხვა ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების და მომზადებას;
3. შენობების და სხვა ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების გაწევა, აგრეთვე, გამოკითხვების ჩატარება ან გამოკითხვების ანგარიშების მომზადება;
4. სამუშაო პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარებისთვის ინჟინერიის ტექნიკური ცოდნის, პრინციპებისა და პრაქტიკის გამოყენებას;
5. პროექტის განხორციელებისთვის, საჭირო მატერიალური და შრომითი რესურსის ღირებულებისა და რაოდენობის დეტალური შეფასების მომზადებაში დახმარებას;
6. საექსპლუატაციო და სარემონტო სამუშაოების ორგანიზებას;
7. მშენებლობისას და მისი დასრულების შემდეგ კლასიფიკაციის, რაიონებისა და უსაფრთხოების სფეროების კანონმდებლობასა და დამტკიცებულ გეგმებთან, მახასიათებლებსა და სტანდარტებთან, აგრეთვე, ხარისხისა და უსაფრთხოების სხვა რეგულაციებთან შესაბამისობის დასადგენად შენობებისა და სტრუქტურის შემოწმებას;
8. ხანძრის გაჩენის საშიშროების განსასაზღვრად და საფრთხის აღმოსაფხვრელად რეკომედაციისთვის სამრეწველო საწარმოების, სასტუმროების, კინოთეატრებისა და სხვა შენობა-ნაგებობების შემოწმებას;
9. ხანძრის შემთხვევაში ცეცხლის დეტექტორებისა და საშხეფი სისტემის დასამონტაჟებლად, აგრეთვე, მშენებლობისას გარკვეული მასალების გამოსაყენებლად, აგრეთვე, ტრანსპორტირების გზების განსასაზღვრად. რისკის, ზარალის სიდიდისა და საფრთხის შესამცირებლად რეკომენდაციების შემუშავება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- შენობის ინსპექტორი;
- სამუშაოების ზედამხედველი;
- სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსი;
- სამუშაოების მოხელე (მუშა);
- სახანძრო ინსპექტორი;
- მეხანძრე;
- გეოინჟინერ-ტექნიკოსი;
- ტექნიკოს-ზედამხედველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- გეოდეზისტ-ამზომველი – 2149;
- წყლის გეოდეზისტი – 3115;
- ხანძრის გამომძებელი – 3119.

3113 ჯგუფური ერთეული
ელექტრო ინჟინერ-ტექნიკოსები

ელექტრო ინჟინერ-ტექნიკოსები ახორციელებენ ელექტრო-საინჟინრო კვლევებთან დაკავშირებულ ტექნიკურ სამუშაოებს, აგრეთვე, ელექტრონული მოწყობილობებისა და გამანაწილებელი სისტემების დაპროექტებას, დამზადებას, აწყობას, აშენებას, ფუნქციონირებას, ექსპლოატაციასა და რემონტს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ელექტრონული მოწყობილობების, აპარატურისა და საცდელი მოდელების კვლევისა და განვითარებისთვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას;
2. მოცემული მახასიათებლების შესაბამისობაში ელექტრონული მოწყობილობების სქემებისა და ნახაზების შემუშავებასა და მომზადებას;
3. დეტალური ანგარიშების მომზადება მატერიალების რაოდენობისა და ღირებულების, აგრეთვე წარმოებისა და დამონტაჟებისათვის საჭირო სამუშაო ძალის შესახებ;
4. ელექტრო სისტემებისა და აღჭურვილობის წარმოების, ინსტალაციის, უტილიზების, მოვლისა და შეკეთების ტექნიკური ასპექტების მონიტორინგი;
5. უსაფრთხოების მიზნით, ახლად დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობის ან სისტემის გამართული ფუნქციონირების შესამოწმებლად შესაბამისი მეთოდების დაგეგმვა, ან უკვე დამონტაჟებული სისტემის შემოწმება და კონტროლი;
6. უსაფრთხოების არსებულ რეგულაციებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობაში ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟს, შემოწმებას, ჩამოყალიბებას, კალიბრირებას, განახლებასა და შეკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ელექტრობის ინჟინერ-ტექნიკოსი;

- ელექტროენერგიის გადაცემის ინჟინერ-ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:
- ელექტრობის ინჟინერ-ტექნიკოსი – 3114;
- ელექტროსადგურების ოპერატორი – 3131;
- ელექტრო მექანიკოსი – 7412.

3114 ჯგუფური ერთეული
ელექტრობის ინჟინერ-ტექნიკოსები

ელექტრობის ინჟინერ-ტექნიკოსები ახორციელებენ ელექტრონულ-საინჟინრო კვლევებთან დაკავშირებულ ტექნიკურ სამუშაოებს, აგრეთვე, ელექტრონული მოწყობილობებისა და გამანაწილებელი სისტემების დაპროექტებას, დამზადებას, აწყობას, აშენებას, ფუნქციონირებას, ექსპლოატაციასა და რემონტს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროტოტიპების გამოსაცდელად ელექტრონული მოწყობილობების კვლევასა და განვითარებაში ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას;
2. არსებული მახასიათებლების მიხედვით ელექტრონული მოწყობილობების ნახაზებისა დასაქმების შემუშავებასა და მომზადებას;
3. არსებული მახასიათებლების მიხედვით ელექტრონული სისტემების წარმოებისა და დამონტაჟებისათვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების რაოდენობისა და საფასურის განსაზღვრას;
4. სამუშაოების ხარისხიანად შესრულებისთვის არსებული მახასიათებლებისა და რეგულაციების შესაბამისობაში ელექტრონული მოწყობილობების დამზადების, აწყობის, გამოყენების, მომსახურებისა და რემონტის ტექნიკურ ზედამხედველობას;
5. ელექტრონული სისტემების შემუშავებაში, განვითარებაში, ინსტალაციაში, ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და შენახვაში დახმარებას;
6. უსაფრთხოების მიზნით ახლად დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობის ან სისტემის ფუნქციონირების შესამოწმებლად ინსტალაციის მეთოდების დაგეგმვას ან უკვე განხორციელებული ინსტალაციების შემოწმებასა და კონტროლს;
7. ელექტრო ინჟინერ-ტექნიკოსებისთვის სქემების შემუშავებას, ელექტრონული სისტემების შემოწმებას, მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:
- ელექტრობის ინჟინერ-ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:
- ელექტრობის ინჟინერ-ტექნიკოსი – 3113;
- კავშირგაბმულობის ინჟინერ-ტექნიკოსი – 3522;
- ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსი – 7421;
- ელექტრონული მოწყობილობის ამწყობები – 8212.

3115 ჯგუფური ერთეული
მექანიზირებული ინჟინერიის ტექნიკოსები

მექანიზირებული ინჟინერიის ტექნიკოსები ახორციელებენ მანქანათმშენებლობასთან დაკავშირებულ კვლევებს, აგრეთვე, მექანიკური მოწყობილობების, სისტემებისა და მათი ნაწილების დაპროექტებას, წარმოებას, აწყობას, აშენებას, ამუშავებას, შენახვასა და რემონტს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კვლევებში ტექნიკური დახმარების, აგრეთვე, მანქანებისა და მექანიკური სისტემების, მოწყობილობებისა და კომპონენტების სრულყოფასა და საცდელი ნიმუშების გამოცდას;
2. არსებული მახასიათებლებს გათვალისწინებით, მანქანებისა და მექანიკური სისტემების, მოწყობილობებისა და კომპონენტების მაკეტების პროექტირებასა და შექმნას;
3. არსებული მახასიათებლების გათვალისწინებით, მოწყობილობების წარმოებისა და დამონტაჟებისთვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯებისა და ღირებულების განსაზღვრას;
4. სამუშაოების ხარისხიანად განსახორციელებლად და არსებული მახასიათებლებისა და რეგულაციების შესაბამისად მანქანებისა და მექანიკური სისტემების, მოწყობილობა-კომპონენტების დამზადების, დამონტაჟების, ექსპლუატაციის, მომსახურებისა და აღდგენის ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფას;
5. საზღვაო და სამდინარო გემების კორპუსების, მოწყობილობებისა და ტვირთების უსაფრთხოების სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებისა და დაცვის ზედამხედველობას;
6. ჰიდროენერგეტიკული სისტემების, ახალი და შეცვლილი მექანიკური სისტემების, კომპონენტების, მანქანის იარაღებისა და მარეგულირებლების შეგროვება-დაყენებას;
7. მექანიკური სისტემებისა და ნაწილების შემოწმებას, მონაცემების შეგროვებას, ანალიზსა და მონტაჟს;
8. ტექნიკოსების მიერ შექმნილი დიზაინებისა და დასრულებული სამუშაოს კონტრაქტის ნორმებთან, მახასიათებლებთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჰაერნაოსნობის ინჟინერ-ტექნიკოსი;
- საზღვაო ინჟინერ-ტექნიკოსი;
- საზღვაო ზედამხედველი;
- მექანიზირებული ინჟინერიის შემფასებელი;
- მექანიზირებული ინჟინერიის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე საქმიანობებია:

- ინდუსტრიული მანქანა-დანადგარების მექანიკოსი – 7233;

- მექანიზირებული მანქანა-დანადგარების ამწყობი – 8211.

3116 ჯგუფური ერთეული
ქიმიური ინჟინერიის ტექნიკოსები

ქიმიური ინჟინერიის ტექნიკოსები ახორციელებენ ქიმიურ კვლევებთან დაკავშირებულ სამუშაოებს, აგრეთვე, ქიმიური მოწყობილობების შემუშავებას, წარმოებას, აწყობას, ექსპლუატაციას, შენახვასა და რემონტს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინდუსტრიული ქიმიური პროცესების, დანადგარების და კვლევების სრულყოფილად საწარმოებლად, აგრეთვე, პროტოტიპების გამოსაცდელად კვლევასა და განვითარებაში ხელშეწყობა;
2. არსებული მახასიათებლების გათვალისწინებით ქიმიური მოწყობილობების სქემების შემუშავებასა და მომზადებას;
3. არსებული მახასიათებლების გათვალისწინებით მოწყობილობების წარმოება-დამონტაჟებისთვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯებისა და ღირებულების განსაზღვრას;
4. სამუშაოების ხარისხიანად განსახორციელებლად არსებული მახასიათებლებისა და რეგულაციებთან შესაბამისობაში ქიმიური მოწყობილობების დამზადების, დაყენების, ექსპლუატაციის, მომსახურებისა და რემონტის ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფას;
5. მყარ სხეულებზე, სითხეებსა და აირებზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზისას მეცნიერთა და ინჟინერთა დასახმარებლად ქიმიური და ფიზიკური ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქიმიური ინჟინერიის შემფასებელი;
- ქიმიური ინჟინერიის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ქიმიის ტექნიკოსი – 3111;
- ქიმიური პროცესის ტექნიკოსი – 3133.

3117 ჯგუფური ერთეული
სამთომოპოვებისა და მეტალურგიის ტექნიკოსები

სამთომოპოვსამთომოპოვებისა და მეტალურგიის ტექნიკოსები მეტალურგიული დარგების კვლევებში დასახმარებლად ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს სამთამადნო, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების მეთოდების სრულყოფის, მაღაროების, შახტებისა და შახტების მოწყობილობების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის

ტრანსპორტირებისა და შენახვის სისტემების, მადნიდან ლითონების გამოყოფისა და მათი გასასუფთავებელი მოწყობილობების დაპროექტების, აშენების, ამუშავების, ექსპლუატაციისა და რემონტის მიმართულებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ლითონისა და ახალშენადნობების თვისებების განსაზღვრის პროცესების კვლევასა და სრულყოფაში ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას;
2. გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ კვლევით პროცესებში, სატრანსპორტო სისტემების, აგრეთვე, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და მინერალური მადნების მოპოვების სისტემების, მინერალებისა და ლითონების გამოსაყოფი და დასამუშავებელი მოწყობილობების შემუშავების პროცესებში ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას;
3. მინერალების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის კვლევის, მოპოვების, დამუშავებისა და ტრანსპორტირების პროექტების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების რაოდენობისა და ღირებულების განსაზღვრას;
4. არსებული რეგულაციებისა და უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით სამუშაოების ხარისხიანად განსახორციელებლად მინერალების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის საკვლევი, მოპოვებითი, სატრანსპორტო, სასაწყობო და დასამუშავებელი მოწყობილობების აშენების, დამონტაჟების, ფუნქციონირების, ექსპლუატაციისა და რემონტის ტექნიკური მონიტორიგის უზრუნველყოფას;
5. მაღაროების, მაღაროს ხვრელების, გვირაბების და პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მიწისქვეშა მოწყობილობების დაგეგმვასა და შემუშავებაში დახმარებას;
6. ქანების, მინერალებისა და ლითონის სინჯების შეგროვებასა და მომზადებას, შემადგენლობის განსასაზღვრად ლაბორატორიული შემოწმების ჩატარებას, შემოწმების შედეგების ანალიზს და მის შესახებ ანგარიშის მომზადებას, ტესტისათვის გამოსაყენებელი მოწყობილობების ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
7. მიკროსკოპების, ელექტრომაგნიტური რადიაციის საწინააღმდეგო მოწყობილობების, სპექტომეტრების, სპექტოგრაფების, დენსიტომეტრების და ძაბვის შემმოწმებელი მოწყობილობების გამოყენებას;
8. ელექტრიკული, ბგერითი და ბირთვული საზომი ინსტრუმენტების გამოყენების დროს, როგორც ლაბორატორიული, ისე პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებისას, ლითონების, ბუნებრივი აირისა და ნავთობის პოტენცური რესურსების განსაზღვრისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად მეცნიერების დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეტალურგიის ტექნიკოსი;
- სამთომოპოვების ინსპექტორი;
- სამთომოპოვების ინჟინერიის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- გეოლოგიის ტექნიკოსი – 3111;

- სამთომომპოვებელი – 8111;
- სამთომოპოვების ოპერატორი – 8111;
- მაღაროს მუშა – 8111.

3118 ჯგუფური ერთეული
დამპროექტებლები

დამპროექტებლები ესკიზების, გაზომვებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე ამზადებენ ტექნიკურ ნახაზებს, რუკებსა და ილუსტრაციებს, საბეჭდი ფორმებისათვის ილუსტრაციებისა და ნახაზების ასლების გადატანას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინჟინრებისა და კონსტრუქტორების მიერ შენობების, კაშხლების, ხიდების, გზებისა და სხვა არქიტექტურული და საინჟინრო ნაგებობების აშენების, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციისა და რემონტის, აგრეთვე, მანქანა-მოწყობილობების წარმოების, აწყობისა და დაყენებისთვის მომზადებული ესკიზებისა და სხვადასხვა მონაცემების მიხედვით სამუშაო ნახაზების მომზადებასა და დახვეწას;
2. ორიგინალი მასალების და სამუშაო ნახაზების ციფრული მონაცემების შექმნისა და მოდიფიკაციისათვის პროგრამული დიზაინის გამოყენებას;
3. ორიგინალი სამუშაო ნახაზების, რუკებისა და ციფრული ინფორმაციის სხვა დიაგრამების გადასაცემად ციფრული ტაბლოების ან მსგავსი საშუალებების გამოყენებას;
4. მანქანებისა და სხვა მოწყობილობა-ნაკეთობების აწყობასთან, დამონტაჟებასთან, ფუნქციონირებასთან, ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტთან დაკავშირებული საცნობარო გამოცემების, ბროშურებისა და ტექნიკური ცნობარებისათვის ილუსტრაციების მომზადებასა და შემოწმებას;
5. ნახაზების და ნახატების ასლების ქვის ან ლითონის საბეჭდ ფორმებზე გადატანას;
6. ქარხნებში, საწარმოებსა და შენობებში ელექტრონული მოწყობილობების წარმოების, დაყენებისა და შეკეთებისთვის საჭირო მოქმედებების ჩატარებას;
7. მათი ზომების, დამაგრების მეთოდების შესახებ და სხვა ინჟინერულ ინფორმაციის შემცველი მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების დეტალური სამუშაო დიგრამების შექმნას;
8. დასრულებული ნახაზების სამუშაო ნახაზებად გამოყენებისათვის მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დამპროექტებელი;
- ილუსტრატორ-ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- კარტოგრაფი – 2165;
- ტოპოგრაფი – 2165

3119 ჯგუფური ერთეული
ფიზიკურ და საინჟინრო მეცნიერებებათა ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას

აღნიშნულ ჯგუფურ ერთეულში შედიან ფიზიკური და საინჟინრო მეცნიერებათა ტექნოკოსები, რომლებიც არ შედიან 311-ე ქვეჯგუფში: ფიზიკური და საინჟინრო მეცნიერებების ტექნიკოსები. მაგალითად, აღნიშნული ჯგუფური ერთეული მოიცავს იმ პროფესიის ადამიანებს, ვის მოვალეობაშიც შედის იმ მეცნიერებისა და ინჟინრების დახმარება, რომლებიც ჩართულნი არიან განვითარების პროცესში, ახორციელებენ კვლევას ბიოსამედიცინის, გარემოს ან ინდუსტრიულ და საწარმოო ინჟინერიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პერსონალის, მასალებისა და მოწყობილობების უსაფრთხოებასთან, ეფექტიანობასა და ეკონომიკური სარგებლიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მონაცემების შეგროვებასა და ტექნიკურ დახმარებას;
2. სამუშაო მეთოდების, ოპერაციების მიმდევრობისა და მათი განხორციელების ზედამხედველობა;
3. საწარმოს ან დაწესებულების ეფექტურ მოწყობას;
4. შესაძლო საფრთხეების დადგენისა და უსაფრთხოების საშუალებებისა და წესების განსასაზღვრად სამუშაო პროცესში დახმარებას;
5. გარემოს დაბინძურების პრევენციის, კონტროლის, აღმოფხვრისა და მელიორაციისთვის გამოსაყენებელი მოწყობილობების მოდიფიცირებასა და შემოწმებას;
6. ინჟინრის მითითებით გარემოს დაბინძურების აღმოფხვრისთვის საჭირო მოწყობილობების განვითარებას;
7. რობოტიზირებული აღჭურვილობების შექმნასა და შემოწმებაში ინჟინრების დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ინჟინერ-ტექნიკოსი (წარმოება);
- სახნძრო გამომძიებელი;
- კრიმინალური ექსპერტიზის ტექნიკოსი;
- რაოდენობრივი შემოწმების ტექნიკოსი;
- რობოტიზირებული მოწყობილობების ტექნიკოსი;
- დროისა და მოძრაობის შესწავლის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- წარმოების ინჟინრები – 2141;
- რაოდენობის ზედამხედველი – 2149;
- აერონავტიკის ინჟინერ-ტექნიკოსი – 3115.

312 მცირე ჯგუფი
სამთომოპოვების, მრეწველობისა და მშენებლობის ზედამხედველები

სამთომოპოვების, მრეწველობისა და მშენებლობის ზედამხედველები მართავენ, ზედამხედველობენ, აკონტროლებენ და გეგმავენ სამთომოპოვების, მრეწველობისა და მშენებლობის სფეროში მომუშავე მუშებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: გამყიდვლების, პროცესის მაკონტროლებელი ტექნიკოსების, მანქანების ოპერატორების, ამწყობების, მუშებისა და სხვა მუშახელის საქმიანობის გადახედვას, ზედამხედველობასა და კოორდინირებას; ყოველდღიურ სამუშაოს ორგანიზებასა და დაგეგმვას; ხარჯების შეფასებების, ჩანაწერებისა და ანგარიშების მომზადებას, პერსონალსა თუ მოწყობილობებში საჭიროებების გამოვლენას, მუშათა უსაფრთხოების შემოწმებას, ახალი პერსონალის მომზადებას და მათთვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში შემავალი პროფესიებია:
3121 სამთომოპოვების ზედამხედეველი;
3122 მრეწველობის ზედამხედველი;
3123 მშენებლობის ზედამხედველი;

<u>შენიშვნა:</u>

312 ქვეჯგუფში მოცემული პროფესიები: სამთომოპოვების, მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინრები, როგორც წესი, გეგმვენ, მართავენ, კოორდინირებენ და აკონტროლებენ სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს. ჩვეულებისამებრ, ისინი არ ასრულებენ მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირების სამუშაოს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამგვარი სამუშაოს შესრულების დიდი გამოცდილება აქვთ. ხოლო ის ინჟინრები, რომლებიც მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა სამუშაოს ტექნიკური ხარისხის შემოწმებასთან ერთად, თავადაც ახორციელებენ აღნიშნულ ამოცანებს, უნდა დაჯგუფდნენ იმ პირებთან ერთად, რომელთა ზედამხედველობასაც ახორციელებენ. აღნიშნულ პირებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც „გუნდის ლიდერებს“ ან „წინამძღოლ ქალებს/მამაკაცებს“.

მთავარ ჯგუფში 1, განხილული მენეჯერებისა და ზედამხედველების, განსასხვავებლად უნდა ითქვას, რომ უპირველესად, მენეჯერები და ზედამხედველები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნებიან, გეგმავენ, მართავენ, კოორდინირებენ, აკონტროლებენ და სამუშაოს უნაწილებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ პირებს. თუმცა, მენეჯერებს ამ ფუნქციებთან ერთად აქვთ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა ორგანიზაციისა თუ საქმის ზოგადი სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო მიმართულებების განსასაზღვრად (მაგ.: რა სახეობის, რაოდენობისა და ხარისხის პროდუქცია უნდა იწარმოოს); ბიუჯეტის მართვის (მაგ.: რა რაოდენობის თანხა რა მიზნით უნდა დაიხარჯოს); ასევე, პერსონალის შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუფლების. ზედამხედველმა შესაძლოა, ამ საკითხებთან დაკავშირებით მენეჯერს მისცეს რჩევა, ან დაეხმაროს მათ შესრულებაში, განსაკუთრებით პერსონალის შერჩევასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით. თუმცა, ზედამხედველს არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არაა მენეჯერს ჰქონდეს ზემოჩამოთვლილ სამივე სტრატეგიულ და ოპერაციულ მიმართულებაზე: ბიუჯეტზე, პერსონალის შერჩევასა და გათავისუფლებაზე – პასუხისმგებლობა. აგრეთვე, განსხვავებულია მათ მიერ ფუნქციების შესრულების ავტონომიის ხარისხიც. ზედამხედველებსა და მენეჯერებს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ზედამხედველები მხოლოდ სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს ზედამხედველობენ, აკონტროლებენ მაშინ, როცა მენეჯერებს ორგანიზაციული ერთეულის მუშაობასთან დაკავშირებით მთლიანი პასუხისმგებლობა აკისრიათ.

3121 ჯგუფური ერთეული
სამთომოპოვების ზედამხედველი

სამთომოპოვების ზედამხედველი აკონტროლებენ სამთომოპოვებასა და მაღაროს ოპერაციებს. ისინი პირდაპირ ახორციელებენ მიწის ქვეშ, მიწის ზემოთ და კარიერებში მომუშავე მაღაროს მუშების ზედამხედველობასა და კოორდინირებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დედამიწიდან სხვადასხვა მინერალისა და ბუნებრივი საბადოების ამოღებაზე, მაღაროებსა და მის კარიერებში სატრანსპორტო და მძიმე ტექნიკაზე მომუშავე მუშახელის ზედამხედველობას და კოორდინირებას;
2. სამთომოპოვების მენეჯერები პროდუქტიულობის გაზრდასთან დაკავშირებით ახორციელებენ რეკომენდაციების მიცემას და აგრეთვე, სამუშაო გრაფიკის შესრულების მეთოდიკის შემუშავებას;
3. ოპერაციული პრობლემებისა და აქტივობების კოორდინირებისთვის ინჟინრებთან და ტექნიკურ პერსონალთან, სხვა დეპარტამენტებსა და კონტრაქტორებთან მუშაობას;
4. სამთომოპოვებისა და მაღაროს ოპერაციებზე მენეჯერებისათვის შესაბამისი ანგარიშებისა და სხვა ინფორმაციის შექმნას;
5. სამთო-მოპოვებითი ოპერაციებისთვის პერსონალის აყვანისა და მატერიალური საჭიროებების განსაზღვრას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მაღაროს ხელმძღვანელის მოადგილე;
- მაღაროს ზედამხედველი;
- კარიერის ზედამხედველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სამთომოპოვების ინჟინერი – 1322;
- სამთომოპოვების ინსპექტორი – 3117;
- სამთომოპოვების მუშა – 8111;
- კარიერის მუშა – 8111.

3122 ჯგუფური ერთეული
წარმოების ზედამხედველები

წარმოების ზედამხედველები მართავენ და ზედამხედველობენ ტექნიკოსებს, მენქანა-დანადგარების ოპერატორებს, ამწყობებსა და წარმოების სხვა მუშებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ტექნიკოსების, მანქანა-დანადგარების, ამწყობებისა და წარმოების სხვა მუშების მართვასა და ზედამხედველობას;
2. ყოველდღიური სამუშაოების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
3. ხარჯთაღრიცხვისა და სამუშაო მოხსენებების წარმოებას;
4. ადამიანური და მატერიალური რესურსების მონიტორინგს;
5. მუშების უსაფრთხოების დაცვას;
6. ახალი მუშებისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- უბნის კოორდინატორი;
- ჯგუფის ზედამხედველი;
- წარმოების ზედამხედველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- წარმოების ზედამხედველი – 1321.

3123 ჯგუფური ერთეული
შენობა-ნაგებობების ზედამხედველები

შენობა-ნაგებობების ზედამხედველები ხელმძღვანელობენ და გეგმავენ შენობა-ნაგებობების გამრემონტებელი მუშების სამუშაო გრაფიკსა და აქტივობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შენობა-ნაგებობების მშენებლობის სპეციფიკაციების განსაზღვრასა და სამუშაოების დაგეგმვას;
2. მშენებლობისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებასა და მართვას;
3. სამუშაო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას;
4. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი პირობების დასაცავად შესაბამისი აღჭურვილობის მონიტორინგს;
5. მშენებლობის ნაწილების ზედამხედველობასა და სამუშაოს მართვას;
6. ხელოსნების ზედამხედველობას, აგრეთვე, სხვა შენობა-ნაგებობაში მომუშავე მუშების მონიტორინგს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- შენობა-ნაგებობის მშენებლობის ზედამხედველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- შენობა-ნაგებობის პროექტის მენეჯერი – 1323;
- პროექტის მშენებელი – 1323;
- წარმოების ზედამხედველები – 3112.

313 მცირე ჯგუფი
პროცესის კონტროლის სპეციალისტები

პროცესის კონტროლის სპეციალისტები მართავენ და ამოწმებენ კომპიუტერიზებულ საკონტროლო სისტემებსა და მრავალფუნქციურ დანადგარებს. მათი საქმიანობა ძირითადად მოიცავს ელექტრული ძაბვის წარმოქმნისა და განაწილების ხელშეწყობას, აგრეთვე, ქიმიურ, ნავთობ და მეტალურგიულ საქმიანობებთან დაკავშირებულ წარმოებების მართვას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ცენტრალური საკონტროლო პუნქტიდან კომპიუტერიზებული და ელექტრონული ოპერაციული სისტემების მართვასა და გაუმჯობესებას; სისტემის ჩართვა-გამორთვას, გრაფიკებისა და მოხსენებების ანალიზს; სისტემასთან დაკავშირებულ ხარვეზებისა და პრობლემების ანალიზსა და აღმოფხვრას, აგრეთვე, სისტემასთან მომუშავე მუშების ხელმძღვანელობასა და მონიტორინგს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3131 ენერგოსაწარმოების ოპერატორები;
3132 ნაგავსაწვავი სადგურისა და წყლის გამწმენდი ქარხნების ოპერატორები;
3133 ქიმიური დამუშავების საწარმოს კონტროლიორები;
3134 ბენზინისა და ბუნებრივი აირის გამწმენდი საწარმოს ოპერატორები;
3135 მეტალის დასამუშავებელი საწარმოს კონტროლიორები;
3139 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი პროცესის კონტროლის სპეციალისტები.

3131 ჯგუფური ერთეული
ენერგოსაწარმოების ოპერატორები

ენერგოსაწარმოების ოპერატორები ელექტროენერგიის მაკონტროლებელ ცენტრებში, რომლებიც აკონტროლებენ ელექტრო ან სხვა ტიპის ენერგიის საწარმოებელ და გამანაწილებელ ქსელებში მართავენ, ზედამხედველობენ და ინარჩუნებენ გამანაწილებლებსა და მათთან დაკავშირებულ აღჭურვილობებს.

ელექტროენერგოსადგურებში გამოსაყენებელი აღჭურვილობებია: რეაქტორები, ტურბინები, გენერატორები და სხვა დამხმარე მოწყობილობები.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა ტიპის ენერგოსაწარმოების გამოყენებას, დაკვირვებასა და შემოწმებას;
2. ენერგოსაწარმოების სისტემების გამოყენებასა და კონტროლს, აგრეთვე, მადუღარების, ტურბინების, გენერატორების, კონდენსატორების, ჰიდრორეაქტორების, თერმულის, ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ატომური ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოებასა და განაწილებას;
3. ელექტროსადგურის ჩართვა-გამორთვის აღჭურვილობისა და გადართვის ოპერაციების კონტროლს, წყლის დონის დარეგულირებას, აგრეთვე, გადაცემის დასატვირთად, ხშირი და ხაზოვანი ძაბვის დასარეგულირებლად და სამართავად სისტემურ ოპერატორებთან კომუნიკაციას;
4. კონკრეტულ ინტერვალში სქემების, მეტრებისა და წამზომების წაკითხვას, აგრეთვე, შესაბამისი მაკორექტირებელი ზომების მიღებას;
5. სადგურის ჩანაწერების, ჟურნალებისა და ანგარიშების შენარჩუნებას, აგრეთვე, აღჭურვილობის გამოყენების სტატუსის შესაფასებლად სხვა სადგურების პერსონალთან კომუნიკაციას;
6. აღჭურვილობის გაფუჭება-განადგურების თავიდან ასაცილებლად მადუღარის, კონდენსატორის, გენერატორისა და ტურბინების გასუფთავება-შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- განაწილების მაკონტროლებელი;
- ელექტროენერგიის სადგურის ოპერატორი;
- გენერირებადი სადგურის ოპერატორი;
- ჰიდროელექტრო სადგურის ოპერატორი;
- ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი;
- ენერგოსისტემის ოპერატორი;
- მზის ელექტროსადგურის ოპერატორი.

3132 ჯგუფური ერთეული
ნაგავსაწვავი სადგურისა და წყლის გამწმენდი ქარხნების ოპერატორები

ნაგავსაწვავი სადგურისა და წყლის გამწმენდი ქარხნების ოპერატორები კანალიზაციისა და ნარჩენების გასაწმენდად, წყლის გასასუფთავებლად და დასარეგულირებლად მყარი და თხევადი ნარჩენენების გადამამუშავებელ სადგურებში მართავენ და ამოწმებენ კომპიუტერიზებულ სისტემებსა და მსგავს აღჭურვილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კანალიზაციისა და ნარჩენების გასაწმენდად, წყლის გასასუფთავებლად და გასანაწილებლად, სისტემებში ბუნებრივი წყლის მოხმარებისა და შემდგომში ხელმისაწვდომობისთვის წყლის ნარჩენების გადამამუშავებელ სადგურებში

კომპიუტერიზებული მაკონტროლებელი სისტემის, მანქანებისა და მსგავსი აღჭურვილობის მონიტორინგს;
2. შესაბამის სადგურებში მყარი ნარჩენის დასაწვავად მრავალმხრივი კერის ინსინერატორ-ღუმელის კონტროლსა და გამოყენებას;
3. დატვირთვის გამოსავლენად ცენტრალურ ოთახებში აღჭურვილობის, ფილტრების, ჩამრთველების, ქლორატორების შემოწმებასა და არსებული მდგომარეობის მონიტორინგს, აგრეთვე, არსებული ტემპერატურის, წნევისა და ნაკადების მოთხოვნილ სპეციფიკაციებთან შესაბამისობის განსაზღვრას;
4. დამხმარე აღჭურვილობის მონიტორინგსა და რეგულირებას;
5. ქიმიური და ბაქტერიული კონტენტის დასადგენად, სატესტო მოწყობილობებისა და ფერადი ანალიზისთვის წყლის ნიმუშების შეგროვებასა და ტესტირებას;
6. აღჭურვილობის სისტემური დეზინფექციისთვის ტესტის ანალიზს;
7. უსაფრთხოების კონტროლს;
8. სადგურის ანგარიშების შედგენასა და ანალიზს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ნაგავსაწვავი სადგურის ოპერატორი
- თხევადი ნარჩენის პროცესის ოპერატორი;
- საკანალიზაციო სისტემის ოპერატორი;
- წყლის ნარჩენების ოპერატორი.

3133 ჯგუფური ერთეული
ქიმიური საწარმოების კონტროლიორები

ქიმიური საწარმოების კონტროლიორბი გამოიყენებნ და ზედამხედველობენ ქიმიურ საწარმოებსა და მასთან დაკავშირებულ მრავალფუნქციურ დანადგარებს. აგრეთვე, ამუშავებენ ქიმიური ნაერთების დასამუშავებელ და გასასუფთავებელ დანადგარებსა და აღჭურვილობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ელექტრონულ და კომპიუტერულ სამართავ პანელებთან მუშაობას, ფიზიკური და ქიმიური პროცესების მონიტორინგსა და მართვას;
2. წარმოებისთვის საჭირო აპარატურისა და აღჭურვილობის მართვას;
3. საწარმოო პროცესის კონტროლს, ნედლეულის რაოდენობის აღრიცხვასა და მონიტორინგს;
4. საწარმოო პროცესის დაწყება-დასრულების, აგრეთვე, ხარვეზებისა და აპარატურის მონიტორინგს;
5. საწარმოო აპარატურის წესრიგში მოყვანას, აპარატურის ტექნიკური ტესტირების ჩატარებას;
6. პროდუქციის ანალიზის გაკეთება და ასევე მიმდინარე საწარმოო ინფორმაციის ანალიზი.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქიმიური ნარჩენების დამყოფი;
- ქიმიკოს-ტექნიკოსი;
- ქიმიური რეაქტორის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბენზინისა და ბუნებრივი აირის გასაწმენდი დანადგარების ოპერატორები – 3134;
- ქიმიური პროდუქტების საწარმოსა და დანადგარების ოპერატორი – 8131.

3134 ჯგუფური ერთეული
ნავთობისა და ბუნებრივი აირის გასაწმენდი დანადგარების ოპერატორები

ნავთობისა და ბუნებრივი აირის გასაწმენდი დანადგარების ოპერატორები მართავენ და ამოწმებენ დანადგარებს, აგრეთვე, არეგულირებენ და ინარჩუნებენ ნავთობის, ნავთობზე დაფუძნებული პროდუქტებისა და მეორეული პროდუქტების, ან ბუნებრივ გაზის გასაწმენდ, გამოსახდელ და გადამმუშავებელ ერთეულებსა და აღჭურვილობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცენტრალური კონტროლის ოთახიდან ფიზიკური და ქიმიური პროცესების შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად რამდენიმე გადამმუშავებელი ერთეულის ელექტრონული ან კომპიუტერიზებული საკონტროლო პანელების მართვას;
2. გამმართველი მოწყობილობების, სარქველების, ტუმბოების კონტროლსა და ამუშავებას;
3. პროცესის დაწყება-დასრულების კონტროლს, გარე პროცესის მოწყობილობის დიაგნოსტიკასა და მონიტორინგს;
4. გაუმართაობაზე მოწყობილობის შემოწმებას, აგრეთვე, გაჟონვასა და ბზარებზე მილების ტესტირებასა და ექსპლუატაციისათვის წესრიგში მოყვანას;
5. პროდუქტის ნიმუშების გაანალიზებას, ტესტების ჩატარებას, მონაცემების ჩაწერასა და ჟურნალის წარმოებას;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბლენდერის ოპერატორი (ნავთობის და ბუნებრივი აირის გადამუშავება);
- გაზის დანადგარის ოპერატორი;
- პარაფინის დანადგარის ოპერატორი;
- ნავთის დანადგარის ოპერატორი;
- გადამუშავების ტექნიკოსი;
- სახდელის ოპერატორი (ნავთობისა და ბუნებრივი აირის გადამუშავება).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქიმიური დამამუშავებელი დანადგარის კონტროლიორი – 3133;

- ქიმიური პროდუქციის მანქანა-დანადგარის ოპერატორი – 8131.

3135 ჯგუფური ერთეული
ლითონის დამმუშავებელი დანადგარების კონტროლიორები

ლითონის დამმუშავებელი დანადგარების კონტროლიორები რკინის კონვერტაციის, ღუმელების მუშაობის, ლითონის მოძრავი ქარხნების, ლითონის სითბოს დამმუშავებელი ან ლითონის ექსტრუზიის მექანიზმების გასაკონტროლებლად მართავენ და ამოწმებენ მრავალფუნქციური პროცესის მექანიზმებსა და მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცენტრალური კონტროლის ოთახიდან კონტროლის პანელებში, კომპიუტერული ტერმინალებსა და სხვა სისტემებში ლითონის დამუშავების სპეციალური ოპერაციის მართვასა და მონიტორინგს;
2. გასალესი, გასაფილტრი, გასადნობი, გასათბობი, შესაკეთებელი, გასაწმენი ანდა ლითონის სხვაგვარად დასამუშავებელი მრავალფუნქციური მანქანების კონტროლს;
3. კომპიუტერული ამონაბეჭდების დაკვირვებას, ვიდეომონიტორებისა და ხელსაწყოების განსაზღვრული დასამუშავებელი პირობების გადამოწმებასა და საჭირო კორექტირებების შეტანას;
4. მანქანისა და პროცესის ოპერატორების, თანაშემწეებისა და დამხმარეების მართვასა და ზედამხედველობას;
5. გადაუდებელ შემთხვევებში გრაფიკის მოთხოვნისამებრ წარმოების სისტემის დაწყებასა და გამორთვას;
6. დასაქმებულებისათვის ტრენინგების ორგანიზებასა და მართვას;
7. მონაცემების ჟურნალების წარმოებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე, სხვა ანგარიშების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ასაფეთქებელი ღუმელის ოპერატორი;
- ცენტრალური ჩამომსხმელ-კონტროლიორი;
- მოძრავი საწარმოს ოპერატორ-კონტროლიორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ჩამჩით ჩამსხმელი – 8121;
- ფოლადის მგლინავი – 8121;
- ლითონის დამსრულებელი მანქანის ოპერატორი – 8122.

3139 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი პროცესის კონტროლის სპეციალისტები

ჯგუფური ერთეული მოიცავს 313 მცირე ჯგუფს – პროცესის მაკონტროლებელი სპეციალისტები მიუკუთვნებელ ტექნიკოსებს, მაგ., ჯგუფური ერთეული მოიცავს ასამბლეის ხაზებში მრავალჯერადი დამუშავების კონტროლის მოწყობილობის, ქაღალდისა და ცელულოზის წარმოების მმართველებს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავტომატური ასამბლეის ხაზის ოპერატორი;
- სამრეწველო რობოტ-კონტროლიორი;
- პანელის დაფის ოპერატორი (ცელულობა და ქაღალდი);
- ქაღალდის გადამუშავების ოპერატორი;
- პულპის კონტროლირ-ოპერატორი;
- პულპის ტექნიკოსი.

<u>შენიშვნა:</u>

ყველა სამთო-მოპოვებითი დანადგარის ოპერატორი კლასიფიცირებულია 8111 ჯგუფურ ერთეულში – მემაღაროები და კარიერის მუშები.

<u>314 მცირე ჯგუფი</u>
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ტექნიკოსები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ტექნიკოსები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების (მაგ.: ბიოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, ბიოქიმიის, მიწათმოქმედების, მეთევზეობისა და მეტყევეობის) პროფესიონალების მხარდამჭერ კვლევებში, განვითარებაში, მენეჯმენტში, ნამუშევრის კონსერვაციასა და დაცვაში ასრულებენ სხვადასხვა ტექნიკურ დავალებებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ტესტირების, ექსპერიმენტების ჩატარებას, ლაბორატორიულ ანალიზს, სფეროს კვლევასა და ინფორმაციის შესაგროვებლად მიღებული სამეცნიერო მეთოდებით გამოკვლევას; ჩანაწერების შენახვას; მონაცემების ანალიზში დახმარებას, აგრეთვე, ანგარიშების მომზადებას, მოწყობილობის მართვა-შენარჩუნებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

3141 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ტექნიკოსები (გარდა სამედიცინო სფეროსი);
3142 სოფლის მეურნეობის სფეროს ტექნიკოსები;
3143 მეტყევეობის სფეროს ტექნიკოსები.

<u>3141 ჯგუფური ერთეული</u>
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ტექნიკოსები (გარდა სამედიცინო სფეროსი)

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ტექნიკოსები (გარდა სამედიცინო სფეროსი) ტექნიკურად ეხმარებიან სიცოცხლის შემსწავლელი პროფესიონალებს, ბუნებრივი რესურსის მენეჯმენტში, გარემოს დაცვაში, მცენარისა და ცხოველის ბიოლოგიაში, მიკრობიოლოგიაში, უჯრედსა და მოლეკულარულ ბიოლოგიაში ატარებენ კვლევებს, ანალიზსა და ცოცხალი ორგანიზმების ტესტირებას, პროდუქტების განვითარებასა და მოხმარებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დიზაინში, რეგულირებასა და ექსპერიმენტების ჩატარებაში დახმარებას;
2. ლაბორატორიული ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის რეგულირებას, დაკალიბრებას, წარმოებასა და შენარჩუნებას;
3. ეგზემპლიარებისა და ნიმუშების შეგროვება-მომზადებას, ქიმიური ამონახსნებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებლად კულტურების გაზრდას;
4. რუტინული სფეროსა და ლაბორატორიული ტესტების წარმოდგენას;
5. გადაბმულობის უზრუნველსაყოფად, ლაბორატორიული ხარისხის კონტროლის პროცედურების შესასწორებლად ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გზამკვლევების ექსპერიმენტების მონიტორინგს;
6. შესაბამისი სამეცნიერო მეთოდებით ტესტებზე დაკვირვებებასა და გაანალიზებას, გამოთვლას, ტესტის შედეგების ჩაწერასა და ანგარიშის მომზადებას;
7. ნიმუშებისა და მაგალითების შენახვას, დაჯგუფებასა და კატალოგიზაციას;
8. შესრულებული სამუშაოს დეტალური აღრიცხვის ჟურნალში შენახვას;
9. მოდელების გასავითარებლად და მონაცემთა ანალიზისათვის კომპიუტერების გამოყენებას;
10. სამუშაოს შესასრულებლადკ ომპლექსური და მძლავრი აღჭურვილობის შენახვას;
11. კვლევაში მონაწილეობას, პროდუქტების და პროცესების განვითარებასა და წარმოებას;
12. ლაბორატორიული მარაგის შეკვეთასა და შენახვას;
13. საჭირო მონაცემთა ბაზების შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბაქტერიოლოგ-ტექნიკოსი
- ბიოქიმიკოს-ტექნიკოსი;
- ჰერბარიუმის ტექნიკოსი.
- ფარმაკოლოგ-ტექნიკოსი;
- სეროლოგ-ტექნიკოსი;
- ქსოვილის კულტურის ტექნიკოსი;
- ზოოტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სასამართლო მეცნიერების ტექნიკოსი – 3119;
- მედიცინის ლაბორატორიის ტექნიკოსი – 3212;
- პათოლოგიის ლაბორატორიის ტექნიკოსი – 3212;
- ფარმაცევტ-ტექნიკოსი – 3213

3142 ჯგუფური ერთეული
სოფლისმეურნეობის ტექნიკოსები

სოფლისმეურნეობის ტექნიკოსები ატარებენ ტესტირებებსა და ექსპერიმენტებს, ტექნიკურ და სამეცნიერო საქმიანობაში მხარს უჭერენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებს, ფერმერებსა და ფერმის მენეჯერებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ექსპერიმენტებისთვის, ტესტირებისა და ანალიზებისთვის მასალებისა და დანადგარების მომზადებას;
2. ცდებისთვის, ტესტირებისა და ანალიზებისთვის ნივთიერებების (მაგ.: მიწის, მცენარეების, ცხოველური ქსოვილებისა და მათი ორგანიების) შეგროვებასა და მომზადებას;
3. დანადგარებით (მაგ.: მიკროსკოპით, ჰისტოქიმიით, ქრომატოგრაფითა და სპექტოსკოპით) ტესტებისა და ანალიზების ექსპერიმენტების ჩატარებაში დახმარებას;
4. პათოგენური მიკროორგანიზმებისა და მწერების, პარაზიტების, მცენარეებისა და ცხოველებისათვის სახიფათო სოკოებისა და ბალახების გამოვლენას;
5. ხარისხისა და სტანდარტის ანალიზს, მის დაწესებასა და შენარჩუნებას;
6. საოპერაციო პროგრამების (მაგ.: თევზის ინკუბატორის, სათბურის და მეცხოველეობის წარმოების) განხორციელებასა და ზედამხედველობას;
7. ხარისხზე, სისუფთავესა და აღმოცენების მაჩვენებელზე თესლების ნიმუშების ანალიზს;
8. პროექტისათვის საჭირო მასალების, სამუშაო ძალის, მათი რაოდენობისა და ფასის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას;
9. კვლევითი აპარატურის შენახვისა და შეკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- რძის პროდუქტების ტექნიკოსი;
- მინდვრის მოსავლის ტექნიკოსი;
- ნახირის ტესტერი;
- მებაღეობის ტექნიკოსი;
- მეფრინველეობის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხელოვნური გამნაყოფიერებელი – 3240;
- ვეტერინარ-ტექნიკოსი – 3240.

3143 ჯგუფური ერთეული
ტყის ტექნიკოსები

ტყის ტექნიკოსები ასრულებენ ტყის კვლევასა და მართვასთან, მოსავლის აღებასთან, რესურსების კონსერვაციასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და ზედამხედველობით სამუშაოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ტყის აღჭურვილობის, გამოკითხვებისა და საველე სამუშაოების ჩატარებით სამეცნიერო და საოპერაციო პროცედურების ჩატარებას;
2. ფოტოგრამეტრის, რუკის ტექნიკითა და კომპიუტერიზირებული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით ტყის მართვასა და მოსავლის აღებაში დახმარებას, აგრეთვე, ტექნიკური სამუშაოების შესრულებას;
3. მისასვლელი და ტყის გზების დაგეგმვის ზედამხედველობასა და კონსტრუირებას;
4. სატყეო ოპერაციებში ტექნიკური ფუნქციების დანერგვას, ზედამხედველობასა და განხორციელებას;
5. ადგილის მომზადებას, დარგვასა და მოვლას;
6. საკომერციო დანიშნულებისთვის ხე-ტყის მასალების სკალირებას, ტყის ხანძრის ჩახშობას, დაავადებათა და მწერების კონტროლს ან ხეების გამოხშირვას;
7. ხე-ტყის დამზადების ზედამხედველობასა და ტექნიკური ფუნქციების შესრულებას;
8. გარემოს დასაცვად, რესურსების გამოსაყენებლად, სახანძრო უსაფრთხოებისა და უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად რეგულაციებისა და პოლიტიკის ერთგულებას;
9. ტყეების მოვლა-ზედამხედველობას;
10. ტყის კვლევითი პროგრამების ტექნიკური მხარდაჭერას;
11. ტყის კულტივაციისათვის და ხეების მოსაჭრელად მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ტყის ტექნიკოსი;
- ტყის-მართვის ტექნიკოსი.

<u>315 მცირე ჯგუფი</u>
გემისა და საჰაერო ხომალდების კონტროლიორები და ტექნიკოსები

გემისა და საჰაერო ხომალდების კონტროლიორები და ტექნიკოსები ხელმძღვანელობენ და მართავენ გემებსა და საჰაერო ხომალდებს; უსაფრთხოებისა და ეფექტურად გადაადგილება-გამოყენების უზრუნველსაყოფად ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს; ავითარებენ ელექტონულ, კომპიუტერიზირებულ და ელექტრომართვის სისტემებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგ: გემებისა და საჰაერო ხომალდების ბორტზე მექანიკური, ელექტრო და ელექტრონული აღჭურვილობის საოპერაციო კონტროლს; გემებისა და საჰაერო ხომალდების ხელმძღვანელობას, ნავიგაციასა და მართვას; ელექტრონული, ელექტრო და კომპიუტერიზირებული საჰაერო სისტემების კონტროლს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3151 გემის ინჟინრები;

3152 გემბანების ოფიცრები და პილოტები;

3153 საჰაერო ხომალდის პილოტები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები;

3154 საჰაერო მიმოსვლის კონტროლიორები;

3155 საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების ელექტროტექნიკოსები;

3151 ჯგუფური ერთეული
გემის ინჟინრები

ხმელეთზე ყოფნის დროს გემის ინჟინრები აკონტროლებენ და მონაწილეობენ მექანიკურ, ელექტრო და ელექტრონულ, აგრეთვე, გემზე არსებული სხვა აღჭურვილობის მოვლა-შეკეთების სამუშაოებში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხმელეთზე ყოფნის დროს მექანიკური, ელექტრო და ელექტრონული და გემზე არსებული სხვა აღჭურვილობის მოვლა-შეკეთების სამუშაოების კონტროლსა და შესრულებას.
2. საწვავისა და საინჟინრო ოთახისათვის საჭირო სხვა მასალების შეკვეთასა და შესაბამისი ოპერაციების ჩანაწერების შენახვას;
3. გემზე საჭირო აღჭურვილობის დამონტაჟებას, მოვლა-შეკეთების ტექნიკური ზედამხედველობისას შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტების დაცვას;
4. ძრავის, სამანქანო განყოფილებისა და დამხმარე აღჭურვილობის გეგმიურ და დაუგეგმავ ინსპექტირებასა და მოვლას;
5. გაჩერებული ძრავის, სამანქანო განყოფილებისა და დამხმარე აღჭურვილობის მეთვალყურეობასა და შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- გემის ინჟინერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიაა:

- საზღვაო ინჟინრები – 2144.

3152 ჯგუფური ერთეული
გემბანების ოფიცრები და პილოტები

გემბანების ოფიცრები და პილოტები გასცესმენ ბრძანებებს, მართავენ გემებსა და მსგავს ხომალდებს, აგრეთვე, ნაპირზე ასრულებენ მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამუშაებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. განკარგულებების გაცემას, ზღვაში ან შიდა სანაოსნო გზებზე გემებისა და მსგავსი ხომალდების მართვას;
2. გემბანისა ან ხიდის ზედამხედველობასა და კონტროლს;
3. პორტის, არხის, სრუტის შიგნით თუ გარეთ ან სპეციალური სავალდებულო საზღვაოსნო განათლება მოთხოვნის ადგილზე ხომალდების მართვას;
4. ტვირთვის დატვირთვისა ან გადატვირთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, აგრეთვე, გემის ეკიპაჟისა და მგზავრების უსაფრთხოებისთვის ნორმებისა და პროცედურების დაცვას;
5. ტექნიკურ პირობებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ხომალდების ზედამხედველობას;
6. გემების ფუნქციონირებასა და მართვაში პრობლემის გამოსავლენად და გადასაჭრელად თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას;
7. გემბანზე საწყობის მოწესრიგებას, გემის ეკიპაჟის სავალდებულო საქმიანობაში ჩართვასა და განხორციელებულ ოპერაციებზე მონაცემების შეგროვებას;
8. პორტებისა და სხვა გემების შესახებ რუტინული და სასაწრაფო ინფორმაციის მიღება-გაგზავნას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პილოტები (გემის);
- გემის კაპიტნები;
- შკიპერები (იახტის).

სხვა ჯგუფურ ერთეულს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სანაპიროზე თევზსაჭერი გემის კაპიტანი – 6222;
- ნაღმკრები თევზსაჭერი გემის კაპიტანი – 6223;
- მეზღვაურები – 8350.

<u>3153 ჯგუფური ერთეული</u>
საჰაერო ხომალდის პილოტები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები

საჰაერო ხომალდის პილოტები და მასთან დაკავშირებული პროფესიონალები მგზავრების, საკვებისა ან ტვირთის ტრანსპორტირებისთვის მართავენ საჰაერო ხომალდებს, აგრეთვე, გაფრენამდე ან გაფრენის შემდგომ სამუშაოებთან დაკავშირებული დავალებების შესასრულებლად ამოწმებენ მექანიკურ, ელექტრონულ და ელექტრონულ აღჭურვილობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გაფრენასა და შესაბამისი წესებისა და გარკვეული პროცედურების დაცვით საჰაერო ხომალდის მართვას;
2. თვითმფრინავის მომზადებასა და სტანდარტული ასაფრენი სექტორის შემოწმებას;
3. ინსტუმენტების მუშაობისა და შესაბამისობის შესამოწმებლად მექანიკური, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკურ შემოწმებას;

4. საჰაერო ხომალდების ფუნქციონირებისა და მართვის პრობლემის გამოსავლენად და გადასაჭრელად თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას;
5. თვითმფრინავის ძრავის გამართულად მუშაობაში დასარწმუნებლად აგრეთვე, სარემონტო მომსახურებასა და ყველა მოწყობილობის ფუნქციონირების შემოწმებასა და მონაცემების შეგროვებას;
6. აუცილებელი სერტიფიკატების ხელმოწერასა და ფრენებზე ოფიციალური ჩანაწერების მოპოვებას;
7. ფრენამდე ინსტრუქტაჟისა და შემოწმების მიღებას, აგრეთვე, ავიადისპეტჩერთან კონტაქტის დამყარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საჰაერო ინჟინერი;
- საჰაერო ინსტრუქტორი;
- ნავიგატორი (ფრენის);
- პილოტი (თვითმფრინავის).

3154 ჯგუფური ერთეული
საჰაერო მიმოსვლის კონტროლიორები

საჰაერო მიმოსვლის კონტროლიორები რადიოს, რადარისა და სანათი სისტემების გამოყენებითცამისამართებენ საჰაერო ხომალდების გადაადგილებას, აგრეთვე, უზრუნველყოფენ საჰაერო ხომალდის მართვისთვის საჭირო საინფომაციო მხარდაჭერას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. აეროპორტს მოახლოებული და გასაფრენად გამზადებული საჰაერო ხომალდებისათვის მიმართულების მიცემასა და კონტროლს;
2. მოცემულ საჰაერო სივრცეში მყოფი საჰაერო ხომალდების მართვასა და კონტროლს;
3. გაფრენის გრაფიკების შესწავლასა და დამტკიცებას;
4. ამინდზე, საოპერაციო მოწყობილობებზე, ფრენის გეგმებსა და საჰაერო მოძრაობაზე ეკიპაჟისა და თანამშრომლების ინფორმირებას;
5. პირადი ცოდნითა და გამოცდილებით სამუშაო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას;
6. სასწრაფო, სამძებრო და სამაშველო მომსახურებისა და პროცედურების ინიცირებასა და ორგანიზებას;
7. ყველა საფრენი ხომალდისა და მომსახურე მანქანების ასაფრენ-დასაფრენ ბილიკსა ან მის გვერდით მართვას;
8. მომიჯნავე მართვის კოშკთან, ტერმინალსა და კონტროლის სხვა ცენტრებთან რადიო და სატელეფონო კონტაქტის უზრუნველყოფას, აგრეთვე, საჰაერო ხომალდების მოძრაობის მართვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- საჰაერო მოძრაობის კონტროლიორი.

3155 ჯგუფური ერთეული
საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების ელექტროტექნიკოსები

საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების ელექტროტექნიკოსები აკონტროლებენ საჰაერო მოძრაობასა და ნავიგაციის სისტემებს (მაგ.: დიზაინის, დამონტაჟების, მართვის, ოპერირების, მოვლის და შეკეთების ტექნიკურ დავალებებს).

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ელექტრონული და კომპიუტერიზირებული საჰაერო ნავიგაციის სისტემებისა და მოწყობილობების, აგრეთვე, სატესტო პროტოტიპების განვითარებასთან დაკავშირებული ტექნიკური მოვალეობების შესულებას;
2. საჰაერო ნავიგაციისა და ხომალდების აღმოსაჩენი სისტემების შესაქმნელად/გასაუმჯობესებლად ტექნიკურ დახმარებას;
3. მოძრაობის კონტროლისა და უსაფრთხოების მოწყობილობების ტექნიკურ მომზადებასა და შესაბამის ინსტრუქტაჟს;
4. სისტემების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სისტემების განვითარებასა და მოდიფიკაციას;
5. მუშებისათვის ტექნიკური ტრენინგების ჩატარებასა და მათ ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების ინჟინრები;
- საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების ტექნიკოსები.

სხვა ჯგუფურ ერთეულს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- აერონავტიკის ინჟინრები – 2144;
- ელექტროინჟინრები – 2152;
- აერომექანიკოსები – 7232;
- საჰარო ხომალდის ინჟინრები (ავიონიკა);
- ავიონიკის ტექნიკოსები – 7421.

32 ქვეჯგუფი
ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები

ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები ტექნიკური და პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით სამედიცინო, ვეტერინარული, საექთნო და სხვა სპეციალისტების მიერ დადგენილი ჯანდაცვის, მკურნალობითა და რეფერალური გეგმების დანერგვით ხელს უწყობენ დაავადებების, ავადმყოფობის, დაზიანებისა და ჯანმრთელობის დარღვევების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას ადამიანებსა და ცხოველებში. აღნიშნული ქვეჯგუფის პროფესიათა უმრავლესობის შემთხვევაში დაკისრებული ვალდებულებების კომპეტენტურად შესრულება მოითხოვს ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონეს.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სამედიცინო რენტგენული დანადგარების ტესტირებასა და ოპერირებას, აგრეთვე, რადიაციული თერაპიის ადმინისტრირებას; სხეულის სითხეებსა და ქსოვილების ნიმუშებზე კლინიკური ტესტების ჩატარებას; ფარმაცევტის ხელმძღვანელობით მედიკამენტებისა და სხვა ფარმაცევტული ნაერთების მომზადებას; სამედიცინო და სტომატოლოგიური დანადგარებისა და მოწყობილობების დიზაინს, ინსტალაციას, მომსახურებასა და შეკეთებას; საექთნო და ინდივიდუალურ მოვლასა და სამეანო მომსახურებას; კონკრეტული კულტურებიდან გამომდინარე თეორიების, რწმენისა და გამოცდილების საფუძველზე მცენარეული და სხვა თერაპიების გამოყენებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

321 სამედიცინო და სააფთიაქო სფეროს სპეციალისტები;
322 საექთნო და სამეანო სფეროსთან პროფესიონალები;
323 ტრადიციულ და არატრადიციულ სამედიცინო სფეროსთან პროფესიონალები;
324 ვეტერინარიის სპეციალისტი და დამხმარე პერსონალი;
325 ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალები.

321 მცირე ჯგუფი
სამედიცინო და სააფთიაქო სფეროს სპეციალისტები

სამედიცინო და სააფთიაქო სფეროს სპეციალისტები ასრულებენ დაავადებების, ავადმყოფობის, დაზიანებებისა და დარღვევების დიაგნოსტირებისა და მკურნალობისკენ მიმართული ტექნიკურ სამუშაოს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: რადიოგრაფიული, ოლტრასონოგრაფიული და სხვა სამედიცინო რენტგენული მოწყობილობების ტესტირება და ოპერირება; რადიოფარმაცევტული ან რადიაციული დანადგარების პაციენტების დაავადებების დადგენისა თუ მათი მკურნალობის მიზნით გამოყენება; სხეულის სითხეებისა და ქსოვილების ნიმუშებზე კლინიკური ტესტების ჩატარება; მედიკამენტებისა და სხვა ფარმაცევტული ნაერთების მომზადება ფარმაცევტების ხელმძღვანელობის ქვეშ; სამედიცინო

და სტომატოლოგიური დანადგარებისა და მოწყობილობების დიზაინი, ინსტალაცია, მომსახურება და შეკეთება.

წინამდებარე მცირე ჯგუფში შემავალი პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3211 რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის სპეციალისტი;
3212 სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის სპეციალისტი;
3213 ფარმაცევტ-სპეციალისტები და ასისტენტები;
3214 სამედიცინო და სტომატოლოგიური პროთეზის სპეციალისტი.

3211 ჯგუფური ერთეული
რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები

რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები ცდიან და ამუშავებენ რადიოგრაფიულ, ულტრასონოგრაფიულ და სხვა სამედიცინო რენტგენულ დანადგარებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხეულის სტრუქტურების ფოტოები დაზიანებების, დაავადებისა და სხვა დარღვევების დიაგნოსტირებისა და მკურნალობის მიზნით. მათ შესაძლებელია, გაუწიონ ადმინისტრირება პაციენტთა რადიაციულ მკურნალობას რადიოლოგისა თუ ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალის ზედამხედველობის ქვეშ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დიაგნოსტიკური მიზნებისთვის სხეულის ფოტოების უზრუნველსაყოფად რადიოლოგიური, ულტრასონოგრაფიული და მაგნიტურ-რენტგენული დანადგარების ფუნციონირებას ან მათი ფუნქციონირების ზედამხედველობას;
2. პაციენტებისთვის პროცედურების ახსნას, მათზე დაკვირვებასა და მათი დიაგნოსტირებისთვის მომზადებას, ასევე, კვლევის, სკანირებისა თუ მკურნალობის პროცესში უსაფრთხოების დასაცავად და კომფორტის შესაქმნელად დამცავი მექანიზმების გამოყენებას;
3. ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად რენტგენული ან სამკურნალო დანადგარების მომზადებას, ვიდეოს მონიტორინგს, პარამეტრებისა და მაკონტროლებელი ფუნქციების დარეგულირებას;
4. დიაგნოსტირებისთვის გამჟღავნებული რენტგენის შედეგების, ვიდეოჩანაწერებისა თუ კომპიუტერული ინფორმაციის გადახედვასა და შეფასებას, ასევე, შედეგების პროცედურების შესახებ მონაცემების შენახვას;
5. პაციენტთა მდგომარეობისა და რეაქციების მონიტორინგსა და პათოლოგიური ნიშნების შესახებ ინფორმაციის სამედიცინო პრაქტიკოსისთვის გაზიარებას;
6. სამედიცინო პრაქტიკოსის მიერ რეცეპტის გამოწერით, პაციენტების მიერ მიღებული და გამოყენებული რადიაციის დოზის ან რადიოფარმაცევტული ნივთიერებების გაზომვასა და მათ შესახებ ინფორმაციის შენახვას;
7. რადიოსკოპის, კამერის ან სხვა დანადგარების გამოყენებით დაავადებათა დიაგნოსტირებისა და მკურნალობის მიზნით რადიოფარმაცევტული ნივთიერებების

ან რადიაციის პაციენტთა სხეულში არსებობის ადმინისტრირებას, იდენტიფიცირებასა და ასახვას;

8. რადიოაქტიური მასალების შესახებ ინფორმაციის შენახვასა და მართვას, აგრეთვე, რადიაციული უსაფრთხოების პროცედურების დაცვით რადიოფარმაცევტული ნივთიერებების დასაწყობებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დიაგნოსტიკური რადიოგრაფი;
- მაგნიტურ-რეზონანსული რენტგენის სპეციალისტი;
- მამოგრაფი;
- რადიოლოგიის თერაპევტი;
- ბირთვული მედიცინის ტექნოლოგი;
- რადიოგრაფი;
- სონოგრაფი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სამედიცინო ინჟინერ-ტექნიკოსი – 2111;
- რადიოლოგი – 2212;
- რადიაციისგან დაცვის სპეციალისტი – 2263;
- რენტგენოლოგის თანაშემწე – 5329.

3212 ჯგუფური ერთეული
სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები

სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები ატარებენ კლინიკურ ტესტებს სხეულის სითხისა და ქსოვილების ნიმუშებზე პაციენტის ჯანმრთელობის ან მისი გარდაცვალების გამომწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხეულში ნორმალური და პათოლოგიური კომპონენტების არსებობის განსაზღვრად სისხლის, შარდისა და ზურგის სითხის ჩათვლითცსითხის ქიმიური ანალიზის ჩატარებას;
2. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის დროს გამოსაყენებელი - სპექტროფოტომეტრები, კალორიმეტრები, ფოტომეტები და კომპიუტერის მიერ კონტროლირებადი ტესტერები – დანადგარების შემოწმებასა და მოვლა-შენახვას;
3. ლაბორატორიული ტესტებიდან კლინიკური შედეგების მონაცემთა საარქივო სისტემებში გადატანას, სამედიცინო პრაქტიკოსებისთვისა და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებისთვის ანგარიშის წარდგენას;
4. ქიმიური შენაერთისა თუ რეაქციისთვის ბიოლოგიური მასალების ნიმუშების ანალიზს;
5. ლაბორატორიული დანადგარების ინსტალაციას, გაწმენდასა და მოვლა-შენახვას;

6. შედეგების სიზუსტის შესამოწმებლად ლაბორატორიული დასკვნების ანალიზს;
7. ლაბორატორიული შედეგების სისწორის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, ნიმუშების ანალიზისთვის პროცედურების, ტექნიკისა და ტესტების განვითარებას, სტანდარტიზაციისთვის, შეფასებისა და მოდიფიცირებისთვის გამოსაყენებელი პროგრამების შექმნასა და მონიტორინგს;
8. ნიმუშების მიღებასა და მიკროორგანიზმების ანალიზისთვის იზოლაციასა და იდენტიფიცირებას;
9. პათოლოგიების დასადგენად ლაქიანი უჯრედების შემოწმებას;
10. მომწიფებული კვერცხების, სითხის ან სხვა ბაქტერიოლოგიური მედიის ორგანიზმებთან შერწყმას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სისხლის ბანკის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები;
- ციტოლოგიის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები;
- სამედიცინო ლაბორატორიის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები;
- პათოლოგიური ლაბორატორიის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- პათოლოგანატომი – 2212;
- ექსპერტიზის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები – 3119;
- ვეტერინარიის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები – 3240;
- ფლებოტომისტი- 5329.

<u>3213 ჯგუფური ერთეული</u>
ფარმაცევტ-სპეციალისტები და ასისტენტები

ფარმაცევტ-სპეციალისტები და ასისტენტები ფარმაცევტების ან ჯანდაცვის სფეროს სხვა სპეციალისტების ზედამხედველობით სამედიცინო პროდუქტების განაწილებასთან დაკავშირებულ დავალებებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფარმაცევტებისა და ჯანდაცვის სფეროს სხვა სპეციალისტების ზედამხედველობით მედიკამენტებისა და სხვა ფარმაცევტული ნივთიერებების მომზადებას;
2. ექიმების, ვეტერინარების ან ჯანდაცვის სფეროს სხვა სპეციალისტების მიერ გამოწერილი მედიკამენტებისა და წამლების კლიენტებზე განაწილებას, აგრეთვე, მათ გამოყენებაზე წერილობითი და ზეპირი ინსტრუქციების ინფორმაციის გაცემას;
3. ჯანდაცვის სპეციალისტებისგან რეცეპტებისა და მედიკამენტების განმეორებით გაცემის შესახებ მოთხოვნების მიღებას, აგრეთვე, სამედიცინო ისტორიის საარქივო სტანდარტების შესაბამისობაში ინფორმაციის სისრულისა და სისწორის გადამოწმებას;
4. მედიკამენტებისთვის სათანადო დასაწყობებისა და უსაფრთხოების პირობების შექმნას;

5. რეცეპტით გაცემული მედიკამენტების კონტეინერების რეგისტრაციასა და ეტიკეტირებას;
6. მედიკამენტების ადგილმდებარეობის მითითების ან მედიკამენტთან დაკავშირებით ფარმაცევტთან რეფერირებით კლიენტების მომსახურებასა და პასუხების გაცემას;
7. რეცეპტის საფუძველზე ხელახლა გაცემული მედიკამენტების ფასების გაწერასა და მათ რეგისტრაციას, აგრეთვე, პაციენტთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული პაციენტის მიერ მიღებული მედიკამენტების სიის შენახვას;
8. მედიკამენტების, ქიმიკატებისა და მარაგის შეკვეთას, ეტიკეტირებას, დათვლასა და ინვენტარიზაციის მონაცემთა საარქივო სისტემებში დაფიქსირებას;
9. მედიკამენტებისა და ფარმაცევტული ნაერთების მომზადებისა და გაცემისთვის დანადგარებისა და კონტეინერების გაწმენდასა და მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ფარმაცევტი;
- პროვიზორის დამხმარე;
- ფარმაკოლოგი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- პროვიზორი – 2262;
- ფარმაკოლოგი – 3141;
- პროვიზორის დამხმარე – 5329.

3214 ჯგუფური ერთეული
სამედიცინო და სტომატოლოგიური პროთეზების სპეციალისტები

სამედიცინო და სტომატოლოგიური პროთეზების სპეციალისტები ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ გაცემული რეცეპტებისა თუ ინსტრუქციების საფუძველზე ქმნიან, ამონტაჟებენ, აწვდიან და არემონტებენ სამედიცინო და სტომატოლოგიურ დანადგარებსა და მოწყობილობებს. მათ შესაძლოა, უზრუნველყონ მთელი რიგი დამხმარე ინსტრუმენტების მიწოდება ფიზიკური სამედიცინო ან სტომატოლოგიური პრობლემების: კისრის დამჭერის, ორთოპედიული ფიქსატორების, ხელოვნური კიდურების, სასმენი აპარატების, კბილის პროთეზების, სტომატოლოგიური გვირგვინებისა და ხიდების – გამოსასწორებლად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საჭირო დანადგარის გამოსაყენებლად, აგრეთვე, დანადგარზე ზემოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირებისთვის პაციენტების შემოწმებას, გამოკითხვასა და გაზომვას;
2. დანადგარებისა და მოწყობილობების მახასიათებლებისა და რეცეპტების ფორმულირებისთვის პრაქტიკოს ექიმებთან და სტომატოლოგებთან თანამშრომლობას;
3. მოსამზადებელი დანადგარების, საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების განსასაზღვრად რეცეპტების ან მახასიათებლების ინტერპრეტაციას;

4. პაციენტის ხელოვნური ტორსის, კიდურების, პირის ან კბილების მიმსგავსებული ნიმუშის დამზადებას ან მიღებას;
5. თერმოპლასტიკური და თერმული მასალებით, ლითონის მინარევებითა და ტყავით, აგრეთვე, ენერგო ხელსაწყოებით ბიოპროთეზებისა და პროთეზების დიზაინსა და გაკეთებას;
6. მოწყობილობებისა და დანადგარების პაციენტებზე მორგებას, ტესტირებასა და შეფასებას, აგრეთვე, კომფორტული ფუნქციონირებისთვის მათი მორგებისას გარკვეული ცვლილებების შეტანას;
7. მახასიათებლების შესაბამისად სამედიცინო და სტომატოლოგიური პროთეზებისა და დამხმარე დანადგარების შეკეთებას, მოდიფიცირებასა და მოვლა-შენახვას;
8. სტრუქტურული კომპონენტების შექმნისათვის საჭირო კონტურების შესაბამისად ქსოვილების ან მასალების მოღუნვასა და ფორმირებას;
9. მთლიანი ან ნაწილობრივი კბილის პროთეზის დამზადებას, აგრეთვე, პირის ღრუს დამცავების, გვირგვინების, ლითონის ჩამკეტების, ხიდებისა და სხვა დამხმარე საშუალებების კონსტრუქციას;
10. პროთეზების ან ბიოპროთეზირებისათვის საჭირო დანადგარების გამოყენებისა და მოვლის შესახებ პაციენტებისთვის ინსტრუქციების მიცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სტომატოლოგ-მექანიკოსი;
- სტომატოლოგ-ტექნიკოსი;
- პროთეზისტი;
- ორთოპედისტ-ტექნიკოსი;
- ბიოპროთეზისტ-ტექნიკოსი;
- ბიოპროთეზისტი;
- პროთეზისტ-ტექნიკოსი;

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სტომატოლოგიური კაბინეტის ასისტენტი – 5329;
- ქირურგიული ინსტრუმენტების ტექნიკოსი – 7311.

<u>შენიშვნა:</u>

პროფესიები, რომლებიც მიეკუთვნება წინამდებარე ჯგუფურ ერთეულს, მოითხოვს ფორმალური ტრენინგიდან მიღებულ გარკვეულ სამედიცინო, სტომატოლოგიურ, ანატომიურ და ტექნიკურ ცოდნას. ის ტექნიკოსები კი, რომლებიც ამზადებენ სამედიცინო და ქირურგიულ ინსტრუმენტებს, არ მიეკუთვნებიან წინამდებარე ჯგუფურ ერთეულს.

322 მცირე ჯგუფი
ექთნების და მეანების ასოცირებული პროფესიონალები

ექთნების და მეანების ასოცირებული პროფესიონალები ძირითადად მკურნალობენ ფიზიკურად ან სულიერად დაავადებულებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან ავადმყოფ ადამიანებს, აგრეთვე, მათ, ვინც საჭიროებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით მოვლას, მათ შორის ბავშვის დაბადებამდე, დაბადებისას და დაბადების შემდგომ. ისინი ძირითადად მუშაობენ სამედიცინო, საექთნო, სამეანო და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტების/სპეციალისტების ზედამხედველობით და მათ მიერ დადგენილი ჯანდაცვის, მკურნალობისა და რეფერალური გეგმების იმპლემენტაციის მხარდაჭერით.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პაციენტებისთვის თანამედროვე საექთნო და სამეანო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად მკურნალობის შეფასებასა და დაგეგმვას; მედიკამენტებისა და მკურნალობის ადმინისტრირების პროცესში პროფესიონალი ექთნების, მეანებისა და ექიმების დახმარებას; ჭრილობების გაწმენდასა და ქირურგიული საფენების გამოყენებას; ინდივიდებისთვის, ოჯახებისა და საზოგადოებებისთვის ჯანმრთელობასთან, კონტრაცეპტივებთან, ორსულობასა და ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით რჩევების მიცემას; ორსულობისა და მშობიარობის პროგრესის შეფასებას, მოვლას ან აღნიშნულ პროცესში დახმარებას, აგრეთვე, ჯანდაცვის პროფესიონალებთან რეფერირებისათვის საჭირო ნიშნებისა სიმპტომების აღიარებას; ბავშვის დაბადების შემდეგ ქალებისა და ახალშობილების მოვლასა და მხარდაჭერას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3221 საექთნო სფეროს ასოცირებილი პროფესიონალები;

3222 სამეანო სფეროს ასოცირებილი პროფესიონალები.

შენიშვნა:

ექთნები და მონათესავე დარგის პროფესიონალები – მეანები ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, რადგან სხვა ქვეყნებს გარეთ და შიგნით მიმდინარე ფაქტორები, აგრეთვე, ექთნებისა და მეანების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან.

3221 ჯგუფური ერთეული
საექთნო სფეროს ასოცირებილი პროფესიონალები

საექთნო სფეროს სპეციალისტები–ზოგადი და ინდივიდუალურად უვლიან ადამიანების, რომლებიც მოვლას ასაკის, დაზიანებების, ავადმყოფობის ან სხვა ფიზიკური ან სულიერი პრობლემების გამო საჭიროებენ. ისინი ძირითადად მუშაობენ სამედიცინო, საექთნო, სამეანო და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტების ზედამხედველობით და მათ მიერ დადგენილი ჯანდაცვის, მკურნალობისა და რეფერალური გეგმების იმპლემენტაციის მხარდაჭერით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მიერ დადგენილი მოვლის წესების შესაბამისად ზოგადი და ინდივიდუალური მოვლისა და მკურნალობის, აგრეთვე, ჯანმრთელობის შესახებ რჩევების მიცემას;
2. პაციენტთა მედიკამენტებისა და სხვა ტიპის მკურნალობის კოორდინირებას, პაციენტის მდგომარეობისა და მკურნალობის შედეგების მონიტორინგს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებთან სპეციალიზებული მოვლის უზრუნველსაყოფად პაციენტების რეფერირებას;
3. ჭრილობების გაწმენდასა და ქირურგიული საფენების გამოყენებას;
4. საარქივო ბაზებში პაციენტების მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის განახლებას;
5. გადაუდებელ მდგომარეობაში პირველადი დახმარების გაწევას

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ექთნის დამხმარე;
- პროფესიონალი ექთანი;
- სერტიფიცირებული ექთანი;
- პრაქტიკოსი ექთანი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- კლინიკის ექთან-კონსულტანტი – 2221;
- პროფესიონალი ექთანი – 2221;
- ექთანი – 2221;
- მეანი – 2222
- მეან-გინეკოლოგი – 3222;
- ექთნის დამხმარე (კლინიკისა ან საავადმყოფოში) – 5321;
- ექთნის დამხმარე (ბინაზე) – 5322.

<u>შენიშვნა:</u>

ექთნები და მონათესავე დარგის სპეცილისტები – მეანები ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, რადგან სხვა ქვეყნებს გარეთ და შიგნით მიმდინარე ფაქტორები, აგრეთვე, ექთნებისა და მეანების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან.

3222 ჯგუფური ერთეული
სამეანო სფეროს ასოცირებილი პროფესიონალები

სამეანო სფეროს ასოცირებილი პროფესიონალები უვლიან დარჩევებს გაცემენ ბავშვის დაბადებამდე, დაბადებისას და დაბადების შემდეგომ. ისინი მოქმედებენ სამედიცინო, სამეანო და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მიერ დადგენილი წესებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქალებისთვის, ოჯახებისა და საზოგადოებებისთვის კვებასთან, ჰიგიენასთან, ვარჯიშთან, ბავშვის გაჩენასა და საგანგებო მდგომარეობასთან, ძუძუთი კვებასთან, ახალშობილის მოვლასთან, ოჯახის დაგეგმვასა და კონტრაცეპტივებთან, აგრეთვე, ცხოვრების სტილთან და ორსულობასა და ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებულ რჩევების მიცემას;
2. ორსულობისა და მშობიარობის პროგრესის შეფასებას, მოვლას ან ამ პროცესში დახმარებას, აგრეთვე, ჯანდაცვის სპეციალისტებთან რეფერირებისათვის საჭირო ნიშნებისა სიმპტომების აღიარებას;
3. მშობიარობის პროცესში პოტენციური გართულებების არარსებობის შემთხვევაში ექიმების ან ექთნების ბავშვის გაჩენასა და მოვლაში დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეანი;
- მეანის ასისტენტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ექთანი – 2221;
- მეანი – 2222;
- დამხმარე ექთანი – 2221;
- დამხმარე მეანი – 5321.

შენიშვნა:

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს პროფესიებს, რომლებიც რუტინული და სასწრაფო მოვლის პროცესში მოითხოვს ცოდნითა და უნარებით სამუშაოს პროფესიონალურად შესრულებას, რომლებიც მიღწეულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებით. სპეციალისტების ჯგუფურ ერთეულში გაერთიანების კრიტერიუმი უნდა დაეფუძნოს შესრულებული სამუშაოს ხასიათს, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ამოცანებით. პროფესიონალი და არაპროფესიონალი მეანები, რომლებიც ძირითადად ეხმარებიან ორსულობისა და ბავშვის დაბადების შემდგომ რჩევებს ძირითადად არაფორმალურად მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე გასცემენ, მიეკუთვნებიან წინამდებარე ჯგუფურ ერთეულს.

მშობიარობის პროცესის დამხმარე პერსონალი, რომლებიც ძირითადად ემოციურად ეხმარებიან მშობიარეს, აგრეთვე, ორსულობასა და მშობიარობის პროცესთან დაკავშირებით ქალების ოჯახებს აძლევს რჩევების, მიეკუთვნებიან 532 მცირე ჯგუფს – ჯანმრთელობის მომსახურების სფეროში ინდივიდუალური მოვლის პეციალისტები.

323 მცირე ჯგუფი
ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები

ტრადიციულ და არატრადიციულ მედიცინის პროფესიონალები ახორციელებენ ფიზიკური და მენტალური დაავადებების, შეზღუდვებისა და დაზიანებების პრევენციას, მცენარეული და სხვა თერაპიების გამოყენებით მოვლასა და მკურნალობას, რომელიც კონკრეტული კულტურებში მოქმედ თეორიებს, რწმენასა და გამოცდილებებს ეფუძნება. ისინი მკურნალობას კოორდინირებენ ტრადიციული ტექნიკისა და მედიკამენტების გამოყენებით, დამოუკიდებლად ან ტრადიციული მედიცინის ან ჯანდაცვის სხვა პროფესიონალების მიერ შემუშავებული თერაპიული მოვლის წესების შესაბამისად.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური ან მენტალური აშლილობის ან დაავადებისა თუ ავადმყოფობის დასადგენად პაციენტთა გასინჯვასა, მათი და მათი ოჯახების გამოკითხვას; ავადმყოფობებსა და სხვა დაავადებებთან დაკავშირებით ტრადიციული ტექნიკისა და მედიკამენტების – ფიზიკური მანიპულაციის და ვარჯიშების, ბუნებრივი სისხლძარღვების მეშვეობით სისხლის გაღების, მცენარეების, მწერებისა და ცხოველების ექსტრაქტების -გამოყენებით პროცესისთვის მომზადებას, მოვლასა და მკურნალობას; მედიცინის თერაპევტული მოვლის წესებისა და ტრადიციული მედიცინისა თუ ჯანდაცვის სხვა სპეციალისტების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად მკურნალობების – აკუპუნქტურის (რეფლექსოთერაპიის), აიურვედის (ინდური მედიცინის), ჰომოეთერაპიისა და მცენარეულის – კოორდინირებას; ტრადიციული მეთოდების, ფიზიკური მანიპულაციებისა და მცენარეული თერაპიის გამოყენებით ფიზიკური დაზიანებების – მოტეხილი და გადაადგილებული ძვლის ჩასმა-აღდგენა – მოვლასა და მკურნალობას; ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად პირების, ოჯახებისა და საზოგადოებისთვის კვების, ჰიგიენის, ცხოვრების სტილისა და სხვა საკითხების შესახებ რჩევების მიცემას; ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან ყოვლისმომცველი და განგრძობადი მკურნალობის უზრუნველსაყოფად პაციენტთა რეფერირებასა და ინფორმაციის გაცვლას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

3230 ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები

3230 ჯგუფური ერთეული
ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები

ტრადიციულ და არატრადიციულ მედიცინის პროფესიონალები ახორციელებენ ფიზიკური და მენტალური დაავადებების, შეზღუდვებისა და დაზიანებების პრევენციას, მცენარეული და სხვა თერაპიების გამოყენებით მოვლასა და მკურნალობას, რომელიც კონკრეტული კულტურებში მოქმედ თეორიებს, რწმენასა და გამოცდილებებს ეფუძნება. ისინი მკურნალობას კოორდინირებენ ტრადიციული ტექნიკისა და მედიკამენტების გამოყენებით, დამოუკიდებლად ან ტრადიციული მედიცინის ან ჯანდაცვის სხვა პროფესიონალების მიერ შემუშავებული თერაპიული მოვლის წესების შესაბამისად.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური ან მენტალური აშლილობის ან დაავადებისა თუ ავადმყოფობის დასადგენად პაციენტთა გასინჯვასა, მათი და მათი ოჯახების გამოკითხვას;
2. ავადმყოფობებსა და სხვა დაავადებებთან დაკავშირებით ტრადიციული ტექნიკისა და მედიკამენტების – ფიზიკური მანიპულაციის და ვარჯიშების, ბუნებრივი სისხლძარღვების მეშვეობით სისხლის გაღების, მცენარეების, მწერებისა და ცხოველების ექსტრაქტების -გამოყენებით პროცესისთვის მომზადებას, მოვლასა და მკურნალობას;
3. მედიცინის თერაპევტული მოვლის წესებისა და ტრადიციული მედიცინისა თუ ჯანდაცვის სხვა სპეციალისტების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად მკურნალობების – აკუპუნქტურის (რეფლექსოთერაპიის), აიურვედის (ინდური მედიცინის), ჰომოეთერაპიისა და მცენარეულის – კოორდინირებას;
4. ტრადიციული მეთოდების, ფიზიკური მანიპულაციებისა და მცენარეული თერაპიის გამოყენებით ფიზიკური დაზიანებების – მოტეხილი და გადაადგილებული ძვლის ჩასმა-აღდგენა – მოვლასა და მკურნალობას;
5. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად პირების, ოჯახებისა და საზოგადოებისთვის კვების, ჰიგიენის, ცხოვრების სტილისა და სხვა საკითხების შესახებ რჩევების მიცემას;
6. ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან ყოვლისმომცველი და განგრძობადი მკურნალობის უზრუნველსაყოფად პაციენტთა რეფერირებასა და ინფორმაციის გაცვლას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აკუპუნქტურის სპეციალისტი (რეფლექსოთერაპევტი);
- აიურვედას (ინდური მედიცინის) სპეციალისტი;
- ტრავმატოლოგი;
- ჰომეოპათი;
- ვაკუუმური თერაპიის სპეციალისტი;
- სოფლის ექიმი;
- ექიმბაში.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- პრაქტიკოსი ქირურგი – 2230;
- აიურვედას (ინდური მედიცინა) სპეციალისტი – 2230;
- აკუპუნქტურის – ჩინური მცენარეული მედიცინის სპეციალისტი (რეფლექსოთერაპევტი) – 2230;
- ჰომეოპათი – 2230;
- ნატუროპათი – 2230;
- ქიროპრაქტიკოსი – 2269;
- ოსტეოპათი – 2269;
- არატრადიციული მედიცინის ექთანი – 3222;

- აკუპრესურის თერაპევტი – 3255;
- ჰიდროთერაპევტი – 3255;
- სულიერი მკურნალი – 3413.

<u>შენიშვნა:</u>

ტრადიციულ და არატრადიციულ მედიცინის პროფესიები მოითხოვს სამუშაოს კომპეტენტურად შესრულებასა და ხანგრძლივ ცოდნას. აღნიშნული უნარები ვითარდებიან ტექნიკის, აგრეთვე, ადამიანის ანატომიისა და თანამედროვე მედიცინის ელემენტების ხანგრძლივი კვლევების შედეგად და მიეკუთვნება 2230 ჯგუფურ ერთეულს – ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის სპეციალისტები. პროფესიები, რომლებიც მოითხოვს ნაკლებ პარქტიკულ ცოდნას და ეფუძნება შედარებით მოკლევადიან ფორმალურ ან არაფორმალურ განათლებას ან ტრენინგს, ან იმ საზოგადოების ტრადიციებსა და პრაქტიკას, რომელშიც არაფორმალური წარმოიშვნენ, მიეკუთვნებიან 3230 ჯგუფურ ერთეულს – ტრადიციული და არატრადიციული მედიცინას სპეციალისტები. ხოლო პრაქტიკოსები, რომლებიც მცენარეული მედიცინის, სულიერი ან მანუალური თერაპიული ტექნიკის გამოყენებით მუშაობენ, არ მიეკუთვნებიან 2230 ჯგუფურ ერთეულს.

სულიერი მკურნალები, რომლებიც დაავადებებს ფიზიკური მკურნალობის გარეშე სულიერი ან მცენარეული თერაპიების ან სხვა მედიკამენტებით კურნავენ, მიეკუთვნებიან 3413 ჯგუფს – რელიგიის სპეციალისტები.

პროფესიები, რომლებიც ტრადიციული მასაჟის ფორმებისა და წნევის თერაპიას (მაგ., აკუპრესურა და შიაცუს) იყენებენ, მიეკუთვნებიან 3255 ჯგუფურ ერთეულს – ფიზიოთერაპიის სპეციალისტები და ასისტენტები.

პროფესიონალი და არაპროფესიონალი მეანები, რომლებიც საზოგადოების ტრადიციებსა და პრაქტიკაზე დაყრდნობით მიღებული ცოდნის საფუძველზე რჩევებს გასცემენ ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიეკუთვნებიან 3222 ჯგუფურ ერთეულს – სამეანო სფეროს სპეციალისტები.

<u>324 მცირე ჯგუფი</u>
ვეტერინარების დამხმარე პერსონალი

ვეტერინარების დამხმარე პერსონალი რჩევების გასცემენ ვეტერინარებთან შედარებით შეზღუდული სიდიდისა და სირთულის დიაგნოსტიკურ, პრევენციულ და სამკურნალო ვეტერინალურ საკითხებზე. ისინი უვლიან ცხოველებს, რომლებიც მკურნალობენ ვეტერინარულ დაწესებულებებში, აგრეთვე, ეხმარებიან ვეტერინარებს პროცედურული და ოპერაციული ამოცანების შესრულებაში.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ცხოველთა მკურნალობას, მათ დაავადებებსა და დაზიანებებზე საზოგადოებისა და პიროვნებებისთვის რჩევების მიცემას; საჭიროების შემთხვევაში ცხოველების გამოკვლევას დიაგნოზის დასმის ან უფრო რთულ შემთხვევებზე ვეტერინარისთვის მიწოდებას; განსაკუთრებით კი ფართოდ გავრცელებული დაავადებებისა და დარღვევების დროს ავადმყოფი ან/და დაზიანებული ცხოველების მკურნალობას; ცხოველთა გასინჯვისა და მკურნალობის პროცესში გამოსაყენებელი მაგიდის,

ინსტრუმენტებისა და მასალების გაწმენდასა და სტერილიზაციას; ცხოველთა ხელოვნურად გასანაყოფიერებლად ტექნიკური დავალებების შესრულებას; ცხოველთა გასინჯვისა ან მკურნალობისთვის დაჭერა-დაკავებას; მკურნალობის პროცესში ანესთეზიისას და ჟანგბადის მიწოდებისას ვეტერინარების დახმარებას; ოპერაციის შემდგომა გამოსაჯანმრთელებლად ცხოველთა გალიაში ჩასმასა და მათი მდგომარეობის მონიტორინგს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

3240 ვეტერინარების დამხმარე პერსონალი.

3240 ჯგუფური ერთეული
ვეტერინარების დამხმარე პერსონალი

ვეტერინარების დამხმარე პერსონალი რჩევების გასცემენ ვეტერინარებთან შედარებით შეზღუდული სიდიდისა და სირთულის დიაგნოსტიკურ, პრევენციულ და სამკურნალო ვეტერინალურ საკითხებზე. ისინი უვლიან ცხოველებს, რომლებიც მკურნალობენ ვეტერინარულ დაწესებულებებში, აგრეთვე, ეხმარებიან ვეტერინარებს პროცედურული და ოპერაციული ამოცანების შესრულებაში.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცხოველთა მკურნალობას, მათ დაავადებებსა და დაზიანებებზე საზოგადოებისა და პიროვნებებისთვის რჩევების მიცემას;
2. საჭიროების შემთხვევაში ცხოველების გამოკვლევას დიაგნოზის დასმის ან უფრო რთულ შემთხვევებზე ვეტერინარისთვის მიწოდებას;
3. განსაკუთრებით კი ფართოდ გავრცელებული დაავადებებისა და დარღვევების დროს ავადმყოფი ან/და დაზიანებული ცხოველების მკურნალობას;
4. ცხოველთა გასინჯვისა და მკურნალობის პროცესში გამოსაყენებელი მაგიდის, ინსტრუმენტებისა და მასალების გაწმენდასა და სტერილიზაციას;
5. ცხოველთა ხელოვნურად გასანაყოფიერებლად ტექნიკური დავალებების შესრულებას;
6. ცხოველთა გასინჯვისა ან მკურნალობისთვის დაჭერა-დაკავებას;
7. მკურნალობის პროცესში ანესთეზიისას და ჟანგბადის მიწოდებისას ვეტერინარების დახმარებას;
8. ოპერაციის შემდგომა გამოსაჯანმრთელებლად ცხოველთა გალიაში ჩასმასა და მათი მდგომარეობის მონიტორინგს.
9. ვეტერინარებისთვის ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დიაგნოსტირებისას რადიოგრაფების, ნიმუშებისა და სხვა ლაბორატორიული ტესტების შეგროვებაში დახმარებას;
10. ვეტერინარებისთვის ცხოველთა რუტინული სტომატოლოგიური პროცედურებში დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ცხოველებში ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტი;
- ვეტერინარის დამხმარე;
- ექთან-ვეტერინარი.

325 მცირე ჯგუფი
ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალები

ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალები ადამიანის ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების მიზნით ასრულებენ სტომატოლოგიასთან, სამედიცინო ისტორიის ადმინისტრირებასთან, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან, შემცირებული მხედველობის კორექციასთან, ფიზიოთერაპიასთან, ეკოლოგიურ ჯანმრთელობასთან, სასწრაფო სამედიცინო მკურნალობასა და სხვა საქმიანობებთან საკავშირებულ ტექნიკურ სამუშაოებს.

მოცემულ მცირე გუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პირის ღრუსა და კბილის დაავადებებისა და დარღვევების პრევენციისა და მკურნალობის მიზნით საბაზისო მომსახურებას; ჯანმრთელობის პოტენციური რისკის შესამცირებლად ჰიგიენის, კვების რეჟიმისა და სხვა პრევენციული ზომების შესახებ საზოგადოებისა და ინდივიდებისათვის რჩევების მიცემას; პაციენტთა მდგომარეობისა და მკურნალობის პროცესის დოკუმენტირების, აგრეთვე, კვლევის, გადახდის, ხარჯების კონტროლისა და მოვლის შესახებ მონაცემთა დახვეწისთვის სამედიცინო ინფორმაციის შეგროვებასა და შენახვას; ოჯახებისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელი უნარებისა და რესურსების განსავითარებლად დახმარების გაწევას; გადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სანიტარულ და ჰიგიენის საკითხებზე რჩევების გაცემას; ოპტიკური ლინზების მორგებასა და გაცემას; ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციურად გამვლენი გარემო და პროფესიული ფაქტორების წესებისა და რეგულაციების შესრულების გამოძიებას; სხეულის რბილი ქსოვილების დამუშავებას; გასასინჯ ოთახებში პაციენტების შეყვანასა და მათი შემოწმებისთვის მომზადებას; უბედური შემთხვევებისა და საგანგებო სიტუაციების ადგილზე ყოფნა, მათზე რეაგირება და სამედიცინო დახმარების მოთხოვნას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3251 სტომატოლოგის ასისტენტები და თერაპევტები;
3252 სამედიცინო ისტორიისა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სფეროს სპეციალისტები;
3253 საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები;
3254 ოპტიკოსები;
3255 ფიზიოთერაპიის სპეციალისტები და ასისტენტები;
3256 სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი;
3257 გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის სფეროს ინსპექტორები და პირები;
3258 სასწრაფო დახმარების პერსონალი;
3259 ჯანდაცვის სფეროს სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი პროფესიონალები.

3251 ჯგუფური ერთეული
სტომატოლოგის ასისტენტები და თერაპევტები

სტომატოლოგის ასისტენტები და თერაპევტები სტომატოლოგებისა თუ სხვა პირის ღრუს სფეროს სპეციალისტების მიერ დადგენილი მკურნალობის გეგმებისა და პროცედურების შესაბამისად უზრუნველყოფენ საბაზისო მომსახურებებას კბილისა და პირის ღრუს დაავადებებისა და დარღვევების პრევენციასა და მკურნალობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის პოტენციური რისკის შესამცირებლად ჰიგიენის, კვების რეჟიმისა და სხვა პრევენციული ზომების შესახებ საზოგადოებისა და ინდივიდებისათვის რჩევების მიცემას;
2. პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად პაციენტთა პირის ღრუს, კბილებისა და მათთან დაკავშირებული სტრუქტურების ვიზუალურ და ფიზიკურ შემოწმებას;
3. დაავადებული პირის ღრუს მქონი პაციენტების, რომლებიც დაუყოვნებლივ საჭიროებენ სპეციალისტების დახმარებას, გამოვლენას;
4. რთული სტომატოლოგიური პროცედურის დროს სტომატოლოგის დახმარებას;
5. ფთოროვანი ნაერთით მკურნალობას, კბილების გაწმენდასა და მათგან ნარჩენების ამოღებას, კბილის ფოსოს მომზადებასა და დაბჟენას, ადგილობრივი ანესთეზიის გაკეთებასა და სხვა ტიპის საბაზისო, რუტინული სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას;
6. პაციენტთა შემოწმებისა და მათი მკურნალობის პროცესში გამოყენებული სტომატოლოგიური ინსტრუმენტების, მოწყობილობებისა და მასალების მომზადებას, გაწმენდასა და სტერილიზაციას;
7. პაციენტთა შემოწმებასა ან მკურნალობისთვის მომზადებას – რაც გულისხმობს პაციენტისთვის პროცედურების ახსნას – და სწორად მოთავსებას;
8. დიაგნოზისა და კბილის პროთეზების მოსარგებად პირის ღრუსა და სტომატოლოგიური რადიოგრაფების აღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სტომატოლოგის ასისტენტი;
- პირის ღრუს ჰიგიენის სპეციალისტი;
- სტომატოლოგ-თერაპევტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სტომატოლოგი – 2261;
- მექანიკოს-სტომატოლოგი – 3214;
- პროთეზისტი – 3214;
- სტომატოლოგის დამხმარე – 5329.

3252 ჯგუფური ერთეული
სამედიცინო ისტორიისა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სპეციალისტები

სამედიცინო ისტორიისა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სპეციალისტები სამედიცინო დაწესებულებებსა და ჯანდაცვის სხვა ინსტიტუტებში ჯანდაცვის მომსახურებების მიერ მიწოდების იურიდიული, პროფესიონალურ-ეთიკური და ადმინისტრაციული მოთხოვნების შესაბამისად ავითარებენ, ინახავენ და ჯანმრთელობის ისტორიების გადამუშავებულ, შენახულ და აღდგენილ სისტემებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინფორმაციის შეგროვების, კლასიფიცირების, შენახვისა და ანალიზის მიზნით სამედიცინო ისტორიის ჩანაწერების ინდექსების, დაარქივებისა და აღდგენის სისტემების დაგეგმვას, განვითარებას, შენახვასა და ოპერირებას;
2. პაციენტენებისა და ეპიდემიების მონიტორინგის, რეფერირების, კვლევის, ხარჯების კონტროლისა და მოვლის გასაუმჯობესებლად სამედიცინო ისტორიის ჩანაწერების გადაწერას, შეგროვებასა და გადამუშავებას, აგრეთვე, დოკუმენტებისა და სხვა სამედიცინო ანგარიშების მიღებასა და მათი საარქივო სისტემებში გადატანას;
3. ჩანაწერების სრულყოფის, სისწორისა და რეგულაციებთან შესაბამისობაში გადახედვას;
4. სამედიცინო ჩანაწერებსა და სხვა დოკუმენტებში ჯანდაცვის მომსახურებების მიერ მიწოდებული აღწერილობითი და ნუმერაციული ინფორმაციისთვის სტანდარტული კლასიფიკაციის კოდების მინიჭებას;
5. კონფიდენციალურობის შესანარჩუნებლად სამედიცინო ჩანაწერების უსაფრთოხების დაცვასა, აგრეთვე, რეგულაციების შესაბამისად უფლებამოსილი პირებისა და სააგენტოებისათვის ინფორმაციის გაცემას;
6. სამედიცინო ჩანაწერების შენახვის პროცესში ჩართული ოფისისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- არქივარიუსი;
- დაავადებათა რეგისტრატორი;
- ჯანმრთელობის ინფორმაციის სფეროს მუშაკი;
- სამედიცინო ჩანაწერების ანალიტიკოსი;
- სამედიცინო ჩანაწერების ოპერატორი;
- სამედიცინო ჩანაწერების განყოფილების ზედამხედველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- მდივანი – 3344;
- მონაცემთა ოპერატორი – 4132;
- რეგისტრატორი – 4415.

<u>შენიშვნა:</u>

წინამდებარე ჯგუფის პროფესიები, როგორც წესი, მოითხოვს ფორმალური განათლების ან/და სამსახურში ჩატარებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებიდან მიღებული სამედიცინო ტერმინოლოგიის, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის იურიდიული ასპექტების, მონაცემების, სტანდარტებისა და ელქტრონული თუ ნაბეჭდი მონაცემების მართვის ცოდნას.

3253 ჯგუფური ერთეული
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები კოორდინირებენ განათლებას, მიმართვებსა და კონკრეტულ შემთხვევებს, საბაზისო პრევენციულ ჯანდაცვასა და სახლში ვიზიტებს. ისინი გარკვეული კუთხით ეხმარებიან ინდივიდებსა და ოჯახებს ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურებების სფეროებში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის სფეროს სხვადასხვა საკითხზე: კვებაზე, ჰიგიენაზე, ახალშობილთა და ბავშვთა მოვლაზე, იმუნიზაციაზე, ოჯახის დაგეგმვაზე, რისკის ფაქტორებსა და გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციაზე, მოწამვლის პრევენციაზე, მარტივი და ფართოდ გავრცელებული დაავადებების პირველად დახმარებაზე, ნივთიერებათა არასწორი გამოყენებაზე, ოჯახურ ძალადობასა და სხვა საკითხებზე – პიროვნებებისა და საზოგადოებებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
2. ჯანდაცვის, სოციალურ და სხვა საკითხებსა და მომსახურებებზე ინფორმაციის მისაწოდებლად და აღნიშნული სერვისების ხელმისაწვდომად ოჯახების ბინაზე მონახულებას;
3. თავიანთი ჯანმრთელობის რეგულარული მონიტორინგის მიზნით (მაგ.: ორსულობის პროგრესის, ბავშვის ზრდა-განვითარების, აგრეთვე, ეკოლოგიური სანიტარიის) სამედიცინო დაწესებულებებში მიუსვლელი ოჯახების მონახულებას;
4. ენდემური დაავადებების (მაგ.: მალარია, პნევმონია და დიარეა) პრევენციისა და მკურნალობის მიზნით სამედიცინო მარაგის გავრცელებასა და ოჯახებისა და მათი წევრებისთვის აღნიშნული პროდუქტების გამოყენების ინსტრუქციების ინსტუქტაჟის ჩატარებას;
5. ჯანმრთელობის კონკრეტული მდგომარეობის პრევენციისა და მართვის მიზნით აივ ინფექციის (შიდსისა) და სხვა გადამდები დაავადებების განსაკუთრებული რისკის მქონე ადამიანებსთვის ინფორმაციისა და სამედიცინო მარაგის მიწოდებას;
6. ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით სამედიცინო დაწესებულებებისადმი მიუმართავი პაციენტის ოჯახებიდან და საზოგადოებისგან მონაცემთა შეგროვებას, რეფერირებასა და ჯანდაცვის სფეროს რეგულაციების შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოპულარიზაციის სპეციალისტი;

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი.
- სოფლის ჯანდაცვის სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:
- ტრადიციული მეანი – 3222;
- სოფლის მკურნალი – 3230;
- ბინაზე მომვლელი – 5322.

შენიშვნა:

წინამდებარე ჯგუფს მიკუთვნებული პროფესიები, როგორც წესი, მოითხოვს ფორმალურ ან არაფორმალურ ტრენინგსა და ზედამხედველობას, რომელიც აღიარებულია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ოფიციალური პირების მიერ. ხოლო ინდივიდუალური მომვლელები და ტრადიციული მედიცინის სპეციალისტები არ მიუკუთვნებიან წინამდებარე კატეგორიას.

3254 ჯგუფური ერთეული
ოპტიკოსები

ოპტიკოსები ოფთალმოლოგისა თუ ოპტიკოსების მიერ გაცემული რეცეპტის თანახმად შემცირებული მხედველობის გასაუმჯობესებლად არგებენ და გასცემენ ოპტიკურ ლინზებს. ისინი პაციენტებს უზრუნველყოფენ მაკორექტირებელ სათვალეებით, კონტაქტურ ლინზებით, შემცირებული მხედველობის დამხმარე საშუალებებითა და სხვა ოპტიკურ მოწყობილობებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. სათვალისა და სხვა ოპტიკური მოწყობილობის მოსარგებად სახეობისა და თვალის ზომების ასაღებად კლიენტების გასინჯვას;
2. სათვალის, ჩარჩოს, კონტაქტური ლინზებისა და სხვა ოპტიკური მოწყობილობების არჩევისას მოხმარების, უსაფრთხოების, კომფორტისა და ცხოვრების წესის გათვალისწინებით კლიენტებისთვის რჩევების მიცემას;
3. ლინზების ჩარჩოში ჩასმის მიზნით ოპტიკური რეცეპტებისა და ლაბორატორიებისთვის დოკუმენტაციის მომზადებას, აგრეთვე, კონტაქტური ლინზებისა და სხვა სამუშაოს მომზადებას;
4. დასრულებული ოპტიკური მოწყობილობის სიზუსტის რეცეპტთან გადამოწმებასა და მისი კლიენტისთვის მორგებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- კონტაქტური ლინზების სპეციალისტი;
- ოპტიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:
- ოფთალმოლოგი – 2212;

- ოპტიკოს-ოფთალმოლოგი – 2267;
- ოპტიკოსი – 2267;
- ორთოპედისტი – 2267.

3255 ჯგუფური ერთეული
ფიზიოთერაპიის სპეციალისტები და ასისტენტები

ფიზიოთერაპიის სპეციალისტები და ასისტენტები უზრუნველყოფენ პაციენტების ფიზიოთერაპიულ მკურნალობას, როდესაც დაზიანების, დაავადებისა თუ დარღვევის დროს საშიშროება ექმნება ფუნქციონალურ მოძრაობას. თერაპიები ძირითადად უზრუნველყოფილია ფიზიოთერაპევტების ან ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალების მიერ შემუშავებული რეაბილიტაციის წესებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მანუალური – მასაჟის ან წნევის წერტილოვანი თერაპიის – მკურნალობას;
2. სპეციალური ტექნოლოგიებისა და მოწყობილობებით ელექტრული მოდალობის მკურნალობის, ულტრასონოგრაფიისა და სხვა ფიზიკური თერაპიების ადმინისტრირებას;
3. რელაქსაციის ტექნიკისა და ფუნქციური აქტივობების განხორციელებისას პაციენტების ინსტრუქტაჟს, მოტივაციას, დაცვასა და ფიზიკურ ვარჯიშში დახმარებას;
4. მკურნალობის დაგეგმვის, მოდიფიცირებისა და კოორდინაციისთვის პაციენტთა ინფორმაციის შესაფასებლად ფიზიოთერაპევტებსა ან ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან ურთიერთობების დამყარებას;
5. მკურნალობის დროს პაციენტთა პროგრესის მონიტორინგსა და მათ შესახებ ინფორმაციის შენახვას, აგრეთვე, მათი მთლიანი მოძრაობისა და ძირითადი ნიშნების შეფასებას;
6. პაციენტებისთვის ორთოპედიული დამჭერების, პროთეზებისა და სხვა დამხმარე ფიზიკური საშუალებების (მაგ., ყავარჯნების) მორგებასა და მათი გამოყენების შესახებ ინსტრუქციების მიცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აქუპრესურის თერაპევტი;
- ელექტროთერაპევტი;
- ჰიდროთერაპევტი;
- მასაჟისტი;
- ფიზიოთერაპევტი;
- შიაცუს თერაპევტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ფიზიოთერაპევტი – 2264;
- ქიროპრაქტიკოსი/ხირომანტიის სპეციალისტი – 2269;
- თერაპევტი – 2269;

- პოდიატრი – 2269.

3256 ჯგუფური ერთეული
სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი

სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი მედიცინისა ან ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალების ზედამხედველობით პაციენტის მოსავლელად ასრულებს კლინიკისა და ადმინისტრაციულ სამუშაოს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამედიცინო ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად პაციენტებისა და მათი ოჯახების გამოკითხვას;
2. პაციენტების გასინჯვისა და მკურნალობის პროცესში – ძირითადი ნიშნების შეფასებასა და მათ შესახებ ინფორმაციის შენახვაში, მედიკამენტების ადმინისტრირებასა და ტურინული კლინიკის პროცედურების შესრულებაში (მაგ., ინექციასა და ნაკერების მოხსნაში) – ექიმებისა და ჯანდაცვის სფეროს სხვა სპეციალისტების დახმარებას;
3. პაციენტების მკურნალობისთვის მომზადებას – პროცედურების ახსნას, მათი გასასინჯ ოთახში შეყვანასა და გასინჯვას;
4. სამედიცინო ინსტრუმენტების უსაფრთოხების პროცედურების შესაბამისად მომზადებას (სტერილიზაციას) და დაბინძურებული მარაგის მართვას;
5. სისხლის, ქსოვილებისა თუ სხვა ნიმუშების შეგროვებასა და მათი ლაბორატორიული ტესტირებისთვის მომზადებას;
6. ჯანდაცვის თემატიკასთან დაკავშირებით პაციენტებისა და ოჯახებისთვის ინფორმაციის, აგრეთვე, ექიმებისა და თუ ჯანდაცვის სხვა სპეციალისტების მიერ გამოწერილი მედიკამენტების მიწოდებას;
7. აფთიაქებისათვის რეცეპტებსა და მედიკამენტებზე განახლებული ინფორმაციის მიწოდებას;
8. პაციენტთა მოსაცდელ და გასასინჯ ოთახებში სისუფთავის შენარჩუნებას;
9. პაციენტთა სამედიცინო ისტორიის შექმნას, დიაგნოსტირების ტესტების, მკურნალობის პროცედურებისა და შედეგების, აგრეთვე, სხვა ინფორმაციის საარქივო სისტემაში შეყვანას;
10. ექიმთან ვიზიტების დაგეგმვასა და გადასახადის, ანგარიშგებისა და დაზღვევის დოკუმენტების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კლინიკის დამხმარე;
- ექიმის დამხმარე;

- ოფთალმოლოგის დამხმარე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- კლინიკის ოფიცერი (პარამედიკოსი) – 2240;
- პროთეზისტი – 3214;
- სტომატოლოგის დამხმარე – 3251;
- ფიზიოთერაპიის ფიზიოთერაპევტის დამხმარე – 3255;
- ექიმის მდივანი – 3344;
- რენტგენოლოგის დამხმარე – 5329.

<u>შენიშვნა:</u>

ჯანდაცვის მომსახურებების მიწოდების სფეროში წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები მოითხოვენ ფორმალურ ტრენინგს. მომვლელები, რომელთაც დამოუკიდებელი დიაგნოსტიკური და სამკურნალო მომსახურებების უზრუნველსაყოფად გავლილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ფლობენ შესაბამის უნარებს, მიეკუთვნებიან 2240 ჯგუფურ ერთეულს – პარამედიცინის სპეციალისტები.

<u>3257 ჯგუფური ერთეული</u>
გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის ინსპექტორები და სპეციალისტები

გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის ინსპექტორები და სპეციალისტები იკვლევენ იმ წესებისა და რეგულაციების დანერგვას, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე, სამუშაო ადგილის, საქონლისა და მომსახურების პროცესის უსაფრთხოებაზე გამვლენ გარემო ფაქტორებს უკავშირდება. ისინი ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალების ზედამხედველობით აღდგენენ ან აუმჯობესებენ უსაფრთხოებისა და სანიტარულ პირობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დასაქმებულებსა და პერსონალებისთვის სამთავრობო და სხვა წესებისა და რეგულაციების გათვალისწინებით პროფესიულ უსაფრთხოებასა და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული რჩევების მიცემას;
2. გარემოს, დანადგარებისა და მოწყობილობების, სანიტარული ან/და პროფესიული და ეკოლოგიური უსაფრთხოების სამთავრობო და სხვა წესებთან, რეგულაციებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად სამუშაო ადგილების ინსპექტირებას;
3. ეკოლოგიური სანიტარიის პრობლემებსა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რჩევების გაცემას;
4. უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით ინტერვიუების, დაკვირვებისა და სხვა მეთოდებით სამუშაო ადგილების ინსპექტირებას, აგრეთვე, ინფორმაციის სამუშაო პრაქტიკისა და შემთხვევების შესახებ მოპოვებას;
5. სამთავრობო და სხვა წესებთან, რეგულაციებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში წარმოების, გადამუშავების, ტრანსპორტირების, მართვის, დასაწყობებისა და პროდუქციის გაყიდვის ადგილების ინსპექტირებას;

6. სამთავრობო და სხვა წესებისა და რეგულაციების შესაბამისობაში ჰიგიენის, სანიტარიის, ძირითადი პროდუქტების, საკვების, წამლების, კოსმეტიკისა და მსგავსი პროდუქტების სისუფთავესა და შეაფასებაზე საწარმოებისა და საზოგადოებისთვის რჩევების მიცემას;
7. სამთავრობო და სხვა წესებსა და რეგულაციებთან შესაბამისობაში დაბინძურების, გამონაბოლქვისა და საშიში ნარჩენების გამოვლენასთან დაკავშირებით დაწესებულებების ინსპექტირებას;
8. ჰიგიენის შესანარჩუნებლად ან გასაუმჯობესებლად წყლის, ჰაერის, საკვებისა თუ ნიადაგის დაბინძურების პრევენციას;
9. პრევენციული და გამოსასწორებელი ზომების ხელშესაწყობად ჰაერში დაავადების მატარებელი ორგანიზმებისა და ზიანის მომტანი ნივთიერებების კონტროლს, ჰიგიენური საკვების მართვას, ნარჩენების სათანადო განაწილებასა და საჯარო ადგილების დასუფთავებას;
10. ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და სანიტარიის რემედიაციის პროექტებისთვის საჭირო მასალების, სამუშაო ძალის რაოდენობისა და ხარჯების სავარაუდო გამოთვლას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საკვების სანიტარიისა და უსაფრთხოების ინსპექტორი;
- ჯანდაცვის ინსპექტორი;
- პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ინსპექტორი;
- დაბინძურების ინსპექტორი;
- პროდუქციის უსაფრთხოების ინსპექტორი;
- სანიტარი;

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ეკოლოგიური ჯანმრთელობის ოფიცერი – 2263;
- პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მრჩეველი – 2263;
- პროფესიული ჰიგიენის სპეციალისტი – 2263;
- რადიაციისგან დაცვის ექსპერტი – 2263.

3258 ჯგუფური ერთეული
სასწრაფო დახმარების პერსონალი

სასწრაფო დახმარების პერსონალი პაციენტებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას უწევენ სამედიცინო დაწესებულებამდე, ტრანსპორტირებამდე და ტრანსპორტირებისას სხეულის დაზიანებისას, ავადმყოფობისას, სნეულებისას ან სხვაგვარი ფიზიკური თუ სულიერი დარღვევებისას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. უბედური შემთხვევის, ბუნებრივი კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგად დაზარალებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებასა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების განსაზღვრას;
2. სასწრაფო სამედიცინო მკურნალობის წესების შესაბამისად სამედიცინო პროცედურების შესრულებას, წამლებისა და სხვა თერაპიების ადმინისტრირებას, გონებადაკარგული და გულის ფუნქციადაკარგული პაციენტებისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენასა და სიცოცხლის ხელშემწყობი მოწყობილობების ოპერირებას;
3. სამედიცინო, სარეაბილიტაციო და ჯანდაცვის სხვა დაწესებულებებამდე და უკან ტრანსპორტირებისას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაში ცვლილებების მონიტორინგს;
4. დაავადებისა თუ დაზიანების პირველადი მკურნალობისათვის საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პირველადი დახმარების წამყვანი პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და ტრენინგების ჩატარებას;
5. ჯანმრთელობის დაზიანების მაღალი რისკის შემცველი ფართომასშტაბიან საჯარო შეკრებებსა და სხვა ღონისძიებებზე დასწრებას ან/და მათ პატრულირებას;
6. საარქივო სისტემებში პაციენტთა მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის შენახვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასწრაფო დახმარების ბრიგადის ექიმი;
- სასწრაფო დახმარების ბრიგადის ექთანი;
- გადაუდებელი დახმარების სპეციალისტი/ექიმი;
- გადაუდებელი დახმარების ექთანი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- პარამედიკოსი – 2240;
- სასწრაფო დახმარების ბრიგადის მძღოლი – 8322.

<u>შენიშვნა:</u>

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები, როგორც წესი, მოითხოვს ფორმალურ ტრენინგს სასწრაფო სამედიცინო დახმარების, პაციენტების ტრანსპორტირების, სასწრაფო დახმარების პრინციპებისა და პრაქტიკის, ან მონათესავე სფეროებში. სასწრაფო დახმარების მძღოლები არ უზრუნველყოფენ ჯანდაცვის მომსახურებებს და მიეკუთვნებიან 8322-ე ჯგუფურ ერთეულს – მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები.

<u>3259 ჯგუფური ერთეული</u>

ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას

წინამდებარე ჯგუფი მოიცავს ჯანდაცვის სფეროს ასოცირებულ პროფესიონალებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 32-ე ქვეჯგუფს (ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებს). მაგ.,

წინამდებარე ქვეჯგუფი მოიცავს ისეთ პროფესიებს, როგორებიცაა: აივ ინფექციის მრჩეველი, ოჯახის დაგეგმვის მრჩეველი და ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალები.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაზიანების ხარისხის, ავადმყოფობებისა თუ ჯანმრთელობის სხვა პრობლემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად პაციენტების გამოკითხვასა და შემოწმებას;
2. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შედეგებზე გამვლენი კონკრეტული მდგომარეობის, პრევენციის, მკურნალობისა და პროცესის ზედმიწევნით შესრულებისა და ქცევების შესახებ პაციენტებისა და ოჯახებისთვის ინფორმაციისა და რჩევების მიცემას;
3. პაციენტთა თერაპიული მოვლისა და მკურნალობის ადმინისტრირებას;
4. ზოგიერთი საბაზისო კლინიკური პროცედურების შესრულებას, მაგ., აივ ინფექციის ანტისხეულის ტესტების ადმინისტრირებას ან საშვილოსნოს შიდა მოწყობილობის ჩადგმას;
5. კვების დანამატების, ანტირეტროვირუსული და პროფილაქტიკური მედიკამენტების, აგრეთვე, ჯანდაცვის სფეროს სხვა პროდუქტებისა და მათ შესახებ რჩევების გაცემას;
6. პაციენტთა პროგრესის მონიტორინგისთვის მკურნალობის გეგმების, ექიმსა ან ჯანდაცვის სფეროს სხვა პროფესიონალთან რეფერირების ნიშნებისა და სიმპტომების იდენტიფიცირებას;
7. პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის რეაგირების შესახებ ინფორმაციის საარქივო სისტემებში შენახვას;
8. ჯანდაცვის სხვა პროვაიდერებთან განგრძობადი და ყოვლისმომცველი მოვლის უზრუნველყოფის მოთხოვნისას ინფორმაციის გაზიარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ანესთეზიის-სპეციალისტი/ანესთეზიოლოგი;
- ოჯახის დაგეგმვის სპეციალისტი;
- აივ ინფექციის სპეციალისტი;
- რესპირატორული თერაპიის სპეციალისტი.

<u>შენიშვნა:</u>

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები, როგორც წესი, მოითხოვს თეორიულ ტრენინგს ჯანმრთელობის მომსახურებების უზრუნველყოფაში.

33 ქვეჯგუფი
ბიზნესისა და ადმინისტრირების პროფესიონალები

ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროს პროფესიონალები ასრულებენ უმეტესად ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ისეთ დარგებში, როგორიცაა საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა და გადარიცხვები, მათემატიკური გამოთვლები, კადრების განვითარება, ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვა, სპეციალიზებული სამდივნო-ადმინისტრაციული ფუნქციები, სახელმწიფო რეგულაციების დანერგვა ან გამოყენება-მისადაგება. ამ ქვეჯგუფში აგრეთვე, მოიაზრებიან კომერციული მომსახურების გამწევი მუშაკები შემდეგ სფეროებში: საბაჟო საქმე, კონფერენციების დაგეგმვა, დასაქმება, უძრავი ქონების ან საქონლის ყიდვა-გაყიდვა, სპორტსმენებისა და არტისტების მსგავსი შემსრულებლების აგენტები. მოცემული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის III დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ფასიანი ქაღალდების, აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების და აგრეთვე, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის რეგისტრაციას; საკრედიტო და სასესხო განაცხადების მენეჯმენტისთვის წარდგენას, მათი დაკმაყოფილების ან უარყოფის რეკომენდაციის მისაღებად; განაცხადის დაკმაყოფილებას ან უარყოფას ავტორიზებული ლიმიტის ფარგლებში, დაწესებულების საკრედიტო სტანდარტების გათვალისწინებით; საწარმოს ყველა ფინანსური გარიგების სრულ აღრიცხვას ბუღალტერიის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ბუღალტერის ხელმძღვანელობით; ფინანსური ოპერაციების სრულ აღრიცხვას მათემატიკური, სტატისტიკური და აქტუარული მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და მიწოდებას; ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვას.

წინამდებარე ქვეჯგუფში პროფესიები იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

331 ფინანსებისა და მათემატიკის პროფესიონალები;
332 ყიდვა-გაყიდვის აგენტები და ბროკერები;
333 ბიზნეს მომსახურებების აგენტები;
334 ადმინისტრაციული და სპეციალიზებული სფეროს მდივნები;
335 მთავრობის ადმინისტრირების სფეროს პროფესიონალები.

331 მცირე ჯგუფი
ფინანსებისა და მათემატიკის პროფესიონალები

ფინანსებისა და მათემატიკის პროფესიონალები აფასებენ ქონებას და სხვადასხვა სახეობის საქონელს; აწარმოებენ ფინანსური ოპერაციების აღრიცხვას; განიხილავენ ინფორმაციას სასესხო განაცხადების შესახებ და იღებენ გადაწყვეტილებას; ყიდულობენ და ყიდიან ფინანსურ ინსტრუმენტებს და ასრულებენ მათემატიკურ კალკულაციებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ფასიანი ქაღალდების, აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების და აგრეთვე, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის

რეგისტრაციას; საკრედიტო და სასესხო განაცხადების მენეჯმენტისთვის წარდგენას, მათი დაკმაყოფილების ან უარყოფის რეკომენდაციის მისაღებად; განაცხადის დაკმაყოფილებას ან უარყოფას ავტორიზებული ლიმიტის ფარგლებში, დაწესებულების საკრედიტო სტანდარტების გათვალისწინებით; საწარმოს ყველა ფინანსური გარიგების სრულ აღრიცხვას ბუღალტერიის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ბუღალტერის ხელმძღვანელობით; ფინანსური ოპერაციების სრულ აღრიცხვას მათემატიკური, სტატისტიკური და აქტუარული მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და მიწოდებას; ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3311 ფასიანი ქაღალდების და ფინანსური დილერები და ბროკერები;
3312 საკრედიტო და სასესხო ოფიცრები;
3313 საბუღალტრო სფეროს პროფესიონალი;
3314 სტატისტიკის, მათემატიკისა და მონათესავე სფეროს პროფესიონალები;
3315 შეფასებისა და ზარალის კონსულტანტი.

3311 ჯგუფური ერთეული
ფასიანი ქაღალდების და ფინანსური დილერები და ბროკერები

ფასიანი ქაღალდების და ფინანსური დილერები და ბროკერები თავიანთი კომპანიის ან კლიენტების სახელით საკომისიო საზღაურის სანაცვლოდ, ყიდულობენ და ყიდიან ფასიან ქაღალდებს, აქციებს, ობლიგაციებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს. ახდენენ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას, უწევენ კონსულტაციებს კლიენტებსა და ხელმძღვანელ პირებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინფორმაციების მოძიება იმ კლიენტებისა და კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლებშიც შეიძლება ინვესტიციების ჩადება;
2. ბაზრის ტენდეციების გაანალიზება ფასიან ქაღალდებთან, აქციებთან, ობლიგაციებთან და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან, მათ შორის ვალუტის გაცვლასთან მიმართებაში;
3. პოტენციური მომხმარებლების ინფორმირება ბაზრის პერსპექტივებისა და მდგომარეობის შესახებ;
4. ორგანიზაციებისა და კლიენტების სახელით საფინანსო ბაზრებზე აქციებისა და ობლიგაციების დაბანდებებისა და სესხების გაცემის ორგანიზებასა და პირობების განხილვაში მონაწილეობა და კონსულტირება კლიენტების კაპიტალის გაზრდის მიზნით;
5. ფასიანი ქაღალდების, აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების და აგრეთვე, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის რეგისტრაცია ვადიანი, ან დაუყოვნებლივი მიწოდებისათვის.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სავალუტო ბროკერი;
- სავალუტო დილერი;
- ფასიანი ქაღალდების ბროკერი;

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ობლიგაციების ანალიტიკოსი -2413;
- სასაქონლო ბროკერი – 3324;
- სასაქონლო ფიუჩერსების დილერი – 3324;
- ფასიანი ქაღალდების კლერკი – 4312.

3312 ჯგუფური ერთეული
საკრედიტო და სესხის ოფიცრები

საკრედიტო და სესხის ოფიცრები აფასებენ კრედიტის და სესხის მაძიებელთა განაცხადებში მითითებულ ფინანსურ ინფორმაცის და წყვეტენ მისი დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხს ან მიმართავენ მენეჯმენტს კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარყოფის რეკომენდაციით; საკრედიტო და სასესხო განაცხადების დაკმაყოფილებას ან უარყოფას ავტორიზებული ლიმიტის ფარგლებში, დაწესებულების საკრედიტო სტანდარტების გათვალისწინებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მაძიებელთა ინტერვიუირება სამომხმარებლო, იპოთეკურ, სტუდენტურ თუ ბიზნეს სესხებთან დაკავშირებით.
2. სესხის მაძიებლის ფინანსური მდგომარეობის, თავდებობის, სანდოობის და გადახდისუნარიანობის შესწავლა და შეფასება;
3. საკრედიტო და სასესხო განაცხადების მენეჯმენტისთვის წარდგენას მათი დაკმაყოფილების ან უარყოფის რეკომენდაციით;
4. განაცხადის დაკმაყოფილებას ან უარყოფას ავტორიზებული ლიმიტის ფარგლებში, დაწესებულების საკრედიტო სტანდარტების გათვალისწინებით;
5. გადახდის ფინანსური ოპერაციების აღრიცხვას; ვადაგადაცილებულ ანგარიშებზე გადახდის მოთხოვნის შაბლონური წერილების მომზადება და მათთვის სამართლებრივი მსვლელობის მიცემა;
6. საკრედიტო და სასესხო ინფორმაციის შევსება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სესხის ოფიცერი
- ოპოთეკის ოფიცერი

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიაა:

- ფინანსური ინსტიტუტის ფილიალის ხელმძღვანელი – 1346.

3313 ჯგუფური ერთეული
ბუღალტერიის პროფესიონალები

ბუღალტერიის პროფესიონალები ახორციელებენ საწარმოს ფინანსური ოპერაციების სრულ აღრიცხვას და ამოწმებენ იმ დოკუმენტებისა და ანგარიშების კანონიერებას, რომლებიც მსგავს ოპერაციებს ეხება.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საწარმოს ყველა ფინანსური გარიგების სრული აღრიცხვა ბუღალტერიის ზოგადი პრინციპების შესაბამისად;
2. გადასახადებთან, შემოსავლებთან და სხვა ფინანსურ საშუალებებთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ანგარიშების კანონიერების შემოწმება;
3. ფინანსური ანგარიშების მომზადება განსაზღვრული პერიოდისთვის;
4. ბუღალტერიის სფეროში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და გადაჭრის მიზნით;
5. ბუღალტრებისა და კლერკების ზედამხედველობა.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბუღალტრის თანაშემწე;
- ბუღალტერი/მოანგარიშე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე საქმიანობებია:

- ბუღალტერი – 2411;
- საქმეთმწარმოებლის თანაშემწე – 3314;
- ბუღალტერი კლერკი – 4311.

3314 ჯგუფური ერთეული
სტატისტიკის, მათემატიკისა და მონათესავე სფეროს პროფესიონალები

სტატისტიკის, მათემატიკისა და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი მონაწილეობს სტატისტიკური, მათემატიკური ან აქტუარული მონაცემების შეგროვებაში, დამუშავებაში, მიწოდებასა და სხვა მასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებაში. მათ საქმიანობას, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ მათემატიკოსები, სტატისტიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-სპეციალისტები.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მათემატიკური, აქტუარული, სტატისტიკური და სხვა მათთან დაკავშირებული გამოთვლითი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობა;
2. სტატისტიკური კვლევებისა და აღწერებისათვის საჭირო მასალების რაოდენობისა და სამუშაოს ღირებულების განსაზღვრა;

3. ტექნიკური სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება სტატისტიკური კვლევებისა და აღწერისათვის საჭირო რეგისტრებისა და სანიმუშო ცხრილების გამოქვეყნებას, შენარჩუნებასა და გამოყენებას;
4. ტექნიკური სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება მონაცემთა ბაზების შექმნას და ხარისხის კონტროლის ოპერაციებს, აღწერასა და დაკვირვებაში;
5. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის სტანდარტული პაკეტის გამოყენება მათემატიკური, აქტუარული, სტატისტიკური, ბუღალტრული და სხვა მათთან დაკავშირებული გამოთვლითი სამუშაოების შესასრულებლად;
6. მათემატიკური, აქტუარული, სტატისტიკური, ბუღალტრული და სხვა შედეგების მომზადება გრაფიკული და ცხრილური ფორმით წარმოდგენის მიზნით;
7. პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენება მათემატიკური, აქტუარული, სტატისტიკური, ბუღალტრული აღრიცხვის ჩატარებისას მონათესავე სფეროებში მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
8. სტატისტიკის სფეროს მუშაკების ზედამხედველობა.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აქტუარი ასისტენტი;
- მათემატიკოსი ასისტენტი;
- სტატისტიკოსი ასისტენტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- აქტუარი – 2120;
- მათემატიკოსი – 2120;
- სტატისტიკოსი – 2120;
- ბუღალტერ ასისტენტი – 3313;
- სტატისტიკის კლერკი – 4312.

3315 ჯგუფური ერთეული
შეფასებისა და ზარალის კონსულტანტები

შეფასებისა და ზარალის კონსულტანტები აფასებენ ქონებას და სხვადასხვა სახეობის საქონელს, აგრეთვე, აფასებენ სადაზღვევო პოლისების მიხედვით ასანაზღაურებელ ხარჯებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ნედლი მასალის, უძრავი ქონების, სამრეწველო მოწყობილობების, პირადი და საოჯახო ნივთების, ხელოვნების ნიმუშების, ძვირფასი ქვების და სხვა გასაყიდი ან დასაზღვევი ნივთების ხარისხისა და ღირებულების დადგენა;
2. ზარალისა და დანაკარგების ოდენობის აგრეთვე სადაზღვევო კომპანიების და გადამზიდველების სადაზღვევო პოლისების მიხედვით ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრა;
3. მსგავსი ქონების გაყიდვისა და ღირებულების შესახებ ინფორმაციის მოპოვება;

4. საკუთრების ნივთების დათვალიერება მათი მდგომარეობის, ზომის და კონსტრუქციის შესაფასებლად;
5. ღირებულების შეფასების ანგარიშების მომზადება, რომელშიც ხაზგასმულია ღირებულების დადგენის ფაქტორები და მეთოდები.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- შემფასებელი;
- ზარალის შემფასებელი;
- ზარალის ინსპექტორი;
- სადაზღვევო მოთხოვნების შემფასებელი;
- უძრავი ქონების შემფასებელი;
- შემფასებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- აუქციონერი -3339.

332 მცირე ჯგუფი
ყიდვა-გაყიდვის აგენტები და ბროკერები

ყიდვა-გაყიდვის აგენტები და ბროკერები კომპანიების, სახელწიფო თუ სხვა ტიპის ორგანიზაციების სახელით ყიდულობენ და ყიდიან ქონებას, საქონელს, დაზღვევას, სატვირთო და სხვა მომსახურებას სამრეწველო, პროფესიული, კომერციული და სხვა სახეობის დაწესებულებებისგან ან ასეთ დაწესებულებებზე.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დამქირავებლის და მისი კონკურენტის საქონლისა და სერვისების შესახებ; ბაზრის სიახლეებისა და ტენდეციების გაანალიზება და მონიტორინგი; კლიენტის საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და და შესაფერისი პროდუქტებისა და მომსახურებების შერჩევა; კლიენტებისათვის პროდუქტებისა და მომსახურებების წარდგენა და ახსნა; ქონების, საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების წარმოება ფასებზე, კონტრაქტებზე, პირობებზე და გადაზიდვების მომსახურებაზე.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3321 სადაზღვევო წარმომადგენლები;
3322 კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები;
3323 მყიდველები;
3324 სავაჭრო ბროკერები.

<u>შენიშვნა:</u>

გაყიდვების მენეჯერები შედიან 122 მცირე ჯგუფში – გაყიდვების, მარკეტინგისა და მშენებლობის მენეჯერები. ტექნიკური, სამედიცინო და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაყიდვების მენეჯერები შედიან 243 მცირე ჯგუფში – გაყიდვების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს სპეციალისტები; ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსების დილერები შედიან 331 მცირე ჯგუფში – ფინანსურ და მათემატიკის სფეროსთან სპეციალისტები

3321 ჯგუფური ერთეული
სადაზღვევო წარმომადგენლები

სადაზღვევო წარმომადგენლები ყიდიან დაზღვევის ისეთ სახეებს, როგორიცაა სიცოცხლის დაზღვევა, უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა, ავტომობილის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, ქონების დაზღვევა, შერეული დაზღვევა, ხანძრისაგან დაზღვევა, საზღვაო დაზღვევა და სხვა ტიპის დაზღვევა, ახალ და მუდმივ კლიენტებზე, აგრეთვე, უწევენ მათ კონსულტაციებს მსგავს საკითხებში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინფორმაციების მოძიება კლიენტების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც საჭიროა შესაბამისი სადაზღვევო პაკეტისა და მისი პირობების განსაზღვრისათვის;
2. მოლაპარაკებების წარმოება კლიენტებთან, რათა განსაზღვრონ დასაზღვევი რისკის ტიპი და ხარისხი;
3. დაზღვევის დეტალების, პირობების, სადაზღვევო რისკის დაფარვის პრემიების და სარგებლის ახსნა მომხმარებლისთვის;
4. კლიენტებისთვის დახმარების გაწევა სადაზღვევო პაკეტის შერჩევაში, სადაზღვევო პრემიის გამოთვლა და გადახდის მეთოდების დადგენა;
5. გადაზღვევის კონტრაქტების შედგენა და პირობების განხილვა;
6. კონსულტაციების გაწევა, მოლაპარაკებების წარმოება და სადაზღვევო კონტრაქტების შედგენა ფართო მასშტაბიანი და განსაკუთრებული ტიპის პროექტებისთვის, მოწყობილობებისთვის ან რისკებისთვის;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სადაზღვევო აგენტი;
- სადაზღვევო ბროკერი;
- სადაზღვევო გადამზღვეველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სადაზღვევო სააგენტოს მენეჯერი – 1346;
- ფასიანი ქაღალდების ბროკერი – 3311;
- სადაზღვევო შემფასებელი – 3315;
- დაზღვევის კლერკი – 4312.

3322 ჯგუფური ერთეული
კომერციული გაყიდვების წარმომადგენელი

კომერციული გაყიდვების წარმომადგენელი კომპანიების სახელით ყიდიან სხვადასხვა სახეობის საქონელს და მომსახურებას ბიზნესებზე და მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოფენ პროდუქტის შესახებ სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შეკვეთების მიღება და სხვადასხვა სახეობის საქონელის გაყიდვა საცალო, სამრეწველო, საბითუმო ვაჭრობის და სხვა დაწესებულებებზე;
2. ტექნიკური მოწყობილობების, პროდუქციისა და სხვადასხვა მომსახურებების გაყიდვა ცალკეულ პირებზე ან ბიზნეს დაწესებულებებზე;
3. ბაზრის მდგომარეობის, აგრეთვე დამქირავებლის და მისი კონკურენტის საქონლისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მუდმივი განახლება;
4. პოტენციური მომხმარებლების ინფორმაციით უზრუნველყოფა ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე პროდუქტების და აღჭურვილობის მახასიათებლებისა და ფუნქციების შესახებ, მათთვის სარგებლობის წესებისა გაცნობა-დემონსტრირება;
5. ფასებისა და საკრედიტო პირობების კვოტირება, შეკვეთების აღრიცხვა და მიწოდების ორგანიზება;
6. მომხმარებლების აზრისა და მოთხოვნების გაცნობა პროდუქციის მომწოდებლებისა და მწარმოებლებისათვის;
7. თვალყურის მიდევნება კლიენტისთვის, შესყიდული პროდუქტით კმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გაყიდვის შემდგომი სერვისის მრჩეველი;
- სადაზღვევო ფირმის წარმომადგენელი;
- კომივოიაჟერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- გაყიდვების მენეჯერი -1221;
- სამედიცინო სფეროს გაყიდვების წარმომადგენელი – 2433;
- ტექნიკური სფეროს გაყიდვების წარმომადგენელი – 2433;
- საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების (ICT) გაყიდვების სფეროს პროფესიონალი – 2434;
- მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები – 5223;
- კარ-და-კარ მოსიარულე გამყიდველი – 5243.

3323 ჯგუფური ერთეული
მყიდველები

მყიდველები ყიდულობენ საქონელსა და მომსახურებას მოხმარების ან შემდგომი გადაყიდვის მიზნით სამრეწველო, კომერციული, სახელმწიფო ან სხვა სახეობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახელით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კონტრაქტის პირობების განსაზღვრა ან მოლაპარაკებების წარმოება, მიწოდების კონტრაქტების დადება ან კონტრაქტის დადების რეკომენდაციის გაცემა მოწყობილობების, ნედლი მასალების, პროდუქციის, მომსახურების და საქონლის შეძენა გადაყიდვისათვის;
2. ინფორმაციის მოძიება მოთხოვნებისა და საქონლის არსებული მარაგის შესახებ, გასაყიდი საქონლის რაოდენობის, ხარისხის, ღირებულების, გადაცემის ვადებისა და კონტრაქტის სხვა პირობების განსაზღვრა;
3. ზოგადი პროფილის და სპეციალიზებული მოწყობილობების, მასალების, ან კომერციული მომსახურების შესყიდვა დაწესებულების მიერ მათი პირდაპირ მოხმარების ან მათთვის შემდგომი მსვლელობის მიცემისათვის;
4. ტენდერების გამოცხადება, მომწოდებლებთან კონსულტაციების გავლა და კვოტირებების განხილვა;
5. საქონლის შესყიდვა საცალო ან საბითუმო დაწესებულებების მიერ მათი შემდგომი გადაყიდვისთვის;
6. ბაზრის შესახებ ანგარიშების, ვაჭრობის სფეროში პერიოდული გამოცემების და გაყიდვების პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი მასალების შესწავლა, აგრეთვე სავაჭრო გამოფენების, შოუ-რუმების, ქარხნების და პროდუქციის დიზაინის სადემონსტრაციო ღონისძიებებზე დასწრება;
7. ისეთი საქონლისა თუ პროდუქტის შერჩევა, რომელიც საუკეთესოდ ერგება დაწესებულების მოთხოვნებს;
8. მომწოდებელთა ინტერვიუირება და ფასებზე, ფასდაკლებებზე, საკრედიტო პირობებზე და ტრანსპორტირების უზრუნველყოფაზე შეთანხმების მიღწევა;
9. საქონლის აუთლეტებში დისტრიბუციის ზედამხედველობა და მისი ადეკვატური მარაგის დონის შენარჩუნება;
10. მიტანის გრაფიკის დადგენა, პროგრესის მონიტორინგი, აგრეთვე კლიენტებთან და მიმწოდებლებთან დაკავშირება პრობლემების გადასაჭრელად.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მყიდველი;
- შესყიდვების ოფიცერი;
- შესყიდვების აგენტი;
- მერჩენდაიზერი;
- მიწოდების ოფიცერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიაა:

- სავაჭრო ბროკერები – 3324.

3323 ჯგუფური ერთეული
სავაჭრო ბროკერები

სავაჭრო ბროკერები ბითუმად ყიდულობენ და ყიდიან საქონელს და გადაზიდვების მომსახურებას საკუთარი კომპანიის სახელით ან კლიენტებისათვის საკომისიო ანაზღაურების სანაცვლოდ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კონტაქტების დამყარება საქონლის, პროდუქციისა ან მომსახურების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის;
2. კლიენტების ყიდვასთამ ან გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხილვა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა;
3. გემებზე სატვირთო სივრცის ყიდვა-გაყიდვა;
4. საქონლისა და ფიუჩერსების ყიდვა-გაყიდვაზე მოლაპარაკებების წარმოება;
5. საქონლის განთავსებისათვის საჭირო სივრცის გამოძებნა და ტვირთის ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯებზე შეთანხმება;
6. ბაზრის სიახლეების და სხვა ისეთი ფაქტორების მონიტორინგი და ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენს საქონლის მიწოდებაზე და მოთხოვნაზე.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასაქონლო ბროკერი;
- სასაქონლო ფიუჩერსების დილერი;
- გადაზიდვების ბროკერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე საქმიანობებია:

- ფინანსური ბროკერი -3311;
- ფინანსური დილერი -3311;
- ფასიანი ქაღალდების ბროკერი -3311;
- ფასიანი ქაღალდების დილერი -3311;
- დაზღვევის დილერი -3321.

333 მცირე ჯგუფი
ბიზნეს მომსახურების აგენტები

ბიზნეს მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები ამყარებენ საჭირო კონტაქტებს მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, ბითუმად ყიდულობენ და ყიდიან ფართო მოხმარების საგნებს, ახორციელებენ მომხმარებელთა საკლირინგო პროცედურებს და

უზრუნველყოფენ ექსპორტ/იმპორტის, ლიცენზიებისა და დაზღვევების მოწესრიგებას, აგრეთვე, უზრუნველყოფენ მუშახელის მოძიებას ვაკანტური ადგილებისთვის, დებენ შრომით კონტრაქტებს კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად და ყიდიან სხვადასხვა სახეობის კომერციულ მომსახურებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ფართო მოხმარების საგნების ბითუმად გაყიდვა ან ყიდვა; მომხმარებელთა საკლირინგო პროცედურების განხორციელება და ექსპორტ/იმპორტის ლიცენზიებისა და დაზღვევების მოწესრიგება; მუშახელის მოძიება სხვადასხვა ვაკანტური ადგილებისთვის ან შრომითი კონტრაქტების დადება კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად საწარმოების, მთავრობის ან სხვა დაწესებულებების მოთხოვნების შესაბამისად; საქმიანი კონტაქტების ორგანიზება; კომერციული მომსახურების გაყიდვა, როგორიცაა, მაგალითად, სარეკლამო ადგილები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, სატრანსპორტო მომსახურება, აგრეთვე, კრედიტი და სხვა კომერციული ინფორმაცია; კონტრაქტების შედგენა მსახიობებისა და ხელოვნების სხვა მუშაკებისათვის სპექტაკლებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, აგრეთვე, წიგნებისა და პიესების გამოცემასა და მუსიკის გაყიდვასა ან ჩაწერასთან დაკავშირებით.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3331 კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები;

3332 კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზატორი;

3333 დასაქმების აგენტები და კონტრაქტორები;

3334 უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები;

3339 ბიზნეს მომსახურებების აგენტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას.

3331 ჯგუფური ერთეული
კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები

კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები ახორციელებენ საბაჟოს საკლირინგო პროცედურებს და უზრუნველყოფენ დაზღვევის, ექსპორტ/იმპორტის ლიცენზიებისა და სხვა დოკუმენტების სათანადო გაფორმებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საბაჟოს საკლირინგო პროცედურების განხორციელება ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებით;
2. სადაზღვევო დოკუმენტების სათანადო გაფორმების უზრუნველყოფა;
3. საიმპორტო და საექსპორტო ლიცენზიებისა და სხვა ფორმალური დოკუმენტების სათანადო გაფორმების უზრუნველყოფა;
4. ზედნადებების ხელმოწერა და გაცემა;
5. იმპორტ/ექსპორტის დოკუმენტაციის შემოწმება ტვირთის შემცველობის განსასაზღვრად და საქონლის დახარისხება სხვადასხვა ჯგუფებად ფასის თუ ტარიფის კატეგორიების მიხედვით, ტარიფების კოდირების სისტემის გამოყენებით.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კლირინგის აგენტი;
- ფორვარდული გარიგებების აგენტი;
- გადაზიდვების აგენტი.

3332 ჯგუფური ერთეული
კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზატორი

კონფერენციებისა და ღონისძიებების მგეგმავები ორგანიზებას უწევენ და საკონფერენციო, ღონისძიებების, მიღებების, ბანკეტების და სემინარებისთვის საჭირო მომსახურებებს და ახდენენ მათ კოორდინირებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კონფერენციების, ყრილობების და სავაჭრო გამოფენების პოპულარიზაცია პოტენციურ კლიენტებში;
2. ოთახის და აღჭურვილობის ქირის, კატერინგის და მსგავსი მომსახურებების ღირებულებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხი;
3. კლიენტებთან შეხვედრა მათი საჭიროებების და ამ საჭიროებათა შესატყვისი შეთავაზების პაკეტის განსახილველად;
4. ისეთი მომსახურებების ორგანიზაცია და კოორდინირება, როგორიც არის: საკონფერენციო სივრცით და აღჭურვილობით უზრუნველყოფა, კატერინგი, შესაბამისი აღნიშვნების დადგმა, დისფლეის, აუდიოვიზუალური და კომპიუტერული აღჭურვილობით უზრუნველყოფა, სასტუმროში განთავსება, ტრანსპორტით მომსახურება და კულტურული პროგრამის ორგანიზება მონაწილეთათვის, ხოლო გამომსვლელთათვის ლოგისტიკური მხარდაჭერის აღმოჩენა.
5. მონაწილეთა რეგისტრაცია;
6. მოლაპარაკებების წარმოება ბიუჯეტით გათვალისწინებული მომსახურების ტიპის და ღირებულების შესახებ;
7. კონტრაქტორთა სამუშაოს ზედამხედველობა და სამუშაო ბრძანებების ცვლილებებზე ანგარიშის წარდგება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კონფერენციების და ღონისძიებების ორგანიზატორი;
- კონფერენციების მგეგმავი;
- ქორწილების ორგანიზატორი.

3333 ჯგუფური ერთეული
დასაქმების აგენტები და კონტრაქტორები

დასაქმების აგენტები და კონტრაქტორები ასაქმებენ სამუშაოს მაძიებლებს, დამქირავებლებისთვის ეძებენ მუშაკებს და დებენ შრომით ხელშეკრულებებს კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების მათ შორის სამთავრობო და სხვა დაწესებულებების მოთხოვნების შესაბამისად, ან საკომისიო ანაზღაურების სანაცვლოდ ეძებენ სამუშაო ადგილს სამუშაოს მაძიებლებისთვის.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ვაკანტური ადგილების შერჩევა სამუშაოს მაძიებლებისთვის;
2. ვაკანტური ადგილებისთვის მუშაკების მოძებნა დამსაქმებლის ან მუშაკის მიერ საკომისიო ანაზღაურების სანაცვლოდ;
3. დამქირავებელთან დასაქირავებელი მუშაკებისათვის ან იმ პირებისათვის, ვისთანაც იგეგმება ხელშეკრულების დადება, საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სხვა მახასიათებლების განხილვა;
4. შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე მუშახელის მოძიება და საჭირო ფორმალური პროცედურების ჩატარება ეროვნული ან საერთაშორისო წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
5. შრომითი ხელშეკრულებების ხელმოწერა და მათი იურიდიული მოთხოვნებისადმი შესაბამისობა;
6. ტრენინგის სქემებზე კონსულტირება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დასაქმების აგენტი;
- სამუშაოზე განწესების ოფიცერი;
- შრომითი კონტრაქტორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- კარიერის მრჩეველი – 2423;
- პროფესიული ანალიტიკოსი -2423;
- ლიტერატურული აგენტი -3339;
- მუსიკალური აგენტი -3339;
- სპორტსმენთა აგენტი – 3339;
- თეატრალური აგენტი -3339.

3334 ჯგუფური ერთეული
უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები

უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები უძრავი ქონების აგენტები, კლიენტების სახელით ან მათი დავალებით, ორგანიზებას უკეთებენ კერძო საკურების ყიდვის, გაყიდვის, გაქირავებისა და დაგირავების საქმიანობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინფორმაციის მიძიება გასაყიდი ან იჯარით გასაცემი საკუთრების, მისი მფლობელების ფინანსური მდგომარეობისა და პოტენციური მყიდველების ან მოიჯარეების მოთხოვნების შესახებ;
2. გასაყიდი ან დასაგირავებელი ქონების ჩვენება პოტენციური მყიდველებისთვის ან მოიჯარეებისათვის და მათთვის ყიდვის, გაქირავების ან დაგირავების პირობების გაცნობა;
3. მოიჯარეებსა და მფლობელებს შორის მოლაპარაკებების ხელშეწყობა ფასზე;
4. იჯარისა და საკუთრებაზე უფლებების გადაცემის ხელშეკრულებების ხელმოწერის ორგანიზება;
5. გაქირავების შეთანხმებისა და საკუთრების უფლების იჯარით გადაცების ხელმოწერის პრგანიზება;
6. მფლობელების სახელით გირაოს და ქირის თანხის შეგროვება, კერძო საკუთრების დათვალიერება გაქირავებამდე და გაქირავების პერიოდში ან დასრულების შემდეგ;
7. ქონდეთ საქმეზე მომუშავე პერსონალს შესაძლებლობა შეინარჩუნოს კერძო საკუთრება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- უძრავი ქონების აგენტი;
- საკუთრების მენეჯერი;
- უძრავი ქონების გაყიდვის აგენტი;
- უძრავი ქონების გამყიდველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულს მიკუთვნებული მონათესავე საქმიანობებია:

- იპოთეკის კლერკი – 4312.

3339 ჯგუფური ერთეული
ბიზნეს მომსახურებების აგენტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიებს

ეს ჯგუფური ერთეული მოიცავს ყველა იმ კომერციული მომსახურებების აგენტებს, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული სხვაგან 333-ე მცირე ჯგუფში. მაგალითად, ჯგუფში შედის მათ, ვინც ამყარებს ბიზნეს-კონტაქტებს, ყიდის ბიზნეს-სერვისებს, როგორიცაა რეკლამის გაკეთება მედიაში, ათლეტთა, მსახიობთა და სხვა ხელოვანთა კონტრაქტების ხელმძღვანელობა, რომელიც ეხება წიგნის დაბეჭდვას, თეატრალური დადგმებს, მუსიკალური პროდუქტის ჩაწერას, შესრულებასა და გაყიდვებს, კერძო საკუთრებისა და

საქონლის გაყიდვა აუქციონზე და მოგზაურობის კონსულტანტები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ პაკეტურ და ჯგუფურ ტურებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გასაყიდი სერვისებისა და სავარაუდო მყიდველის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოძიება;
2. მყიდველისა თუ გამყიდველის სახელით საკონტრაქტო მოლაპარაკებების წარმოება და კლიენტისათვის გაყიდვებისა და გადახდის პირობების ახსნა-განმარტება;
3. მყიდველისა თუ გამყიდველის სახელით ხელშეკრულების ხელმოწერა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა;
4. მყიდველისათვის ბიზნეს-მომსახურების შესყიდვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა შეთანხმებულ ფორმატში შეთანხმებულ დროს;
5. სხვადასხვა სახეობის საკუთრების, მანქანის, საქონლის, პირუტყვის, ხელოვნების ნიმუშების, სამკაულის და სხვა ნივთების გაყიდვა აუქციონზე;
6. ბიზნეს და დასვენების ტურების ორგანიზება და სასტუმროების დაჯავშნა.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სარეკლამო მომსახურების გამყიდველი;
- აუქციონერი;
- ლიტერატურული აგენტი;
- მუსიკალური აგენტი;
- სპორტსმენთა აგენტი;
- სპორტის მარკეტოლოგი;
- თეატრალური აგენტი;
- ტურ-ოპერატორი.

<u>334 მცირე ჯგუფი</u>
ადმინისტრაციული და სპეციალიზირებული მდივნები

ადმინისტრაციული და სპეციალიზირებული მდივნები ასრულებენ ორგანიზაციულ, კომუნიკაციისა და დოკუმენტირების მომსახურებას, იყენებენ რა სპეციალიზირებულ ცოდნას იმ საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვისთვის, რომელზედაც ისინი არიან დასაქმებულნი. ისინი აგრეთვე, ზედამხედველობენ მომუშავე პეროსნალის მიერ უფლებამოსილებათა შესრულებას ოფისში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მომუშავე პერსონალის მიერ განხორციელებული სამუშაოს კოორდინირებას, გამომცემლობით საქმიანობას და შესრულებული სამუშაოს განხილვას; საქმიანობების გადანაწილებას. სამართლებრივი დოკუმენტებისა და საბუთების, ანდერძის, წერილობითი ჩვენების, მოკლე ჩანაწერების მომზადებას; საორგანიზაციო განყოფილების კომუნიკაციის, დოკუმენტაციისა და შიდა მენეჯერული კოორდინაციის განხორციელებას და მის უზრუნველყოფას; ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზაციის ბიზნეს

საქმიანობისთვის საჭირო სპეცალური ცოდნის გამოყენებას; თათბირებისა და შეხვედრების დაგეგმვასა და დადასტურებას, კლიენტებთან შეტყობინებებით კომუნიკაციას, სამართლებრივი და სამედიცინო ჩანაწერების, ანგარიშების, დოკუმენტებისა და კორესპონდენციის გაკეთებასა და გადახედვას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3341 ოფისის ზედამხედველები;

3342 სამართლებრივი მდივნები;

3343 ადმინისტრაციული და აღმასრულებელი მდივნები;

3344 სამედიცინო მდივნები.

3341 ჯგუფური ერთეული
ოფისის სპეციალისტი

ოფისის ზედამხედველები ახორციელებენ მეოთხე მთავარ ჯგუფში კლასიფიცირებული მუშაკების: კლერკების მუშაობის ზედამხედველობასა და კოორდინირებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. იმ კლერკების მუშაობის კოორდინირება, სამუშაოს დავალება და გადახედვა, რომლებიც შემდგომ მოვალეობებს ახორციელებენ: ნაწარმოებთა დამუშავებას, ჩანაწერების გაკეთებასა და შენახვას, ტელეფონებისა და კომუტატორების ოპერირებას მონაცემების შეყვანას, გამომცემლობაზე მუშაობას და სხვა საქმიანობას, რომელიც მოიცავს საოფისე საქმისა და ადმინისტრირების ზოგად უნარ-ჩვევებს;
2. სამუშაო გრაფიკისა და პროცედურების დაწესებასა და სხვა განყოფილებებთან და დეპარტამენტებთან საქმიანობის კოორდინირებას;
3. სამუშაოსთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას და პროგრესისა თუ სხვა სახეობის ანგარიშების მომზადებასა და გაგზავნას;
4. დასაქმებულთა ტრენინგსა და ინსტრუქტაჟს საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, უსაფრთხოების პროცედურებისა და კომპანიის პოლიტიკასთან დაკავშირებით, აგრეთვე, ტრენინგების დაგეგმვას;
5. დასაქმებლთა მუშაობის შეფასებას და მათი შესაბამისობის შეოწმებას არსებულ რეგულაციებთან, აგრეთვე, პერსონალისთვის შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე რეკომენდაციების მიცემას;
6. ახალ თანამშრომელთა აყვანაში დახმარებას, ინტერვიუს ჩატარებასა და თანამშრომელთა შერჩევას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კლერკის ზედამხედველი;
- მონაცემების შეყვანის სპეციალისტი;

- კანცელარიის მუშაკების ზედამხედველი;
- ადამიანური რესურსების სპეციალისტების ზედამხედველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სამედიცინო ისტორიისა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სფეროს სპეციალისტი – 3252.

<u>შენიშვნა:</u>

მუშახელი, რომელიც ახდენს იურიდიულ ოფისებსა და იურიდიულ დეპარტამენტებში მომუშავე თანამშრომლების საქმიანობის ზედამხედველობას, შედიან 3342 ჯგუფური ერთეული – მდივნები იურიდიულ საკითხებში. ხოლო ისინი, ვინ ახდენენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში მუშაკთა ზედამხედველობას, სადაც საჭიროა ჯანმრთელობასთან და მედიცინასთან დაკავშირებული ისეთი სპეციალური ცოდნა, როგორიცაა სამედიცინო ჩააწერებისა და საავადმყოფოში მიღების დეტალების წარმოება, კლასიფიცირდებიან ჯგუფურ ერთეულ 3344-ში: სამედიცინო სფეროს მდივნები. ისინი, ვინც პირდაპირ სამდივნო და ადმინისტრაციულ დახმარებას უწევენ მენეჯერებსა თუ პერსონალს (გარდა სამართლებრივი და ჯანდაცვის სპეციალისტებისა) და აგრეთვე, მუშაკების საქმიანობასაც ზედამხედველობენ, ისინი კლასიფიცირდებიან 3343 ჯგუფურ ერთეულში – ადმინისტრაციული და აღმასრულებელი მდივნები.

<u>3342 ჯგუფური ერთეული</u>
მდივნები იურიდიულ საკითხებში

იურიდიულ საკითხებში მდივნები სპეციალიზირებული სამართლებრივი ტერმონილოგიებისა და პროცედურების ცოდნით უწევენ დახმარებას სამართლებრივ პროფესიონალებს კომუნიკაციასთან, დოკუმენტირებასთან და შიდა მენეჯერული საქმიანობის კოორდინირებასთან დაკავშირებით, იურიდიულ ოფისებში, დიდი ფირმებისა და მთავრობების იურიდიულ დეპარტამენტებში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამართლებრივი დოკუმენტების, მასალების, საბუთების, ანდერძების, წერილობითი ჩვენებებისა და მოკლე მიმოხილვების მომზადებასა და დამუშავებას;
2. დოკუმენტებისა და კორესპონდენციის მიმოხილვასა და გადამოწმებას, რათა დადგინდეს მისი სამართლებრივ პროცედურებთან შესაბამისობა;
3. კლიენტებთან, მოწმეებთან და სასამართლოს თანამდებობის პირებთან სამართლებრივი დოკუმენტაციის გაგზავნის უზრუნველყოფას ელექტრონული ფოსტის, ფაქსისა და სხვა გზებით;
4. დოკუმენტების, საქმის მასალებისა და სამართლებრივი ბიბლიოთეკის ორგანიზებასა და შენახვას;
5. შეხვედრების შესახებ მოთხოვნების გადახედვას, შეხვედრების ჩანიშვნასა და ორგანიზებას;
6. ბიუჯეტის მომზადებაში დახმარებას, ხარჯვის მონიტორინგს, კონტრაქტების შედგენასა და ორდერების შესყიდვას ან ცნობას;

7. ოფისის მუშაკების სამუშაოების ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სამართლებრივი პრაქტიკის მენეჯერი;
- სამართლებრივი მდივანი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- იურისტის თანაშემწე – 3411.

3343 ჯგუფური ერთეული
ადმინისტრაციული და აღმასრულებელი მდივნები

ადმინისტრაციული და აღმასრულებელი მდივნები ასრულებენ დამაკავშირებელ, მაკოორდინირებელ და საორგანიზაციო საქმიანობას მენეჯერებისა და სხვა პერსონალის დასახმარებლად, აგრეთვე, კორესპონდენციის, ანგარიშების, სხდომის ოქმების/ჩანაწერების და სხვა სპეციალიზირებული დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ადმინისტრაციული მიმოწერისა და ოქმების წარმოებას;
2. სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების ვადების განსაზღვრას და მათი დაცვის კონტროლს შესაძლო გადავადების გათვალისწინებით;
3. შეხვედრებზე მოთხოვნების მიღებას, მათ ჩანიშვნასა და ორგანიზებას, აგრეთვე, გამგზავრებების ორგანიზებას;
4. ბიუჯეტის პროექტების მომზადებაში დახმარებას, ხარჯების კონტროლს, კონტრაქტების პროექტებისა და შესყიდვების შეკვეთების მომზადებას;
5. საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით პერსონალთან დაკავშირებას;
6. საქმიანი და სხვა ტექნიკური წერილებისა და მსგავსი კორესპონდენციის წარმოებას;
7. საკანონმდებლო ორგანოში, სასამართლოში ან სხვა დაწესებულებებში სხდომების ოქმების წარმოებას სტენოგრაფიით ან სხვა საშუალებებით;
8. სხვა მუშაკების საქმიანობის ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ადმინისტრაციული მდივანი;
- მიმოწერის საკითხებში თანაშემწე;
- სასამართლო ანგარიშების მწარმოებელი;
- აღმასრულებელი თანაშემწე;
- პირადი თანაშემწე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- მდივნები სამედიცინო საკითხებში – 3344;
- მდივნები (ზოგადი) – 4120.

3344 ჯგუფური ერთეული
მდივნები სამედიცინო საკითხებში

მდივნები სამედიცინო საკითხებში სამედიცინო სოციალური ტერმინოლოგიისა და ჯანდაცვის პროცედურების გამოყენებით, ახორციელებენ ჯანდაცვის სპეციალისტებისა და სხვა მუშაკების დახმარებას, ასრულებენ რა მრავალ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია კომუნიკაციასთან, დოკუმენტაციასთან, ადმინისტრაციული და შიდა კოორდინაციის ფუნქციის შესრულებასთან, აგრეთვე, სამედიცინო მოწყობილობების მოხმარებისა და ჯანდაცვის ორგანიზების სხვადასხვა საკითხებთან.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამედიცინო შეხვედრების დაგეგმვასა და დადასტურებას, სამედიცინო პერსონალთან და პაციენტებთან შემოსული შეტყობინებების კოორდინირებას;
2. სამედიცინო ცხრილების, ანგარიშების, დოკუმენტაციისა და კორესპონდენციის შევსებას, ჩაწერასა და გადახედვას;
3. ფორმების, დოკუმენტებისა და საქმის ისტორიის შესავსებად პაციენტთათვის ინტერვიუს ჩატარებას;
4. დაზღვევისა და სხვა მოთხოვნის ფორმების შევსებას;
5. სამედიცინო ფაილების, ჩანაწერებისა და ტექნიკური ბიბლიოთეკის შენახვას;
6. ფინანსური განაცხადებისა და ინვოისების გამოწერას;
7. ბიუჯეტის მომზადებას, კონტრაქტების, ინვოისის ან შეძენის ორდერის მომზადებას;
8. ოფისის ტექნიკური მხარდაჭერისა და სხვა პერსონალის მუშაობის ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სტომატოლოგიური მდივანი;
- საავადმყოფოს პალატის მდივანი;
- სამედიცინო დაზღვევის მდივანი;
- სამედიცინო ლაბორატორიის მდივანი;
- სამედიცინო ოფისის ადმინისტრაციული თანაშემწე;
- სამედიცინო პრაქტიკის მენეჯერი;
- სამედიცინო მდივანი;
- სამედიცინო სტენოგრაფისტი;
- სამედიცინო ტრანსკრიპტიონისტი;
- პათოლოგიის სპეციალობის მდივანი;
- პაციენტთა მოვლის მდივანი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სამედიცინო ისტორიისა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სფეროს სპეციალისტები- 3252;
- სამედიცინო სფეროს დამხმარე პირები – 3256;
- მდივნები (ზოგადი) – 4120;
- მიმღების ოპერატორები – 4226.

335 მცირე ჯგუფში
მთავრობის ადმინისტრირების სფეროს პროფესიონალები

მთავრობის რეგულირების სფეროს პროფესიონალები ახდენენ სახელმწიფოს საზღვართან, გადასახადებთან და სოციალურ სარგებელთან დაკავშირებით შესაბამისი სახელისუფლებლო წესებისა და რეგულაციების ადმინისტრირებას, აღსრულებასა და გავრცელებას; ახდენენ დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიებას; გასცემენ მგზავრობასთან, პროდუქტების იმპორტსა და ექსპორტთან დაკავშირებული, აგრეთვე, ბიზნესის დაარსებისთვის, შენობათა მშენებლობისთვის და სხვა იმ სახეობის საქმიანობების განხორციელებისთვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას, რომლებიც მთავრობის რეგულირების სფეროში ექცევა.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სახელმწიფო საზღვარზე პატრულირებას, პირებისა და ტრანსპორტის, ასევ სამგზავრო და ტრანსპორტის დოკუმენტაციისა და საზღვარზე გადასატანი/გადმოსატანი პროდუქტის შემოწმებას, რათა დადგინდეს ქმედების შესაბამისობა არსებულ სახელისუფლებლო წესებთან და რეგულაციებთან; პირებისა და ბიზნესების მიერ გადასახადების გადახდის შემოწმებას, რათა დადგინდეს მათ მიერ ამ ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება; სოციალური დახმარებების გაცემის შესახებ აპლიკაციების შემოწმებასა და გადაწყვეტას; მგზავრობასთან, პროდუქტების იმპორტსა და ექსპორტთან დაკავშირებული, აგრეთვე, ბიზნესის დაარსებისთვის, შენობათა მშენებლობისთვის და სხვა იმ სახეობის საქმიანობების განხორციელებისთვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას, რომლებიც მთავრობის რეგულირების სფეროში ექცევა; ფასების, ხელფასებისა თუ სხვა რეგულაციების მონიტორინგს; მტკიცებულებათა მოპოვებასა და დადასტურებას; მოწმეებისა და ეჭვმიტანილების დაკითხვას; დოკუმენტებისა და კომპიუტერული ფაილების ანალიზს; მითითებები ზემდგომი სახელისუფლებლო წარმომადგენლებისა და უფროსებისგან მითითებების მიღებას; შესაძლებელია სხვების ზედამხედველობაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში შემავალი პროფესიები კლასიფიცირდება შემდეგ ჯგუფურ ერთეულებში:

3351 საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები;
3352 საგადასახადო და სააქციზო სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები;
3353 სოციალური უზრუნველყოფის სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები;
3354 ლიცენზიების სფერო მთავრობის თანამდებობის პირები;
3355 პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები;
3356 მთავრობის რეგულირების სფეროს პროფესიონალები რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას.

3351 ჯგუფური ერთეული
საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები

საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები ამოწმებენ საზღვრის მკვეთ პირებსა და ტრანსპორტს, აგრეთვე, იცავენ და აღასრულებენ შესაბამის სახელისუფლებლო წესებსა და რეგულაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სახელმწიფო საზღვარზე და საზღვაო ზოლზე პატრულირებას რათა აღკვეთონ პირთა საზღვარზე უკანონო შემოსვლა ან უკანონო გასვლა, აგრეთვე, უკანონოდ ვალუტისა თუ პროდუქტის ექსპორტი ან იმპორტი;
2. პირთათვის, რომლებიც კვეთენ სახელმწიფო საზღვარს, სამგზავრო დოკუმენტების შემოწმება, რათა დარწმუნდნენ, რომ მათ აქვთ საჭირო ნებართვა და მოწმობა საზღვრის გადასაკვეთად;
3. პირთათვის, რომლებიც კვეთენ სახელმწიფო საზღვარს ბარგის შემოწმება, რათა დარწმუნდნენ რომ იგი შესაბამისობაშია ხელისუფლების მიერ დადგენილ წესებთან და რეგულაციებთან პროდუქტებისა და ვალუტის სახელმწიფო საზღვარზე იმპორტის ან ექსპორტის შესახებ;
4. სამგზავრო დოკუმენტებისა და სახელმწიფო საზღვრის მკვეთი ტრანსპორტის ტვირთის შემოწმება, რათა დარწმუნდნენ რომ იგი შესაბამისობაშია ხელისუფლების მიერ დადგენილ წესებთან და რეგულაციებთან ტრანზიტით გადასატანი პროდუქციის შესახებ, აგრეთვე, პროდუქციის იმპორტისა და ექსპორტის შესახებ, აგრეთვე, იმაში დასარწმუნებლად რომ შესაბამისი ბაჟი გადახდილია;
5. იმიგრაციისა და საბაჟო კანონების დარღვევისთვის პირთა დაკავება და აკრძალული ან არადეკლარირებული პროდუქციის ამოღება;
6. კანონის აღსრულებასთან, დეპორტაციასთან და გასამართლებასთან დაკავშრებით მომუშავე სხვა სააგენტოებთან კოორდინირებას და თანამშრომლობას;
7. შესაბამისი ადმინისტრაციული საქმიანობის შესრულებას ოქმების, ტრანზაქციების, დარღვევებისა და გადაწვეტილებების ჩასაწერად;
8. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს წინაშე წარდგენას საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს არსებული გარემოებებისა და შედეგების შესახებ.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საზღვრის ინსპექტორი
- საბაჟო ინსპექტორი
- საბაჟო ოფიცერი
- იმიგრაციის ოფიცერი
- პასპორტის კონტროლის ოფიცერი

3352 ჯგუფური ერთეული
საგადასახადო და სააქციზო სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები

საგადასახადო და სააქციზო სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები აკონტროლებენ გადასახადების გადახდას, შესყიდვის ქვითრებს და სხვა დოკუმენტებს, აგრეთვე, ადგენენ ინდივიდუალური პირებისა და ბიზნესების მიერ გადასახდელი გადასახადების სახესა და რაოდენობას, მათ მოვალეობებსა და სხვა სახეობის გადასახადებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში კონსულტაციას გადიან ბუღალტრებთან, მთავრობის მაღალჩინოსნებთან და მენეჯერებთან.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ორგანიზაციებისა და საწარმოებისთვის არსებული საგადასახადო სახელისუფლებო კანონების, წესებისა და რეგულაციების შეახებ რჩევების მიცემას, რომელიც უკავშირდება გადასახადებისა და სხვა სამთავრობო სახდელების დადგენასა და გადახდას, აგრეთვე, ხელისუფლების მოვალეობებსა და საზოგადოების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
2. გადახდილი გადასახადების ქვითრების და სხვა კავშირში მყოფი დოკუმენტაციის შემოწმებას, რათა განისაზღვროს გადასახადების სახეობა და რაოდენობა, აგრეთვე, გადასახადის გადახდის მოვალეობა და დამატებითი გადასახადის სახეები, რომელთა გადახდაც უნდა მოხდეს;
3. საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით გადახდილი გადასახადების, ქვითრების ჩანაწერების, შიდაორგანიზაციული კონტროლის სისტემების შემოწმებას;
4. დოკუმენტების მოძიების, ჩანაწერების შენახვისა და განხორციელებული საქმიანობის ანგარიშების წარმოებისთვის საჭირო ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აქციზების ოფიცერი;
- საგადასახადო ინსპექტორი;
- საგადასახადო ოფიცერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ბუღალტერი – 2411;
- აუდიტორი – 2411.

3353 ჯგუფური ერთეული
სოციალური უზრუნველყოფის სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები

სოციალური უზრუნველყოფის სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები ახდენენ მთავრობისადმი, ფინანსურ ან მომსახურეობის პროგრამებში ჩართვისათვის გაგზავნილი განცხადებების შემოწმებას, რათა დაადგინონ პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები, აგრეთვე, გასაცემი თანხა შესაბამისი მომსახურების მისაწოდებლად, აგრეთვე, ისინი ამისამართებენ

განსაკუთრებულ ან მნიშვნელოვან საქმეებს უფროს მთავრობის თანამდებობის პირებთან და მენეჯერებთან.

1. მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
2. ინდივიდის ან ორგანიზაციისთვის კონსულტაციის გაწევას არსებულ სახელისუფლებლო კანონებთან, წესებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით, რომლებიც არსებობს სამთავრობო პროგრამებზე, აგრეთვე, გადასახადების დადგენისა და გაცემის, აგრეთვე, სერვისებზე რეფერირებისთვის არსებულ წესებთან დაკავშირებით, ისევე როგორც საზოგადოების უფლებებსა და მოვალეობებზე;
3. განცხადებებისა და სხვა კავშირში მყოფი დოკუმენტაციის შემოწმებას, რათა დადგინდეს პირი აკმაყოფილებს თუ არა პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმებს;
4. დოკუმენტების შეფასებას და პროგრამაში ჩართვის კანდიდატის ინტერვიუირებას რათა დადგინდეს არის თუ არა პირი შესაბამისი კანდიდატი, რომ ისარგებლოს პროგრამის სარგებელით;
5. მსგავსი ადმინისტრაციული ამოცანების შესრულებას, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის შესახებ ჩანაწერების გაკეთებასთან, აგრეთვე, განმცხადებლის პროგრამასთან შესაბამისობის, გადამისამართების შესახებ გადაწვეტილების მიღების, დახმარების შეწყვეტის, შეთანხმების პირობების დარღვევისა თუ თაღლითობის შესახებ შესაბამისი ანგარიშების მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პენსიის ოფიცერი;
- სოციალური მომსახურების ოფიცერი;
- სოციალური უსაფრთხოების შესახებ საჩივრების ოფიცერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- კონსულტაციების სფეროს სპეციალისტი – 2635;
- სოციალური სამუშაოს სპეციალისტი – 2635.

3354 ჯგუფური ერთეული
ლიცენზიების სფერო მთავრობის თანამდებობის პირები

ლიცენზირების სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები ამოწმებენ საქონლის იმპორტთან და ექსპორტთან დაკავშირებულ ლიცენზიებს, აგრეთვე, ბიზნესის წარმოებასთან, სახლებისა და სხვა ნაგებობების აშენებასთან, პასპორტის მოპოვებასთან, ლიცენზიის ან პასპორტის მიღების მოთხოვნებთან შესაბამისობასთან არსებულ საქმიანობას, აგრეთვე, ახდენენ ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნებისა და შეზღუდვების იდენტიფიცირებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს უგზავნიან მაღალ სამთავრობო თანამდებობის პირებსა და მენეჯერებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინდივიდუალური პირებისთვის არსებული სამთავრობო კანონმდებლობისა და რეგულაციების შესახებ რჩევის მიცემას, რომელიც ეხება მოთხოვნილი ლიცენზიის სახეს, აგრეთვე, მოცემული ლიცენზიის მიღებისთვის საჭირო პირობებს და საზოგადოების უფლებებსა და მოვალეობებს;
2. განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებას და ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას, ისევე როგორც იმ უფლებებთან დაკავშირებით, რომლის მინიჭებაც უნდა მოხდეს;
3. განცხადებების განხილვას და პასპორტის გაცემას;
4. სხვა მსგავსი ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას, რომელიც განცხადებების დამუშავების, დოკუმენტებთან დაკავშირებით განსახორციელებელი აქტივობების, შეფასებებისა და დასკვნების გამოტანის, აგრეთვე, მიმოწერის მომზადებისა და ალიკანტისთვის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშრებით მიღებული გადაწვეტილების ცნობებასთან არის დაკავშირებული;
5. განმცხადებლებისთვის ლიცენზიის გასაცემად არსებული ტესტების შედგენას და მის მიხედვით შეფასებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მშენებლობის ნებართვის (ლიცენზიის) ოფიცერი;
- ბიზნესის წამოწყების ნებართვის (ლიცენზიის) ოფიცერი;
- ლიცენზიის ოფიცერი;
- პასპორტის ოფიცერი (პასპორტის გაცემა).

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- შენობის ინსპექტორი – 3112;
- სახანძრო ინსპექტორი – 3112.

<u>3355 ჯგუფური ერთეული</u>
პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები

პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები იძიებენ ფაქტებსა და გარემოებებს, რომელთაც ჩადენილ დანაშაულთან აქვთ კავშირი, რათა მოხდეს ეჭვმიტანილთა იდენტიფიცირება და მოიპოვონ დაფარული ინფორმაცია პირთა ქცევისა და გარემოებების შესახებ, უმეტესწილად იმისთვის, რომ მოახდინონ დანაშაულთა პრევენცია.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჩადენილ და დაგეგმილ დანაშაულთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას კონტაქტებისა და ინფორმაციის წყაროების გზით, რათა მოხდეს დანაშაულის პრევენცია და ეჭვმიტანილთა იდენტიფიცირება;
2. სამხილის მოპოვებას და შემოწმებას დანაშაულისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებით, სამხილებისა და ნივთმტკიცებების აღმოჩენით, მოწმეებისა და ეჭვმიტანილების დაკითხვით და დოკუმენტებისა და ელექტრონული ფაილების ანალიზით;

3. სამხილების ანალიზს დანაშაულთა გამოსაძიებლად, კრიმინალური ქმედებების იდენტიფიცირებასა და სასამართლოსთვის ინფორმაციის შეგროვებას;
4. პირების ქცევებისა და გარემოს შესახებ ინფორმაციის ფარულად მოპოვებას კონტაქტების დამყარებისა და ინფორმაციის წყაროების გაჩენის გზით, რათა მოხდეს დანაშაულის პრევენცია;
5. პირთა დაკავებას;
6. სასამართლოში პირთა დაკითხვას, ზემდგომთა საქმის კურსში ჩაყენება ძიების გარემოებებისა და შედეგების შესახებ.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პოლიციის დეტექტივი;
- პოლიციის გამომძიებელი აგენტი;
- პოლიციის ინსპექტორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- პოლიციის მაღალი თანამდებობის პირი – 1112;
- პოლიციის მთავარი ინსპექტორი – 1112;
- პოლიციის ზედამხედველი – 3149;
- კერძო დეტექტივი – 3411;
- პოლიციის ოფიცერი – 5412.

3356 ჯგუფური ერთეული
მთავრობის რეგულირების სფეროს პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას

მოცემული ჯგუფური ერთეული ფარავს მთავრობის რეგულირების სფეროს ასოცირებულ პროფესიონალებს, რომლებიც სხვა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან. მაგალითისთვის, მოცემულ ჯგუფში შედიან სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის, მეტყევეობის, საგადასახადო, სახელფასო, წონისა და საზომი ერთეულების ინსპექტორები.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბიზნესის კონკრეტული ადგილების შემოწმებას, რათა შემოწმდეს ვაჭრობაში გამოსაყენებელი წონისა და ზომის ერთეულების ჯეროვანი გამოყენება;
2. მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად ფასებზე არსებული რეგულაციების შესრულების მონიტორინგს;
3. სახელფასო რეგულაციების მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესრულებული სამუშაოს შესაფერისი ანაზღაურება და კანონით დადგენილი შრომითი სტანდარტების შესრულების შეფასებას;
4. მსგავსი საგამოძიებო და ადმინისტრაციული ამოცანების შესრულებას, რათა მოხდეს მიღებული გადაწვეტილებების ჩაწერა, დოკუმენტების შესაბამისობისა და არაჯეროვანი ბიზნეს საქმიანობის შესახებ შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას, აგრეთვე, ანგარიშებისა და კორესპონდენციის მომზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასოფლო სამეურნეო ინსპექტორი;
- მეთევზეობის ინსპექტორი;
- მეტყევეობის ინსპექტორი;
- ფასების ინსპექტორი;
- ხელფასების ინსპექტორი;
- წონისა და საზომი ერთეულების ინსპექტორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- სახანძრო ინსპექტორი – 3112;
- ჯანდაცვის ინსპექტორი – 3257;
- სამუშაო ადგილას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექტორი – 3257;
- დაბინძურების ინსპექტორი – 3257;
- სანიტარიის ინსპექტორი – 3257.

34 ქვეჯგუფი
სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე სფეროების პროფესიონალები

სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე სფეროების პროფესიონალები ახორციელებენ ტექნიკურიხასიათის ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია სამართლებრივ მომსახურებასთან, სოციალურ სამსახურთან, კულტურასთან, საკვების მომზადებასთან, სპორტთან და რელიგიასთან დაკავშირებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციასთან. ამ ქვეჯგუფით გათვალისწინებული უმეტესი საქმიანობის კომპეტენტურად განხორციელება საჭიროებს უნარებს, რომლებიც წარმოადგენს ISCO-ს უნარების მესამე დონეს.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სამართლებრივ პროცესებთან, გამოძიებასთან, სოციალურ საქმიანობასთან, კოლექტიური მხარდაჭერის პროგრამებთან, რელიგიურ და კულტურულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური და პრაქტიკული მომსახურების მიწოდებას; სპორტულ ღონისძიებების მოწყობასა და მათში მონაწილეობას; სპორტული სწავლების, ფიტნესისა და რეკრეაციული პროგრამების მიღებასა და განვითარებას; კრეატიული და ტექნიკური უნარების კომბინირებას ხელოვნების, კულტურის და კულინარიის მიმართულებით; კერძებისა და მენიუს შექმნას და საკვების მომზადებაზე ზედამხედველობის განხორციელებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

341 სამართლის, სოციალური და რელიგიური სფეროს პროფესიონალები;

342 სპორტული და ფიტნეს დაწესებულებების მუშაკები;

343 ხელოვნების, კულტურისა დ კულინარიის სფეროს პროფესიონალები.

341 მცირე ჯგუფი
სამართლის, სოციალური და რელიგიური სფეროს პროფესიონალები

სამართლის, სოციალური და რელიგიური სფეროს პროფესიონალები უზრუნველყოფენ ტექნიკური და პრაქტიკულ მომსახურებას და მხარს უჭერენ სამართლებრივ პროცესებთან, გამოძიებასთან, სოციალურ საქმიანობასთან,კოლექტიურმხარდაჭერასთან დაკავშირებულპროგრამებს, რელიგიურ და კულტურულ საქმიანობას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სამართლის, სოციალური მომსახურებისა და რელიგიური სფეროს სპეციალისტების მხარდაჭერას; მტკიცებულებების შეგროვებასა და ანალიზს, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და სასამართლოს ბრძანებების შესრულებას; სოციალური დახმარების პროგრამებისა და კოლექტიური სერვისების იმპლემენტაციას და ადმინისტრირებას; სოციალური და ინდივიდუალური პრობლემების მოგვარების მიზნით კლიენტების დახმარებას; ინდივიდებისა და გაერთიანებებისთვის პრაქტიკული ხასიათის დახმარების, რეკომენდაციებისა და მორალური მხარდაჭერის მიწოდებას; რადიოგრაფიკული, ულტრახმოვანი და რენტგენოლოგიურიაღჭურვილობის შემოწმებასა და

ოპერირებას; სხეულის სითხეებზე, ქსოვილებზე, ნიმუშებზე კლინიკური გამოკვლევების ჩატარებას; ფარმაცევტების ხელმძღვანელობით მედიკამენტებისა და სხვა ფარმაცევტული ნაერთების მომზადებას; სამედიცინო და სტომატოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნიკის პროექტირებას, ინსტალაციას, მომსახურებას და შეკეთებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში გათვალისწინებული საქმიანობა კლასიფიცირდება შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად:

3411 სამართლისა და მონათესავე სფეროს პროფესიონალები;
3412 სოციალური საქმიანობის სფეროს პროფესიონალები;
3413 რელიგიური სფეროს პროფესიონალები.

3411 ჯგუფური ერთეული
სამართლისა და მონათესავე სფეროს პროფესიონალები

სამართლისა და მონათესავე სფეროს პროფესიონალები ახორციელებენ მხარდამჭერ ფუნქციებს სასამართლოსა და იურიდიულ კომპანიებში, უზრუნველყოფენ სერვისის მიწოდებას, რომლებიც უკავშირდება ისეთ სამართლებრივ საკითხებს, როგორიცაა სადაზღვევო ხელშეკრულებები, საკუთრების გადაცემა, სესხისა და სხვა ფინანსური ტრანზაქციების მიღება, ან კლიენტების თხოვნით გამოძიების ჩატარება.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სასამართლო პროცესისა და გადაწყვეტილებების დოკუმენტირებას;
2. ორდერების, მოთხოვნების, უწყებებისა და სასამართლოს სხვა ბრძანებების აღსრულებაში მონაწილეობას;
3. სასამართლოსა და სხდომის დარბაზებში წესრიგის შენარჩუნებას;
4. სამართლებრივი დოკუმენტების (მათ შორის სასამართლო განხილვის ჩანაწერების, საჩივრების, შუამდგომლობების, კონტრაქტების) და სამართლებრივი პოზიციების შემაჯამებელი ან სადაზღვევო და სესხის მდგომარეობის ამსახველი ბარათების მომზადებას;
5. საქმეზე მომზადების მიზნით ფაქტების გამოძიებას, მტკიცებულებების შეკრებას და შესაბამისი სტატიების, გადაწყვეტილებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების კვლევას;
6. სამართლებრივ საკითხებზე კლიენტებისთვის კონსულტაციის გაწევას;
7. საკუთრებასთან, მფლობელობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტაციის მათ შორის, იპოთეკის, სერვიტუტის, გირავნობის ხელშეკრულებებისა და სხვა კონტრაქტების, სასამართლო გადაწყვეტილებებისშესწავლას;
8. უძრავი ქონების, წილების გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ან სხვა საკითხებზე რეგისტრაციის განხორციელების მიზნით საბუთების მომზადებას;
9. საქონლის, ქურდობასთან ან კომპანიაში არსებული ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებასთან და მომხმარებლებისა და დასაქმებულების მიერ სხვა შესაძლო არაკანონიერ ქმედებასთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებას;

10. კლიენტის თხოვნის საფუძველზე გარემოებების, დაწესებულებებისა და პირების ქმედებების გამოძიებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აღმასრულებელი;
- საკუთრების გადამცემი მუშაკი (კლერკი);
- სასამართლო მუშაკი (კლერკი);
- მოსამართლის მუშაკი (კლერკი);
- მაგისტრატი მოსამართლე;
- სამართლის მუშაკი (კლერკი);
- სამართლის სფეროს ასისტენტი;
- პარალეგალი;
- კერძო დეტექტივი;
- სათაურის ძებნის სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- იურისტი – 2611;
- მოსამართლე – 2612;
- ნოტარიუსი – 2619;
- სამართლებრივი მდივანი – 3342.

3412 ჯგუფური ერთეული
სოციალური საქმიანობის სფეროს პროფესიონალები

სოციალური საქმიანობის სფეროს პროფესიონალები ახორციელებენ სოციალური დახმარების პროგრამებისა და საზოგადოებრივი მომსახურების ადმინისტრირებასა და იმპლემენტაციას და მხარს უჭერენ კლიენტებს ინდივიდუალური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კლიენტის საჭიროებებისთვის რელევანტური ინფორმაციის შეგროვებას, მათი რელევანტური უნარების, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას;
2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოხუცებისათვის სერვისის მიღებაში დახმარებას, მათ დახმარებას საზოგადოებაში ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით;
3. კლიენტების მხარდაჭერას მოქმედების გეგმის განვითარებასა და გამოსავლის ძიების პროცესში, ამ მიზნით აუცილებელი დახმარებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას;
4. კლიენტების მხარდაჭერას საზოგადოებრივი რესურსების იდენტიფიცირებისა და მათზე ხელმისაწვდომობის მიზნით, მათ შორის სამართლებრივი, სამედიცინო და ფინანსურ დახმარებას, თავშესაფარში ცხოვრების, დასაქმების, ტრანსპორტირებით, გადაადგილებაში დახმარების, ყოველდღიური მზრუნველობისა და სხვა რეფერალური სერვისების მიმართულებითმხარდაჭერას;

5. საზოგადოებრივ და დროებით საცხოვრებლებში მცხოვრები კლიენტების კონსულტაციას, მათ ქმედებებზე ზედამხედველობას, წინასწარი და შემდგომი გათავისუფლების დაგეგმვაში მხარდაჭერას;
6. შესაბამის პროგრამებში კლიენტების შერჩევისა და დაშვების პროცესში მონაწილეობას;
7. კრიზისული ინტერვენციისა და საგანგებო თავშესაფრის სერვისების უზრუნველყოფას;
8. ცხოვრებისეული უნარების იმპლემენტაციის შესახებ სემინარებს, ქცევის მენეჯმენტის პროგრამებს, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი მომსახურების პროგრამებს და სხვა საზოგადოებრივი, სოციალური სერვისების პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება სოციალური მუშაკის ან ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტების ზედამხედველობით;
9. კლიენტის პროგრესის მონიტორინგისა და ანგარიშგების საფუძელზე ინტერვენციებისა და პროგრამების ეფექტიანობის შეფასებაში მხარდაჭერას;
10. სხვა სოციალური სერვისების სააგენტოებთან კონტაქტის შენარჩუნებას, სკოლებთან და ჯანმრთელობის დაცვის პროვაიდერებთან, რომლებიც ჩართულნი არიან კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და მისი მდგომარეობისა და პროგრესის შეფასებაში.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საზოგადოებრივი განვითარების მუშაკი;
- საზოგადოებრივი სერვისების მუშაკი;
- კრიზისული ინტერვენციის მუშაკი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სერვისების მუშაკი;
- ოჯახური სერვისების მუშაკი;
- ცხოვრებისეული უნარების ინსტრუქტორი;
- მენტალური ჯანმრთელობის მხარდამჭერი მუშაკი;
- კეთილდრეობის მხარდამჭერი მუშაკი;
- ქალთა თავშესაფრის ზედამხედველი;
- ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი მომსახურების მუშაკი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- მრჩეველი ქორწინების დარგში – 2635;
- ვადაზე ადრე გათავისუფლების ოფიცერი – 2635;
- პრობაციის ოფიცერი – 2635;
- სოციალური მუშაკი – 2635.

3413 ჯგუფური ერთეული
რელიგიური სფეროს პროფესიონალები

რელიგიური სფეროს პროფესიონალები უზრუნველყოფენ რელიგიის საქმეთა მინისტრების ან რელიგიური გაერთიანებების მხარდაჭერას, ახორციელებენ რელიგიურ საქმიანობას, კონკრეტული რელიგიური სწავლების ქადაგებასა და პროპაგანდას და სულიერი რჩევებისა და რწმენით ცდილობენ კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. რელიგიური საქმიანობის განხორციელებას;
2. კონკრეტული რელიგიის ქადაგებასა და პროპაგანდას;
3. რელიგიური რიტუალებთან და საჯარო ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული მომსახურების მხარდაჭერას;
4. რელიგიური განათლების სწავლების უზრუნველყოფას, საზოგადოებისა და ინდივიდების სპირიტუალურ ხელმძღვანელობას და მორალურ მხარდაჭერას;
5. მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების საკვებზე, ტანსაცმელსა და თავშესაფარზე ხელმისაწვდომობის პროგრამების ადმინისტრირებასა და მათში მონაწილეობას;
6. კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და შენარჩუნების მიზნით, ინდივიდებისათვის და საზოგადოებრივი გაერთიანებებისთვის ქცევასთან და რწმენასთან დაკავშირებული რჩევების მიცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- რწმენით მკურნალი;
- საერო მქადაგებელი;
- ბერი;
- მონაზონი;
- მღვდელი;
- დიაკონი;
- პატრიარქი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ბონზე – 2636;
- იმამი – 2636;
- რელიგიის საქმეთა მინისტრი – 2636;
- პოჯარი – 2636;
- მღვდელი – 2636;
- რაბი – 2636;
- ხალხური მედიცინით მკურნალი -3230;
- არატრადიციული მედიცინით მკურნალი – 3230.

342 მცირე ჯგუფი
სპორტული და ფიტნეს დაწესებულებების მუშაკები

სპორტული და ფიტნეს დაწესებულებების მუშაკები ემზადებიან და მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში ფინანსების მიღების მიზნით; ავარჯიშებენ მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს; ხელს უწყობენ სპორტში მონაწილეობასა და შესაბამისი უნარების განვითარებას: უზრუნველყოფენ შესაბამისი სასწავლო-საწვრთნო სტანდარტების განვითარებასა და დანერგვას; ახორციელებენ სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას, ჩატარებას, უზრუნველყოფენ ვარჯიშის ცალკეულ ფორმებთან და სხვა რეკრეაციულ მოქმედებებთან დაკავშირებით ინსტრუქციების, ტრენინგისა და ზედამხედველობის განხორციელებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას; სპორტთან დაკავშირებული განათლებისა და შესაძლებლობების განვითარების მიზნით სპორტული ვარჯიშების ჩატარებას; სპორტული შეჯიბრებების გამართვის მიზნით წესების შედგენას და ამგვარი ღონისძიებების მიმდინარეობის კონტროლს; პრაქტიკული სასწავლო-საწვრთნო პროცესის დაგეგმვას, ორგანიზებას და ჩატარებას; ფიტნეს პროგრამების შედგენასა და განვითარებას; ჯგუფის მიღებას, რომელიც განახორციელებს სხვადასხვა ფიტნეს აქტივობებს სექციებში და პირის ინდივიდუალურ მომზადებას; ხელს შეუწყობს სპორტისა და სპორტული უნარების განვითარებას; ზედამხედველობას გაუწევს ახალგაზრდების სპორტში მონაწილეობას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3421 სპორტსმენები;

3422 სპორტის მწვრთნელები, ინსტრუქტორები და ოფიციალური პირები;

3423 ფიტნეს და რეკრეაციული ინსტრუქტორები და პროგრამის ხელმძღვანელები.

3421 ჯგუფური ერთეული
სპორტსმენები

სპორტსმენები მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში. ისინი ვარჯიშობენ და ასპარეზობენ როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე გუნდურად, შესაბამისი სპორტის სახეობის მიხედვით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შეჯიბრებით სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას;
2. რეგულარულ პრაქტიკასა და სასწავლო-საწვრთნო პროცესში მონაწილეობას და ინდივიდუალური ვარჯიშების განხორციელებას ფიტნეს სტანდარტებისა და უნარების შენარჩუნების მიზნით;
3. სპორტის ხელშემწყობი საქმიანობის განხორციელებას და მედია ინტერვიუებს;
4. კონკრეტულ სპორტის სახეობაში მაღალი კვალიფიკაციის შენარჩუნებას;

5. მწვრთნელებთან კონსულტაციის საფუძველზე სტრატეგიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას;
6. შეჯიბრების სხვა მონაწილეებისა და საასპარეზო გარემოს შეფასებას;
7. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას;
8. სპეციფიკურ სპორტთან წესებისა და რეგულაციების დაცვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სპორტსმენი;
- ველოსიპედით მრბოლელი;
- მოჭადრაკე;
- ფეხბურთელი;
- გოლფის მოთამაშე;
- ჰოკეის მოთამაშე;
- ჟოკეი;
- პოკერის მოთამაშე;
- მრბოლელი;
- მოთხილამურე;
- ჩოგბურთელი;
- მოჭიდავე;
- ძიუდოისტი;
- რაგბისტი;
- წყალბურთელი;
- კალათბურთელი;
- მძლეოსანი;
- სუმოისტი.

<u>3422 ჯგუფური ერთეული</u>
სპორტის მწვრთნელები, ინსტრუქტორები და თანამდებობის პირები

სპორტის მწვრთნელები, ინსტრუქტორები და თანამდებობის პირები მუშაობენ მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსპერსონებთან, მათი შესრულების გაძლიერებისა და სპორტულ შეჯიბრებებში მაღალ დონეზე მონაწილეობის მიზნით. ისინი ახორციელებენ სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას, ჩატარებას დადგენილი წესების შესაბამისად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სპორტსმენებისა და გუნდების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას;
2. სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დაგეგმვას, განვითარებას და განხორციელებას;
3. სპორტული შეჯიბრების ცხრილებისა და პროგრამების განვითარებას, დაგეგმვასა და კოორდინაციას;
4. სპორტული ღონისძიებებისათვის ან თამაშებისთვის სპორტსმენებისა და გუნდებისთვის სტიმულირებას და მოტივაციის ამაღლებას;

5. სათამაშო სტრატეგიის ფორმულირებას, სათამაშო გეგმების განვითარებას, სპორტსმენებისათვის შესაბამისი მითითებების გაცემას;
6. სპორტსმენებისა და გუნდების ასპარეზობის ანალიზსა და შეფასებას, სავარჯიშო პროგრამების მოდიფიცირებას;
7. ასპარეზობისა და სათამაშო ტექნიკის ანალიზსა და მონიტორინგს, მათი გაუმჯობესების შესახებ მსჯელობას;
8. სპორტული ღონისძიებებისა და სპორტსმენთა შეჯიბრებების ჩატარებას, რათა შენარჩუნებულ იქნეს სათამაშო სტანდარტები და უზრუნველყოფილ იქნეს თამაშის წესებისა და უსაფრთხოების რეგულაციების დაცვა;
9. სათამაშო დროის კონტროლს, შეჯიბრებისა და სპორტული ღონისძიებების მიმდინარეობის პროცესში ანგარიშის მომზადებასა და შენახვას;
10. მოასპარეზეთა თამაშის განსჯას, ქულის მინიჭებას, გადაცდომების შემთხვევაში ჯარიმის დანიშვნას და შედეგების განსაზღვრას;
11. ანგარიშის და მოთამაშეების შესახებ სხვა ქრონომეტრაჟული ჩანაწერების წარმოებას და შემდგომ ანალიზს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მსაჯი;
- სპორტული ინსტრუქტორი;
- სპორტის მწვრთნელი;
- სპორტის სფეროში მომუშავე თანამდებობის პირი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:
ცალკეული საქმიანობები, რომლებიც სხვაგან არის კლასიფიცირებული:

- ფიტნეს ინსტრუქტორი – 3423
- საცხენოსნო ინსტრუქტორი – 3423

3423 ჯგუფური ერთეული
ფიტნეს და რეკრეაციული ინსტრუქტორები და პროგრამის ხელმძღვანელები

ფიტნეს და რეკრეაციული ინსტრუქტორები და პროგრამის ხელმძღვანელები ხელმძღვანელობენ, გასცემენ ინსტრუქციას ინდივიდუალურ პირებსა და ჯგუფებზე რეკრეაციულ, ფიტნეს მოქმედებებთან და გარე შეჯიბრებებთან დაკავშირებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. რეკრეაციული და ფიტნეს მოქმედებების დაგეგმვასა და ჩატარებას;
2. რეკრეაციული, სპორტული ან ფიტნეს მოქმედებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მონიტორინგის განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში გადაუდებელი ან პირველადი დახმარების მხარდაჭერაზე უზრუნველყოფას;
3. სპორტის ხელშემწყობი საქმიანობის განხორციელებას და მედია ინტერვიუებს;

4. სხეულის იმ მოძრაობების, კონცეფციებისა და უნარების დემონსტრირებასა და სწავლებას, რომლებიც გამოიყენება რეგულარულ ფიტნესში და რეკრეაციულ მოქმედებებში;
5. აღჭურვილობის გამოყენების შესახებ ინსტრუქციების გაცემას;
6. უსაფრთხოების პროცედურების, წესებისა და რეგულაციების ახსნასა და აღსრულებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აერობიკის ინსტრუქტორი;
- ფიტნეს ინსტრუქტორი;
- საცხენოსნო ინსტრუქტორი;
- გარე შეჯიბრების ხელმძღვანელი;
- პერსონალური მწვრთნელი;
- ნაოსნობის ინსტრუქტორი;
- წყალქვეშა ცურვის ინსტრუქტორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- მოთხილამურეთა ინსტრუქტორი – 3422;
- ცურვის ინსტრუქტორი – 3422.

342 მცირე ჯგუფი
ხელოვნების, კულტურისა და კულინარიის სფეროს პროფესიონალები

ხელოვნების, კულტურისა და კულინარიის სფეროს პროფესიონალები კრეატიული უნარების, ტექნიკური, კულტურული ცოდნის შერწყმით ავლენენ უნარებსა და იღებენ, ამუშავებენ ფოტოებს; შეიმუშავებენ დიზაინსა და თეატრის, მაღაზიის იერსახეისა და სახლის ინტერიერის დეკორაციებს; გამოსახულებისთვის ამზადებენ ობიექტს; ინარჩუნებენ ბიბლიოთეკის, გალერიის კოლექციებს, ჩანაწერებსა და კატალოგურ სისტემებს; ქმნიან მენიუებს, ამზადებენ და ახორციელებენ საკვების პრეზენტაციას; მხარს უჭერენ სცენის, ფილმისა და სატელევიზიო პროდუქციის დამზადებას; მონაწილეობენ ხელოვნებასთან და კულტურასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობაში.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხალხის, ღონისძიებების, სცენების, მასალების, პროდუქტებისა და სხვა ნივთების ფოტოგრაფირების მიზნით ფოტო კამერით ოპერირებას; არტისტული ტექნიკის გამოყენებით პროდუქტის დიზაინის, ინტერიერის დეკორაციის და ფასდაკლების ხელშეწყობას; ჩვენებისთვის ობიექტების მომზადებას და მონტაჟს; სახლის აქსესუარების გამოფენის დიზაინირებასა და მოწყობას; შემთხვევებისა და სივრცის ჩვენებას; მენიუს მომზადებას და საკვების მომზადებაზე ზედამხედველობას; დირექტორებისა და შემსრულებლებისთვის მხარდაჭერას პიესის დადგმის, კინოს, სატელევიზიო ან კომერციული პროდუქტების შექმნის პროცესში.

წინამდებარე მცირე ჯგუფში გათვალისწინებული საქმიანობები/პროფესიები კლასიფიცირდება შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად:

3431 ფოტოგრაფები;

3432 ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები;

3433 გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები;

3434 შეფმზარეულები;

3435 ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სხვა პროფესიონალები.

3431 ჯგუფური ერთეული
ფოტოგრაფები

ფოტოგრაფები ოპერირებენ ფოტო კამერით ხალხის, ღონისძიებების, სცენების, მასალების, პროდუქტებისა და სხვა ნივთების გადაღების მიზნით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სარეკლამო ან სხვა კომერციული, ინდუსტრიული ან მეცნიერული მიზნებისთვის და საგაზეთო, ჟურნალის ან სხვა პუბლიკაციის ისტორიების, სტატიების ილუსტრაციის მიზნით ფოტო გადაღებას;
2. პირთა ჯგუფის ან პირის პორტრეტების გადაღებას;
3. კონკრეტული შემთხვევის მოთხოვნების შესწავლას და გამოსაყენებელი კამერის, რგოლის, განათების, ფონის აქსესუარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას;
4. სურათის კომპოზიციის განსაზღვრას, აღჭურვილობისა და ფოტოგრაფიასთან დაკავშირებული მოწყობილობის ტექნიკურ მოწესრიგებას;
5. კომპიუტერში ფოტოს გადაწერის მიზნით სკანერით ოპერირებას;
6. ფოტოგრაფიკულ სურათებზე მანიპულირების მიზნით კომპიუტერით ოპერირებას;
7. არსებული ფოტოგრაფიკული სურათების იმ ციფრულ სურათებად გარდაქმნას, რომლებიც მოიცავს მულტიმედია პროდუქტებს;
8. სასურველი ვიზუალური ეფექტის მიღწევის მიზნით აეროგრაფის, კომპიუტერის ან სხვა ტექნიკის გამოყენებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საჰაერო ფოტოგრაფი;
- კომერციული ფოტოგრაფი;
- ინდუსტრიული ფოტოგრაფი;
- ფოტოგრაფი;
- ფოტო ჟურნალისტი;
- პორტრეტის ფოტოგრაფი;
- სამეცნიერო ფოტოგრაფი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- კინო კამერის ოპერატორი – 3521;
- ვიდეო კამერის ოპერატორი – 3521;

- ფოტოგრაფული აღჭურვილობის შემკეთებელი – 7311;
- ფოტოგრავიურის ფოტოგრაფი – 7321;
- ფოტოლოტოგრაფი – 7321;
- ელექტრონიკის მექანიკი – 7421.

3432 ჯგუფური ერთეული
ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები

ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები ახორციელებენ კომერციული, ინდუსტრიული, საჯარო, საცალო და სარეზინდეციო შენობის ინტერიერის დაგეგმვასა და შეიმუშავებენ მათ დიზაინს, რათა ისინი მოერგონ გარემოს. ამ პროცესში ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები მხედველობაში იღებენ ფაქტორებს იმ მიზნით, რომ გაიზარდის საცხოვრებელი და სამუშაო გარემო. ისინი კოორდინირებენ და მონაწილეობენ მათი შექმნისა და დეკორაციის პროცესში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დაინტერესებულ პირებთან და კლიენტებთან კონსულტაციის საფუძველზე ზედაპირული დიზაინის ამოცანებისა და შეზღუდვების განსაზღვრას;
2. სივრცობრივი, ფუნქციონალური, ქმედითობის, უსაფრთხოებისა და ესთეტიკის მოთხოვნების კვლევას და ანალიზს;
3. შენობების ინტერიერის დიზაინის კონცეფციების ფორმულირებას;
4. სკეტჩების, დიაგრამების, ილუსტრაციების და დიზაინის კონცეფციის კომუნიკაციის მიზნით გეგმების მომზადებას;
5. დიზაინის შესახებ კლიენტებთან, ხელმძღვანელებთან, მიმწოდებლებთან და მშენებლებთან მოლაპარაკებას;
6. ინტერიერისთვის ფუნქციონალური, სივრცობრივი მასალების, ავეჯისა და პროდუქციის შერჩევას, შეძენაზე რეკომენდაციების გაცემას;
7. კონსტრუქციისთვის შერჩეული დიზაინის დეტალიზებასა და დოკუმენტირებას;
8. ინტერიერის დეკორაციისა და კონსტრუქციის კოორდინაციას;
9. პეიზაჟების დიზაინირებას და მოხატვას;
10. პროდუქტებისა და მომსახურების ხელშეწყობის მიზნით ვიტრინებისა და სხვა ილუსტრირებული სივრცის დიზაინირებასა და დეკორაციას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ექსტერიერის დეკორატორი;
- ინტერიერის დეკორატორი;
- დიზაინის მხატვარი;
- მერჩენდაიზერი;
- ვიტრინის დეკორატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ინტერიერის არქიტექტორი – 2161.

3433 ჯგუფური ერთეული
გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები

გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები ამზადებენ ნამუშევრებს, ნიმუშებს და არტეფაქტებს კოლექციისთვის, ახორციელებენ გალერიის გამოფენას, მხარს უჭერენ ბიბლიოთეკარებს მასალებისა და ფაილების ჩამწერი სისტემის ორგანიზებასა და ოპერირებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჩვენებისთვის ობიექტების მომზადებას და მონტაჟს;
2. ექსპონატების გამოფენის დიზაინირებასა და მოწყობას; შემთხვევებისა და სივრცის ჩვენებას;
3. განათების სისტემისა და ჩვენების მოწყობილობის ჩართვაში მხარდაჭერას;
4. ექსპონატების მიღებას, გაგზავნას, შეფუთვას და გახსნას;
5. ახალი საბიბლიოთეკო მასალების შეკვეთას და არსებული ჩანაწერებისა და ცირკულაციის სისტემის შენარჩუნებას;
6. დაბეჭდილი და ჩაწერილი მასალების დახარისხებას;
7. ბაზაში ინფორმაციის განთავსებას და კომპიუტერული ჩანაწერების დამუშავებას;
8. აუდიოვიზუალური და რეპროგრაფიკული აღჭურვილობის ოპეირებას;
9. ბიბლიოგრაფული ინფორმაციის ძებნასა და დადასტურებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გალერიის ტექნიკოსი;
- ბიბლიოთეკის ტექნიკოსი;
- მუზეუმის ტექნიკოსი;
- ტაქსიდერმისტი;

3434 ჯგუფური ერთეული
შეფმზარეულები

შეფმზარეულები შეიმუშავებენ მენიუს დიზაინს, ქმნიან საკვებს და ზედამხედველობენ საკვების მომზადებას სასტუმროებში, რესტორნებში და სხვა საკვებ ობიექტებში, მათ შორის გემზე, მატარებელში და კერძო საცხოვრებლებში.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. რეცეპტებისა და მენიუს დაგეგმვასა და განვითარებას;
2. საკვების მომზადებისა და პრეზენტაციის ნებისმიერ ეტაპზე, მისი ხარისხის მონიტორინგს;
3. დიეტოლოგებთან, სამზარეულოს პერსონალთან, ოფიციანტებთან, მენეჯერებთან საკვების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას;
4. მზარეულებისა და საკვების მომზადების პროცესში მონაწილე სხვა პირების მოქმედებების კოორდინაციას და ზედამხედველობას;

5. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით პროდუქციის, სამუშაო სივრცისა და აღჭურვილობის ინსპექტირებას;
6. საკვების დეკორაციული დიზაინის შექმნას და მისი პრეზენტაციის განსაზღვრას;
7. საკვების დამზადების, გარნირებისა და პრეზენტაციის პროცესში მზარეულებისა და სხვა მუშაკებისთვის ინსტრუქციების გაცემას;
8. სამზარეულოს პერსონალის გადამზადებაში მონაწილეობას და მათი მოქმედებების მონიტორინგს;
9. რთულად მოსამზადებელი კერძებისა და სპეციფიკური საკვების დამზადებას;
10. ჰიგიენისა და კვების უსაფრთხოების რეგულაციების ახსნასა და აღსრულებას;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- შეფმზარეული
- აღმასრულებელი შეფმზარეული;
- უფროსი შეფმზარეული;
- კონდიტერი შეფმზარეული;
- სოუსის დამამზადებელი;
- მწნილის შეფმზარეული;
- მეხინკლე;
- მეხაჭაპურე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- მზარეული – 5140;
- სწრაფი კვების მზარეული – 9411.

3435 ჯგუფური ერთეული
ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სხვა პროფესიონალები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს ხელოვნებისა და კულტურის სფეროს პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 343 მცირე ჯგუფს; კულტურისა და კულინარიის სფეროს ასოცირებულ პროფესიონალებს. მაგალითად, ისინი ვინც მხარს უჭერენ დირექტორებს ან მსახიობებს თეატრალური დადგმის, ფოტოს, ვიდეოს, სატელევიზიო ან კომერციული პროდუქციების გადაღების პროცესში და მოცემულ დოკუმენტში არიან კლასიფიცირებული.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სხეულის მხატვარი;
- მაუწყებლობის მენეჯერი;
- განათების ტექნიკოსი;
- სამაუწყებლო პროგრამის კოორდინატორი;
- მოკარნახე (სუფლიორი);
- სამაუწყებლო ქონების მმართველი;

- სკრიპტის მუშაკი;
- სპეციალური ეფექტების ტექნიკოსი;
- სცენის მენეჯერი;
- სცენის ტექნიკოსი;
- ვიდეო ფოკუსის მენეჯერი;
- ვიდეო ფოკუსის კოორდინატორი;
- ტატუისტი;
- თეატრის ტექნიკოსი;
- თეატრის დიზაინერი;
- მეორე ხარისხოვანი როლის შემსრულებელი.

35 ქვეჯგუფი
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკოსები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკოსები უზრუნველყოფენ კომპიუტერული, კავშირგაბმულობის სისტემების, ქსელების ყოველდღიურ ფუნქციონირებას და ახორციელებენ ტექნიკური ხასიათის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია კავშირგაბმულობასთან მაუწყებლობის გამოსახულებასთან, ხმასთან, მიწაში, ზღვაში, საჰაერო ხომალდში განთავსებულ კავშირგაბმულობის სიგნალებთან. ამ ქვეჯგუფით გათვალისწინებული უმეტესი საქმიანობის კომპეტენტურად განხორციელება საჭიროებს უნარებს, რომლებიც წარმოადგენს ISCO-ს უნარების მესამე დონეს.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ინფორმაციისა და კომუნიკაციების სისტემების მომხმარებლების მხარდაჭერის უზრუნველყოფას; ახალი პროგრამებისა და აღჭურვილობის ინსტალაციას; ქსელისა და სხვა საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების მოწყობას, ოპერირებასა და შენარჩუნებას; ინტერნეტის, ინტერნეტ გვერდებისა ან ვებ სერვერის მოწყობილობების, პროგრამების მონიტორინგსა და მიწოდებას, ინტერნეტ გვერდების მოდიფიცირებას, ვებ სერვერის მხარდამჭერი და აღდგენითი ოპერაციების განხორციელებას; ხმის ჩამწერი მოწყობილობის კონტროლს, ჩანაწერებისა და სურათების შეწორებას, შერწყმას; გადამცემი და სამაუწყებლო, სატელიტური, სისტემების შენარჩუნებასა და კონტროლს რადიო და სატელევიზიო პროგრამებისთვის; მიწაში, ზღვაში, საჰაერო ხომალდში რადიო კომუნიკაციების სისტემების, სატელიტური სერვისებისა და მულტიპლექსური სისტემების შენარჩუნებასა და კონტროლს; კომპიუტერული სისტემების, კავშირგაბმულობის აღჭურვილობის ტექნიკური მხარდაჭერისა და პროტოტიპების შემოწმების უზრუნველყოფას; შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე ელექტრონული სისტემების პროექტების მომზადებას და დიზაინირებას; მანუფაქტურაზე ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფას, კავშირგაბმულობის სისტემების შეკეთებას, შენარჩუნებას და გამოყენებას.

წინამდებარე ქვეჯგუფით გათვალისწინებული საქმიანობა კლასიფიცრდება შემდეგ მცირე ჯგუფებად:

351 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირებისა და მომხმარებელთა დამხმარე ტექნიკოსები;

352 კავშირგაბმულობის და რადიომაუწყებლობის ტექნიკოსები.

351 მცირე ჯგუფი
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირებისა და მომხმარებელთა დამხმარე ტექნიკოსები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირებისა და მომხმარებელთა დამხმარე ტექნიკოსები უზრუნველყოფენ კომპიუტერული, კომუნიკაციების სისტემების, ქსელების ყოველდღიურ ფუნქციონირებას და მომხმარებლებისთვის ახორციელებენ ტექნიკური ხასიათის საქმიანობას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პერიფერიული და კომპიუტერთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობით ოპერირებასა და კონტროლს; სისტემური შეცდომებისა და ხარვეზების მონიტორინგს; პერიფერიული აღჭურვილობის, მაგ.: შესაბამისი მასალით პრინტერების დატენვას; პერიფერიული აღჭურვილობის ოპერატორების მიერ პერიფერიული აღჭურვილობის დატენვაზე ზედამხედველობას; პრობლემების მოგვარების მიზნით მომხმარებლების მიერ სისტემების პროგრამულ და ტექნიკურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემას; შესაბამისი დიზაინის, სპეციფიკური მახასიათებლებისა და ინსტრუქციების საფუძველზე კომპიუტერული, პროგრამული ან პერიფერიული აღჭურვილობის შეკეთებასა და ინსტალირებას; სისტემების ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე ზედამხედველობას; დასაქმებულის მიერ გამოყენების მიზნით აღჭურვილობის დამონტაჟებას, შესაბამისი კაბელების, ოპერაციული სისტემების და სათანადო პროგრამების ინსტალაციის უზრუნველყოფას; ინტერნეტისა და ინტრანეტ ვებგვერდების, ვებსერვერის, პროგრამების სანდოობის, გამოყენებადობის მხარდაჭერასა და მონიტორინგს; ინტერნეტ გვერდების მოდიფიცირებას; ვებსერვერის მხარდაჭერასა და აღდგენითი ოპერაციების განხორციელებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3511 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები;
3512 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის დახმარების ტექნიკოსები;
3513 კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები;
3514 ინტერნეტ-ტექნიკოსები.

3511 ჯგუფური ერთეული
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები ახორციელებენინფორმაციული და კავშირგაბმულობის სისტემების, პერიფერიული მოწყობილობების, კომპიუტერული, პროგრამული სისტემების ყოველდღიურ პროცესის, ოპერირების და მონიტორინგის მხარდაჭერას მათი ოპტიმალური ფუნქციონირებისა და ნებისმიერი პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პერიფერიული და კომპიუტერთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობის კონტროლსა და ფუნქციონირებას;
2. კომპიუტერული სადგურების გამოყენებას, ბრძანებების გაცემას, კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების ინტეგრირებას;
3. აღჭურვილობის პრობლემების ან ხარვეზების მონიტორინგს;
4. მოწყობილობის გაუმართავად ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ზედამხედველების ან შესაბამისი ტექნიკოსების ინფორმირებას;

5. პროგრამულ ხარვეზების იდენტიფიცირებისა და გამოსწორების მიზნით რეაგირებას, პრობლემის შესახებ სხვა თანამშრომლისთვის ინფორმაციის მიწოდებას ან პროგრამის შეჩერებას;
6. მოწყობილობების, მასალების, მათ შორის დისკების, ქაღალდის დატენვის, გამოყენების, მართვის მიზნით შესაბამისი ინსტრუქციების გაცნობას;
7. პროგრამის აღდგენას, გამოყოფას, სორტირებას და ინფორმაციის შესაბამისი მომხმარებლებისთვის გაგზავნას;
8. პერიფერიული აღჭურვილობის, მაგ.: შესაბამისი მასალით პრინტერების დატენვას, პერიფერიული აღჭურვილობის ოპერატორების მიერ პერიფერიული აღჭურვილობის დატენვაზე ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კომპიუტერული ოპერატორი;
- კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობის ოპერატორი;
- მაღალ სიჩქარიანი კომპიუტერული პრინტერის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- კომპიუტერული ქსელის ტექნიკოსი – 3513.

3512 ჯგუფური ერთეული
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის დახმარების ტექნიკოსები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის დახმარების ტექნიკოსები უზრუნველყოფენ მომხმარებლების ტექნიკურ მხარდაჭერას პირდაპირ ან ტელეფონით, იმეილით ან სხვა ელექტრონული საშუალებით, მათ შორის კომპიუტერულ, პროგრამულ, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობის, ქსელების, საინფორმაციო ბაზებისა და ინტერნეტის პრობლემებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების დიაგნოსტიკასა და მოგვარებაში, სისტემების დამონტაჟებაში, შენარჩუნებასა და ინსტალაციაში მხარდაჭერას და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პრობლემების მოგვარების მიზნით მომხმარებლების მიერ სისტემების პროგრამულ და ტექნიკურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემას;
2. ბრძანებების შეყვანას და სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით კომპიუტერული ოპერაციების დამუშავებასა და ხარვეზების აღმოჩენას;
3. შესაბამისი დიზაინის, სპეციფიკური მახასიათებლებისა და ინსტრუქციების საფუძველზე კომპიუტერული, პროგრამული ან პერიფერიული აღჭურვილობის შეკეთებასა და ინსტალირებას;
4. სისტემების ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე ზედამხედველობას;

5. დასაქმებულის მიერ გამოყენების მიზნით აღჭურვილობის დამონტაჟებას, შესაბამისი კაბელების, ოპერაციული სისტემების და სათანადო პროგრამების ინსტალაციის უზრუნველყოფას;
6. ყოველდღიური საინფორმაციო კომუნიკაციის ტრანზაქციების ჩანაწერების, პრობლემების მოგვარებას ან ინსტალაციის მიზნით განსახორციელებელ საქმიანობას;
7. მომხმარებლების მიერ შექმნილი ტექნიკური პრობლემების მოგვარებას;
8. ტექნიკური სახელმძღვანელოების, ცნობარების და სხვა დოკუმენტების გაცნობას პრობლემების მოგვარების მიზნით;
9. აპლიკაციების პროგრამისტების, სისტემების განმავითარებლების და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების მხარდაჭერას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებისა და სერვისების განვითარებისა და შემოწმების მიმართულებით.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომუნიკაციების ასისტენტი;
- კომპიუტერული ბაზის ასისტენტი;
- კომპიუტერული დახმარების ცენტრის ოპერატორი;
- კომპიუტერული პროგრამირების ასისტენტი;
- კომპიუტერული სისტემების ანალიზის ასისტენტი.

3513 ჯგუფური ერთეული
კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები უზრუნველყოფენ ქსელისა და სხვა ინფორმაციული კომუნიკაციების სისტემების შექმნას, შენარჩუნებასა და ფუნქციონირებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქსელური სისტემის დიაგნოსტიკას, შენარჩუნებასა და ოპერირებას;
2. ინფორმაციული კომუნიკაციების სისტემების (გარდა ქსელებისა) შენარჩუნებასა და ოპერირებას;
3. ქსელისა და ინფორმაციულ კომუნიკაციებთან დაკავშირებული პრობელემების გადაჭრის მიზნით მომხმარებლების მხარდაჭერას;
4. განახლების საჭიროების მქონე მოწყობილობებისა და პროგრამების იდენტიფიცირებას;
5. კომპიუტერული პროგრამების, ქსელური, ოპერატიული სისტემების ინსტალირებასა და პროგრამების გამოყენებას;
6. კომპიუტერულ ქსელზე აღდგენითი ოპერაციების განხორციელების მიზნით სისტემის გადატვირთვას, გათიშვასა და მხარდაჭერას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კომპიუტერული ქსელის ტექნიკოსი;

- ქსელის მხარდაჭერის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:
- ქსელის ადმინისტრატორი – 2522;
- ქსელის ანალიტიკოსი – 2523;
- კომპიუტერული ოპერატორი – 3511;
- ინტერნეტ ტექნიკოსი – 3514.

3514 ჯგუფური ერთეული
ინტერნეტ-ტექნიკოსები

ინტერნეტ-ტექნიკოსები უზრუნველყოფენ ინტერნეტის, ინტრანეტ ვებგვერდების და ვებ სერვერის ოპტიმალურად ფუნქციონირების შენარჩუნებას, მონიტორინგს და მხარდაჭერას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინტერნეტისა და ინტრანეტ ვებგვერდების, ვებ სერვერის, პროგრამების ინსტალირებას, მათი სანდოობის, გამოყენებადობის მხარდაჭერასა და მონიტორინგს,;
2. დოკუმენტაციისა განვითარებასა და შენარჩუნებას, სისტემური ლოგოებისა და ოპერაციული პროცედურების შენახვას;
3. უსაფრთხოების ღონისძიებების განვითარებას, კოორდინაციას, იმპლემენტაციას და განვითარებას;
4. ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით ანალიზის განხორციელებას და რეკომენდაციების მომზადებას, მათ შორის ახალი სისტემების შეძენასა და არსებულის განახლებას;
5. კლიენტებთან და მომხმარებლებთან კომუნიკაციას და სახელმძღვანელო ხასიათის რეკომენდაციების გაცემას;
6. ინტერნეტ გვერდების შექმნასა და მოდიფიცირებას;
7. ვებ სერვერის მხარდაჭერასა და აღდგენითი ოპერაციების განხორციელებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- ინტერნეტმასტერი;
- ინტერნეტ გვერდის ადმინისტრატორი;
- ინტერნეტ გვერდის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:
- კომპიუტერული თამაშების დიზაინერი – 2166;
- ინტერნეტ გვერდის დიზაინერი – 2166;
- კომპიუტერული სისტემების ანალიტიკოსი – 2511;
- კომპიუტერული პროგრამების დიზაინერი – 2512;
- ინტერნეტ გვერდის განმავითარებელი – 2513;
- კომპიუტერული სისტემების ადმინისტრატორი – 2522;
- ქსელის ადმინისტრატორი – 2522.

352 მცირე ჯგუფი
კავშირგაბმულობისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკოსები

კავშირგაბმულობისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკოსები ახორციელებენ მოწყობილობის ტექნიკური ფუნქციონირების კონტროლს სურათების, ხმის, რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ხმის, სურათების, აგრეთვე, კავშირგაბმულობის სხვა სიგნალების კონტროლს მიწაში, ზღვაში ან საჰაერო ხომალდზე; ასრულებენ ტექნიკური ხასიათის ამოცანებს, რომლებიც უკავშირდება კავშირგაბმულობის ინჟინერინგს, კვლევას, მანუფაქტურას, კვლევას, კავშირგაბმულობის სისტემების კონსტრუქციას, ოპერირებას, შენარჩუნებას, შეკეთებას, გაერთიანებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხმის შენახვის, ჩაწერის, სურათების დამუშავებისა და შერწყმის კონტროლს; სატელევიზიო და რადიო პროგრამების სატელიტების და მაუწყებლობის სისტემების გადაცემის შენარჩუნებასა და კონტროლს; მიწაში, ზღვაში, საჰაერო ხომალდში რადიო კომუნიკაციების სისტემების, სატელიტური სერვისებისა და მულტიპლექსური სისტემების შენარჩუნებასა და კონტროლს; კომპიუტერული სისტემების, კავშირგაბმულობის აღჭურვილობის ტექნიკური მხარდაჭერისა და პროტოტიპების შემოწმების უზრუნველყოფას; შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე ელექტრონული სისტემების პროექტების მომზადებას და დიზაინირებას; მანუფაქტურაზე ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფას, კავშირგაბმულობის სისტემების შეკეთებას, შენარჩუნებას და გამოყენებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

3521 რადიომაუწყებლობისა და აუდიო-ვიზუალის ტექნიკოსები;

3522 კავშირგაბმულობის ინჟინერ-ტექნიკოსები.

3521 ჯგუფური ერთეული
რადიომაუწყებლობისა და აუდიო-ვიზუალის ტექნიკოსები

რადიომაუწყებლობისა და აუდიო-ვიზუალის ტექნიკოსები ახორციელბენ ხმის, სურათების შენახვის, ჩაწერის, დამუშავების,რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ხმის, სურათების, აგრეთვე, კავშირგაბმულობის სხვა სიგნალების ტექნიკური ფუნქციონირებისკონტროლს მიწაში, ზღვაში ან საჰაერო ხომალდზე.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხმის ჩამწერი მოწყობილობის კონტროლს;
2. დამაკმაყოფილებელი ხარისხის უზრუნველყოფისა და სპეციალური სურათისა და ხმოვანი ეფექტის შექმნის მიზნით სურათის დამუშავების, შერწყმის, ხმის ჩამწერი მოწყობილობის კონტროლს;
3. სურათის, ხმის დამუშავების, ჩაწერის პრაქტიკისა და პრინციპების შესახებ ცოდნის გამოყენებას პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით;

4. სატელევიზიო და რადიო პროგრამების მაუწყებლობისა და გადაცემის სისტემების კონტროლს;
5. რადიო კომუნიკაციების სისტემების, სატელიტური სერვისებისა და მულტიპლექსური სისტემების კონტროლს მიწაში, ზღვაში ან საჰაერო ხომალდზე
6. გადაცემის სისტემების, კავშირგაბმულობის სადგურების, მაუწყებლობის შესახებ ცოდნისა და პრაქტიკის გამოყენებას პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით;
7. მოწყობილობის საგანგებო რეჟიმში შეკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აუდიოვიზუალური ოპერატორი;
- რადიომაუწყებლობის მოწყობილობის ოპერატორი;
- რადიომაუწყებლობის ტექნიკოსი;
- ფოტო კამერის ოპერატორი;
- ვიდეო კამერის ოპერატორი;
- მედია პროდუქციის ასისტემნტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ფოტოგრაფი – 3431.

3522 ჯგუფური ერთეული
კავშირგაბმულობის ინჟინერ-ტექნიკოსები

კავშრგაბმულობის ინჟინერ-ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკური ხასიათის ამოცანებს, რომლებიც უკავშირდება კავშრგაბმულობის ინჟინერინგს, კვლევას, კავშირგაბმულობის სისტემების კონსტრუქციას, მანუფაქტურას, დიზაინს ოპერირებას, შენარჩუნებას, შეკეთებას, გაერთიანებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კავშრგაბმულობის მოწყობილობისა და პროტოტიპების შემოწმების ტექნიკური მხარდაჭერას, რაც უკავშირდება მათ განვითარებას და კვლევას;
2. მუშაობის მეთოდის განსაზღვრის მიზნით ისეთი ტექნიკური მასალების შესწავლა როგორიცაა სკეტჩები და სხვადასხვა პროგრამები;
3. შესაბამისი მითითებების საფუძველზე საჭირო მასალების რაოდენობის, ხარჯების, მანუფაქტურის დამზადებისთვის აუცილებელი სამუშაოს, კავშირგაბმულობის მოწყობილობის ინსტალაციის შესახებ ინფორმაციის დეტალურ მომზადებას;

4. დამაკმაყოფილებელი ხარისხის უზრუნველყოფისა და შესაბამის წესებთან, რეგულაციებთან შესაბამისობის მიზნით კავშირგაბმულობის სისტემების შეკეთების, შენარჩუნების, გამოყენების, მანუფაქტურის ტექნიკურ მხარდაჭერას;
5. კავშირგაბმულობის ინჟინერინგის პრინციპებისა და პრაქტიკის შესახებ ცოდნის გამოყენებას საქმიანობის პროცესში წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კავშრგაბმულობის ინჟინერ-ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებს მიკუთვნებული მონათესავე პროფესიებია:

- ელექტრონიკის ინჟინერ-ტექნიკოსი – 3114;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მემონტაჟე – 7422;
- კავშრგაბმულობის მოწყობილობის შემკეთებელი – 7422;
- ტელეფონის მემონტაჟე – 7422.

4 ძირითადი ჯგუფი
ოფისის დამხმარე პერსონალი

ოფისის დამხმარე პერსონალი ინახავენ მონაცემებს, ორგანიზებას უწევენ, ინახავენ, გამოითვლიან და მოიძიებენ ინფორმაციას და ასრულებენ თანხების ადმინისტრირების ოპერაციებთან, სამგზავრო გეგმების ორგანიზებასთან, ინფორმაციის მოთხოვნასა და დანიშვნებთან დაკავშირებულ საოფისე საქმეებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სტენოგრაფიას, ბეჭდვას, კომპიუტერული პროგრამებისა და სხვა დანადგარების გამოყენებას; კომპიუტერში ინფორმაციის შეყვანას; მდივნის მოვალეობების შესრულებას; რიცხობრივი მონაცემების შენახვა-გამოთვლას; აქციებთან, წარმოებასა და ტრანსპორტთან დაკავშირებული მონაცემების შენახვას; მგზავრებთან და გადასაზიდ ტვირთთან დაკავშირებული მონაცემების შენახვას; საბიბლიოთეკო სამუშაოების შესრულებას; დოკუმენტების დაარქივებას; საფოსტო საქმიანობის შესრულებას; დასაბეჭდი მასალების მომზადებასა და შემოწმებას; პირების, რომლებსაც არ შეუძლიათ კორესპონდენციის წაკითხვა ან დაწერა, დახმარებას; თანხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს; მგზავრობების კოორდინირებას; მომხმარებლების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებასა და შეხვედრების დანიშვნას; სატელეფონო ზარებზე პასუხსა და მათ გადამისამართებას; შესაძლებელია სხვა თანამშრომლების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ქვეჯგუფებად იყოფა:

41 მბეჭდავ-ოპერატორები;
42 მომხმარებელთა მომსახურების სფეროს საინფორმაციო მომსახურების სპეციალისტები;
43 რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველები;
44 ზოგადი პროფილის დამხმარე პერსონალი.

41 ქვეჯგუფი
მბეჭდავ-ოპერატორები

მბეჭდავ-ოპერატორები ინახავენ მონაცემებს, აგრეთვე დადგენილი პროცედურების შესაბამისად კოორდინირებენ, ინახავენ და მოიძიებენ ინფორმაციას, ამასთან ასრულებენ ოფისისა და ადმინისტრაციულ მოვალეობებს. აღნიშნული ქვეჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მონაცემების შენახვას, მომაზადებას, დახარისხებას, ინფორმაციის კლასიფიცირებასა და დაარქივებას; ფოსტის დახარისხებას, გახსნასა და გაგზავნას; ყოველდღიური ანგარიშებისა და კორესპონდენციის მომზადებას; დოკუმენტების ასლების გადაღებასა და ფაქსით დაგზავნას; პერსონალური კომპიუტერების ართვას, ბეჭდვასა და დაბეჭდილი მასალის შენახვას, აგრეთვე ტექსტებისა და მასალების ინფორმაციისა და მონაცემების შენახვას; დოკუმენტების გადამოწმებასა და შესწორებას; ინვოისების და საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე მუშაობა, ზედნადებების მომზადებასა და ციფრების გადამოწმებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

411 კანცელარიის მთავარი სპეციალისტები;
412 მდივნები (ზოგადი);
413 მბეჭდავ-ოპერატორები.

411 მცირე ჯგუფი
ოფისის მუშაკები

ოფისის მუშაკები დადგენილი პროცედურის მიხედვით ასრულებენ საოფისე და ადმინისტრაციულ ფუნქცია-მოვალეობებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მონაცემების შენახვას, მომაზადებას, დახარისხებას, ინფორმაციის კლასიფიცირებასა და დაარქივებას; ფოსტის დახარისხებას, გახსნასა და გაგზავნას; ყოველდღიური ანგარიშებისა და კორესპონდენცების მომზადებას; თანამშრომლების მიერ მანქანა-დანადგარების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის შენახვას; სატელეფონო და ელექტრონულ კორეპონდენციაზე პასუხს ან შესაბამის პირებთან გადამისამართებას; ხართაღრიცხვის ციფრების გადამოწმებას, ზედნადებების მომზადებასა და ფინანსური ტრანზაქციების დეტალების შესახებ ინფორმაციის შენახვას; კომპიუტერში ინფორმაციის გადაგზავნას, შენახვას, გადამოწმებასა და შესწორებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფეურ ერთეულად იყოფა:

4110 კანცელარიის სპეციალისტები.

4110 ჯგუფური ერთეული

ოფისის დამხმარე მუშაკები

ოფისის დამხმარე მუშაკები დადგენილი პროცედურის მიხედვით ასრულებენ ოფისისა და ადმინისტრაციულ ამოცანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინფორმაციის შენახვას, მომზადებას, დახარისხებას, კლასიფიკაცისაა და დაარქივებას;
2. ფოსტის დახარისხებას, გახსნასა და გაგზავნას;
3. დოკუმენტების ასლების მომზადებასა და ფაქსით დაგზავნას;
4. ყოველდღიური ანგარიშებისა და კორესპონდენციების მომზადებას;
5. თანამშრომლებისათვის მანქანა-დანადგარების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების შენახვას;
6. სატელეფონო ან ელექტრონულ კითხვებზე პასუხსა ან შესაბამის პირებთან გადამისამართებას;
7. ციფრების გადამოწმებას, ზედნადებების მომზადებასა და ფინანსური ტრანზაქციების დეტალების დეტალები დაარქივება;
8. ინფორმაციის კომპიუტერში შეყვანას, გადამოწმებასა და შესწორებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კანცელარიის სპეციალისტები;
- კანცელარიის დამხმარე პერსონალი.

<u>შენიშვნა:</u>

4120 ჯგუფურ ერთეულში – **მდივნები (ზოგადი)**, გაერთიანებული პერსონალის განსასხვავებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, მდივნები ასრულებენ კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტაციის შედგენასთან, დაფორმატებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, რაც კანცელარიის სპეციალისტების მთავარ ფუნქციას არ წარმოადგენს.

<u>412 მცირე ჯგუფი</u>
მდივნები (ზოგადი)

მდივნები (ზოგადი) კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტაციის შედგენისას, აგრეთვე სხვა თანამშრომლების მიერ მომზადებული დოკუმენტების შესამოწმებლად და მოსამზადებლად იყენებენ საბეჭდ მანქანებს, პერსონალურ კომპიუტერებს ან სხვა საბეჭდ მოწყობილობებს. ისინი აგრეთვე, ამოწმებენ შემოსულ და გასულ ფოსტას, ნიშნავენ შეხვედრებს და ასრულებენ სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციულ ფუნქციას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კორესპონდენციის ოქმებისა და ანგარიშების ტექსტების აკრეფას, შემოწმებასა და მომზადებას; სტანდარტების მიხედვით ელექტრონული დოკუმენტების ან ხელნაწერი ტექსტების პროექტების საბეჭდ მანქანაზე, პირად

კომპიუტერზე ან ნებისმიერ სხვა საბეჭდ მოწყობილობაზე აკრებას; სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებას, მათ შორის ელექტრონული ცხრილების შექმნას, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას; შემოსული და გასული ფოსტის შემოწმებას; ფოსტის, კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტების ელექტრონული ფაილების მომზადებას, შენახვასა და ადრესატებთან დაგზავნას; თანამშრომლების შვებულებებისა და სხვა პრივილეგიების აღრიცხვასა და შენახვას; საარქივო სისტემის ორგანიზებასა და ზედამხედველობას; საკუთარი ინიციატივით ყოველდღიური კორესპონდენციის მართვა.

წინამდებარე მცირე ჯგუფებში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

4120 მდივნები (ზოგადი).

4120 ჯგუფური ერთეული
მდივნები (ზოგადი)

მდივნები (ზოგადი)კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტაციის შედგენისას, აგრეთვე სხვა თანამშრომლების მიერ მომზადებული დოკუმენტების შესამოწმებლად და მოსამზადებლად იყენებენ საბეჭდ მანქანებს, პერსონალურ კომპიუტერებს ან სხვა საბეჭდ მოწყობილობებს. ისინი აგრეთვე, ამოწმებენ შემოსულ და გასულ ფოსტას, ნიშნავენ შეხვედრებს და ასრულებენ სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციულ ფუნქციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კორესპონდენციის ოქმებისა და ანგარიშების ტექსტების აკრეფას, შემოწმებასა და მომზადებას;
2. სტანდარტების მიხედვით ელექტრონული დოკუმენტების ან ხელნაწერი ტექსტების პროექტების საბეჭდ მანქანაზე, პირად კომპიუტერზე ან ნებისმიერ სხვა საბეჭდ მოწყობილობაზე აკრებას;
3. სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებას, მათ შორის ელექტრონული ცხრილების შექმნას, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას;
4. შემოსული და გასული ფოსტის შემოწმებას;
5. ფოსტის, კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტების ელექტრონული ფაილების მომზადებას, შენახვასა და ადრესატებთან დაგზავნას;
6. თანამშრომლების შვებულებებისა და სხვა პრივილეგიების აღრიცხვასა და შენახვას;
7. საარქივო სისტემის ორგანიზებასა და ზედამხედველობას;
8. საკუთარი ინიციატივით ყოველდღიური კორესპონდენციის მართვა.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მდივნები;
- მბეჭდავები;
- მბეჭდავ-ოპერატორები;
- რედაქტორები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სამართლის სფეროს მდივნები – 3342;
- ადმინისტრაციული მდივნები – 3343;
- აღმასრულებელი მდივნები – 3343;
- სამედიცინო სფეროს მდივნები – 3344.

413 მცირე ჯგუფი
მბეჭდავები

მბეჭდავების ფუნქციებია დასაარქივებლად, დასამუშავებებლად, დასაბეჭდვადა და გადასაგზავნად დოკუმენტების, ტექსტისა და მონაცემების აკრეფა, დამუშავება, მომზადება, რედაქტირება და შექმნა.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საჭირო მონაცემებისა და კოდების შეყვანა ინფორმაციის ინფორმაციის დასამუშავებებლად საჭირო მონაცემებისა და საარქივო შიფრების შეყვანას; არქივიდან მონაცემების ამოღებას, გადამოწმებასა და განახლებას, აგრეთვე, შეყვანილი ინფორმაციის აღრიცხვას; კომპიუტერით ან სტენოგრაფიული მანქანით შეხვედრებისა და სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერების გაკეთებას; სტენოგრაფიული ან ხმის ჩამწერი მოწყობილობით ინფორმაციის ჩაწერას, გაშიფვრასა და შესწორებას; კინოს ან სატელევიზიო პროგრამებისათვის ხმამაღლა გამოთქმული სიტყვების, ბუნებრივი ბგერებისა და სიმღერების ტექსტების სუბტიტრებად ჩაწერას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

4131 მბეჭდავ-რედაქტორები;

4132 მონაცემთან ბაზების ოპერატორები.

<u>4131 ჯგუფური ერთეული</u>
მბეჭდავ-რედაქტორები

მბეჭდავ-რედაქტორების ფუნქციებია საბეჭდი მაქნანის, პერსონალური კომპიუტერის ან ტექსტების სარედაქციო სამუშაოებისთვის გამოსაყენებული დანადგარით ტექსტის აკრეფა, დამუშავება და დაბეჭდვა, აგრეთვე, ზეპირი ან წერილობით ტექსტების სტენოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კომპიუტერით, საბეჭდი მანქანით ან სარედაქციო პროგრამით ხმის ჩანაწერების ტრანსკრიპციას, პირველადი და შესწორებული ტექსტების დაბეჭდვას;
2. დასრულებულ დოკუმენტში სტილისტური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომების გასწორებას;
3. ინსტრუქციების შესაბამისად დასაბეჭდად გამზადებული მასალების შეგროვებასა და გადანაწილებას;
4. დასრულებული დოკუმენტების კომპიუტერის მყარ ან გადასატან დისკზე დაარქივება-შენახვას, ან მოსაძებნი და განსაახლებელი დოკუმენტების კომპიუტერული სისტემის მართვას;
5. ნაკარნახები ტექსტის ჩაწერასა და სხვა საკითხების სტენოგრაფიული ჩანაწერების გაკეთებას;
6. კინოს ან სატელევიზიო პროგრამებისათვის ხმამაღლა გამოთქმული სიტყვების, ბუნებრივი ბგერებისა და სიმღერების ტექსტების სუბტიტრებად ჩაწერას;
7. სტენოგრაფიული დანადგარის ან ხმის ჩამწერი მოწყობილობით ინფორმაციის ჩაწერას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მბეჭდავ-სტენოგრაფისტი;
- სტენოგრაფისტი;
- ოპერატორ-სტენოგრაფისტი;
- მბეჭდავი;
- რედაქტორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სასამართლოს მდივნები – 3343;
- სამედიცინო სფეროს მბეჭდავები – 3344.

4132 ჯგუფური ერთეული
მონაცემთა ბაზების ოპერატორები

მონაცემთა ბაზების ოპერატორების ფუნქციებია კლავიატურის, მაუსის, სკანერის, საძიებელი პროგრამისა და მონაცემების შესაყვანი კომპიუტერული ინსტრუმენტების გამოყენებით ფინანსური და სხვა მონაცემების ელექტრონულ მოწყობილობებში, მონაცემთა ბაზებში, ელექტრონულ ცხრილებსა ან სხვა დასაარქივებელ პროგრამებში შეყვანა. ინფორმაცია მექანიკურ და ელექტრონულ მანქანა-დანადგარებში მათემატიკური გათვლების შესასრულებლად შეყავთ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინფორმაციის შენახვის მიზნით ზედნადებების, ფორმების, ცნობებისა და სხვა სახეობის დოკუმენტების მიღებასა და რეგისტრაციას;
2. ნუმერაციული მონაცემების, კოდების წყაროდ გამოყენებული მასალებიდან ამოღებული ტექსტების შეყვანა კომპიუტერის ფაილებში და სარედაქციო-გადამამუშავებელ მანქანა-დანადგარებში / ელექტრონულ საქაღალდეებსა და სარედაქციო-გადამამუშაებელ მოწყობილობებში რიცხობრივი მონაცემების, შიფრების გამოყენებით მასალებიდან ამოღებული ტექსტების შეყვანას;
3. მონაცემების სიზუსტის და სისრულის შემოწმებასა და საჭიროებისამებრ, შენახული ინფორმაციის გადამოწმებას;
4. საბუღალტრო და გამოთვლითი მოწყობილობა-პროგრამების მოხმარებას;
5. პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებს შორის ინფორმაციის გაცვლას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- მონაცემთა ბაზის ოპერატორი;
- ელექტრონული მონაცემების აღრიცხვის სპეციალისტი;
- გადახდების აღრიცხვის სპეციალისტი.

42 ქვეჯგუფი
მომხმარებელთა მომსახურების სფეროს სპეციალისტები

მომხმარებელთა მომსახურების სფეროს სპეციალისტებს ევალებათ ფულთან დაკავშირებულ ოპერაციებში კლიენტებთან ურთიერთობა, მივლინებების დაგეგმვა, ინფორმაციის მოთხოვნა, შეხვედრების დანიშვნა, სატელეფონო ზარებზე პასუხი და მათი გადამისამართება, სოციალური კვლევების ფარგლებში გასაუბრება ან განაცხადების შევსება. აღნიშნული ქვეჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბანკებში, ფოსტებში და სათამაშო დაწესებულებებში ფულთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულებას ან მივლინებების დაგეგმვას; კლიენტებისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებასა და შეხვედრების დანიშვნას; სატელეფონო ზარებზე პასუხსა და მათ გადამისამართებას; სტუმრების დახვედრასა და მისალმებას; სოციოლოგიური კვლევების ჩასატარებლად რესპოდენტებთან გასაუბრებებას; მომსახურების ვაკანსიებზე განმცხადებლებთან გასაუბრებებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

421 მოლარეები, ფულის ამკრებები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები;

422 საინფორმაციო მომსახურების სპეციალისტები.

421 მცირე ჯგუფი
მოლარეები, ფულის ამკრებები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები

მოლარეები, ფულის ამკრებები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები ასრულებენ ფულთან დაკავშირებულ ოპერაციებს ბანკებთან, ფოსტებთან, სათამაშო, სალომბარდო და კრედიტორებისაგან დავალიანების ამომღებ დაწესებულებებში.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბანკების, ფოსტების, სათამაშო ან საფოსტო მომსახურებებთან დაკავშირებულ სფეროებში კლიენტების მომსახურებას; სპორტული ღონისძიებების დროს ფსონების დადებასა ან გადახდას; სათამაშო ბიზნესის წარმოებას; გირაოს ან სხვა გარანტიის სანაცვლოდ თანხის გასესხებას; დავალიანებებისა და სხვა გადასახადების აკრეფას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

4211 ბანკის მოლარეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები;

4212 სპორტული ტოტალიზატორის ოპერატორები (ბუკმეკერები),ბანქოს დამრიგებლები და აზარტული თამაშების სხვა სპეციალისტები;

4213 მევახშეები და ფულის გამსესხებლები;

4214 ვალის ამკრეფები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები.

4211 ჯგუფური ერთეული
ბანკის მოლარეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები

ბანკის მოლარეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტების მოვალეობაა ბანკებსა ან ფოსტებში ფულის მიღების, ვალუტის გადაცვლისა და ფულის გადახდის, ან მატერიალური მომსახურების უზრუნველსაყოფად კლიენტების უშუალო მომსახურება.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომხმარებლის მიერ ნაღდი ფულის ანაბარზე შემოტანასა და გატანას, ჩეკების, გზავნილების, ზედნადებების, საკრედიტო ბარათების, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკების გაცემასა და სხვა საბანკო ტრანზაქციებს;
2. კლიენტების საკრედიტო და სადებეტო ანგარიშების ტრანზაქციებს;
3. ანგარიშების გადახდასა და კლიენტების ნაცვლად ფულადი გზავნილების განხორციელებას;
4. ფოსტის მიღებას, საფოსტო მარკების გაყიდვასა და სხვა საფოსტო, მათ შორის ზედნადებების გადახდას, ფულადი გზავნილებსა და მსგავს საქმიანობას;
5. კლიენტის მოთხოვნით ერთი ვალუტის მეორეზე გადაცვლას;
6. ყველა ტრანზაქციის აღრიცხვასა და მის ნაღდი ფულის ბალანსთან შედარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბანკის მოლარე;
- ვალუტის გადამცვლელი;
- ფოსტის დამხმარე პერსონალი.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- მოლარე – 5230.

4212 ჯგუფური ერთეული
ტოტალიზატორის ოპერატორები, ბანქოს დამრიგებლები და აზარტული თამაშების სხვა სპეციალისტები

სპორტული ტოტალიზატორის ოპერატორები (ბუკმეიკერები),ბანქოს დამრიგებლები და აზარტული თამაშების სხვა სპეციალისტები საქმიანობენ სპორტულ ან სხვა, იღბალზე დამოკიდებულ სათამაშო დაწესებულებებში, განსაზღვრავენ მოგების შანსებს, იღებენ და იხდიან ფსონებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მოგება-წაგების რისკების განსაზღვრასა და ფსონებზე თავის არიდებას ან უარის თქმას;
2. შესაძლო მიახლოებული შედეგების სიების მომზადებასა და გამოშვებას;
3. კარტის დარიგებას, კამათლის გაგორებას ან რულეტის ბორბლის დატრიალებას;

4. სათამაშო დაწესებულების მუშაობის წესების ახსნასა და ინტერპრეტირებას;
5. გამარჯვებული ნომრების გამოცხადებას, მოგებული თანხის ანაზღაურებასა და წაგებულის მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ტოტალიზატორის ოპერატორები;
- ბანქოს დამრიგებლები.

4213 ჯგუფური ერთეული
მევახშეები და ფულის გამსესხებლები

მევახშეები და ფულის გამსესხებლები თანხას გასცემენ გირაოს, ქონების ან სხვა ღირებული ნივთების სანაცვლოდ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გირაოს სახით დატოვებული ნივთების ღირებულების შეფასებას, მოგების გამოთვლასა და თანხის გასესხებას;
2. ვალის დაბრუნების შემთხვევაში ნივთების უკან დაბრუნებას, გადაუხდელობის შემთხვევაში კი გირაოდ დატოვებული ნივთების გაყიდვას;
3. მომავალში პოტენციური მაღალი ან სხვა მსგავსი სარგებლის მიღების სანაცვლოდ პირადი ფულის გასესხება;
4. მომავალში მისაღები მოსავლის გირაოდ დატოვების და სხვა მსგავსი სარგებლის სანაცვლოდ გაცემული სესხის უკან დაბრუნება;
5. გაცემული ან დაბრუნებული გირაოს სანაცვლოდ მიღებული ფულისა და ნივთების აღრიცხვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ექსპერტ-შემფასებლები;
- მევახშე.

4214 ჯგუფური ერთეული
ვალის ამკრეფები და სხვა მონათესავე პროფესიის სპეციალისტები

ვალის ამკრეფები და სხვა მონათესავე პროფესიის სპეციალისტების ფუნქციებია თანხების აკრეფა, დაგვიანებული ზედნადებების თანხების და გადაუხდელი ჩეკების, აგრეთვე, საქველმოქმედო თანხების აკრება.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მოვალეების მოკვლევასა და აღმოჩენას;
2. სატელეფონო ზარებით მომხმარებლებთან თანხის ამოღების ან დაგვიანებით გადახდის დაგეგმვას;

3. ამოღებული თანხებზე ანგარიშების მომზადებას, აგრეთვე, ჩანაწერების დაარქივებასა და გუნდურ სამუშაოსათან დაკავშირებული საქაღალდეების შენახვას;
4. თანხის ამოღების სხვა მეთოდების არარსებობის შემთხვევებში სამართლებრივ ან მომსახურების შეწყვეტის საკითხებზე რეკომენდაციების გაცემას;
5. ქველმოქმედების შეთავაზებებს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჩეკებისა და ანგარიშების ამკრეფები;
- საქველმოქმედო თანხების შემგროვებლები;
- ვალების ამკრეფები.

422 მცირე ჯგუფი
საინფორმაციო მომსახურების სპეციალისტები

საინფორმაციო მომსახურების სპეციალისტები მოგზაურობის დაგეგმვასთან, ორგანიზაციის პროდუქტებისა და მომსახურებების აღწერასთან, სტუმრებისა და ვიზიტორების დახვედრებისა და რეგისტრაციასთან, შეხვედრების დაგეგმვასთან, სატელეფონო ზარების გადამისამართებასა და რესპოდენტთა სოციალური გამოკითხვების ან ვაკანსიებზე განმცხადებელთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას მოიპოვებენ პირადად, სატელეფონო ზარით ან ელექტრონულად (მაგ., ელ-ფოსტით).

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მარშრუტების მომზადებასა და სასტუმროების დაჯავშნას; კლიენტებისა და სტუმრების დახვედრასა და მიღებას; სტუმრების სასტუმროებში რეგისტრაციას; ორგანიზაციის საქონლის, მომსახურებების ან პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; შეხვედრების დანიშვნას; სატელეფონო ზარებზე პასუხსა და მათ გადამისამართებას; რესპოდენტებთან გამოსაკითხად შეხვედრასა და განმცხადებლების შერჩევას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

4221 მოგზაურობის კონსულტანტები და სპეციალისტები;
4222 საინფორმაციო-საკონტაქტო მომსახურების ცენტრის სპეციალისტები;
4223 სატელეფონო მომსახურების ოპერატორები;
4224 სასტუმროს მიმღების ოპერატორები;
4225 გამოკითხვების სპეციალისტები;
4226 მიმღების ოპერატორები (ზოგადი);
4227 გამოკითხვისა და ბაზრის კვლევის სფეროს სოციალური და ბაზრის კვლევების ინტერვიუერები;
4229 სხვა კატეგორიას მიეკუთვნებელი მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიმწოდებლები.

4221 ჯგუფური ერთეული
მოგზაურობის კონსულტანტები და სპეციალისტები

მოგზაურობის კონსულტანტები და მუშაკები უზრუნველყოფენ ინფორმაციას სამოგზაურო ადგილების შესახებ, ადგენენ სამოგზაურო პროგრამებს, ეკთებენ სამგზავრო და სასტუმროების ჯავშნებს და მგზავრებს არეგისტრირებენ გამგზავრების წინ / მოგზაურობის კონსულტანტები და სპეციალისტები ავრცელებენ სამოგზაურო ადგილების შესახებ ინფორმაციას, ადგენენ სამოგზაურო მარშრუტებს, არეგისტრირებენ მგზავრებს, ჯავშნიან მგზავრობებსა და სასტუმროებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტსა და საცხოვრებელზე ფასისა და ხელსაყრელი პირობების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და სამგზარო მარშრუტზე რჩევების მიცემას;
2. ადგილობრივი და რეგიონალური გასართობების, ღირშესანიშნაობების ტურების, რესტორნების, ხელოვნებისა და სანახაობების, რუკებისა და ბროშურების უზრუნველყოფას;
3. სამოგზაურო მარშრუტების შედგენას;
4. მგზავრობების, ტურებისა და საცხოვრებლების დაჯავშნასა და დამოწმებას;
5. ბილეთების, ჩასხდომის ბარათებისა და ვაუჩერების გაცემას;
6. მომხმარებლებისათვის საჭირო სამგზავრო დოკუმენტების (მაგ., ვიზების) აღებაში დახმარებას;
7. სამგზავრო დოკუმენტების შემოწმებას, აგრეთვე გამგზავრებისას მგზავრებისა და ტვირთის დარეგისტრირებას;
8. ზედნადებების მომზადებასა და გადახდილი თანხის მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავიაბილეთების გამცემი;
- მგზავრობის რეგისტრატორი;
- ბილეთების გამცემი (სამგზავრო);
- ტურიზმის ოპერატორი;
- მოგზაურობის კონსულტანტი;
- ტურისტული სააგენტოს სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტურისტული სააგენტოს მენეჯერები – 1439;
- კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზატორები – 1332;
- ტურ-ოპერატორები – 3339;
- ტურების ესკორტი/უსაფრთხოების სპეციალისტი – 5113;
- ტურისტების მეგზური – 5113;
- ბილეთების გამცემი (გასართობი და სპორტული ღონისძიებების) – 5230.

4222 ჯგუფური ერთეული
საკონტქტო ცენტრის საინფორმაციო მუშაკი

საკონტაქტო ცენტრის სპეციალისტები აძლევენ მომხმარებლებს რჩევებს და ტელეფონით ან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით (მაგ., ელ-ფოსტით) გასცემენ ინფორმაციას კომპანიის ან ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ საქონლზე, მომსახურებებზე, პოლიტიკასა და ფინანსურ ტრანზაქციებზე. მათი სამუშაო ოფისი შეიძლება კლიენტებისგან, ორგანიზაციის სხვა ოპერატორებისა ან იმ კომპანიებისგან მოშორებით იყოს განთავსებული, რომლებსაც ისინი ინფორმაციას აწვდიან.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კლიენტების სატელეფონო ზარებსა და შეტყობინებებზე პასუხს, მათ შორის მომსახურებასთან დაკავშირებულ ზარებზე, აგრეთვე პრეტენზიების დახარისხება-აღრიცხვას;
2. მოთხოვნების იდენტიფიცირებასა და ღონისძიებების კომპიუტერულ პროგრამაში შეყვანას;
3. საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციის სხვა ერთეულებში ამოცანების გადანაწილებას;
4. საჭიროების შემთხვევაში გადასახდელი თანხის ზედნადებების გამოწერას;
5. კლიენტებისათვის წერილების, საინფორმაციო დოკუმენტებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაგზავნას;
6. კლიენტებისათვის დამატებითი საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- საინფორმაციო მომსახურების ცენტრის სპეციალისტები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ოპერატორები – 4223;
- ბაზრის გამომკითხველები – 4227;
- სატელეფონო ცენტრის გამყიდველები – 5244;
- საინფორმაციო მომსახურების ცენტრის გამყიდველები – 5244;
- ტელევაჭრობის გამყიდველები – 5244;

შენიშვნა:

ის სპეციალისტები, რომლებიც მოითხოვენ ინფორმაციას და/ან უშუალოდ ახორციელებენ ტრანზაქციებს, ერთიანდებიან **4222** ჯგუფურ ერთეულში – საინფორმაციო მომსახურების ცენტრის სპეციალისტები. ისინი, ვინც უზრუნველყოფენ სპეციალურ მომსახურებას – სამოგზაურო კონსულტაციებს, ერთიანდებიან შესაბამის სპეციალიზებულ ჯგუფში მიუხედავად იმისა, არიან თუ არა მომხმარებლების საკონტაქტო ცენტრებში.

4223 ჯგუფური ერთეული
სატელეფონო მომსახურების ოპერატორები

სატელეფონო მომსახურების ოპერატორები აკავშირებენ სატელეფონო ზარებს, იღებენ შემოსულ კითხვებს, აღრიცხვენ მომსახურებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, თანამშრომლებს ან მომხმარებლებს გადასცემენ ან მათთვის შეინახავენ გზავნილებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ზარების გამანაწილებლებითა და გადამცემი პულტით სატელეფონო ზარების დაკავშირებას, ლოდინის რეჟიმზე გადაყვანა, გადართვას და გათიშვას;
2. გასული ზარების დაკავშირებას;
3. სატელეფონო თხოვნების მიღებასა და გზავნილების ჩაწერას;
4. თანამშრომლების ან კლიენტებისათვის გზავნილების გაგზავნას;
5. საოპერაციო სისტემების პრობლემების გამოკვლევასა და შემკეთებელი სამსახურების ინფორმირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სატელეფონო მომსახურების ოპერატორი;
- სატელეფონო ზარების გადამმისამართებლები.

4224 ჯგუფური ერთეული
სასტუმროს მიმღების ოპერატორები

სასტუმროს მიმღების ოპერატორები სტუმრებს ხვდებიან, არეგისტრირებენ და განათავსებენ სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში. ისინი მათ ანაწილებენ ოთახებში, გასცემენ გასაღებებს, შეთავაზებული მომსახურებების შესახებზე უზრუნველყოფენ ინფორმაციით, ჯავშნიან ოთახებს, აღრიცხავენ გასაქირავებელი ოთახების რაოდენობას, სასტუმროდან გასვლამდე გამოწერენ ქვითარს და იღებენ გადახდილ თანხას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გასაქირავებლად, დასაჯავშნად და გასანაწილებლად მზა ოთახების ინვენტარის შენარჩუნებას;
2. ჩამოსული სტუმრების რეგისტრაციას, ოთახების გადანაწილებას, მომხმარებლების საკრედიტო ბარათების გადამოწმებასა და გასაღებების გაცემას;
3. სასტუმროსა და საზოგადოებისათვის განკუთვნილ მომსახურებაზე ინფორმაციის გაცემას;
4. სასტუმროების თავისუფალ ადგილებზე ინფორმაციის გაცემასა და ოთახების დაჯავშნას;
5. დალაგებასა და შეკეთებასთან, აგრეთვე, სხვადასხვა პრეტენზიებთან დაკავშირებით სტუმრების თხოვნაზე პასუხს;

6. ელექტრონული სისტემისითა და ხელით სტუმრების ანგარიშების შედგენასა და შემოწმებას;
7. პირადად, ტელეფონით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით გზავნილების მიღებასა და გადაგზავნას;
8. წასასვლელად გამზადებული სტუმრებისათვის ანგარიშების/ჩეკების გამოწერასა და მათგან გადახდილი თანხის მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასტუმროს მიმღების ოპერატორები;
- სასტუმროს მიმღებში მომუშავე პერსონალი.

4225 ჯგუფური ერთეული
განაცხადის ფორმებზე მომუშავე მუშაკები

განაცხადის ფორმებზე მომუშავე მუშაკები პირადად, წერილობით და ელექტრონულ პასუხობენ კორესპონდენციას, გასცემენ ორგანიზაციის საქონელთან, მომსახურებასა და პოლიტიკასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მომხმარებლებს ამისამართებენ შესაბამის პირებთან, აგრეთვე, პასუხობენ სატელეფონო გამოკითხვებსა და პრეტენზიებს. მათ უშუალო შეხება აქვთ კლიენტებთან ან შეთავაზებულ საქონელსა და მომსახურებებთან.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საქონელსზე, მომსახურებასა და პოლიტიკაზე, აგრეთვე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ადგილმდებარეობის, ფასისა და მსგავსი საკითხების შესახებ განაცხადებზე პასუხს;
2. პრობლემებზე პასუხს, აგრეთვე, რჩევების მიცემას, ინფორმაციის მიზოდებასა და დახმარებას;
3. განაცხადებისა და პრეტენზიების აღრიცხვასა და დარეგისტრირებას;
4. შესაბამის ლიდერებსა ან ექსპერტ-მრჩევლებზე რთულად პასუხგასაცემი განაცხადების გადამისამართებას;
5. დაინტერესებული მხარეებისათვის შესაბამისი ფორმების, საინფორმაციო პაკეტებისა და ბროშურების მიწოდებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- განაცხადების მიმღები;
- ინფორმაციის მიმწოდებელი.

4226 ჯგუფური ერთეული
მიმღების ოპერატორები (ზოგადი)

მიმღების ოპერატორები (ზოგადი) ხვდებიან და იღებენ მნახველებს, სტუმრებსა ან მომხმარებლებს, პასუხობენ განაცხადებს, აგრეთვე ნიშნავენ შეხვედრებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მნახველების, სტუმრების ან მომხმარებლების მიღებასა და დახვედრას;
2. მომხმარებლებისათვის შეხვედრების ჩანიშვნას;
3. ინფორმაციის მიღებასა ან შეხვედრების დანიშვნასთან დაკავშირებულ სატელეფონო ზარებზე პასუხს;
4. მომხმარებლების შესაბამის ადგილსა და პირებთან გადამისამართებას;
5. საინფორმაციო პამფლეტების, ბროშურებისა ან ფორმების უზრუნველყოფას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სამედიცინო დაწესებულებების მიმღების ოპერატორები;
- მიმღების ოპერატორები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სამედიცინო სფეროს მდივანი – 3344;
- სასტუმროს მიმღები ოპერატორი – 4224.

4227 ჯგუფური ერთეული
სოციალური და ბაზრის კვლევების ინტერვიუერები

სოციალური და ბაზრის კვლევების ინტერვიუერები ესაუბრებიან ადამიანებს, იწერენ და აღრიცხავენ სოციოლოგიურ შეკითხვებზე გაცემულ პასუხებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პირებთან ტელეფონით ან პირადად გასასაუბრებლად დაკავშირებას;
2. კითხვარების მიხედვითკითხვების დასმას;
3. პასუხების ფურცელზე ჩაწერას ან სპეციალური კომპიუტერული პროგრამით პირდაპირ მონაცემთა ბაზაში შეყვანას;
4. პასუხებში შეუსაბამობების აღმოჩენასა და გასწორებას;
5. დანფიანსებლებისთვის პასუსებისა და მონაცემების მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების მიწოდებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბაზრის კვლევის ინტერვიუერი;
- საზოგადოებრივი აზრის ინტერვიუერი;
- სოციოლოგიური კვლევის ინტერვიუერი.

4229 ჯგუფური ერთეული

სხვა კატეგორიას მიეკუთვნებელი მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიმწოდებლები

აღნიშნული ჯგუფური ერთეული აერთიანებს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის იმ მიმწოდებლებს, რომლებიც არ ერთიანდებიან **422** მცირე ჯგუფში – **საინფორმაციო მომსახურების სპეციალისტები**. ისინი მოიძიებენ და გადაამუშავებენ მომხმარებლებისაგან მიღებულ მომსახურებებთან შესაბამისობის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პაციენტებთან გასაუბრებას, საავადმყოფოს სერვისებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
2. განმცხადებლებთან აპლიკაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაგროვებლად გასაუბრებას;
3. მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმებას;
4. დახმარების, მოდიფიცირების, უარყოფის ან შეჩერების პროცედურების ინიცირებას;
5. ინფორმაციის მიწოდებასა და პრივილეგიების ან საჩივრების პროცედურებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხებს;
6. მოცემული მომსახურებების მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პაციენტების ან აპლიკანტების სხვა ორგანიზაციებზე გადამისამართებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- არჩეული ინტერვიუერი;
- შესაბამისობის დამდგენი სპეციალისტი;
- საავადმყოფოს მიმღების რეგისტრატორი.

43 ქვეჯგუფი
რიცხობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველები

რიცხობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველები მოიძიებენ, ადგენენ და გამოითვლიან საანგარიშსწორებო, საბუღალტრო, სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა რაოდენობრივ მონაცემებს, ახორციელებენ ბიზნესთან დაკავშირებულ ნაღდი ფულის ტრანზაქციებს. ამ ჯგუფში გაერთიანებული ზოგიერთი პროფესიის ფუნქციები მოიცავს წარმოებული, შეძენილი, დასაწყობებული და გადანაწილებული პროდუქციის, აგრეთვე, კონკრეტულ ვადებში წარმოებისთვის საჭირო მასალებისა და საოპერაციო ასპექტების აღრიცხვას, ამასთან სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის თარიღების კოორდინირებას. აღნიშნული ქვეჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საანგარიშსწორებო და საბუღალტრო აღრიცხვასა და გამოთვლას; ერთეული წარმოების ხარჯის გამოთვლას; ხელფასების გამოთვლასა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელფასო პაკეტების მომზადებასა და ხელფასების გაცემას; ბიზნესთან დაკავშირებული ნაღდი ფულის ტრანზაქციების განხორციელებას; სტატისტიკური ან საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მონაცემების მოძიებას, შედგენასა და გამოთვლას; სადაზღვევო დაწესებულების, ბანკების ან მსგავსი დაწესებულების საფინანსო ტრანზაქციების შესრულებას; წარმოებული, დასაწყობებული, შეკვეთილი ან განაწილებული საქონლის აღრიცხვას; მიღებული, დასაწყობებული ან განაწილებული მასალების წარმოების აღრიცხვას; კონკრეტულ ვადებში წარმოებისთვის საჭირო მასალების რაოდენობის გამოთვლას, მათ მომზადებაში დახმარებასა და საქონლის წარმოების პროცესის შემოწმებას; საოპერაციო ასპექტების აღრიცხვას, აგრეთვე სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის დროული მოძრაობის კოორდინირებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

431 რიცხობრივი ინფორმაციის გადამმუშავებლები;

432 მასალის ჩაწერისა და გადატანის სპეციალისტები.

431 მცირე ჯგუფი
რიცხობრივი ინფორმაციის გადამმუშავებლები

რიცხობრივი ინფორმაციის გადამმუშავებლები მოიძიებენ, შეიმუშავებენ და გამოითვლიან საანგარიშსწორებო, საბუღალტრო, სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა რიცხობრივ მონაცემებს, აგრეთვე ახორციელებენ ბიზნესთან დაკავშირებულ ნაღდი ფულის ტრანზაქციებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საანგარიშსწორებო და საბუღალტრო აღრიცხვებსა და გამოთვლებს; ერთეული წარმოების ხარჯის გამოთვლას; ხელფასების გამოთვლას, აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში სახელფასო პაკეტების მომზადებასა და ხელფასების გაცემას; ბიზნესთან დაკავშირებული ნაღდი ფულის ტრანზაქციების განხორციელებას;

სტატისტიკური ან საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მონაცემების მოძიებას, შედგენასა და გამოთვლას; სადაზღვევო დაწესებულების, ბანკების ან მსგავსი დაწესებულების საფინანსო ტრანზაქციების შესრულებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

4311 საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სფეროს სპეციალისტები;

4312 სტატისტიკის, საფინანსო და სადაზღვევო სფეროს სპეციალისტები;

4313 სამუშაოს ანაზღაურების სფეროს სპეციალისტები.

4311 ჯგუფური ერთეული
საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სფეროს სპეციალისტები

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სფეროს სპეციალისტები გამოითვლიან, ახარისხებენ და აღრიცხავენ ანგარიშებთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და ინახავენ განახლებულ ფინანსურ მასალებს. ისინი ანგარიშწარმოების მონაცემების შესანახად მოძიებენ პირველად ფინანსურ მონაცემებს, გამოითვლიან რუტინულად, ანაწილებენ და ამოწმებენ მოვალეობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შეტანის სისწორის, მათემატიკური სიზუსტისა და სათანადო კოდირების უზრუნველსაყოფად ციფრების, შეტანილი ინფორმაციისა და დოკუმენტების შემოწმებას;
2. ინფორმაციის აღსარიცხად, შესანახად და გასაანალიზებლად ანგარიშწარმოების კომპიუტერული პროგრამების მოხმარებას;
3. ჟურნალების საბუღალტრო წიგნებითა და ელექტრონული პროგრამებით აღსარიცხად და შესაჯამებლად, აგრეთვე ფინანსური მონაცემების შესადგენად და შესანახად ციფრული და ფინანსური მონაცემების კლასიფიკაციას;
4. დადგენილი პროცედურების მიხედვით ჩეკების, ზედნადებების, ანგარიშის ფურცლებისა და სხვა ფინანსური დოკუმენტების გამოთვლას, მომზადებასა და გაცემას;
5. ნაღდის ფულის ქვითრებზე, დანახარჯებზე, გადასახდელსა და მისაღებ თანხებზე, მოგება და წაგებაზე სტატისტიკური, ფინანსური, ანგარიშწარმოების ან აუდიტის დოკუმენტებისა და ცხრილების შედგენას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბუღალტრები;
- ანგარიშმწარმოებლები;
- ხარჯების გამომთვლელები.

სხვა ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბუღალტრების ასისტენტები – 3313;

- დამხმარე ბუღალტრები – 3313.

4312 ჯგუფური ერთეული
სტატისტიკის, საფინანსო და სადაზღვევო სფეროს სპეციალისტები

სტატისტიკის, საფინანსო და სადაზღვევო სფეროს სპეციალისტები მოიძიებენ, ადგენენ და გამოითვლიან სტატისტიკურ და საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, ასრულებენ სადაზღვევო დაწესებულების, ბანკების ან მსგავსი დაწესებულებების საფინანსო ტრანზაქციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სადაზღვევო პაკეტის აღების, გაუქმების, სარჩელების, პოლიტიკის ცვლილებისა და გადასახადების დამუშავებას;
2. ინფორმაციის რუტინულ ან სპეციალურ წყაროზე დაყრდნობით სტატისტიკური და საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მონაცემების მოძიებასა და შემუშავებას;
3. ბალანსის, საშუალო ნაშთის, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა დეტალების გამოთვლასა და მათ შესაბამის ცხრილებად წარმოდგენას;
4. ფინანსური დოკუმენტების მომზადებასა და მოგების პროცენტის გამოთვლას, ან საკომისიო თანხის და საგერბო მოსაკრებლის გამოთვლას;
5. კლიენტების ან თანამშრომლების სახელით შეძენილი ან გაყიდული ობლიგაციების, წილებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საქმისმწარმოებლები;
- მაკლერები/კომისიონერები;
- ფინანსისტები;
- სადაზღვევო ოფიცრები;
- სესხების ოფიცრები;
- კომისიონერები;
- სტატისტიკოსები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- აქციებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიონერი – 3311;
- ბუღალტრის დამხმარე – 3313;
- საქმეთმწარმოებლის თანაშემწე – 3314;
- საფონდო ბირჟის კომისიონერი -3313;
- ფინანსისტი – 4311;
- ბუღალტერი – 4311;

4313 ჯგუფური ერთეული
სამუშაოს ანაზღაურების სფეროს სპეციალისტები

სამუშაოს ანაზღაურების სფეროს სპეციალისტები კრეფენ, ამოწმებენ და ამუშავებენ მოცემულ დეპარტამენტში, კომპანიასა ან სხვა დაწესებულებაში დასაქმებული პირების ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, გამოითვლიან ხელფასისა და დანამატების ოდენობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხელფასისა და დანამატების მექანიკური ან ელექტრონული სისტემით გამოსათვლელად თანამშრომლების დასწრებების (სამსახურში გამოცხადების), შვებულებებისა და დამატებითი სამუშაო დროის აღრიცხვას;
2. თანამშრომლებისათვის შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების მომზადებას, კერძოდ, გადასახადების დაკავებამდე და დაკავების შემდეგ ხელფასის რაოდენობისა და საგადასახადო დაქვითვების (მაგ.: გადასახადების, პროფკავშირების მოსაკრებელების, ხელფასიდან გამოსაკლები დავალიანების, სადაზღვევო და საპენსიო პაკეტების) დადგენას;
3. ჩეკებით ან ელექტრონული ტრანსფერებით თანამშრომლების ანაზღაურებისა და დანამატების მომზადებას;
4. ანაზღაურების ნაწილში ცდომილებების აღმოსაჩენად და გასასწორებლად ხელფასების გამოთვლისა და სხვა ინფორმაციის გადამოწმებას;
5. თანამშრომლების დასწრების, ნამუშევარი საათებისა და ანაზღაურების შესწორებების დამტკიცება და შემდგომ აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად დადგენილ მონაცემებში ასახვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- ანაზრაურების სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბუღალტრის დამხმარე – 3313;
- ბუღალტერი – 3313;
- საქმისმწარმოებელი – 4311.

432 მცირე ჯგუფი
მასალის ჩაწერისა და გადატანის სპეციალისტები

მასალის ჩაწერისა და გადატანის სპეციალისტები აღრიცხავენ წარმოებულ, შეძენილ, დასაწყობებულ და განაწილებულ საქონელსა და მასალებს, რომელთა მიწოდებაც სავალდებულოა წარმოების კონკრეტულ ვადებში, ან აღრიცხავენ მოქმედებებს და კოორდინირებენ სამგზავრო და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განრიგებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: წარმოებული, შეძენილი, დასაწყობებული და გადანაწილებული პროდუქციის, აგრეთვე მიღებული და დასაწყობებული ან განაწილებული მასალების აღრიცხვას; კონკრეტულ ვადებში მისაწოდებელი მასალების გამოთვლას, აგრეთვე წარმოების

განრიგების მომზადებასა და გადამოწმებაში დახმარებას; მოქმედებების აღრიცხვასა და სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობის თარიღების კოორდინირებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

4321 საწყობებში საქონლის მიმღებები და გამცემები;

4322 წარმოების სპეციალისტები;

4323 ტრანსპორტირების სპეციალისტები.

4321 ჯგუფური ერთეული
საწყობებში საქონლის მიმღებები და გამცემები

საწყობში საქონლის მიმღებები და გამცემები აღრიცხავენ წარმოებულ, მიღებულ, აწონილ, გამოშვებულ, განაწილებულ ან დასაწყობებულ საქონელსა და მასალებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საქონლის მიღებისა და განაწილების კოორდინირებასა და შესაბამისი მონაცემების შენახვას;
2. მარაგებზე ინფორმაციის ორგანიზებას, საქონლის გაცემის დამტკიცებას, ახალი აქციების საჭიროებების გათვლასა და მათ მოთხოვნას;
3. ინსტრუმენტების, სათადარიგო ნაწილების ან სხვადასხვა აღჭურვილობის მიღებას, დასაწყობებასა და გაცემას;
4. მიღებული და წარმოებული, გაცემული ან გადანაწილებული საქონლის აწონვასა და აღნიშნული ინფორმაციის შენახვას;
5. დასასაწყოებელი ავეჯისა და სხვა ნივთების ინვენტარიზაციას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გამნაწილებელი;
- საწყობის მუშა;
- ტვირთების გადაზიდვის კოორდინატორი;
- მწონავი.

4322 ჯგუფური ერთეული
წარმოების სპეციალისტები

წარმოების სფეროს მუშაკები გამოითვლიან საწარმოო, სამშენებლო და სხვა მსგავსი პროგრამებისათვის კონკრეტულ დათქმულ ვადებში მისაწოდებელი მასალების რაოდენობას. ისინი აგრეთვე, ამზადებენ და ამოწმებენ საწარმოო ოპერაციების განრიგებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. წარმოების პროგრამების ფუნქციონირებისათვის საჭირო მასალების რაოდენობის, ხარისხისა და სახეობების განსაზღვრას;
2. წარმოების მოთხოვნების განრიგების შემუშავებას;
3. მარაგებში მასალების უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ მონაცემების შენახვას;
4. მომხმარებელების შეკვეთების, წარმოების მოცულობისა და მუშაობის ხარისხის გათვალისწინებით წარმოების მოთხოვნების განრიგების შემუშავებასა ან დახმარებას;
5. დასაწყობების დამტკიცებას, გზავნილების კოორდინირებასა და დაგვიანებების გამოკვლევას;
6. დეპარტამენტს შორის სამუშაოსა და მასალების გადანაწილების აღრიცხვასა და კოორდინირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- წარმოების სპეციალისტები;
- განრიგების (მასალების) კოორდინატორები.

4323 ჯგუფური ერთეული
ტრანსპორტირების სპეციალისტები

ტრანსპორტირების სფეროს სპეციალისტები აღრიცხავენ ოპერატიულ ასპექტებს და კოორდინირებენ მატარებლების, საგზაო ტრანსპორტის, სამგზავრო ან სატვირთო საჰაერო ტრანსპორტის გადაადგილებას, აგრეთვე, მენეჯმენტისათვის ამზადებენ და ანგარიშებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ოპერატიული საქმიანობების აღრიცხვასა და სამგზავრო ან სატვირთო ტრანსპორტის განრიგების კოორდინირებას;
2. სარკინიგზო სისტემის დანაყოფის ან ზონის ფარგლებში მატარებლების მარშრუტების მართვასა და აღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვას;
3. სარკინიგზო პარკში ტვირთების დახარისხების აღრიცხვას, მართვასა და კონტროლს;
4. საგზაო ტრანსპორტის საოპერაციო აქტივობების (მაგ.: სატრანსპორტო საშუალებებისა და მძღოლების განაწილება და მათი განრიგები, სატრანსპორტო საშუალებებზე საქონლის დატვირთვა და ჩამოტვირთვა, სატრანზიტოდ გამზადებული საქონლის დასაწყობება) აღნუსხვასა და კოორდინირებას;
5. სამგზავრო ან სატვირთო საჰაერო ტრანსპორტის საოპერაციო აქტივობების (მაგ.: მგზავრთა სიების ან ტვირთის დეკლარაციების) აღნუსხვასა და კოორდინირებას;
6. მენეჯმენტისათვის ანგარიშების მომზადება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- კონტროლიორი (სატრანსპორტო მომსახურება);
- დისპეტჩერი (სატრანსპორტო მომსახურება).

44 ქვეჯგუფი
ოფისის სხვა დამხმარე პერსონალი

ოფისის სხვა დამხმარე პერსონალი ახარისხებენ და აგზავნიან ფოსტას, აარქივებენ დოკუმენტებს, დასამუშავებლად ამზადებენ ინფორმაციას, აღნუსხვენ თანამშრომლების მონაცემებს, საწყისი წყაროებთან ამოწმებენ მასალებს, ეხმარებიან წერა-კითხვის უუნარო პირებს, ასრულებენ სხვადასხვა სპეციალიზებულ მოვალეობას. აღნიშნული ქვეჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბიბლიოთეკის წიგნების შეძენის, გაცემისა და დაბრუნების ინფორმაციის აღნუსხვას; სხვადასხვა დოკუმენტებისა და ცნობების დახარისხებასა და დაარქივებას; თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას; ფოსტებიდან, აგრეთვე, მოცემულ დაწესებულებებიდან ან მის ფარგლებში ფოსტის დახარისხებას, ადრესატთან მიტანასა და აღნუსხვას; შიფრირებას; მტკიცებულების შესწორებას; მთელი რიგი მსგავსი ამოცანების შესრულებას; წერა-კითხვის უცოდინრების ნაცვლად წერას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფად იყოფა:
441 ოფისის სხვა დამხმარე პერსონალი.

441 მცირე ჯგუფი
ოფისის სხვა დამხმარე პერსონალი

ოფისის სხვა დამხმარე პერსონალი ახარისხებენ და აგზავნიან ფოსტას, აარქივებენ დოკუმენტებს, დასამუშავებლად ამზადებენ ინფორმაციას, აღნუსხვენ თანამშრომლების მონაცემებს, საწყისი წყაროებთან ამოწმებენ მასალებს, ეხმარებიან წერა-კითხვის უუნარო პირებს, ასრულებენ სხვადასხვა სპეციალიზებულ მოვალეობას. აღნიშნული ქვეჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბიბლიოთეკის წიგნების შეძენის, გაცემისა და დაბრუნების ინფორმაციის აღნუსხვას; სხვადასხვა დოკუმენტებისა და ცნობების დახარისხებასა და დაარქივებას; თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას; ფოსტებიდან, აგრეთვე, მოცემულ დაწესებულებებიდან ან მის ფარგლებში ფოსტის დახარისხებას, ადრესატთან მიტანასა და აღნუსხვას; შიფრირებას; მტკიცებულების შესწორებას; მთელი რიგი მსგავსი ამოცანების შესრულებას; წერა-კითხვის უცოდინრების ნაცვლად წერას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
4411 ბიბლიოთეკარები;
4412 კურიერები და ფოსტის დამხარისხებლები;
4413 არქივარიუსები, კორექტორები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები;
4414 გადამწერები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები;
4415 მიმღების ოპერატორი და ასლების გადამღებები;

4416 პერსონალთან დაკავშირებული საკითხების ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები;
4419 სხვა კატეგორიას მიეკუთვნებელი ოფისის დამხმარე სპეციალისტები.

4411 ჯგუფური ერთეული
ბიბლიოთეკარები

ბიბლიოთეკის თანამშრომლები გასცემენ და იბარებენ ბიბლიოთეკის მასალებს, ახარისხებენ და თაროებზე ალაგებენ წიგნებს, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, პერიოდულ გამოცემებს, ჟურნალებს, გაზეთებს და ბიბლიოთეკის მომხმარებლებს აწოდებენ ბიბლიოთეკის შესახებ ზოგად ინფორმაციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბიბლიოთეკის წიგნებისა და სხვა მასალების გაცემა და ჩაბარება;
2. წიგნებისა და ბიბლიოთეკის სხვა მასალების თაროებზე დალაგება;
3. ისეთი ამოცანების შესრულება, როგორებიცაა ხელით ან ელექტრონული დაფაილება, ტექსტების სარედაქციო დამუშავება და საჭიროებისამებრ ბეჭდვა;
4. გამოწერილი ჟურნალების შენარჩუნება;
5. ბიბლიოთეკის მომხმარებლების დახმარება ბიბლიოთეკის ძირითადი მასალებზე წვდომის უზრუნველყოფის საკითხში და ბიბლიოთეკის სესხების გაცემისას;
6. ბიბლიოთეკის მასალების აღრიცხვა, რომლებიც შეეხება წიგნებისა და სხვა მასალების შესყიდვებს, გაცემასა და ჩაბარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ბიბლიოთეკის თანამშრომლები;
- ბიბლიოთეკის დაარქივების მუშაკები

4412 ჯგუფური ერთეული
კურიერები და ფოსტის დამხარისხებლები

კურიერები და ფოსტის დამხარისხებლები ახარისხებენ, აღრიცხავენ, ადგილზე მიაქვთ და ასრულებენ სხვა მსგავს ფუნქციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საჯარო ფოსტებსა ან სხვა კერძო საფოსტო მომსახურების დაწესებულებებში ფოსტის დახარისხებას;
2. ფოსტის დახარისხებასა და კერძო სახლებსა და ბიზნეს-დაწესებულებებში მიტანას;
3. კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე ადგილზე მიტანის დადასტურების აღრიცხვასა და აღნუსხვას;
4. შემოსული და გასული ფოსტის დახარისხებასა და აღრიცხვას, აგრეთვე, გასული ფოსტის სხვადასხვა დაწესებულებაზე გადანაწილებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ფოსტის სპეციალისტი;
- კურიერი;

4413 ჯგუფური ერთეული
არქივარიუსები, კორექტორები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები

არქივარიუსები, კორექტორები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები კოდირებენ, ამოწმებენ და აკორექტირებენ ინფორმაციას, აგრეთვე, ასრულებენ სხვადასხვა სახეობის მსგავს სამუშაოს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მონაცემთა დამუშავების მიზნით ინფორმაციის კოდირებასა და ამ კოდების მიხედვით კლასიფიკაციას;
2. დასაბეჭდად გამზადებული ტექსტებისა და მასთან დაკავშირებული მასალების ორიგინალთან შედარებას, შეცდომების კორექტირებასა და დადგენილი წესის მიხედვით ტექსტების დასაბეჭდად მონიშვნას;
3. ფორმების დახარისხებასა და მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭებას;
4. დასაარქივებლად ან შესადარებლად დოკუმენტების დახარისხებას;
5. მისამართების კონვერტებზე ხელით მითითებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- კოდიფიკატორი;
- კორექტორი.

4414 ჯგუფური ერთეული
გადამწერები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები

გადამწერები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები იმ პირების ნაცვლად, რომლებსაც არ შეუძლიათ წერა-კითხვა, წერენ წერილებს და ადარებენ ფორმებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პირებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ წერა-კითხვა, წერილებისა და სხვა წერილობითი მასალების წაკითხვა და მათთვის საჭირო თარგმანისა და ინფორმაციის მიწოდებას.
2. სხვისი სახელით წერილების დაწერასა და ფორმების შევსებას;
3. კერძო პირებისთვის რჩევების მიცემას, აგრეთვე, სამთავრობო ან სხვა ოფიციალური ფორმების შევსებაში დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიაა:

- გადამწერი.

4415 ჯგუფური ერთეული
მიმღების ოპერატორი და ასლების გადამღებები

მიმღების ოპერატორი და ასლების გადამღებები ~~მუშაკები~~ ანბანური ან რიცხობრივი თანმიმდევრობით დადგენილი ფაილების სისტემის შესაბამისად საქაღალდეებში ალაგებენ კორესპონდენციას, ბარათებს, ზედნადებებსა და სხვა ცნობებს. მათი მოვალეობაა, მოთხოვნის შემთხვევაში, საქაღალდეებში მასალის მოძებნა და ამოღება, ასლის გადაღება, სკანირება და ფაქსით გაგზავნა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით (მაგ.: შინაარსი, მიზანი, მომხმარებლისათვის დაწესებულ კრიტერიუმები – ქრონოლოგიური, ანბანური ან რაოდენობრივი თანმიმდევრობით) მასალების დახარისხებასა და კლასიფიკაციას;
2. მასალების უჯრებში, კარადებსა და სასაწყობო ყუთებში დაარქივებას;
3. მოთხოვნის შემთხვევაში მასალების მოძებნასა და ამოღებას;
4. დაარქივებული ან ამოღებული მასალის შესახებ ინფორმაციის შენახვას;
5. დოკუმენტების ასლების გადაღებას, სკანირებასა და ფაქსით გაგზავნა.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ასლების გადამღები;
- მიმღების ოპერატორი.

4416 ჯგუფური ერთეული
ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები კოორდინირებენ და ანახლებენ პერსონალთან დაკავშირებულ ისეთ ინფორმაციას, როგორებიცაა: დანიშვნებისა და დაწინაურებების, მუშაობის ხარისხის შეფასების, აღებული და დაგროვილი შვებულებების, ხელფასების, კვალიფიკაციისა და ტრენინგების.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დასაქმების ისტორიასთან, ხელფასებთან, მუშაობის ხარისხის შეფასებასთან, კვალიფიკაციებსა და ტრენინგებთან, აგრეთვე, აღებულ და დაგროვილ შვებულებებთან დაკავშირებული სინფორმაციის განახლებას;
2. ახალდანიშნული თანამშრომლების საქმეების გახსნასა და ამ პირების შესახებ ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმებას;
3. დასაქმებისა და დაწინაურების განაცხადების განხილვასა და განმცხადებლების აპლიკაციის პროცესის შედეგებზე ინფორმირებას;
4. დასაქმებულების ანაზღაურების დანამატებისა და პირობების შესახებ კითხვებზე პასუხს;
5. ვაკანსიებზე განაცხადებებისა და გასაუბრებების ინფორმაციის დაგზავნას;

6. მექანიკური და ელექტრონული საარქივო და სარეგისტრაციო სისტემის მართვასა და განახლებას, აგრეთვე, თანამშრომლების საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშებისა და დოკუმენტების შედგენა-მომზადებას;
7. მოთხოვნისამებრ, პირადი საქმეების შენახვა და მოძიება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტის დამხმარე;
- ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი.

4419 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიეკუთვნებელი ოფისის დამხმარე სპეციალისტები

აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს ოფისის სხვა დამხმარე პერსონალს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 4 ძირითად ჯგუფს – ოფისის დამხმარე პერსონალი. მაგალითად, ჯგუფი მოიცავს კორესპონდენციის ასისტენტებს, პრესის ამკინძველებს და მბეჭდავების დამხმარეებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სარეკლამო მომსახურებისთვის მომხმარებლების დაკვეთების მიღებას, სარეკლამო შეთავაზებების დაწერასა და შედგენას, აგრეთვე სარეკლამო მომსახურების ფასების განსაზღვრასა და ზედნადებების მომხმარებლებისთვის გამოწერას;
2. კერძო ბიზნესისა ან მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული კორესპონდენციის შედგენას (მაგ.: ინფორმაციისა და დახმარების თხოვნებზე, ზიანის ანაზღაურებაზე), საკრედიტო ბარათის ან ანგარიშების შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე, მომსახურების სფეროში წარმოქმნილ პრეტენზიებზე პასუხის მიწერას.
3. პერიოდული, სარეკლამო გამოცემების, კატალოგების, გზამკვლევებისა და სხვა დასაბეჭდად გამზადებული მასალების მომზადებაში დახმარებას;
4. კონკრეტული დაწესებულების თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის საინტერესო სტატიების აღმოსაჩენად გაზეთების, ჟურნალების და სხვა პუბლიკაციების კითხვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- სარეკლამო გაყიდვების სპეციალისტი;
- მიმოწერის სპეციალისტი;
- გზამკვლევის შემდგენი;
- პრესკლიპერი;
- ბეჭდვის სპეციალისტი.

5 ძირითადი ჯგუფი
მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს სპეციალისტები

მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს სპეციალისტები უზრუნველყოფენ ისეთ პერსონალურ და დამცველობით მომსახურებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოგზაურობასთან, საოჯახო, საზოგადოებრივ და პირად საზრუნავთან, ხანძრისა და უკანონო ქმედებებისგან დაცვასთან. საბითუმო და საცალო ვაჭრობის მაღაზიებსა ან სხვა მსგავს დაწესებულებებში, აგრეთვე, ჯიხურებსა და ბაზრებში გამოფენენ და ყიდიან საქონელს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ძირითად ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მოგზაურობების ორგანიზებასა და განხორციელებას; შინამეურნეობების მომსახურებას; საკვებისა და სასმელების მომზადებასა და მირთმევას; ბავშვების მოვლას; სახლებსა და დაწესებულებებში ინდივიდუალურ და პირველად დახმარებას; საპარიკმახეროებისა და სილამაზის სალონების მომსახურებას, კომპანიონობას; წინასწარმეტყველებას; ბალზამირებას; დაკრძალვების ორგანიზებას; ხანძრისა და უკანონო ქმედებებისაგან ადამიანებისა და კერძო საკუთრების დაცვას; კანონის დაცვასა და წესრიგის დამყარებას; მხატვრულ ჩვენებებსა და გამოფენებზე, აგრეთვე, რეკლამების მოდელობას; საცალო და საბითუმო ვაჭრობის დაწერებულებებში, აგრეთვე, ჯიხურებსა და ბაზრებში საქონლის გაყიდვას; პოტენციური მომხმარებლებისათვის საქონლის წარდგენას; შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა სპეციალისტების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

51 ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები;

52 გაყიდვების სფეროს სპეციალისტები;

53 ინდივიდუალური მომვლელები;

54 სოციალური მომსახურების სპეციალისტები.

51 ქვეჯგუფი
ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები

ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები ახორციელებენ სხვადასხვა ინდივიდუალურ მომსახურებას, რომლებიც დაკავშირებულია მოგზაურობასთან, შინამეურნეობებთან, მოვლასა და სტუმართმოყვარეობასთან, ვარცხნილობასა და სილამაზის სალონის სხვა მომსახურებებთან, ცხოველების მოვლასა და გაწვრთნასთან, კომპანიონობასა და პერსონალური ხასიათის სხვა მომსახურებებთან. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მოგზაურობებისა და სანახაობების ორგანიზება და უზრუნველყოფა; შინამეურნეობების მომსახურებას; საკვებისა და სასმელების მომზადებასა და მირთმევას; ვარცხნილობისა და სილამაზის სალონის სხვა მომსახურებებს; წინასწარმეტყველებას; ბალზამირებას; დაკრძალვების ორგანიზებას; ცხოველების მოვლასა და გაწვრთნას; ავტომობილის მართვის სწავლას; კომპანიონობასა და პერსონალური ხასიათის სხვა მომსახურებებს; შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა სპეციალისტების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

511 ბორტგამცილებლები, კონდუქტორები და გიდები, აგრეთვე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მომსახურე პერსონალი;
512 მზარეულები;
513 მიმტანები და ბარმენები;
514 სტილისტები, სილამაზის სალონებისა და სხვა მსგავსი დაწესებულების;
515 შენობებისა და დასუფთავების მეთვალყურეები;
516 სხვა ინდივიდუალური მომსახურების სფეროს სპეციალისტები

511 მცირე ჯგუფი
ბორტგამცილებლები, კონდუქტორები და გიდები,

ბორტგამცილებლები, კონდუქტორები და გიდები უზრუნველყოფენ თვითმფრინავით, მატარებლით, გემით, ავტობუსითა და სხვა სახეობის ტრანსპორტით მოგზაურობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახეობის ინდივიდუალურ მომსახურებას, აგრეთვე, სამოგზაურო ტურების, დასათვალიერებელი ვიზიტებისა და ექსკურსიებისას ფიზიკური პირებისა და ჯგუფების თანხლებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მგზავრების კომფორტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას; საკვებისა და სასმელების მირთმევას; საჭირო ინფორმაციის მიწოდებასა და მოგზაურობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემას; საზოგადოებრივ ტრანსპორტში ბილეთების შეგროვებასა ან გაცემას; ცალკეული პირებისა ან ტურისტების

ჯგუფებისათვის ექსკურსიებისას კომპანიონობის გაწევას, აგრეთვე, ღირსშესანიშნავი ადგილების აღწერას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5111 ბორტგამცილებლები და სტიუარდები;

5112 ტრანსპორტის კონდუქტორები;

5113 გიდები.

5111 ჯგუფური ერთეული
ბორტგამცილებლები და სტიუარდები

ბორტგამცილებლები და სტიუარდები ზრუნავენ თვითმფრინავებსა და გემებზე მგზავრების პერსონალურ კომფორტსა და უსაფრთხოებაზე, საკვებითა და სასმელით უზრუნველყოფას, აგრეთვე, სხვა პერსონალურ მომსახურეობას. შესაძლებელია მათ მოვალეობებში შედიოდეს დალაგება და გემზე სოციალური აქტივობების დაგეგმვაც.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. თვითმფრინავებსა და გემებზე მგზავრების დახვედრას, ბილეთებისა და ჩასხდომის ბარათების შემოწმებას, მგზავრების თავიანთ ადგილებამდე მიცილებას;
2. უსაფრთხოებისა და მაშველი საშუალებების: ჟანგბადის ნიღბების, უსაფრთხოების ღვედებისა და უსაფრთხოების ჟილეტების – გამოყენების წესების ახსნას;
3. მზა საკვებისა და სასმელების მირთმევას;
4. უბაჟო და სხვა საქონლის გაყიდვას;
5. მგზავრებისთვის მოთხოვნებისა და კომფორტის უზრუნველყოფას, კითხვებზე პასუხის გაცემას, კაიუტების დასუფთავებასა და მოწესრიგებას;
6. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში (მაგ., საგანგებო დაშვებისას თვითმფრინავის ევაკუაცია) მგზავრთა დაკვალიანებას, დახმარებასა და შესაბამისი ზომების მიღებას;
7. პირველადი დახმარების ნაკრებისა და სხვა საგანგებო აღწურვილობის შემოწმებას;
8. საჭიროების შემთხვევაში მგზავრებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას;
9. ამინდზე, სიმაღლეებზე, მარშუტებზე, საგანგებო შემთხვევების პროცედურებზე, ეკიპაჟის კოორდინირებაზე, ფრენის ხანგრძლივობაზე, საკვებისა და სასმელების სერვისებსა და მგზავრთა რაოდენობაზე ფრენამდე ჩატარებული ბრიფინგზე დასწრებას;
10. აფრენა-დაფრენისათვის თვითმფრინავისა და მგზავრების მომზადებას;
11. პატარა ბავშვებისთვის, მოხუცებისა თუ უნარშეზღუდული პირებისთვის სპეციალური დახმარების გაწევას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბორტგამცილებელი;
- თვითმფრინავის ბორტგამცილებელი;

- გემის სტიუარდი.

5112 ჯგუფური ერთეული
საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონდუქტორები

საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონდუქტორები აგროვებენ და გასცემენ ბილეთებს, ზრუნავენ მგზავრთა კომფორტსა და უსაფრთხოებაზე მატარებელში, ტრამვაიში, ავტობუსსა და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებისას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამგზავრო ბილეთებისა და ბარათების თანხების შეგროვებას, აგრეთვე, ბილეთებისა და ბარათების გაცემას ან წინასწარ შეძენილი ბილეთების შემოწმებას;
2. სამგზავრო მატარებლებში საძილე ვაგონების მომსახურებას;
3. ჩასხდომასთან, ადგილის პოვნასა და ბარგის გადატანასთან დაკავშირებით მოთხოვნისამებრ, განსაკუთრების მოხუცებისთვის, ავადმყოფი და დაშავებული მგზავრებისათვის დახმარებას;
4. მგზავრთათვის კარის გაღებასა და დახურვას;
5. გამგზავრებამდე უსაფრთხოების აღჭურვილობის შემოწმებას;
6. მძღოლისთვის გაჩერებისა ან გზის გაგრძელებისთვის სიგნალის მიცემას;
7. მგზავრების მისალმებას, მარშრუტისა და გაჩერებების გამოცხადებას;
8. გადამოწმება, რომ უსაფრთხოების ზომები არის დაცული / უსაფრთხოების ზომების გადამოწმებას;
9. მგზავრების თხოვნებსა და საჩივრებზე რეაგირებას, აგრეთვე, გაჩერებებსა და მგზავრობის სხვა მიმართულებით გაგრძელებაზე ინფორმაციის მიწოდებას;
10. საგანგებო სიტუაციების ან უბედური შემთხვევების დროს შესაბამისი ზომების მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავტობუსის კონდუქტორი;
- ტრამვაის კონდუქტორი;
- საბაგიროს კონდუქტორი;
- ბილეთის კონტროლიორი (საზოგადოებრივი ტრანსპორტი).

5113 ჯგუფური ერთეული
გიდები

გიდები ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებელ ტურებსა და ექსკურსიებზე, აგრეთვე, დაინტერესების შემთხვევაში ისტორიული ადგილებზე, სამრეწველო მეურნეობებსა და თემატურ პარკებში მოგზაურობისას თან მიჰყვებიან ინდივიდებსა ან ჯგუფებს. ისინი აღწერენ საინტერესო ადგილებსა და შესაბამის ობიექტზე აწვდიან ინფორმაციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ღირსშესანიშნაობის დასათვალიერებელ ტურებზე ტურისტებს გაყოლასა და მეგზურობას;
2. მუზეუმებში, გამოგონებებში, თემატურ პარკებში, ქარხნებსა და სხვა სამრეწველო მეურნეობებშის ვიზიტიორების მეგზურობას;
3. საინტერესო ადგილის აღწერასა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში კითხვებზე პასუხის გაცემას;
4. სკოლის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების ჩატარებას;
5. აღნიშნული ტურის რეგულაციებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქმედებების თანხვედრისთვის ვიზიტიორებზე დაკვირვებას;
6. ვიზიტიორებისა და ტურის მონაწილეების დახვედრასა და რეგისტრაციას, შესაბამისი საიდენტიფიკაციო ბეიჯებისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო მოწყობილობების გაცემას;
7. ბროშურების დარიგებას, აუდიო-ვიზუალური პრეზენტაციის ჩვენებას, ტურების დროს შესაბამისი პროცედურებისა და ოპერაციების ახსნას;
8. ჯგუფების ფიზიკურ დაცვას, პირველადი დახმარების აღმოჩენასა და სასწრაფო ევაკუაციისას მითითებების მიცემას;
9. განრიგებთან, სერვისსა და განთავსებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის მოგვარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ხელოვნების გალერეის გიდი;
- ტურის მეგზური;
- ტურისტების გიდი.

512 მცირე ჯგუფი
მზარეულები

მზარეულები სასტუმროებში, რესტორნებსა და სხვა კვების ობიექტებში – გემებზე, სამგზავრო მატარებლებში და შინამეურნეობებში რეცეფტის მიხედვით ან შეფის ზედამხედველობის ქვეშ გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მენიუს შედგენასა და კერძების მომზადებას; სამზარეულოს დამხმარე პერსონალის საქმიანობის დაგეგმვას, ზედამხედველობასა და კოორდინირებას; საკვების ხარისხის შემოწმებას; ინგრედიენტების აწონვას, გაზომვასა და რეცეფტისა და ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე შეზავებას; ღუმელის, გრილის, შესაწვავი ქურისა და სხვა აღჭურვილობის ტემპერატურის დარეგულირებას; საკვების მომზადებისას უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დასაცავად სამზარეულოს, აღჭურვილობებისა და მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავის შენარჩუნებას; მაღალი სიმძლავრის სამზარეულოს მოწყობილობების: გრილის, ტაფისა და ცხიმში შესაწვავი საშუალების – მართვას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- 5120 მზარეულები.

5120 ჯგუფური ერთეული
მზარეულები

მზარეულები სასტუმროებში, რესტორნებსა და სხვა კვების ობიექტებში – გემებზე, სამგზავრო მატარებლებში და შინამეურნეობებში რეცეფტის მიხედვით ან შეფის ზედამხედველობის ქვეშ გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მენიუს შედგენასა და კერძების მომზადებას;
2. სამზარეულოს დამხმარე პერსონალის საქმიანობის დაგეგმვას, ზედამხედველობასა და კოორდინირებას;
3. საკვების ხარისხის შემოწმებას;
4. ინგრედიენტების აწონვას, გაზომვასა და რეცეფტისა და ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე შეზავებას;
5. ღუმელის, გრილის, შესაწვავი ქურისა და სხვა აღჭურვილობის ტემპერატურის დარეგულირებას;
6. საკვების მომზადებისას უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დასაცავად სამზარეულოს, აღჭურვილობებისა და მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავის შენარჩუნებას;
7. მაღალი სიმძლავრის სამზარეულოს მოწყობილობების: გრილის, ტაფისა და ცხიმში შესაწვავი საშუალების – მართვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მზარეული.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კაფეს მენეჯერი 1412;
- რესტორნის მენეჯერი 1412;
- შეფმზარეული 3434;
- სწრაფი კვების მომზადების სპეციალისტები 9411.

შენიშვნა:

პატარა კაფეს, რესტორნებისა და ბარების მფლობელები, რომლებისთვისაც მენეჯმენტი და თანამშრომელთა ზედამხედველობა არ წარმოადგენს სამუშაოს განსაკუთრებულ კომპონენტს, მათ მიერ შესრულებული ძირითადი მოვალეობის მიხედვით, შედიან შემდეგ ჯგუფურ ერთეულებში: **5120** – მზარეულები, **5131** – მიმტანები და **5132 –** ბარმენები.

513 მცირე ჯგუფი
მიმტანები და ბარმენები

მიმტანები და ბარმენები კომერციულ სასადილოებსა და დასალევ ადგილებში, კლუბებში, დაწესებულებებში, აგრეთვე, გემებსა და სამგზავრო მატარებლებში საკვებისა და სასმელების მირთმევით ემსახურებიან კლიენტებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბარის სათანადოდ მომარაგებას; ჭურჭლის დარეცხვასა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას; ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელის მირთმევას; მაგიდების სუფთა გადასაფარებლით, დანა-ჩანგლით, ჭურჭლითა და ჭიქებით გაწყობას; საკვებისა და სასმელის მირთმევას; ღვინის არჩევანის შეთავაზებასა და მირთმევას; საკვებისა და სასმელის შეკვეთების მიღებასა და სამზარეულოსათვის მიწოდებას; ანგარიშის წარდგენასა და გადახდილი თანხის აღებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- 5131 მიმტანები;
- 5132 ბარმენები.

5131 ჯგუფური ერთეული
მიმტანები

მიმტანები სასადილოებსა და დასალევ ადგილებში, კლუბებში, დაწესებულებებში, აგრეთვე, გემებსა და სამგზავრო მატარებლებში საკვებითა და სასმელით უმასპინძლდებიან კლიენტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მაგიდების სუფთა გადასაფარებლით, დანა-ჩანგლით, ჭურჭლითა და ჭიქებით გაწყობას;
2. სტუმრების მისალმებასა და მენიუს მირთმევას;
3. საკვებისა და სასმელის არჩევანის შეთავაზებას;
4. საკვებისა და სასმელის შეკვეთების მიღებასა და სამზარეულოსათვის მიწოდებას;
5. საკვებისა და სასმელის მირთმევას;
6. მაგიდის გასუფთავებას, დანა-ჩანგლისა და ჭურჭლის სამზარეულოში დაბრუნებას;
7. ანგარიშის წარდგენასა და გადახდილი თანხის აღებას, აგრეთვე, გადახდის აპარატების გამოყენებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სომელიე;
- მიმტანი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კაფეს მენეჯერი 1412;
- რესტორნის მენეჯერი 1412;
- ბარმენი 5132.

<u>შენიშვნა:</u>

პატარა კაფეს, რესტორნებისა და ბარების მფლობელები, რომლებისთვისაც მენეჯმენტი და თანამშრომელთა ზედამხედველობა არ წარმოადგენს სამუშაოს განსაკუთრებულ კომპონენტს, მათ მიერ შესრულებული ძირითადი მოვალეობის მიხედვით, შედიან შემდეგ ჯგუფურ ერთეულებში: **5120** – მზარეულები, **5131** – მიმტანები და **5132 –** ბარმენები.

<u>5132 ჯგუფური ერთეული</u>
ბარმენები

ბარმენები ამზადებენ, აზავებენ და მიართმევენ ალკოჰოლურ და არაალკოჰოლურ სასმელებს მომხმარებლებს პირდაპირ ბარიდან ან მიმტანების დახმარებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომსახურე პერსონალის ან პირდაპირ შეფისგან სასმელის შეკვეთის მიღებას;
2. ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების მომზადებასა და მათით გამასპინძლებას;
3. გამოყენებული ჭიქების გარეცხვასა და ბარის ტერიტორიაზე, ჩაისა და ყავის გასაკეთებელ ადგილას, აგრეთვე სათანადო აღჭურვილობისა და აპარატურის სისუფთავის შენარჩუნებას;
4. გაყიდვებიდან შემოსული გადახდილი თანხის შეგროვებას, გადახდის აპარატების გამართული მუშაობასა და გადახდის ქვითრების ბალანსის უზრუნველყოფას;
5. კასრიდან ლუდის ჩამოსხმასა და დაფასოებას;
6. ბარის შევსებაზე ზრუნვას, ბოთლებისა და ჭიქების დალაგებას;
7. ალკოჰოლური სასმელების შემენისათვის დადგენილი მინიმალური ასაკის შესამოწმებლად მომხმარებელთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შემოწმებას;
8. ზედმეტი ალკოჰოლური სასმელის მიღებით გამოწვეული პრობლემების თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ზომების მიღებას, მაგ., მომხმარებლების მიერ ალკოჰოლის მიღების შეწყვეტის თაობაზე დარწმუნებასა და ალკოჰოლური სასმელის მომდევნო შეკვეთებსა და დამზადებას ხელშეშლას;
9. კოქტეილებისა და სხვა სასმელების დასამზადებლად ინგრედიენტების შერევას;
10. ბართან წასახემსებელი პროდუქტებისა და სხვა საკვების შეთავაზებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბარმენი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კაფეს მენეჯერი 1412;
- რესტორნის მენეჯერი 1412;
- მიმტანი 5131.

<u>შენიშვნა:</u>

პატარა კაფეს, რესტორნებისა და ბარების მფლობელები, რომლებისთვისაც მენეჯმენტი და თანამშრომელთა ზედამხედველობა არ წარმოადგენს სამუშაოს განსაკუთრებულ კომპონენტს, მათ მიერ შესრულებული ძირითადი მოვალეობის მიხედვით, შედიან შემდეგ ჯგუფურ ერთეულებში: **5120** – მზარეულები, **5131** – მიმტანები და **5132 –** ბარმენები.

<u>514 მცირე ჯგუფი</u>
სტილისტები, სილამაზის სალონებისა და სხვა მსგავსი დაწესებულების სპეციალისტები

სტილისტები, სილამაზის სალონისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების სპეციალისტები უზრუნველყოფენ თმის შეჭრა-დავარცხნას, წვერის დაპარსვა-გაკრეჭას, კოსმეტიკურ მომსახურებას, ვიზაჟისა და გრიმს და კლიენტების გარეგნობის გასაუმჯობესებელ სხვადასხვა სახეობის მომსახურებას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; თმის შეჭრა-დავარცხნას; წვერის გაპარსვა-გაკრეჭას; კოსმეტოლოგიურ მომსახურებას; ვიზაჟისა და გრიმის გაკეთებას; მანიკიურ-პედიკიურის გაკეთებას; ფეხის კანისა და ფრჩხილების მსუბუქი დაავადებების მკურნალობას; კლიენტებისათვის აბაზანის მიღებისას მსუბუქი მასაჟის გაკეთებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- 5141 სტილისტები;
- 5142 სილამაზის სალონებისა და მასთან დაკავშირებული მონათესავე დარგის სპეციალისტები.

<u>5141 ჯგუფური ერთეული</u>
სტილისტები

სტილისტები ჭრიან, ვარცხნიან, ღებავენ, ასწორებენ და ახვევენ თმას, აგრეთვე პარსავენ და კრეჭენ წვერს და მკურნალობენ თავის კანს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. თმის შეჭრას, დაბანას, შეღებვასა და დახვევას;
2. წვერისა და ულვაშის გაპარსვა-შეკრეჭას;
3. თავის კანის მკურნალობას;
4. კლიენტის მოთხოვნისამებრ პარიკის მორგებას;
5. თმის მოვლის საშუალებებზე, კოსმეტიკასა და თმის ვარცხნილობებზე რჩევების მიცემას;
6. დრედებისა და ნაწნავების გაკეთებას, აგრეთვე თმის დაგრძელებას;
7. შეხვედრის დანიშვნასა და გადახდილი თანხის შეგროვებას;
8. სამუშაო ტერიტორიის დასუფთავებასა და ინსტრუმენტების დეზინფექციას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დალაქი;
- თმის მოვლის სპეციალისტი;
- პარიკმახერი;
- სტილისტი.

<u>5142 ჯგუფური ერთეული</u>
სილამაზის სალონებისა და მასთან დაკავშირებული მონათესავე დარგის სპეციალისტები

სილამაზის სალონებისა და მასთან დაკავშირებული მონათესავე დარგის სპეციალისტები უზრუნველყოფენ სახეობისა და ტანის კოსმეტოლოგიურ მომსახურებას, ვიზაჟისა და გრიმის გაკეთებასა და კლიენტების გარეგნობის გასაუმჯობესებესებელ სხვადასხვა სახეობის მომსახურებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სახეობისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილების გაწმენდასა და კრემების, ლოსიონებისა და მსგავსი პროდუქტების გამოყენებას;
2. სახეობისა და სხეულის მასაჟის გაკეთებას;
3. სილამაზის სალონების კლიენტებისთვის, მსახიობებისა და სხვა პირებისთვის გრიმის გაკეთებას;
4. ხელისა და ფეხის ფრჩხილების წმენდას, ფორმის მიცემას, დაგრძელებას, აგრეთვე ფეხის კანისა და ფრჩხილების მსუბუქი დაავადებების: მაზოლების, გაუხეშებული ნაწილების, ფრჩხილების დეფორმაციების – მკურნალობას;
5. კლიენტებისათვის აბაზანის მიღებისას მსუბუქი მასაჟის გაკეთებას;
6. ცვილით, შაქრითა და სხვა მეთოდებით არასასურველი თმის მოცილებას;
7. წონის დაკლებისთვის დიეტისა და ვარჯიშის შეთავაზებას;
8. შეხვედრის დანიშვნასა და გადახდილი თანხის შეგროვებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მექისე;
- კოსმეტოლოგი;
- გრიმიორი;
- მანიკიურის სპეციალისტი;
- პედიკიურის სპეციალისტი;
- გახდომის კონსულტანტი.

515 მცირე ჯგუფი
შენობებისა და დასუფთავების მეთვალყურეები

შენობებისა და დასუფთავების მეთვალყურეები კომერციულ, ინდუსტრიულ და საცხოვრებელ ფართებში გეგმავენ, მართავენ და ზედამხედველობენ დამლაგებლებსა და დასუფთავების სამსახურის სხვა სპაციალისტებს. ისინი სასტუმროებში, ოფისებში, ბინებში, სახლებსა და კერძო საცხოვრებლებში პასუხისმგებლობას იღებენ შინამეურნეობებსა და მათ მოვლაზე.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დავალებების მიცემასა, აგრეთვე შენობის დასუფთავებისა და მომსახურების სამუშაოების სათანადოდ შესრულების შემოწმებას; ჩასატარებელი სამუშაოსათვის საჭირო მარაგის უზრუნველსაყოფად მასალით, ინვენტარითა და აღჭურვილობით მომარაგებას; სამუშაო ადგილზე დასაქმების მსურველების შემოწმება-აყვანას; როგორც ახალი, ისე გამოცდილი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფას; დაწინაურების, სხვა სამსახურში გადაყვანისა და სამსახურიდან გათავისუფლების რეკომენდაციების გაწევას; დასუფთავებისა და მომსახურების ზოგიერთი სამუშაოს შესრულებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5151 ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები;
5152 შინამოსამსახურეები;
5153 შენობის მეთვალყურეები.

5151 ჯგუფური ერთეული
ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები

ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები დაწესებულებებში არსებული ინტერიერის, უძრავი ინვენტარისა და

კეთილმოწყობის სუფთად და მოწესრიგებულად შესანარჩუნებლად გეგმავენ, ზედამხედველობენ და ახორციელებენ დალაგების სამუშაოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დამხმარეების, დამლაგებლებისა და დასუფთავების სხვა თანამშრომლების დაქირავებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, გათავისუფლებას, ორგანიზებასა და ზედამხედველობას;
2. მარაგის შესყიდვასა და კონტროლსი;
3. საწყობის კონტროლსა და მარაგის გაცემას;
4. ზოგად კეთილდღეობასა და დაწესებულებაში დასაქმებულების ქცევის ზედამხედველობას;
5. იატაკის, ავეჯისა და სხვა უძრავი ინვენტარის გასუფთავებას, გაწმენდასა და გარეცხვას;
6. ლოგინის გასწორებას, აგრეთვე აბაზანის გასუფთავებასა და პირსახოცით, საპნითა და მსგავსი ნივთებით მომარაგებას;
7. სამზარეულოს დასუფთავებას, აგრეთვე სამზარეულოს საქმეებში დახმარებას – ჭურჭლის დარეცხვა;
8. მინი-ბარების შევსება და ისეთი საგნებით მომარაგება, როგორიცაა დასალევი ჭიქა და საწერი ნივთები.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასტუმროს მომსახურე პერსონალი;
- დიასახლისები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სასტუმროს მენეჯერი 1411;
- ოთახის დამლაგებელი და საუზმის მიმტანი 5152;
- შინამოსამსახურეები 5152;
- შენობის მომვლელები 5153;
- შინამოსამსახურეები და დამხმარეები 9111.

<u>5152 ჯგუფური ერთეული</u>
შინამოსამსახურეები

შინამოსამსახურეები დაქვემდებარებული პერსონალის დახმარებით ან მათ გარეშე კერძო საცხოვრებლებსა და პატარა საცხოვრებელ დაწესებულებებში მართავენ, ზედამხედველობენ და ახორციელებენ შინამომსახურეების მოვალეობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საცხოვრებელ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობას;
2. მარაგის შესყიდვასა ან მის კონტროლს;

3. საწყობის კონტროლსა და მარაგის გაცემას;
4. მცირე დაზიანებებისა და ავადმყოფობის შემთხვევაში დახმარებას, მაგ.: სიცხის გაზომვას, წამლის მიცემასა ან ჭრილობის შეხვევას;
5. იატაკის, ავეჯისა და სხვა უძრავი ინვენტარის გასუფთავებას, გაწმენდასა და გარეცხვას;
6. ლოგინის გასწორებას, აბაზანის გასუფთავებასა და პირსახოცით, საპნითა და მსგავსი ნივთებით მომარაგებას;
7. საცხოვრებელ დაწესებულებაში არსებული შინაური ცხოველებისა და მხენარეების მოვლას, სტუმრების მიღებას, სატელეფონო ზარებზე პასუხს, დატოვებული შეტყობინებების გადაცემასა და საკვები პროდუქტის შეძენას;
8. სადილის მომზადებას, მაგიდის გაწყობა-ალაგებას, საკვებითა და სასმელით გამასპინძლებას;
9. სამზარეულოს დასუფთავებასა და ზოგადად, სამზარეულოს საქმეებში დახმარებას, აგრეთვე ჭურჭლის დარეცხვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ოთახის დამლაგებლები და საუზმის მიმტანები;
- მომსახურე პერსონალის მეთვალყურეები;
- შინამოსამსახურეები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სასტუმროს მენეჯერი 1411;
- შინამოსამსახურეები და დამხმარეები 9111.

<u>შენიშვნა:</u>

პატარა საცხოვრებელი დაწესებულებების: ღამის გასათევი თუ სასაუზმე დაწესებულებების და პატარა საოჯახო სასტუმროების – მმართველები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებელთათვის შეზღუდულ საცხოვრებელ და საკვებ მომსახურეობებს, და რომლებისთვისაც მომსახურე პერსონალის მენეჯმენტი და ზედამხედველობა არ წარმოადგენს სამუშაოს განსაკუთრებულ კომპონენტს, შედიან **5152** ჯგუფურ ერთეულში – შინამოსამსახურეები.

<u>5153 ჯგუფური ერთეული</u>
შენობის მეთვალყურეები

შენობის მეთვალყურეები თვალყურს ადევნებენ საცხოვრებელ სახლებს, სასტუმროებს, ოფისებს, რელიგიურ და სხვა შენობებს, აგრეთვე, უზრუნველყოფენ მათ დალაგება-დასუფთავებას. შენობის ნაირსახეობიდან გამომდინარე, მათ შეიძლება შენობაში უზედამხედველონ სხვა დასაქმებულებსა და კონტრაქტორებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დამსუფთავებლების, შიდამოსამსახურეების, მშნებელთა და კონტრაქტორთა მეთვალყურეობა;
2. დასუფთავებაში, უმნიშვნელო შეკეთებებსა და შენობის ინტერიერის შენარჩუნებაში მონაწილეობას;
3. სითბოსა და ცხელი წყლის უზრუნველსაყოფად ღუმელებისა და წყლის გამაცხელებელი ქვაბების გაკონტროლებას;
4. გადაჭარბებული ხმაურის ან შენობის ხელყოფისას მაცხოვრებლების ან სხვა სტუმრების ქცევების გაკონტროლებას;
5. მაცხოვრებეთა არყოფნის შემთხვევაში მათ სახელზე მოსული ამანათებსა ან სატელეფონო ზარებზე საჭირო ინფორმაციის მიწოდებას;
6. ძირითადი სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე შენობის მენეჯმენტისა და მფლობელის ინფორმირებას;
7. უსაფრთხოების შესანარჩუნებლად შენობისთვის თვალყურის დევნებას;
8. რეგისტრაციის ფორმების შევსებასა და მაცხოვრებლების წესების ფურცლით უზრუნველყოფას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეთვალყურე;
- კონსიერჟი (შენობის);
- დამლაგებელი;
- მესაფლავე.

516 მცირე ჯგუფი
სხვა ინდივიდუალური მომსახურების სფეროს სპეციალისტები

სხვა ინდივიდუალური მომსახურების სფეროს სპეციალისტები გადმოსცემენ ადამიანის წარსულში მომხდარ ფაქტებს და წინასწარმეტყველებენ მომავალს, უზრუნველყოფენ კომპანიონობასა და სხვა ინდივიდუალურ მომსახურებებს; უვლიან, წვრთნიან და ზრუნავენ ცხოველებზე; უზრუნველყოფენ ბალზამირებასა და დაკრძალვისთვის საჭირო პროცედურებს; ასწავლიან ტრანსპორტის მართვას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ჰოროსკოპის შედგენას; კლიენტისთვის კომპანიონობასა ან კამერდინერობა, აგრეთვე სხვა ინდივიდუალურ მომსახურებას; ბალზამირებასა და დაკრძალვის სხვა პროცედურების ჩატარებას; ცხოველთა მოვლას, კვებასა და გაწვრთნას; უშუალოდ სატრანსპორტო საშუალების მართვისას მოსწავლეთა ინსტრუქტაჟს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5161 ასტროლოგები, წინასწარმეტყველები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები;
5162 კომპანიონები და კამერდინერები;
5163 სარიტუალო მომსახურების სპეციალისტები;
5164 ცხოველების მომთვინიერებლები და მომვლელები;
5165 სატრანსპორტო საშუალებების მართვის ინსტრუქტორები;
5169 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ინდივიდუალური მომსახურების სფეროს სპეციალისტები.

5161 ჯგუფური ერთეული
ასტროლოგები, წინასწარმეტყველები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები

ასტროლოგები, წინასწარმეტყველები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები ასტროლოგიით, ხელის გულის თავისებურებებით, კარტითა და სხვა მეთოდებით გადმოსცემენ მომხდარ ფაქტებს და წინასწარმეტყველებენ კლიენტების ცხოვრებაში მოსალოდნელ მოვლენებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. წარსულის დაწვრილებით გადმოსაცემად და მომავლის წინასწარ განსაჭვრეტად დაბადებისთანავე ან მოგვიანებით კლიენტებისთვის ჰოროსკოპების შედგენას;
2. კლიენტების ხელისგულების თავისებურებების გაშიფვრას, ალალბედზე ამოღებული კარტის, ჩაის ფოთლების განლაგების ან ფინჯანში ყავის ნალექის გამოსახულებების, მკვდარი ცხოველების ძვლების ფორმისა და მათი მოხაზულობების ინტერპრეტაციას;
3. ამ ინტერპრეტაციების საფუძველზე მოვლენების წინასწარმეტყველებას;
4. ინაუგურაციის, ქორწინების, მოგზაურობის, რელიგიური და სხვა ცერემონიების ყველაზე ხელსაყრელი დროის განსაზღვრა;
5. კლიენტების გაფრთხილებასა და მომავალ ქმედებებზე რჩევების მიცემას;

6. მომავალში ნეგატიური ზეგავლენების თავიდან ასაცილებლად ადამიანების გაფრთხილებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ასტროლოგი;
- მკითხავი;
- ნუმეროლოგი;
- ქინომატი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ექიმბაში 3230;
- სულიერი მკურნალები 3413.

5162 ჯგუფური ერთეული
კომპანიონები და კამერდინერები

კომპანიონები და კამერდინერები უვლიან, პარტნიორობენ დამქირავებლებს და უწევენ მათ სხვადასხვა სახეობის ინდივიდუალურ მომსახურებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დამქირავებლისათვის კომპანიონობის გაწევას, კითხვას, საუბარსა და მათთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებაში (მაგ., სპორტულ) ღონისძიებაში მონაწილეობას;
2. სტუმრების მიღებაში დამქირავებლის დახმარებას;
3. დამქირავებლის გარდერობისა და სხვა პირადი ნივთების მოწესრიგებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კომპანიონი;
- პირადი მოსამსახურე;
- კამერდინერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მომსახურე პერსონალის მეთვალყურე 5152;
- ცეკვაში პარტნიორი 5169;
- სოციალური გამცილებელი 5169.

5163 ჯგუფური ერთეული
სარიტუალო მომსახურების სპეციალისტები

სარიტუალო მომსახურების სპეციალისტები გეგმავენ და ასრულებენ დაკრძალვებთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დაკრძალვების, კრემაციის ორგანიზებასა და შესაბამისი სამუშაოების შესრულებას;
2. გახრწნის პროცესის შესაჩერებლად გარდაცვლილი ადამიანების სხეულის ბალზამირებას;
3. ჯანმრთელობისთვის აუცილებელი და სანიტარული ნორმების დაცვას, აგრეთვე ბალზამირებასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების მოგვარებას;
4. ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილზე ჭრილობების გაკერვა-დახურვას, აგრეთვე სხეულის დასახიჩრებული ნაწილების აღდგენასა და ფორმის მიცემას;
5. ადამიანის სხეულის ტანსაცმლით შემოსვასა და მათი სასახლეში ჩასვენებას;
6. ნეკროლოგის მომზადებას, სასახლის არჩევაში, დაკრძალვის ადგილისა და დროის განსაზღვრაში დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მებალზამე;
- მესაფლავე.

5164 ჯგუფური ერთეული
ცხოველების მომთვინიერებლები და მომვლელები

ცხოველების მომთვინიერებლები და მომვლელები ზრუნავენ, კვებავენ, წვრთნიან და იშინაურებენ ცხოველებს; ვეტერინარულ კლინიკებში, ცხოველთა თავშესაფარში, ზოოპარკებში, ლაბორატორიებში, ცხოველთა მაღაზიებში, საცხენოსნო სკოლებში, ძაღლთა საწვრთნელ სკოლებში, ცხოველთა მოსაშინაურებელ და მსგავს დაწესებულებებში ვეტერინარებს, ცხოველთა ჯანმრთელობის სპეციალისტებსა და ტექნოლოგებს ეხმარებიან სხვადასხვა ჯიშის გამოყვანასა და გამრავლებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცხოველთა კვებასა და დაბანას;
2. სამკურნალო მომსახურების ჩასატარებელ ოთახებში ცხოველთა დაჭერასა და წაყვანას;
3. ვეტერინარული ინსტრუმენტების გასუფთავებასა და სტერილიზაციას;
4. წამლების, ქიმიკატებისა და სხვა ფარმაცევტული მასალების მარკირებასა და მარაგების შევსებას;
5. ბოთლების, პატარა კასრებისა და სხვა აღჭურვილობების სტერილიზაციას;
6. ცხოველთა საცხოვრებელი ადგილების: ბაკების, საჯინიბოს, გალიებისა და ეზოების – ორგანიზებასა და დეზინფექციას, აგრეთვე, საჭირო აღჭურვილობით (მაგ., უნაგირებითა და აღვირებით) უზრუნველყოფას;
7. ცხოველების წონის, ზომის, ფიზიკური მდგომარეობის, ჩატარებული მკურნალობის, მედიკამენტებისა და საკვების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ჩაწერას;
8. შეჯიბრში მონაწილეობისთვის საჭირო ქცევების (მაგ.: თვინიერი, დამჯერი, უსაფრთხო და სხვა) შესასრულებლად ცხოველთა გაწვრთნას;

9. ცხოველთა დაბანას, დავარცხნას, გაკრეჭას, ფრჩხილების დაჭრასა და ყურების გაწმენდას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ცხოველების მომვლელი;
- ძაღლების მწვრთნელი;
- ცხენების მწვრთნელი;
- ზოოპარკის თანამშრომელი;
- ვეტერინარი;
- ვეტერინარის თანაშემწე.

5165 ჯგუფური ერთეული
სატრანსპორტო საშუალებების მართვის ინსტრუქტორები

სატრანსპორტო საშუალებების მართვის ინსტრუქტორები ასწავლიან ადამიანებს სატრანსპორტო საშ‍ალებების მართვას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. უშუალოდ მართვის დროს სტუდენტთა ინსტრუქტაჟს, მუხრუჭების, მომჭერების, ავტომატიკის, დამცავი მექანიზმების, სიგნალისა და განათების მოწყობილობების მოქმედების ახსნასა და ჩვენებას;
2. საგზაო მოძრაობის წესების სწავლებას;
3. საგზაო მოძრაობის სპეციფიკისა და უსაფრთხოების ზომების სწავლებას;
4. მოსწავლეებისთვის მხოლოდ სათანადოდ მომზადების შემდეგ გამოცდაზე გასვლის რჩევის მიცემას;
5. საგანგებო სიტუაციებში საჭირო მართვის მეთოდების სწავლებასა და რჩევების მიცემას;
6. სატრანსპორტო საშუალების ძრავის მუშაობის, მართვისა და ტარების ტექნიკის, სქემის გამოყენებისა და აუდიოვიზუალური დახმარების ილუსტრირებასა და ახსნას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მართვის ინსტრუქტორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- საფრენი აპარატის მართვის ინსტრუქტორი 3153.

5169 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ინდივიდუალური მომსახურების სფეროს სპეციალისტები.

ამ ჯგუფურ ერთეულში შედიან ინდივიდუალური მომსახურების სფეროს სპეციალისტები, რომლებიც არ განეკუთვნებიან **51**-ე ქვეჯგუფის – **ინდივიდუალური მომსახურების სპეციალისტები –** სხვა ჯგუფურ ერთეულებს. მოცემულ ჯგუფურ ერთეულს მიეკუთვნება, მაგ., ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის ცეკვისას პარტნიორობას, კლუბებსა და ღამის კლუბებში კომპანიონობა ან მასპინძლობა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. რესტორნებსა და სხვა გასართობ ადგილებში კლიენტების კომპანიონობას;
2. ცეკვისას პარტნიორობას;
3. ღამის კლუბებში კლიენტებთან შეხვედრასა და მათ გართობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ღამის კლუბის შესასვლელის მეთვალყურე;
- კლუბის მასპინძელი;
- ცეკვის პარტნიორი;
- სოციალური თანმხლები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კომპანიონი 5162.

შენიშვნა:

ქვეყნებში, რომლებშიც აუცილებელია სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება კომერციული მიზნით სექსუალური მომსახურების გამწევ სპეციალისტებზე და რომლებიც არ განეკუთვნებიან სხვა კატეგორიას, უნდა კლასიფიცირდნენ **5169** ჯგუფურ ერთეულში – ინდივიდუალური მომსახურების სფეროს სპეციალისტები. თუ ქვეყანაში ISCO-08-ის ადაპტირების პროცესში სხვა პროფესიებისგან ამ ჯგუფის, რომელიც კლასიფიცირებულია **5169** ჯგუფურ ერთეულში, გამოყოფის საჭიროება გაჩნდა, რეკომენდირებულია **5168** ჯგუფური ერთეულში მათი კლასიფიცირება.

52 ქვეჯგუფი
გაყიდვების სფეროს სპეციალისტები

გაყიდვების სფეროს სპეციალისტები საცალო და საბითუმო მაღაზიებში, დახლებსა თუ ბაზრებში, კარდაკარ სიარულით, ტელეფონისა თუ კლიენტებთან დასაკავშირებელი ცენტრებით ყიდიან და რეკლამას უკეთებენ საქონელს. გაყიდული საქონლის სანაცვლოდ იღებენ თანხას ან მომსახურებას, აგრეთვე ისინი შესაძლებელია ამუშავებდნენ პატარა საცალო გაყიდვების პუნქტებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საცალო და საბითუმო მაღაზიებში, დახლებსა თუ ბაზრებში, კარდაკარ სიარულით, ტელეფონისა თუ კლიენტებთან დასაკავშირებელი ცენტრებით საქონლის გაყიდვას; საქონლისთვის რეკლამის გაკეთებასა და პოტენციური მყიდველისთვის გამოფენას; საკვების გაყიდვა და კლიენტებისთვის ადგილზე მოხმარებისთვის დახლებსა და ქუჩებში მირთმევას; ყიდვას ან სხვადასხვა სახეობის საქონლის რეგულარულად მისაწოდებად მომწოდებლებთან კონტრაქტების დადებას; ფასდაკლებით გაყიდვისთვის საქონლის გამოტანას, აგრეთვე გაყიდული საქონლის შეფუთვასა და ჩალაგებას; გასაყიდი პროდუქტის ნაირგვარობის, რაოდენობისა და ფასის განსაზღვრას; საქონლისა და მომსახურების გაყიდვის აღწერისა და გასასახადის აღებისათვის საჭირო გადახდის აპარატების, ფასის ოპტიკური სკანერების, კომპიუტერებისა და სხვა აღჭურვილობის გამოყენებას; შესაძლებელია სხვა სპეციალისტთა მეთვალყურეობაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

521 გარემოვაჭრეები და ბაზრის გამყიდველები;

522 მაღაზიის გამყიდველები;

523 მოლარეების და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები;

524 გაყიდვების სფეროს სხვა სპეციალისტები.

შენიშვნა:

მაღაზიისა და გაყიდვების მენეჯერები კლასიფიცირებულია 1 ძირითად ჯგუფში – მენეჯერები. ტექნიკური, სამედიცინო, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამყიდველები კლასიფიცირებულნი არიან 2 ძირითად ჯგუფში – პროფესიონალები. კომერციული გაყიდვებისა და სადაზღვეო სფეროს წარმომადგენლები, ფინანსური და ვაჭრობის შუამავლები კლასიფიცირებულნი არიან 3 ძირითად ჯგუფში – ტექნიკოსები და სპეციალისტები. გარემოვაჭრეები (საკვების გარდა) კლასიფიცირებულნი არიან 9 ძირითად ჯგუფში – ელემენტარული პროფესიები.

521 მცირე ჯგუფი
გარემოვაჭრეები და ბაზრის გამყიდველები

გარე მოვაჭრეები და ბაზრის გამყიდველები ბაზრებში დახლებზე ან ქუჩაში ყიდიან საქონელს, აგრეთვე, ქუჩებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ამზადებენ და ყიდიან მზა ცივ და ცხელ სასმელებსა და საჭმელებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ქუჩებში, ბაზრებსა და სხვა ღია ტერიტორიაზე კონკრეტულ ადგილზე სტენდის განსათავსებლად ნებართვის მიღებას; საკვებისა და სასმელის ქუჩაში გაყიდვას; სხვადასხვა სახეობის საქონლის ყიდვას ან მათ რეგულარულად მოსაწოდებლად მომწოდებლებთან კონტრაქტების დადებას; დახლებისა და სტენდების აწყობა-დაშლას; გასაყიდი საქონლის ტრანსპორტირებას, შენახვას, ჩატვირთვასა და გადმოტვირთვას; საქონლის, საკვებისა და სასმელის დალაგებას, გამოფენასა და გაყიდვას, აგრეთვე გადახდილი თანხის აღებას; გაყიდული საქონლის შეფუთვასა და ჩალაგებას; გასაყიდი სასმელისა და საკვების მომზადებას; საკვებისა და სასმელის სასურველ ადგილზე მისატანად ქუჩებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში – სტადიონებსა და კინოებში ურიკების, ლანგრებისა და კალათების ტარებას; ანგარიშების წარმოებასა და მარაგების დონის ჩანაწერების ქონას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5211 ჯიხურებისა და ბაზრის გამყიდველები;

5212 საკვებით გარემოვაჭრეები.

შენიშვნა:

ქუჩებსა და თავშეყრის ადგილებში, არასაკვები ნივთების (ან წინასწარ შეფუთული, არაფუჭებადი საკვები პროდუქტის, მაგ., საკონდიტრო ნაწარმის) გამყიდველები, რომლებიც ვაჭრობენ ურიკებიდან, სატვირთო მანქანებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან, კლასიფიცირებულნი არიან 9520 მცირე ჯგუფში – გარემოვაჭრეები (საკვების გარდა).

5211 ჯგუფური ერთეული
ჯიხურებისა და ბაზრის გამყიდველები

ჯიხურებისა და ბაზრის გამყიდველები ღია ან დახურულ ბაზრებში განსაზღვრულ ადგილზე ან ქუჩებსა და სხვა ღია ტერიტორიაზე დადგმულ ჯიხურებში ყიდიან სხვადასხვა საქონელს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქუჩაში განსაზღვრულ ადგილას ან სხვა ღია ტერიტორიაზე ჯიხურის დასადგმელად ნებართვის მიღებას;
2. გასაყიდი პროდუქტის ნაირგვარობის, რაოდენობისა და ფასის განსაზღვრას;
3. ყიდვას ან სხვადასხვა სახეობის საქონლის რეგულარულად მისაწოდებლად მომწოდებლებთან კონტრაქტების დადებას;

4. დახლებისა და სტენდების აწყობასა და დაშლას, გასაყიდი საქონლის ტრანსპორტირებას, შენახვას, ჩატვირთვასა და გადმოტვირთვას;
5. გასაყიდი საქონლის გამოფენა-გაყიდვას და გადახდილი თანხის აღებას;
6. გასაყიდი საქონლის დალაგებას, გამოფენასა, აგრეთვე გაყიდული საქონლის შეფუთვასა და ჩალაგებას;
7. ანგარიშების წარმოებასა და მუდმივად მარაგის რაოდენობის ჩანაწერების წარმოებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჯიხურის გამყიდველი;
- ბაზრის ჯიხურის მფლობელი;
- ბაზრის გამყიდველი;
- ქუჩის ჯიხურის გამყიდველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სწრაფი კვების გამყიდველები 5212;
- მაღაზიის მეპატრონეები 5221;
- მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველი 5223;
- სწრაფი კვების პუნქტების პერსონალი 5246;
- გარემოვაჭრეები (არასაკვები პროდუქტები) 9520.

შენიშვნა:

ქუჩისა და ბაზრის ჯიხურებში ახალი, არა ადგილზე მოხმარებადი (მაგ.: ხილი, ბოსტნეული, ხორცი და ყოველდღიური პროდუქტი) საკვები პროდუქტების გამყიდველები, კლასიფიცირდებიან 5211 ჯგუფურ ერთეულში – ჯიხურისა და ბაზრის გამყიდველები. ქუჩისა და ბაზრის ჯიხურებში სხვადასხვა მზა, ადგილზე მოხმარებადი საკვების გამყიდველები, კლასიფიცირდებიან 5246 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების პუნქტების პერსონალი. ქუჩებსა და სახალხო შეკრების ადგილებში ურიკებიდან, სატვირთო მანქანებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან ადგილზე მოხმარებადი სასმელისა და საკვების გამყიდველები კლასიფიცირდებიან 5212 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების პუნქტების გამყიდველები. ქუჩებსა და სახალხო თავშეყრის ადგილებში ურიკებიდან, სატვირთო მანქანებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან არასაკვები ნივთებით (ან წინასწარ შეფუთული, არაფუჭებადი საკვები პროდუქტით, მაგ., საკონდიტრო ნაწარმით) მოვაჭრეები კლასიფიცირდებიან 9520 მცირე ჯგუფში – გარემოვაჭრეები (საკვების გარდა). სპეციალისტები, რომლებიც ადგილზე მოხმარებისათვის ამზადებენ მარტივ კვების პროდუქტებს (მაგ., ჰამბურგერს) და რომლებსაც მცირე პირდაპირი კონტაქტი აქვთ კლიენტებთან, კლასიფიცირდებან 9411 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების მზარეულები.

აღნიშნული კატეგორიების ეროვნულ გარემოსთან მორგებისას გასათვალისწინებელია, რომ ადგილზე მოხმარებისთვის გამიზნული საკვები პროდუქტის გამყიდველები ცალკე გამოიყოს მომსახურებისათვის საჭირო უნარების ქონითა და საკვების ჰიგიენური მომზადების წესების გამოყენების აუცილებლობით. დახლთან საკვებით მოვაჭრე პერსონალი, როგორც წესი, სთავაზობს უფრო მრავალფეროვან დამუშავებულ პროდუქტსა და საკვებს და ისინი ურიკებით, კალათებითა თუ ველოსიპეტებით არ ატარებენ, ანდა არ ყიდიან საკვებს.

5212 ჯგუფური ერთეული
სწრაფი კვების ობიექტების გამყიდველები

სწრაფი კვების ობიექტების გამყიდველები ქუჩებსა თუ საზოგადოებრივ ადგილებში (მაგ.: სადგურებში, კინოებსა და თეატრებში) ამზადებენ და ყიდიან ადგილზე მოხმარებად წინასწარ მომზადებულ ცხელ და ცივ საკვებსა და სასმელებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. აუცილებლობის შემთხვევაში ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებში საკვებისა და სასმელის გაყიდვის ნებართვის მოპოვებას;
2. გასაყიდად საჭირო საკვებისა და სასმელის მომარაგებას;
3. გასაყიდად საკვებისა და სასმელის წინასწარ ან ადგილზე მომზადებას;
4. საკვებისა და სასმელის სასურველ ადგილზე მისატანად ქუჩებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში (მაგ.: სტადიონებსა და კინოებში) ურიკების, ლანგრებისა და კალათების დატვირთვას, გადმოტვირთვასა და ტარებას;
5. საკვებისა და სასმელის წარმოჩენას, გაყიდვას და გადახდილი თანხის აღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საკვების დამტარებელი;
- საკვებით გარემოვაჭრე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მზარეული 5120;
- სწრაფი კვების პუნქტების პერსონალი 5246;
- სწრაფი კვების ობიექტის მზარეულები 9411;
- გარემოვაჭრეები (საკვები პროდუქტების გარდა) 9520.

<u>შენიშვნა:</u>

ქუჩისა და ბაზრის ჯიხურებში ახალი, არა ადგილზე მოხმარებადი (მაგ.: ხილი, ბოსტნეული, ხორცი და ყოველდღიური პროდუქტი) საკვები პროდუქტების გამყიდველები, კლასიფიცირდებიან 5211 ჯგუფურ ერთეულში – ჯიხურისა და ბაზრის გამყიდველები. ქუჩისა და ბაზრის ჯიხურებში სხვადასხვა მზა, ადგილზე მოხმარებადი საკვების გამყიდველები, კლასიფიცირდებიან 5246 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების პუნქტების პერსონალი. ქუჩებსა და სახალხო შეკრების ადგილებში ურიკებიდან, სატვირთო მანქანებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან ადგილზე მოხმარებადი სასმელისა და საკვების გამყიდველები კლასიფიცირდებიან 5212 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების პუნქტების გამყიდველები. ქუჩებსა და სახალხო თავშეყრის ადგილებში ურიკებიდან, სატვირთო მანქანებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან არასაკვები ნივთებით (ან წინასწარ შეფუთული, არაფუჭებადი საკვები პროდუქტით, მაგ., საკონდიტრო ნაწარმით) მოვაჭრეები კლასიფიცირდებიან 9520 მცირე ჯგუფში – გარემოვაჭრეები (საკვების გარდა). სპეციალისტები, რომლებიც ადგილზე მოხმარებისათვის ამზადებენ მარტივ კვების

პროდუქტებს (მაგ., ჰამბურგერს) და რომლებსაც მცირე პირდაპირი კონტაქტი აქვთ კლიენტებთან, კლასიფიცირდებან 9411 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების მზარეულები.

აღნიშნული კატეგორიების ეროვნულ გარემოსთან მორგებისას გასათვალისწინებელია, რომ ადგილზე მოხმარებისთვის გამიზნული საკვები პროდუქტის გამყიდველები ცალკე გამოიყოს მომსახურებისათვის საჭირო უნარების ქონითა და საკვების ჰიგიენური მომზადების წესების გამოყენების აუცილებლობით. დახლთან საკვებით მოვაჭრე პერსონალი, როგორც წესი, სთავაზობს უფრო მრავალფეროვან დამუშავებულ პროდუქტსა და საკვებს და ისინი ურიკებით, კალათებითა თუ ველოსიპეტებით არ ატარებენ, ანდა არ ყიდიან საკვებს.

522 მცირე ჯგუფი
მაღაზიის გამყიდველები

მაღაზიის გამყიდველები ყიდიან ფართო სპექტრის საქონელსა და მომსახურებას უშუალოდ მომხმარებლებზე ან საცალო და საბითუმო დაწესებულებების მეშვეობით. ისინი მომხმარებლებს საქონლსა თუ მომსახურებაზე აწვდიან ინფორმაციას, აგრეთვე შესაძლებელია ამუშავებდნენ პატარა მაღაზიებს ან ზედამხედველობდნენ მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველებსა და მოლარეებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კლიენტთა მოთხოვნების განსაზღვრას, პროდუქტის არჩევაზე, ფასზე, მიწოდების ვადაზე, მოხმარებასა და შენახვაზე რჩევების მიცემას; საქონლისა და მომსახურების მომხმარებელთათვის ჩვენებას, ახსნასა და გაყიდვას; გადახდის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი თანხის აღებასა და ანგარიშ-ფაქტურების მომზადებას; საქონლის მარაგთან დაკავშირებული მენეჯმენტის საკუთარ თავზე აღებას, ან მის მიღებაში დახმარებასა და მონაწილეობას; საქონლის გასაყიდად გამოტანას, დალაგებასა და გაყიდული საქონლის შეფუთვა-ჩალაგებას; გასაყიდი პროდუქტის ნაირსახეობის, მარაგისა და ფასის განსაზღვრას; მაღაზიებისა და საწყობების გამყიდველების, სალაროს ასისტენტებისა და სხვა თანამშრომელთა საქმიანობის ზედამხედველობასა და მართვას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5221 მაღაზიის მეპატრონეები;

5222 მაღაზიის ზედამხედველები;

5223 მაღაზიის კოსულტანტ-გამყიდველები.

5221 ჯგუფური ერთეული
მაღაზიის მეპატრონეები

მაღაზიის მეპატრონეები დამოუკიდებლად ან ცოტა დამხმარეებით ამუშავებენ პატარა მაღაზიებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გასაყიდი პროდუქტის ნაირგვარობის, რაოდენობისა და ფასის განსაზღვრას;
2. გასაყიდი პროდუქტის შეძენასა და ბაზრებში, ბითუმად მოვაჭრეებსა და მომარაგების სხვა წყაროებთან შეკვეთას;
3. საქონლის ბიუჯეტისა და ფინანსური ოპერაციების დადგენასა და აღწერას;
4. ფასების დადგენასა და საქონელის გასაყიდად დალაგებას;
5. მომხმარებელზე პროდუქტის გაყიდვასა და მათი გამოყენებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას;
6. დაბრუნებული პროდუქტის შემოწმებასა და შესაბამის რეაგირებას;
7. საწყობში სასაქონლე ინვენტარის წაღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საკვები პროდუქტებით მოვაჭრე;
- საგაზეთო ჯიხურის გამყიდველი;
- მაღაზიის მეპატრონე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მაღაზიის მენეჯერი 1420;
- ბაზრის ჯიხურში მეპატრონე 5211.

<u>შენიშვნა:</u>

პატარა მაღაზიების მფლობელები, რომელთათვის მომსახურე პერსონალის მენეჯმენტი და ზედამხედველობა არ წარმოადგენს სამუშაოს განსაკუთრებულ კომპონენტს, კლასიფიცირდებიან 5221 ჯგუფურ ერთეულში – მაღაზიის მეპატრონეები. მაღაზიების მფლობელები, რომელთათვის მომსახურე პერსონალის მენეჯმენტი და ზედამხედველობა წარმოადგენს სამუშაოს განსაკუთრებულ და ჩვეულ კომპონენტს, კლასიფიცირდებიან 1420 ჯგუფურ ერთეულში – საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები. მომსახურე პერსონალი, რომელიც აკონტროლებს და მიმართულებას აძლევს მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველებს, სალაროს ოპერატორებსა და სხვა მომსახურეთა საქმიანობას, რომელთა მოვალეობაში არ შედის პროდუქტის ნაირგვარობის დადგენა, ფასისა და ბიუჯეტის განსაზღვრა, მომსახურე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა, აყვანა და შერჩევა, კლასიფიცირდებიან 5222 ჯგუფურ ერთეულში – მაღაზიის მეთვალყურეები.

<u>5222 ჯგუფური ერთეული</u>
მაღაზიის მეთვალყურეები

მაღაზიის მეთვალყურეები საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტებში (მაგ.: სუპერმარკეტებსა და საწყობებში) ზედამხედველობენ და მართავენ მაღაზიის გამყიდველებს, მოლარე-ოპერატორებსა და სხვა სპეციალისტთა საქმიანობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამუშაო გრაფიკების დაგეგმვას, მომზადებასა და მომსახურე პერსონალისათვის კონკრეტული მოვალეობების განსაზღვრას;
2. გაყიდვებთან დაკავშირებით მომსახურე პერსონალისთვის, აგრეთვე რთულ და კომპლექსურ სიტუაციებში მოქმედებაზე მითითებების მიცემას;
3. მომხმარებელთათვის სწრაფი მომსახურების მიღების უზრუნველყოფას;
4. სამუშაო პერსონალთან გასაუბრებაში, დაქირავებაში, ტრენინგში, შეფასებაში, დაწინაურებასა და სამსახურიდან დათხოვნაში პერსონალის დახმარებას, აგრეთვე რთულ სიტუაციებში მონაწილეობისა და მენეჯერებისთვის რჩევების მიცემას;
5. დაბრუნებული პროდუქტის შემოწმებასა და შესაბამისი რეაგირებას;
6. სასაქონლე ინვენტარის გასაყიდად გამოტანასა და ახალი მარაგის შეკვეთას;
7. საქონლისა და მომსახურეობის სწორად ჩვენებასა და ზუსტი ფასების დადებას;
8. უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ზომების გატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეთვალყურეები;
- სუპერმარკეტის მეთვალყურეები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მაღაზიის მენეჯერი 1420;
- ქუჩის ჯიხურისა და ბაზრის გამყიდველები 5211;
- მაღაზიის მეპატრონეები 5221.

<u>შენიშვნა:</u>

პატარა მაღაზიების მფლობელები, რომელთათვის მომსახურე პერსონალის მენეჯმენტი და ზედამხედველობა არ წარმოადგენს სამუშაოს განსაკუთრებულ კომპონენტს, კლასიფიცირდებიან 5221 ჯგუფურ ერთეულში – მაღაზიის მეპატრონეები. მაღაზიების მფლობელები, რომელთათვის მომსახურე პერსონალის მენეჯმენტი და ზედამხედველობა წარმოადგენს სამუშაოს განსაკუთრებულ და ჩვეულ კომპონენტს, კლასიფიცირდებიან 1420 ჯგუფურ ერთეულში – საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები.

<u>5223 ჯგუფური ერთეული</u>
მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები

მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები ყიდიან ფართო სპექტრის საქონელსა და მომსახურებას უშუალოდ მომხმარებლებზე ან საცალო და საბითუმო დაწესებულებების დახმარებით, აგრეთვე მომხმარებლებს უხსნიან ამ საქონლისა თუ მომსახურების ფუნქციებსა და ხარისხს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კლიენტთა მოთხოვნების განსაზღვრას, აგრეთვე პროდუქტის არჩევანის, ფასის, მიწოდების ვადის, მოხმარებისა და შენახვის შესახებ რჩევის მიცემა;
2. მომხმარებლებისთვის დაწესებულებაში არსებული საქონლისა და მომსახურების ჩვენებასა და ახსნას;
3. საქონლისა და მომსახურების გაყიდვას, გადახდის სხვადასხვა მეთოდით თანხის აღებას, გაყიდვების ანგარიშ-ფაქტურების მომზადებასა და სალარო აპარატებით გაყიდვების აღრიცხვას;
4. მარაგის მენეჯმენტში დახმარებასა და მის მიღებაში მონაწილეობას;
5. საქონლის გასაყიდად გამოტანა-დალაგებას, გაყიდული საქონლის შეფუთვასა და ჩალაგებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გამყიდველი (საცალო გაყიდვების დაწესებულება);
- გამყიდველი (საბითუმო გაყიდვების დაწესებულება);
- მაღაზიის ასისტენტები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მაღაზიის მენეჯერი1420;
- საგაზეთო ჯიხურის გამყიდველი 5211;
- ბაზრის გამყიდველი 5211;
- ქუჩის ჯიხურის გამყიდველი 5211;
- ქუჩაში საკვების გამყიდველი 5212;
- მაღაზიის მეპატრონე 5221;
- მოლარე-ოპერატორი 5230;
- სწრაფი კვების პუნქტების პერსონალი 5246.

523 მცირე ჯგუფი
მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები

მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები მაღაზიებში, რესტორნებსა და ბილეთების გასაყიდ პუქტებში გაყიდული საქონლის, მომსახურების, შესასვლელი ბილეთების აღწერისა და გადახდილი თანხის მიღებისთვის იყენებენ სალარო აპარატებს, ფასის ოპტიკურ სკანერებს, კომპიუტერებსა და სხვა აღჭურვილობას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მაღაზიებში, ბილეთების გასაყიდ პუქტებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში ნაღდი ფულით, ჩეკით, საკრედიტო ბარათითა თუ სადებეტო ანგარიშიდან გადახდილი თანხის აღებასა და შემოწმებას; ხურდის დაბრუნებასა და ჩეკის ამობეჭდვას; ბილეთების გასაყიდ პუქტებში ბილეთების დამზადებასა და გადახდილი თანხის აღებას; მიღებული და გადახდილი თანხის აღწერას, დათვლასა და სალარო აპარატში არსებულ თანხასთან ბალანსში მოყვანას; ნაღდი ფულის მიღებასა და გაყიდვების სხვა დოკუმენტებთან შესაბამისობაში შემოწმებას, აგრეთვე მისი ბანკში ანგარიშზე შესატანად მომზადებას; მომხმარებელთა მიერ გადასახდელი ჯამური თანხისა და მათთვის დასაბრუნებელი თანხის გამოსათვლელად სალარო აპარატების გამოყენებას; საქონლის აწონვას, აღწერასა და ფასის სკანირებას; ნავაჭრი საქონლის შეფუთვასა და პარკში ჩალაგებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

5230 მოლარეები და ბილეთების კონტროლიორები.

5230 ჯგუფური ერთეული
მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები

მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები მაღაზიებში, რესტორნებსა და ბილეთების გასაყიდ პუქტებში გაყიდული საქონლის, მომსახურების, შესასვლელი ბილეთების აღწერისა და გადახდილი თანხის მიღებისთვის იყენებენ სალარო აპარატებს, ფასის ოპტიკურ სკანერებს, კომპიუტერებსა და სხვა აღჭურვილობას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მაღაზიებში, ბილეთების გასაყიდ პუქტებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში ნაღდი ფულით, ჩეკით, საკრედიტო ბარათითა თუ სადებეტო ანგარიშიდან გადახდილი თანხის აღებასა და შემოწმებას;
2. ხურდის დაბრუნებასა და ჩეკის ამობეჭდვას;
3. ბილეთების გასაყიდ პუქტებში ბილეთების დამზადებასა და გადახდილი თანხის აღებას;
4. მიღებული და გადახდილი თანხის აღწერას, დათვლასა და სალარო აპარატში არსებულ თანხასთან ბალანსში მოყვანას;
5. ნაღდი ფულის მიღებასა და გაყიდვების სხვა დოკუმენტებთან შესაბამისობაში შემოწმებას, აგრეთვე მისი ბანკში ანგარიშზე შესატანად მომზადებას;

6. მომხმარებელთა მიერ გადასახდელი ჯამური თანხისა და მათთვის დასაბრუნებელი თანხის გამოსათვლელად სალარო აპარატების გამოყენებას;
7. საქონლის აწონვას, აღწერასა და ფასის სკანირებას;
8. ნავაჭრი საქონლის შეფუთვასა და პარკში ჩალაგებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მოლარე-ოპერატორები;
- მომსახურების პუნქტის მოლარე;
- მომსახურების პუნქტის ოპერატორი;
- მაღაზიის მოლარე;
- ბილეთების გამყიდველი (სპორტული და გასართობი ღონისძიებები).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბილეთების გამყიდველი (მოგზაურობა) 4221;
- სალაროს მეთვალყურე 5222;
- მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველი 5223;
- მომსახურების პუნქტის პერსონალი 5245.

524 მცირე ჯგუფი
გაყიდვების სფეროს სხვა სპეციალიტები

გაყიდვების სფეროს სხვა სპეციალიტები წარმოადგენენ, სთავაზობენ და ყიდიან საქონელს, საკვებსა და მომსახურებას ბაზრობებში, ქუჩებსა და მაღაზიებში, არსებული გაყიდვებისგან განსხვავებულ კონტექსტში. ეს ჯგუფი მოიცავს გაყიდვების სფეროს სპეციალიტებს, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებულნი 521 მცირე ჯგუფში – გარე მოვაჭრეები და ბაზრის გამყიდველები, 522 მცირე ჯგუფში – მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველები, 523 მცირე ჯგუფში – მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: გასაყიდი ნივთების წარმოდგენა-შეთავაზებას; ფოტოს, ფილმის, ვიდეოს ან რეკლამის გადასაღებად, ფოტოგრაფიისა და ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად პოზირებას; საქონლისა და მომსახურების გამოყენებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემასა და რჩევების მიცემას; შეკვეთების მიღებას, აგრეთვე მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდისა და მიწოდების პროცესების ორგანიზებას; კარდაკარ სიარულით, ტელეფონით ან კომუნიკაციის სხვა ელექტრონული საშუალებებით საქონლის, მომსახურებისა და სხვა საშუამავლო საქმიანობების გაყიდვას; მომსახურების ობიექტებში საწვავის, ლუბრიკანტებისა და ავტომობილისთვის საჭირო სხვა პროდუქტების გაყიდვას; სატრანსპორტო საშუალებებისთვის საწვავის ჩასხმის, გარეხვა-დასუფთავების, საპოხი მასალის შეცვლისა და მცირე შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების შეთავაზებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5241 მოდელები;
5242 გაყიდვების წარმომადგენლები;
5243 კარ-და-კარ მოსიარულე გამყიდველი;
5244 საკონტაქტო ცენტრების გამყიდველები;
5245 მომსახურების პუნქტების სპეციალისტები;
5246 კვების პუნქტების პერსონალი;
5249 სხვა კატეგორიას მიეკუთვნებელი გაყიდვების სფეროს სპეციალისტები.

შენიშვნა:

გაყიდვების მენეჯერები შედიან 122 მცირე ჯგუფში – გაყიდვების, მარკეტინგისა და განვითარების მენეჯერები. ტექნიკური, სამედიცინო და ICT-ის სფეროს კონსულტანტ-გამყდველები შედიან 243 მცირე ჯგუფში – გაყიდვების, მარკეტინგისა და ხალხთან ურთიერთობის პროფესიონალები. კომერციული გაყიდვებისა და დაზღვევის წარმომადგენლები შედიან 332 მცირე ჯგუფში – ყიდვა-გაყიდვის აგენტები და ბროკერები.

5241 ჯგუფური ერთეული
მოდელები

მოდელები იცვამენ, ატარებენ და წარმოადგენენ ტანსაცმელსა და აქსესუარებს, აგრეთვე პოზირებენ ფოტოს, ფილმის, ვიდეოს ან რეკლამის გადასაღებად, ანდა ფოტოგრაფიისა და ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ტანსაცმლის ახალი ან კლიენტების შეკვეთით შექმნილი მოდელების ჩვენებას;
2. ნაჭრის, აქსესუარისა თუ სხვა საქონლის საუკეთესო მხარის, სტილისა და სხვა მახასიათებლის წარმოსაჩენად სიარულს, მობრუნებასა და პოზირებას;
3. ქანდაკებისს და ნახატების შესაქმნელად, აგრეთვე ხელოვნების სხვა დარგისთვის პოზირებას;
4. ჟურნალებისა თუ სხვა ბეჭდური მედიისთვის საჭირო ფოტოებისთვის პოზირებას;
5. სატელევიზიო, ვიდეო, კინო და სხვა მასალის გადაღებისთვის პოზირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სარეკლამო მოდელი;
- ნატურა;
- მოდელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მსახიობები 2655.

5242 ჯგუფური ერთეული
გაყიდვების წარმომადგენლები

გაყიდვების წარმომადგენლებს კომერციულ დაწესებულებებში, გამოფენებსა თუ კერძო სახლებში გასაყიდად წარმოადგენენ პროდუქტს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და გამოყენების წესების მომხმარებელთათვის ასახსნელად, აგრეთვე, შეძენის სურვილის გასაჩენად გასაყიდი საგნების გამოფენა-ჩვენებას;
2. დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემასა და საქონლის გამოყენების შესახებ რჩევების მიცემას;
3. შეკვეთების მიღებასა და მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდისა და მიწოდების ორგანიზებას;
4. გასაყიდი საქონლის ნიმუშების შეთავაზებას, აგრეთვე კატალოგებისა და რეკლამების დარიგებას;
5. საქონლის გაყიდვას ან სავაჭრო პერსონალთან კლიენტების გადამისამართებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პროდუქტის წარმომადგენელი;
- მერჩენდაიზერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბაზრის გამყიდველი 5211;
- ქუჩის ჯიხურის გამყიდველი 5211;
- კარდაკარ გამყიდველი 5243.

5243 ჯგუფური ერთეული
კარდაკარ მოსიარულე გამყიდველი

კარ-და-კარ მოსიარულე გამყიდველი პოტენციურ მყიდველამდე, ჩვეულებრივ კერძო სახლებში მაცხოვრებლებთან მისვლითა და კარდაკარ სიარულით წარმოაჩენენ და ყიდიან პროდუქტებს, მომსახურებასა და სხვა საშუამავლო საქმიანობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კერძო სახლებში მცხოვრებ და პოტენციურ კლიენტებთან ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და გაყიდვების პირობების დეტალების გაცნობას;
2. საქონლისა და მომსახურების შეთავაზება-აღწერას;
3. მიღებული შეკვეთების ჩაწერასა და მომწოდებლისთვის გადაცემას;
4. ფინანსური დოკუმენტაციის, გაყიდვის კონტრაქტის შედგენასა და გადახდილი თანხის აღებას;

5. წერილების, საინფორმაციო ბუკლეტებისა და სხვა შესაბამისი მასალის დარიგებას;
6. პერსპექტიული მომხმარებლების სიის შედგენასა და მათთან დარეკვას;
7. გაყიდვების პუნქტიდან მომხმარებლებამდე მისვლასა და გასაყიდი საქონლის მიტანას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კარდაკარ გამყიდველები;
- კარდაკარ გამყიდველ-კონსულტანტები;
- წვეულებაზე დაპატიჟებით გამყიდველ-კონსულტანტები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კომერციული გაყიდვების წარმომადგენელი 3322;
- გარე მოვაჭრე 9520.

5244 ჯგუფური ერთეული
საკონტაქტო ცენტრების გამყიდველები

საკონტრაქტო ცენტრების გამყიდველები ტელეფონითა თუ სხვა ელექტრონული კომუნიკაციის მედიასაშუალებით საქონლისა და მომსახურების რეკლამისთვის, გასაყიდად და შეხვედრის დასაგეგმად უკავშირდებიან არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს. ისინი შესაძლებელია, მუშაობდნენ მომხმარებლებთან დამაკავშირებელ ცენტრებში ან არაცენტრალიზებულ შენობებში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სატელეფონო თუ ელექტრონული ფოსტის კონტაქტებით საქონლისა და მომსახურებისთვის რეკლამის გაკეთებას;
2. საქონლისა და მომსახურებისადმი ინტერესის გაღვივებას ან პოტენციურ მყიდველთან შეხვედრის დანიშვნას;
3. საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, საინფორმაციო ბუკლეტებისა და ბროშურების დარიგებას;
4. გაყიდვების წარმომადგენლებთან შეხვედრის დანიშვნას;
5. სამოქმედო გეგმის შედგენასა და ყოველი მომხმარებლის სტატუსის შეცვლასთან ერთად მონაცემთა ბაზის განახლებას;
6. მენეჯერების მიერ შემოთავაზებული აქტივობებისა და საკითხების განხილვას;
7. განხორციელებული ზარების სტატისტიკისა და მიღწეული წარმატების აღწერას;
8. ტელემარკეტინგული აქტივობებისა და შედეგების შესახებ პერიოდული მოხსენებების გაკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სატელეფონო ცენტრის გამყიდველი;
- მომხმარებლებთან დასაკავშირებელი ცენტრების გაყიდვების წარმომადგენელი;

- ინტერნეტ-გამყიდველი;
- ტელემარკეტერი;
- ტელე-გამყიდველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი 4222;

5245 ჯგუფური ერთეული
მომსახურების პუნქტების სპეციალისტები

მომსახურების პუნქტების სპეციალისტები ობიექტებში ყიდიან საწვავს, ლუბრიკანტებსა და ავტომობილისთვის საჭირო სხვა პროდუქტებს; სატრანსპორტო საშუალებებისთვის საწვავის ჩასხმის, გარეხვა-დასუფთავების, საპოხი მასალის შეცვლისა და მცირე შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების შეთავაზობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. მომხმარებლის მიერ მითითებული რაოდენობით საწვავის ავზებისა და კონტეინერების შევსებას;
2. სატრანსპორტო საშუალების საბურავში ჰაერის წნევის შემოწმება-დამატებას, ზეთისა და სხვა საავტომობილო სითხის შემოწმებას;
3. სატრანსპორტო საშუალებების საქარე და სხვა მინების გარეცხვას;
4. სატრანსპორტო საშუალებებზე საბურავების, ნათურებისა და საქარე მინის საწმენდების შეცვლა;
5. ავტომობილების ავტომატური სარეცხი დანადგარების გამოყენებასა და მოვლას;
6. გაყიდული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხის შეგროვებას;
7. ბენზინგასამართი სადგურების, მიმდებარე გზების, მაღაზიებისა და სხვა შენობების დასუფთავებას;
8. მარაგის კონტროლის საკუთარ თავზე აღებასა და გაყიდული საწვავის, ზეთის, აქსესუარებისა და სხვა ნივთების აღწერას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- წყლის სატრანსპორტო საშუალებების მომსახურე პერსონალი;
- მომსახურების პუნქტის სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველი 5223;
- მომსახურების პუნქტის მოლარე 5230;
- კვების პუნქტის ასისტენტი 5246.

<u>შენიშვნა:</u>

სპეციალისტები, რომლებიც იღებენ გადახდილ თანხას და მომსახურების პუნქტების მაღაზიებში ყიდიან საქონელს, თუმცა არ არიან პასუხისმგებელნი საწვავითან და

ლუბრიკანტებთან დაკავშირებული მომსახურებისა და დასუფთავების უზრუნველყოფაზე, არ შედიან 5245 ჯგუფურ ერთეულში – მომსახურების პუნქტის სპეციალისტები.

5246 ჯგუფური ერთეული
სწრაფი კვების პუნქტების პერსონალი

კვების პუნქტების პერსონალი მომხმარებელს ემსახურება დახლებთან და რესტორნებში, კაფეებში, სასტუმროებში, სწრაფი კვების ობიექტებში, კაფეტერიებში, საავადმყოფოებსა და სხვა დაწესებულებებში ამზადებს მარტივ საკვებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დახლებთან მომხმარებელთათვის საკვების მირთმევას;
2. მომხმარებელთათვის სასურველი პროდუქტების მოპოვებას, მათთვის არჩევანის გაკეთებასა და შეკვეთაში დახმარებას;
3. ხელითა და ელექტრონული მოწყობილობებით საკვები პროდუქტების გასუფთავებას, გარეცხვას, გაფცქვნას, დაჭრასა და გაფხეკას;
4. მარტივი საკვები პროდუქტების მომზადებასა და მზა საკვების გაცხელებას;
5. მომხმარებლისთვის საკვების დაჭრას, დანაწილებას, შეფუთვასა ან პირდაპირ თეფშზე დადებას;
6. წასაღები საკვები პროდუქტების შეფუთვას;
7. მაცივრების, სასალათე და საბუფეტე ბარების შევსებასა და გამოყენებული საკვების რაოდენობის აღწერას;
8. გაყიდული საქონლისთვის აღებული თანხის შეგროვებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კაფეტერიის დახლიდარი;
- სალათების დახლიდარი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მზარეული 5120;
- მიმტანი 5131;
- ბარმენი 5132;
- ჯიხურის გამყიდველი 5211;
- ბაზრის გამყიდველი 5211;
- ქუჩის ჯიხურის გამყიდველი 5211;
- სწრაფი კვების ობიექტის მზარეული 9411.

შენიშვნა:

ქუჩისა და ბაზრის ჯიხურებში ახალი, არა ადგილზე მოხმარებადი (მაგ.: ხილი, ბოსტნეული, ხორცი და ყოველდღიური პროდუქტი) საკვები პროდუქტების გამყიდველები, კლასიფიცირდებიან 5211 ჯგუფურ ერთეულში – ჯიხურისა და ბაზრის გამყიდველები. ქუჩისა და ბაზრის ჯიხურებში სხვადასხვა მზა, ადგილზე მოხმარებადი საკვების

გამყიდველები, კლასიფიცირდებიან 5246 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების პუნქტების პერსონალი. ქუჩებსა და სახალხო შეკრების ადგილებში ურიკებიდან, სატვირთო მანქანებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან ადგილზე მოხმარებადი სასმელისა და საკვების გამყიდველები კლასიფიცირდებიან 5212 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების პუნქტების გამყიდველები. ქუჩებსა და სახალხო თავშეყრის ადგილებში ურიკებიდან, სატვირთო მანქანებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან არასაკვები ნივთებით (ან წინასწარ შეფუთული, არაფუჭებადი საკვები პროდუქტით, მაგ., საკონდიტრო ნაწარმით) მოვაჭრეები კლასიფიცირდებიან 9520 მცირე ჯგუფში – გარემოვაჭრეები (საკვების გარდა). სპეციალისტები, რომლებიც ადგილზე მოხმარებისათვის ამზადებენ მარტივ კვების პროდუქტებს (მაგ., ჰამბურგერს) და რომლებსაც მცირე პირდაპირი კონტაქტი აქვთ კლიენტებთან, კლასიფიცირდებან 9411 ჯგუფურ ერთეულში – სწრაფი კვების მზარეულები.

აღნიშნული კატეგორიების ეროვნულ გარემოსთან მორგებისას გასათვალისწინებელია, რომ ადგილზე მოხმარებისთვის გამიზნული საკვები პროდუქტის გამყიდველები ცალკე გამოიყოს მომსახურებისათვის საჭირო უნარების ქონითა და საკვების ჰიგიენური მომზადების წესების გამოყენების აუცილებლობით. დახლთან საკვებით მოვაჭრე პერსონალი, როგორც წესი, სთავაზობს უფრო მრავალფეროვან დამუშავებულ პროდუქტსა და საკვებს და ისინი ურიკებით, კალათებითა თუ ველოსიპეტებით არ ატარებენ, ანდა არ ყიდიან საკვებს.

5249 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი გაყიდვების სფეროს სპეციალისტები

ეს ჯგუფური ერთეული მოიცავს გაყიდვების სპეციალისტებს, რომლებიც არ შედიან **52**-ე ქვეჯგუფის არც ერთ სხვა მცირე ჯგუფში.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- საიჯარო გაყიდვების სპეციალისტები.

53 ქვეჯგუფი
ინდივიდუალური მომვლელები

ინდივიდუალური მომვლელები ინსტიტუციონალურ და საცხოვრებელ დაწესებულებებში უვლიან, მეთვალყურეობენ და ეხმარებიან ბავშვებს, მოხუცებსა და პაციენტებს, გამოჯანმრთელებულ და უნარშეზღუდულ პირებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: გადაადგილების, გარეცხვისა და სხვა ინდივიდუალური მოთხოვნებისას დახმარებას; ბავშვებისთვის სოციალური უნარების ინდივიდუალურად სწავლებას; ბავშვების ფიზიკური, სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების ხემშემწყობ აქტივობებში მონაწილეობასა და მეთვალყურეობას; მათ საქმიანობაზე დაკვირვებასა და დაეჭვების შემთხვევაში შესაბამისი ჯანმრთელობის და სოციალური სფეროს სპეციალისტების ინფორმირებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

531 ბავშვის მომვლელები და დამხმარე მასწავლებლები;

532 ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მოვლელები.

531 მცირე ჯგუფი
ბავშვის მომვლელები და დამხმარე მასწავლებლები

ბავშვის მომვლელები და დამხმარე მასწავლებლები სკოლებში, საცხოვრებელ სახლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში მეთვაყურეობენ ბავშვებს და უვლიან მათ.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სოციალური უნარების სწავლაში ინდივიდუალურად ბავშვების დახმარებას; სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ბავშვების ფიზიკური, სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების ხელშემწყობ აქტივობებში მონაწილეობასა და მეთვალყურეობას; სასწავლო პროცესში, მის შემდეგ, არდადეგებსა და ერთდღიან ცენტრებში ბავშვების განათლებისა და გართობისთვის საჭირო მასალისა და აღჭურვილობის მომზადებაში დახმარებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5311 ბავშვის მომვლელები;

5312 დამხმარე მასწავლებლები.

5311 ჯგუფური ერთეული
ბავშვის მომვლელები

ბავშვის მომვლელები სკოლამდელ, სკოლის შემდეგ, არდადეგებისას და ერთდღიანი მოვლის ცენტრებში უვლიან და ზედამხედველობენ ბავშვებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დაბანაში, ჩაცმასა და ჭამაში ბავშვების დახმარებას;
2. სკოლაში ბავშვების წაყვანა-მოყვანასა და გასეირნებას;
3. ბავშვებთან თამაშს, მათთვის წიგნების კითხვას, ზღაპრებისა და სხვადასხვა ისტორიის მოყოლას;
4. სწავლისა და გართობისთვის საჭირო ნივთების მომზადებასა და დალაგებაში დახმარებას;
5. ბავშვის ქცევებზე ყურადღების მიქცევასა და მათი სოციალური განვითარების ხელშეწყობას;
6. ბავშვებისთვის დისციპლინის სწავლებასა და მათი ქცევების გასაკონტროლებლად სხვა საშუალებების (მაგ.: საკუთარი ტანსაცმლის, სათამაშოებისა და წიგნების მოწესრიგებას) გამოყენებას;
7. თამაშის დროს ყურადღების მიქცევას;
8. თითოეულ ბავშვის ყოველდღიურ დაკვირვებებზე, კვებაზე, სხვადასხვა აქტივობასა და დანიშნული მკურნალობაზე ჩანაწერების გაკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბავშვის ძიძა;
- ბავშვების მომვლელი;
- ერთდღიანი მომვლელი;
- ძიძა;
- არასასკოლო საათებში ბავშვების მომვლელი;
- ბაგა-ბაღის ძიძა.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელები 2342.

5312 ჯგუფური ერთეული
დამხმარე მასწავლებლები

დამხმარე მასწავლებლების მოვალეობებში შედის არასასწავლო საქმიანობები, ისინი სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ეხმარებიან მასწავლებლებს, უვლიან და მეთვალყურეობენ ბავშვებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვების ფიზიკური, სოციალური, ემოციური და ინტელექტუალურ განვითარების ხემშემწყობ აქტივობებში მონაწილეობასა და მეთვაყურეობას;
2. შენობის შიდა და გარე ტერიტორიების სწავლისა და გართობისთვის მოწყობას;
3. სწავლის დროს ინტელექტუალური, ფიზიკური, ქცევითი და სხვა სირთულეების არსებობისას მათ დახმარებას;
4. სოციალური უნარების სწავლაში ინდივიდუალურად ბავშვების დახმარებას;
5. სასწავლო მასალის მომზადებას, ნაბეჭდი მასალის ასლის გადაღებასა და მის განხილვაში დახმარებას;
6. აუდიოვიზუალური აღჭურვილობის, კომპიუტერებისა და სხვა დამხმარე ტექნიკის გამოყენებას;
7. სასწავლო მასალის დარიგებასა და შეგროვებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დამხმარე;
- დამხმარე მასწავლებელი.

532 მცირე ჯგუფი
ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მოვლელები

ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მოვლელები ინსტიტუციონალურ და საცხოვრებელ დაწესებულებებში უვლიან, მეთვალყურეობენ და ეხმარებიან ბავშვებს, მოხუცებსა და პაციენტებს, გამოჯანმრთელებულ და უნარშეზღუდულ პირებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პაციენტების გადაადგილებისას, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და კომუნიკაციაში დახმარებას; ქირურგიული და სხვა ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის სტერილიზაციას; მათ საქმიანობაზე დაკვირვებასა და ეჭვების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ჯანმრთელობისა და სოციალური სპეციალისტების ინფორმირებას; პაციენტების გამოკვლევებისა და სამკურნალო პროცედურებისთვის მომზადებასა და ინდივიდუალური მოვლის დაგეგმვაში მონაწილეობას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5321 ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი

5322 სახლში მომუშავე ინდივიდუალური მომვლელები;

5329 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მომვლელები.

5321 ჯგუფური ერთეული
ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერონალი

ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს პაციენტებისთვის და სხვადასხვა ჯანმრთელობის ცენტრების რეზიდენტებისთვის, როგორიცაა საავადმყოფოები, კლინიკები და მოვლის სხვა დაწესებულებები, პირდაპირ ინდივიდუალურ მოვლასა და დახმარებას ყოველდღიურ ცხოვრებისეულ აქტივობებში. როგორც წესი, ისინი მუშაობენ დაწესებული გეგმებისა და გამოცდილების მიხედვით და სამედიცინო თუ სხვა პროფესიონალებისა თუ ასოცირებული პროფესიონალების პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ / ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს პაციენტებს, საავადმყოფოებს, კლინიკებსა და მოვლის სხვა დაწესებულებებს ეხმარებიან ყოველდღიურ ცხოვრებისეულ აქტივობებსა და უშუალოდ პაციენტებს. როგორც წესი, ისინი მუშაობენ სამედიცინო თუ სხვა პროფესიონალებისა თუ ასოცირებული პროფესიონალების პირდაპირი მეთვაყურეობით, დაწესებული გეგმებითა და გამოცდილებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამედიცინო თუ სხვა პროფესიონალების მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით სამედიცინო, სარეაბილიტაციო და სხვა დაწესებულებების პაციენტების მოვლას, დახმარებასა და მკურნალობას;
2. ინდივიდუალურ და თერაპიულ საჭიროებებში: ჰიგიენაში, კვებაში, ჩაცმაში, ფიზიკური გადაადგილებასა და ვარჯიშში, კომუნიკაციაში, მედიკამენტების მიღებასა და სახვევების გამოცვლაში – პაციენტების დახმარებას;
3. პაციენტების პოზიციის შეცვლას, აწევას, გადაბრუნებას და ეტლით ან მოძრავი საწოლით გადაადგილებას;
4. პაციენტის გარემოს ჰიგიენური სტანდარტების შენარჩუნებას – ოთახების დალაგებასა და თეთრეულის გამოცვლას;
5. მასაჟისა და სხვა არაფარმაკოლოგიური ტკივილის გამაყუჩებელი საშუალებების გამოყენებას (მაგ.: ორსულობისა და მშობიარობისას);
6. პაციენტის მდგომარეობის, რეაქციებისა და ქცევების დაკვირვებასა და ცვლილებების შემთხვევაში პროფესიონალების ინფორმირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეან-გინეკოლოგი (კლინიკა ან საავადმყოფო);
- ექთანი (კლინიკა ან საავადმყოფო);
- ავადმყოფის მომვლელი;
- ფსიაქიატრის თანაშემწე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ექთნები 2221;
- სასწრაფო დახმარების სპეციალისტები 3258;
- ინდივიდუალური მომვლელები 5322.

<u>შენიშვნა:</u>

სპეციალისტები, რომლებიც ექთნების, ექიმებისა თუ სხვა პროფესიონალების პირდაპირი მეთვალყურეობით ინდივიდუალურად უვლიან ინსტიტუციებისა და სხვა დაწესებულებების (მაგ.: საავადმყოფოებში, სარეაბილიტაციო ცენტრებში, მომვლელ დაწესებულებებსა და

სახლებში) ავადმყოფებსა ან მაცხოვრებლებს კლასიფიცირდებიან 5321 ჯგუფურ ერთეულში – ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი/ავადმყოფების მომვლელები. სპეციალისტები კი, რომლების უზრუნველყოფენ ექთნისა და ექიმის მუდმივი მეთვაყურეობის გარეშე სახლებში ავადმყოფების ინდივიადუალურ მოვლას, კლასიფიცირდებიან 5322 ჯგუფურ ერთეულში – ინდივიდუალური მომვლელები. ზოგადად, 532 მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული სპეციალისტების შესასრულებელი მარტივი და რუტინული ხასიათის დავალებები (მაგ.: მედიკამენტების მიღების ზედამხედველობასა და ჭრილობების შეხვევას) არ საჭიროებენ ფართო სამედიცინო ცოდნასა და კვალიფიკაციას.

5322 ჯგუფური ერთეული
ინდივიდუალური მომვლელები

ინდივიდუალური მომვლელები ყოველდღიურად უვლიან და ეხმარებიან კერძო სახლებსა და სხვა საცხოვრებელ დაწესებულებებში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებაც ამას საჭიროებენ ასაკის, ავადმყოფობის, უბედური შემთხვევისა თუ სხვა ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის გამო.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამედიცინო პროდესიონალების მიერ შედგენილი გეგმების მიხედვით ინდივიდუალურ და თერაპიული საჭიროებებში: ჰიგიენაში, კვებაში, ჩაცმაში, ფიზიკურ გადაადგილებასა და ვარჯიშში, კომუნიკაციაში, მედიკამენტების მიღებასა და სახვევების გამოცვლაში – პაციენტთა დახმარებას;
2. პაციენტის მოვლის, მდგომარეობის ცვლილებების, მოვლისა და მკურნალობის შედეგების აღწერასა და სპეციალისტებისთვის ანგარიშების მომზადებას;
3. პაციენტების პოზიციის შეცვლას, აწევას, გადაბრუნებასა და მათი ეტლითა თუ მოძრავი საწოლით გადაადგილებას;
4. კლიენტებისა და ოჯახების ემოციურ მხარდაჭერას, აგრეთვე კვებაზე, ჰიგიენაზე, ვარჯიშზე, ახალშობილთა მოვლასა და უნარშეზღუდულობაზე ინფორმაციის მიწოდებასა და რჩევების მიცემას;
5. საუბრითა და კითხვით კლიენტთა ფსიქოლოგიურ დახმარებას;
6. ჭამის მოთხოვნებისა და დიეტის დასაცავად საჭირო საკვების ყიდვას, მომზადებასა და მირთმევას;
7. მშობიარობის შემდგომ მშობლების დახმარებასა და ახალშობილთა მოვლას;
8. ექიმებთან და სხვა პროფესიონალებთან შეხვედრის დანიშვნას, კლიენტთა თანხლებასა და სხვა სახეობის დავალებების შესრულებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დამხმარე მეანი;
- პირადი დახმარე;
- პირადი ექთანი;
- ინდივიდუალური მომვლელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ექთანი 2221;
- სოციალური საქმიანობის სფეროს პროფესიონალი სოციალური სფეროს სპეციალისტები 2635;
- ექთანი 3221;
- სოციალური სფეროს სპეციალისტები 3412;
- კლინიკის ან საავადმყოფოს დამხმარე ექთანი 5321.

<u>შენიშვნა:</u>

სპეციალისტები, რომლებიც ექთნების, ექიმებისა თუ სხვა პროფესიონალების პირდაპირი მეთვალყურეობით ინდივიდუალურად უვლიან ინსტიტუციებისა და სხვა დაწესებულებების (მაგ.: საავადმყოფოებში, სარეაბილიტაციო ცენტრებში, მომვლელ დაწესებულებებსა და სახლებში) ავადმყოფებსა ან მაცხოვრებლებს კლასიფიცირდებიან 5321 ჯგუფურ ერთეულში – ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი/ავადმყოფების მომვლელები. სპეციალისტები კი, რომლების უზრუნველყოფენ ექთნისა და ექიმის მუდმივი მეთვაყურეობის გარეშე სახლებში ავადმყოფების ინდივიადუალურ მოვლას, კლასიფიცირდებიან 5322-ე ჯგუფურ ერთეულში – ინდივიდუალური მომვლელები. ზოგადად, 532 მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული სპეციალისტების შესასრულებელი მარტივი და რუტინული ხასიათის დავალებები (მაგ.: მედიკამენტების მიღების ზედამხედველობასა და ჭრილობების შეხვევას) არ საჭიროებენ ფართო სამედიცინო ცოდნასა და კვალიფიკაციას.

<u>5329 ჯგუფური ერთეული</u>

სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მომვლელები

ეს ჯგუფური ერთეული მოიცავს სპეციალისტებს, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ ჯანმრთელობის დაცვასა და ინდივიდუალურ მოვლაზე და რომლებიც არ არიან კლასიფიცირებულნი 532 მცირე ჯგუში – ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მოვლელები. მაგალითად, ეს ჯგუფური ერთეული მოიცავს სტომატოლოგიაში, ფარმაციასა და სტერილიზაციაში დახმარებას, საავადმყოფოში წესრიგის დაცვასა და სამედიცინო დაკვირვებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქირურგიული, სტომატოლოგიური, ფარმაცევტული ინსტრუმენტების, ბოთლების, ლაბორატორიული ფიალებისა და სხვა აღჭურვილობის გასუფთავებასა და სტერილიზაციას;
2. წამლების, ქიმიკატებისა და სხვა ფარმაევტული მასალის კატეგორიებად დაყოფასა და თაროებზე მარაგის შევსებას;
3. პაციენტების პოზიციის შეცვლას, აწევას, გადაბრუნებასა და ეტლითა თუ მოძრავი საწოლით გადაადგილებას;
4. გამოკვლევებისა და სამკურნალო პროცედურებისთვის პაციენტების მომზადებას;
5. ინსტრუმენტების დაფისა და საჭირო მატერიალური ნივთების მომზადებასა, აგრეთვე პროცედურებისას სტომატოლოგებისა და რადიოლოგების დახმარებას;
6. რენდგენის სხივების აპარატის განლაგებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სტომატოლოგის ასისტენტები;
- პირველადი დახმარების წარმომადგენელი;
- საავადმყოფოში წესრიგის შემნარჩუნებლები;
- სამედიცინო ვიზუალიზაციის დამხმარე;
- ფარმაცევტის დამხმარე;
- ფლებოტომისტი;
- სტერილიზატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფარმაცევტ-ასისტენტები 3213;
- სტომატოლოგ-ტექნიკოსები 3214;
- სტომატოლოგის ასისტენტები 3251.

54 ქვეჯგუფი
სოციალური დაცვის სამსახურების სპეციალისტები

სოციალური დაცვის სამსახურების სპეციალისტები ხანძრისა და სხვა საშიშროებებისაგან იცავენ ადამიანებსა და კერძო საკუთრებას, ამყარებენ საზოგადოებრივ წესრიგსა და მოითხოვენ კანონებისა და ინსტრუქციების დაცვას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხანძრის თავიდან აცილებასა და ჩაქრობას, ხანძრისას, მისი ჩაქრობის შემდეგ და სხვა უბედური შემთხვევებისას ადამიანების გადარჩენას; კანონისა და წესრიგის დაცვას, აგრეთვე სხვადასხვა საშიშროებისა და უკანონო ქმედებებისაგან ადამიანებისა და კერძო საკუთრების დაცვას, აგრეთვე, კანონდარღვევისას ადამიანების დაკავებას; უბედური შემთხვევებისას საგზაო მოძრაობის კონტროლსა და ოპერაციების ხელმძღვანელობას; ციხეებში, კოლონიებსა და პენიტენციალური სისტემის სხვა დაწესებულებებში წესრიგისა და პატიმრებთან დისციპლინის დამყარებას; ძარცვის, ქურდობისა და ყაჩაღობის თავიდან ასაცილებლად შენობებისა და ტერიტორიების პატრულირებას, სხვადასხვა დაწესებულების კონტროლსა და წესრიგის შენარჩუნებას, აგრეთვე დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ წვეულებებზე წესრიგის რეგულაციას; მათ მოვალეობებში შეიძლება შედიოდეს სხვა სპეციალისტთა ზედამხედველობაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

541 სოციალური მუშაკები.

541 მცირე ჯგუფი
სოციალური მუშაკები

სოციალური მუშაკები ხანძრისა და სხვა საშიშროებებისაგან იცავენ ადამიანებსა და კერძო საკუთრებას, ამყარებენ საზოგადოებრივ წესრიგსა და მოითხოვენ კანონებისა და ინსტრუქციების დაცვას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხანძრის თავიდან აცილებასა და ჩაქრობას, ხანძრისას, მისი ჩაქრობის შემდეგ და სხვა უბედური შემთხვევებისას ადამიანების გადარჩენას; კანონისა და წესრიგის დაცვას, აგრეთვე სხვადასხვა საშიშროებისა და უკანონო ქმედებებისაგან ადამიანებისა და კერძო საკუთრების დაცვას, აგრეთვე, კანონდარღვევისას ადამიანების დაკავებას; უბედური შემთხვევებისას საგზაო მოძრაობის კონტროლსა და ოპერაციების ხელმძღვანელობას; ციხეებში, კოლონიებსა და პენიტენციალური სისტემის სხვა დაწესებულებებში წესრიგისა და პატიმრებთან დისციპლინის დამყარებას; ძარცვის, ქურდობისა და ყაჩაღობის თავიდან ასაცილებლად შენობებისა და ტერიტორიების პატრულირებას, სხვადასხვა დაწესებულების კონტროლსა და წესრიგის შენარჩუნებას, აგრეთვე დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ წვეულებებზე წესრიგის რეგულაციას; მათ მოვალეობებში შეიძლება შედიოდეს სხვა სპეციალისტთა ზედამხედველობაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

5411 მეხანძრეები;

5412 პოლიციის ოფიცრები;

5413 ბადრაგები;

5414 უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტები;

5419 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი დაცვის სამსახური სპეციალისტები.

5411 ჯგუფური ერთეული
მეხანძრეები

მეხანძრეების მოვალეობაა ხანძრის თავიდან აცილება და მისი ჩაქრობა, აგრეთვე ხანძრისას, მისი ჩაქრობის შემდეგ და სხვა უბედური შემთხვევებისას ადამიანების, კერძო საკუთრებისა და მატერიალური ფასეულობების გადარჩენა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სახანძრო სიგნალიზაციაზე, სხვა საგანგებო ზარებზე, საავტომობილო და ინდუსტრიული უბედური შემთხვევებზე, ბომბის აფეთქების საშიშროებასა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება;
2. ხელით ან სხვა აღჭურვილობითა და ცეცხლსაწინააღმდეგო ნივთიერებებით ხანძრის კონტროლსა და ჩაქრობას;
3. სხვადასხვა ტიპის ხანძრების ჩაქრობასა და ინდუსტრიულ დაწესებულებებში სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებას;
4. ხანძრისას, მისი ჩაქრობის შემდეგ და სხვა უბედური შემთხვევებისას ადამიანების გადარჩენას;
5. ხანძრისა და უბედური შემთხვევებისას საფრთხის გავრცელების საშიშროების შემცირებასა და თავიდან აცილებას;
6. ხანძრის თავიდან აცილების გზებზე საზოგადოების ინფორმირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეხანძრე;
- ტყის მეხანძრე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხანძრის მაკონტროლებელი 3112;
- ხანძრის თავიდან აცილების სპეციალისტი 3112;
- ხანძრის გამომძიებელი 3119.

5412 ჯგუფური ერთეული
პოლიციის ოფიცრები

პოლიციის ოფიცრები იცავენ კანონსა და წესრიგს, პატრულირებენ საზოგადოებრივი თავშეყრის ტერიტორიაზე, აკავებენ კანონდამრღვევ ადამიანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ტერიტორიაზე პატრულირებას;
2. ეჭვმიტანილთა და სისხლის სამართლის დანაშაულის დაგეგმვაში მონაწილეთა ამოცნობას, დევნასა და დაკავებას;
3. საგზაო მოძრაობის გაკონტროლებასა და უბედური შემთხვევებისას ოპერაციების ხელმძღვანელობას;
4. უბედური შემთხვევების, სისხლის სამართლის დანაშაულისა თუ ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლთა დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პოლიციელი;
- პოლიციის ოფიცერი;
- საპატრულო პოლიციის ოფიცერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- პოლიციის უფროსი 1112;
- პოლიციის კომისარი 1112;
- პოლიციის გენერალური ინსპექტორი 1112;
- დეტექტივი 3355;
- გამომძიებელი 3355.

5413 ჯგუფური ერთეული
ბადრაგები

ბადრაგები ციხეებში, კოლონიებსა და პენიტენციალური სისტემის სხვა დაწესებულებებში ამყარებენ დიციპლინასა და წესრიგს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პატიმრების გაჩხრეკას, მათი ფასეული ნივთების სეიფში შესანახად გადაცემას, საკნებამდე მიცილებასა და საკნების ჩაკეტვას;
2. საკნების პერიოდული შემოწმებას, აგრეთვე ბოქლომების, ფანჯრების, კარებისა და ჭიშკრების შემოწმებას;
3. მუშაობისას, ჭამისას და სეირნობისას პატიმრების მეთვალყურეობას;
4. ციხიდან გაქცევისა და სხვა არეულობების თავიდან ასარილებლად პატიმრების ქცევაზე დაკვირვებას;

5. ციხიდან გაქცევისა და სხვა არეულობების თავიდან ასარილებლად ციხის ტერიტორიაზე პატრულირებას;
6. სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისას დახმარებას;
7. ციხის საბოლოო და დროებითი დატოვებისას პატიმართა თანხლებასა და გაცილებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- ბადრაგი.

5414 ჯგუფური ერთეული
უსაფრთხოების სამსახური დაცვის სპეციალისტები

უსაფრთხოების სამსახური სპეციალისტები ძარცვის, ქურდობისა და ყაჩაღობის თავიდან ასაცილებლად პატრულირებან შენობებსა და ტერიტორიებს, აკონტროლებენ სხვადასხვა დაწესებულებასა და ინარჩუნებენ წესრიგს, აგრეთვე დაწესებულებებში და საზოგადოებრივ წვეულებებზე არეგულირებენ წესრიგს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. არასასურველი პირების თავიდან ასაცილებლად შენობებში პატრულირებასა და კარების, ფანჯრებისა და ჭიშკრის კონტროლს;
2. დაწესებულებებში შესვლისას კონტროლს, დასაქმებულთა და სტუმართა შესვლისა და გასვლის მონიტორინგს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შემოწმებასა და საშვების გაცემას;
3. ქურდობისა და ვანდალიზმისგან თავიდან ასაცილებლად და ზოგადი შენობაში წესრიგის დასამყარებლად სტუმრების, მფლობელებისა და დასაქმებულთა მოძრაობის კონტროლს;
4. საგანგაშო სიგნალებზე რეაგირებას, წესრიგის დარღვევის ფაქტების გამოძიებასა და საჭიროების შემთხვევაში უფროსების, პოლიციის, მეხანძრეების ინფორმირებას;
5. აეროპორტში მგზავრებისა და ბარგის საკონტროლო შემოწმებას;
6. ბანკებში, ბანკომატებსა და სხვა დაწესებულებებში ნაღდი ფულისა და ფასეულობების წამოღებასა და უსაფრთხო გადატანას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პირადი მცველი;
- დარაჯი;
- მუზეუმის მცველი;
- პირადი მცველი;
- საპატრულო პოლიციელი;
- ღამის დარაჯი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სანაპიროს მაშველი 5419;

- პირადი დაცვა 5419.

5419 ჯგუფური ერთეული

სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი დაცვის სამსახური სპეციალისტები

ამ ჯგუფურ ერთეულში შედის დაცვის სამსახურის ყველა სპეციალისტი, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული **541** მცირე ჯგუფის არც ერთ სხვა ჯგუფურ ერთეულში. მაგ., ეს ჯგუფური ერთეული მოიცავს პირად, სასაზღვრო და ცხოველთა დაცვის ოფიცრებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და მოცურავეთა დახრჩობისგან გადასარჩენად სანაპიროებისა და საცურაო აუზების კონტროლს;
2. გადატვირთული საგზაო მოძრაობის მონიტორინგსა და ფეხით მოსიარულეთათვის გზის გათავისუფლებას;
3. უპატრონო შინაურ ცხოველებზე, საქონელსა და გარეულ ცხოველებზე მოსახლეობის საჩივრებზე რეაგირებას;
4. პარკირების წესების დასაცავად განსაზღვრული ტერიტორიის კონტროლს;
5. საგზაო მოძრაობის კონტროლს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ცხოველთა დაცვის ოფიცერი;
- სანაპიროს მაშველი;
- სასაზღვრო დაცვა;
- პირადი დაცვა;
- საგზაო მოძრაობის წესების მარეგულირებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- დარაჯი 5414;
- მუზეუმის მცველი 5414;
- ღამის დარაჯი 5414.

6 ძირითადი ჯგუფი

სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სპეციალისტები

სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს სპეციალისტებს მოჰყავთ მინდვრის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურები და იღებენ მათ მოსავალს. აგროვებენ ველურად მზარდი ხეების ნაყოფებსა და მცენარეებს. ისინი აგრეთვე აშენებენ ცხოველებს ან ნადირობენ მათზე. აწარმოებენ სხვადასხვა სახეობის ცხოველურ პროდუქტებს. იცავენ, აშენებენ ან იყენებენ ტყის მასივებს. აშენებენ თევზს ან მისდევენ თევზჭერას. საკუთარი ოჯახების მატერიალურ უზრუნველსაყოფად აშენებენ და აგროვებენ წყლის სხვადასხვა

სახეობის ფლორასა და ფაუნას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ნიადაგის მომზადებას; მინდვრის კულტურების დათესვას, დარგვას, მორწყვას, ნიადაგის განოყიერებასა და მოსავლის აღებას; ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოყვანას; ბოსტნეული კულტურებისა და მებაღეობის პროდუქციის მოყვანას; ველურად მზარდი ხეების ნაყოფებისა და მცენარეების შეგროვებას; ძირითადად ხორცის, რძის, ბეწვის, ტყავის, თაფლისა და აბრეშუმის ან სხვა პროდუქტების მისაღებად ცხოველების მოშენებას, მოვლასა ან მათზე ნადირობას; ტყის მასივების გაშენებას, დაცვასა და ექსპლუატაციას; თევზის მოშენებასა და თევზჭერას; წყლის სხვადასხვა სახეობის ფლორისა და ფაუნის მოშენებასა და დაჭერას; მათ მიერვე მოყვანილი პროდუქტების შენახვას და პირველად დამუშავებას; პროდუქციის გაყიდვას მყიდველებზე, სავაჭრო ორგანიზაციებსა ან ბაზრებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა სპეციალისტების ზედამხედველობაც.

მოცემულ ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ქვეჯგუფებად იყოფა:

61 ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს სპეციალისტები;

62 მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს სპეციალისტები;

63 ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები.

61 ქვეჯგუფი
სოფლის მეურნეობის სფეროს სპეციალისტები

სოფლის მეურნეობის სფეროს სპეციალისტები მინდვრის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოსაყვანად და მოსავლის ასაღებად გეგმავენ და ახორციელებენ ძირითად სამუშაოებს, აშენებენ ცხოველებს ან აწარმოებენ სხვადასხვა სახეობის ცხოველურ პროდუქტს, რომელთაც შემდეგ ყიდიან ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებსა ან ბაზრებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ნიადაგის მომზადებას, მინდვრის კულტურების თესვას, დარგვას, მორწყვას, ნიადაგის განოყიერებასა და აღებას; ხეხილისა დაბუჩქოვანი კულტურების, ბოსტნეულის, მებაღეობის პროდუქციისა და სხვა მსგავსი პროდუქტების მოყვანას; ველურად მზარდი ხეების ნაყოფებისა და მცენარეების (მათ შორის სამკურნალოს) მოყვანასა ან შეგორვებას; ძირითადად ხორცის, რძის, ბეწვის, ტყავის, თაფლისა და აბრეშუმის ან სხვა პროდუქტების მისაღებად ცხოველების მოშენებას, მოვლასა და მათზე ნადირობას; მათ მიერვე მოყვანილი პროდუქტების პირველად დამუშავებასა და შენახვას; მყიდველებზე, სავაჭრო ორგანიზაციებზე, ან ბაზრებში პროდუქციის გაყიდვას; შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა სპეციალისტების ზედამხედველობაც.

მოცემულ ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

611 ბაზარზე ორიენტირებული მებაღეები და სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებლები;

612 მეცხოველეები;

613 შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები.

<u>შენიშვნა:</u>

63 ქვეჯგუფში არსებული სამუშაოები მოიცავს: ფერმერებს, მეთევზეებს, მონადირეებსა და შემგროვებლებს, რომელთა მიერ მოპოვებული პროდუქციაც უმეტესწილად გამიზნულია თვითმოხმარებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ თვითმოხმარებაზე ბევრად მეტი პროდუქცია შეგროვდება, მაშინ აღნიშნული საქმიანობა არ უნდა შევიდეს 63 ქვეჯგუფში, მიუხედავად იმისა, მისი თავდაპირველი მიზანი იყო თუ არა მოყვანილი პროდუქციის თვითმოხმარება. აღნიშნული საქმიანობები უნდა შევიდეს ან 61 ქვეჯგუფში – **ბაზარზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტები** ან 62 ქვეჯგუფში – **ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროს სპეციალისტები**, იმ შემთხვევაში თუ მათი საქმიანობის მიზანია პროდუქციის ბაზარზე გატანა.

611 მცირე ჯგუფი

ბაზარზე ორიენტირებული მებაღეები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები

ბაზარზე ორიენტირებული ბოსტნეულის, ხილისა და მინდვრის კულტურების მწარმოებლებს მოჰყავთ მინდვრის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურები, აგრეთვე, მოჰყავთ ბოსტნეული, სამკურნალო და სხვა სახეობის მცენარეები, აწარმოებენ სანერგე პროდუქციას, რომელთაც შემდეგ ყიდიან ბაზრებში ან ბითუმად რეგულარულად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბაზრის საქმიანობისა და არსებული პირობების შემოწმებას, შესაბამისი გასაზრდელი პროდუქციის განსაზღვრასა და მის შესაბამისად მოსავლის მოყვანას; თესლების, ბოლქვებისა და სასუქების შეძენას; მიწის არენდასა ან ინვესტიციების ჩადებას შენობებში, აგრეთვე, მიწის დამუშავებას, სხვადასხვა კულტურების თესვას, დარგვას, მიწის კულტივაციასა და მოსავლის აღებას; მიწის დასამუშავებელი შინაური ცხოველების მოვლას; ფერმის შენობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობის მიმდინარე რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას; ნერგების გამოყვანას, ბოლქვებისა და თესლის მიღებას; მათ მიერვე მოყვანილი მოსავლის შენახვასა და პირველად დამუშავებას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებასა ან ბაზრებში გაყიდვას; შესაძლებელია სხვა სპეციალისტების ზედამხედველობაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში არსებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

6111 მემინდვრეები და მებოსტნეები;

6112 ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები;

6113 მებაღეები; სანერგე მეურნეობის სპეციალისტები;

6114 შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები.

<u>6111 ჯგუფური ერთეული</u>
მემინდვრეები და მებოსტნეები

მემინდვრეებსა და მებოსტნეებს მოყავთ სხვადასხვა სახეობის მინდვრის მარცვლეული კულტურები, მაგ.: ხორბალი, ბრინჯი, შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი, მიწის თხილი, თამბაქო, ლერწამი, აგრეთვე კარტოფილი, კომბოსტო ან სხვა ბოსტნეული, რომელთაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობისა და არსებული პირობების შემოწმებას, შესაბამისი გასაზრდელი პროდუქციის განსაზღვრასა და მის შესაბამისად მოსავლის მოყვანას;
2. ხელით ან ტექნიკით ნიადაგის დამუშავებასა და სასუქით განაყოფიერებას;
3. თესლების შერჩევა-დათესვასა და ნერგების დარგვას;
4. ნიადაგის დამუშავებით, კულტურების გადარგვით, გასხვლითა და კულტივაციით, აგრეთვე ირიგაციის სისტემების მოწყობით მოსავლიანობის გაზრდას;

5. ჰერბიციდებისა და პესტიციდების შეტანით სარეველების, მავნებლებისა და დაავადებების პრევენციას;
6. თესლის კვებასა და გაფუჭებული ნაწილების მოშორებას;
7. მოსავლის შემოწმებას, გასუფთავებას, შეფასებას, შეფუთვას, შენახვასა და ბაზრისთვის მიწოდებას;
8. მუშა პირუტყვის მოვლას, ფერმის შენობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობის მიმდინარე რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას;
9. მოყვანილი მოსავლის პირველად დამუშავებასა დაშენახვას;
10. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მოსავლის მოყვანაში, დამუშავებაში, შენახვის წესებში და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
11. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- მარცვლეული კულტურების მწარმოებელი;
- ბამბის მწარმოებელი;
- ბოსტნეულის მწარმოებელი;
- ფერმერი;
- შაქრის ლერწმის მწარმოებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის პროდუქტების მწარმოებლები – 1311;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფერმების არაკვალიფიციური მუშახელი – 9211.

<u>შენიშვნა:</u>

ბოსტნეულის მომყვანები, რომლებიც კულტივაციისას ინტენსიურად იყენებენ სპეციალურ ტექნიკას, კლასიფიცირდებიან 6113 ჯგუფურ ერთეულში – მებაღეები; სანერგე მეურნეობის სხვა სპეციალისტები.

<u>6112 ჯგუფური ერთეული</u>
ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები

ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლებს მოყავთ ხეხილი და ბუჩქოვანი კულტურები: თხილი, ჩაი, ყავა, ვაზი, კენკროვანი მცენარეები, კაკაო და კაუჩუკი, აგრეთვე, აგროვებენ ხის წვენს, რომელთაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით პრიდუქციის რაოდენობის განსაზღვრასა და შესაბამისი მოსავლის მოყვანას;
2. ხელით ან ტექნიკით ნიადაგის დამუშავებასა და სასუქით განაყოფიერებას;
3. თესლების შერჩევა-დათესვასა და ნერგების დარგვას;

4. ნიადაგის დამუშავებით, კულტურების გადარგვით, გასხვლითა და კულტივაციით, აგრეთვე ირიგაციის სისტემების მოწყობით მოსავლიანობის გაზრდას;
5. ჰერბიციდებისა და პესტიციდების შეტანით სარეველების, მავნებლებისა და დაავადებების პრევენციას;
6. თესლის კვებასა და გაფუჭებული ნაწილების მოშორებას;
7. მოსავლის შემოწმებას, გასუფთავებას, შეფასებას, შეფუთვას, შენახვასა და ბაზრისთვის მიწოდებას;
8. მუშა პირუტყვის მოვლას, ფერმის შენობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობის მიმდინარე რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას;
9. მოყვანილი მოსავლის პირველად დამუშავებასა დაშენახვას;
10. პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას;
11. საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას;
12. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
13. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ხილის მწარმოებელი;
- კაუჩუკის მწარმოებელი;
- კაუჩუკის წარმოების მუშა;
- ჩაის მომყვანი;
- მევენახე;
- ციტრუსის მწარმოებელი;
- კაკლისებრთა კულტურის მწარმოებელი (თხილი/ნუში/კაკალი).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის პროდუქტების მწარმოებლები – 1311;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების არაკვალიფიციური მუშახელი – 9211.

<u>6113 ჯგუფური ერთეული</u>
მებაღეები, სანერგე მეურნეობის სხვა სპეციალისტები

მებაღეებსა და სანერგე მეურნეობის სხვა სპეციალისტებს ინტენსიური ტექნოლოგიური მეთოდით მოჰყავთ ბოსტნეული, ხეები, ბუჩქოვანი კულტურები, ყვავილები და სხვა სახეობის მცენარეები, ნერგები, ბოლქვები და თესლი, რომელთაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობისა და არსებული პირობების შემოწმებას, შესაბამისი გასაზრდელი ბოსტნეულის, სანერგეების განსაზღვრას და ამის შესაბამისად მოსავლის მოყვანის დაგეგმვასა და კოორდინაციას/ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების

შესწავლით ბოსტნეულისა და ნერგების რაოდენობის განსაზღვრასა და შესაბამისი მოსავლის მოყვანას;

2. შესაბამისი მიწის დონის განსაზღვრით, აგრეთვე, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების დამონტაჟებითა და ფუნქციონირებით ნიადაგის მომზადებას;
3. მესრების მოწყობას, ხეების, ბაღის მცენარეებისა და ბალახის დარგვას;
4. მცენარეების გასხვლასა და გასუფთავებას, აგრეთვე დამცავი სისტემების დაყენებას, დამამრგვალებელი, სათიბი, სანიავო და სასაზღვრო გაზონების გაკეთებას;
5. ბაღებში ბილიკების, კედლების, სათესლეების, გუბეების, სარწყავი და სანიაღვრე სისტემების, ღობეების მოწყობილობა-დაყენებას;
6. მცენარეებისა და ხეების ჯანმრთელობის შემოწმებას, აგრეთვე ჰერბიციდებისა და სასუქის შეტანით სარეველების, მავნებლებისა და დაავადებების პრევენციას;
7. დარგვითა ან დამყნობით ნერგების, ბოლქვების, თესლების წარმოებასა და მოსავლის მოყვანას;
8. მოსავლის შემოწმებას, გასუფთავებას, შეფასებას, შეფუთვას, შენახვასა და ბაზრისთვის მიწოდებას;
9. შენობების, სათბურებისა და სხვა ნაგებობების, მოწყობილობებისა და სარწყავი სისტემების შენარჩუნებას;
10. მოყვანილი მოსავლის პირველად დამუშავებასა და შენახვას;
11. პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას;
12. საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას;
13. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
14. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- მებაღე;
- ლანდშაფტის მებაღე;
- ბაზარში მოვაჭრე გლეხი;
- სოკოს მწარმოებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფერმერობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მრჩეველი – 2132;
- არაკვალიფიციური მებაღე/დამწყები მებაღე – 9214;
- მებაღე – 9214.

შენიშვნა:

კენკროვანი კულტურების მომყვანები უნდა კლასიფიცირდნენ 6112 ჯგუფში – ხეხილისა და კენკროვანი კულტურები მწარმოებლები, გარდა იმისა, თუ ეს საქმიანობა არ ხორციელდება ზოგადად მებაღეობასა და სანერგეების დამუშავებასთან ერთად. ბოსტნეულის მომყვანები, რომლებიც კულტივაციისას ინტენსიურად იყენებენ სპეციალურ ტექნიკას, კლასიფიცირდებიან 6111 ჯგუფურ ერთეულში – მემინდვრეები და მებოსტნეები.

6114 ჯგუფური ერთეული
შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები

შერეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლებს მოჰყავთ მინდვრის სხვადასხვა სახეობის მარცვლეული და ბუჩქოვანი კულტურები, ბოსტნეული, ხეხილი, სანერგეების პროდუქტები, რომელთაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობისა და არსებული პირობების შემოწმებას, შესაბამისი გასაზრდელი ბოსტნეულის, სანერგეების განსაზღვრას და ამის შესაბამისად მოსავლის მოყვანის დაგეგმვასა და კოორდინაციას / ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით ბოსტნეულისა და ნერგების რაოდენობის განსაზღვრასა და შესაბამისი მოსავლის მოყვანას;
2. ხელით ან ტექნიკით, ნიადაგის დამუშავებასა და სასუქით განაყოფიერებას;
3. თესლების შერჩევა-დათესვასა და ნერგების დარგვას;
4. ნიადაგის დამუშავებით, მცენარეების გადარგვითა და გასხვლით, აგრეთვე ირიგაციის სისტემების მოწყობითა და დამუშავებით მოსავლიანობის გაზრდას;
5. ინტენსიური კულტივაციით ყვავილებისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გაზრდას;
6. დარგვითა ან დამყნობით ნერგების, ბოლქვების, თესლების წარმოებასა და მოსავლის მოყვანას;
7. მოსავლის შემოწმებას, გასუფთავებას, შეფასებას, შეფუთვას, შენახვასა და ბაზრისთვის მიწოდებას;
8. მუშა პირუტყვის, შენობების, მანქანა-დანადგარების, სხვადასხვა მოწყობილობისა და წყლის სისტემების მოვლას;
9. მოყვანილი მოსავლის პირველად დამუშავებასა და შენახვას;
10. პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას;
11. საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას;
12. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
13. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- შერეული მარცვლეული კულტურების ფერმერი;
- კვალიფიციური ფერმერი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის პროდუქტების მწარმოებლები – 1311;
- ჩითილების დამრგველი – 1311;
- მოსავლის ამღები – 9211;
- ხილის ამღები – 9211.

612 მცირე ჯგუფი
მეცხოველეები

ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები აშენებენ შინაურ ცხოველებს: ცხვარს, ღორს, თხას, ცხენსა და სხვა ცხოველებს – მათ შორის მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, აგრეთვე შინაურ და გარეულ ფრინველებს, ქვეწარმავლებს, ძვირფას ბეწვიანი ცხოველებს, აგრეთვე, აწარმოებენ სხვადასხვა სახეობის ცხოველურ პროდუქტებს, რომლებსაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბაზრის საქმიანობისა და არსებული პირობების შემოწმება, შესაბამისი გასაზრდელი პროდუქციის განსაზღვრა და ამის შესაბამისად მოსავლის მოყვანა / ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით გასაზრდელი ცხოველების რაოდენობის განსაზღვრასა და კოორდინირებას; ცხოველების გაზრდას, კვებასა და მოვლას; ბაზრისათვის ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების მომზადებას; დაავადებების, დაზიანებებისა და მძიმე ავადმყოფობების შესამოწმებლად, აგრეთვე, ფიზიკური შესაძლებლობების, მაგ., წონის, ცხოველების შემოწმებას; ცხოველების რეპროდუქციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებში: მოვლაში, ხელოვნური განაყოფიერებასა და მშობიარობაში – დახმარებას; შენობების, მოწყობილობების, მანქანების, ნაგებობების, დასუფთავების მომსახურებაში ქირის გადახდასა და მათში თანხის ჩადებას; პროდუქტის დამუშავება-შენახვას; პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას; საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას; დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას; მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

6121 რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები;

6122 მეფრინველეები;

6123 მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები;

6129 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მეცხოველეები.

6121 ჯგუფური ერთეული
რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები

რძისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები ძირითადად რძის, ხორცის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქტების საწარმოებლად აშენებენ და უვლიან შინაურ ცხოველებს, მათ შორის მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ცხვარს, ღორს, თხას, ცხენს, ძაღლს ან კატს

(რომელთაც შეიძლება სამუშაოდ იყენებდნენ ან სპორტულ შეჯიბრებებში აღებინებდნენ მონაწილეობას, ანდა ჰყავდეთ სახლში), რომელთაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით გასაზრდელი ცხოველების რაოდენობის განსაზღვრასა და კოორდინირებას;
2. პირუტყვის კვებისთვის სასურველი პირობების შესაქმნელად საძოვრების კულტივაციას, მათი სასუქითა და წყლით უზრუნველყოფას;
3. დაავადებების, დაზიანებებისა და მძიმე ავადმყოფობების შესამოწმებლად, აგრეთვე, ფიზიკური შესაძლებლობების, მაგ., წონის, ცხოველების შემოწმებას;
4. ცხოველის ტყავის გაწმენდას, გასუფთავებას, გაშრობას, აგრეთვე ცხოველების კასტრაციას;
5. გამოსაყენებლად ბეწვის გაკრეჭას;
6. საკვებად საძოვრებზე ნახირის გარეკვას ან სხვადასხვა მოწყობილობით გადაყვანას;
7. პირუტყვის ხელით ან სპეციალური დანადგარებით მოწველას;
8. ცხოველებისთვის ხელით კვებისას საკვების, დანამატებისა და წამლების წინასწარ განსაზღვრულ ულუფებად მიწოდებას;
9. ცხოველების რეპროდუქციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებში: მოვლაში, ხელოვნური განაყოფიერებასა და მშობიარობაში – დახმარებას;
10. საწარმოს შენობების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ნაგებობების გაწმენდა-შენახვას;
11. ბაზრისთვის მოსამზადებლად ცხოველების დაკვლასა და გატყავებას;
12. ცხოველებისა და რძის პროდუქტების მოვლას, შენახვასა და დამუშავებას;
13. პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას;
14. საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას;
15. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
16. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- მესაქონლე;
- მერძევე;
- ძაღლების სელექციონერი;
- მეცხენე;
- მეთხე;
- მეცხვარე;
- მწყემსი (თხის და ცხვრის);
- მენახირე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის პროდუქტების მწარმოებლები – 1311;

- მესაქონლე – 1311.

<u>შენიშვნა:</u>

მეურნეები, რომლებიც პირუტყვის პროდუქციის წამროებასთან ერთად მეფრინველეობასაც მისდევენ, აგრეთვე ჰყავთ მწერები ან გარეული ცხოველები, უნდა კლასიფიცირდნენ იმ ჯგუფში, რომლის აქტივობაც დომინანტურია მათ საქმიანობაში. ვინც თავიანთი პირუტყვისთვის აგროვებს და შემდგომი მოხმარებისთვის ინახავს თივასა და სხვა საკვებს, კლასიფიცირდებიან 6121 ჯგუფურ ერთეულში – რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები.

<u>6122 ჯგუფური ერთეული</u>
მეფრინველეები

მეფრინველეები კვერცხის, ხორცისა და ბუმბულის მისაღებად უვლიან შინაურ ფრინველებს, რომელთა ნაწარმს ყიდიან ბაზრებში, ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით გასაზრდელი ფრინველების რაოდენობის განსაზღვრასა და კოორდინირებას;
2. ფრინველების სათანადო საკვები პირობებისთვის საჭირო პროდუქციის მოყვანასა ან ყიდვას;
3. დაავადებების, დაზიანებებისა და მძიმე ავადმყოფობების შესამოწმებლად, აგრეთვე, ფიზიკური შესაძლებლობების, მაგ., წონის, ცხოველების შემოწმებას;
4. აგრეთვე, ავადმყოფი ფრინველების ინკუბატორიდან მოცილებას;
5. საკვებისა და წყლის მიწოდებას, აგრეთვე საკვებში დანამატების შერევას;
6. სასმელ წყალზე, ინფექციებსა და დაბინძურებულ ჰაერზე ფრინველების ვაქცინაციას;
7. კვერცხების შეგროვებას, შენახვასა და გასაყიდად გამზადებას;
8. ხელოვნური განაყოფიერებისთვის წიწილების სქესის დადგენასა, აგრეთვე კვერცხიანობისთვის კარგად კვებას;
9. საწარმოს შენობების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ნაგებობების გაწმენდა-შენახვას;
10. ფრინევლის დაკვლასა და ხორცის ტრანსპორტირებასა ან ბაზარში გაყიდვას;
11. პროდუქტების მოვლას, შესაბამის დამუშავებასა და შენახვას;
12. პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას;
13. საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას;
14. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
15. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას;
16. კვერცხმდებელი დედლების დაცვის მინიმალური სტანდარტების დადგენას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- შინაური ფრინველების სელექციონერი;
- მეფრინველე
- შინაური ფრინველების მომვლელი;

<u>შენიშვნა:</u>

სპეციალისტები, რომლებიც მისდევენ მესაქონლეობას, მეფრინველეობას, მწერებისა ან გარეული ცხოველების მეურნეობას, უნდა კლასიფიცირდნენ იმ ჯგუფში, რომლის აქტივობაც დომინანტურია მათ საქმიანობაში.

<u>6123 ჯგუფური ერთეული</u>
მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები

მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები ძირითადად თაფლის, ფუტკრის ცვილის, აბრეშუმის ჭიის პარკებისა და სხვა მისაღებად აშენებენ და უვლიან მწერებს, მათ შორის ფუტკრებს, აბრეშუმის ჭიებს ან სხვა სახეობებს, რომელთაც ნაწარმს ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით გასაზრდელი მწერების რაოდენობის განსაზღვრასა და კოორდინირებას;
2. მწერების ყიდვას, აგრეთვე საკვებისა და პროდუქტების ყიდვასა ან მოყვანას;
3. მწერების კვებას, გაზრდასა და მოვლას და მათი პროდუქტების შეგროვებას;
4. საწარმოს შენობების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ნაგებობების გაწმენდა-შენახვას;
5. პროდუქტების მოვლას, შესაბამის დამუშავებასა და შენახვას;
6. პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას;
7. საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას;
8. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
9. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.
10. პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფას;
11. პროდუქციის ეტიკეტებისა და აღწერილობების სტანდარტებთან შესაბამისობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- მეფუტკრე;
- მეაბრეშუმე.

<u>6129 ჯგუფური ერთეული</u>
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მეცხოველეები

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები, რომლებიც არ კლასიფიცირდებიან 612-ე მცირე ჯგუფში – მეცხოველეები.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის გარეული ძუძუმწოვარი ცხოველების, ფრინველების, ლოკოკინების, გველებისა და სხვა ქვეწარმავლების, ძვირფასბეწვიანი ცხოველების, აგრეთვე, მწერების მოშენება-მოვლას, რომელთაც იყენებენ ლაბორატორიული ცდებისათვის, ან მათ ყიდიან ბაზრებში, სავაჭრო ორგანიზაციებზე, ზოოპარკებსა და ცირკებზე. აქვე კლასიფიცირდებიან იმ პროფესიის სპეციალისტებიც, რომლებიც ნაკრძალებში, საჯინიბოებში, ზოოპარკებში, ცირკებსა ან ბაზრებში უვლიან და წვრთნიან ცხოველებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით გასაზრდელი ცხოველების რაოდენობის განსაზღვრასა და კოორდინირებას;
2. ცხოველების გაზრდას, კვებასა და მოვლას;
3. დაავადებების, დაზიანებებისა და მძიმე ავადმყოფობების შესამოწმებლად, აგრეთვე, ფიზიკური შესაძლებლობების, მაგ., წონის, ცხოველების შემოწმებას;
4. ცხოველების რეპროდუქციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებში: მოვლაში, ხელოვნური განაყოფიერებასა და მშობიარობაში – დახმარებას;
5. საწარმოს შენობების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ნაგებობების გაწმენდა-შენახვას;
6. ბაზრისთვის მოსამზადებლად ცხოველების დაკვლასა და გატყავებას;
7. ცხოველებისა და რძის პროდუქტების მოვლას, შენახვასა და დამუშავებას;
8. პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას;
9. საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას;
10. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
11. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- მენიანგე;
- გარეული ცხოველების ბეწვის დამმუშავებელი;
- მეფრინველე (ხოხბისა და ჯაჯბის);
- გველების მომთვინიერებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მესაქონლე – 5164;
- ზოოპარკის დარაჯი – 5164;
- მეფრინველე – 6122.

613 მცირე ჯგუფი
შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები

შერეული ტიპის ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები ანაყოფირებენ მინდვრებსა და მცენარეებს, მოჰყავთ სხვადასხვა სახეობის მოსავალი, აგრეთვე, უვლიან ცხოველებს და ამზადებენ სხვადასხვა სახეობის პროდუქტს, რომელთაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით გასაზრდელი ცხოველებისა და ფრინველების რაოდენობის განსაზღვრასა და კოორდინირებას; თესლების, სასუქისა და სხვა სახეობის პროდუქტების ყიდვას; ნიადაგის მომზადებას, განოყიერებას, დარგვას, კულტივაციასა და მოსავლის აღებას; თივისა და სხვა საკვების ყიდვას; ცხოველების გაზრდას, კვებასა და მოვლას; ბაზრისთვის მოსამზადებლად ცხოველების დაკვლასა და გატყავებას; საწარმოს შენობების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ნაგებობების გაწმენდა- შენახვას; პროდუქტების მოვლა, შესაბამის დამუშავებასა და შენახვას; პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას; საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას; დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას; მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

6130 შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები.

6130 ჯგუფური ერთეული
შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები

შერეული ტიპის ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები ანაყოფირებენ მინდვრებსა და მცენარეებს, მოჰყავთ სხვადასხვა სახეობის მოსავალი, აგრეთვე, უვლიან ცხოველებს და ამზადებენ სხვადასხვა სახეობის პროდუქტს, რომელთაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბაზრის საქმიანობითა და არსებული პირობების შესწავლით გასაზრდელი ცხოველებისა და ფრინველების რაოდენობის განსაზღვრასა და კოორდინირებას;
2. თესლების, სასუქისა და სხვა სახეობის პროდუქტების ყიდვას;
3. ნიადაგის მომზადებას, განოყიერებას, დარგვას, კულტივაციასა და მოსავლის აღებას;
4. თივისა და სხვა საკვების ყიდვას;
5. ცხოველების გაზრდას, კვებასა და მოვლას;
6. ბაზრისთვის მოსამზადებლად ცხოველების დაკვლასა და გატყავებას;
7. საწარმოს შენობების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ნაგებობების გაწმენდა-შენახვას;

8. პროდუქტების მოვლა, შესაბამის დამუშავებასა და შენახვას;
9. პროდუქტის გავრცელებასა და გაყიდვას, აგრეთვე ფასდაკლებების გაკეთებასა და მიწოდებას;
10. საწარმოს აქტივობებისა და ტრანზაქციების ჩაწერას;
11. დაქირავებული მუშახელის ზედამხედველობასა და მათ მოსავლის მოყვანა-დამუშავებაში, შენახვაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებზე დასპეციალებას;
12. მუშახელისა და კონტრაქტორების აყვანა-გათავისუფლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- შერეული ტიპის ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები;
- შერეული ტიპის ცხოველური პროდუქტების მეწარმე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი – 1311;
- პლანტატორი – 1311;
- შერეული ტიპის ცხოველური პროდუქტების სპეციალისტი – 9213.

<u>შენიშვნა:</u>

მესაქონლეები და მოსავლის მომყვანი სპეციალისტები და კვალიფიციური მუშახელი, რომლებიც უვლიან ცხოველებსა და მოჰყავთ მოსავალი, არ უნდა კლასიფიცირდნენ 6130 ჯგუფურ ერთეულში – შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები. მესაქონლეები, რომლებიც მისდევენ მეგოსტნეობასაც, უნდა კლასიფიცირდნენ 6121 ჯგუფურ ერთეულში – რძისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები. აგრეთვე, მარცვლეულის მომყვანები, რომელთაც მცირე რაოდენობით ჰყავთ ფრინველები და ცხოველები, კლასიფიცირდებიან 6111 ჯგუფურ ერთეულში – მემინდვრეები და მეგოსტნეები.

მუშახელი, რომელსაც შერეული ფერმები აქვთ, ერთდროულად მეგოსტნეობასა და მეცხოველეობას ეწევიან, კლასიფიცირდებიან 611 მცირე ჯგუფის – ბაზარზე ორიენტირებული მებაღეები და სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებლები, შესაბამის ჯგუფურ ერთეულში ან 612 მცირე ქვეჯგუფის – მეცხოველეები, შესაბამის ჯგუფურ ერთეულში.

62 ქვეჯგუფი
ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, თევზჭერისა და ნადირობის სპეციალისტები

ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, თევზჭერისა და ნადირობის სპეციალისტები აწარმოებენ შერეული სოფლის მეურნეობის პროდუქციას. მათ ერთდროულად მოჰყავთ სოფლის მეურნეობის კულტურები, აშენებენ შინაურ ცხოველებს, აწარმოებს ცხოველურ პროდუქტებს, რომლებსაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მყიდველებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სახნავ-სათეს მიწებსა და საძოვრებში, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებში, მანქანა-დანადგარებსა და პირუტყვში ინვესტიციას; მეტყევეობის, თევზჭერისა და ნადირობის სამუშაოებს; სასოფლო-სამეურნეო შენობების, სხვადასხვა მოწყობილობისა და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას; პროდუქციის მიწოდებასა და რეალიზაციას; შესაძლებელია სხვა სპეციალისტების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

621 მეტყევეობისა და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები;

622 მეთევზეები, მონადირეები და ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები).

<u>შენიშვნა:</u>

როდესაც საქმიანობა მიმართულია უმეტესწილად თვითმოხმარებასა ან ოჯახზე, მაშინ საქმიანობები უნდა კლასიფიცირდეს 63 ქვეჯგუფში – თვითმოხმარებაზე ორიენტირებული ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები. დიდი რაოდენობით, ოჯახის საჭიროებაზე მეტი პროდუქციის წარმოების შემთხვევაში საქმიანობები ვეღარ კლასიფიცირდება 63 ქვეჯგუფში, არამედ აღნიშნული საქმიანობები უნდა შევიდეს ან 61 ქვეჯგუფში – ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეო ობის სპეციალისტები ან 62 ქვეჯგუფში – ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სპეციალისტები, რადგან მათი საქმიანობის მიზანია პროდუქციის ბაზარზე გატანა.

621 მცირე ჯგუფი
მეტყევეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები

მეტყევეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები ძირითად აშენებენ, იცავენ და იყენებენ ტყის მასივებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ტყის გასაშენებელი ადგილის განსაზღვრას, სანერგეების შერჩევას, გავრცელებული მეთოდებით ხეების დარგვასა და მოვლას; მოსაჭრელი ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და მერქნის მარაგის შეფასებას; ხეების კენწეროების წაჭრასა და ტოტების გასხვლა, აგრეთვე სპეციალური დანადგარით მათ წაქცევასა და მორებად დახერხვას; გაჩეხილ ტყეში მორების პირველად დამუშავებას; მორების ზვინებად

დაწყობას, გადატვირთვასა და მდინარეზე დაცურებას; ხანძრების თავიდან ასაცილებლად ტყის დაცვასა და ზედამხედველობას, ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოებში მონაწილეობას; ხეების რეგენერაციის დროს ჩვეულებრივი ხელსაწყოებითა და ქიმიური ნივთიერებებით სარეველების მოშორებასა და მათი ზრდის კონტროლს; ტყის რეგენერაციის ადგილიდან პეციალური ტრაქტორით, ბულდოზერით ან სხვა დიდი ტექნიკით ნარჩენების გატანას; შემდგომი ღონისძიებებისთვის თესლების შეგროვებას, ხეების გასხვლას, ნარგავების გაშენებასა და გამოკვლევას; ტყესთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებში ჩართული პერსონალის ზედამხედველობასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულად იყოფა:

6210 მეტყევეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები.

6210 ჯგუფური ერთეული
მეტყევეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები

მეტყევეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები ძირითად აშენებენ, იცავენ და იყენებენ ტყის მასივებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ტყის გასაშენებელი ადგილის განსაზღვრას, სანერგეების შერჩევას, გავრცელებული მეთოდებით ხეების დარგვასა და მოვლას;
2. მოსაჭრელი ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და მერქნის მარაგის შეფასებას;
3. ხეების კენწეროების წაჭრასა და ტოტების გასხვლა, აგრეთვე სპეციალური დანადგარით მათ წაქცევასა და მორებად დახერხვას;
4. გაჩეხილ ტყეში მორების პირველად დამუშავებას;
5. მორების ზვინებად დაწყობას, გადატვირთვასა და მდინარეზე დაცურებას;
6. ხანძრების თავიდან ასაცილებლად ტყის დაცვასა და ზედამხედველობას, ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოებში მონაწილეობას;
7. ხეების რეგენერაციის დროს ჩვეულებრივი ხელსაწყოებითა და ქიმიური ნივთიერებებით სარეველების მოშორებასა და მათი ზრდის კონტროლს;
8. ტყის რეგენერაციის ადგილიდან პეციალური ტრაქტორით, ბულდოზერით ან სხვა დიდი ტექნიკით ნარჩენების გატანას;
9. შემდგომი ღონისძიებებისთვის თესლების შეგროვებას, ხეების გასხვლას, ნარგავების გაშენებასა და გამოკვლევას;
10. ტყესთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებში ჩართული პერსონალის ზედამხედველობასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- მენახშირე;
- ტყის მჩეხავი;
- ხე-ტყის დამამზადებელი;
- მეტყევე;

- ხე-ტყის კრეისერი;
- ხის მჭრელი;

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ტყის კულტივატორი – 2132;
- სატყეო მეურნეობის ტექნიკოსი – 3143;
- სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორი
- ტყის მუშა – 9215.

622 მცირე ჯგუფი
მეთევზეები, მონადირეები და ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები)

მეთევზეები, მონადირეები და ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) იჭერენ, აშენებენ, უვლიან თევზებსა და წყლის სხვა მცენარეებსა და ცხოველებს, რომლებსაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მოვაჭრეებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ცოცხლად გასაყიდად ან მარიალიან ან მტკნარ წყალში გადასაყვანად თევზების, ხამანწკების, ლოკოკინებისა და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების მოშენებასა და მოვლას; თევზჭერისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველსაყოფად მონიტორინგს; გემბანსა ან ნაპირზე თევზის გასუფთავებას, გაყინვას, გაგრილებასა და დამარილებას; გადაზიდვისთვის თევზის ან სხვა პროდუქციის გამზადებას; ხომალდების, მოწყობილობების, ნაგებობებისა და ხელსაწყოების დაქირავებას, შეძენასა და შენახვას; ბადეებისა და თევზჭერის სხვა ხელსაწყოების მომზადებასა და შეკეთებას, თევზჭერის ადგილისაკენ, ადგილზე და უკან გემების მართვას; სატყუარას ჩამოცმას, სათევზაო მოწყობილობის გადასროლასა და ამოქაჩვას; ძუძუმწოვარი ცხოველების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების დაჭერას ან მათზე ნადირობას; პროდუქტების გადატანასა და გაყიდვას; სხვა სპეციალისტების ზედამხედველობასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

6221 წყლის მცენარეების და ცხოველების მომშენებლები;
6222 შიდა და სანაპირო წყლებში თევზჭერის სპეციალისტები;
6223 ღრმა წყლებში თევზჭერის სპეციალისტები;
6224 მონადირეები და ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები).

6221 ჯგუფური ერთეული
წყლის მცენარეების და ცხოველების მომშენებლები

წყლის მცენარეებისა და ცხოველების მომშენებლები იჭერენ, აშენებენ, უვლიან თევზებსა და წყლის სხვა მცენარეებსა და ცხოველებს, რომლებსაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მოვაჭრეებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცოცხლად გასაყიდად ან მარიალიან ან მტკნარ წყალში გადასაყვანად თევზების, ხამანწკების, ლოკოკინებისა და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების მოშენებასა და მოვლას;
2. ზრდის, ნაყოფიერებისა და გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებას;
3. დაავადებებსა და პარაზიტების აღმოსაჩენად შემოწმებებას;
4. წყალში შესაბამისის გარემოს დასადგენად მონიტორინგს;
5. მეთევზეობის კოორდინირებასა – თევზჭერისა და განაყოფიერების, ქვირითობის, ლიფსიტების გაზრდის და ტექნიკის მონიტორინგს;
6. გემბანზე ან ნაპირზე დაჭერილი თევზის გასუფთავებას, გაყინვას, გაგრილებას, დამარილებასა და რეალიზაციისთვის გამზადებას;
7. შენობების, ტანკერების, მოწყობილობების, ნავებისა და სხვა მოწყობილობების შენახვასა და მოვლას;
8. პროდუქციის რეალიზაციას ან ბაზრისთვის მიწოდებას;
9. შენობების, მოწყობილობებისა და დანადგარების ქირაობას ან შეძენას, საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქციის შეძენას;
10. აკვაკულტურისა და თევზის ქვირითების სათბურის მუშების ზედამხედველობასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.
11. მუშახელის სამუშაოზე აყვანასა და გათავისუფლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- წყალმცენარეების მწარმეობელი;
- თევზის მომშენებელი;
- ზღვის ნიჟარების მწარმოებელი;
- ზღვის მარგალიტების მწარმოებელი;
- ზღვის პროდუქტების მწარმოებელი;
- მეთევზე;
- სპეციალისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- წყლის კულტურების მწარმოებლები და მეთევზეები – 1312;
- თევზჭერისა და წყლის კულტურების სპეციალისტები – 9216.

<u>6222 ჯგუფური ერთეული</u>
შიდა და სანაპირო წყლების მეთევზეები

შიდა და სანაპირო წყლების მეთევზეები დამოუკიდებლად ან თევზსაჭერი გემის ეკიპაჟის წევრებთან ერთად იჭერენ თევზებსა და წყლის სხვა ცოცხალ ორგანიზმების საბითუმო მოვაჭრეებისათვის, გასაღების ორგანიზაციებისა ან ბაზრებისათვის რეგულარულად მისაყიდად ან მისაწოდებლად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბადეებისა და თევზის საჭერი სხვა მოწყობილობების დამზადებასა და შეკეთებას;
2. თევზაობისთვის ადგილის შერჩევას, კომპასის, რუკებისა და სხვა დამხმარე საშალებებით კურსისა და ნავიგაციური სისტემების მართვას;
3. თევზჭერის ადგილისაკენ, ადგილზე და უკან თევზსაჭერი გემების მართვას;
4. ხელით ან მოწყობილობით სატყუარას ჩამოცმას, სათევზაო მოწყობილობის გადასროლასა და ამოქაჩვას;
5. წყლის სხვადასხვა მცენარეებისა და ცხოველების შეგროვებას სანაპიროებზე ან წყალმარჩხ ადგილებში;
6. თევზსაჭერი მექანიზმებისა და სხვა გემზე არსებული მოწყობილობების შენახვას;
7. ტრანზაქციების, თევჭერის საქმიანობის, ამინდის, ზღვის შესახებ მონაცემების ჩანაწერების შენახვას;
8. ხარჯებისა და ბიუჯეტის დათვლას;
9. თევზების დახარისხებასა და მარილით ან ყინულით და შენახვას;
10. სათევზაო მოწყობილობიდან თევზების ჩამოხსნას, გაზომვას, რათა კანონით განსაზღვრული ნორმების დაცვით მოხდეს თევზაობა და არასასურველი ან კანონით აკრძალული ნადავლის წყალში უკან დაბრუნებას;
11. მეთევზეობისა და მეთევზეების ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- სანაპირო თევზის მომპოვებელი მყვინთავები;
- მეთევზე (სანაპირო წყლების);
- მეთევზე (შიდა წყლების).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- თევზისა და წყლის კულტურების მწარმოებლები – 1312;
- ღრმა წყლების მეთევზეები- 6223;
- აკვალანგისტები – 7541;
- მეთევზებისა და წყლის კულტურების მომპოვებლების დამხმარეები – 9216.

<u>6223 ჯგუფური ერთეული</u>
ღრმა წყლების მეთევზეები

ღრმა წყლების მეთევზეები თევზსაჭერი გემების ეკიპაჟის წევრებთან იჭერენ თევზს საბითუმო მოვაჭრეებისათვის, ორგანიზაციებისა ან ბაზრებისათვის რეგულარულად მისაყიდად ან მისაწოდებლად.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბადეებისა და სხვა სათევზაო მოწყობილობების მომზადებას;

2. ღრმა წყლებში, აგრეთვე, მისკენ და უკან წამოსვლისას სათევზაო ხომალდებისთვის მართვას;
3. სათევზაო ადგილის შერჩევას, კომპასის, რუკებისა და სხვა დამხმარე საშალებებით კურსისა და ნავიგაციური სისტემების მართვას;
4. ხომალდის მართვას;
5. სანავიგაციო ინსტრუმენტებისა და სხვა დამხმარე ელექტრონული ხელსაწყოების გამოყენებას;
6. თევზჭერის ოპერაციების დაგეგმვასა და ფლოტის საქმიანობის ზედამხედველობას;
7. თევჭერის საქმიანობის, ამინდისა და ზღვის მონაცემების ჩანაწერების შენახვას;
8. სატყუარას ჩამოცმას, სათევზაო მოწყობილობის გადასროლასა და ამოქაჩვას;
9. გემბანსა ან ნაპირზე თევზის გასუფთავებას, გაყინვას, გაგრილებასა და დამარილებას;
10. ხომალდის მუშახელის შერჩევასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ღრმა წყლების მეთევზე;
- სათევზაო გემის მყვინთავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- თევზისა და წყლის კულტურების მწარმოებლები – 1312;
- სანაპირო წყლების მეთევზე – 6222;
- შიდა წყლების მეთევზე – 6222;
- მეთევზებისა და წყლის კულტურების მომპოვებლების დამხმარეები – 9216.

<u>6224 ჯგუფური ერთეული</u>
მონადირეები და ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები)

მონადირეები და ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები)ძირითადად ხორცის, ტყავის, ბუმბულისა და სხვა პროდუქტების მისაღებად იჭერენ და კლავენ ძუძუმწოვარ ცხოველებს, ფრინველებს ან ქვეწარმავლებს, რომლებსაც ყიდიან ბაზრებში ან რეგულარულად ბითუმად აწვდიან მოვაჭრეებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ძუძუმწოვარი ცხოველების, ფრინველების ან ქვეწარმავლების დასაჭერად ხაფანგების დაგებას;
2. ხაფანგში გაბმული ან თავისუფალი ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების ცეცხლსასროლი ან სხვა იარაღით მოკვლას;
3. ტყავისა და სხვა სასურველი პროდუქტების მისაღებად მოკლული ცხოველების, ფრინველების ან ქვეწარმავლების გატყავებას ან სხვა პროცედურების ჩატარებას;
4. დაჭერილი ცოცხალი ცხოველების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების გაყიდვას ან სავაჭრო დაწესებულებებისათვის მიწოდებას;
5. აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურებასა და რემონტს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ბეწვიანი ნადირზე ხაფანგით მონადირე (ტრაპერი);
- ვეშაპებზე მონადირე.

63 ქვეჯგუფი
თვითმოხმარებაზე ორიენტირებული ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები თვითმოხმარებისთვის, თავშესაფრისა და მინიმუმი ფულადი შემოსავლის უზრუნველსაყოფად მოსავალს იღებენ მინდვრის კულტურებისგან, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურებისგან, მოჰყავთ ბოსტნეული და ხილი, აბალახებენ ცხოველებს ან ნადირობენ, აგროვებენ ველურ ნაყოფებსა და მცენარეებს, თევზაობენ და აგროვებენ წყლის მცენარეებსა და ცხოველებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ნიადაგის დამუშავებას; მინდვრის კულტურების დათესვას, დარგვას, მოვლასა და აღებას; ბისტნეულის მოყვანას; ხილის, ხეხილისა და ბუჩქოვანიკულტურების მოყვანასა და შეგროვებას; ველური ხილის, სამკურნალო და სხვა მცენარეების შეგროვებას; ხორცის, რძის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქტების მისაღებად ცხოველების მოშენებას, გამოკვებასა ან მათზე ნადირობას; შეშის შეგროვებას; წყლის მოტანას; თევზისა, წყლის სხვა ცხოველებისა და მცენარეების მოშენებას, დაჭერასა და შეგროვებას; თავშესაფრის აშენებასა და მარტივი ხელსაწყოების, ტანსაცმლის, ავეჯისა და სხვა საოჯახო ნივთების დამზადებას; მოსავლის შენახვასა და მცირე სამუშაოების შესრულებას; ადგილობრივ ბაზრებში ზოგიერთი პროდუქტის გაყიდვას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ მცირე ჯგუფებად იყოფა:

631 თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები;

632 თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მესაქონლეები;

633 თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები და მესაქონლეები;

634 თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები.

<u>შენიშვნა:</u>

როდესაც საქმიანობა მიმართულია უმეტესწილად თვითმოხმარებასა ან ოჯახზე, მაშინ საქმიანობები უნდა კლასიფიცირდეს 63 ქვეჯგუფში – თვითმოხმარებაზე ორიენტირებული ფერმერები, მეთევზეები, მონადირეები და შემგროვებლები. დიდი რაოდენობით, ოჯახის საჭიროებაზე მეტი პროდუქციის წარმოების შემთხვევაში საქმიანობები ვეღარ კლასიფიცირდება 63 ქვეჯგუფში, არამედ აღნიშნული საქმიანობები უნდა შევიდეს ან 61 ქვეჯგუფში – ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეო ობის სპეციალისტები ან 62 ქვეჯგუფში – ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სპეციალისტები, რადგან მათი საქმიანობის მიზანია პროდუქციის ბაზარზე გატანა.

საქმიანობებ 63 ქვეჯგუფში კლასიფიცირდება მაშინაც, როდესაც პროდუქტი მთლიანად თვითმოხმარებისთვის იწარმოება და არა შემოსავლის მისაღებად.

631 მცირე ჯგუფი
თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები თვითმოხმარებისთვის, თავშესაფრისა და მინიმუმი ფულადი შემოსავლის უზრუნველსაყოფად მოსავალს იღებენ იღებენ მინდვრის კულტურებისგან, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურებისგან, მოჰყავთ ბოსტნეული და ხილი.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ნიადაგის დამუშავებას, მინდვრის კულტურების დათესვას, დარგვას, მოვლასა და აღებას; ბოსტნეულის, ხილის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოყვანასა და შეგროვებას; წყლის მოტანასა და შეშის შეგროვებას; მოსავლის შენახვასა და მცირე სამუშაოების შესრულებას; სახლებისა და თავშესაფრების აშენებას; სახლში გამოსაყენებლად მარტივი ხელსაწყოების, ტანსაცმლის, ავეჯისა და სხვა საოჯახო ნივთების დამზადებას; ადგიობრივ ბაზარში პროდუქტებს გაყიდვასა ან გაცვლას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

6310 თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლები.

6310 ჯგუფური ერთეული
თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები თვითმოხმარებისთვის, თავშესაფრისა და მინიმუმი ფულადი შემოსავლის უზრუნველსაყოფად მოსავალს იღებენ იღებენ მინდვრის კულტურებისგან, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურებისგან, მოჰყავთ ბოსტნეული და ხილი.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ნიადაგის დამუშავებას, მინდვრის კულტურების დათესვას, დარგვას, მოვლასა და აღებას;
2. ბოსტნეულის, ხილის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოყვანასა და შეგროვებას;
3. წყლის მოტანასა და შეშის შეგროვებას;
4. მოსავლის შენახვასა და მცირე სამუშაოების შესრულებას;
5. სახლებისა და თავშესაფრების აშენებას;
6. სახლში გამოსაყენებლად მარტივი ხელსაწყოების, ტანსაცმლის, ავეჯისა და სხვა საოჯახო ნივთების დამზადებას;
7. ადგიობრივ ბაზარში პროდუქტებს გაყიდვასა ან გაცვლას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მოსავლის ამღები;
- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მებაღე;
- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მებოსტნე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფერმების არაკვალიფიციური პერსონალი – 9211;
- შეშის შემგროვებლები – 9624;
- წყლის შემგროვებელი – 9624.

<u>შენიშვნა:</u>

თვითმოხმარებაზე ორინეტირებული შეშის შემგროვებლები თუ წყლის მომტანები კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ 9624 ჯგუფურ ერთეულში – წყლისა და შეშის შემგროვებლები. სხვების ზედამხედველობით სოფლის მეურნეობაში საარსებო მინიმუმისთვის მარტივი და რუტინული სამუშაოების შემსრულებელი პერსონალი კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ შესაბამის 92 ქვეჯგუფში – სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სპეციალისტები.

<u>632 მცირე ჯგუფი</u>
თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მესაქონლეები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მესაქონლეები საკვების, თავშესაფრისა და იშვიათ შემთხვევებში, მინიმალური ფულადი შემოსავლისთვის უვლიან, ზრდიან და კვებავენ მსხვილფეხა პირუტყვს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პირუტყვის კვებისთვის სასურველი პირობებით უზრუნველსაყოფად საძოვრების კულტივაციას, მათი სასუქისა და სარწყავი მოწყობილობების შემოწმებას; დაავადებების, დაზიანებებისა და მძიმე ავადმყოფობების, აგრეთვე, ფიზიკური შესაძლებლობების შესამოწმებლად ცხოველების მონიტორინგს; ცხოველების გასუფთავებას, აგრეთვე, გამოსაყენებლად ბეწვის გაკრეჭას; ცხოველების გაზრდას, კვებას, მოწველასა ან მათთვის სისხლის გამოშვებას; ხელოვნური განაყოფიერებასა და მშობიარობაში დახმარებას; ბაზრისთვის ან მოსახმარებლად ცხოველების დაკვლასა და გატყავებას; ცხოველური პროდუქტების შესაბამის დამუშავებას; შესაბამისი სახლებისა და თავშესაფრების გაკეთებას; პირუტყვისა და პროდუქტების ყიდვას, გაცვლასა და გაყიდვას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

6320 თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მესაქონლეები.

<u>6320 ჯგუფური ერთეული</u>
თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მესაქონლეები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მესაქონლეები საკვების, თავშესაფრისა და იშვიათ შემთხვევებში, მინიმალური ფულადი შემოსავლისთვის უვლიან, ზრდიან და კვებავენ მსხვილფეხა პირუტყვს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პირუტყვის კვებისთვის სასურველი პირობებით უზრუნველსაყოფად საძოვრების კულტივაციას, მათი სასუქისა და სარწყავი მოწყობილობების შემოწმებას;
2. დაავადებების, დაზიანებებისა და მძიმე ავადმყოფობების, აგრეთვე, ფიზიკური შესაძლებლობების შესამოწმებლად ცხოველების მონიტორინგს;
3. ცხოველების გასუფთავებას, აგრეთვე, გამოსაყენებლად ბეწვის გაკრეჭას;
4. ცხოველების გაზრდას, კვებას, მოწველასა ან მათთვის სისხლის გამოშვებას;
5. ხელოვნური განაყოფიერებასა და მშობიარობაში დახმარებას;
6. ბაზრისთვის ან მოსახმარებლად ცხოველების დაკვლასა და გატყავებას;
7. ცხოველური პროდუქტების შესაბამის დამუშავებას;
8. შესაბამისი სახლებისა და თავშესაფრების გაკეთებას;
9. პირადი მოხმარების ხელსაწყოების, ტანისამოსის და ჭურჭლის დამზადებას;
10. წყლისა და შეშის მოგროვებას;
11. პირუტყვისა და პროდუქტების ყიდვას, გაცვლასა და გაყიდვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მომვლელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მესაქონლეების მუშები – 9212;
- შერეული სოფლის მეურნეობის კულტურების საწარმოების მუშები – 9213;
- წყლისა და შეშის შემგროვებლები – 9624.

<u>შენიშვნა:</u>

თვითმოხმარებაზე ორინეტირებული შეშის შემგროვებლები თუ წყლის მომტანები კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ 9624 ჯგუფურ ერთეულში – წყლისა და შეშის შემგროვებლები. სხვების ზედამხედველობით სოფლის მეურნეობაში საარსებო მინიმუმისთვის მარტივი და რუტინული სამუშაოების შემსრულებელი პერსონალი კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ შესაბამის 92 ქვეჯგუფში – სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სპეციალისტები.

633 მცირე ჯგუფი
თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებლები და მესაქონლეები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებლები და მესაქონლეები საკვების, თავშესაფრის, ან იშვიათ შემთხვევაში, ოჯახისთვის საარსებო მინიმუმის მისაღებად ანაყოფიერებენ ნიადაგს, ზრდიან და იღებენ მინდვრის კულტურებს, ბოსტნეულს, აგროვებენ ხილს, სამკურნალო და სხვა სახეობის მცენარეებს, ზრდიან ცხოველებს ან ნადირობენ, იჭერენ თევზებს ან წყლის სხვა ბინადრებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ნიადაგის განაყოფიერებას; მინდვრის კულტურების დათესვას, დარგვას, მორწყვას, ნიადაგის განოყიერებასა და მოსავლის აღებას; ბოსტნეულის, ხილისა და სხვა კულტურების გაზრდასა და მოსავლის აღებას; ველური ხილის, სამედიცინო და სხვა სახეობის მცენარეების შეგროვებას; ხორცის, კვერცხის, რძის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქციის მისაღებად ცხოველებისა და ფრინველების მომრავლებას, მოვლასა და კვებას; წყლისა და შეშის შეგროვებას; შემდოგმი მოხმარებისათვის პროდუქტის შესაბამის დამუშავებასა და შენახვას; შესაბამისი სახლებისა და თავშესაფრების გაკეთებას; პირადი მოხმარების ხელსაწყოების, ტანისამოსისა და ჭურჭლის დამზადება; ადგილობრივ ბაზარში პროდუქტის გაყიდვასა და გაცვლას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

6330 თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებლები და მესაქონლეები.

6330 ჯგუფური ერთეული
თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებლები და მესაქონლეები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებლები და მესაქონლეები საკვების, თავშესაფრის, ან იშვიათ შემთხვევაში, ოჯახისთვის საარსებო მინიმუმის მისაღებად ანაყოფიერებენ ნიადაგს, ზრდიან და იღებენ მინდვრის კულტურებს, ბოსტნეულს, აგროვებენ ხილს, სამკურნალო და სხვა სახეობის მცენარეებს, ზრდიან ცხოველებს ან ნადირობენ, იჭერენ თევზებს ან წყლის სხვა ბინადრებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ნიადაგის განაყოფიერებას;
2. მინდვრის კულტურების დათესვას, დარგვას, მორწყვას, ნიადაგის განოყიერებასა და მოსავლის აღებას;
3. ბოსტნეულის, ხილისა და სხვა კულტურების გაზრდასა და მოსავლის აღებას;
4. ველური ხილის, სამედიცინო და სხვა სახეობის მცენარეების შეგროვებას;
5. ხორცის, კვერცხის, რძის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქციის მისაღებად ცხოველებისა და ფრინველების მომრავლებას, მოვლასა და კვებას;

6. წყლისა და შეშის შეგროვებას;
7. შემდოგმი მოხმარებისათვის პროდუქტის შესაბამის დამუშავებასა და შენახვას;
8. შესაბამისი სახლებისა და თავშესაფრების გაკეთებას;
9. პირადი მოხმარების ხელსაწყოების, ტანისამოსისა და ჭურჭლის დამზადება;
10. ადგილობრივ ბაზარში პროდუქტის გაყიდვასა და გაცვლას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი და მესაქონლე ფერმერები.

<u>შენიშვნა:</u>

თვითმოხმარებაზე ორინეტირებული შეშის შემგროვებლები თუ წყლის მომტანები კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ 9624 ჯგუფურ ერთეულში – წყლისა და შეშის შემგროვებლები. სხვების ზედამხედველობით სოფლის მეურნეობაში საარსებო მინიმუმისთვის მარტივი და რუტინული სამუშაოების შემსრულებელი პერსონალი კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ შესაბამის 92 ქვეჯგუფში – სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სპეციალისტები.

<u>634 მცირე ჯგუფი</u>

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები თავშესაფრით, საკვებითა და იშვიათ შემთხვევაში, ოჯახის საარსებო მინიმუმისთვის აგროვებენ ველურ ხილს, სამკურნალო და სხვა სახეობის მცენარებს, ნადიროვბენ ცხოველებზე, თევზაობენ და იჭერენ აკვასამყაროს სხვა ბინადრებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ველური ხილის, ფესვების, სამკურნალო და სხვა სახეობის მცენარეების შეგროვებას;
2. რძის, ხორცის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქტების მოსაპოვებლად ნადირობას;
3. წყლისა და შეშის შეგროვებას;
4. თევზისა და წყლის სხვა ბინადრების დაჭერას;
5. შემდგომი მოხმარებისათვის პროდუქციის შესაბამის დამუშავებასა და შენახვას;
6. შესაბამისი სახლებისა და თავშესაფრების აშენებას;
7. პირადი მოხმარების ხელსაწყოების, ტანისამოსისა და ჭურჭლის დამზადებას;
8. ადგილობრივ ბაზარში პროდუქტების გაყიდვასა და გაცვლას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთულებად იყოფა:

6340 თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები.

6340 ჯგუფური ერთეული
თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები

თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები თავშესაფრით, საკვებითა და იშვიათ შემთხვევაში, ოჯახის საარსებო მინიმუმისთვის აგროვებენ ველურ ხილს, სამკურნალო და სხვა სახეობის მცენარებს, ნადიროვბენ ცხოველებზე, თევზაობენ და იჭერენ აკვასამყაროს სხვა ბინადრებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ველური ხილის, ფესვების, სამკურნალო და სხვა სახეობის მცენარეების შეგროვებას;
2. რძის, ხორცის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქტების მოსაპოვებლად ნადირობას;
3. წყლისა და შეშის შეგროვებას;
4. თევზისა და წყლის სხვა ბინადრების დაჭერას;
5. შემდგომი მოხმარებისათვის პროდუქციის შესაბამის დამუშავებასა და შენახვას;
6. შესაბამისი სახლებისა და თავშესაფრების აშენებას;
7. პირადი მოხმარების ხელსაწყოების, ტანისამოსისა და ჭურჭლის დამზადებას;
8. ადგილობრივ ბაზარში პროდუქტების გაყიდვასა და გაცვლას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებია:

- ნანადირევის შემგროვებლები;
- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული შემგროვებლები;
- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მძღოლი;
- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზე;
- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მონადირე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები – 6310;
- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მესაქონლეები – 6320;
- მესაქონლეების მუშები – 9212;
- წყლისა და შეშის შემგროვებლები – 9624.

შენიშვნა:

თვითმოხმარებაზე ორინეტირებული შეშის შემგროვებლები თუ წყლის მომტანები კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ 9624 ჯგუფურ ერთეულში – წყლისა და შეშის შემგროვებლები. სხვების ზედამხედველობით სოფლის მეურნეობაში საარსებო მინიმუმისთვის მარტივი და რუტინული სამუშაოების შემსრულებელი პერსონალი კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ შესაბამის 92 ქვეჯგუფში – სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სპეციალისტები.

7 ძირითადი ჯგუფი
ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშები

ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშები შენობების ასაშენებლად და მოსავლელ-შესანახვად ყენებენ კონკრეტულ ტექნიკურ და პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს; ასხამენ და აშენებენ ლითონის კონსტრუქციებს; განსაზღვრავენ სამუშაო იარაღებსა ან აკეთებენ, იყენებენ, უვლიან და არემონტებენ მანქანებს, მოწყობილობებსა თუ ხელსაწყოებს; ბეჭდავენ; აწარმოებენ ან გადაამუშავებენ საკვებ პროდუქციასა და ტექსტილს, აგრეთვე ხის, ლითონისა და სხვა საქონელს, მათ შორის ხელნაკეთობებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

სამუშაო სრულდება ხელით ან ხელითა და სხვა სამუშაო იარაღებით, რომლებიც ფიზიკური და კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროის შესამცირებლად, აგრეთვე, პროდუქციის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. დავალებების შესრულება მოითხოვს წარმოების პროცესის ყველა საფეხურის, მასალებისა და გამოყენებული ხელსაწყოების ცოდნას, აგრეთვე საბოლოო პროდუქტის ხასიათისა და მიზნის.

მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: შენობებისა და სხვა სტრუქტურების კონსტრუქციების მოვლა-შენახვასა და რემონტს; ლითონის ჩამოსხმას, შედუღებასა და ყალიბში ჩასხმას; მძიმე ლითონის კონსტრუქციების, მოწყობილობებისა და მსგავსი აღჭურვილობების დაყენებასა და აშენებას; მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და ლითონის სხვა პროდუქტების გაკეთებას; ოპერატორების მომზადებას, ან სხვადასხვა მანქანის ხელსაწყოების მომზადებასა და გამოყენებას; ინდუსტრიული მანქანების, ძრავების, სატრანსპორტო საშუალებების, ელექტრული და ელექტრონული ინსტრუმენტებისა და სხვა მოწყობილობების გამოყენებას, მოვლა-შენახვასა და შეკეთებას; ძვირფასი ინსტრუმენტების, საიუველირო ნაკეთობების, საოჯახო და სხვა ძვირფასი ლითონის ნაკეთობების, თიხის ჭურჭლის, შუშისა და მსგავსი პროდუქციის გაკეთებას; ხელნაკეთობების წარმოებას; ბეჭდვას; საკვები პროდუქტებისა და სხვადასხვა – ხის, ტექსტილის, ტყავისა და მონათესავე ტიპის – მასალებისგან დამზადებული საქონლის წარმოებასა და გადამუშავებას; სამუშაო აგრეთვე, შესაძლებელია მოიცავდეს მუშების ზედამხედველობას; თვითდასაქმებული ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშები, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვების დახმარებით ამუშავებენ საკუთარ ბიზნესს, აგრეთვე, შესაძლებელია ასრულებდნენ ბიზნესის მენეჯმენტს, ბუღალტერიასა და მასალების დაარქივებას, კლიენტების მომსახურებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, მსგავსი დავალებები, როგორც წესი, არ არ არის სამუშაოს ძირითადი კომპონენტი.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

71 მშენებლობისა და მონათესავე სფეროს მუშები (გარდა ელექტროტექნიკოსებისა);
72 ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშები;
73 ხელოსნები და მბეჭდავები;
74 ელექტრული და ელექტრომოწყობილობების სფეროს მუშები;
75 საკვების გადამმუშავებლები, დურგლები, მკერავები, ხელოსნები და სხვა მონათესავე პროფესიის მუშები.

71 ქვეჯგუფი
მშენებლობისა და მონათესავე სფეროს მუშები (გარდა ელექტროტექნიკოსებისა)

მშენებლობისა და მონათესავე სფეროს მუშები აშენებენ, ინახავენ, უვლიან და არემონტებენ შენობებს; აშენებენ და არემონტებენ აგურის, ქვისა და მსგავსი მასალებისგან აშენებული შენობის საფუძველს, კედლებსა და სტრუქტურებს; აშენებისა და სხვა მიზნებისთვის ამუშავებენ და ფორმას აძლევენ ქვას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

სამუშაო სრულდება ხელით ან ხელითა და სხვა სამუშაო იარაღებით, რომლებიც ფიზიკური და კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროის შესამცირებლად, აგრეთვე, პროდუქციის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. დავალებების შესრულება მოითხოვს წარმოების პროცესის ყველა საფეხურის, მასალებისა და გამოყენებული ხელსაწყოების ცოდნას, აგრეთვე საბოლოო პროდუქტის ხასიათისა და მიზნის.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ტრადიციული ან/და თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის გამოყენებით შენობებისა და სხვა სტრუქტურების კონსტრუქციას, მოვლა-შენახვასა და რემონტს; აგურის, ქვისა და მსგავსი მასალებისგან აშენებული შენობის საფუძვლის, კედლებისა და სტრუქტურების კონსტრუქციასა და რემონტს; ფილებად ან ლოდებად კარიერის ქვების დატეხვას; მშენებლობისთვის, ორნამენტებისთვის, მონუმენტურისა და სხვა მიზნებისთვის ქვის დაჭრას, დამუშავებასა და მისთვის ფორმის მიცემას; ბეტონის კონსტრუქციებისა და სტრუქტურების აშენებას, აგრეთვე, ცემენტის ზედაპირის დამუშავებასა და შეკეთებას; ხის კონსტრუქციებისა და მათი ნაწილების დაჭრას, ფორმის მიცემას, აწყობასა და მოვლა-შენახვას; კონსტრუქციებისა და შენობების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით დამატებითი სამუშაოების შესრულებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

711 შენობის კარკასის მშენებლები და მონათესავე სფეროს მუშები;

712 შენობის მომპირკეთებლები და მონათესავე სფეროს მუშები;

713 მღებავები, შენობა-ნაგებობების მწმენდავები და მონათესავე სფეროს მუშები.

711 მცირე ჯგუფი
შენობის კარკასის მშენებლები და მონათესავე სფეროს მუშები

შენობის კარკასის–მშენებლები და მონათესავე სფეროს მუშები აშენებენ, უვლიან, ინახავენ და არემონტებენ შენობებს; აშენებენ და არემონტებენ აგურის, ქვისა და მსგავსი მასალის შენობის საფუძვლებს, კედლებსა და კონსტრუქციებს; მშენებლობებისთვის, ორნამენტებისთვის, მონუმენტური და სხვა მიზნებისთვის ამუშავებენ და ფორმას აძლევენ ქვებს; ასრულებენ კონსტრუქციებისა და შენობების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ დამატებით სამუშაოს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ტრადიციული ან/და თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის

გამოყენებით შენობებისა და სხვა სტრუქტურების კონსტრუქციას, მოვლა-შენახვასა და რემონტს; აგურის, ქვისა და მსგავსი მასალებისგან აშენებული შენობის საფუძვლის, კედლებისა და სტრუქტურების კონსტრუქციასა და რემონტს; ფილებად ან ლოდებად კარიერის ქვების დატეხვას; მშენებლობისთვის, ორნამენტებისთვის, მონუმენტურისა და სხვა მიზნებისთვის ქვის დაჭრას, დამუშავებასა და მისთვის ფორმის მიცემას; ბეტონის კონსტრუქციებისა და სტრუქტურების აშენებას, აგრეთვე, ცემენტის ზედაპირის დამუშავებასა და შეკეთებას; ხის კონსტრუქციებისა და მათი ნაწილების დაჭრას, ფორმის მიცემას, აწყობასა და მოვლა-შენახვას; კონსტრუქციებისა და შენობების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით დამატებითი სამუშაოების შესრულებას;

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7111 სახლების მშენებლები;
7112 კალატოზები და მონათესავე პროფესიის მუშები;
7113 ქვის მტეხავები, მთლელები და მჭრელები;
7114 ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე პროფესიების მუშები;
7115 ხუროები და დურგლები;
7119 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მშენებლები და მონათესავე სფეროს მუშები.

7111 ჯგუფური ერთეული
სახლების მშენებლები

სახლების მშენებლები ტრადიციული ან თანამედროვე ტექნიკითა და მასალებით აშენებენ, ინახავენ, უვლიან და არემონტებენ სახლებსა და მსგავს პატარა შენობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შენობისა თუ სხვა სტრუქტურების საძირკველის ჩაყრა;
2. შენობების აშენებას, გადახურვასა და შესაბამისი მასალებით მოპირკეთებას;
3. სახურავზე ნივნივების და გადასახური მასალით დაფარვას;
4. სისწორისა და გამძლეობისთვის სართულების გათანასწორებას;
5. არსებული სტრუქტურების მოვლა-შენახვასა და შეკეთებას;
6. აგურით მშენებლობის, ღებვის, წყალგაყვანილობისა და ელექტროობის სამუშაოების ქვეკონტრაქტორების შესრულების ორგანიზებას;
7. ქვეკონტრაქტორების, მუშებისა და სხვა მუშების შესრულებული სამუშაოს მართვასა და ზედამხედველობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სახლების მშენებლები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სახლების დამპროექტებლები – 1323;
- სახლების მშენებლები – 1323;

- მშენებლობის ზედამხედველები – 3123.

7112 ჯგუფური ერთეული
კალატოზები და მონათესავე პროფესიის მუშები

კალატოზები და მონათესავე პროფესიის მუშები კედლების, ტიხრების, თაღებისა და სხვა სტრუქტურების ასაშენებლად აგებენ აგურს, ფილებად ჭრიან ქვასა და სხვა ტიპის სამშენებლო ლოდებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კედლების, ტიხრების, ბუხრებისა და სხვა სტრუქტურების: საკვამურების, გამოსაწვავი ღუმელების, კონვერტერების, ხიმინჯებისა და საყრდენების მშენებლობასა ან რემონტს, აგრეთვე აგურებისა და მსგავსი სამშენებლო ფილების დაგებას;
2. საცალფეხო ბილიკების, ტროტუარებისა და ქვაფენილების დაგებას;
3. ბაღის კედლებისა და სხვა დეკორაციული ინსტალაციების აგურითა ან ქვით მოწყობას.
4. დუღაბზე აგურითა და სხვა მასალებით საძირკვლის ჩაყრასა და კელების აშენებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბლოკით მშენებელი;
- კალატოზი;
- ბუხრის მშენებელი;
- ცეცხლგამძლე აგურით მშნებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქვისმტეხავები – 7113.

7113 ჯგუფური ერთეული
ქვის მტეხავები, მთლელები და მჭრელები

ქვის მტეხავები, მთლელები და მჭრელები ქვის სტუქტურებისა და მონუმენტების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისთვის ჭრიან და ფორმას აძლევენ მაგარ და რბილ ბლოკებსა და ფილებს, აგრეთვე, ქვაზე კვეთენ ფიგურებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კარიერის ქვების ფილებად ან ლოდებად სოლით დაჭრას;
2. გრანიტის, მარმარილოსა და სხვა ქვის ფილებისა და ბლოკების შერჩევა-დახარისხებას;
3. შენობისა და მონუმენტების ქვების (მაგ.: გრანიტის ან მარმარილოს) ხელსაწყოებით გამოჭრას, ფორმის მიცემასა და დამუშავებას;

4. შემდგომი დახერხვის, დაგეგმვის, გაბურღვის და სხვა მოსაპირკეთებელი და საჭრელი ოპერაციებისთვის ქვაზე ნიმუშებისა და აღმნიშვნელი ფორმების გაკეთება / დასახერხადს, დასაგეგმად, გასაბურღავად და სხვა მოსაპირკეთებელი და საჭრელი სამუშაოებისთვის ზომების აღებასა და ქვების დამუშავებას;
5. მონუმენტების ან მემორიალებისთვის გამოსაყენებულ ქვებზე გმირების, ფიგურების ან დიზაინის ამოტვიფვრას;
6. მონუმენტებსა და მემორიალებზე ქვების დადგმას;
7. ძველ შენობებზე, ეკლესიებსა და მონუმენტებზე ქვასთან დაკავშირებულ რემონტსა და ხელის შევლებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გრანიტისმჭრელი;
- ქვისმთლელი;
- ქვისმჭრელი;
- ქვისგამპრიალებელი (ხელსაწყოებით ან მათ გარეშე).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მეკაფელე – 7122;
- მანქანის ოპერატორი (ქვის მჭრელი ან გადამმუშავებელი) – 8112.

7114 ჯგუფური ერთეული
ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე სფეროს მუშები

ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე სფეროს მუშები აშენებენ ბეტონის კარკასებსა და სტრუქტურებს, ჩამოსხმულ ბეტონს აძლვენ ფორმებს, ამაგრებენ მის ზედაპირებს, კიბეებისთვის ამზადებენ ადგილებს, ამუშავებენ და არემონტებენ ცემენტის ზედაპირებსა და მოზაიკით აპირკეთებენ იატაკებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გამაგრებული ბეტონის იატაკების, კედლების, ავზების, სილოსებისა და სხვა სტრუქტურების კონსტრუქციასა და შეკეთებას;
2. ბეტონის ჩასასხმელად საფარის გაკეთებასა ან წინასწარ დამზადებული ფორმების აწყობას;
3. კიბეების ადგილების ცემენტით დამუშავებას;
4. სტრუქტურების ბეტონის ზედაპირების დამუშავებასა და გასწორებას;
5. იატაკის ცემენტის, სილის პიგმენტებისა და მარმარილოს ნაერთით მოზაიკურ (ე. წ. ტერაცო) მოპირკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ცემენტის დამამუშავებელი;
- ბეტონის დამსხმელი;

- იატაკის მოზაიკით (ტერაზოს ტიპის) მომპირკეთებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ცემენტის დასამუშავებელი მანქანის ოპერატორი – 8114;
- გზის ზედაპირის დამგები მანქანის ოპერატორი – 8342.

7115 ჯგუფური ერთეული
ხუროები და დურგლები

ხუროები და დურგლები ჭრიან, ფორმას აძლევენ, აწყობენ, აშენებენ, უვლიან და არემონტებენ სხვადასხვა ტიპის ხისა თუ სხვა მასალისგან დამზადებულ კონსტრუქციებსა და მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. სამუშაოსა ან მშენებლობის ადგილზე კონსტრუქციებისა და სხვა ხის სამუშაოების შეცვლასა და რემონტს;
2. მშენებლობის ადგილზე მძიმე ხის სტრუქტურების აშენებას, აღმართვასა და დადგმას;
3. შენობის შიდა და გარე მოწყობილობების (მაგ.: კედლების, კარებისა და ფანჯრის ჩარჩოების) მორგებას, აწყობასა და შეცვლას, აგრეთვე მათ მოპირკეთებასა და პანელით შემოფარგვლას;
4. თეატრალური წარმოდგენების, კინოებისა თუ სატელევიზიო გადაცემებისთვის მხატვრული აღჭურვილობების მოწყობას, შეკეთებასა და მორგებას;
5. მატარებლებისთვის, ხომალდებითვისს, გემებისთვის, ნავებისთვის, ტივებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებისთვის ხის კონსტრუქციების აწყობას, შეცვლასა და შეკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- ხურო;
- კარ-ფანჯრის ჩამყენებელი
- მომპირკეთებელი;
- დურგალი
- დურგალი;
- ხურო (გემის).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- საოფისე ინვენტარის გამკეთებელი – 7522;
- ბორბლების ხელოსანი – 7522.

7119 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მშენებლები და მონათესავე სფეროს მუშები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს შენობის კარკასის მშენებლებსა და მონათესავე სფეროს მუშებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 711 მცირე ჯგუფის – შენობის კარკასის მშენებლები და მონათესავე სფეროს მუშები – კატეგორიას. მაგ., ჯგუფური ერთეული აერთიანებს მცოცავებს, მეხარაჩოებსა და მნგრეველებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მაღალ კონსტრუქციებზე – კოშკებზე, ბუხრებსა და შენობის წვერებზე – ასვლასა და სხვადასხვა სამშენებლო და მოვლა-პატრონობის სამუშაოებს;
2. სამშენებლო ადგილებზე დროებითი ლითონისა ან ხის ხარაჩოების აღმართვას;
3. შენობებისა და სხვა სტრუქტურების დანგრევას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- შენობის მგრეველები;
- წინასწარ დამზადებული კონსტრუქციის ამწყობები;
- მეხარაჩოე;
- მედემონტაჟე;
- მცოცავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კონსტრუქციების მშენებლები – 9313;
- მედემონტაჟე – 9313.

712 მცირე ჯგუფი
შენობის მომპირკეთებლები და მონათესავე სფეროს მუშები

შენობის მომპირკეთებლები და მონათესავე სფეროს მუშები უვლიან, ინახავენ და არემონტებენ სახურავს, იატაკს, კედლებს, საიზოლაციო სისტემებს, შუშის ან სხვა მასალის ფანჯრებს, აგრეთვე, შენობებსა და სხვა სტრუქტურებში ამონტაჟებენ წყალგაყვანილობასა და ელექტრონულ სისტემებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ერთი ან რამდენიმე ტიპის მასალისგან სახურავის გადაფარვას; პარკეტისა და სხვა ტიპის იატაკის დაგებას ან იატაკისა და კედლების კაფელით ან მოზაიკური ფილებით მოპირკეთებას; კედლებისა და ჭერის დაბათქაშებას; კედლების, იატაკისა და ჭერის საიზოლაციო მასალით დაფარვას; ფანჯრებისა და სხვა მსგავსი ჩარჩოებისთვის შუშის გამოჭრას, მორგებასა და ჩასმას; წყალგაყვანილობის მილებისა და სისტემების მონტაჟს; ელექტროსადენებისა და მსგავსი მოწყობილობების მონტაჟს; სამუშაო შესაძლებელია, მოიცავდეს სხვა მუშების ზედამხედველობასაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7121 გადამხურავები;

7122 იატაკისა და ფილების დამგებები;
7123 მებათქაშეები;
7124 საიზოლაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები;
7125 მეშუშეები;
7126 სანტექნიკოსები;
7127 კონდიცირებისა და გაგრილების სისტემის მექანიკოსები.

7121 ჯგუფური ერთეული
მხურავები

გადამხურავები ერთი ან რამდენიმე სახეობის მასალით აშენებენ და არემონტებენ ნებისმიერი ტიპის შენობის სახურავს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გამოსაყენებელი მასალების განსასაზღვრად ნახაზების, ტექნიკური პირობებისა და სამშენებლო ადგილების შესწავლა;
2. ორფერდა სახურავების ფილაქნებითა და წინასწარ დამზადებული ფილებით დაფარვა;
3. კონსტუქციის ასაგებად წყალგამძლე საფენისა და ლითონის ან სინთეტიკური მასალების დაგებას;
4. სახურავის მასალების გაზომვასა და გვერდების, კუთხეებისა და ამოზნექილი ნაწილების (მაგ., ბუხრის სკვამურების) მოსარგებად დაჭრა;
5. სახურავის გადასახურად ბუნებრივი მასალების (მაგ., ჩალის) გამოყენებას;
6. დროებითი კონსტრუქციების – ხარაჩოებისა და კიბეების აწყობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეასფალტეები;
- მეტალით გადახურვის მეთუნუქეები;
- სახურავის შემკეთებლები;
- სახურავის მომპირკეთებელი;
- მეშიფერე.

შენიშვნა:

თუნუქით გადამხურავები მიეკუთვნებიან 7121 ჯგუფურ ერთეულს – გადამხურავები. გადასახური ფურცლოვანი ლითონის მასალის დამამზადებლები მიეკუთვნებიან 7213 ჯგუფურ ერთეულს – მვალცავები.

7122 ჯგუფური ერთეული

იატაკისა და ფილების დამგებები

იატაკისა და ფილების დამგებები დეკორატიული ან სხვა მიზნებისთვის ამონტაჟებენ, უვლიან, არემონტებენ და ხალიჩებით, ფილებით ფარავენ იატაკებს, კედლებსა და სხვა ზედაპირებს, ან აპირკეთებენ მოზაიკით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა მასალებით დასაფარვად იატაკის ტერიტორიის მომზადებას;
2. დიზაინისა და სხვა მახასიათებლებით ხალიჩების, კაფელის ან სხვა მასალების აწყობასა და მათ იატაკზე დაფენას;
3. დეკორატიული ან სხვა მიზნებისთვის (მაგ., აკუსტიკური ინსტალაციისთვის) კაფელით ან სხვა მასალებით დასაფარად კედლის მომზადებას;
4. კედელზე, იატაკსა და სხვა ზედაპირზე კაფელის და მოზაიკური ფილების დაგება-გაკვრას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ხალიჩის დამგები
- მარმარილოს დამგები;
- მეპარკეტე;
- მეკაფელე.

<u>7123 ჯგუფური ერთეული</u>
მებათქაშეები

მებათქაშეები შენობებზე აკრავენ, უვლიან და არემონტებენ გიბსო-კარდონს, აგრეთვე შიდა და გარე სტრუქტურებზე იყენებენ მუყაოს, ცემენტისა და მსგავსი მასალების დეკორატიულ და დამცავ საფენებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სრულყოფილი ზედაპირის მისაღებად შენობის შიდა კედლებსა და ჭერზე ერთი ან რამდენიმე ბათქაშის ფენის გამოყენებას;
2. ორნამენტული ბათქაშის ფილების გაზომვას, მონიშვნასა და დამონტაჟებას, აგრეთვე, ორნამენტული ბათქაშით კარნიზების გაფორმებას;
3. გიბსო-კარდონის, ასაწევი და დასამონტაჟებელი ფილების გაზომვას, მონიშვნასა და დაჭრას, აგრეთვე გასატიხრად მათ კედლებსა და ჭერზე გაკვრას;
4. სველი ბათქაშითა და დასამაგრებლებით გადაბმებისა და ღრმულების დაფარვას, აგრეთვე სველი ჯაგრისებითა და ზუმფარას ქაღალდით მათ გასწორებას;
5. შენობის გარე ზედაპირზე დამცავი და დეკორატიული ცემენტის, ბათქაშისა და მსგავსი მასალების საფარის გამოყენებას;
6. დეკორატიული ბათქაშის ბოჭკოვანი შემადგენლობის მიღებასა და დაბათქაშებას;
7. ბათქაშთან, ცემენტთან და მსგავს მასალებთან ერთად აკუსტიკური, საიზოლაციო და ცეცხლგამძლე მასალების გამოყენებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მშრალი კედლის მებათქაშე;
- ბოჭკოვანი ქსოვილის მებათქაშე;
- ორნამენტული მებათქაშე;
- მებათქაშე;
- მყარი ზედაპირის მებათქაშე;
- დეკორატიული სამუშაოს მებათქაშე.

7124 ჯგუფური ერთეული
საიზოლაციო სამუშაოების შემსრულებლები

საიზოლაციო სამუშაოების შემსრულებლები შენობებზე, ორთქლის ქვაბებზე, მილებზე, აგრეთვე გაგრილებისა და ჰაერის კონდიცირების მოწყობილობებზე იყენებენ და არემონტებენ საიზოლაციო მასალებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ზომებისა და ფორმების მიხედვით საიზოლაციო მასალების დაჭრას;
2. შენობის კედლებზე, იატაკსა და ჭერზე საიზოლაციო ან ხმის ჩამხშობი მასალებისგან დამზადებული ფილებისა და ფურცლების გამოყენებას;
3. ძრავიანი ელექტრომანქანებით შენობის კედლების, იატაკისა და ჭერის საიზოლაციო და ხმის ჩამხშობი მასალებით შეფუთვა-შემოკვრას;
4. აუცილებელი საიზოლაციო მასალების ტიპის, ხარისხისა და რაოდენობის დასადგენად ნახაზების, ტექნიკური პირობებისა და სამუშაო ადგილების შემოწმებას;
5. მოწყობილობების დაუცველ ზედაპირებზე (მაგ.: ორთქლის ქვაბებზე, მილებსა და ავზებზე) საიზოლაციო მასალების გამოყენებას;
6. სამაცივრე და კონდიცირების მოწყობილობების დამონტაჟებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აკუსტიკური მემონტაჟე;
- ორთქლის ქვაბებისა და მილების საიზოლაციო სამუშაოების შემსრულებელი;
- საიზოლაციო სისტემების მემონტაჟე;
- საიზოლაციო სისტემების მუშა;
- სამაცივრე და კონდიცირების მოწყობილობების მემონტაჟე.

7125 ჯგუფური ერთეული
მეშუშეები

მეშუშეები ზომავენ, ჭრიან, ამუშავებენ, არგებენ და სვამენ ბრტყელ შუშებსა და სარკეებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გამოსაყენებელი შუშის სახეობის შერჩევას, საჭირო ზომებად დაჭრას, ფორმის მიცემასა და ფანჯარაში, კარებში, საშხაპეებსა და შენობის დანაყოფებში ჩასმას;
2. მინის სახურავში, ვიტრინებში, ინტერიერის კედლებსა და ჭერში შუშებისა და სარკეების ჩასმას;
3. სატრანსპორტო საშუალებებსა თუ ნავებში საქარე მინების დამონტაჟებასა ან გამოცვლას;
4. დეკორაციული შუშების (მაგ.: შუშის კედლების, კიბეების, მოაჯირებისა და ფერადი მინების) შექმნას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავტომეშუშე;
- მეშუშე;
- სახურავის მეშუშე;
- სატრანსპორტო საშუალების მეშუშე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- შუშის მჭრელი – 7315;
- შუშის დამამუშავებელი – 7315.

<u>7126 ჯგუფური ერთეული</u>
სანტექნიკოსები

სანტექნიკოსები აწყობენ, ამონტაჟებენ, არემონტებენ და უვლიან წყლის, გაზის, დრენაჟის, კანალიზაციის, გათბობის, გაცივებისა და ვენტილაციის სისტემებისთვის, აგრეთვე, ჰიდრავლიკური და პნევმატური მოწყობილობებისთვის საჭირო მილსადენის სისტემებს, დრენაჟებს, წყალსადინარ ღარებს, სადენებსა და მსგავს მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. წყალგაყვანილობისა და ვენტილაციის სისტემების, აგრეთვე საჭირო მასალების განლაგების განსასაზღვრად პროექტების, ნახაზებისა და ტექნიკური პირობების შესწავლას;
2. დრენაჟის, გათბობის, ვენტილაციის, წყლის მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მილებისა და მოწყობილობების გაზომვას, დაჭრას, ერთმანეთზე აცმას, დაღუნვას, შეერთებას, აწყობას, დამონტაჟებას, მოვლა-შენახვასა და შეკეთებას;
3. ბუნებრივი აირის დანადგარების, ჭურჭლის სარეცხი მანქანების, წყლის გამათბობლების, ნიჟარებისა და უნიტაზების დამონტაჟებას;
4. საკანალიზაციო მილებთან, დრენაჟებს ან წყლის მთავარ არხთან დამაკავშირებელი თიხის, ცემენტის ან თუჯის მილების გაყვანას;

5. დამონტაჟებული სისტემებისა და მილების წნევის საზომით, ჰიდროსტატიკური ტესტერით, დაკვირვების ან სხვა მეთოდებით ინსპექტირებას, შემოწმებასა და ტესტირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დრენაჟის ტექნიკოსი;
- ბუნებრივი აირის მემონტაჟე;
- მილსადენის მემონტაჟე;
- მილსადენის მემონტაჟე;
- სანტექნიკოსი;
- სავენტილაციო მილების მემონტაჟე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ჰაერის კონდიცირების და გაგრილების მოწყობილობების მექანიკოსი – 7127.

<u>შენიშვნა:</u>

ლითონის დრენაჟების, წყალსადინარი ღარებისა და სადენების მემონტაჟეები მიეკუთვნებიან 7126 ჯგუფურ ერთეულს – სანტექნიკოსები, ხოლო ლითონის პროდუქციის შემქმნელები, აგრეთვე, წყალგაყვანილობის მემონატეჟეები, მიეკუთვნებიან 7213 ჯგუფურ ერთეულს – მვალცავები.

<u>7127 ჯგუფური ერთეული</u>
კონდიცირებისა და გაგრილების სისტემების მექანიკოსები

კონდიცირებისა და გაგრილების სისტემების მექანიკოსები აწყობენ, ამონტაჟებენ, უვლიან და არემონტებენ კონდიცირება-გაგრილების სისტემებსა და მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროექტების, ნახაზებისა და სხვა ტექნიკური პირობების ინტერპრეტაციას;
2. კონდიცირებისა და გამაგრილებელი სიტემების კომპრესორების, მოტორების, კონდენსატორების, ამაორთქლებლების, ჩამრთველ-ამომრთველებისა და საზომების აწყობას, დამონტაჟებასა და შეკეთებას;
3. ბოლტებით, მოქლონებით, შედუღებითა და დარჩილვით მილებისა და მოწყობილობების შეერთებას;
4. სისტემების ტესტირებას, ხარვეზების დიაგნოსტირებასა და რუტინულ შეკეთება-მომსახურებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კონდიცირების მოწყობილობების მექანიკოსი;
- გაგრილების მექანიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სანტექნიკოსი – 7126;
- სავენტილაციო გაყვანილობის მემონაჟე – 7126.

713 მცირე ჯგუფი
მღებავები, შენობა-ნაგებობების მწმენდავები და მონათესავე სფეროს მუშები

მღებავები, შენობა-ნაგებობების მწმენდავები და მონათესავე სფეროს მუშები ამზადებენ ზედაპირებს, აგრეთვე საღებავითა და მსგავსი მასალებით ღებავენ შენობებსა და ნაგებობებს, სატრანსპორტო საშუალებებს ან სხვადასხვა ნაკეთობას. ისინი აგრეთვე, წმენდენ საკვამურებს, შენობების შიდა კედლებსა და ჭერზე, აგრეთვე, სხვა სახეობის ნაგებობების გარე ფასადებზე აკრავენ შპალერს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: შენობებისა და სხვა სახეობის ნაგებობების ზედაპირების შესაღებად მომზადებასა და შეღებვას; ხელით შესასხურებლებით სატრანსპორტო საშუალებების ან სხვადასხვა ნაკეთობის შეღებვას ან გალაქვას; შიდა კედლებსა და ჭერზე შპალერის, აბრეშუმის ან სხვა ქსოვილების გაკვრას; საკვამურების გაწმენდას; შენობა-ნაგებობების გარეფასადების გაწმენდას; შესაძლებელია სხვა მუშების ზედამხედველობაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7131 მღებავები და მონათესავე სფეროს მუშები;

7132 აეროზოლით მღებავები და მლაქავები;

7133 შენობა-ნაგებობების მწმენდავები.

7131 ჯგუფური ერთეული
მღებავები და მონათესავე სფეროს მუშები

მღებავები და მონათესავე სფეროს მუშები შესაღებად ამზადებენ შენობებისა და სხვა სახეობის ნაგებობების ზედაპირებს, უსვამენ საღებავის ან მსგავსი მასალების დამცავ ან დეკორატიულ ფენას, ან შენობების შიდა კედლებსა და ჭერზე აკრავენ შპალერს, აბრეშუმსა ან სხვა ქსოვილებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შენობების კედლების ზედაპირის გაწმენდას და შესაღებად ან შპალერის გასაკრავად მომზადებას;
2. პიგმენტებისა და დანამატების შერევით საჭირო საღებავების მომზადებას;
3. შენობების ზედაპირებზე, კარკასებსა და ნაწილებზე საღებავის, ლაქის და სხვა მასალის წასმას ან შესხურებას;

4. შენობებისა ჭერსა და კედლებზე შპალერის ან სხვა მსგავსი ქსოვილების მორგებასა და მიკვრას;
5. შენობის ზედაპირებზე ფუნჯით, აეროზოლითა და როლერებით საღებავების, ლაქის ან სხვა მასალის წასმას;
6. ეკოლოგიის დაცვის და შრომის უსაფრთხოებისა – სამღებრო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ხელის სამარჯვეებისა და მექანიზებული ხელსაწყოების სახეების, ექსპლუატაციის – წესების ცოდნას;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- შენობის მღებავი;
- შპალერის გამკვრელი.

7132 ჯგუფური ერთეული
აეროზოლით მღებავები და ლაქის წამსმელები

აეროზოლით მღებავები და ლაქის წამსმელები წარმოებისა და შენობა ნაგებობებისთვის საჭირო მოწყობილობებს უსვამენ საღებავის დამცავ ფენასა და ლაქს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა მეთოდით გასალაქი მოწყობილობებისთვის ჭუჭყის, მტვერისა და ცხიმის მოცილებას;
2. ავტობუსების, მსუბუქი და სატვირთო მანქანების ან სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალებების შეღებვას, ლაქისა ან სხვა დამცავი საფარის წასმას;
3. საღებავსაშხეფით ხისა და სხვა სახეობის ნაკეთობებზე საღებავის, აგრეთვე, ემალის ან ლაქის დამცავი ფენის წასმას;

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ნაკეთობების მღებავები;
- ლაქის წამსმელი;
- სატრანსპორტო საშუალებების მღებავები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- პოსტერების ოსტატები – 7316
- ლითონის გაპრიალების, მეტალიზაციის
- მანქანების ოპერატორები – 8122;
- ხის დამმუშავებლები – 7521;
- დეკორატორები – 7316;
- შენობების მღებავები – 7131.

7133 ჯგუფური ერთეული

შენობა-ნაგებობების ზედაპირის მწმენდავები

შენობა-ნაგებობების ზედაპირის მწმენდავები ჭვარტლისაგან ასუფთავებენ საკვამურებს ან შენობა-ნაგებობების გარე ფასადებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქიმიური საშუალებების დიდი წნევით, ორთქლით ან ქვიშით ქვის, აგურის, ლითონისა და მსგავსი მასალების გარე ზედაპირების გაწმენდას;
2. საკვამურების, გამწოვი და შემაკავშირებელი მილების ჭვარტლისაგან გაწმენდას;
3. შენობებიდან აზბესტის, მტვრისა და ცეცხლისგან დაზიანებული ზედაპირების მოშორებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- შენობის გარე ფასადის მწმენდავი;
- მეკვამური;
- ქვიშით მწმენდავი (შენობის გარე ფასადი).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- გრაფიტის მწმენდავი – 9129;
- წყლის ჭავლით მწმენდავი – 9129.

72 ქვეჯგუფი
ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროს მუშები

ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროს მუშები ასხამენ, ადუღებენ, ჭედავენ ან სხვა გზებით ამუშავებენ ლითონს; აგრეთვე, აგებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ მძიმე ლითონის კონსტრუქციებს; აგებენ მანქანა-მოწყობილობებს, აგრეთვე, აწყობენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ მექანიზმებს, მათ შორის ელექტრონულ მოწყობილობებსა და სატრანსპორტო საშუალებებს; ისინი აგრეთვე, აწარმოებენ ხელსაწყოებსა და სხვადასხვა არაკეთილშობილი ლითონის ნაკეთობებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

სამუშაო ხორციელდება ხელით, მექანიკური ან სხვა სახეობის ხელსაწყოებით, რომლებიც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესება, კონკრეტული სამუშაოების შესასრულებელი ფიზიკური დატვირთვისა და დროის შემცირებას. ამოცანები გულისხმობს გამოსაყენებელი მასალებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე წარმოების პროცესის ყველა ეტაპის, მათ შორის საბოლოო პროდუქციის თვისებებისა და გამოყენების შესაძლო სფეროების ცოდნას.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბებისა და ღერძების გაკეთებას; ლითონის დაჭრას, შედუღებასა და დაყალიბებას; მძიმე ლითონის კონსტრუქციების დამონტაჟებას, აგებას, ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს; მოწყობილობების, ხელსაწყოებისა და სხვა ნაკეთობების გასაკეთებლად და გასარემონტებლად ფოლადისა და სხვა არაკეთილშობილი ლითონის გამოჭედვასა და დაყალიბებას; სხვადასხვა სახეობის მექანიკური დაზგების აწყობასა და ამუშავებას; სამრეწველო მექანიზმების აწყობას, ტექნიკურ მომსახურებასა ან შეკეთებას, მათ შორის ელექტრონული მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების; შესაძლებელია სხვა მუშების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

721 ფურცლოვანი ლითონის დამმუშავებლები, კონსტრუქციული ლითონის დამამზადებლები, ლითონის მეყალიბეები, შემდუღებლები და მონათესავე სფეროს მუშები;

722 მჭედლები, ზეინკლები და მონათესავე სფეროს მუშები;

723 მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები.

721 მცირე ჯგუფი
ფურცლოვანი ლითონის დამამუშავებლები, კონსტრუქციული ლითონის დამამზადებლები, ლითონის მეყალიბეები, შემდუღებლები და მონათესავე სფეროს მუშები

ფურცლოვანი ლითონის დამამუშავებლები, კონსტრუქციული ლითონის დამამზადებლები, ლითონის მეყალიბეები, შემდუღებლები და მონათესავე სფეროს მუშები ლითონის ჩასასხმელად აკეთებენ ყალიბებსა და კოპებს, ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს, ამზადებენ და არემონტებენ ფურცლოვანი ლითონის ნაწილებს, ამონტაჟებენ,

აგებენ, ტექნიკურად უზრუნველყოფენ და არემონტებენ ლითონის მძიმე კონსტრუქციებს, საბაგირო გზის ვაგონებსა და სხვა მსგავს მოწყობილობებს ან წყალქვეშ ახორციელებენ მსგავს სამუშაოებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ლითონის ჩასასხმელად ყალიბებისა და კოპების დამზადებას; ლითონის ჩასხმას, შედუღებასა და დაყალიბებას; ფურცლოვანი ლითონის საგნების (მაგ.: ფურცლოვანი ფოლადის, სპილენძის, თუნუქისა ან თითბერის) გაკეთებასა და რემონტს; ლითონის მძიმე კონსტრუქციების, აგრეთვე, მოწყობილობების, საბაგირო გზის ვაგონებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების დამონტაჟებას, აგებას, ტექნიკურ უზრუნველყოფასა და რემონტს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7211 ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები;

7212 შემდუღებლები და აირით მჭრელები;

7213 მვალცავები;

7214 ლითონის კონსტრუქციების დამამზადებლები და მემონტაჟეები;

7215 მეტაკელაჟეები და მეკაბელე-მრჩილავები.

<u>7211 ჯგუფური ერთეული</u>
ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები

ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები ლითონის ჩასასხმელად ამზადებენ ყალიბებსა და კოპებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხელით ან დამხმარე ხელსაწყოებით დაზგაზე მცირე მოცულობის ლითონის ლუგვებისათვის, საამქროსა ან ორმოში დიდი მოცულობის ლუგვების ჩამოსასხმელი ყალიბების დამზადებას;
2. ლითონის ფორმების მისაღებად კოპების დამზადებას;
3. ლითონის ფორმებისა და კოპების ყუთების გაწმენდას, გაპრიალებასა და ზედაპირის შეკეთებას;
4. ლითონის ფორმების ნაწილების, სინჯებისა და ძირის დაფების გადაადგილებას, ამწეთი შესაბამის ადგილას დაწყობას, ან სხვებისთვის მსგავსი მითითებების მიცემას;
5. ლითონის ფორმებში სინჯების ჩადებასა და ნაწილების ერთმანეთთან მიწებებას;
6. ლითონის ფორმებში წყლის ჭავლის მილების, ხვრელებისა და ჩასახმელი არხის მოჭრას;
7. ლითონის ყალიბების მოხსნასა და ნარჩენებისგან გასუფთავებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეკოპე;
- ლითონის მეყალიბე.

7212 ჯგუფური ერთეული
შემდუღებლები და აირით მჭრელები

შემდუღებლები და აირით მჭრელები აირის სანთურის, ელექტრორკალის ან სხვა გასაცხელებელი საშუალებებით გასადნობად, დასაჭრელად ან შესადუღებლად ჭრიან ლითონის ნაწილებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმიტული ნაერთებითა ან სხვა მეთოდებით ლითონის ნაწილების შედუღებას;
2. შემდუღებელი მოწყობილობების გამოყენებას;
3. ტყვიის შემოსაფენის, მილების, იატაკებისა და სხვა სახეობის საშუალებების გასაკეთებლად და გასარემონტებლად სარჩილავი ნათურის გამოყენებას;
4. ლითონის ნაწილების შედუღებას;
5. აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით ლითონის ნაწილებად დაჭრას;
6. ხელის სარჩილავით ლითონის ნაწილების შეერთებას;
7. ნაწილების ზედმეტად გაცხელების ან დაბრეცის, შეკუმშვის ან გაზრდის თავიდან ასაცილებლად ლითონის ნაწილების მორგების, გამოწვისა და შედუღების პროცესის ზედამხედველობას;
8. დეფექტების, კუთხეებისა და შესაბამის მაგალითებთან შედარებით მახასიათებლებთან შესაბამისობის დასადგენად სამუშაო ნაწილების შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მესპილენძე;
- აირით მჭრელი;
- შემდუღებელი.

7213 ჯგუფური ერთეული
მვალცავები

მვალცავები ამზადებენ, ამონტაჟებენ და არემონტებენ ფურცლოვანი ლითონის ნაკეთობებს და მის ნაწილებს – ფურცლოვან ფოლადს, სპილენძს, თუნუქს, თითბერს, ალუმინს, თუთისა ან მოთუთიებულ რკინას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დასაჭრელად და დასაყალიბებლად ფურცლოვანი ლითონის მომზადებას;
2. თუნუქის, სპილენძისა და რბილი შენადნობებისაგან დამზადებული საოჯახო ნივთებისა და სხვა ნაკეთობების ან ორნამენტული საგნებისა და მისი ნაწილების დამზადებასა და რემონტს;

3. გამაცხელებლების, ავზების, ცისტერნებისა და მსგავსი კონტეინერების დამზადებასა და რემონტს;
4. ავტოტრანსპორტისა და თვითმფრინავების ფურცლოვანი ფოლადის ნაწილების დამონტაჟებასა და რემონტს;
5. ლითონის ფურცლების პროდუქტი დასამზადებლად ნახაზების ნახატებად გარდაქმნას;
6. ნახაზების, ნახატების, სიტყვიერი თუ წერილობითი ინსტრუქციების მიხედვით საჭირო პროექტის მიზნის, ნაწილების შეერთების სიხშირისა და საჭირო მეთოდებისა და მოთხოვნების გარკვევას;
7. მახასიათებლებთან შესაბამისობის გასაკონტროლებლად პროდუქტისა და საქმიანობის ხარისხის შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მჭედელი;
- მესპილენძე;
- მვალცავი;
- მეთუნუქე.

<u>შენიშვნა:</u>

მეთუნუქეები მიეკუთვნებიან 7121 ჯგუფურ ერთეულს – გადამხურავები. ლითონისგან დამზადებული სანიაღვრე არხებისა და სადინრების მემონტაჟეები კლასიფიცირდებიან 7126 ჯგუფურ ერთეულში – სანტექნიკოსები, ხოლო სახურავებისა და სანიაღვრეებში გამოსაყენებელი ლითონის ფურცლის პროდუქტების დამამზადებელნი კლასიფიცირდებიან 7213 ჯგუფურ ერთეულში – მვალცავები.

<u>7214 ჯგუფური ერთეული</u>
ლითონის კონსტრუქციების დამამზადებლები და მემონტაჟეები

ლითონის კონსტრუქციების დამამზადებლები და მემონტაჟეები კონსტრუქციებისა და კარკასებისთვის აყალიბებენ, აწყობენ და აგებენ მძიმე ლითონის კოჭებსა და ფირფიტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შენობების, გემებისა და სხვა სახეობის კონსტრუქციების მშენებლობისათვის საჭირო საბურღი, საჭრელი და საჩარხი სამუშაოების შესრულებისთვის ლითონის ნაწილების მონიშვნას;
2. საამქროებში კონსტრუქციული ლითონის ბურღვას, დაჭრასა და ჩარხვას;
3. შენობებზე, ხიდებსა და სხვა სახეობის კონსტრუქციებზე ფოლადის დეტალების დამონტაჟებას;
4. გემების კარკასებისა და ლითონის სხვა ნაწილების აწყობა-დამონტაჟებას;
5. გემების ასაგებად და შესაკეთებლად კონსტრუქციული ლითონის დაყალიბებასა და აწყობას;

6. ხელით, მანქანით ან პნევმატური ჩაქუჩით კონსტრუქციული ლითონის დეტალების მოქლონვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კონსტრუქციული ლითონის მემონტაჟეები;
- კონსტრუქციული ლითონის დამმუშავებლები;
- მქლონავები

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- გამჩარხავი მანქანების ოპერატორები – 7223.

7215 ჯგუფური ერთეული
მეტაკელაჟეები და მეკაბელე-მრჩილავები

მეტაკელაჟეები და მეკაბელე-მრჩილავები აგებენ ასაწევ და გადასატან მოწყობილობებს ან ამონტაჟებენ და მშენებლობებს, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ჭაბურღილებს, გემებს, თვითმფრინავებსა და სხვა ადგილებს კაბელებით, ბაგირებითა და სადენებით ტექნიკურად უზრუნველყოფენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მთიან ადგილებში, ღრმა ხეობებზე ანფიორდებზე, აგრეთვე, საამქროებში, გემსაშენებსა და სხვა ადგილებზე მგზავრების, მუშების, მასალების, მანქანებისა და სხვა მძიმე საგნების გადასატანად სხვადასხვა ტიპის კაბინების, ფუნიკულიორების საბაგიროების, მოძრავი პლატფორმების, ასაწევი მოწყობილობებისა და სხვა სახეობის ამწევი აღჭურვილობის დამონტაჟებას;
2. კაბელების, მავთულების, სადენების, ქერელის ბაგირებისა და სხვა მოწყობილობების დამონტაჟებასა და რემონტს;
3. მავთულებზე, ქერელის ბაგირებსა და სადენებზე სამარჯვების მიმაგრებას, დამონტაჟებას და რემონტს;
4. წყლის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ჭაბურღილების საბურღი კოშკების მონტაჟსა და რემონტს;
5. თეატრებისა და ფილმის გადაღების მოედნებზე მოძრავი სცენის, განათებისა და სხვა მოწყობილობების აწევასა და მოძრაობას;
6. კომუნიკაციის კოშკურების, საჰაერო კაბელების, ფუნიკულიორების რკინიგზის, საბაგიროებისა და სხვა ინფრასტრუქტურის დამონტაჟებასა და მოვლას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კაბელებისა და სადენების ქუროები;
- მეტაკლაჟეები;
- გემის მეტაკლაჟეები;
- თეატრის მეტაკლაჟეები;

- კოშკების მეტაკლაჟეები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- კაბელის გადამბმელი მოწყობილობების ოპერატორები – 8189;
- ამწეებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები – 8343.

722 მცირე ჯგუფი
მჭედლები, ზეინკლები და მონათესავე სფეროს მუშები

მჭედლები, ზეინკლები და მონათესავე სფეროს მუშები სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოები, მოწყობილობებისა და სხვა საგნების დასამზადებლად და გასარემონტებლად ჭედენ და წნეხენ რკინის, ფოლადის ან სხვა სახეობის ლითონის ძელაკებს, ძელებს ან ზოდებს, აწყობენ და ამუშავებენ სხვადასხვა სახეობის დაზგებს, აპრიალებენ და ლესავენ ლითონის ზედაპირებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სხვადასხვა ტიპის მექანიკური ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და სხვა საგნების დასამზადებლად და გასარემონტევლად რკინის, ფოლადისა და სხვა სახეობის ლითონების ჭედვასა და წნეხვას; უმნიშვნელო უზუსტობის დაშვებით სხვადასხვა სახეობის ჩარხების აწყობასა და მართვას; ლითონის ზედაპირებისა და ხელსაწყოების გაპრიალებასა და გალესვას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7221 მჭედლები, ურიებსა და წნეხებზე მჭედლები;

7222 ზეინკლები და მონათესავე სფეროს მუშები;

7223 ლითონის მეჩარხეები და ამწყობ-ოპერატორები;

7224 ლითონის მხეხავები, გამპრიალებლები და იარაღების მლესავები.

7221 ჯგუფური ერთეული
მჭედლები, ურიებსა და წნეხებზე მჭედლები

მჭედლები, ურიებსა და წნეხებზე მჭედლები სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოების, ლითონის საგნების, მოწყობილობის ნაწილების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მსგავსი ხელსაწყოების დასამზადებლად და შესაკეთებლად ჭედენ და წნეხენ რკინის, ფოლადისა და სხვა ლითონების ძელაკებს, ძელებს, ზოდებსა და ფირფიტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქურაში ლითონის გახურებას და გრდემლზე ლითონის დამუშავებით, დაღუნვით, დაჭრით, გამოჭედვით, წნეხვით, შენაწევრებითა და გამოწრთობით ან მოშვებით საგნების შექმნასა და რემონტს;
2. ღია შტამპებით აღჭურვილ ორთქლის გრდემლზე გახურებული ლითონის გამოჭედვას;
3. სუროებზე დახურული შტამპით ლითონის საგნების გამოჭედვას;
4. დახურული შტამპით აღჭურვილი წნეხით ლითონის საგნების გამოჭედვას;
5. მავთულის ადიდვას;
6. მოწყობილობების ფუნქციონირებისათვის სამუშაო აღწერილობების, მითითებებისა და ნახაზების წაკითხვას;
7. მოწყობილობების ნაწილების გაზომვასა და მათ მახასიათებლებთან შესაბამისობაში შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მჭედელი;
- წნეხზე მჭედელი;
- ურიზე მჭედელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ზეინკლები – 7223;
- ზეინკალ-მექანიკოსები – 7223.

<u>7222 ჯგუფური ერთეული</u>
ზეინკლები და მონათესავე სფეროს მუშები

ზეინკლები და მონათესავე სფეროს მუშები ამზადებენ და არემონტებენ ხელსაწყოებს, სპორტულ თოფებს, საკეტებს, შტამპებს, ყალიბებსა და სხვა სახეობის ლითონის ნაკეთობებს, აგრეთვე, აკეთებენ ძრავებს, მექანიზმებისა და მანქანების ნაწილებს, ლითონს ზუსტად ამუშავებენ ხელით ან მექანიკური ხელსაწყოებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საინჟინრო ნახაზების, ხელსაწყოების, პროტოტიპების, მოდელების მახასიათებლების გაცნობას;
2. სინჯებისა და ნაწილების დამზადებასა და სამუშაო პროცესის განსაზღვრას;
3. მახასიათებლების მიხედვით ზომების, ფორმების, განზომილებებისა და შესაბამისობის ვიზუალურ აღწერასა და კომპიუტერში გადატანას;
4. ლითონის მარაგისა და სახეობების უზრუნველყოფას, შემოწმებასა და შესაბამის ადგილას მოთავსებას;
5. შესაბამისი ზომებისა და მახასიათებლების ნაწილების მოსაჭრელად, დასამუშავებლად, დასაბურღად, გადასადნობად, დასაფქვავად, ტრადიციული და კომპიუტერიზებული მოწყობილობების დამოტაჟებას, გამოყენებასა და შენახვას;

6. შაბლონების, მოწყობილობებისა და ყალიბების დასამზადებლად და გასარემონტებლად ნაწილების აწყობასა და დამაგრებას;
7. სპორტული თოფებისა და სხვა სახეობის ხელსაწყოების რესტავრირებას და მოდიფიცირებას;
8. სხვადასხვა სახეობის ჩარხებითა ან ხელსაწყოებით შტამპების, წვრილი ხელსაწყოების, ყალიბებისა და მოწყობილობების დამზადებას, ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს;
9. ყალიბებისათვის საჭირო შაბლონების დამზადებასა და რემონტს;
10. მორგებასა და ლითონის მჭრელი, მღარავი, მხეხავი, მლესავ ან სხვა მუშებისთვის მინიშნებების გაკეთებას;
11. მოცემული ოპერაციებისათვის შესაბამისი საზომებითა და შესამოწმებელი ინსტრუმენტებით მახასიათებლებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად დასრულებული ნაწილების განზომილებების, კუთხეებისა და ნამუშევრის სისუფთავის შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეშტამპე;
- იარაღის მჭედელი;
- ზეინკალ-ამწყობი;
- ზეინკალი;
- ზეინკალ-მექანიკოსი;
- ზეინკალი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიაა:

- ზეინკალ-მექანიკოსი – 7223.

<u>7223 ჯგუფური ერთეული</u>
ზეინკალ-მექანიკოსები

ზეინკალ-მექანიკოსები აწყობენ მანქანებს, ან აწყობენ და ზუსტად ამუშავებენ სხვადასხვა სახეობის ხელსაწყოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სტანდარტული სერიის ლითონის ნაწილების საწარმოებლად ერთი ან რამდენიმე ტიპის დაზგის აწყობას;
2. ლითონზე მომუშავე განსაზღვრული ტიპების დანადგარების (მაგ.: სახარატო ჩარხის, საფქვავის, სარანდის, სახვრეტის, საბურღის, სალესისა და საჩარხი მანქანების, აგრეთვე მრავალ ფუნქციური ლითონზე მომუშავე ციფრული მანქანების) აწყობას, დამუშავებასა და მონიტორინგს;
3. პლასტმასისა ან ლითონის შემცვლელი ნაკეთობების დამზადებას;
4. პლასტმასისა და ლითონის ნაწილების შეერთებას;

5. წესებით, მაგალითებითა და სხვა საზომი ხელსაწყოებით შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეფექტების შეფასებას;
6. ნახმარი ხელსაწყოების ხელით გამოცვლას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გამმართველი დაზგის ოპერატორი;
- საბურღი მანქანის ოპერატორი;
- მანქანის ხელსაწყოების ოპერატორი;
- მანქანის ხელსაწყოების დამყენებელი;
- მანქანის ხელსაწყოების დამყენებელ-ოპერატორი;
- ლითონის დამმუშავებელი;
- სახარატო დანადგარის ოპერატორი;
- ხელსაწყოების დამამზადებელი მანქანის ოპერატორი.

7224 ჯგუფური ერთეული
ლითონის მხეხავები, გამპრიალებლები და იარაღების მლესავები

მხეხავები, გამპრიალებლები და იარაღების მლესავები ხეხავენ და აპრიალებენ ლითონის ზედაპირებს, აგრეთვე, ლესავენ ხელსაწყოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სტაციონარული ან მოძრავი საპრიალებელი და სალესი მანქანების ამუშავებას;
2. სალესი ქვებით ან მექანიკური სალესი მანქანებით საჭრელი ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გალესვას;
3. საფეიქრო საჩეჩ მანქანებში ცილინდრების პირებისა და ლითონის კბილანების რემონტს, მორგებასა და გალესვას;
4. მახასიათებლების მიხედვით სალესი მაქანების ბორბლების გამართვას;
5. პრობლემების – მანქანების მუშაობის შეწყვეტისა და საჭირო ცვლილებების დასადგენად სამანქანე ოპერაციების შემოწმებას;
6. ზედაპირებისა და განზომილებების მახასიათებლებთან შესაბამისობის დასადგენად შესრულებული სამუშაოს შემოწმებასა და გაზომვას;
7. მახასიათებლების მიხედვით სალესი ბორბლების შერჩევასა და გაზომვას, აგრეთვე ხეხვისა და ლესვისას ხელსაწყოებისა და შესაბამისი ცოდნის გამოყენებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დანის მლესავი;
- ლითონის მომპირკეთებელი;
- ლითონის გამპრიალებელი;
- ხელსაწყოების მხეხავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ლითონის მომპირკეთებელი მანქანის ოპერატორები – 8122;
- ლითონის გამპრიალებელი მანქანის ოპერატორები – 8122.

723 მცირე ჯგუფი
მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები ძრავებს, ავტოტრანსპორტს, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მანქანებსა და მექანიკურ მოწყობილობებს აწყობენ, ამონტაჟებენ, ტექნიკურად უზრუნველყოფენ და არემონტებენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანა, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ძრავების, ავტოტრანსპორტის, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების აწყობას, დამონტაჟებას, ტექნიკურ უზრუნვეყოფასა და რემონტს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7231 ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები;
7232 საავიაციო ძრავების ინჟინერ-მექანიკოსები;
7233 სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების ინჟინერ-მექანიკოსები;
7234 მოტოციკლებისა და მსგავსი ტიპის ავტოტრანსპორტის შემკეთებლები.

შენიშვნა:

პროფესიები 8 ძირითად ჯგუფში – სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის სამუშაო გამოცდილებას. პროფესიები 9 ძირითად ჯგუფში – მარტივი პროფესიები იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა, უმნიშვნელო ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

7231 ჯგუფური ერთეული
ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები

ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები აწყობენ, ამონტაჟებენ, ტექნიკურად უზრუნველყოფენ და არემონტებენ ძრავების, მოტოციკლების, სამგზავრო მანქანების, გადასაზიდი საბარგო მანქანებისა და სხვა სახეობის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მექანიკურ და მსგავს მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მექანიკაში და მის ნაწილებში ხარვეზების შემოწმებასა და დიაგნოსტიკას;

2. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების ძრავების აწყობას, შემოწმებას, გამოცდასა და ტექნიკურ მომსახურებას;
3. ძრავის ან მისი ნაწილების გამოცვლას;
4. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებული ნაწილების აწყობას, შემოწმებას, რეგულირებას, დაშლას, აღდგენასა და შეცვლას;
5. ძრავებისა და მუხრუჭების დამონტაჟებასა და მორგებას, აგრეთვე ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების სამართავი ან სხვა ნაწილების დამონტაჟებას;
6. სატრანსპორტო საშუალებების სამართავი მოწყობილობების დამონტაჟებას, მორგებას, შეკეთებასა და გამოცვლას;
7. სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებლად მოძრაობისა და გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული რეგულაციების დასაცავად დაგეგმილი სამუშაოების (მაგ.: ზეთის გამოცვლის, გაპოხვის და აწყობის) შესრულებას;
8. შეკეთების შემდეგ მოწყობილობებისა და მისი ნაწილების აწყობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავტომუხრუჭების ტექნიკოსი;
- დიზელის ძრავის მექანიკოსი (საგზაო ტრანსპორტი);
- ძრავის მექანიკოსი (მოტორიანი ტრანსპორტი);
- პროფილაქტიკის მექანიკოსი;
- მოპედის შემკეთებელი;
- სპორტული ავტომობილის მექანიკოსი;
- სპორტული მოტოციკლის შემკეთებელი;
- ძრავიანი რიქშის შემკეთებელი;
- ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებისა და საწვავის სისტემის ტექნიკოსი;
- ძრავიანი ტრანსპორტის მექანიკოსი;
- ძრავიანი ტრანსპორტის სამართავი მოწყობილობების ტექნიკოსი;
- ძრავიანი ტრანსპორტის შემკეთებელი;
- ძრავიანი ტრანსპორტის მომსახურების ტექნიკოსი;
- მცირე ძრავის მექანიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ველოსიპედის შემკეთებელი – 7234;
- ავტომატური მოწყობილობების ელექტრიკოსი – 7412;
- ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსი – 7412;
- მანქანების ძრავის ამწყობი – 8211.

7232 ჯგუფური ერთეული
საფრენი აპარატების ინჟინერ-მექანიკოსები

საფრენი აპარატების ინჟინერ-მექანიკოსები აწყობენ, ტექნიკურად უზრუნველყოფენ, არემონტებენ და ამოწმებენ საავიაციო ძრავებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საავიაციო ძრავების აწყობას, დათვალიერებას, გამოცდასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას;
2. ძრავის ან მისი ნაწილების შეცვლას;
3. შესაძლო წინაღობის, ხვრელების, ბზარების, გაჟონვებისა და სხვა პრობლემების გამოსავლენად საფრენი აპარატის კორპუსისა და მისი ნაწილების, აგრეთვე დასაშვების მოწყობილობის, ჰიდრავლიკური სისტემისა და თოვლის მომშორებლების შემოწმებას;
4. საავიაციო მოწყობილობის სტრუქტურული, მექანიკური და ჰიდრავლიკური მდგომარეობის შემოწმებას, შეკეთებას, დეტალურ გასინჯვას, მოდიფიცირებასა და გამოცდას;
5. დაზიანებული ნაწილების შეკეთების მეთოდებისა და გზების დასადგენ-განსასაზღვრად სახელმძღვანელოების, ბიულეტენებისა და სხვა მახასიათებლების წაკითხვასა და თარგმნას;
6. საავიაციო მოწყობილობების, მისი ფუნქციონალური და ისეთი ნაწილების (მაგ.: ფრთების, ფუზელაჟის, სამართი მოწყობილობის, ჰიდრავლიკური ერთეულების, ჟანგბადის სისტემების, ელექტრული სისტემების, შუასადებისა და ლუქის) შენარჩუნებას, შეკეთებასა და აღდგენას;
7. საავიაციო მოწყობილობის სტანდარტებთან შესაბამისობისა და ასაფრენად მზადყოფნის დასადგენად შემოწმებას;
8. შეკეთებების დღიურის წარმოებას, ყველა სახეობის პრევენციული და გამოსასწორებელი სამუშაოების აღრიცხვას;
9. საავიაციო მოწყობილობაში ელექტრული და ელექტრონული კომპონენტების, ნაერთებისა და სისტემების დამონტაჟებასა და შემოწმებას;
10. საავიაციო მოწყობილობასთან რადიოსისტემების, ინსტრუმენტების, მაგნიტების, ინვერტერებისა და საწვავით ავტოშემავსებელი სისტემების მიერთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აერომექანიკოსი;
- საავიაციო ძრავების მოწყობილობის მონტიორი მემონტაჟე;
- საავიაციო მოწყობილობის ინჟინერ-ტექნიკოსი (საფრენი აპარატის კორპუსის);
- საავიაციო მოწყობილობის ინჟინერ-ტექნიკოსი (ძრავის);
- საავიაციო მოწყობილობის ტექნიკოს-ზედამხედველი;
- საავიაციო მოწყობილობის მექანიკოსი;
- საავიაციო მოწყობილობის აღმდგენი;
- საავიაციო მოწყობილობის ტექნიკოსი;
- საავიაციო მოწყობოლობის კორპუსისა და ელექტროსადგურის მექანიკოსი;
- საავიაციო მოწყობილობის კორპუსის მექანიკოსი;
- ავიაციის ტექნიკოსი;
- ვერტმფრენის მექანიკოსი;
- რეაქტიული საჰაერო ხომალდის მექანიკოსი;
- პნევმოდრავლიკური სისტემების მექანიკოსი (საავიაციო მოწყობილობაში);

- ელექტროსადგურის მექანიკოსი (საავიაციო მოწყობილობაში);
- რაკეტების ინჟინერ-ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- აერონავტიკული ინჟინერი – 2144;
- საავიაციო მოწყობილობის ინჟინერ-ტექნიკოსი (ავიონიკის) – 7421;
- ავიონიკის ტექნიკოსები – 7421;
- საავიაციო ხომალდის ამწყობი – 8211.

7233 ჯგუფური ერთეული
სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების ინჟინერ-მექანიკოსები

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები/ინჟინერ-მექანიკოსები აწყობენ, ამონტაჟებენ, ამოწმებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ ძრავებს (გარდა ავტომანქანებისა და საავიაციო ძრავებისა), სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მანქანებსა და მექანიკურ მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. ძრავების, მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების აწყობას, დამონტაჟებას, შემოწმებას, ტექნიკურ უზრუნველყოფასა და რემონტს;
2. სტაციონარული ძრავების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზეთვასა და გაპოხვას;
3. სტანდარტებთან და ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად ახალი მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების შემოწმებასა და გამოცდას;
4. ნაწილების მოსაშორებლად და რემონტისთვის მანქანებისა და მოწყობილობების დაშლას;
5. დაზიანების (მაგ.: გატეხვისა და გადაჭარბებული მოხმარების) აღმოსაჩენად ნაწილების შემოწმებას;
6. ახალგარემონტებული მანქანებისა და მოწყობილობების მუშაობის ადეკვატურობის შემოწმებას;
7. რემონტებისა და შესრულებული სამუშაოების ჩანაწერების გაკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- მანქანების ამწყობ-მექანიკოსი;
- მანქანების ამწყობ-შემკეთებელი;
- ფერმის მანქანის შემკეთებელი;
- შახტის მოწყობილობების მემონტაჟე;
- შახტის მოწყობილობების შემკეთებელი;
- სტაციონარული სისტემების მემონტაჟე;
- სტაციონარული სისტემების შემკეთებელი;
- მატარებლის ძრავების მემონტაჟე;
- მატარებლის ძრავების შემკეთებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ჰაერის კონდიცირებისა და გაგრილების სისტემების მექანიკოსები – 7127;
- ელექტრომოწყობილობების მექანიკოსები – 7412;
- მანქანების ინჟინერ-მექანიკოსები – 8211.

7234 ჯგუფური ერთეული
მოტოციკლებისა და მსგავსი ტიპის ავტოტრანსპორტის შემკეთებლები

მოტოციკლებისა და მსგავსი ტიპის ავტოტრანსპორტის შემკეთებლები აწყობენ, ამონტაჟებენ, ტექნიკურად უზრუნველყოფენ და არემონტებენ ძრავებს, მოტოციკლების, სამგზავრო და სატვირთო მანქანებისა და სხვა სახეობის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მექანიკურ და მსგავს მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მოტოციკლებისა და სხვა არამოტორიზებული ავტოტრანსპორტის შემოწმებას, მომსახურებასა და შეკეთებას;
2. სატერფული და სხვა მოძრავი ნაწილების გაწმენდასა და გაპოხვას;
3. მუხრუჭების, კბილანების, მოძრავი ჯაჭვის, ბორბლებისა და სახელურების გამოცვლასა და შეკეთებას;
4. ბორბლების გამოცვლასა და მათში ჰაერის წნევის კონტროლს;
5. ჩარჩოების დამტვერიანებით შეღებვას;
6. ახალი მოტოციკლების, ეტლებისა და სხვა მსგავსი ტიპის ავტოტრანსპორტის შეგროვებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ველოსიპედის მექანიკოსი;
- ველოსიპედის შემკეთებელი;
- საბავშვო ეტლის შემკეთებელი;
- ბორბლებიანი ეტლის შემკეთებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მოპედის შემკეთებელი – 7231;
- ძრავიანი რიქშის მექანიკოსი – 7231.

73 ქვეჯგუფი
ხელოსნები და მბეჭდავები

ხელოსნები და მბეჭდავები აერთიანებენ მხატვრულ და სახელმძღვანელო უნარებს, რათა შექმნან, მოუარონ და მორთონ სიზუსტის ინსტრუმენტები, მუსიკალური ინსტრუმენტები, საიუველირო ნაკეთობები და სხვა ძვირფასი ლითონები, თუნუქის, ფაიფურისა და შუში ნაკეთობები, ხისა ან ტექსტილისგან, ტყავისა ან მონათესავე მასალისგან დამზადებული საგნები, აგრეთვე, ნაბეჭდი პროდუქცია – წიგნები, გაზეთები და ჟურნალები. გრავირების, შედუღების, აწყობის, ქსოვისა და სხვა საგნების დეკორაციისათვის ისინი იყენებენ ტრადიციულ ან/და ბოლო დროს განვითარებულ ტექნოლოგიებს; ბეჭდვამდე ადგენენ და ქმნიან პროდუქციას; არეგულირებენ და იყენებენ ბეჭდვის პარამეტრებს; კინძავენ და საბოლოო სახეს აძლევენ ამობეჭდილ პროდუქციას; ამზადებენ თარგებს და იყენებენ საბეჭდ დანადგარებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

სამუშაო შესაძლებელია, შესრულდეს ხელით ან ელექტრო ხელსაწყოებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხელით აწყობილი მექანიკური ხელსაწყოებით. აღნიშნული მოვალეობების შესრულება მოითხოვს სამუშაოს ორგანიზების, მასალების, გამოყენებული ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქტის ხასიათისა და მიზნის ცოდნას.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: საზღვაო, მეტეოროლოგიური, ოპტიკური და სხვა სიზუსტის ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების შექმნა-შეკეთებას; მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნა-შეკეთებას; საიუველირო ნაწარმისა და ძვირფასი ლითონის ნაკეთობების შექმნა-შეკეთებას; თუნუქის, ფაიფურის, კერამიკისა და შუშის ნაკეთობების შექმნას; სხვადასხვა საგნების მოხატვა-დეკორაციას; ხის ან ტექსტილის, ტყავისა და სხვა მასალებისგან დამზადებული პროდუქციის წარმოებას; წიგნის ბეჭდვასა თუ აკინძვას; შესაძლებელია, სამუშაო აგრეთვე, მოიცავდეს სხვა მუშაკების ზედამხედველობას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

731 ხელოსნები;

732 პოლიგრაფისტები.

731 მცირე ჯგუფი
ხელოსნები

ხელოსნები აერთიანებენ სიზუსტის განმსაზღვრელი ხელსაწყოების, მუსიკალური ინსტრუმენტების, საიუველირო ნაკეთობებისა და სხვა ძვირფასი ლითონების, თუნუქისა და ფაიფურის ნაკეთობების შექმნის, შეკეთების, მოწესრიგების, მოვლისა და მორთვის მხატვრულ და სახელმძღვანელო უნარებს. შუშის, კერამიკის, ტექსტილის, ჩალის, ქვის, ხისა და ტყავის მასალების გრავირებისთვის, შედუღებისთვის, აწყობისთვის, ქსოვისა და დეკორაციისთვის იყენებენ ტრადიციულ ან/და ბოლო დროს განვითარებულ ტექნოლოგიებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სიზუსტის განმსაზღვრელი ხელსაწყოების შექმნას, დაყალიბებას, შეკეთებას, მოვლა-შენახვასა და დამონტაჟებას; საიუველირო, სადღესასწაულო ან რელიგიური ნივთების, ოქროს, ვერცხლის ნაწარმისა და ძვირფასი ლითონის ნაკეთობებისა ან ქვების შექმნას, მორგებას, შეკეთებასა ან ფასის დადგენას; ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვების, მათ შორის, მარგალიტებისა და ბრილიანტების გრავირებას, ამოვსებას, გაპრიალებასა და დაკომპლექტებას, აგრეთვე, საიუველირო ნაწარმსა და ძვირფასი ლითონის ნივთებზე გრავირებას; თუნუქის, ფაიფურის, სანიტარული ნაკეთობების, აგურების, ფილებისა და აბრაზიული დისკების ხელით ან დანადგარებით მომზადებას; შუშის ღუმელში დამუშავებას, შედუღებას, დაპრესვას, ჭრას, გასწორებას, გალესვასა და გაპრიალებას, ან თარგის მიხედვით მდნარი შუშისთვის ფორმის მიცემას; ხის, ლითონის, ტექსტილის, შუშის, კერამიკისა და სხვა მასალებისგან დამზადებული ნივთების დეკორაციას, აგრეთვე, ნიშნების გასაკეთებლად ასოების, ფიგურების, მონოგრამებისა და დიზაინის დაგეგმვას, განლაგებასა და მოხატვას; ტრადიციული ტექნოლოგიებით ხის, ჩალის, როტანგას, ლერწმის, ქვის, თიხის, რიყისა და სხვა მასალების მოსამზადებლად მორთვასა ან გაჟღენთვას; სხვადასხვა ნივთებზე ამოტვიფრვას, მათ შედუღაბებას, აწყობას, ქსოვას, აგრეთვე პირადი ან საოჯახო გამოყენებისა ან დეკორაციისთვის მათ მოხატვას; მოწნული ავეჯის, ცოცხებისა და ჯაგრისების დასამზადებლად მასალების მომზადებას, აგრეთვე, სხვადასხვა სახეობის კალათების დაწვნას; ქსოვილების, ტრიკოტაჟის, ნაქარგისა და სხვა ტანსაცმლისა და სახლის ნივთების საწარმოებლად ტრადიციული ტექნოლოგიებისა და თარგების გამოყენებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7311 სიზუსტის განმსაზღვრელი ინსტრუმენტების დამამზადებელ-შემკეთებლები;
7312 მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელ-ამწყობები;
7313 იუველირი;
7314 მეთუნუქეები და მონათესავე პროფესიის მუშები;
7315 მეშუშეები, მეჩუქურთმეები, მლესავები და მლაქავები;
7316 პოსტერებისა და დეკორატიული ხატვის ოსტატები, გრავიორები და გრავერები;
7317 ხეზე, მოწნულ ნაწარმსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები;
7318 ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები;
7319 ხელოსნები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას/სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ხელოსნები.

7311 ჯგუფური ერთეული
სიზუსტის განმსაზღვრელი ინსტრუმენტების დამამზადებელ-შემკეთებლები

სიზუსტის განმსაზღვრელი ხელსაწყოების დამამზადებლები და შემკეთებლები ქმნიან, აყალიბებენ, აკეთებენ, უვლიან, აწესრიგებენ და ამონტაჟებენ მექანიკურ და ხელის საათებს, საზღვაო, მეტეოროლოგიურ, ოპტიკურ და სხვა სიზუსტის ხელსაწყოებსა და მოწყობილობებს, აგრეთვე, უზრუნველყოფენ მათ გამართულ მუშაობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დროის ხელსაწყოების (მაგ.: ხელის საათებისა და საათების მექანიზმების) შეკეთებას, გაწმენდასა და მორგება-მოწესრიგებას;
2. კარაკინით, საათის კურსის ჩამწერითა და პინცეტით დროის რეგულატორების მოწესრიგებას;
3. ხსნარებითა და ულტრასონოგრაფიული ან მექანიკური საგნების სამწმენდი დანადგარებით საათის ნაწილების გაწმენდას, გარეცხვასა და გაშრობას;
4. საზომებითა და სხვა ელექტრონული ინსტრუმენტებით საათების მუშაობის სიზუსტის შემოწმებას;
5. დეფექტური კომპონენტების მოსათავსებლად და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად საზომების, ყალიბების, ინდიკატორებისა თუ სხვა ჩამწერი ან მაკონტროლებელი ხელსაწყოების ტესტირებას;
6. ხელსაწყოებითა და კომპიუტერული ან ელექტრონული მოწყობილობებით ინსტრუმენტების ან საზომების შემოწმებას;
7. დეფექტების დასადგენად კომპონენტების, კავშირებისა და წამყვანი მექანიზმების შემოწმებას;
8. ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების (მაგ.: ბარომეტრების, მაკონტროლებელი სარქველების, გიროსკოპების, ჰიგრომეტრების, სპიდომეტრების, ტახომეტრებისა და თერმოსტატების) აწყობას;
9. მახასიათებლებსა და სქემატურ დიაგრამებთან შესაბამისობაში, ვოლტმეტრების, ოსცილოსკოპების, მილის ტესტერებისა და შემოწმების სხვა ინსტრუმენტებით ელექტრონული, ვერცხლისწყლის, ანეროიდული და სხვა ტიპის მეტეოროლოგიური ინსტრუმენტების ტესტირებას, შემოწმებასა და მორგებას;
10. ანძების, სამაგრი სტრუქტურების, ნათურების, მაკონტროლებელი პანელებისა და კაბელებისა, აგრეთვე სხვა ელექტრონული და მექანიკური დანადგარების მორგება-შეკეთებას;
11. ოპტიკური ინსტრუმენტების (მაგ.: მიკროსკოპების, ტელესკოპების, თეოდოლიტებისა და სექსტანტების) შეკეთება-დამონტაჟებას;
12. დადგენილ მახასიათებლებთან შესაბამისობაში სათანადო მუშაობისა და მგრძნობელობის უზრუნველსაყოფად სტანდარტული ტესტებით აწყობილი ერთეულების შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეტეოროლოგიური ხელსაწყოების დამამზადებელი;
- ფოტოგრაფიული მოწყობილობების შემკეთებელი;
- ქირურგიული იარაღების დამამზადებელი;
- საათების დამამზადებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ორთოპედიული იარაღების დამამზადებელი – 3214;
- ზეინკალი – 7222;
- მანქანის ხელსაწყოების ოპერატორი – 7223;
- საათის ამწყობი – 8212.

7312 ჯგუფური ერთეული
მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელ-ამწყობები

მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელ-ამწყობები ხელი ან ელექტრონული ხელსაწყოებით აკეთებენ, აწყობენ, არემონტებენ, აწესრიგებენ და აღადგენენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, აგრეთვე უზრუნველყოფენ მათ სიზუსტეს. ისინი, როგორც წესი, ფლობენ რომელიმე სახეობის: პიანინოს, სიმებიან, საკრავებიან, ჩასაბერ ან დასარტყამ – ინსტრუმენტს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მუსიკალური ინსტრუმენტებისა და მათი ხის, ებონიტის, ლითონის, ტყავისა და სხვა მასალებისგან დამზადებული ნაწილების დამზადება-აწყობას;
2. ხელისა და ელექტრონული ხელსაწყოებით მუსიკალური ინსტრუმენტების ნაწილებისა და კომპონენტების (მაგ.: სიმების, ხიდების, თექისა და გასაღებების) შეკეთება-გამოცვლას;
3. ხმის ხარისხის შესაფასებლად და დეფექტების აღმოსაჩენად ინსტრუმენტების დაკვრასა და შემოწმებას;
4. სიმების დაჭიმვა-დარეგულირებით ინსტრუმენტის სათანადო ტონისა და ბგერის მიღწევას;
5. ხვრელში ჰაერის მოძრაობისა და ხმის სიმძლავრის დასარეგულირებლად ჩასაბერი ინსტრუმენტების პირის, ტანისა თუ თითის დასაჭერი ხვრელების ხელსაწყოებით მორგებას;
6. სიმების სათანადო ტონალობაზე აწყობასა და შეკეთებას;
7. დასარტყამ ინსტრუმენტებზე ახალი ზედაპირის მორგებას;
8. სმენით აკორდეონების ტონალობის აწყობას;
9. დასაკრავ ან ჩასაბერ ინსტრუმენტებზე ბალიშებისა და გასაღებების მორგებას;
10. ტყავის ნაწილების სათავესა ან ინსტრუმენტის ორივე ბოლოში დამაგრებით, მოჭერით ან მოშვებით დასარტყამი ინსტრუმენტების საჭირო ტონალობაზე აწყობას;
11. შენობებში ორღანის ახალი მილებისა და პიანინოების აწყობა-დამონტაჟებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჩასაბერი ინსტრუმენტების შემკეთებელი;
- პიანინოს ამწყობი;
- სიმებიანი ინსტრუმენტის დამამზადებელი;
- დამამზადებელი.

7313 ჯგუფური ერთეული
იუველირი

იუველირები ქმნან, აკეთებენ, არგებენ, არემონტებენ ან ადგენენ საიუველირო ნაწარმის, სადღესასწაულო ან რელიგიური ნივთების, ოქროს, ვერცხლის, სხვა ძვირფასი ლითონებისა და ქვების ფასს; ჭრიან, ასუფთავებენ, აპრიალებენ და ადგენენ ძვირფას და ნახევრადძვირფას ქვებს, მარგალიტებისა და ბრილიანტების ჩათვლით; საიუველირო ნაწარმსა და ძვირფასი ლითონის ნივთებზე ტვიფრავენ სხვადასხვა დიზაინის ფორმებს; ინდუსტრიული მიზნებისთვის ჭრიან და ასუფთავებენ ბრილიანტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საიუველირო ნაწარმისა და სხვა ფერადი ლითონის ნივთების ხელით ჩამოსხმას;
2. ახალი საიუველირო ნაწარმის დიზაინების შექმნასა და საჭიროების შემთხვევაში არსებული დიზაინის კომპიუტერით მოდიფიცირებას;
3. ლითონისა და საიუველირო პროდუქციის წარმოების მოდელების ან სხვა მასალების ყალიბში ჩამოსხმას;
4. ბუდეში მოსარგებად საიუველირო ნაკეთობების ფორმის შეცვლას ან შეკეთებას;
5. დიზაინისა თუ ინსტრუქციის მიხედვით ძველი საიუველირო ნაწარმის ან ძვირფასი ლითონის ნაკეთობების შეკეთებას, ფორმისა და სტილის შეცვლას;
6. დასრულებული საიუველირო ნივთების (მაგ.: ბეჭდების, ყელსაბამების, სამაჯურებისა და ბროშები/გულსაბნევების) ოქროსგან, ვერცხლისგან, პლატინისა და ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვებისგან გაკეთებას;
7. იშვიათი სახეობის ქვების იდენტიფიცირებისთვის, ქვების განსასხვავებლად, ან ძვირფასი ქვების ღირებულებაზე ზეგამვლენი დეფექტებისა თუ მახასიათებლების დასადგენად აპოლარისკოპებით, რეფრაქტომეტრებით, მიკროსკოპებითა და სხვა ოპტიკური ინსტრუმენტებით ძვირფასი ქვის ზედაპირისა და შიდა ნაწილის შემოწმებას;
8. ძვირფასი ქვების ჭრასა და გაპრიალებას, აგრეთვე საიუველირო ნივთებში მათ ჩასმას;
9. საიუველირო ნაწარმსა და ძვირფასი ლითონის ნაკეთობებზე ასოების, ნახატებისა თუ დეკორატიული ხაზების ამოტვიფრვას;
10. სიზუსტის ხელსაწყოების (მაგ.: კომპასებსა და ქრონომეტრებში) გამოსაყენებლად საიუველირო ნაწარმის გაპრიალებას, გახვრეტასა და მისთვის საბოლოო სახეობის მიცემას;
11. გამადიდებელი შუშებით ან სიზუსტის საზომი ხელსაწყოებით აწყობილი ან დასრულებული პროდუქტების შემოწმებასა და მათი მახასიათებლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მინანქრის სპეციალისტი;
- ძვირფასი ქვების ჩამსმელი;
- ოქრომჭედელი;
- იუველირი;
- ვერცხლმჭედელი.

7314 ჯგუფური ერთეული
მეთუნუქეები და მონათესავე პროფესიის მუშები

მეთუნუქეები და მონათესავე პროფესიის მუშები ხელით ან მანქანით ამზადებენ თუნუქისს და ფაიფურის სანიტარულ ნივთებს, აგურებს, ფილებს და აბრაზიულ დისკებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. თუნუქისა და ფაიფურის ნივთების გაკეთებას;
2. თიხის ან თაბაშირის თარგების გაკეთებას;
3. მომხმარებელთა მოთხოვნების შესასწავლად ტექნიკური ნახაზების კითხვას;
4. ნივთების დასამზადებლად თიხის დანადგარზე ხელის შესაბამისი მოძრაობით თიხისთვის სასურველი ფორმისა და ზომის მიცემას;
5. თიხის ჭურჭლის კედელის გათხელება-გასქელების მიხედვით დანადგარის სისწრაფის დარეგულირებას;
6. კერამიკული ნაწარმის: თასების, ფინჯნების, თეფშების და ლამბაქების – ფორმირებისთვის შესაბამისი მანქანების ამოქმედებას;
7. თიხის ასარევად, დასაჭრელად და მისი ნარჩენების გამოსადევნად თიხის დასამუშავებელი დანადგარის მოწესრიგებასა და მისი პარამეტრების დარეგულირებას;
8. რეზინის სახეხებითა და სველი ღრუბლით დასრულებული ნაწარმის გასწორება-გაპრიალებას;
9. ხელით ან მანქანით, აბრაზული ნაერთების შედუღებითა და დაპრესვით აბრაზული დისკების შექმნას;
10. კარაკინითა და ნიმუშებით დასრულებული ნაწარმის დეფექტების აღმოსაჩენად ნივთების ფორმებისა და ზომების სისწორის გადამოწმება;
11. გასაყიდი თუ საგამოფენო სამუშაოების ჩატარებას, აგრეთვე, გაყიდვასა და გამოფენაზე წარდგენაში დასამარებლად საცალო გაყიდვების დაწესებულებებთან, მეთუნუქეების, ხელოვნებისა და რესურსების ქსელის წარმომადგენლებთან ურთიერთობების შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აბრაზული დისკების შემდუღებელი;
- აგურისა და კრამიტის გამომწველი;
- მეთუნუქე;
- თუნუქისა და ფაიფურის ოსტატი;
- თუნუქისა და ფაიფურის მოდელების დამამზადებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კერამიკოსი – 2651;
- აგურის გამომწველი (აგურისა და კრამიტი) – 8181;
- აგურის გამომწველი (თუნუქისა და ფაიფურის) – 8181.

7315 ჯგუფური ერთეული
მეშუშეები, მეჩუქურთმეები, მლესავები და მლაქავები

მეშუშეები მეჩუქურთმეები, მლესავები და მლაქავები ამუშავებენ, ადუღებენ, პრესავენ, ჭრიან, ასწორებენ, ლესავენ და აპრიალებენ შუშას, აგრეთვე მდნარ შუშას ნიმუშის მიხედვით აძლევენ ფორმას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ბუნებრივი აირის ორთქლით ან ღუმელით მოქნილ მდგომარეობამდე შუშის გაცხელებას;
2. შუშის დამუშავებას, მოღუნვასა და მათთვის სამეცნიერო დანადგარების (მაგ.: მათარების, რეტორტებისა და პიპეტების) ფორმის მიცემას;
3. გასასწორებელი და გასაპრიალებელი დანადგარებით დეფექტებისა და კუთხეების გასასწორებლად შუშის ნივთების ან ნაწილების გალესვა-გაპრიალებას;
4. შუშის დასრულებული ნაწარმის შემოწმებას და ისეთი დეფექტიანი (მაგ.: წერტილებიანი, ლაქებიანი, დაღებიანი, კორძებიანი, ნახვრეტებიანი, ნაფხაჭნებიანი ან მიუღებელ ფორმებიანი) ნივთების მონიშვნას ან აღმოფხვრას;
5. განზომილებების, გაჭრის ადგილებისა და რაოდენობის განსასაზღვრად სამუშაო წესების წაკითხვას;
6. კონკრეტული დამუშავების პროცესის შესამოწმებლად და შესაბამისი შესწორებების შესატანად საზომების, კომპიუტერიდან ამობეჭდილი მასალებისა და ვიდეომონიტორების დაკვირვებას;
7. თარგებისა თუ ნახაზების შუშაზე მორგებას, განზომილებების დადგენას, მოსაჭრელი ხაზების მონიშვნასა და თარგზე მინიშნებულის მიხედვით შუშის საჭრელი ხელსაწყოებით აღნიშნული ხაზების გასწვრივ გაჭრას;
8. კომპიუტერიზებული ან რობოტექნიკური შუშის საჭრელი დანადგარის აწყობას, ამუშავებასა და მორგებას;
9. მოთხოვნებთან შესაბამისობაში მიკრომეტრებით, კარაკინებით, გამადიდებლებითა და სახაზავებით პროდუქციის ინსპექტირებას, აწონვასა და გაზომვას;
10. დასამუშავებელი შუშის ტიპის მიხედვით ღუმელის ტემპერატურის რეგულირებას;
11. კონკრეტული ვიტრაჟებიანი შუშის ფანქრით შესრულებული ნიმუშის ნახატიდან თარგზე გადატანას;
12. სარკისებრი ზედაპირის მისაღებად სპეციალური თოფებით შუშაზე ვერცხლის ხსნარის შესხმას;
13. კონკრეტულ ზომამდე ოპტიკური და სხვა შუშის ნაკეთობების ჭრა-ლესვას და ლინზებად და საათის კრისტალებად გამოსაყენებლად მათ შედუღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- შუშის დამამზადებელი;
- შუშის მჭრელი;
- შუშის დამმუშავებელი;

- შუშის გამპრიალებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- შუშის მწრთობელი – 8181.

7316 ჯგუფური ერთეული
პოსტერებისა და დეკორატიული ხატვის ოსტატები, გრავიორები და გრავერები

პოსტერებისა და დეკორატიული ხატვის ოსტატები, გრავიორები და გრავერები აკეთებენ ხის, ლითონის, ტექსტილის, შუშის, კერამიკისა და სხვა მასალებისგან დამზადებული ლითონების დეკორაციას. ისინი გეგმავენ, ალაგებენ და ხატავენ ასოებს, ფიგურებს, მონოგრამებსა და ნიშნების გასაკეთებელ ნახაზებს, აგრეთვე შუშასა და სხვა ნივთებზე ტვიფრავენ და კვეთენ ორნამენტებსა და მცენარეული დიზაინის ფორმებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. თუნუქზე, შუშაზე, სიგარეტის ჩასადებებსა ან ნათურის სადგამებზე დეკორატიული თავისუფალი დიზაინის ფორმების მოხატვას;
2. დეკორატიული ან ორნამენტული ნახაზების ქაღალდიდან ნივთებზე გადატანას;
3. სასურველი ეფექტის მისაღწევად ვიზუალური ელემენტების (მაგ.: ხაზის, სივრცის, მასის, ფერისა და პერსპექტივის) ინტეგრირებასა და განვითარებას, აგრეთვე ემოციებისა თუ ხასიათის ილუსტრირებას;
4. ნიშნების გასაკეთებლად ერთ ან რამდენიმე ენის ასოების, ფიგურების, მონოგრამებისა და მონახაზების ხატვას;
5. ნიმუშებისა თუ თარგების მოსამზადებლად სამუშაო ნივთებსა ან ნიმუშებზე სკეტჩების ან სხვადასხვა ფორმისა ან ასოების დატანას;
6. ნიშნებზე, შუშის ნაკეთობებზე, თუნუქისა თუ ცინკის ლამბაქებზე დასატანად ნიმუშებისა ან ასოების შექმნას;
7. სამგანზომილებიანი ამოტვიფრული ფორმის სურათების შესაქმნელად, დიდი ზომის ნიშნულებზე დასატანად, აგრეთვე, შიდა ნიშნებზე გრავირებისთვის კომპიუტერული პროგრამებისა და დანადგარების გამოყენებას;
8. სწორად გამოჭრილი ან დაჩრდილული ასოების, ან გამოსაყენებლად დამზადებული გამოსაჭრელი ასოების დიზაინის შემუშავებასა და წარმოებას;
9. გამოფენის ან სხვა მიზნებისთვის ნიშნების ან საჩვენებელი ბარათების წერას, ხატვასა ან ბეჭდვას;
10. დაფიდან ან ბარათიდან, ხელით ან მანქანით(მაგ.: ხერხით ან დაზგით) გამოფენისთვის ასოებისა და ნიშნების ამოჭრას;
11. ნახაზის სამუშაო ნივთზე გრავირების გადასაწყვეტად სკეტჩების, დიაგრამების, ნიმუშების, პროექტების ან ფოტოების შემოწმებას;
12. ამოსატვიფრი ასოების, ნახაზების ან ნიმუშების გაზომვასა და მათი კომპიუტერული განზომილებების დადგენას;
13. სხვადასხვა ტიპის ლითონის, შუშის, თაბაშირის ან კერამიკის ნივთების სწორ ან მრუდ ზედაპირზე ნიმუშების, ორნამენტული ნახაზების, გრავიურების, სავაჭრო მარკების, ფიგურების ან ასოების ამოტვიფრვასა და ბეჭდვას;

14. დეკორატიული ნახაზების, ნიშნულების და სხვა ფიგურების შუშის ნაკეთობებზე ამოჭრას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მხატვარ-დეკორატორი;
- შუშის მემინანქრე;
- შუშის გრავიუერი;
- შუშის გრავერი;
- პოსტერების მხატვარი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- შენობის მხატვარი – 7131;
- წარმოებული ნივთების მხატვარი – 7132;
- სატრანსპორტო საშუალების მხატვარი – 7132;
- კერამიკაზე სახატავი მანქანის ოპერატორი – 8181;
- შუშაზე სახატავი მანქანის ოპერატორი – 8181.

7317 ჯგუფური ერთეული
ხეზე, მოწნულ ნაწარმსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები

ხეზე, მოწნულ ნაწარმსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები პირადი, საოჯახო ან დეკორაციული მიზნებისთვის ტრადიციული ტექნოლოგიებით რთავენ ან ჟღენთავენ ხეს, ჩალას, როტანგს, ლერწამს, თიხას, ქერქსა და სხვა მასალებს, აგრეთვე ტვიფრავენ, ადუღებენ, აწყობენ, ქსოვენ, ხატავენ და დეკორაციულად აწყობენ სხვადასხვა ნივთს. კალათების მწვნელები, ჯაგრისების გამკეთებლები და მონათესავე ტიპის ოსტატები მოწნული ავეჯის, ჯაგრისებისა და ცოცხების დასამზადებლად და სხვადასხვა ტიპის კალათების დასაწნავად არჩევენ და ამზადებენ ჯაგარს, ნეილონს, ბოჭკოს, ქორჭილას, ბეწვსა და მავთულს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხის, ჩალის, როტანგის, ლერწმის, ქერქისა და მსგავსი მასალების დამზადებას;
2. ხის ზედაპირებზე დეკორატისთვის მცენარეული და მხატვრული ნაზახების ამოტვიფვრა;
3. შუშის, თუნუქის ან ფაიფურის ნაწარმზე თავისუფალი დეკორატიული ნახაზების მოხატვას;
4. პირადი ან საოჯახო გამოყენებისთვის სხვადასხვა ტიპის ნივთების (მაგ.: სალათის თასების, კოვზების, საჭრელი დაფების, ლანგრების, ვაზების, დოქების, კალათების, ჩალის ქუდების, ჩალის ჭილობებისა და მსგავსი ნივთების) კვეთას, აწყობას, ქსოვას, მოხატვასა და გაფორმებას;
5. სხვადასხვა დეკორატიული ნივთების (მაგ.: სტატუებისა და სკულპტურების, ჭადრაკის ფიგურების, საიუველირო ნაწარმისა და მსგავსი ნივთების) ამოტვიფრვას, აწყობას, ქსოვასა და მოხატვას;

6. გაფრცქვნილი და რბილი როტანგის, ლერწმის, ლელიანის, ტირიფისა და მსგავსი მასალებისგან მოწნული ავეჯის დამზადებას;
7. ტირიფის წნელის, როტანგის, ლერწმის, ლელიისა და მსგავსი მასალებისგან სხვადასხვა ტიპის კალათების დაწვნას;
8. როტანგის ტოტების, ხის ფანერებისა თუ სხვა მასალებისგან გარშემო ტირიფით მოწნული კალათების ძირის მოწვნას;
9. ჯაგრისის მასალების (მაგ.: ჯაგრის, ნეილონის, ბოჭკოსა და მავთულის) შერჩევა-დამზადებასს და მათ ჯაგრისის ფუძედ გამოყენებას;
10. ცოცხისთვის მასალების (მაგ.: ცოცხი ღეროს, ქორჭილას, ბეწვისა და ბოჭკოს) შერჩევა-მომზადებასა და მათ მის ტარზე მიმაგრებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კალათების მწვნელი;
- ჯაგრისების დამამზადებელი;
- ლერწმის მქსოველი;
- წნელის ავეჯის დამამზადებელი;
- ხის ნივთების დამამზადებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მანქანის ოპერატორი (ხის პროდუქტების) – 7523.

7318 ჯგუფური ერთეული
ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები

ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოჯახრში გამოსაყენებლად იოსტატები ტრადიციულ ტექნოლოგიებსა და ნიმუშების გამოყენებით აწარმოებენ ნაქსოვ ბოჭკოებს, ქსოვილებს, ნაქარგობებსა და სხვა ნივთებს, აგრეთვე ტრადიციულ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ჩანთებს, ქამრებსა და სხვა აქსესუარებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შალის, ბამბისა და სხვა ბოჭკოების დართვასა და ბუნებრივი საღებავებით ღებვას;
2. ოჯახში გამოსაყენებლად მაქმანების მოქარგვას, ქსოვას, კერვასა ან ტანსაცმელსა და სხვადასხვა ნივთზე ქარგვას;
3. ტყავის მომზადებასა და ბუნებრივი საღებავებით შეღებვას, აგრეთვე ტრადიციული ფეხსაცმლის, ჩანთების, ქამრებისა და სხვა აქსესუარების დამზადებას;
4. ბაწრის ხელით დართვასა და დახვევას;
5. ძაფით ხელით ქსოვას;
6. უბრალო ან ორნამენტებიანი ტანსაცმლის, გობელენის, მაქმანის, ხალიჩების ან სხვა სახეობის ნაწარმის ხელით ქსოვას;
7. გაკვანძვის ტექნიკით ხალიჩების ქსოვას;

8. ხელით ან ხელის დაზგაზე ტანსაცმლის ან სხვა ნივთების ქსოვას;
9. ყაისნაღით ქსოვა ან ხელით დაწვნას;
10. ხელით ქსელების გაკეთებას;
11. ბუნებრივი ტექსტილის ბოჭკოების დახარისხებას;
12. შალის ბოჭკოების რეცხვას;
13. ტექსტილის ბოჭკოების წმენდა და აფუებას;
14. ბოჭკოს ნაჭრებად გადაქცევასა და მათ შეერთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ხელით ხალიჩების მქსოველი;
- ხალიჩების მქსოველი;
- ტანსაცმლის მქსოველი;
- მქსოველი;
- ტყავზე მომუშავე;
- საქსოვი დაზგის ოსტატი;
- ტექსტილის ბოჭკოს მჩეჩავი;
- ტექსტილის ბოჭკოს მხაზველი;
- ტექსტილზე ხელით მომუშავე;
- ძაფის და ნართის მრთველი;
- მატყლისა და თექის დამუშავება.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტექსტილის ბოჭკოს მჩეჩავი მანქანის ოპერატორი – 8151;
- საკერავი მანქანის ოპერატორი – 8152;
- საქსოვი დაზგის ოპერატორი – 8152.

7319 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ხელოსნები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული აერთიანებს ტრადიციულ ხელობის ოსტატებს, რომლებიც სხვა ჯგუფში არ არიან კლასიფიცირებულნი. მაგ., ეს ჯგუფი მოიცავს არაძვირფას ლითონებსა და ქვებზე ტრადიციულ ხელობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მესანთლე;
- ლითონის სათამაშოების დამამზადებელი;
- ქვის მთლელი.

732 მცირე ჯგუფი

პოლიგრაფისტები

პოლიგრაფისტები არეგულირებენ საბეჭდ პარამეტრებს, ბეჭდავენ პრესას და კრავენ დაბეჭდილ პროდუქციას, აგრეთვე, ეკრანიან საბეჭდ მანქანებზე ბეჭდავენ ბანერებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: კამერებითა და სხვა ფოტოტექნიკით ფირებიდან, ფოტონეგატივებიდან და ციფრულ მოწყობილობებიდან ფოტოების ასლების დამზადებას; ფერთა განსაცალკევებლად, შესასწორებლად, რეტუშირებად და სხვა ფოტოების დასკანირებას; დასაბეჭდი, ფოტოასლგადამღები, დასაჭრელად, საქაღადეების დასამზადებელი და დაბეჭდილი მასალის ასაკინძი მანქანების აწყობას, მოხმარებასა და მონიტორინგს; რუტინული საბოლოო ოპერაციების შესრულებასა და მანქანების მოვლა-შენახვას; შაბლონების დამზადებასა და ეკრანიანი საბეჭდი მოწყობილობების გამოყენებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7321 პოლიგრაფისტები;

7322 მბეჭდავები;

7323 მკინძავები.

7321 ჯგუფური ერთეული
პოლიგრაფისტები

პოლიგრაფისტები ამოწმებენ, ადგენენ და ქმნიან ბეჭდვისა და სხვა ვიზუალური მედიის პრეზენტაციის დროს გამოსაყენებელ ტექსტებსა და გრაფიკებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფოტოფირიდან და ციფრულ მოწყობილობიდან ასლის დასამზადებლად გრაფიკული კამერებისა და სხვა ფოტოტექნიკის გამოყენებას;
2. სურათების, ტექსტების, წყობისა და განლაგების სამართავად, აგრეთვე ბეჭდვისა და სხვა ვიზუალური საქმიანობებისთვის კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას;
3. სურათების ფირიდან საბეჭდ ქაღალდზე, ციფრულ მოწყობილობებსა და ჟურნალ-გაზეთებზე გადასატანი მოწყობილობების გამოყენებას;
4. ფერთა განსაცალკევებლად, შესასწორებლად, რეტუშირებად და სხვა ფოტოების დასკანირებას;
5. ციფრული სისტემებს, ფოტო ნეგატივებისა და პოზიტივების ციფრული და ქიმიური გაუმტარობის მიღწევას;
6. ბეჭდური გამტარობის შეფასებას, შემოწმებასა და ხარისხის ასამაღლებლად მათ დამუშავებას;
7. ცილინდრზე განსათავსებლად გადასატანი მეთოდებისა და სურათების გასამჟღავნებლად ნახშირბადის ქსოვილის მომზადებასა და გამოყენებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ასოთამწყობი;
- გამომცემელ-ოპერატორი
- ელექტრონული მასალის დასაბეჭდად მომზადების სპეციალისტი;
- ფოტოგრავიურისტი;
- ფოტოლიტოგრაფი;
- ფირის მბეჭდავი (ბეჭდვა);
- ფირის გამამჟღავნებელი (ეკრანზე მბეჭდავი);
- ეკრანის დამამზადებელი;
- მბეჭდავი.

7322 ჯგუფური ერთეული
მბეჭდავები

მბეჭდავები არეგულირებენ და ამუშავებენ ციფრულ, წერით, ლიტოგრაფიულ, ფლექსოგრაფიულ, გრავიურულ, საგაზეთო და სხვა ბეჭდვით პრესას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სუბსტრატებისა და მიწოდების მექანიზმების, სამელნე სისტემებისა და სხვა საბეჭდი მანქანის ფუნქციების დარეგულირებას, მორგებასა და მონიტორინგს;
2. სტანდარტულ და მარეგულირებელ ფურცელზე მელნის არევასა და ბეჭდვის პროცესის მელნით მომარაგებას;
3. ბეჭდვის ხარისხის სტანდარტის შესამოწმებლად და ხარვეზების აღმოსაჩენად პრესის მონიტორინგს, შეფასებასა და განსაზღვრას;
4. ციფრული, რელიეფური, ლიტოგრაფიული, ფლექსოგრაფიული და გრავიურული ბეჭდვით სხვადასხვა ბეჭდური პროდუქციის წარმოებას;
5. პატარა ლიტოგრაფიული ბეჭდური პრესისთვის ფირფიტებისა და ცილინდრების მომზადებას;
6. დანადგარში ფურცლების ჩადებას;
7. საბეჭდი მანქანების გამოყენებასა და ბეჭდვის ხარისხის მონიტორინგს;
8. მანქანის შენახვას, მოვლას, დარეგულირებას, შეკეთებასა და გაწმენდას;
9. სურათების ციფრული ბეჭდვის წარმოებასა და ტრანსფერს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ორნამენტების დამამზადებელი;
- ციფრული პრესის ოპერატორი;
- საბეჭდი მანქანის ოპერატორი;
- ფლექსოგრაფიის პრესის ოპერატორი;
- გრავიურის პრესის ოპერატორი;
- დიდი ფურცლების პრესის ოპერატორი;
- ეკრანზე მბეჭდავი;

- ეკრანზე ბეჭდვის პრესის (მედია) ოპერატორი;
- პატარა პრესის ოპერატორი;
- ტექსტილზე პრინტების გამკეთებელი;
- ელექტრონული პრესის ოპერატორი;
- სოციალური მედიის ოპერატორი.

7323 ჯგუფური ერთეული
ამკინძავები

ამკინძავები ხელით ან მანქანით კინძავენ წიგნებსა და პუბლიკაციებს, დაბეჭდილ პროდუქციას აძლევენ საბოლოო სახეს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ავტომატურად ამკინძავი და საბოლოო სახეობის მიმცემი მოწყობილობების პარამეტრების დაყენებასა და მათი გამოყენების ზედამხედველობას;
2. სრულად, ნახევარად და ხელით შეკრული წიგნების აკინძვასა და უკვე აკინძულის შეკეთებას;
3. ხელნაწერის დაკეცვას, შეჯერებასა და აკინძვას;
4. ფურცლის დასაჭრელად და გასასწორებლად ფურცლის საჭრელი მანქანის გამოყენებას, აგრეთვე ელექტრონული ერთეულების პროგრამირებას;
5. დაბეჭდილი მასალის გაზეთებში, ჟურნალებსა და კონვერტებში ჩასადები სისტემების გამოყენებას;
6. დაბეჭდილი პროდუქციის ავტომატურად ან ხელით გაფორმებას;
7. ფოტოგრაფიული და ელექტრონულად რეპროდუცირებული დანადგარების გამოყენებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- წიგნის მკინძავი;
- შედარება-შეჯერების სპეციალისტი;
- ქაღალდის მჭრელი მანქანის ოპერატორი;
- ორნამენტებიანი შტამპის დასმის სპეციალისტი;
- დასაკეცი მანქანის ოპერატორი;
- შემკვრელი;
- დიდი რაოდენობით ფურცლების მკინძავი;
- სრულყოფილად კინძვის ოპერატორი;
- ყდის დამამზადებელი;
- პატარა მანქანით მკინძავი.

74 ქვეჯგუფი
ელექტრული და ელექტრომოწყობილობების სფეროს მუშაკები

ელექტრული და ელექტრო-მოწყობილობების სფეროს მუშაკები ამონტაჟებენ, არეგულირებენ, უვლიან და ინახავენ ელექტრულ საკაბელო სისტემებსა და მოწყობილობებს, სხვა ელექტრულ აპარატურას, ელექტრო გადამცემი და მომარაგების ხაზებსა და კაბელებს, აგრეთვე, ელექტრული და ელექტრო საკომუნიკაციო მოწყობილობებსა და სისტემებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

სამუშაო შესაძლებელია, შესრულდეს ხელით ან პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ფიზიკური დატვირთვისა და დროის შესამცირებლად ხელსაწყოებითა და ელექტრო ხელსაწყოებით. საქმიანობა მოითხოვს სამუშაოს ორგანიზებას, მასალების, გამოყენებული ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქტის ხასიათისა და მიზნის ცოდნას.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ელექტრული და ელექტრო საკაბელო სისტემების, დანადგარებისა და მოწყობილობების დამონტაჟებას, მოვლა-შენახვას, მორგებასა და დარეგულირებას; გამოყენების თანმიმდევრობისა და მეთოდების დასადგენად პროექტების, საკაბელო დიაგრამებისა და მახასიათებლების შემოწმებას; საშიში ნივთიერებების, დეფექტებისა და გამართულობის დასადგენად ელექტრული და ელექტრონული სისტემების, აღჭურვილობის, კაბელებისა და დანადგარების ინსპექტირებასა და ტესტირებას; ელექტრული და კავშირგაბმულობის გადამცემი ხაზების დამონტაჟებას, მოვლა-შენახვასა და შეკეთებას; ელექტრული, კავშირგაბმულობისა და მონაცემთა კაბელების შეერთებას; ელექტრული მოწყობილობებისა და საოფისე მანქანების, ელექტრონული ინსტრუმენტებისა და მაკონტროლებელი სისტემების, კომპიუტერების, კავშირგაბმულობისა და მონაცემთა გადამცემი მოწყობილობების მოვლა-პატრონობას, შეკეთებას, მორგებას, დარეგულირებასა და ტესტირებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

741 ელექტრო-მექანიკოსები;

742 ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები.

741 მცირე ჯგუფი
ელექტრო-მექანიკოსები

ელექტრო-მექანიკოსები ამონტაჟებენ, არეგულირებენ, უვლიან და ინახავენ ელექტრულ საკაბელო სისტემებსა და მოწყობილობებს, აგრეთვე ელექტრულ აპარატურას, ელექტროგადამცემ ხაზებსა და კაბელებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ელექტრული და ელექტრო საკაბელო სისტემების, დანადგარებისა და მოწყობილობების დამონტაჟებას, მოვლა-შენახვას, მორგებასა და

დარეგულირებას; გამოყენების თანმიმდევრობისა და მეთოდების დასადგენად პროექტების, საკაბელო დიაგრამებისა და მახასიათებლების შემოწმებას; საშიში ნივთიერებების, დეფექტებისა და გამართულად მუშაობის დასადგენად ელექტრული და ელექტრონული სისტემების, აღჭურვილობის, კაბელებისა და დანადგარების შემოწმებასა და ტესტირებას; ელექტროგადამცემი ხაზების დამონტაჟებას, მოვლა-შენახვასა და შეკეთებას; ელექტრული კაბელების შეერთებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7411 ელექტრიკოსები;

7412 ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები;

7413 მონტიორი.

7411 ჯგუფური ერთეული
ელექტრიკოსები

ელექტრიკოსები ამონტაჟებენ, უვლიან, ინახავენ და არემონტებენ ელექტრულ საკაბელო სისტემებსა და მათთან დაკავშირებულ მოწყობილობა-დანადგარებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ელექტრული საკაბელო სისტემებისა და მათთან სხვადასხვა შენობაში (მაგ.:სკოლებში, საავადმყოფოებში, კომერციულ დაწესებულებებში, საცხოვრებელ კორპუსებსა და სხვა სტრუქტურებში) დაკავშირებული მოწყობილობების მონტაჟს, მოვლა-შენახვასა და შეკეთებას;
2. გამოყენების თანმიმდევრობისა და მეთოდების დასადგენად პროექტების, საკაბელო დიაგრამებისა და მახასიათებლების შემოწმებას;
3. სამუშაოს მახასიათებლებისა და შესაბამისი სტანდარტების თანახმად ელექტროგაყვანილობის, აღჭურვილობისა და დანადგარების მონტაჟსა და მათი განლაგების დაგეგმვას,;
4. საშიში ნივთიერებების, დეფექტებისა და მუშაობის გამართულობის დასადგენად ელექტრსისტემების, მოწყობილობებისა და კომპონენტები ინსპექტირებასა და ტესტირებას;
5. კაბელების შერჩევას, გადაჭრასა და ტერმინალებთან და დამაკავშირებლებთან შეერთებას;
6. სამონტაჟო წერტილების გაზომვასა და მათ განლაგებას;
7. ელექტრული ჩამრთველების ადგილების განსაზღვრასა და მონტაჟს;
8. წრედის განგრძობადობის ტესტირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ელექტრიკოსები;
- მონტიორები.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მონტიორი – 7412;
- ელექტრო-მექანიკოსი – 7412;
- ელექტროული ხაზების მემონტაჟე მონტაჟიორი – 7413.

7412 ჯგუფური ერთეული
ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები

ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები შენობებში, ქარხნებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, სამუშაო ადგილებსა თუ სხვა ადგილებში აწყობენ, ამონტაჟებენ და არემონტებენ ელექტრო დანადგარებს და სხვა ელექტრონულ აპარატურასა და მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა ტიპის ელექტროდანადგარებისა და მოტორების, გენერატორების, ჩამრთველების, მაკონტროლებელი აპარატურის, ინსტრუმენტების, ლიფტებისა და მსგავსი მოწყობილობების ელექტრონაწილების აწყობას, მორგებასა და შეკეთებას;
2. შიდა მოხმარებისთვის აპარატებზე, სამრეწველო დანადგარებსა და სხვა მოწყობილობებზე ელექტრონაწილების აწყობას, მორგებასა და შეკეთებას;
3. წარმოებული ელექტროპროდუქციის ინსპექტირებასა და ტესტირებას;
4. ელექტრომოწყობილობების, საკაბელო და მაკონტროლებელი სისტემების მონტაჟს, ტესტირებას, შეერთებას, მწყობრში მოყვანას, მოვლა-პატრონობასა და მოდიფიცირებას;
5. ელექტრო და ჰიდრავლიკური სამგზავრო-სატვირთო ლიფტების, ესკალატორების, მოძრავი ბილიკებისა და სხვა ამწევი საშუალებების შექმნას, მონტაჟს, მოვლა-შენახვას, მომსახურებასა და რემონტს;
6. ენერგო მომმარაგებელ პუნქტებში ელექტროსისტემების შეერთებას;
7. დეფექტური ნაწილების გამოცვლასა და შეკეთებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- არმატურების ამწყობი;
- ავტომობილების ელექტრიკოსი;
- ელექტროგენერატორების ამწყობი;
- ელექტრო-მექანიკოსი;
- ლიფტების მექანიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ელექტრო-მექანიკოსი – 7421;
- ინჟინერ-ელექტრიკოსი – 8212.

7413 ჯგუფური ერთეული
მონტიორები

მონტიორები ამონტაჟებენ, არემონტებენ და აერთებენ გადამცემ და ელექტრომომარაგების/ელექტროგადამცემ კაბელებსა და მათთან დაკავშირებულ მოწყობილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მიწისზედა და მიწისქვეშა ელექტროენერგიისა და ელექტროხაზების მონტაჟსა და რემონტს;
2. მიწისზედა და მიწისქვეშა კაბელების შეერთებას;
3. უსაფრთოხების პროცედურების – დანადგარების რეგულარული შემოწმებასა და სამუშაო ტერიტორიაზე ბარიერების აღმართვას;
4. ჩამრთველები გახსნას ან ხაზებისგან ელექტრობისთვის საშიში ნივთიერებების მოსაშორებლად ანდა გასარემონტებლად მიწისქვეშა დანადგარების მიერთებას;
5. მოძებზე ამწეთი აცოცებას ან მოწყობილობასთან მიახლოებას;
6. საკაბელო დიაგრამებისა და სატესტო ელექტროინსტრუმენტებით სექციური მართვის მოწყობილობების, წრედების, დნობადი მცველების, ვოლტაჟის მარეგულირებლების, გადამყვანების, ჩამრთველების, რელეების ან კაბელების დეფექტების იდენტიფიცირება/გამოვლენას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მონტიორი;
- მონტიორის თანაშემწე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მონაცემთა ბაზის და კავშირგაბმულობის კაბელების სპეციალისტი – 7422;
- კავშირგაბმულობის ხაზების მუშა – 7422.

742 მცირე ჯგუფი
ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები

ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები აწყობენ, უვლიან და ინახავენ, არეგულირებენ და არემონტებენ ელექტრომოწყობილობებს: კომერციულ და საოფისე მანქანებს, ელექტროინსტრუმენტებს და მაკონტროლებელ სისტემებს; ამონტაჟებენ, არემონტებენ, უვლიან და ინახავენ კავშირგაბმულობის მოწყობილობებს, მონაცემთა გადაცემის დანადგარებს, კაბელებსა და ანტენებს; არემონტებენ, აწყობენ, უვლიან და ინახავენ კომპიუტერებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დეფექტების დიაგნოსტირებისთვის მანქანების, მოწყობილობების, ინსტრუმენტების, მაკონტროლებელი სისტემების შემოწმება-ტესტირებას;

ნახმარი და დეფექტიანი ნაწილებისა და კაბელების მორგებას, შეკეთებასა და გამოცვლას, აგრეთვე, მანქანების, მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების მოვლა-შენახვას; ელექტროინსტრუმენტებისა და მაკონტროლებელი სისტემების მონტაჟს; ელექტრომოწყობილობების აწყობასა და მორგებას; კომპიუტერების, მონაცემთა გადამცემი და კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობების მოვლა-პატრონობას, დიაგნოსტირებას, აწყობას, მორგებას, ტესტირებასა და რემონტს; მიკროტალღური, მანძილსაზომი, მულტიპლექსირების, სატელიტური და სხვა რადიო და ელექტრომაგნიტური ტალღების საკომუნიკაციო სისტემების ინსტალაციას, მოვლა-პატრონობას, შეკეთებასა და დიაგნოსტირებას; კონსულტაციებისა და ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებას, აგრეთვე, რთული კავშირგაბმულობის ქსელებისა და მოწყობილობების მუშაობის მონიტორინგს; კომპიუტერის, რადიოს, ტელეფონისა და სატელევიზიო გადამცემი კაბელების ინსტალაციას, შეერთებასა და რემონტს; საკომუნიკაციო ანტენების მონტაჟს, მოვლა-შენახვასა და რემონტს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7421 ელექტრო-მექანიკოსები;

7422 ელექტრო-ტექნიკოსები.

<u>7421 ჯგუფური ერთეული</u>
ელექტრო-მექანიკოსები

ელექტრო-მექანიკოსები აწყობენ, ინახავენ, უვლიან, არგებენ და არემონტებენ ელექტრომოწყობილობებს: კომერციულ და საოფისე მანქანებს, ელექტროინსტრუმენტებსა და მაკონტროლებელ სისტემებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დეფექტების აღმოსაჩენად მანქანების, მოწყობილობების, ინსტრუმენტების, კომპონენტების, მაკონტროლებელი სისტემებისა და სხვა ელექტრომოწყობილობების შემოწმება-ტესტირებას;
2. ნახმარი, დეფექტიანი ნაწილებისა და კაბელების მორგებას, შეკეთებასა და გამოცვლას, აგრეთვე, მანქანების, მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების მოვლა-შენახვას;
3. მოწყობილობების ხელახალ აწყობას, ტესტირებასა და მორგებას;
4. ელექტროინსტრუმენტებისა და მაკონტროლებელი სისტემების მონტაჟს;
5. ინჟინრებთან, ტექნიკოსებსა და სხვა მომსახურე პერსონალთან კოორდინირებულ მუშაობას;
6. მოწყობილობათა გაუმართავი მუშაობის დიაგნოსტირებისა და სისტემატური მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემების დასადგენად სატესტო მონაცემთა ინტერპრეტაციას;
7. ხელსაწყოებით, ავტომატური ხელსაწყოებითა თუ მრჩილავი ლამპით ელექტრო და ელექტრონული კომპონენტების, ასაწყობი ნაწილებისა და სისტემების მონტაჟს, მორგებას, შეკეთებასა ან გამოცვლას;
8. რადიოსისტემების, ინსტრუმენტების, მაგნიტოელექტრული მოწყობილობების, ინვერტორებისა და საფრენი სისტემების კომპონენტების შეერთებას;

9. მოვლა-შენახვისა და შეკეთების შესახებ ინფორმაციის შენახვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავიაციის ინჟინერ-ელექტროტექნიკოსი (საავიაციო ელექტროტექნიკა);
- ბანკომატის მექანიკოსი;
- ავიაციის ელექტრო-ტექნიკოსი;
- ელექტრო-ტექნიკოსი;
- ელექტრო-მექანიკოსი;
- ასლგადამღები მანქანის ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- საჰაერო მოძრაობის უსაფრთოხების ტექნიკოსი – 3155.

7422 ჯგუფური ერთეული
ელექტრო-ტექნიკოსები

ელექტრო-ტექნიკოსები ამონტაჟებენ, არემონტებენ, უვლიან და ინახავენ კავშირგაბმულობის მოწყობილობებს, მონაცემთა გადამცემებს, კაბელებს, ანტენებსა და მილსადენებს, აგრეთვე, არემონტებენ, აწყობენ, უვლიან და ინახავენ კომპიუტერებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კომპიუტერების, მონაცემთა გადამცემი და კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობების მოვლა-პატრონობას, დიაგნოსტირებას, აწყობას, მორგებას, ტესტირებასა და რემონტს;
2. კომპიუტერული ტექნიკის აწყობა-მორგებას;
3. მიკროტალღური, მანძილსაზომი, მულტიპლექსირების, სატელიტური და სხვა რადიო და ელექტრომაგნიტური ტალღების საკომუნიკაციო სისტემების ინსტალაციას, მოვლა-პატრონობას, შეკეთებასა და დიაგნოსტირებას;
4. კონსულტაციებსა და ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებას, აგრეთვე, რთული კავშირგაბმულობის ქსელებისა და მოწყობილობების მუშაობის მონიტორინგს;
5. კომპიუტერის, რადიოს, ტელეფონისა და სატელევიზიო გადამცემი კაბელების ინსტალაციას, შეერთებასა და რემონტს;
6. კავშირგაბმულობის და მონაცემთა კაბელების, აგრეთვე, სალუქი ქარქაშების შეერთებას;
7. საკომუნიკაციო ანტენების მონტაჟს, მოვლა-შენახვასა და რემონტს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსი;
- კომპიუტერული მოწყობილობების ამწყობი;
- კომპიუტერული ტექნიკის მემონტაჟე;
- მონაცემთა ბაზის და კავშირგაბმულობის კაბელების ტექნიკოსი;

- კავშირგაბმულობის მოწყობილობების შემკეთებელი;
- კავშირგაბმულობის ხაზების მუშა;
- ტელეფონის მემონტაჟე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ინჟინერ-ტექნიკოსი (კავშირგაბმულობა) – 3522.

75 ქვეჯგუფი
საკვების გადამმუშავებლები, დურგლები, მკერავები, სხვა ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები

საკვების გადამმუშავებლები, დურგლები, მკერავები, სხვა ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები საკვებად და სხვა სახეობის პროდუქციად გადაამუშავებენ და ტექნოლოგიურად ამუშავებენ სოფლის მეურნეობისა და თევზის მრეწველობის ნედლ მასალას, აგრეთვე აწარმოებენ და ახორციელებენ ხის, ტექსტილის, ბეწვის, ტყავის ან სხვა მასალის პროდუქციას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე.

ფიზიკური დატვირთვისა და სპეციფიური დავალებების შესასრულებლად სამუშაო ხორციელდება ხელით და ხელით სამართავი სხვა ხელსაწყოებით, რომლებიც საჭირო დროის შესამცირებლად და პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. სამუშაო მოითხოვს შრომის ორგანიზებას, გამოყენებული მასალებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე, საბოლოო პროდუქტის ბუნებისა და მიზნის აღქმას.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხორცის, თევზის, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის და მსგავსი ნედლეულის საკვებ პროდუქტებად გადამუშავებასა და ტექნოლოგიურად დამუშავებას, აგრეთვე, თამბაქოს პროდუქციად გადამუშავებას; საკვები პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტაციას-კლასიფიციკაციას; ბუნებრივი ბოჭკოს, ტყავეულისა და ტყავის ნედლეულის გადამუშავებასა და ტექნოლოგიურად დამუშავებას; ავეჯისა და სხვა, ხისგან დამზადებული, პროდუქციის დამზადებასა და აღდგენას; შემდგომი მოხმარებისათვის ტყავის ნედლეულის, ტყავეულისა და ტყავის მომზადებას; ტექსტილის, სამოსელის, ქუდების, ფეხსაცმელებისა და მსგავსი პროდუქციის დამზადება-აღდგენას; შესაძლებელია სხვების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

751 საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები და მონათესავე პროფესიების მუშები;
752 დურგლები, საოფისე ავეჯის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები;
753 მკერავები და მონათესავე პროფესიის მუშები;
754 სხვა ხელოსნები და მუშები.

751 მცირე ჯგუფი
საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები და მონათესავე პროფესიების მუშები

საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები და მონათესავე პროფესიების მუშები ადამიანთა და ცხოველთა მოსახმარებლად კლავენ და გადაამუშავებენ ცხოველებს; ამზადებენ მათთან დაკავშირებულ საკვებ პროდუქციას, აგრეთვე სხვადასხვა სახეობის პურს, ნამცხვარს და სხვა ფქვილეულის პროდუქციას; ამუშავებენ და ინახავენ ხილს, ბოსტნეულსა და მათთან დაკავშირებულ საკვებს; სხვადასხვა საკვებ პროდუქციასა და სასმელს აგემოვნებენ და ახარისხებენ; ან ამზადებენ თამბაქოსა და მის პროდუქციას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ცხოველების დაკვლას; ხორცისა და თევზის მომზადებასა და მათი და მათთან დაკავშირებული საკვები პროდუქციის დამზადებას; სხვადასხვა სახეობის პურის, ნამცხვრის და სხვა ფქვილეულის პროდუქციის დამზადებას; ხილის, ბოსტნეულისა და მათთან დაკავშირებული საკვების გადამუშავება-შენახვას; სხვადასხვა საკვები პროდუქციისა და სასმელის დეგუსტაცია-დახარისხებას; თამბაქოს მომზადებასა და მისი პროდუქციის დამზადებას; შესაძლებელია სხვების ზედამხედველობაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

ამ საქმიანობები კლასიფიცირებულია შემდეგი მცირე ჯგუფების მიხედვით:

7511 ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები;

7512 მცხობელები, კონდიტრები და ტკბილეულის დამამზადებლები;

7513 რძის პროდუქტების დამამზადებლები;

7514 ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები;

7515 კვების პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები;

7516 თამბაქოს დამამზადებელ-მწარმოებლები.

7511 ჯგუფური ერთეული
ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები

ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები კლავენ, ასუფთავებენ, ჭრიან და ამუშავებენ ცხოველებს; ხორცსა და თევზს აცლიან ძვლებს; ამზადებენ საკვებ პროდუქტებს, ან გამოსაშრობად, დასამარილებლად ან შესაბოლად ინახავენ ხორცს, თევზსა და სხვა საკვებს და საკვებ პროდუქტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცხოველების დაკვლას;
2. ცხოველების გატყავებასა და დანაწევრებას;
3. გასაყიდად ან შემდგომ გადასამუშავებლად ხორცისა და თევზისაგან ძვლების გამოცლასა და დაჭრასა-დაკუწვას;
4. ინგრედიენტების მომზადებას, აგრეთვე ძეხვეულისა და მსგავსი პროდუქტების დანადგარებით დამზადებას, დაკეპვასა და არევას;
5. ხორცის, თევზისა და სხვა საკვების გადამუშავებას;
6. ხორცის, თევზისა და სხვა საკვები პროდუქტების შესაბოლად შენობებისა ან ღუმლების მართვას;
7. ხორცის, თევზისა და მათთან დაკავშირებული საკვები პროდუქტების გასაყიდად დამზადებასა ან სხვაგვარად მომზადებას;
8. მომხმარებლებისათვის ხორცისა ან თევზის მიყიდვას, პროდუქტის შეფუთვას, აწონვას, დაფასოებასა და საფასურის მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ყასაბი;
- თევზის დამმუშავებელი;
- თევზეულით მოვაჭრე;
- დამკვლელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- მაღაზიის მეპატრონეები – 5221;
- თევზის დამმუშავებელი მანქანის ოპერატორები – 8160;
- ხორცის დამმუშავებელი მანქანის ოპერატორები – 8160.

7512 ჯგუფური ერთეული
მცხობელები, კონდიტრები და ტკბილეულის დამამზადებლები

მცხობელები, კონდიტრები და ტკბილეულის დამამზადებლები ამზადებენ სხვადასხვა სახეობის პურს, ნამცხვარსა და სხვა ფქვილეულის პროდუქციას, აგრეთვე, შოკოლადსა და შაქრის საკონდიტრო ნაწარმს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. პურის, ნამცხვრების, ბისკვიტების, ცომეულის, ღვეზელებისა და სხვა ფქვილეული პროდუქციის დამზადებას;
2. ხელით, ხელსაწყოებით ან დამამზადებელი დანადგარებით შაქრის, შოკოლადის და სხვა ინგრედიენტებისაგ საკონდიტრო ნაწარმის დამზადებას;
3. დანადგარების შესარევ ან დასამზადებელ თასებში აწონილი ინგრედიენტების არევას;
4. სტანდარტებისა და სპეციფიკაციების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ნედლეულის ხარისხის შემოწმებას;
5. პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რეგულაციების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად წარმოების წინ, აღჭურვილობის სისუფთავისა და შენობების გამოყენების შემოწმებას;
6. ცხობის დროის განსასაზღვრად ღუმლის ტემპერატურისა და პროდუქციის გარეგანი სახეობის მონიტორინგს;
7. პურის, ფუნთუშების, ცომეულისა და საკონდიტრო პროდუქტების პარტიების ფორმირების, ჩატვირთვის, ჩამოტვირთვის, ცხობის, ტაფიდან გადმოღებისა და გაციების მართვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- მცხობელი;
- მეშოკოლადე;
- კონდიტერი;
- კონდიტერ-მზარეული.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- მზარეული – 5120;

- საცხობი პროდუქციის დამმუშავებელი მანქანის ოპერატორი – 8160;
- პურის საცხობი მანქანის ოპერატორი – 8160;
- შოკოლადის მწარმოებელი მანქანის ოპერატორი -8160.

7513 ჯგუფური ერთეული
რძის პროდუქტების დამამზადებლები

რძის პროდუქტების დამამზადებლები ამუშავებენ კარაქს, სხვადასხვა სახეობის ყველს, ნაღებს ან რძის სხვა პროდუქტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სპეციფიური კარაქის ცხიმის შემადგენლობის მისაღწევად რძის ადუღებას ან პასტერიზებას;
2. რძისაგან ნაღების გამოცალკევებასა და კარაქად ადღვებას;
3. სტარტერის აწონილი ოდენობისა და სხვა ინგრედიენტების რძეში ჩასხმას;
4. რძის აჭრას, სასურველ სიმკვრივემდე აჭრილი მასის გაცხელებას, გაწურვასა და სასურველი ფორმის მისაცემად ყველის ყალიბებში ჩადებას;
5. ყველის დამარილებასა და დახვრეტას ან ობის ზრდისთვის კულტივირებული სარეცხი საშუალების წასმას;
6. ყველების თაროებზე განთავსებასა და გადაბრუნებას;
7. ნიმუშების აღებისა და მომზადების პირობების საჭიროებისამებრ დასარეგულირებლად შეფუთვამდე პროდუქციის ხარისხის მონიტორინგსა და ინსპექტირებას;
8. გამოყენებული ინგრედიენტების რაოდენობის, ტესტირების შედეგებისა და დროის პერიოდების ჩაწერას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეკარაქე;
- მეყველე;
- მეხაჭოე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- რძის პროდუქტების მწარმოებელი მანქანის ოპერატორი – 8160;
- რძის გადამმუშავებელი მანქანის ოპერატორი – 8160.

7514 ჯგუფური ერთეული
ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები

ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები მომზადების, გამოშრობისა და დამარილების მეთოდებით ამუშავებენ ან აკონსერვებენ ხილს, თხილსა და სხვა მსგავს პროდუქტებს, აგრეთვე წვენებსა და ზეთს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა ხილის გამოწურვას;
2. ზეთის შემცვლელი თესლეულიდან, თხილიდან ან ხილიდან ზეთების გამოწურვას;
3. ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი საკვების დამზადებას, დამარილებას ან გამოშრობას;
4. შემადგენლობის, გარეგნული იერისა და გემოს შესანარჩუნებელი და გასაძლიერებელი ინგრედიენტების: პექტინი, შაქარი, სუნელები და ძმარი – შერევასა და დამატებას;
5. დაკონსერვებული საკვების სტერილურ ქილებში, ბოთლებსა და სხვა სათავსოებში გადატანას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მესუნელე;
- მეხილე;
- მეჯემე;
- მეზეთე;
- მემწნილე;
- ბოსტნეულის დამკონსერვებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- კონსერვირების მანქანის ოპერატორი – 8183.

7515 ჯგუფური ერთეული
კვების პროდუქტებისა და სასმელების დამგემოვნებელ-დამხარისხებლები

კვების პროდუქტებისა და სასმელების დამგემოვნებელ-დამხარისხებლები ამოწმებენ, აგემოვნებენ და ახარისხებენ სხვადასხვა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციას, საკვებასა და სასმელს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის, საკვებისა და სასმელის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე ინსპექტირებას, ტესტირებას, დაგემოვნებასა და დაყნოსვას;
2. ხარისხის, მომხმარებლის გემოვნებასთან შესაბამისობისა და პროდუქტების მიახლოებითი ღირებულების განსაზღვრას, აგრეთვე შესაბამისი ხარისხის მინიჭებას;
3. დაბალი ხარისხის პროდუქციის ჩამოწერას;
4. კლასიფიკაციის და/ან საიდენტიფიკაციო ნომრების ეტიკეტებზე დაწერას, გაყიდვების მონაცემების მიღებას;
5. პროდუქციის გაზომვა-აწონვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საკვების დამხარისხებელი;
- საკვების დამგემოვნებელი;

- ლიქიორის დამგემოვნებელი;
- ჩაის დამგემოვნებელი;
- ღვინის დამგემოვნებელი / სომელიე.

7516 ჯგუფური ერთეული
თამბაქოს დამამზადებელ-მწარმოებლები

თამბაქოს ამუშავებენ თამბაქოს ფოთლებსა და აწარმოებენ სხვადასხვა სახეობის პროდუქციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ტიპის, ხარისხისა და მოყვანის ადგილის მიხედვით მომზადებული თამბაქოს ფოთლების დახარისხებას;
2. ფორმულის მიხედვით, განსაკუთრებული არომატიანი ნარევის მისაღებად თამბაქოს ფოთლების შერევას;
3. შემდგომი გადამუშავებისათვის თამბაქოს დასანამი ვაკუუმური სათავსოების მოვლას;
4. თამბაქოს ფოთლებისგან ძარღვებისა და ყუნწების გაცალკევებასა და დანაკუწებას;
5. ხელით ან მარტივი დანადგარებით სიგარების, სიგარეტის, ბურნუთისა და თამბაქოს სხვა პროდუქციის დამზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მესიგარეტე;
- მესიგარე;
- მეთამბაქოე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სიგარეტის წარმოების მანქანის ოპერატორი – 8160;
- სიგარის წარმოების მანქანის ოპერატორი – 8160.

752 მცირე ჯგუფი
დურგლები, საოფისე ავეჯის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები

დურგლები, საოფისე ავეჯის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები ამუშავებენ და ინახავენ ხეს; ამზადებენ, დეკორატიულ და აღდგენით სამუშაოებს უატერებენ ხის ავეჯს, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა სახეობის ხის ავეჯსა და მოწყობილობებს; აყენებენ, მართავენ და მიმართულებას აძლევენ ხის საშრობ და შესანახ, აგრეთვე ხეზე სამუშაო აღჭურვილობებს, დანადგარებსა და მანქანის ხელსაწყოებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მორებისა და სხვა სახეობის ხის პროდუქციის გასაშრობი

აღჭურვილობის მართვასა და მიმართულებების მიცემას, აგრეთვე მათ ქიმიურად დამუშავებასა და ხის პროდუქციის დამცავი საშუალებებით გაჯერებას; ნაწილებისა და კომპონენტების დასაჭრელად, ფორმის მისაცემად და ჩამოსაყალიბებლად ხეზე სამუშაო აღჭურვილობის დაყენებასა და მართვას; გეგმების შესწავლას, დასამზადებელი საქონლის განზომილებების დადგენას, ნაწილების აწყობას – სპეციფიკაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ერთი მთლიანი ერთეულის ფორმირების ხარისხისა და ნაწილების ზომების შემოწმებას; სხვების სამართავად სხვადასხვა სახეობის დანადგარების დაყენება-დარეგულირებას; ავეჯის ხის ნაწილების, დანადგარებისა და სხვა სახეობის ხის პროდუქციის ასაწყობი, აღსადგენი ან გასაპრიალებელი ხეზე სამუშაო სხვადასხვა დანადგარის დაყენებას, დაპროგრამებას, მართვასა და მონიტორინგს; სპეციფიკაციების წაკითხვა-განმარტებას ან სიტყვიერი ინსტრუქციების მიცემას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7521 დურგლები;

7522 საოფისე ავეჯის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები;

7523 ხის დასამუშავებელი დაზგების ამწყობები და ოპერატორები.

<u>7521 ჯგუფური ერთეული</u>
დურგლები

დურგლები ხელით ან ხის დასამუშავებელი აღჭურვილობით (მაგ.: ღუმლებითა და ავზებით) აშრობენ, ინახავენ, ამუშავებენ ხესა და მორებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხის პროდუქციის დამცავი საშუალებებით გასაჯერებლად, მორების, ხისა და ხის პროდუქციის მოსამზადებელი და გასაშრობი ღუმელების მართვასა და მიმართულებების მიცემას, ავზების და სხვა აღჭურვილობის მოვლას;
2. სტანდარტებიდან გადახვევების აღმოსაჩენად და გამოყენების პროცესის შესაბამის სპეციფიკაციებთან უზრუნველსაყოფად აღჭურვილობის სარქველებისა და პანელის შუქურების მონიტორინგს;
3. მომზადების თითოეული ციკლის დროს სარქველების მართვას, განსაზღვრული სითბოს, ვაკუუმის და ჰიდრავლიკური წნევის შენარჩუნებას;
4. დამუშავების პროცესის დასაჩქარებლად ავზებიდან ჰაერისა და ორთქლის მაცალკეველი დასამუშავებელი სითხის ხის ფორებში გასაშვები ვაკუუმისა და ჰიდრავლიკური წნევის საქაჩების აქტივაციას;
5. საჭიროებისამებრ გადამმუშავებელი აღჭურვილობისა და დანადგარების მოვლა-შენარჩუნებაში დახმარებას;
6. აღჭურვილობის გაწმენდას, დაზეთვასა და დარეგულირებას;
7. სამუშაო ადგილებიდან ხელის ორთვალებით, ურმებით ან ამწეებით მასალებისა და პროდუქციის ტრანსპორტირებას;
8. წარმოების ანგარიშების დასრულებასა და მოვლა-შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მშრობელ-ოპერატორი;
- მორების გამომწველ-ოპერატორი;
- მორების დამმუშავებელ-ოპერატორი;
- ფანერის მშრობელი;
- ხის მშრობელი;
- ხის დამმუშავებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხის დასამუშავებელი საწარმოს ოპერატორი – 8172.

7522 ჯგუფური ერთეული
საოფისე ავეჯის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები

საოფისე ავეჯის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები დასამუშავებელი დანადგარებით, ხელსაწყოებითა და სპეციალიზირებული ხელის ხელსაწყოებით ამზადებენ, უტარებენ დეკორატიულ და აღდგენით სამუშაოებს ხის ავეჯს, ორთვალებსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს, ბორბლებს, ნაწილებს, დანადგარებს, ნიმუშებსა და მოდელებს, აგრეთვე სხვა სახეობის ხის პროდუქციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხის დასამუშავებელი დანადგარების: ელექტრო ხერხებსი, შალაშინების, საკვეთურებისა და ფორმის მისაცემების – მართვას;
2. გეგმების შესწავლას, დასამზადებელი საქონლის განზომილებების დადგენასა ან სპეციფიკაციების მომზადებას, აგრეთვე სპეციფიკაციებთან შესაბამისობის დასადგენად ერთეულების ხარისხისა და ზომის შემოწმებას;
3. მთლიანი ერთეულის ფორმირებისთვის ნაწილების შეჭრასა და ქვეასაწყობების მორგებას, აგრეთვე წებოთი, დამჭერებით: ლურსმნებით, სახრახნებითა ან სხვა შესაკრავი საშუალებებით – ნაწილების განახლებას.
4. სხვადასხვა სახეობის ხის საქონლის (მაგ.: ავეჯის, სატრანსპორტო საშუალებების, სასწორის მოდელების, სპორტის აღჭურვილობისა და სხვა ნაწილების ან პროდუქციის) დამზადებას, გადაკეთებასა და აღდგენას;
5. ავეჯისა და ნაწილების დეკორირებას, ხის ინკრუსტაციებითა ან შპონებით ნაკეთობების გამოჭრას;
6. ხის საგნებისა ან ავეჯის ზედაპირების გაპრიალებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საოფისე ავეჯის დამამზადებელი;
- სატრანსპორტო საშუალების ზედაპირის დამამზადებელი;
- ავეჯის დამამზადებელი;
- მებორბლე;

- ხის თარგის დამამზადებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ხურო – 7115;
- დურგალი – 7115;
- ხისა და სხვა მსგავსი პროდუქციის ამწყობები – 8219.

7523 ჯგუფური ერთეული
ხის გადამამუშავებელი დაზგების ამწყობ-ოპერატორები

ხის დამამუშავებელი დაზგების ამწყობ-ოპერატორები აყენებენ, მართავენ და მეთვაყურეობენ ავტომატურ ან ნახევრად-ავტომატურ ხის დამამუშავებელ: ზუსტი ხერხვის, ფორმის მიცემის, რანდვის, ხვრეტის, ჩარხვისა და ხის მჭრელ – დანადგარებს, რომლებიც ავეჯის, ნაწილებისა და სხვა ხის პროდუქციისათვის აწყობენ ან აღდგენენ ხის ნაწილებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. ავეჯის, ნაწილებისა და სხვა ხის პროდუქციის ასაწყობი ან აღსადგენი სხვადასხვა სახეობის დამამუშავებელი (მაგ.: ხერხვის, ფორმის მიცემის, რანდვის, ხვრეტის, ჩარხვისა და ხის მჭრელი) დანადგარების დაყენებას, დაპროგრამებას, მართვასა და მონიტორინგს;
2. წინასწარ დაყენებული სპეციალური მიზნებისათვის განკუთვნილი (მაგ.: პალტოების საკიდების, შვაბრის სახელურების, ტანსაცმლის დამჭერებისა და სხვა პროდუქციის) ხის დასამუშავებელი დანადგარების მართვას;
3. დანების, ხერხების, დანის პირების, საჭრელის თავების, კამერების, სამართებლებისა ან სარტყლების დასამუშავებელი დანადგარების ფუნქციებისა და პროდუქციის სპეციფიკაციების შერჩევას;
4. დანის პირების, საჭრელის თავების, მხვრეტელი სამართებლისა ან ქვიშის სარტყელების დამონტაჟება-რეგულირებას, ხელსაწყოებისა და წესების გამოყენებას;
5. სხვათა მიერ მართული სხვადასხვა სახეობის ხის მჭრელი დანადგარების დაყენება-რეგულირებას;
6. სპეციფიკაციების წაკითხვასა და განმარტებას ან სიტყვიერი ინსტრუქციების გაცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- სახერხი დანადგარის ოპერატორი (ხე);
- ავეჯის მწარმოებელი დანადგარის ოპერატორი;
- ხის მხერხავი;
- ხის პროდუქციის დანადგარის ოპერატორი;
- დურგალი;
- ხარატი;
- ხის გადამმუშავებელი დანადგარის დამყენებელი;
- ხის გადამმუშავებელი დანადგარის დამყენებელ-ოპერატორი;
- ხის გადამმუშავებელი დანადგარის პარამეტრების დამყენებელი/ტექნიკოსი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხის და მსგავსი პროდუქციის ამწყობები – 8219.

753 მცირე ჯგუფი
მკერავები და მონათესავე პროფესიის მუშები

მკერავები და მონათესავე პროფესიის მუშები მოარგებენ, გადააკეთებენ და აღდგენენ შეკერილ ტანსაცმელს; ქმნიან და აკეთებენ ტექსტილის, ბეწვეულის, ტყავისა ან ბეწვის სამოსს; აღდგენენ, განაახლებენ და რთავენ სამოსს, ხელთათმანებსა და ტექსტილის სხვა პროდუქციას; ქმნიან ტანსაცმლის თარგებს; აყენებენ, აღდგენენ და ცვლიან ავეჯის, ავეჯის ნაწილების, ორთოპედიული ხელსაწყოების და ავტომობილების სალონების გადასაკრავ მასალას; კრეჭენ, ფხეკენ, თრიმლავენ, ტყავის ნედლეულის, ქერქისა და კანის ბლანშირებასა და შეღებვას; ცვლიან და აღდგენენ ფეხსაცმელსა და ტყავის ერთეულებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: შეკერილი ტანსაცმლის მორგებას, გადაკეთებასა და აღდგენას; შეკვეთით დამზადებული ტექსტილის, თხელი ტყავეულისა და სხვა მასალებისაგან შეკერილი ტანსაცმლის შექმნა-დამზადებას, ან ქუდებისა და პარიკების დამზადებას; სამოსის სტილის ცვლილებებს; ტანსაცმლისა და ტექსტილის, ტყავის ან ბეწვის სხვა პროდუქციის საწარმოებლად ზუსტი თარგების შექმნას; ტანსაცმლის, ხელთათმანებისა და ტექსტილის, თხელი ტყავის, ბეწვისა ან სხვა მასალის ერთად შეკერვას, გადაკერებას, კემსვას, აღდგენას, განახლებასა და მორთვას; აფრების, ტენტების, ბრეზენტების წარმოებას-აწყობას; ავეჯის, ავეჯის ნაწილების, ორთოპედიული ხელსაწყოების, სკამების, პანელებისა და ავტომობილების სალონების სხვა ნაწილების, რკინიგზის ვაგონების, თვითმფრინავების, გემებისა და მსგავსი საგნების გადასაკრავი მასალის დაყენებას, აღდგენასა და გამოცვლას; ტყავის ნედლეულის, ქერქისა და კანის კრეჭას, ფხეკას, თრიმლვას, ბლანშირებასა და შეღებვას, აგრეთვე ტყავის საქონლისა და სამოსის დამზადებისათვის აუცილებელი დამუშავებული ბეწვეულისა და სხვა პროდუქციის წარმოებას; სტანდარტული, შეკვეთით დამზადებული ან ორთოპედიული ფეხსაცმლისა და ბუნებრივი ან სინთეტიკური ტყავის საგნების დამზადებას, შეცვლასა და აღდგენას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7531 მკერავები, ტანსაცმლის დიზაინერები, ბეწვის ოსტატები და მექუდეები;
7532 ტანსაცმლისა და მსგავსი მასალების დიზაინერები და მოდელიერები;
7533 მკერავები, მქარგველები და მსგავსი პროფესიის მუშები;
7534 მომფარდაგებლები და მსგავსი პროფესიის მუშები;
7535 ტყავისა და ბეწვის ოსტატები;
7536 მეწაღეები და მსგავსი პროფესიის მუშები.

7531 ჯგუფური ერთეული

მკერავები, ტანსაცმლის დიზაინერები, ბეწვის ოსტატები და მექუდეები

მკერავები, ტანსაცმლის დიზაინერები, ბეწვის ოსტატები და მექუდეები ამზადებენ, არგებენ, ცვლიან და აღდგენენ შეკერილ ან ხელით დამზადებულ ტანსაცმელს. ისინი ტექსტილის მატერიიდან, თხელი ტყავისაგან, ბეწვისა და სხვა მასალისაგან შეკვეთით ამზადებენ კოსტიუმებს, პალტოებსა და კაბებს, ან მომხმარებლებისა და ტანსაცმლის მეწარმეების სპეციფიკაციების მიხედვით ამზადებენ ქუდებსა და პარიკებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხშირ შემთხვევაში კლიენტის ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად პალტოების, კოსტიუმების, ქვედაბოლოების, პერანგების, ბლუზების, თეთრეულის, კორსეტების, ქუდების, პარიკებისა და მსგავსი სამოსის დამზადებას;
2. სამოსისთვის სასურველი ზომის, ფერის, ტექსტურისა და ხარისხის ტექსტილის მატერიის, ტყავისა ან ბეწვის შერჩევას;
3. სამოსის თარგის მიხედვით დაჭრასა და დიზაინის მიხედვით თარგზე მორგებას;
4. სამოსის სტილის ცვლილებებს (მაგ.: შარვლის ტოტების ჩავიწროვებასა და გადანაკეცების შეკეცვას, სარჩულის გამოცლას და სხვა);
5. მომხმარებლებისა და ტანსაცმლის მეწარმეების სპეციფიკაციებისა და ზომების მიხედვით კომერციული თარგების შერჩევასა და მოდიფიცირებას;
6. მომხმარებელთა თხოვნის საფუძველზე შეკერილი ტანსაცმლის, კაბების, პალტოებისა და სხვა შეკვეთით დამზადებული სამოსელის მორგებას, გადაკეთებასა და აღდგენას;
7. თეატრალურ, სატელევიზიო და ფილმების წარმოებაში გამოსაყენებელი კოსტიუმების დამზადებასა და მოვლას;
8. ატლასისა და აბრეშუმის დაკეცვას, დახვევას და მოფარდაგებას, ან ლენტის ან ნაჭრის ხელოვნური ყვავილების ფორმით მიკერებას, ან გვირგვინის ან ქუდის ფარფლების გარშემო ბანტების მიკერებასა და ქუდების მორთვას;
9. პარიკების დასამზადებლად მასალებისა და თმის ღერების ერთად შეკერვა-შეკვრას;
10. პარიკებისათვის ნატურალური ფორმის მისაცემად თმის ფერების შერევას, ჩაქსოვილი თმის სპეციფიკურ პოზიციებზე დამაგრებასა და პარიკის ფორმირებისთვის თმის ერთად შეკერვას;
11. ბეწვის სამოსის და სხვა ერთეულების დამზადებას, გადაკეთებას, მოდელის შეცვლასა და აღდგენას;
12. ძველი პალტოებიდან ბეწვეულისა და ტყავეულის ამოცლას, აგრეთვე ბეწვის პალტოებისათვის შიდა მატერიის მიწებებასა და კრეჭას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მკერავი;
- ბეწვეულის დამხარისხებელი;
- მექურქე;
- მექუდე;
- დეკორატიული ქუდის მკერავი;
- თერძი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტექსტილზე ხელით მომუშავე -7318;
- საკერავი მანქანების ოპერატორები – 8153.

7532 ჯგუფური ერთეული
ტანსაცმლისა და მსგავსი მასალების დიზაინერები და მოდელიერები

ტანსაცმლისა და მსგავსი მასალების დიზაინერები და მოდელიერები ტანსაცმლისა და ტექსტილის, ტყავის ან ბეწვეულის სხვა პროდუქციის საწარმოებლად ქმნიან ზუსტ თარგებს. ისინი ტანსაცმლის, ქუდების, კეპების, ხელთათმანებისა და სხვა პროდუქციის წარმოების გეგმებისა ან სპეციფიკაციების მიხედვით ნიშნავენ, ჭრიან და ფორმას აძლევენ ტექსტილს, თხელ ტყავეულსა და სხვა მასალებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ყველა ზომისათვის ნახაზებით, დასაპროექტებელი ინსტრუმენტებით, კომპიუტერებისა და/ან დასახარისხებელი ხელსაწყოებით ტანსაცმლის ზომების მიხედვით თარგების შექმნას;
2. კონკრეტული ტანსაცმლის დიზაინისათვის კომპიუტერით ნახაზებისა ან თარგების ნაწილების შექმნას;
3. მასალის წელვადობის გათვალისწინებით ზომების მიხედვით თარგების განზომილებების დათვლას;
4. კომპიუტერებით ან საპროექტო ინსტრუმენტებით შემაერთებელ ნაწილებზე: სამოსის ნაკეცებზე, ჯიბეებზე, ღილების ნაკვეთურებზე და ფეხსაცმლის – დეკორატიული ნაკერებისა დეტალების დახატვას ან ტილოს პროდუქციაზე ყუნწების მიკერებას;
5. გასაჭრელი ადგილების დასადგენად ან მაქსიმალური შედეგის მისაღწევად მოდელების პოზიციის განსაზღვრასა, მასალის გაზომვასა და მატერიის მონიშვნას;
6. თარგის მატერიაზე დადებასა და მარტივი თარგების გამოჭრას;
7. სანიმუშო სამოსის დასამზადებლად და მოსარგებად თარგების ტესტირებას;
8. თარგების მატერიის ფენებზე დაფენასა და ელექტრო ან ხელის დანებით, საკვეთურებით ან კომპიუტერის მიერ ციფრულად კონტროლირებადი საჭრელი ხელსაწყოებით თარგის მიხედვით მატერიის გამოჭრას;
9. სამოსის ან სხვა ბეწვეულის ნაწილებისთვის მატერიის ან ბეწყვეულის დაჭრას;
10. ზედმეტი მატერიის ან დასრულებული პროდუქციის ძაფების (მაგ., დასრულებული პროდუქტის ზედმეტი დაბოლოვებების) მოჭრას;
11. დანადგარის საჭრელ დაფაზე ტყავის მოთავსებას, კანის ბოჭკოვანას, კანის ნაკლოვანებებისა და წელვადობის მიხედვით გამოყენების მაქსიმალიზაციას;
12. რბილი ავეჯისა და ტილოს პროდუქციის თარგების დასამზადებლად მონიშვნასა და დაჭრას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბეწვეულის დიზაინერი;
- სამოსის მკერავი;

- სამოსის დიზაინერი;
- ხელთათმნის მკერავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ტექსტილის თარგის დასამზადებელი მანქანების ოპერატორი – 8159.

7533 ჯგუფური ერთეული
მკერავები, მქარგველები და მსგავსი პროფესიის მუშები

მკერავები, მქარგველები და მსგავსი პროფესიის მუშები ერთმანეთზე აკერებენ, აღადგენენ, აახლებენ და რთავენ ტანსაცმელს, ხელთათმანებსა და ტექსტილის, ბეწვის, თხელი ტყავეულის და სხვა მასალის პროდუქციას, აგრეთვე ამზადებენ ტენტებს, აფრებს, ფარდულებსა და ბრეზენტებს. ისინი ძირითადად მუშაობენ ხელით, ნემსითა და ძაფით, თუმცა ზოგიერთი სამუშაოს შესრულება შესაძლებელია საკერავი მანქანებით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დეფექტური და დაზიანებული ტანსაცმლისა და სამოსის ნემსითა და ძაფით ხელით შესწორებას;
2. გადასაკეთებლად ღორღებითა და სამართებლებით სამოსიდან ნაკერების გახსნას;
3. სპეციფიკაციების მიხედვით ძაფის ან ნაწილების ფერების შერჩევას, აგრეთვე დასაკემსი ტანსაცმლის ფერთან ან ელფერთან შესაბამისად ძაფის შეღებვას;
4. ნარღვევების, გახეული ადგილებისა და ნაკერების გაკერვას, ან დეფექტური ადგილების ნემსითა და ძაფით დაკემსვას;
5. სამოსზე არასწორ ადგილას არსებული კვანძების კაუჭით მოძრობას;
6. დაკემსილი ნაწილების ტანსაცმლის თარგთან შესაბამისობაში ბოლოების მაკრატლით მოჭრას;
7. გამოჭრილი თარგის მიხედვით მატერიაზე ნემსითა და ფერადი ძაფებით ორნამენტების ხელით დაკერებას;
8. ტანსაცმელზე ხელით ან მანქანით, ნემსითა და ფერადი ძაფებით ორნამენტების ამოქარგვას;
9. შეკერვისათვის მოსამზადებლად ტყავის ან ფეხსაცმლის მასალის წყლით დარბილებას;
10. ქუდებზე, კეპებსა ან საქუდე მასალაზე დეკორატიული ნაწილების დაკერებას ან მიწებებას;
11. ჩარჩოებზე ქოლგის ზედაპირის ხელით მიკერებას, ზედაპირის ნაკერების ქოლგის ნაწილებთან გათანაბრებას, აგრეთვე ქოლგის დასაკეცად კუთხეების მიკერებასა და გარედან შიგნით ჩაკერებას;
12. აფრების, ფარდულების, ბრეზენტებისა და ტენტების შესაქმნელად სქელი ნაჭრის, ტილოსა და სხვა მსგავსი მასალების დამზადება-აწყობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- მქარგველი;

- მკერავი;
- მექოლგე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ტექსტილზე ხელით მომუშავეები – 7318;
- მკერავები – 7531;
- ტექსტილის თარგის დასამზადებელი მანქანების ოპერატორი – 8153.

7534 ჯგუფური ერთეული
მომფარდაგებლები, რესტავრატორები და მსგავსი პროფესიის მუშები

მომფარდაგებლები და მსგავსი პროფესიის მუშები გადასაკრავი მატერიით, ტყავით, რექსინით და სხვა მსგავსი ზედაფენისათვის გამოსადეგი მატერიით აღადგენენ და ცვლიან ავეჯს, ავეჯის ნაწილების, ორთოპედიული ხელსაწყოების, სკამების, პანელების, გარდაქმნადი და ვინილის ზედაპირებს, აგრეთვე ავტომობილების სალონების, რკინიგზის ვაგონების, თვითმფრინავების, გემებისა და მსგავს ზედაფენებს. ისინი აგრეთვე, ამზადებენ და აღადგენენ ფარდებს, დალიანდაგებულს საბნებას და მატრასებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომხმარებლებთან გადასაკრავი მასალის, ფერისა და სტილის განხილვას, აგრეთვე ავეჯისა ან სხვა საგნებისათვის გადასაკრავი ფენის დამზადების განსაზღვრული ფასის განხილვას;
2. ნახატებიდან, მომხმარებლების აღწერიდან და ნახაზებიდან გადასაკრავის ფენის თარგების დამზადებას;
3. თარგის ნიმუშის, ნახატებისა ან დიზაინის მიხედვით გადასაკრავი ფენისათვის განკუთვნილი მასალის დაფენას, გაზომვასა და დაჭრას;
4. ავეჯის ჩარჩოებზე საჭიმების, სარჩულისა და გადასაფარებელი მასალის დაყენებას, გამართვასა და გასწორებას;
5. ბალიშების შესაკერად და გადასაფარებელი მასალის ნაწილების გასაერთიანებლად გადასაკრავი მასალების ხელით დაკერებას;
6. გახეული მატერიისა და ხვრელების ნემსითა და ძაფით შეკერვა-დაკერებას;
7. გადაკრული ავეჯის ზედაპირსა და ჩარჩოებზე ორნამენტების, ბალთების, ზონრების, ღილებისა და სხვა აქსესუარების მიმაგრებას, მიწებებასა ან მიკერებას;
8. თვითმფრინავების, ავტომობილების, რკინიგზის მანქანების, ნავებისა და გემების გადასაკრავი ფენების დაფენას, დაჭრას, დამზაებასა და მორგებას;
9. ხელოვნური კიდურების დამფარავი გადასაკრავების აღდგენას;
10. ხელსაწყოებით, საჭრისებით, მაგნიტური ჩაქუჩებითა და გრძელი ნემსებით ანტიკვარული ავეჯის აღდგენას;
11. ოთახების დეკორირების მიზნით ინტერიერის დიზაინერებთან თანამშრომლობასა და ავეჯის მატერიის კოორდინირებას;
12. დალიანდაგებული ერთეულების, ბალიშებისა და მატრასების დამზადებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავეჯის ზედაპირის გადამკვრელი / რესტავრატორი;
- მატრასების დამამზადებელი;
- ორთოპედიული ლეიბების დამამზადებელი;
- ავტომობილის სალონის ზედაპირის გადამკვრელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- საკერავი მანქანის ოპერატორი – 8153.

7535 ჯგუფური ერთეული
ტყავისა და ბეწვის დამმუშავებლები

ტყავისა და ბეწვის დამმუშავებლები ტყავის საქონლისა და დამუშავებული ბეწვეულისაგან სამოსისა და სხვა პროდუქციის საწარმოებლად კრეჭენ, ფხეკენ, ასუფთავებენ, თრიმლავენ, აბლანშირებენ და ღებავენ ცხოველის ტყავის ნედლეულს, ქერქსა და კანს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფერის, ზომისა და სისქის მიხედვით ტყავის ნედლეულის, ქერქისა და კანის დახარისხებასა და დაჯგუფებას;
2. გასაწმენდად და დასარბილებლად კანიდან და ქერქიდან ხორცის, ცხიმის ან დამცავი ფენის ნაწილაკების გადაფხეკას;
3. ლიმონის ხსნარით გაჟღენთილი კანიდან და ტყავის ნედლეულიდან თმის მოშორებას;
4. მარილით დამუშავებით ნედლეულის მომზადებას;
5. კანიდან გრძელი უხეში თმის მოშორებასა და თანაბარზომიერების მისაღწევად ქვედა მხარეს არსებული თმის გაკრეჭას;
6. ბრწყინვალებისა და სილამაზის გასაუმჯობესებლად ან ტყავის ბუნებრივი გარეგნული იერის აღსადგენად თრიმვლასა და კერვას;
7. ტყავეულისა და კანის დასამუშავებელი ქინაქინისა და მირობალანის ლიქიორის მომზადებას;
8. ტყავად გადასაქცევად მთრიმლავით ტყავეულისა და კანის დამუშავებას;
9. ბეწვის ბუნებრივი ელფერის გასაძლიერებლად ბეწვეულის გაფერადებასა და შეღებვას;
10. სველ ტყავსა ან კანზე ნაოჭების გასწორებასა და ბოჭკოვანების დასმას;
11. ტყავის შეკერვასა და საღებავის და ლაქების დატანებას;
12. შეკერილი ტყავეულის გაწელვა-დარბილებას;
13. ხელის ჯაგრისით ზედაპირზე ქიმიური საშუალებების ან ზეთის დატანებით და ღია ჰაერზე გაშრობით ტყავის დამუშავებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბეწვის დამმუშავებელი;
- კანის დამხარისხებელი სხვადასხვა ცხოველის კანის დამხარისხებელი;
- მთრიმლავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტყავის დამამზადებელი დანადგარის ოპერატორი – 8155.

7536 ჯგუფური ერთეული
მეწაღეები და მსგავსი პროფესიის მუშები

მეწაღეები და მსგავსი პროფესიის მუშები ამზადებენ, ცვლიან და აღადგენენ სტანდარტულ, შეკვეთილ ან ორთოპედიულ ფეხსაცმელებს, აგრეთვე ნატურალური ან ხელოვნური ტყავის ჩემოდნებს, ხელჩანთებსა და ქამრებს (ტყავის სამოსის, ქუდებისა და ხელთათმანების გარდა), ან მონაწილეობენ ფეხსაცმელებისა და მასთან დაკავშირებული საქონლის წარმოებაში. ისინი აფორმებენ, ამყარებენ ან ასრულებენ ფეხსაცმელებს, ჩემოდნებს, ხელჩანთებსა და ქამრებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ინდივიდუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სტანდარტული ფეხსაცმლის დამზადებას, გადაკეთებასა და აღდგენას;
2. ექიმის დანიშნულების შესაბამისად ორთოპედიული ან თერაპიული ფეხსაცმლის დამზადებას, გადაკეთებასა და აღდგენას, აგრეთვე ფეხის პრობლემების ან სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისათვის არსებული ფეხსაცმლის გადაკეთებას;
3. ქამრების, ჩემოდნების, ჩანთებისა და მსგავსი პროდუქციის აღდგენას;
4. ნახაზების მოსამზადებლად დეფორმირებული ფეხისა ან ტერფის პლასტიკატის კასტეტების მიღებას;
5. მომხმარებლის ფეხის კასტეტისათვის ჩასადგამების, ქუსლის სადებებისა და ასაწევების დამზადებას;
6. მომხმარებლის სურვილის შესაბამისად ფეხსაცმლის დასამზადებლად ნახატებისა და სხვა სპეციფიკაციების შესწავლას;
7. სამუშაოს ოდენობის, სპეციფიკაციებისა და გამოსაყენებელი მასალის ტიპების მოსაპოვებლად სამუშაო შეკვეთებისა და/ან ფეხსაცმელის ნაწილების ეტიკეტების შესწავლას;
8. კონკრეტული მიზნისათვის მათი შესაბამისობის განსასაზღვრად ტყავის ტექსტურის, ფერისა და სიმტკიცის შემოწმებას;
9. ტყავის ერთეულების დასამზადებლად ნაწილების გამოჭრას, ფორმის მიცემასა და სარჩულის დამზადებას;

10. ჩანთების, ქამრების, ფეხსაცმელებისა და ჩემოდნების გახეული ადგილებისა და ხვრელების გაკერვას;
11. მათი სპეციფიკაციებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ფეხსაცმელების, ფეხსაცმელების ნაწილებისა და დიზაინის შემოწმებას (მაგ., არხებში ნაკერების სისწორე);
12. პროდუქციის დეკორირებისა და დაცვისთვის აქსესუარებისა და ორნამენტების დატანებას;
13. ცხოველების უნაგირებისა და აკაზმულობის, ჩემოდნების, პორტფელების, ტყავის ჩანთების, ქამრებისა და სხვა აქსესუარების დამზადებასა და აღდგენას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეწაღე;
- ორთოპედიული ფეხსაცმლის დამამზადებელი;
- მეუნაგირე;
- ხარაზი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მებეწვე – 7531;
- მექუდე – 7531;
- ფეხსაცმლის წარმოების მანქანის ოპერატორი – 8156.

754 მცირე ჯგუფი
სხვა ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები

სხვა ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები სასუნთქი აპარატურით მუშაობენ წყლის ზედაპირის ქვეშ; აყენებენ, აწყობენ და დეტონაციის ზემოქმედებით აფეთქებენ ასაფეთქებლებს; ნედლი მასალის, წარმოებული კომპონენტებისა და სხვა პროდუქციის ინსპექტირებასა და ტესტირებას; ზიანის აღსაკვეთად მოსავლის, შენობებისა და სხვა სტრუქტურებიდან არასასურველი ორგანიზმების მოცილებას; ეს ჯგუფი აგრეთვე მოიცავს ვაჭრობისა და ხელნაკეთი პროდუქციის სხვა საქმიანობებს, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 7 ძირითად ჯგუფში – ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშები.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფას; სხვადასხვა წყალქვეშა სამუშაოების შესრულებას; ორმოებში ასაფეთქებლების ჩადებას; ინსტრუქციების შესაბამისად ქიმიური ნივთიერებების შერევას; მავნებლებისა და სარეველის შესაწამლი აღჭურვილობის მართვასა და მონიტორინგს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

7541 აკვალანგისტები;

7542 მსროლელები და ამფეთქებლები;

7543 პროდუქციის შემფასებლები და შემმოწმებლები (გარდა საკვებისა და სასმელისა);
7544 მავნებლებთან მებრძოლები და სარეველების გამანადგურებლები;
7545 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები.

7541 ჯგუფური ერთეული
აკვალანგისტები

აკვალანგისტები წყალქვეშა სუნთქვის აპარატურითა და მის გარეშე აღჭურვილობისა და სტრუქტურების შესასწავლად, დასაყენებლად, აღსადგენად და ამოსაღებად მუშაობენ წყლის ზედაპირის ქვეშ; კომერციული ან კვლევითი მიზნებისათვის ატარებენ ექსპერიმენტებს, ამზადებენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, იღებენ ზღვის ცხოვრების ამსახველ ფოტოებს, აგროვებენ წყლის ორგანიზმებს, ეძებენ და პოულობენ დაკარგულ ნივთებსა და პირებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. უსაფრთხოების ნორმების: ჩაყვინთვამდე ყვინთვის სიგრძეებისა და სიღრმეების მონიტორინგს, ექსპედიციის დაწყებამდე ხელისუფლების წარმომადგენლებთან რეგისტრაციის გავლას – უზრუნველყოფას;
2. ჩასაყვინთი აღჭურვილობის: ჩაფხუტების, ნიღბების, ჰაერის ავზების, საყვინთი კოსტიუმების, აღკაზმულობებისა და საზომი ხელსაწყოების – შემოწმებასა და მოვლა-შენარჩუნებას;
3. აკვალანგით ან საყვინთი კოსტიუმებით მყვინთავი მაშველების დახმარებით წყალში ჩაშვებას;
4. ხიდების, პირსებისა და ნავსადგურების საძირკვლების ასსშენებლად და შესაკეთებლად წყლის ქვეშ მუშაობას;
5. საეჭვო დაზიანებების ინსპექტირებას, აგრეთვე გემის კორპუსისა და სხვა გაყვანილობების მცირე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას;
6. ჩაძირული გემების მდგომარეობაზე ანგარიშის მომზადებას;
7. წყალქვეშა დაბრკოლებების მოცილებას;
8. წყალქვეშა აფეთქებებისათვის ორმოების გაბურღვას;
9. გადარჩენის სამუშაოებსა ან დაღუპულთა გვამების ამოყვანასთან დაკავშირებული სხვადასხვა წყალქვეშა სამუშაოების განხორციელებას;
10. მოლუსკების, ზღვის ღრუბლებისა და წყლის სიცოცხლის სხვა ფორმების შეგროვებას;
11. სასიგნალო ხაზებითა ან ტელეფონებით წყალქვეშ ყოფნისას ზედაპირზე მყოფებთან დაკავშირებას;
12. ყვინთვის სამუშაოსა და გარემოსდაცვით პირობებზე ინფორმაციის მოპოვებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეხამანწკე;
- მაშველი მყვინთავი;
- ზღვის ღრუბლების მომპოვებელი;
- წყალქვეშა მუშაკი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული მეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები და შემგროვებლები – 6340.

7542 ჯგუფური ერთეული
მსროლელები და ამფეთქებლები

მსროლელები და ამფეთქებლები მაღაროებში, კარიერებსა და დასანგრევ ადგილებზე აყენებენ, აწყობენ და დეტონაციის ზემოქმედებით აფეთქებენ ასაფეთქებლებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, აგრეთვე ასაფეთქებლებთან მოპყრობის, შენახვისა და მათი ტრანსპორტირების რეგულაციების დაცვას;
2. ასაფეთქებელი ორმოების დაგეგმარებას, აგრეთვე მათ ფორმაზე, სიღრმესა და დიამეტრზე ინსტრუქციების გაცემას;
3. ასაფეთქებელი ორმოების სიღრმისა და სისუფთავის შემოწმებას;
4. გამოსაყენებელი ასაფეთქებლების რაოდენობისა და ტიპის განსაზღვრას;
5. ასაფეთქებლების ორმოებში განთავსებას;
6. თავად დეტონატორებითა და ასაფეთქებელი კარტრიჯებით ფისტონის დატენვას, ელექტროკაბელების, პატრუქების და დეტონაციის ზონრების ფისტონზე დამაგრებას, ან ამ საქმეში სხვების მართვას;
7. კაბელების, პატრუქებისა და დეტონაციის ზონრების სერიულად შეერთებას, ელექტროწრედების ტესტირებასა და გაუმართაობების აღდგენას, სერიების ასაფეთქებელ მანქანებთან შეერთებას;
8. სატენების დაფარვას, ქვის ღორღით, ქვიშითა და სხვა მასალებით ასაფეთქებელი ორმოების შევსებას, სატენების მასალით დატკეპნას;
9. ყველა ასაფეთქებლის დეტონირებასა და ანგარიშგებას, აგრეთვე აუმუშავებლობის გამოსწორებას;
10. ასაფეთქებლების დეტონაციამდე და მის შემდგომ აფეთქების ადგილის უსაფრთხოდ გამოცხადებას;
11. კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად ასაფეთქებლებზე ჩანაწერების შერწყმასა და მოვლა-შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ამფეთქებელი;
- მედენთე;
- დენთის მიმტანი;
- მსროლელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მაღაროს ზედამხედველი – 3121;
- მბურღავი (მაღაროს) – 8111;
- მბურღავი (ნავთობის ან გაზის ჭაბურღილი) – 8113;
- მაღაროს მუშა – 9311;
- კარიერის მუშა – 9311.

7543 ჯგუფური ერთეული
პროდუქციის შემფასებლები და შემმოწმებლები (გარდა საკვებისა და სასმელისა)

პროდუქციის შემფასებლები და შემმოწმებლები (გარდა საკვებისა და სასმელისა) ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ნაკლოვანებების, გამოყენების და სპეციფიკაციებისაგან გადახვევის აღმოსაჩენად, მათ ხარისხის შესაბამისად დასახარისხებლად და დასაჯგუფებლად ამოწმებენ, ცდიან, ახარისხებენ (მაგ., ნიმუშებად) და წონიან წარმოებულ ან გაყიდულ ნედლ მასალას, კომპონენტებსა და არასასურსათო პროდუქციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სტანდარტებსა და სპეციფიკაციებთან შესაბამისობის განსასაზღვრად პროდუქციის, ნაწილებისა და მასალების შემოწმებასა და გამოცდას;
2. დასახვევად და დასაგრეხად ნატურალური ტექსტილის ბოჭკოვანას დახარისხებასა და დაჯგუფებას;
3. სპეციფიკაციებითან შეუსაბამობისთვის პროდუქტების, მასალებისა და აღჭურვილობის ჩამოწერასა და მათზე უარის თქმას;
4. სპეციფიკაციების, ინსპექტირებისა და ტესტირების პროცედურების განსასაზღვრად ნახაზების, მონაცემების, სახელმძღვანელოებისა და სხვა მასალების ანალიზსა და განმარტებას;
5. წარმოების პრობლემებზე ზედამხედველებისა და სხვა პერსონალისათვის ინფორმაციის მიწოდებასა, აგრეთვე აღნიშნული პრობლემების იდენტიფიცირებასა და შესწორებაში დახმარებას;
6. ინსპექტირებისა და ტესტირების მონაცემების (მაგ.: წონის, ტემპერატურის, ხარისხისა ან ტენიანობის, ინსპექტირებული და დახარისხებული ნივთების ოდენობის) ჩაწერას;
7. ხარისხით, მიღებისა და უარყოფის სტატუსით საქონლის მონიშვნას;
8. სახაზავებით, შტანგენ ცირკულარებით, საზომი კალიბრებითა ან მიკრომეტრებით პროდუქტების ზომების აღებას;
9. ტესტის მონაცემების ანალიზსა და შედეგების წინასწარ გამოანგარიშებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პროდუქციის დამხარისხებელი;
- ხარისხის ინსპექტორი;
- შალის დამხარისხებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- პროდუქციის უსაფრთხოების ინსპექტორი – 3257;
- საკვების დამხარისხებელი – 7515;
- ბეწვეულის დამხარისხებელი – 7531;
- ტყავის დამხარისხებელი – 7535.

7544 ჯგუფური ერთეული
მავნებლებთან მებრძოლები და სარეველების გამანადგურებლები

მავნებლებთან მებრძოლები და სარეველების გამანადგურებლები ზიანის მომტანი მწერების, მცირე ცხოველების, გარეული მცენარეების და სხვა არასასურველი ორგანიზმების მოსაცილებლად, აგრეთვე მარცვლეულისა და შენობების, სხვა სტრუქტურებისა და მათ ირგვლივ მყოფი შენობებისათვის ზიანის, აგრეთვე, ჯანმრთელობის რისკების თავიდან აცილებლად იყენებენ ქიმიკატებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მავნებლებისა და სარეველების შესაწამლი აღჭურვილობის მართვასა და მონიტორინგს;
2. ინსტრუქციების მიხედვით ქიმიკატების შერევას;
3. არეალების გარკვეულ სიღრმემდე პესტიციდებით დაფარვას, აგრეთვე წვეთების ზომაზე, შეფარდების მაჩვენებლებსა და დაბრკოლებებზე ამინდის პროგნოზის გამოყენებას;
4. ქიმიური საშუალებების ან ტოქსიკური გაზების გაფრქვევას-გაშვებას, აგრეთვე მავნებლებისა და ვერმინის (მაგ.: თაგვების, ტერმიტებისა და ჭიების) დასახოცად მახეების დაგებას;
5. განსაზღვრული ადგილების შესაწამლად ტუმბოების, შლანგებისა და ტუბების აწევას, მიწოლასა და გაქანებას;
6. შესაწამლი ავზების წყლითა და ქიმიკატებით შევსებას;
7. სამუშაოს ეფექტურობის უზრუნველსაყოფად მანქანების გაწმენდასა და მომსახურებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დეზინფექტორი;
- მავნებლების კონტროლიორი;
- სარეველების კონტროლიორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მარცვლეულის დეზინსექტორი – 3153.

7549 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები

ეს ჯგუფი მოიცავს ვაჭრობისა და ხელნაკეთი პროდუქციის სხვა საქმიანობებს, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 7 ძირითად ჯგუფში – ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშები. ეს ჯგუფი მოიცავს ჩამომსხმელებს, მჭრელებს, მლესავებსა და ოპტიკური ლინზების გამპრიალებლებს, აგრეთვე ყვავილების მომწესრიგებლებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ლინზების დასამზადებლად ოპტიკური შუშის გაცხელებას, ჩამოსხმასა და დაპრესვას;
2. ლინზების გალესვასა და გაპრიალებას;

საქმიანობების მაგალითები კლასიფიცირებულია ქვემოთ:

- ყვავილების დამწყობი;
- ოპტიკური ლინზების დამამზადებელი;
- ოპტიკური ლინზების გამპრიალებელი.

8 ძირითადი ჯგუფი
სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები ადგილზე ან დისტანციურად ამუშავებენ და მეთვალყურეობენ საწარმოო და სოფლის მეურნეობის მანქანებსა და დანადგარებს; მართავენ და გამოყენებენ მატარებლებს, ავტომობილებს, მობილურ მანქანებსა და დანადგარებს; ან ზუსტი სპეციფიკაციებისა და პროცედურების შესაბამისად შემადგენელი ნაწილებისაგან აწყობენ პროდუქტებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

სამუშაო ძირითადად მოითხოვს გამოცდილებასა და სამრეწველო და სოფლის მეურნეობის მანქანა-დანადგარების ცოდნას, აგრეთვე, სამანქანო ტემპის ოპერაციებთან გამკლავებისა და ტექნოლოგიური ინოვაციებისადმი ადაპტირების უნარს.

მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ლითონის, მინერალების, შუშის, კერამიკის, ხის, ქაღალდის ან ქიმიური ნივთიერებების გადამუშავებისათვის აუცილებელი – სამთო-მოპოვებისა ან სხვა საწარმოო მანქანებისა და დანადგარების გამოყენებასა და მონიტორინგს; ლითონის, მინერალების, ქიმიური ნივთიერებების, რეზინის, პლასტიკატის, ხის, ქაღალდის, ტექსტილის, ბეწვეულის ან ტყავის პროდუქციის, აგრეთვე საკვების და მასთან დაკავშირებულ პროდუქტების საწარმოებელი მანქანა-დანადგარების გამოყენებასა და მონიტორინგს; მატარებლებისა და ავტომობილების მართვასა და გამოყენებას; საწარმოო და სოფლის მეურნეობის მოძრავი მანქანებისა და დანადგარების მართვას, გამოყენებასა და მონიტორინგს; ზუსტი სპეციფიკაციებისა და პროცედურების შესაბამისად შემადგენელი ნაწილებისგან, პროდუქტების აწყობას; შესაძლებელია სხვა დასაქმებულების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

81 უძრავი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები;
82 კონსტრუქტორები;
83 მძღოლები და მოძრავი დანადგარების ოპერატორები.

შენიშვნა:

მრავალრიცხოვანი პროცესებისა ან ფუნქციების შემსრულებელი მანქანების ოპერატორები კლასიფიცირდებიან 313 მცირე ჯგუფში – ტექნიკოს-კონტროლიორები.

81 ქვეჯგუფი
უძრავი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები

უძრავი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები მეთვაყურეობენ და გამოიყენებენ უძრავ სამრეწველო დანადგარებს, მანქანებსა და აღჭურვილობს, ან ისეთ დანადგარებს, მანქანებსა და აღჭურვილობას, რომელთა მოძრაობა არ არის მათი მოხმარების განუყოფელი ნაწილი. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

სამუშაო ძირითადად მოითხოვს გამოცდილებასა და სამრეწველო და სოფლის მეურნეობის მანქანა-დანადგარების ცოდნას, აგრეთვე, სამანქანო ტემპის ოპერაციებთან გამკლავებისა და ტექნოლოგიური ინოვაციებისადმი ადაპტირების უნარს.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სხვადასხვა სახეობის უძრავი სამრეწველო მანქანა-დანადგარების გამართვას, გამოყენებასა და მონიტორინგს; გაუმართაობების გამოვლენასა და მათ გამოსწორებას; დეფექტების შედეგების შესწავლას, სპეციფიკაციებთან შესაბამისობის განსაზღვრასა და პარამეტრების შესაბამისად მანქანის გასწორებას; მოვლას, აღდგენასა და გაწმენდას; საწარმოო მონაცემების აღრიცხვასა და მოვლა-შენარჩუნებას; შესაძლებელია სხვა დასაქმებულების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

811 სამთო-მოპოვებითი და მინერალების დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები;
812 ლითონის დასამუშავებელ-გასაპრიალებელი დანადგარების ოპერატორები;
813 ქიმიური და ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანა-დანადგარების ოპერატორები;
814 რეზინის, პლასტიკატისა და ქაღალდის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები;
815 ქსოვილების, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები;
816 საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები;
817 ხის დამამუშავებელი და ქაღალდის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები;
818 სხვა უძრავი სამრეწველო მანქანა-დანადგარების ოპერატორები და ამწყობები.

<u>შენიშვნა:</u>

მრავალრიცხოვანი პროცესებისა ან ფუნქციების შემსრულებელი მანქანების ოპერატორები კლასიფიცირდებიან 313 მცირე ჯგუფში – ტექნიკოს-კონტროლიორები.

811 მცირე ჯგუფი
სამთო-მოპოვებითი და მინერალების დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

სამთო-მოპოვებითი და მინერალების დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები მეთვალყურეობენ და გამოიყენებენ ჭაბურღილებისა და ჭების საბურღ მანქანა-დანადგარებს, დასამუშავებლად ხელსაწყოებით დედამიწიდან იღებენ და მინერალებსა და ქვებს, აგრეთვე აწარმოებენ და ასხავენ ცემენტისა და ქვის პროდუქციას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სხვადასხვა სახეობის სამთო-მოპოვებითი და მინერალების დასამუშავებელი მანქანა-დანადგარების (მაგ.: ავტომატური საბურღის, დამხმარე მანქანა-დანადგარები, უწყვეტი სამთო-მოპოვებითი მანქანები და მჭრელი, მსრესავი, მხერხავი, სატუმბი და შესარევი მანქანა-დანადგარები) გამართვას, გამოყენებასა და მეთვალყურეობას; ნარჩენებისაგან განსაცალკევებელი და მინერალების ამოსაღები გასარეცხი, დასაცალკევებელი, ამოსაღები და შესარწყმელი დანადგარების გამოყენებას; ცემენტის, ბეტონის, ხელოვნური ქვის, ქარხნულად დამზადებული ბეტონისა და ქვის პროდუქციის დასამზადებელი მანქანა-დანადგარების გამოყენებას; გაუმართაობების გამოსავლენად და გამოსასწორებლად სხვადასხვა სახეობის მანქანა-დანადგარების მეთვაყურეობას; მანქანა-დანადგარების მოვლას, აღდგენასა და გაწმენდას; საწარმოო მონაცემების აღრიცხვას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8111 მაღაროსა და კარიერის მუშები;

8112 მინერალებისა და ქვების დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები;

8113 ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე სფეროს მუშები;

8114 ცემენტის, ქვისა და სხვა მინერალური პროდუქტების მანქანების ოპერატორები.

<u>შენიშვნა:</u>

სამთო-მოპოვების ზედამხედველები კლასიფიცირდებიან ჯგუფური 3121 ჯგუფურ ერთეულში – სამთო-მოპოვების ზედამხედველები.

<u>8111 ჯგუფური ერთეული</u>
მაღაროსა და კარიერის მუშები

მაღაროსა და კარიერის მუშები მართავენ მიწისქვეშა და ზედაპირზე არსებული მაღაროებიდან და კარიერებიდან ქანების, მინერალური მადნეულისა და ნარჩენების ამოსაღებ მანქანა-დანადგარებსა და ხელსაწყოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სხვადასხვა მიწისქვეშა და ზედაპირის სამთო-მოპოვებითი (მაგ.: უწყვეტი სამთო-მოპოვებითი, საჭრელი და არხების გამყვანი) დანადგარების განთავსებას, გამოყენებასა და მეთვაყურეობას;
2. მიწისქვეშა და ზედაპირზე არსებულ მაღაროებსა და კარიერებში მბურღავი დანადგარების გამართვასა და გამოყენებას;
3. შესუსტებული ქანების, მადანის, ქვანახშირისა და სხვა ნარჩენების მისაღები მანქანების მართვას, აგრეთვე ხელით ან ელექტრო ინსტრუმენტებით მოპოვებას;
4. მიწისქვეშა სამუშაოებისათვის საყრდენების მომზადებას, მორგებასა და დაყენებას, ანკერული ბოლტების ჩათვლით;
5. ახალი შახტების, გამტარების, საჰაერო ვენტილაციისა და ამაღლებების გასახსნელად მანქანების მართვას;

6. დამხმარე დანადგარების (მაგ.: ჰაერის, წყლის და შლამის ამოსარეცხი საქაჩების) მართვას;
7. მანქანა-დანადგარებისა და მექანიზმების უმნიშვნელო მოვლას, აღდგენას, გაპოხვასა და გაწმენდსს;
8. სამუშაოს დასრულებისთანავე ოპერაციების დეტალური ჩანაწერების აღრიცხვას;
9. ლაბორატორიული ანალიზისათვის მინერალური ნიმუშების შეგროვებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მიწის საჭრელი მანქანის ოპერატორი;
- უწყვეტი სამთო-მოპოვების ოპერატორი;
- ექსკავატორის ოპერატორი (სამთო-მოპოვება);
- მბურღავი (სამთო-მოპოვება);
- ბურღის და მასთან დაკავშირებული დანადგარების ამწყობი, დამმაგრებელი და ოპერატორი;
- მაღაროს მუშა;
- სამთო-მოპოვებითი დანადგარის ოპერატორი;
- კარიერის მუშა;
- საბურღი მანქანის ოპერატორი

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სამთო-მოპოვების ზედამხედველი – 3121;
- ამფეთქებელი – 7542;
- მსროლელი – 7542
- ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავი (ნავთობისა და გაზისაც) – 8113;
- მაღაროს მუშა – 9311;
- კარიერის მუშა – 9311.

8112 ჯგუფური ერთეული
მინერალებისა და ქვების დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

მინერალებისა და ქვების დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები აღმოჩენილი გაფილტრული პროდუქციის დაუყოვნებლივი გამოსაყენებლად ან შემდგომ გადასამუშავებლად მეთვალყურეობენ და მართავენ ქანების, მინერალებისა და ქვის გადასამუშავებელ მანქანა-დანადგარებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამუშაოს სპეციფიკაციების შესაბამისად ქანების, მინერალებისა და ქვების სახერხი, სასრესი, საჭრელი და საკვეთი უძრავი მანქანა-დანადგარების გამართვასა და გამოყენებას;
2. დასაჭრელად, საკვეთად და შემდგომ დასამუშავებლად ქვის ბლოკებისა და ფილების მანქანებში განთავსებას;

3. გადამტანებიდან მანქანებში გადაუმუშავებელი ქანების, მინერალებისა და ქვების გადადინების მეთვალყურეობასა და მოვლა-შენარჩუნებას;
4. ნარჩენი მასალებისა და მინერალების ამოსაღებად დანადგარების გარეცხავ, დაცალკევებას, გატუტებას, დალექვას, გაფილტვრას, ამოღებასა და შერწყმას;
5. შემდგომი გადამუშავების ხელშესაწყობად მინერალური მადნის გამხსნელთან შერწყმას;
6. გასქელებით, ფლოტაციით, მიზიდულობისაგან განცალკევებით, ფილტრაციითა ან მაგნიტური და ელექტროსტატიკური დაცალკევებით მადნისა და ალუვიური დეპოზიტებისაგან ლითონისა და მინერალური კონცენტრატების დაშორებას;
7. დანადგარების უსაფრთხო და ეფექტური ფუნქციონირებისათვის ზომებზე, კალიბრებსა და საკონტროლო პანელებზე დაკვირვებას, სარქველებისა და კონტროლების რეგულირებას, გაუმართაობების აღმოჩენასა და მანქანა-დანადგარების მოვლა-შენარჩუნებასა და აღდგენაში დახმარებას;
8. დამკვიდრებულ სტანდარტებთან და სამუშაო სპეციფიკაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გადამუშავებული მასალის ვიზუალურად ან ხელით შესწავლასა და ლაბორატორიებში მათზე ცდების ჩასატარებლად ნიმუშების შეგროვებას;
9. სამუშაოს დასრულებისთანავე გადამუშავების ინფორმაციის (მაგ.: წარმოებული მასალის ოდენობის, ტიპისა და მოცულობის) ჩაწერას;
10. შესაფუთვის, შემდგომი დამუშავებისა ან ტრანსპორტირებისათვის გადამუშავებული მინერალების დახარისხებას, შეკვრასა და გადაადგილებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქვანახშირის მრეცხავი;
- დატეხვის ოპერატორი (მინერალისა ან ქვის დამუშავება);
- ფლოტაციის მუშა (მინერალის დამუშავება);
- ოქროს დამლექავი;
- მანქანის ოპერატორი (ქვის მჭრელი ან დამმუშავებელი);
- საფქვავი მანქანის ოპერატორი (მინერალები).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქვის მჭრელი (ხელით ან ხელსაწყოთი) – 7113;
- ქვის მთლელი – 7113;
- ქვის გამპრიალებელი (ხელით ან ხელსაწყოთი) – 7113;
- ქვის გამყოფი/მხლეჩავი (ხელით ან ხელსაწყოთი) – 7113;
- მანქანის ოპერატორი (ჩამოსხმული ქვის წარმოება) – 8114;
- ქვის საპრიალებელი მანქანის ოპერატორი.

8113 ჯგუფური ერთეული
ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე სფეროს მუშები

ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე სფეროს მუშები ჭაბურღილების დაძირვის, ქანების, სითხისა და გაზების ნიმუშების ამოსაღებად ან სხვა მიზნებისათვის აყენებენ, აგებენ და მართავენ საბურღავ მანქანებსა და მსგავს დანადგარებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საბურღი დანადგარისა და დამხმარე აღჭურვილობის დემონტაჟს, გადაადგილებასა და აწყობას.
2. მილების, ჩარჩოებისა და საბურღავი თავების აწყობა-დაშლასა და გაუმართავი აღჭურვილობის შეცვლას;
3. საბურღი მილებისა და ჩარჩოების დაწევა-აწევისა და ხელსაწყოების სიჩქარის კონტროლს, აგრეთვე ჭაბურღილში წნევის დარეგულირებას;
4. საბურღ მილებსა და ჭაბურღილებში სითხის ადეკვატური ცირკულაციის უზრუნველსაყოფად საბურღი სითხის მომზადებასა და მილების გამოყენების შემოწმებას;
5. გაუმართავობებისა და არაორდინალური გარემოებების აღმოსაჩენად და ბურღისა ან დანადგარის გამოსაცვლელად კალიბრებისა და სხვა ინდიკატორების მონიტორინგსა და დანადგარების მუშაობის მიყურადებას;
6. საბურღი დანადგარების, ამწეებისა ან სხვა აღჭურვილობის მოვლა-შენარჩუნებას, რეგულირებას, შეკეთებასა და გაწმენდას;
7. საბურღი და მომსახურების ოპერაციების ჩანაწერების წარმოებას;
8. მტვრის, ნამსხვრევებისა და დაკარგული ან გატეხილი აღჭურვილობის ორმოებიდან და ჭაბურღილებიდან ამოსაღებად მანქანებისა და დამხმარე ხელსაწყოების მართვას;
9. გამოუყენებელი ჭაბურღილების დახურვასა და დაბეჭდვას;
10. ბრიგადის წევრების ზედამხედველობასა და დასპეციალებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჭების მბურღავი;
- ჭების საბურღი აღჭურვილობის ოპერატორი;
- საბურღი კოშკის მუშა;
- საბურღი კოშკის ოპერატორი;
- განვითარებადი მბურღავი;
- საბურღი (ნავთობისა და გაზის ჭაბურღილის);
- საბურღი დანადგარის ოპერატორი;
- საბურღი აპარატის ოპერატორი;
- ელექტროკაუჭების ოპერატორი;
- საბურღი ხელსაწყოს მმართველი;
- საბურღი ხელსაწყოს მმართველის თანაშემწე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ამფეთქებლები – 7542;
- მაღაროს მუშები – 8111;
- კარიერის მუშები – 8111.

8114 ჯგუფური ერთეული
ცემენტის, ქვისა და სხვა მინერალური პროდუქტების მანქანების ოპერატორები

ცემენტის, ქვისა და სხვა მინერალური პროდუქტების მანქანების ოპერატორები მეთვაყურეობენ და მართავენ ქარხნული ბეტონის, ასფალტისა და ქვის პროდუქციის საწარმოებელ-ჩამოსასხმელ, აგრეთვე, სამშენებლო მიზნებისათვის ქვის დამამზადებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქარხნული ბეტონის საწარმოებლად და ქვის პროდუქციის ჩამოსასხმელად ამოსაღები, შესაწორებელი, შესარევი, სატუმბი, საპრესი, სახერხი და საჭრელი მანქანების მართვას;
2. ცემენტის, კირისა და წიდის საწარმოებელი დანადგარის მართვას, მათ შორის ინგრედიენტების ატვირთვა-ჩამოტვირთვას, აგრეთვე სატუმბებისა და კონვეირების უწყვეტ მართვას;
3. ქვიშის, ხრეშის, ცემენტის, წყლისა და სხვა ბეტონის დასამზადებლად აუცილებელ ინგრედიენტების ასაწონი და შესარევი მანქანა-დანადგარების მართვას;
4. ყალიბების დასაწყობი და ბეტონითა და ხელოვნური ქვის ნაზავით შესავსები, ჩამოსხმული მასალის ყალიბებიდან ამოსაღები და ქარხნული პროდუქციის ზედაპირების ჩამოსხმელი მანქანა-დანადგარების მართვას;
5. ბეტონის პროდუქტების, ქვის ბლოკების, ფილებისა და სამუშაოს სპეციფიკაციების შესაბამისი პროდუქციის დაჭრას, დახერხვას, გაბურღვას, ქვიშით გაწმენდასა და გაპრიალებას;
6. მასალების, ინგრედიენტების, პროცედურების, კომპონენტების, პარამეტრებისა და რეგულაციების განსასაზღვრად და ამოსაღები, შესასწორებელი, შესარევი და საპრესი მანქანების შესარჩევად წარმოების გეგმებისა და სპეციფიკაციების შემოწმებას;
7. კონტროლის დასარეგულირებლად და გაუმართავობებზე საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად ინსტრუმენტებზე (მაგ.: ტემპერატურასა და წნევის ყალიბებზე) დაკვირვებით მანქანა-დანადგარების გამოყენების პროცესში მეთვალყურეობას;
8. სპეციფიკაციებთან შესაბამისობის დასადგენად და მანქანების პარამეტრების დასარეგულირებლად შერეული და ჩამოსხმული პროდუქციის ნიმუშების შეგროვებასა და შესწავლას.
9. წარმოების ჩანაწერების შემოწმებასა და მოვლა-შენარჩუნებას, წარმოებული მასალისა და პროდუქციის რაოდენობაზე, მოცულობასა და ტიპებზე ინფორმაციის ჩათვლით;
10. მანქანა-დანადგარების მოვლა-შენარჩუნების, აღდგენის დაგეგმვასა და დახმარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბეტონის მანქანის ოპერატორი;
- ქვის მანქანის ოპერატორი;
- ბეტონის ჩამომსხმელიმანქანის ოპერატორი;
- ბეტონის საწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- ბრილიანტის საპრიალებელი მანქანის ოპერატორი;

- ქვის საპრიალებელი მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ქვის გამპრიალებელი (ხელით ან ხელსაწყოთი) – 7113;
- ქვის გადამმუშავებელი მანქანის ოპერატორი – 8112;
- დაშტამპული თიხის მპრესავი დანადგარის ოპერატორი – 8181;
- ღუმლის ოპერატორი (აგური, კერამიკა ან ფილები).

<u>შენიშვნა:</u>

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში წარმოდგენილი მანქანა-დანადგარების ოპერატორების მიერ წარმოებული პროდუქციის ნიმუშები მოიცავს: სამოქალაქო ინჟინერიისა და მშენებლობის პროექტებისათვის შერეულ ბეტონს, მოსაკირწყლ ქვის ფილებს, ბეტონის აგურებსა და ფილებს, შემოსაღობ ბოძებს, ჩამოსხმული მილების სექციებსა და თხრილებს, ბეტონის სარკინიგზო ვაგონებს, კედლების ამოსაყვან და დამაცალკევებელ ფილებს, სამშენებლო კომპონენტებს, საიზოლაციო მილებს, საკვამურებსა და სავენტილაციო მილებს, აბრაზიულ დისკებსა და გარე ავეჯს.

<u>812 მცირე ჯგუფი</u>
ლითონის დასამუშავებელ-გასაპრიალებელი დანადგარების ოპერატორები

ლითონის დასამუშავებელ-გასაპრიალებელი დანადგარების ოპერატორები მინერალური მადნისა და ლითონის გარდასაქმელად, დასამუშავებლად და გასაპრიალებლად მეთვაყურეობენ და ამუშავებენ ერთ-ფუნქციური პროცესიის კონტროლის მანქანა-დანადგარებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ლითონისა და მადნის დასამუშავებელ-გასაპრიალებელი მანქანების გამართვას, მომზადებასა და რეგულირებას; ლითონის დამუშავებისა და კონკრეტული გასაპრიალებელი სამუშაოების მართვასა და მეთვალყურეობას; გაუმართავობების აღმოსაჩენად აღჭურვილობის შემოწმებას, ყალიბების მონიტორინგს, რუტინული გამოყენების ტესტებასა და მოვლა-შენარჩუნებას; პროდუქციის ნიმუშების შემოწმებას, ტესტირებასა და გაანალიზებას; მონაცემების ჩაწერასა და მუშაობის ამსახველი ჟურნალის წარმოებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8121 ლითონის დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები;

8122 ლითონის გასაპრიალებელი, ოქროთი ან ვერცხლით და დამცავი ფენით დასაფარი მანქანების ოპერატორები.

<u>8121 ჯგუფური ერთეული</u>

ლითონის დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

ლითონის დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები მეთვაყურეობენ, მართავენ, არეგულირებენ, აკონტროლებენ, უვლიან და ინარჩუნებენ ერთფუნქციურ მანქანა-დანადგარებს, აგრეთვე მინერალური მადნისა და ლითონის გადამუშავებას, დამუშავებას, გაწმენდას, გამოწრთობას, გაგლინვასა და დაშტამპვას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ერთ-ერთი ნაბიჯის განსახორციელებლად, მინერალური მადნის ან ლითონის დასამუშავებელი მანქანების გამართვას, მომზადებასა და რეგულირებას;
2. ლითონისა და მინერალური მადნეულის დასახერხი, დასაცალკევებელი, გასაფილტრი, შესარევი, ჩამოსასხმელი, გასაგლინი, გასაწმენდი ან სხვაგვარად დასამუშავებელეი ერთფუნქციური მანქანების მართვას;
3. მანქანების სწორი ფუნქციონირებისა და განსაზღვრული გადასამუშავებელი პირობების დასადგენად ყალიბებზე, საზომებზე, კომპიუტერულ ამონაბეჭდებზე, ვიდეომონიტორებსა და პროდუქციაზე დაკვირვებას;
4. აღჭურვილობის, სარქველების, სატუმბების, საკონტროლო მექანიზმებისა და გადასამუშავებელი აღჭურვილობის რეგულირებას;
5. ნედლი მასალების მომზადების, აზომვისა და მიწოდების კონტროლს, აგრეთვე, დანადგარში ნივთიერებების გადამუშავებას;
6. სამუშაოს დაწყებისა და დასრულების კონტროლს, გაუმართაობების აღმოფხვრასა და გადასამუშავებელი აღჭურვილობის გარე მონიტორინგს;
7. გაუმართავობების აღმოსაფხვრელად აღჭურვილობის შემოწმებას, მუდმივი ოპერაციული ტესტების ჩატარებასა და მოვლა-შენარჩუნებსს;
8. პროდუქციის ნიმუშების ანალიზს, ტესტირებებს და მონაცემების ჩაწერას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჩამომსხმელი;
- ლითონის დასაშტამპი დანადგარის ოპერატორი;
- ლითონის გასახურებელი დანადგარების ოპერატორები;
- რკინის მგლინველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ასაფეთქებელი ღუმელის ოპერატორი – 3135;
- ცენტრალური ხაზის ჩამომსხმელი – 3135;
- საგლინავი ჩარხის ოპერატორი – 3135;
- ლითონ-დასაფარი მანქანის ოპერატორი – 8122.

<u>8122 ჯგუფური ერთეული</u>
ლითონის გასაპრიალებელი და დამცავი ფენით დასაფარი მანქანების ოპერატორები

ლითონის გასაპრიალებელი, და დამცავი ფენით დასაფარი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ ლითონის პროდუქციისა ან ნაწილების გასაპრიალებელ დანადგარებს, კოროზიისა და ცვეთის საწინააღმდეგო რეზისტენტულობის გასაუმჯობესებლად, დეკორატიული, ელექტრო ან მაგნიტური შესაძლებლობების მისანიჭებლად მათ ფარავენ და დამცავი ფენით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მოთუთიებისთვის, მოჭიქვისა ან მსგავსი პროცესებისათვის ლითონის პროდუქციის გაწმენდას;
2. გალვანიზაციის აღჭურვილობის მართვასა და მონიტორინგს;
3. რკინისა და ფოლადის მოპირკეთებისათვის აუცილებელი გასაცხელებელი აღჭურვილობის მართვასა და მონიტორინგს;
4. სადენების ფერადი მეტალებით დასაფარი ავტომატური მანქანების მართვასა და მონიტორინგს;
5. დამცავი ან დეკორატიული საფარის უზრუნველსაყოფად, ნახმარი ან დაზიანებული ზედაპირების აღსადგენად ლითონის პროდუქციაზე მეტალებისა ან სხვა ნივთიერებების შესასხმელი აღჭურვილობის მართვასა და მონიტორინგს;
6. ლითონის პროდუქციის ქიმიური ნივთიერებებით დასამუშავებლად და გასაცხელებლად ჟანგისადმი რეზისტენტულობის მისანიჭებელი აღჭურვილობის მართვასა და მონიტორინგს;
7. მიკრომეტრებით, შტანგენ-ცირკულებითა და სხვა ხელსაწყოებით მეტალიზაციის მართებული სისქის შემოწმებას, მონაცემებისა ჩაწერასა და სამუშაო ჟურნალის წარმოება;
8. ფორმულებისა ან სპეციფიკაციების შესაბამისად მეტალიზაციის საშულებების მომზადებასა და შერევას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ლითონით დასაფარი მანქანის ოპერატორი;
- ლითონის გასაპრიალებელი მანქანის ოპერატორი;
- ლითონის მეტალიზაციის მანქანის ოპერატორი;
- ლითონის მოსაგლუვებელი მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ლითონის დასამუშავებელი დანადგარების კონტროლიორი – 3135;
- ავტომობილების მღებავი – 7132.

813 მცირე ჯგუფი
ქიმიური და ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანა-დანადგარების ოპერატორები

ქიმიური და ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანა-დანადგარების ოპერატორები ფოტოგრაფიული ან სხვა ქიმიური პროდუქციის საწარმოებლად მეთვაყურეობენ და მართავენ სხვადასხვა სახეობის ქიმიური ნივთიერებებისა და სხვა ინგრედიენტების, ფარმაცევტული ნაწარმის, ტუალეტის ატრიბუტიკისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების დამამუშავებელ მანქანებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: შემდგომი ინდუსტრიული წარმოებისათვის სასურველი თვისებების მისაცემად ან დასრულებული პროდუქციის შესაქმნელად ქიმიკატებისა და ქიმიურ პროდუქციის შესარევი, შესაერთებელი, შესაფუთი და სხვაგვარად დასამუშავებელი მანქანა-დანადგარების მართვასა და მონიტორინგს; შესაძლებელია დადგეს სხვების ზედამხედველობაც.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8131 ქიმიური პროდუქციის მანქანა-დანადგარების ოპერატორები;

8132 ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანების ოპერატორები.

8131 ჯგუფური ერთეული
ქიმიური პროდუქციის მანქანა-დანადგარების ოპერატორები

ქიმიური პროდუქციის მანქანა-დანადგარების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ ფართო სპექტრის ქიმიური პროდუქციის შესარევ, შესაერთებელ, გადასამუშავებელ და შესაფუთ ერთეულებსა და მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მანქანა-დანადგარების გამართვას, ამუშავებას, კონტროლს, რეგულირებასა და შეჩერებას;
2. უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად, რეაქციის პროცესებისა და პროდუქციის გადატანის მეთვაყურეობას;
3. ერთ ან მეტ ქიმიურ ან ფორმულაციის ერთეულებში (მაგ.: მიქსერებში, ჩაიდნებში, ბლენდერებში, საშრობებში ან ტაბლეტირებაში, კაფსულირებაში, გრანულირებასა და საფარ მანქანებში) ამზომების, ყალიბებისა და ელექტრონული ინსტრუმენტების მონიტორინგს;
4. ფორმულარის შესაბამისად, ქიმიური ინგრედიენტების გაზომვას, აწონვასა და ჩაყრას.
5. ნიმუშების მომზადებასა და პროდუქტების რუტინული ქიმიურ-ფიზიკური ტესტების ჩატარებასა და წარმოების მონაცემების ჩაწერას;
6. მანქანა-დანადგარების გაწმენდასა და შეკეთებებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სანთლის საწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- ასაფეთქებელი პროდუქციის მანქანის ოპერატორი;
- ფარმაცევტული ან ტუალეტის ატრიბუტიკის მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქიმიური ნედლეულის დასამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები – 3133;
- ნავთობისა და ბუნებრივი აირის საწმენდი დანადგარების ოპერატორები – 3134.

8132 ჯგუფური ერთეული
ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანების ოპერატორები

ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანების ოპერატორები მართავენ და მეთვაყურეობენ ფოტოგრაფიული ფირისა და ქაღალდის დასამზადებელ, აგრეთვე, გასამჟღავნებელ აღჭურვილობასა და ბეჭდავენ პროდუქციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფოტოგრაფიული ფირისა და ქაღალდის დასამზადებელი აღჭურვილობის მართვასა და მონიტორინგს;
2. ფოტოგრაფიული გადამუშავებისა და საბეჭდი აღჭურვილობის მართვას, მონიტორინგს, ტესტირებასა და ოპერაციული სტანდარტების შენარჩუნებას;
3. ბნელ ოთახებსა და პალატებში გამჟღავნებული ფირების საპაკეტო დამუშავებისათვის მომზადებას;
4. გამოსახულებების, ფილებისა და ნაბეჭდი მასალის საბეჭდ აღჭურვილობაზე ინსპექტირებას;
5. საჭირო ფერის, სიკაშკაშის, კონტრასტულობის, რაოდენობის, ზომისა და ტიპის ნაბეჭდი პროდუქციის ასწარმოებლად პარამეტრების რეგულირებას.
6. პარამეტრების რეგულირებასა და ავტომატურად გასამჟღავნებელი დანადგარის მართვას;
7. ფილმის ვიდეოფირსა ან სხვა ელექტრონულ მედიაზე გადასატანი დანადგარის მართვას;
8. ფოტოგრაფიულ დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებას.
9. ფერადი ნეგატივების, ნაბეჭდი პროდუქციისა და სლაიდების გასამჟღავნებელი ავტომატური დანადგარების მართვას (საცალო გაყიდვისათვის);

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ფერადი ფირის გამამჟღავნებელი;
- შავი ოთახის ტექნიკოსი;
- გამამჟღავნებელი მანქანის ოპერატორი (ფოტოგრაფია);
- გამაფართოებელი მანქანის ოპერატორი;
- ფოტოს გამაფართოებელი;
- ფოტოგრაფიული ფირის მანქანის ოპერატორი;
- ფოტოგრაფიული ფირის მბეჭდავი;
- ფოტოგრაფიული დამამუშავებელი;
- ფოტოს მბეჭდავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფოტოგრაფი – 3431;
- ფოტოლიტოგრაფი – 7321.

814 მცირე ჯგუფი
რეზინის, პლასტიკატისა და ქაღალდის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები

რეზინის, პლასტიკატისა და ქაღალდის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ რეზინისა და მისი ნაერთის ფორმის შესაცვლელ და შესარევ, ბუნებრივი და სინთეტიკური რეზინისა და პლასტიკატისგან, ან ქაღალდისაგან მრავალფეროვანი კომპონენტებისა და პროდუქციის მწარმოებელ მანქანებს, აგრეთვე მუყაოს, კარტონის და სხვა მსგავსი მასალებისაგან აწარმოებენ განსხვავებული ქაღალდის პროდუქციას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: რეზინისა და მისი ნაერთის ფორმის შესაცვლელ და შესარევ, ბუნებრივი და სინთეტიკური რეზინისა და პლასტიკატისგან, ან ქაღალდისაგან მრავალფეროვანი კომპონენტებისა და პროდუქციის მწარმოებელ მანქანებს; ქაღალდის სხვადასხვა პროდუქციის მწარმოებელი მანქანების მართვასა და მონიტორინგს; დეფექტების გამოსავლენად პროდუქციის შესწავლასა და მანქანის სპეციფიკაციებსა და პარამეტრებთან შესაბამისობაში რეგულირების განსაზღვრას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8141 რეზინის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები;

8142 პლასტიკური პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები;

8143 ქაღალდის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები.

8141 ჯგუფური ერთეული
რეზინის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები

რეზინის, პლასტიკატისა და ქაღალდის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ რეზინისა და მისი ნაერთის ფორმის შესაცვლელ და შესარევ მანქანებს, ბუნებრივი და სინთეტიკური რეზინისა და პლასტიკატისგან აწარმოებენ ჩამოსხმულ ფეხსაცმელს, შინაურ პროდუქციას, საიზოლაციო მასალას, საწარმოო აქსესუარებსა ან საბურავებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შემდგომი გადამუშავებისათვის რეზინისა და მისი ნაერთის ფორმის შესაცვლელი და შესარევი მანქანების მართვასა და მონიტორინგს;

2. გლინვით რეზინის ფენებისა და მატერიის საწარმოებელი მანქანების მართვასა და მონიტორინგს;
3. ვულკანიზირებულ რეზინის ყალიბებში ჩასხმით ფორმის მისაცემი ან რეზინის ნაერთის დასაშტამპი მანქანების მართვასა და მონიტორინგს;
4. საბურავების ფორმის მისაცემი, ნახმარების აღსადგენი ან სავულკანიზაციო მანქანების მართვასა და მონიტორინგს;
5. შედეგების დეფექტებსა და სპეციფიკაციებთან შესაბამისობაში შემოწმებას;
6. დეფექტების ლოკალიზებას, ნახმარი და დაზიანებული საბურავების ვულკანიზაციასა ან სხვა საქმიანობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ლატექსის მუშა;
- რეზინის დამშტამპავი მანქანის ოპერატორი;
- რეზინის ქარხნულად დასამუშავებელი მანქანის ოპერატორი;
- რეზინის ყალიბებში ჩამსხმელი;
- რეზინის საწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- საბურავების დამამზადებელი;
- საბურავების აღმდგენი;
- ვულკანიზაციის სპეციალისტი.

<u>8142 ჯგუფური ერთეული</u>
პლასტმასის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანის ოპერატორები

პლასტმასის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანის ოპერატორები ნაერთების ფორმებში (ყალიბებში) ჩასხმითა და შერევით აწარმოებენ პლასტმასის მრავალფეროვან კომპონენტსა და საქონელს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პლასტიკატის მასალის მისაღებად ნაერთის ფორმის შესაცვლელი და შესარევი მანქანების მართვასა და მონიტორინგს;
2. პლასტმასის ჩამოსასხმელი, დასაშტამპი, გასაბერი, დასაჭრელი და სხვა მეთოდებით ფორმას მიმცემი მანქანების მართვასა და მონიტორინგს;
3. პლასტმასისა და მისით გაჟღენთილი მასალის დასალამინირებელი ან მინის ბოჭკოს საწარმოებელი მანქანების მართვასა და მონიტორინგს;
4. შეუფუთავი მავთულების, კაბელებისა და ტროსების შეფუთვა;
5. შედეგების დეფექტებსა და სპეციფიკაციებთან შესაბამისობაში შემოწმებას;
6. ნარჩენი პლასტმასის მასალის გადამუშავება;

7. ხელოვნური თვალისა და კონტაქტური ლინზების დისკების დამზადებას, აგრეთვე, სათვალის ჩარჩოებისა და ორთოპედიული ხელსაწყოების პლასტმასის ნაწილების აღდგენას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ლამინირებული პრესვის ოპერატორი (პლასტიკატი);
- ოპტიკური ბოჭკოს შემდგენელი;
- პლასტმასის ნავის მშენებელი;
- პლასტმასის ბოთლის საწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- პლასტიკური კაბელის დასამზადებელი მანქანის ოპერატორი;
- პლასტმასის ყალიბებში ჩამსხმელი;
- პლასტმასის საწარმოებელი მანქანის ოპერატორი.

8143 ჯგუფური ერთეული
ქაღალდის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ქაღალდის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და ამუშავებენ ქაღალდის, მუყაოსა და მსგავსი მასალებისაგან ყუთების, კონვერტებისა და სხვა პროდუქციის საწარმოებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ქაღალდის მუყაოზე შესაწებებელი, სათანადო სიგრძეზე დასაჭრელი და სასურველ ფორმაზე დასაკეცი მანქანების მართვასა და მონიტორინგს;
2. იმ მპრესავი მანქანების მართვასა და მონიტორინგს, რომლებიც ამზადებენ სასმელ ფინჯნებს ან სხვა სახის ქაღალდის კონტეინერებს, მუყაოსა და კარტონისაგან;
3. კონვერტებისა და ქაღალდის ჩანთების დასამზადებლად ქაღალდის, ან სხვა მსგავსი მასალის დასაჭრელი, დასაკეცი, დაწებებელი მანქანების მართვასა და მონიტორინგს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მანქანის ოპერატორი (კარტონის – პროდუქცია);
- მანქანის ოპერატორი (კონვერტებისა და ქაღალდის ჩანთების პროდუქცია);
- მანქანის ოპერატორი (ქაღალდის ყუთების პროდუქცია);
- ქაღალდის პროდუქციის მწარმოებელი მანქანის ოპერატორი;

815 მცირე ჯგუფი
ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მეთვაყურეობენ და მართავენ ბოჭკოს, ძაფის, ნართის, ტყავისა ან ბეწვეულის

დასამზადებელი სხვადასხვა ტიპის მანქანას; აწარმოებენ, აღადგენენ და გადააკეთებენ ფეხსაცმელებსა და სამოსელს; ასევე, აწარმოებენ ან ქიმიურად წმენდენ ტექსტილს, ბეწვეულსა ან ტყავის მსუბუქ საქონელს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ძაფისა და ნართის საქსოვი მანქანების მართვასა და მონიტორინგს; ნატურალური ბოჭკოების ტექსტილისაგან ბოჭკოს დასამზადებელი, აგრეთვე, ძაფისა და ნართის დასართავი, გასაორმაგებელი, დასაგრეხი, და დასახვევი მანქანების მართვასა და მონიტორინგს; ტექსტილის, ბეწვეულის, სინთეტიკური ან ტყავის სამოსის დასამამზადებელი, აღმდგენელი, შესაკერი და გასაახლებელი, ან სამოსსა და სხვა მატერიაზე ორნამენტალური დიზაინის ამოსაქარგი მანქანების მართვასა და მონიტორინგს; ბოჭკოვანის, ძაფისა ან ქსოვილის გასათეთრებელი, შესამცირებელი, შესაღები ან სამოსის, ბეწვეულის, ნოხებისა და ხალიჩების ქიმიურად საწმენდი მანქანების მართვასა და მონიტორინგს; იმ სხვადასხვა მანქანების მართვასა და მონიტორინგს, რომლებიც ამზადებენ ტყავს ან ამუშავებენ ბეწვეულს ან შალის დეტალების მქონე ბეწვს/ტყავის დასამზადებელი ან ბეწვეულისა და შალის დეტალებიანი დასამუშავებელი მანქანების მართვასა და მონიტორინგს, რომლებიც ამზადებენ ტყავს ან ამუშავებენ ბეწვეულს ან შალის დეტალების მქონე ბეწვს; იმ მანქანების მართვასა და ოპერირებას, რომლებიც აწარმოებენ, მოდიფიცირებას და აღდგენას ახდენენ სტანდარტული, დაკვეთით დამზადებულ ან ორთოპედიულ ფეხსაცმელს და ისეთი ტყავის საქონელს, როგორებიცაა ჩემოდნები, კეისები და ხელჩანთები.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8151 ძაფის დასამზადებელი, დასართავი და დასახვევი მანქანების ოპერატორები;
8152 საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები;
8153 საკერავი მანქანების ოპერატორები;
8154 მათეთრებელი, შესაღები და ქსოვილის საწმენდი მანქანების ოპერატორები;
8155 ბეწვისა და ტყავის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები;
8156 ფეხსაცმლისა და მსგავსი პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები;
8157 სარეცხი მანქანების ოპერატორები;
8159 სხვა კატეგორიასმიუკუთვნებელი ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები.

8151 ჯგუფური ერთეული
ძაფის დასამზადებელი, დასართავი და დასახვევი მანქანების ოპერატორები

ძაფის დასამზადებელი, დასართავი და დასახვევი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ ბოჭკოსდასამზადებელ მანქანებს, აგრეთვე, ართავენ, აორმაგებენ, გრეხენ და ნატურალური ბოჭკოების ტექსტილისაგან ახვევენ ძაფსა და მკედს; ძლიერი, რბილი, თანაბარზომიერი და მაგარი ძაფების, აგრეთვე, მდგრადი და წყალგაუმტარი ტექსტილის დასამზადებლად ისინი გრეხენ ორ ან უფრო მეტ ძაფის წვერს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შალის ნაფლეთების ბოჭკოდ გარდასაქმნელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
2. შალის ძაფის ნარჩენების რბილ ძაფად გარდასაქმნელი და გასაწმენდი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
3. ტექსტილის ბოჭკოვანას თანაბარზომიერად შემაერთებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
4. პირველადი გამოყენებისთვის ტექსტილის ბოჭკოს გასაწმენდ-დასარბილებელი, შემაერთებელი, გასასწორებელი, რულონებად ან ლენტისებრად დასახვევი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
5. ნებისმიერ პირველადთან მიახლოებული წონისა სისქის ნართის შემაერთებელი და გამჭიმავი ჩარჩოების (მანქანების) მართვასა და მეთვალყურეობას;
6. სიძლიერის, სირბილისა ან თანაბარზომიერების გასაზრდელად ნართისა და ძაფის ორ ან მეტ პირად კოჭაზედასახვევი, დასაგრეხი ან ერთი შეკვრიდან მეორეზე გადასახვევი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
7. ნართისა ან ძაფის დასართავი, გასაჭიმიან ან დასაგრეხი ჩარჩოების (მანქანები) მართვასა და მეთვაყურეობას;
8. დასაჭიმი მანქანებიდან მიღებული თავისუფალი ნართების დასაგრეხი მანქანების მართვასა და მეთვაყურეობას;
9. ქსოვილისა და ძაფის დასაჭიმად და დასასრულებლად წყალში ან სპეციფიკურ შემთხვევებში ორთქლში, ადუღებულ მიქსტურაში ინგრედიენტების (მაგ.: სახამებლის, ცხიმის, რეზინისა და საპნის) შერევას;
10. წყალგაუმტარობის მიზნით ტექსტილის ქიმიკატებით დამუშავებას;
11. შალის ნარჩენებისაგან გასაწმენდად საჩეჩი მანქანების სატრიალებლებისა და ცილინდრების გასუფთავებას;
12. სართავი, საჩეჩი და სახვევი მანქანების მეტალის გასაჭიმი სახვევის მართვასა და ახალი რეზინის ან ტყავის საფარებით ხელახლა გამართვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბოჭკოს საჩეჩი მანქანის ოპერატორი;
- ბოჭკოს მოსამზადებელი მანქანის ოპერატორი;
- ნართისა და ძაფის სახვევი მანქანის ოპერატორი;
- ნართისა საგრეხი მანქანის ოპერატორი;
- ნართისა და ძაფის სართავი მანქანის ოპერატორი.

8152 ჯგუფური ერთეული
საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები

საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები აყენებენ, მართავენ და მეთვაყურეობენ საკერავ და საქსოვ მანქანებს, რომლებიც ამუშავებენ ძაფს ან აქცევენ მას ნაქსოვ და, არა მხოლოდ, პროდუქციად (მაგ.: ქსოვილებად, მაქმანებად, ხალიჩებად, საწარმო ნაჭრად, ტრიკოტაჟად და მოქსოვილი, მოქარგულ და დალიანდაგებულ სამოსად).

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. განსაზღვრული მოდელისა და დიზაინის სამოსის მოსაქსოვი ავტომატური, ლინკის ტიპის საქსოვი მანქანების კვების წყაროთო უზრუნველყოფასა და მართვას;
2. ნემსებითა და ლილვებით ძაფის, ნართისა ან ნაჭრის საფეიქრო, საქსოვი და სხვა სახის მანქანებით გადამუშავებას;
3. სხვადასხვა ფერადი დიზაინის ხალიჩებისა და ნოხების საწარმოებლად ძაფის შტაბელების მოსაქსოვი, შესავსები და დასაქსელი, მასალის ავტომატურად საქსოვი დაზგების ხელშეწყობასა და მიმართულების მიცემას;
4. თვლების ფორმირებისთვის რეგულარული ინტერვალებით გადაგრეხილი, გაკვანძული ან გადაჯვარედინებული ძაფით საქსოვი დაზგების მართვასა და მეთვალყურეობას;
5. დიდი ავტომატური მრავალ-ნემსიანი მანქანების მართვასა და მონიტორინგს ნაჭრის ამოქარგვისა ან ნაჭრის რამდენიმე ფენის სიგრძის შეკერვისათვის, სანაჭრე ქსოვილის, დალიანდაგებული ან მატრასების საფარის დამზადებისათვის/სანაჭრე ქსოვილის ამოსაქარგი, დასალიანდაგებელი ან მატრასების გადასაკრავის დასამზადებელი სდიდი ავტომატური მრავალ-ნემსიანი მანქანების მართვასა და მეთვაყურეობას;
6. უნაკერო ტრიკოტაჟის მქსოველი, ავტომატური მოდელების პარამეტრებიანი ტრიკოტაჟისათვის ტერფისა და ფეხის ფორმის მიმცემი საქსოვი მანქანების მართვასა და მეთვაყურეობას;
7. წინდის ქუსლებისა და წვერების წრიულად მოსაქსოვი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
8. წინდის წვერის ღია ნაწილების შესაკერი მანქანების მართვასა და მეთვაყურეობას;
9. სასურველი ნიმუშისა ან დიზაინის მაქმანების მოსაქსოვი, შესაკვრელი და ა. შ. ფიგურულად საქსოვი მანქანის მართვასა და მეთვალყურეობას;
10. დაზგის გაჩერების მიზეზების (მაგ.: ქსოვილის ჩათრევის, აღკაზმულობის გატეხვის ან მექანიკური დეფექტების განსასაზღვრად) საქსოვი დაზგების შესწავლა-გამოკვლევას;
11. ნახმარი ან დეფექტური ნემსებისა და სხვა კომპონენტების აღდგენასა და გამოცვლას;
12. საჰაერო შლანგებით, საწმენდი საშუალებებით, ჩვრებით, ზეთის ბიდონებისა და/ან საპოხი იარაღებით მანქანების წმენდას, შეზეთვასა და გაპოხვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ხალიჩების საქსოვი მანქანის ოპერატორი;
- საქსოვი მანქანის ოპერატორი;
- ბადისებრი პროდუქციის მწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- საკერავი მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხალიჩების მქსოველი – 7318;
- მკერავი – 7318;
- მქსოველი – 7318;

8153 ჯგუფური ერთეული
საკერავი მანქანების ოპერატორები

საკერავი მანქანების ოპერატორები მეთვაყურეობენ და მართავენ ტექსტილის, ბეწვეულის სინთეტიკური და ტყავის სამოსის დასამზადებელ, აღსადგენ, დასაკემსვ და განსაახლებელ, ასევე, სამოსა ან სხვა მასალაზე სპეციალური დიზაინის ამოსაქარგ მანქანებს. ისინი ამზადებენ ჩასაღილავებს, ჭრიან თასმის გასაყრელებს, სამოსზე აკერებენ ღილებსა და კილოებს (საღილეებს).

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამოსის შესაკერად (მაგ.: შესაერთებლად, გასამყარებლად, მისაკერებლად), სამოსის ან მისი ნაწილების დასართავი მანქანების მართვასა ან მიმართულების მიცემას;
2. ჩამტვირთავი კრატერითა და შტაბელით ნაჭერზე ღილების, კაუჭების, ელვების, შესაკრავებისა და სხვა აქსესუარების დატანას;
3. თარგების მიხედვით კონტროლირებადი, მრავალრიცხოვან საკერავ თავებიანი და სამოსზე სხვადასხვა ფორმის გამოსახულებების საქარგავი ნახევრად ავტომატური მანქანებისათვის მიმართულების მიცემას;
4. ერთი ან ორმაგი ნაჭრის შემოფლეთვის აღმკვეთი და ბრტყლად საქსოვი, ბეწვეულის შესაკერი და საჭირო ზომაზე დასაჭრელი, აგრეთვე, სამოსის ნაჭრების შესაკერი მანქანების გამოყენებას;
5. სამოსზე, ხელჩანთებზე, ხელთათმანებსა და მსგავსი საგნებზე ტყავის ნაწილების დასაკარებელი მანქანების მართვას;
6. ნაკერების დეფექტების აღმოსაჩენად ან მანქანის გაუმართაობების გამოსავლენად დანადგარის მეთვალყურეობას;
7. აღჭურვილობის მოვლა-შენარჩუნებას (მაგ., ნემსების შეცვლას).

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- საქარგავი მანქანის ოპერატორი;
- საკერავი მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტექსტილზე ხელით მომუშავე ოსტატი – 7318;
- ბეწვის ოსტატი – 7531;
- თერძი – 7531;
- მქარგველი – 7533;
- მკერავი – 7533.

8154 ჯგუფური ერთეული
მათეთრებელი, შესაღები და ქსოვილის საწმენდი მანქანების ოპერატორები

მათეთრებელი შესაღები და ქსოვილის საწმენდი მანქანების ოპერატორები მართავენ და მეთვაყურეობენ ბოჭკოს, ძაფისა ან ნაჭრის მათეთრებელ, შესაღებ, შესადგომ (შესაკუმშ) და სხვაგვარად დასამუშავებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ნაჭრის, ძაფის, მკედისა და ან სხვა ტექსტილის პროდუქციის მათეთრებელი, შესაღებ ან სხვაგვარად დასამუშავებელი და დასამზადებელი მანქანა-აღჭურვილობის ჩართვასა და კონტროლს;
2. ნაქსოვის წინასწარ განსაზღვრულ ზომაზე შესადგომ (შესაკუმშ) ან ბოჭკოვანი მასალის ურთიერთდაკავშირებით გასაძლიერებელი მანქანების მართვას;
3. ბეწვეულის დასავარცხნი და გასაწმენდი მრავალრიცხოვანი ავტომატური მანქანების მართვას;
4. აბრეშუმისთვის სპეციალური ფორმისა და წონის მისაცემი მანქანების მართვასა და მეთვაყურეობას;
5. წყალგაუმტარობის მისაღწევად ტექსტილის ქიმიკატებით გასაჟღენთი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
6. ფერის შესაცვლად ან აღსადგენად შეღებვას;
7. ტექსტილის გასაწელი, ბრწყინვალების მიმნიჭებელი ან სხვა სახის დასრულებული ფორმის მიმცემი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
8. ბეწვეულის ორთქლით საწმენდი და ყველანაირ უცხო დანამატის მოსაშორებელი აღჭურვილობის მართვასა და მოწესრიგებას;
9. ბეწვეულის დასავარცხნი, გასაშრობი, გასაპრიალებელი, გასაწმენდი და ბუმბულისა და საბნებისთვის სიფაფუკის მიმნიჭებელი მანქანების მართვას;
10. ელექტრონული აღჭურვილობის პროგრამებისათვის ინსტრუქციების პროცესის კოდირებას;
11. აღჭურვილობის სწორი ფუნქციონირების განსასაზღვრად საჩვენებელ ეკრანებზე, საკონტროლო პანელებზე აღჭურვილობისა და ნაჭრების შესვლისა და გამოსვლის პროცესებზე დაკვირვებას;
12. მანქანის ფილტრების გაწმენდას და აღჭურვილობის გაპოხვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქსოვილის მათეთრებელი მანქანის ოპერატორი;
- ტექსტილის შესაღები მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტექსტილზე მბეჭდავები -7322;
- სარეცხი მანქანის ოპერატორი – 8157;
- ხელით მრეცხავი – 9121;
- ხელით მპრესავი – 9121.

<u>8155 ჯგუფური ერთეული</u>

ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ ტყავის ან ბეწვს, აგრეთვე ბეწვიანი ან შალიანი ტყავეულის დასამუშავებელ მანქანებს. ისინი ტყავის პროდუქციისა და ბეწვის საწარმოებლად ჭრიან, ფხეკენ, წმენდენ, თრიმლავენ, აპრიალებენ და ღებავენ ნედლეულს, ტყავს ან კანს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ნედლეულის ტყავის ხორცისა და ცხიმისაგან დასაცალკევებელი, გასაწმენდი და დამუშავებამდე დასარბილებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
2. ბეწვეულის ტყავისაგან გრძელი გაუხეშებული დაუმუშავებელ თმის დასაცალკევებელი, საჭირო სიგრძეზე მოსაჭრელი და შესაღები, გასაწელი და დასარბილებელი მართვასა და მეთვალყურეობას;
3. ეპიდერმისში თმის ძირების პიგმენტური ლაქებისა და კირის მარილის, ტყავის ძარღვოვანი ნაწილისაგან გამაცალკევებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
4. ნედლეულისა ან ტყავის სისქის შესამცირებელი და მისი თანაბარზომიერების მისაღწევი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
5. ნედლეულისა ან ტყავის გასაპრიალებელი ან გასაუხეშებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
6. ტყავეულისაგან ნარჩენი შალის და ნედლეულისაგან ხორცისა ან თმის მოსაცილებელი მანქანების მართვასა და მეთვაყურეობას;
7. ნედლეულის ორი ან მეტი ნაწილის კიდიდან კიდემდე გასაყოფი ან თანაბარზომიერი სისქის მისაცემი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
8. ნედლეულისა და ტყავის ტყავად გადასამუშავებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
9. სიპრიალისთვის ზეთითა და მოჭიქვის მანქანებით ტყავის ზედაპირის დამუშავებას;
10. ტყავის შესაღები და გასალაქი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
11. კასრებისა და სხვა მანქანების მოვლა-შენარჩუნებასა და აღდგენას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ტყავის თმისგან გასასუფთავებელი მანქანის ოპერატორი;
- ტყავის გასალაქი მანქანის ოპერატორი;
- დამთრიმლავი მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტყავზე მომუშავე ოსტატი – 7535;
- მთრიმლავი – 7535.

8156 ჯგუფური ერთეული
ფეხსაცმლისა და მსგავსი პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

ფეხსაცმლისა და მსგავსი პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ ძირითადად ტყავისაგან სტანდარტული ან სპეციალური ფეხსაცმლის, ხელჩანთებისა და სხვა აქსესუარების დასამზადებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფეხსაცმლის ნაწილების მოსანიშნი და დასაჭრელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
2. ფეხსაცმლის ნაწილების შესაკერი, ან არშიის შემოსავლები, გასაპრიალებელი ან ორნამენტების გასაკეთებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
3. ჩემოდნების, ხელჩანთების, ქამრებისა და სხვა აქსესუარების, აგრეთვე, უნაგირების, საყელოებისა ან აღკაზმულობების დასამზადებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მანქანების ოპერატორები (ფეხსაცმლის წარმოება).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხელით მომუშავე (ტყავი) – 7318;
- მეწაღე – 7536.

8157 ჯგუფური ერთეული
სარეცხი მანქანების ოპერატორები

სარეცხი მანქანების ოპერატორები სამრეცხაოებსა და ქიმიურად საწმენდ დაწესებულებებში მართავენ სარეცხ, ქიმიურად საწმენდ, დასაუთოვებელ და ქსოვილის დასამუშავებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გასაწმენდი ერთეულების ტიპის, ფერის, ქსოვილისა და საჭიროების მიხედვით დახარისხებას;
2. აღსადგენ და გასაწმენდ ადგილებზე ერთეულების გადასატანად დახარისხებული ერთეულების ყუთებსა და კონვეიერებში განთავსებას;
3. სამოსის შემოწმებასა და ლაქების ამოყვანას, აგრეთვე, ღილების გამოცვლასა და ხელის შევლებას;
4. სარეცხი მანქანების, საშრობებისა და ექსტრაქტორების ჩატვირთვა-გადმოტვირთვას;
5. ერთეულებზე საწმენდებისა და სახამებლების დამატებას;
6. ერთეულების გასწორებას, აგრეთვე, მათ საწმენდ და დასაპრეს მანქანებში გატარებას;
7. ერთეულების განსაცალკევებლად, გასასწორებლად და ამოსაღებად მანქანების გამორთვა-ჩართვას;
8. ადგილზე მისატანად და შესაგროვებლად ერთეულების თაროებზე განთავსებასა და ჩამოკიდებას;
9. ერთეულების შეფუთვას, შეკვეთების მომზადებასა და გაგზავნას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქიმიურად საწმენდი მანქანის ოპერატორი;
- სარეცხი მანქანის ოპერატორი;
- დასაპრესი მანქანის ოპერატორი (სარეცხი).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხელით მრეცხავი – 9121;
- ხელით დამპრესავი – 9121.

8159 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიასმიუკუთვნებელი ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

აღნიშნული ჯგუფური ერთეული მოიცავს ტექსტილის, ბეწვეულისა და ტყავის პროდუქციის მწარმოებელი მანქანების ოპერატორებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან **815 მცირე ჯგუფის – ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები** – არცერთ კატეგორიას. მაგ., ჯგუფი მოიცავს ქუდების, ტენტების, მატრასებისა ან სხვა მრავალფეროვანი ერთეულების (მაგ.: ზონრებისა და სხვა შეკრეჭილი ერთეულების) დასამზადებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ფორმის მიმცემი და ქუდების, ტექსტილის, ბეწვეულის ან ტყავისაგან დასამზადებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
2. მრავალფეროვანი ერთეულების (მაგ.: ზონრებისა და სხვა შეკრეჭილი ერთეულების) დასამზადებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
3. ნაჭრის სასურველ სიგრძეზე დასაკეცი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
4. გადასაზიდად ან შემდგომ გადასამუშავებლად ნართის, ბაწრისა და ძაფეულის ბურთებად დასახვევი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
5. ტყავის ნაჭრების გასაზომი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ზონრების დასამზადებელი მანქანის ოპერატორი;
- ქუდების დასამზადებელი მანქანის ოპერატორი;
- ტენტების დასამზადებელი მანქანის ოპერატორი;
- ქსოვილის თარგების დასამზადებელი მანქანის ოპერატორი.

816 მცირე ჯგუფი
საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები

საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები, ამუშავებენ, მართავენ და მეთვალყურეობენ ცხოველების დასაკლავ და ხორცის ჩონჩხისაგან გამოცალკევებელ, ასევე, გამოსაცხობ, გასაყინ, გასაცხელებელ, დასასრეს, ასარევ, შესარევ და საკვები პროდუქციის, სასმელებისა და თამბაქოს ფოთლების გადასამუშავებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სტანდარტული ხორცისა და თევზის ნაჭრების მისაღებად ცხოველების შესაკავებელი, საბრუნებელი და დასაკლავი, აგრეთვე, ჩონჩხების დასამუშავებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას; ფქვილის შესარევი, პურის გამოსაცხობი და საკონდიტრო პროდუქციის მოსამზადებელი მანქანებისა და ღუმელების გამართვას, მოხმარებასა და მეთვალყურეობას; მარცვლეულისა და ხილის დასასრესი, შესარევი, აგრეთვე, ალაოს ხარშვისა და ფერმენტირებისათვის ლუდის, ღვინოების, ალაოს ლიქიორების, ძმრის, საფუარისა და მასთან დაკავშირებული პროდუქციის საწარმოებელი მანქანების მართვას; ჯემის, კანფეტების, ყველის, გადამუშავებული ყველის, მარგარინის, სიროფის, ყინულის, მაკარონის, ნაყინის, სოუსების, შოკოლადის, სიმინდის სახამებლის, საკვები ცხიმებისა და დექსტრინის დასამზადებელი დანადგარების მეთვალყურეობას; პროდუქციის და სითხის გაცივების, გაცხელების, გაშრობის, შეწვის, ორთქლით დამუშავების, პასტერიზების, შებოლვის, სტერილიზების, გაყინვის, აორთქლებისა და კონცენტრაციის მიზნით საკვების გადასამუშავებელი აღჭურვილობის მართვას; შესადღვები, დასაპრესი, გასაჭრელი, დასაფქვი და დასაფილტრი აღჭურვილობით საკვები პროდუქციისა და სითხის შერევას, დარბილებას, დაფქვას, არევასა და დაცალკევებას; სიგარეტის, სიგარის, ჩიბუხისა და თამბაქოს სხვა პროდუქციის დასამზადებლად მანქანით თამბაქოს ფოთლების დამუშავებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8160 საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები.

<u>8160 ჯგუფური ერთეული</u>
საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები

საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები, ამუშავებენ, მართავენ და მეთვალყურეობენ ცხოველების დასაკლავ და ხორცის ჩონჩხისაგან გამოცალკევებელ, ასევე, გამოსაცხობ, გასაყინ, გასაცხელებელ, დასასრეს, ასარევ, შესარევ და საკვები პროდუქციის, სასმელებისა და თამბაქოს ფოთლების გადასამუშავებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სტანდარტული ხორცისა და თევზის ნაჭრების მისაღებად ცხოველების შესაკავებელი, საბრუნებელი და დასაკლავი, აგრეთვე, ჩონჩხების დასამუშავებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
2. ფქვილის შესარევი, პურის გამოსაცხობი და საკონდიტრო პროდუქციის მოსამზადებელი მანქანებისა და ღუმელების გამართვას, მოხმარებასა და მეთვალყურეობას;

3. მარცვლეულისა და ხილის დასასრესი, შესარევი, აგრეთვე, ალაოს ხარშვისა და ფერმენტირებისათვის ლუდის, ღვინოების, ალაოს ლიქიორების, ძმრის, საფუარისა და მასთან დაკავშირებული პროდუქციის საწარმოებელი მანქანების მართვას;
4. ჯემის, კანფეტების, ყველის, გადამუშავებული ყველის, მარგარინის, სიროფის, ყინულის, მაკარონის, ნაყინის, სოუსების, შოკოლადის, სიმინდის სახამებლის, საკვები ცხიმებისა და დექსტრინის დასამზადებელი დანადგარების მეთვალყურეობას;
5. პროდუქციის და სითხის გაცივების, გაცხელების, გაშრობის, შეწვის, ორთქლით დამუშავების, პასტერიზების, შებოლვის, სტერილიზების, გაყინვის, აორთქლებისა და კონცენტრაციის მიზნით საკვების გადასამუშავებელი აღჭურვილობის მართვას;
6. შესადღვები, დასაპრესი, გასაჭრელი, დასაფქვი და დასაფილტრი აღჭურვილობით საკვები პროდუქციისა და სითხის შერევას, დარბილებას, დაფქვას, არევასა და დაცალკევებას;
7. სიგარეტის, სიგარის, ჩიბუხისა და თამბაქოს სხვა პროდუქციის დასამზადებლად მანქანით თამბაქოს ფოთლების დამუშავებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- პროდუქტის საცხობი მანქანის ოპერატორი;
- პურის მწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- შოკოლადის მწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- სიგარეტის მწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- რძის პროდუქტების მწარმოებელი მანქანის ოპერატორი;
- თევზეულის გადასამუშავებელი მანქანის ოპერატორი;
- ხორცის გადასამუშავებელი მანქანის ოპერატორი;
- რძის გადასამუშავებელი მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ჩამოსასხმელი მანქანის ოპერატორი – 8183.

817 მცირე ჯგუფი
ხის დასამუშავებელი და ქაღალდის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

ხის დასამუშავებელი და ქაღალდის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ, მართავენ და აკონტროლებენ ცელულოზისა და ქაღალდის საწარმოებელ, აგრეთვე, ხის, ცელულოზისა და ქაღალდის შემდგომ გამოსაყენებლად ხის სახერხი, შპონების მოსაჭრელი, ფანერის დასამზადებელ მანქანებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ჭრის პროდუქტიულობისა და მომგებიანობის განსასაზღვრად მორებისა და მყარი ხის მასალის შესწავლას, აგრეთვე, ზომის, მდგომარეობის, ხარისხის და სხვა მაჩვენებლების განსაზღვრას, საუკეთესო მყარი ხის მასალის მოსაჭრელად გადაწყვეტილების მიღებას ან ავტომატური აღჭურვილობით მორების ლაზერულ სკანერებში გატარებას; ნაფოტებად, შპონებად და ცელულოზად გადასამუშავებლად მორებისა და ხის

კუნძების კონვეიერებსა და სატვირთო მანქანების დაზგებზე დახარისხება-დაწყობას; ერთი ან მეტი ცელულოზის გადასამამუშავებლად სკრინინგისა და მათეთრებელი აღჭურვილობის, ავტოკლავის, შესარევი აუზების, მრეცხავებისა და სხვა ცელულოზის საწარმოებელი მანქანებისა და აღჭურვილობის მართვასა და ქაღალდის გასაშრობი, აღსაწერი, დასალამინირებელი, დასაფარი, დასასერი, მოსაჭრელი, დასახვევი ან სხვა ქაღალდის დასამზადებელი მანქანა-დანადგარების მართვასა და მეთვალყურეობას; მანქანისა და აღჭურვილობის გაუმართავობების აღმოსაჩენად და სპეციფიკაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პანელისა და დონეების მაჩვენებლებზე, საზომ ხელსაწყოებსა და სხვა ინსტრუმენტებზე დაკვირვებას; შპონების დასაჭრელი, ფანერის შიგთავსის დასამზადებელი და ცხელი მეთოდით დასაპრესი მანქანების მართვასა და გამოყენებას; სამუშაო ადგილებზე გადამუშავებული ხის მასალის გადატანას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8171 ცელულოზისა და ქაღალდის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორები;

8172 ხის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორები.

<u>8171 ჯგუფური ერთეული</u>
ცელულოზისა და ქაღალდის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორები

ცელულოზისა და ქაღალდის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები მეთვაყურეობენ და მართავენ ხის, ცელულოზის და სხვა ცელულოზის მასალის გადასამუშავებელ აღჭურვილობას, რომლებიც მონაწილეობენ ცელულოზისა და დაფარულ-დასრულებული ქაღალდის წარმოებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ერთი ან მეტი ცელულოზის გადასამამუშავებლად სკრინინგისა და მათეთრებელი აღჭურვილობის, ავტოკლავის, შესარევი აუზების, მრეცხავებისა და სხვა ცელულოზის საწარმოებელი მანქანებისა და აღჭურვილობის მართვასა და გამოყენებას;
2. ქაღალდის გასაშრობი, აღსაწერი, დასალამინირებელი, დასაფარი, დასასერი, მოსაჭრელი, დასახვევი ან სხვა ქაღალდის დასამზადებელი მანქანა-დანადგარების მართვასა და მეთვალყურეობას;
3. მანქანისა და აღჭურვილობის გაუმართავობების აღმოსაჩენად და სპეციფიკაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მანქანებისა და დანადგარების ჩართვა-გამორთვის კონტროლს, აგრეთვე, პანელისა და დონეების მაჩვენებლებზე, საზომ ხელსაწყოებსა და სხვა ინსტრუმენტებზე დაკვირვებას;
4. პროცესის დასარეგულირებლად და მოთხოვნისამებრ მანქანებისა და აღჭურვილობის ჩასართავ-გამოსართავად მაკონტროლებელ ოპერატორებთან კომუნიკაციას;
5. ინსტრუმენტების მუშაობის შედეგებისა და წარმოების სატესტო ნიმუშების გააანალიზირებას, აგრეთვე, წარმოების პროცესისა და აღჭურვილობის მოთხოვნისამებრ დარეგულირებას;
6. ამწეთი ქაღალდის რულონების წამოყენებას, განთავსებასა და ასხმას;

7. ნაოჭების, ნახვრეტების, გახუნებული ადგილების, ზოლებისა და სხვა დეფექტების აღმოსაჩენად ქაღალდის ვიზუალურად შემოწმებასა და შეცდომების გამოსწორებას;
8. წარმოების ანგარიშების დასრულებასა და შენარჩუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აღწერის ოპერატორი (ცელულოზა და ქაღალდი);
- ცელულოზისა და ქაღალდის მსრესავი;
- ცელულოზის ოპერატორი;
- დაფარვის ოპერატორი (ცელულოზა და ქაღალდი).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქაღალდის ცელულოზის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორი – 3139;
- ცელულოზის დასამზადებელი დანადგარის ოპერატორ-კონტროლიორი – 3139;
- ცელულოზის დასამზადებელი დანადგარის ტექნიკოსი – 3139

<u>8172 ჯგუფური ერთეული</u>
ხის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორები

ხის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორები მეთვალყურეობენ, მართავენ და აკონტროლებენ ხე-ტყის მორებად და ფანერის დასაჭრელ, ფანერისა და ბურბუშელას დასამზადებელ და ხის სხვაგვარად დასამზადებელ სახერხ აღჭურვილობებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ჭრის პროდუქტიულობისა და მომგებიანობის განსასაზღვრად მორებისა და მყარი ხის მასალის შესწავლას, აგრეთვე, ზომის, მდგომარეობის, ხარისხის და სხვა მაჩვენებლების განსაზღვრას, საუკეთესო მყარი ხის მასალის მოსაჭრელად გადაწყვეტილების მიღებას ან ავტომატური აღჭურვილობით მორების ლაზერულ სკანერებში გატარებას;
2. მორების შეტანასა და კონვეიერის სისტემების მართვასა და მეთვაყურეობას;
3. სხვადასხვა ზომის ხის მასალის დასამზადებლად და ფირფიტებისა და შრეების დასახერხად ან დასაპობად მორების, ძელების, ნაგვერდულების, ყუაფიცრისა და ნაკვეთურების დასახერხად მთავარი, გრძივი და მრავალპირიანი ხერხების გამოყენებას, აგრეთვე, დახერხილი ხის მასალისაგან უხეში ნაწილების მოშორებას;
4. შპონების დასაჭრელი, ფანერის შიგთავსის დასამზადებელი და ცხელი მეთოდით დასაპრესი მანქანების მართვასა და გამოყენებას;
5. ხე-ტყის აღჭურვილობის გაწმენდასა და დაპოხვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- წრიულად ხერხვის ოპერატორი;
- მორების მჭრელი;
- ფანერის მპრესავი;

- ხე-ტყის გადასამუშავებელი ქარხნის ოპერატორი;
- ხე-ტყის გადასამუშავებელი ქარხნის მგეგმავი;
- ხე-ტყის გადასამუშაველი ქარხნის-მთრიმვლელი;
- შპონების მჩარხველი;
- ხის მხერხავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ხის დასამუშავებელი ავზის ოპერატორი – 7521;
- ფანერის მშრობელი – 7521;
- ხის დასამუშავებელი დაზგების ოპერატორი – 7523.

818 მცირე ჯგუფი
უძრავი სამრეწველო მანქანა-დანადგარების ოპერატორები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს დანადგარებისა და მანქანების იმ ოპერატორებს, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული 81 ქვეჯგუფში – უძრავი დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები (მაგ., სილიკონის ბურბუშელას, დაწნული კაბელებისა და თოკების დასამზადებელი).

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: აგურის გამოსაწვავი ღუმელების, ქურების და სხვა მანქანებისა და აღჭურვილობის მონიტორინგს, რომელიც ამზადებს შუშას, კერამიკას, ფაიფურს, კრამიტსა ან აგურს; შუშისა და კერამიკის გამოსაწვავი, გასამაგრებელი ან გასაფორმებელი მანქანების გამოყენებას; სტაციონარული ორთქლის მანქანების, ბოილერების, ტურბინებისა და სხვა დამხმარე აღჭურვილობის მართვასა და მოვლა-შენარჩუნებას; ასაწონი, შესაფუთი და იარლიყის დასაკრავი, ან სათავსოების პროდუქციით შესავსები მანქანების მართვასა და გამოყენებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8181 შუშისა და კერამიკის დანადგარების ოპერატორები;

8182 ორთქლის ძრავებისა და ქვაბების ოპერატორები;

8183 შესაფუთი, ჩამოსასხმელი და იარლიყის დასაკრავი მანქანების ოპერატორები;

8189 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი უძრავი მანქანა-დანადგარების ოპერატორები.

8181 ჯგუფური ერთეული
შუშისა და კერამიკის დანადგარების ოპერატორები

შუშისა და კერამიკის დანადგარების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ აგურის გამოსაწვავ ღუმელებს, ქურებსა და სხვა მანქანებს, რომელიც ამზადებს შუშას, კერამიკას, ფაიფურს, კრამიტსა ან აგურს; აგრეთვე, გამოიყენებენ შუშისა და კერამიკის გამოსაწვავ, გასამაგრებელ ან გასაფორმებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. წინასწარ შერეული ინგრედიენტების დნობითა და გაერთიანებით შუშის დასამზადებელი ქურების მართვასა და მეთვალყურეობას;
2. შუშის ნაწარმის ზედაპირის გასამაგრებლად ცხელისა ან ცივის შესასხურებელი აღჭურვილობისათვის მიმართულების მიცემას;
3. დასაპრესი ან დასაბერი, აგრეთვე, სასურველი ფორმის (მაგ.: ბოთლების, ქილებისა და სასმელი ჭიქების) მისაცემად გამდნარ შუშის ყალიბებში ჩასასხმელი მანქანების მართვასა და მოვლა-შენარჩუნებას;
4. შუშის საჭირო ფორმაში ჩამოსასხმელად ხელით დასაპრესი ხელსაწყოს მართვას;
5. დამდნარი შუშის ბრტყელ შრეებად ჩამოსაყალიბებლად აგურის გამოსაწვავი ღუმელების მართვას;
6. ცვალებადი-შუშის წარმოების დანადგარების მართვასა და მონიტორინგს;
7. შუშისა ან შუშის პროდუქციის მოსაპირკეთებელი, გასახვრეტი, მოსაპრიალებელი, მოსაწახნაგებელი, გასაფორმებელი, გასარეცხი ან გასაპრიალებელი მანქანების მართვასა და მოვლა-შენარჩუნებას;
8. ნედლი თიხისაგან კერამიკული ერთეულების ყალიბებში ჩამოსასხმელად დასაპრესი მანქანების გამართვასა და გამოყენებას;
9. კერამიკის პროდუქციის დასამზადებლად თიხისა და წყლის შესარევი მანქანების მართვას, შესაფერისი პლასტიკის კონდიციამდე ან ნახევრად თხევად ფორმამდე მის მოზელას;
10. კერამიკის, ფაიფურის ჭურჭლის, კრამიტისა და აგურის გამოსაწვავი ღუმელების მართვას;
11. მოსაჭიქი და მოსახეხი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
12. შუშის ბოჭკოს შესაქმნელი, მდნარი შუშის ამოსაღები მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
13. ნაპობების, ბზარების, ნატეხების, ფერისა და სხვა დეფექტების გამოსავლენად დასრულებული მასალის შემოწმება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აგურის გამოსაწვავი ღუმელის ოპერატორი;
- კერამიკის მოსახატი მანქანის ოპერატორი;
- თიხის შესარევი მანქანის ოპერატორი;
- ამოღებული თიხის დასაპრესი მანქანის ოპერატორი;
- ქურის ოპერატორი (შუშის წარმოება);
- შუშის გასაგრილებელი მანქანის ოპერატორი;
- შუშის შესარევი მანქანის ოპერატორი;
- შუშის გამომწველი;
- ჭურჭლის გამომწველი;
- კრამიტის გამომწველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- აგურისა და კრამიტის მეყალიბე – 7314;

- მინამბერი – 7315;
- მეშუშე – 7315.

8182 ჯგუფური ერთეული
ორთქლის ძრავებისა და ქვაბების ოპერატორები

ორთქლის ძრავებისა და ქვაბების ოპერატორები კომერციული, საწარმოო და ინსტიტუციონალური შენობების, სამუშაო ადგილების, გემებისა და თვითმოძრავი ხომალდების, ენერგიითა და სხვა კომუნალური მომსახურებით უზრუნველსაყოფად მართავენ და მეთვალყურეობენ სხვადასხვა ტიპის ორთქლის მანქანებს, ქვაბებს, ტურბინებსა და დამხმარე აღჭურვილობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შენობების, საზღვაო ხომალდებისა ან პნევმატური ხელსაწყოების მოსამარაგებლად და შესანარჩუნებლად ორთქლის მანქანებისა და ქვაბების დამხმარე აღჭურვილობის (მაგ.: სატუმბების, კომპრესორებისა და ჰაერის კონდიცირების აღჭურვილობის) მართვას, წმენდას, დაპოხვასა და მეთვალყურეობას;
2. აჭღურვილობისა ან სისტემის გაუმართაობის აღმოსაფხვრელად ინსტრუმენტების ჩვენებების გაანალიზებასა და ჩაწერას, აგრეთვე, პრობლემების მოგვარებასა და მცირე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას;
3. გამოყენების ეფექტურობისა და ორთქლის ქვაბების წყლით, ქიმიკატებითა და საწვავის საჭირო დონეზე შესანარჩუნებლად აღჭურვილობის გამოყენების მეთვალყურეობასა და ინსპექტირებას;
4. ნახშირის ქურების ხელით ან მეცეცხლურებით დანთებასა, აგრეთვე, ავტომატური გაზის ან ზეთის სატუმბებით გაზსა ან ზეთზე მომუშავე ორთქლის ქვაბების დანთებას;
5. კოროზიისა და საზიანო დეპოზიტების აღმოსაფხვრელად ორთქლის ქვაბების წყლის ხარისხის ტესტირებასა ან ტესტირებისათვის მომზადებას, რეგულირებასა და აუცილებელი კორექციული ქმედებების (მაგ., ქიმიკატების დამატებას) განხორციელებას;
6. გემის ძრავის, მანქანებისა და აღჭურვილობის ინდიკატორების მეთვალყურეობას, სიდიდეების ჩაწერასა და გემის ინჟინერ-ოფიცრის ინფორმირებას;
7. სითხით დატვირთვის სატუმბებისა და სარქველების მართვასა და მეთვალყურეობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ორთქლის ქვაბების მომვლელი;
- გემის ორთქლის ქვაბების ოპერატორი;
- უძრავი დანადგარის ინჟინერი;
- ორთქლის მანქანის ოპერატორი;
- მეცეცხლური.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- გემის ინჟინერი – 3151;
- უძრავი დანადგარების ამწყობი – 7233.

8183 ჯგუფური ერთეული
შესაფუთი, ჩამოსასხმელი და იარლიყების დასაკრავი მანქანების ოპერატორები

შესაფუთი, ჩამოსასხმელი და იარლიყების დასაკრავი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ სხვადასხვა პროდუქციის ასაწონ, შესაფუთ და იარლიყის დასაკრავ ან სათავსოების პროდუქციით შესავსებ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროდუქციის ასაწონი, დასახვევი, დასაბეჭდი და შესაფუთი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
2. მილების, ბოთლების, ქილების, ყუთების, ჩანთებისა და სხვა სათავსოების პროდუქციით (მაგ.: საკვებით, სასმელით, საღებავებით, ზეთებითა და ლოსიონებით) შესავსები და დასაბეჭდი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
3. პროდუქტებზე, შეფუთვებსა და სათავსოებზე მისაწებებელი ან სხვა მეთოდებით იარლიყების დასაკრავი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბოთლის შემავსებელი;
- დასაკონსერვებელი მანქანის ოპერატორი;
- იარლიყის დასაკრავი მანქანის ოპერატორი;
- შესაფუთი მანქანის ოპერატორი;
- შესახვევი მანქანის ოპერატორი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ხელით მფუთავი – 9321.

8189 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი უძრავი მანქანა-დანადგარების ოპერატორები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს უძრავი დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებს, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული 81 ქვეჯგუფში – უძრავი მანქანადანადგარების ოპერატორები (მაგ., სილიკონის ბურბუშელას, დაწნული კაბელებისა და თოკების დასამზადებელი).

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კაბელებისა და თოკების დამწვნელი მანქანის ოპერატორი;

- სილიკონის ბურბუშელას მწარმოებელი მანქანის ოპერატორი.

82 ქვეჯგუფი
ამწყობები

ამწყობები, მკაცრად გაწერილი პროცედურების შესაბამისად, მთლიანი ერთეულის, პროდუქციისა და აღჭურვილობის მისაღებად აწყობენ საქარხნო წესით დამზადებულ ნაწილებსა ან კომპონენტებს. შესაძლებელია, ასაწყობი პროდუქცია გადაეცეს ერთი მუშიდან მეორეს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მკაცრად გაწერილი პროცედურების შესაბამისად სხვადასხვა ტიპის პროდუქციისა და აღჭურვილობისათვის კომპონენტების აწყობას; ინსტრუქციების შესასრულებლად საჭირო მასალების განსასაზღვრად სამუშაო დავალებების, სპეციფიკაციების, დიაგრამებისა და ნახაზების გადახედვას; სპეციფიკურ ფორმებში წარმოებისა და ოპერაციული მონაცემების ჩაწერას; დასრულებული კომპონენტებისა და აწყობილი მასალის, ელექტროგაყვანილობის დამონტაჟებას, წრედების ინსპექტირებასა და ტესტირებას; დეფექტურად აწყობილი მასალისა და კომპონენტების დაწუნებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

821 ამწყობები.

821 მცირე ჯგუფი
ამწყობები

ამწყობები, მკაცრად გაწერილი პროცედურების შესაბამისად, მთლიანი ერთეულის, პროდუქციისა და აღჭურვილობის მისაღებად აწყობენ საქარხნო წესით დამზადებულ ნაწილებსა ან კომპონენტებს. შესაძლებელია, ასაწყობი პროდუქცია გადაეცეს ერთი მუშიდან მეორეს.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მკაცრად გაწერილი პროცედურების შესაბამისად სხვადასხვა ტიპის პროდუქციისა და აღჭურვილობისათვის კომპონენტების აწყობას; ინსტრუქციების შესასრულებლად საჭირო მასალების განსასაზღვრად სამუშაო დავალებების, სპეციფიკაციების, დიაგრამებისა და ნახაზების გადახედვას; სპეციფიკურ ფორმებში წარმოებისა და ოპერაციული მონაცემების ჩაწერას; დასრულებული კომპონენტებისა და აწყობილი მასალის, ელექტროგაყვანილობის დამონტაჟებას, წრედების ინსპექტირებასა და ტესტირებას; დეფექტურად აწყობილი მასალისა და კომპონენტების დაწუნებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8211 მექანიკური მანქანების ამწყობები;

8212 ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობების ამწყობები;

8219 სხვა კატეგორიას მიეკუთვნებელი ამწყობები.

8211 ჯგუფური ერთეული
მექანიკური მანქანების ამწყობები

მექანიკური მანქანების ამწყობები, მკაცრად გაწერილი პროცედურების შესაბამისად, აწყობენ მექანიკური მანქანების (მაგ.: ძრავების, ავტომობილების, ტურბინებისა და თვითმფრინავების) შემადგენელ ნაწილებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მთლიანი ერთეულის, მექანიკური მანქანების, ძრავებისა და დასრულებული ავტომობილების შესაქმნელად საქარხნო წესით დამზადებული ნაწილებისა ან კომპონენტების აწყობასა და მონტაჟს;
2. ინსტრუქციების შესასრულებლად საჭირო მასალების განსასაზღვრად სამუშაო დავალებების, სპეციფიკაციების, დიაგრამების და ნახაზების გადახედვას;
3. სპეციფიკურ ფორმებში წარმოებისა და ოპერაციული მონაცემების ჩაწერას;
4. დასრულებული კომპონენტებისა და აწყობილი მასალის შემოწმებას;
5. დეფექტური მასალისა და კომპონენტების დაწუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- თვითმფრინავის ამწყობი;
- სკამის მემონტაჟე (სატვირთო მანქანები);
- ძრავის ამწყობი;
- ძრავის დამყენებელი;
- სიჩქარეთა კოლოფის ამწყობი;
- ტურბინის ამწყობი;
- ავტომობილის ამწყობი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ავტომობილის მექანიკოსი – 7321;
- ელექტრო-მექანიკური აღჭურვილობის ამწყობი – 8212;
- ველოსიპედის ამწყობი – 8219.

8212 ჯგუფური ერთეული
ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობის ამწყობები

ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობის ამწყობები, მკაცრად გაწერილი პროცედურების შესაბამისად, აწყობენ ან ცვლიან ელექტრონულ კომპონენტებს, ელექტრულ, ელექტრომექანიკურ და ელექტრონულ აღჭურვილობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კომპონენტის ნაწილებისა და ელექტრონული და ელექტრული სისტემების აწყობასა და დაყენებას, გასწორებასა და ერთეულებთან ან ჩარჩოებთან, ხელით ან ენერგოსარჩილავი ხელსაწყოებითა და მიკროტალღური აღჭურვილობით ნაწილების მიერთებას;
2. ინსტრუქციების შესასრულებლად საჭირო მასალების განსასაზღვრად სამუშაო დავალებების, სპეციფიკაციების, დიაგრამებისა და ნახაზების გადახედვას;
3. სპეციფიურ ფორმებში, წარმოებისა და ოპერაციული მონაცემების ჩაწერას;
4. ელექტროაღჭურვილობაში გამოსაყენებელი მავთულისა და რეგისტრებში, ტრანსფორმერებში, არმატურის მავთულებში, ელექტროძრავებსა და გენერატორებში გამოსაყენებელი მავთულის დასახვევი მანქანების მართვას;
5. დასრულებული კომპონენტებისა და აწყობილი მასალის, ელექტროგაყვანილობებისა და წრედების ინსპექტირებასა და ტესტირებას;
6. დეფექტურად მასალებისა და კომპონენტების დაწუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- არმატურის ამწყობი;
- ელექტრონული აღჭურვილობის ამწყობი;
- ელექტრო-მექნიკური აღჭურვილობის ამწყობი;
- ელექტრული აღჭურვილობის ამწყობი;
- მეგრავიურე (დაბეჭდილი წრიული დაფა);
- ტელეფონის ამწყობი;
- ტელევიზორის ამწყობი;
- საათის ამწყობი.

ზოგიერთი დაკავშირებული საქმიანობები, რომლებიც კლასიფიცირებულია სხვაგან:

- სიზუსტის განმსაზღვრელი ინსტრუმენტის დამამზადებელი – 7311;
- ელექტრომოწყობილობების მექანიკოსები და შემკეთებლები – 7421.

<u>8219 ჯგუფური ერთეული</u>
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ამწყობები

სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ამწყობები, მკაცრად გაწერილი პროცედურების შესაბამისად, აწყობენ პროდუქციას, რომლებიც არ მოიცავს ელექტრონულ, ელექტრულ ან მექანიკურ კომპონენტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. კომპონენტის ნაწილების დაყენებას, გასწორებასა და ერთეულებთან ან ჩარჩოებთან, ხელით ან ენერგოსარჩილავი ხელსაწყოებითა და მიკროტალღური აღჭურვილობით ნაწილების მიერთებას;
2. ინსტრუქციების შესასრულებლად საჭირო მასალების განსასაზღვრად სამუშაო დავალებების, სპეციფიკაციების, დიაგრამებისა და ნახაზების გადახედვას;
3. სპეციფიკურ ფორმებში წარმოებისა და ოპერაციული მონაცემების ჩაწერას;
4. დასრულებული კომპონენტებისა და აწყობილი მასალის ინსპექტირებასა და ტესტირებას;
5. დეფექტურად აწყობილი პროდუქციის დაწუნებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ამუნიციის ამწყობი;
- ველოსიპედის ამწყობი;
- ყუთის ამწყობი;
- კარის ამწყობი;
- სათვალის ჩარჩოს ამწყობი;
- ავეჯის ამწყობი (ხე);
- საიუველირო ნაწარმის ამწყობი;
- დანის ამწყობი;
- ტყავის პროდუქციის ამწყობი;
- ჩემოდნების ამწყობი;
- ლითონის პროდუქციის ამწყობი (გარდა მექანიკური პროდუქციისა);
- მუყაოს პროდუქციის ამწყობი;
- კალმისა და ფანქრის ამწყობი;
- პლასტმასის სათამაშოს ამწყობი;
- რეზინის პროდუქციის ამწყობი;
- მზის დამცავების ამწყობი;
- ტექსტილის პროდუქციის ამწყობი;
- თერმოსის ბოთლის ამწყობი;
- ხის პროდუქციის ამწყობი.

83 ქვეჯგუფი

მძღოლები და მოძრავი დანადგარების ოპერატორები

მძღოლები და მოძრავი დანადგარების ოპერატორები ატარებენ და მიმართულებას აძლევენ მატარებლებსა და ავტომობილებს, აგრეთვე, მეთვალყურეობენ საწარმოო და სოფლის მეურნეობის მანქანებსა და აღჭურვილობას, მუშაობენ გემბანზე, გემის ბორტსა ან სხვა სახის მცურავ ხომალდზე. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე.

მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მატარებლებისა და ავტომობილების მართვასა და მიმართულების მიცემას; მოძრავი საწარმოო, სოფლის მეურნეობის მანქანებისა და აღჭურვილობის ტარებას, მართვასა და მეთვალყურეობას; გემბანზე, გემის ბორტსა ან სხვა სახის მცურავ ხომალდზე მუშაობას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

831 ორთქმავლების მემანქანეები და მონათესავე სფეროს მუშები;
832 მსუბუქი ავტომობილების, ფურგონებისა და მოტოციკლების მძღოლები;
833 სატვირთო ავტომობილებისა და ავტობუსების მძღოლები;
834 მოძრავი დანადგარების ოპერატორები;
835 გემბანის ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშები.

831 მცირე ჯგუფი
ორთქმავლების მემანქანეები და მონათესავე სფეროს მუშები

ორთქმავლების მემანქანეები და მონათესავე სფეროს მუშები მგზავრებისა და ტვირთის ტრანსპორტირებისთვის მართავენ, ან მართვაში ეხმარებიან ორთქმავლების; პასუხისმგებლობენ და იცავენ რკინიგზის სატვირთო მატარებლების მოძრაობას; სიგნალებით აკონტროლებენ რკინიგზის მოძრაობას; რთავენ მოძრავ ხაზებსა და რკინიგზის ეზოებში ამისამართებენ მატარებლებს; მაღაროებში გადასაზიდად უშვებენ მატარებლებსა და აკონტროლებენ მათ მოძრაობას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: სარკინიგზო ძრავების მართვასა ან მართვაში დახმარებას; სარკინიგზო სიგნალების მართვას; მოძრავი ხაზების გადართვასა და მატარებლების რკინიგზის ეზოებში გადამისამართებას; მატარებლების მაღაროებში გაშვებასა და მათი მოძრაობის გაკონტროლებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8311 ორთქმავლების მემანქანეები;
8312 რკინიგზის დამმუხრუჭებლები, დამსიგნალებლები და მეისრეები.

8311 ჯგუფური ერთეული

ორთქმავლების მძღოლი

მგზავრებისა და ტვირთის ტრანსპორტირებისათვის, ორთქმავლების მძღოლები მართავენ ძრავებს, ან მათ მართვაში ეხმარებიან.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ორთქლის, ელექტრო ან დიზელელექტრული ორთქმავლების ძრავის მართვასა ან მართვაში დახმარებას;
2. მიწისქვეშა ან რკინიგზის სამგზავრო მატარებლის მართვას;
3. მაღაროს ან კარიერის მიწისქვეშ, აგრეთვე, ზედაპირზე ვაგონების გადასაზიდად ორთქმავლების მართვას;
4. ლიანდაგის საშიშ ადგილებზე, სიგნალებსა და საინდიკაციო საზომებზე დაკვირვებას;
5. უსაფრთხო მართვისა და მატარებლების განრიგის დასაცავად კომუნიკაციების სისტემების მართვას, აგრეთვე, მატარებლის ეკიპაჟისა და მოძრაობის მაკონტროლებლებთან კომუნიკაციას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ორთქმავლის მძღოლი;
- მეტროპოლიტენის მძღოლი;
- მატარებლის მძღოლი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ტრამვაის მძღოლი – 8331.

<u>შენიშვნა:</u>

საზოგადოებრივი გზებიდან განცალკევებული, ფიქსირებულ სარკინიგზო სისტემაზე მოძრავი მანქანების მძღოლები კლასიფიცირებულნი არიან 8311 ჯგუფურ ერთეულში – ორთქმავლის მძღოლები. საზოგადოებრივი, მგზავრების გადამყვანი, ფიქსირებულ რკინიგზაზე მოძრავი მანქანების მძღოლები კლასიფიცირებულები არიან 8331 ჯგუფურ ერთეულში – ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები.

<u>8312 ჯგუფური ერთეული</u>
რკინიგზის დამმუხრუჭებლები, დამსიგნალებლები და მეისრეები

რკინიგზის დამმუხრუჭებლები, დამსიგნალებლები და მეისრეები პასუხისმგებლობენ და იცავენ სატვირთო მატარებლებს მოძრაობისას; სიგნალებით აკონტროლებენ რკინიგზის მოძრაობას; რთავენ მოძრავ ხაზებსა და რკინიგზის ეზოებში ამისამართებენ მატარებლებს; მაღაროებში გადასაზიდად უშვებენ მატარებლებსა და აკონტროლებენ მათ მოძრაობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მოძრაობისას სატვირთო მატარებლების დაცვასა და მათზე პასუხისმგებლობას;
2. სიგნალების სამართვი და საკონტროლო პანელებიდან ან სასიგნალო ყუთებიდან გადართვებით სექციებში მოძრაობის კონტროლს;
3. ჩატვირთვის, გადმოტვირთვისა და მატარებლების გადამისამართების წესების შესაბამისად მოძრავი ხაზების გადართვასა და მატარებლების რკინიგზის ეზოებსა და სარკინიგზო კუნძულებზე გადამისამართებას;
4. ორთქმავლითა ან კაბელით მაღაროს ან კარიერის გზებზე გადამზიდავი მატარებლების სატვირთო მიზნებისათვის გადამისამართებასა და გადაადგილების მართვას;
5. მოძრაობის დაწყებამდე მატარებლის სისტემებისა და აღჭურვილობის (მაგ.: ჰაერის კონდიცირებისა და გათბობის სისტემების, მუხრუჭებისა და სამუხრუჭე შლანგების) შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მემუხრუჭე (რკინიგზა);
- მეისრე (რკინიგზა);
- სიგნალის გადამცემი (რკინიგზა).

832 მცირე ჯგუფი
მსუბუქი ავტომობილების, ფურგონებისა და მოტოციკლების მძღოლები

მსუბუქი ავტომობილების, ფურგონებისა და მოტოციკლების მძღოლები, მგზავრების, მასალის ან პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის, მართავენ და მიმართულებას აძლევენ მოტოციკლებს, მანქანებსა ან ფურგონებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანა, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მგზავრების, მასალის ან პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის, მოტოციკლების, მანქანებისა ან ფურგონების მართვასა და მიმართულების მიცემას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8321 მოტოციკლების მძღოლები;

8322 მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები.

8321 ჯგუფური ერთეული
მოტოციკლების მძღოლები

მოტოციკლის მძღოლები მასალის, პროდუქციისა და მგზავრების გადასაზიდი მართავენ და მიმართულებას აძლევენ მოტოციკლებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მასალის, პროდუქციისა და მგზავრების გადასაზიდი მოტოციკლების მართვასა და მიმართულების მიცემას;
2. საგზაო წესებსა და სიგნალებზე დაკვირვებას;
3. მანქანების წმენდასა და რეცხვას, ასევე, მოვლა-შენარჩუნებასა და მცირე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას;
4. მგზავრობის ჩანაწერების მომზადებას;
5. შეტყობინებების გადაცემას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კურიერი;
- მძღოლი (მოტორიზებული რიქშა);
- მძღოლი (სამთვლიანი მოტოციკლი);
- მოტოციკლეტისტი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მძღოლი (სატერფულიანი მანქანა) – 9331.

8322 ჯგუფური ერთეული
მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები

მგზავრების, ფოსტისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის, მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები მართავენ და მიმართულებას აძლევენ მსუბუქ ავტომობილებსა და ფურგონებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამგზავრო ფურგონების, მსუბუქი ავტომანქანებისა და ტაქსის მართვასა და მიმართულების მიცემას;
2. ფოსტისა და პროდუქციის მისაწოდებლად, მსუბუქი ავტომანქანების, ფურგონებისა ან პატარა სატვირთო მანქანების მართვასა და მიმართულების მიცემას;
3. ბარგთან დაკავშირებით მგზავრების დახმარებას;
4. მგზავრობის, გადაზიდვის ან მიტანის გადასახადებისა და დოკუმენტაციის მოგროვებას;
5. კავშირგაბმულობის აღჭურვილობის მართვას, ადგილისა და შესაძლებლობების გადმოსაცემად საკონტროლო ცენტრის მითითებების შესრულებას;
6. მოკლე მარშრუტის განსაზღვრას;
7. უნარშეზღუდული მგზავრების დახმარებას;
8. უნარშეზღუდული მგზავრების ჩასასმელ-გადმოსასმელი დანადგარის მართვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლი;
- მანქანის მძღოლი;
- სადგომზე დაყენაბაში დამხმარე;
- ტაქსის მძღოლი;
- ფურგონის მძღოლი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- მძღოლი (მოტორიზებული რიქშა) – 8321;
- ავტობუსის მძღოლი – 8331;
- სატვირთო მანქანის მძღოლი – 8332;
- სატერფულიანი მანქანის მძღოლი;
- რიქშას მძღოლი – 9331;
- ცხოველური სატრანსპორტო საშუალების მძღოლი – 9332.

833 მცირე ჯგუფი
მძიმე სატვირთო ავტომობილებისა და ავტობუსების მძღოლები

მძიმე სატვირთო ავტომობილებისა და ავტობუსების მძღოლები პროდუქციის, სითხის, მძიმე მასალებისა და ფოსტისა გადასაზიდად, აგრეთვე, მგზავრების გადასაყვანად მართავენ და უძღვებიან მძიმე სატვირთო და სატვირთო მანქანებს, ავტობუსებსა ან ტრამვაის.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანა, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: პროდუქციის, სითხის, მძიმე მასალებისა და ფოსტისა გადასაზიდად, აგრეთვე, მგზავრების გადასაყვანად მძიმე სატვირთო და სატვირთო მანქანების, ავტობუსებისა ან ტრამვაის მართავსა და გაძროლას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8331 ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები;

8332 სატვირთო ავტომობილების მძღოლები.

8331 ჯგუფური ერთეული
ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები

ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები მგზავრების გადასაყვანად და ფოსტისა ან პროდუქციის გადასაზიდად მართავენ და უძღვებიან ავტობუსებს ან ქუჩის ტრამვაის.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ადგილობრივ ან გრძელ მანძილზე გადასაადგილებელი მგზავრების ტრანსპორტირებისთვის ავტობუსების, ტროლეიბუსებისა ან მოტორიანი ეტლების მართვასა და გაძღოლას;
2. მგზავრების ტრანსპორტირებისათვის ქუჩის ტრამვაის მართვასა და გაძღოლას;

3. მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომისას კარების გახსნასა და დახურვას;
4. მგზავრებისათვის დახმარების გაწევას ბარგთან დაკავშირებით/ბარგთან დაკავშირებით მგზავრებისათვის დახმარებას;
5. ავტობუსებსა და ტრამვაიზე განათების, გათბობისა და ვენტილაციის კონტროლს;
6. უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად მოძრაობაზე დაკვირვებას;
7. მგზავრობის გადასახადების მოგროვებასა და მგზავრობის ბილეთების შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ავტობუსის მძღოლი;
- მოტორიანი ეტლის მძღოლი;
- ტრამვაის მძღოლი.

8332 ჯგუფური ერთეული
სატვირთო ავტომობილების მძღოლები

მძიმე სატვირთო და სატვირთო მანქანების მძღოლები მოკლე და გრძელ მანძილზე პროდუქციის, სითხის და მძიმე მასალების გადასაზიდად მართავენ და უძღვებიან მძიმე სატვირთო მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მოკლე ან გრძელ მანძილზე პროდუქციის, სითხისა ან მძიმე მასალების სატვირთო მანქანებით (მაგ.: ტრეილერიანი, თვითმცლელიანი ან მათ გარეშე) გადაზიდვას;
2. ყველაზე მისაღები მარშრუტის განსაზღვრას;
3. დანაკარგებისა და დაზიანებების თავიდან ასარიდებლად პროდუქციის დალაგებასა და დაფარვას;
4. სხვადასხვა ამწევი ან ბიძგის მიმცემი ხელსაწყოებით ატვირთვა-ჩამოტვირთვას;
5. მანქანების მცირე შეკეთებას, აგრეთვე, ფართო ხასიათის მოვლა-შენარჩუნებისა და აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვას;
6. ჩატვირთვის ლიმიტებთან შესაბამისობაში და სიმძიმეების უსაფრთხო დისტრიბუციის უზრუნველსაყოფად წონის განსაზღვრას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბეტონის შესარევი მანქანის მძღოლი;
- ნაგვის მანქანის მძღოლი;
- მძიმე სატვირთო მანქანის მძღოლი;
- საგზაო მატარებლის მძღოლი (სატვირთო მანქანა).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფურგონის მძღოლი – 8322.

834 მცირე ჯგუფი
მოძრავი დანადგარების ოპერატორები

მოძრავი დანადგარების ოპერატორები მართავენ, უძღვებიან და მეთვალყურეობენ მიწის დასამუშავებელ და დასასუფთავებელ, აგრეთვე, მიწის, ქანებისა და მსგავსი მასალის სათხრელ, გადასაადგილებელ, გასაფრქვევ, მძიმე საგნების ასაწევ და გადასაადგილებელ მოტორიზებულ მანქანებსა ან აღჭურვილობას.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დანადგარების მომზადებასა და დაყენებას; სიჩქარის, სიმაღლისა და სიღრმის ხელსაწყოების დარეგულირებას; მოძრავი დანადგარების მართვასა და გამოყენებას; ხეების, მორების, მიწისა და სხვა მძიმე საგნების ან მასალის აწევასა და რხევას; სატვირთო, სამშენებლო უძრავი ან მოძრავი ამწეების გამოყენებასა და მეთვაყურეობას, აგრეთვე, ტრასპორტირებასა და შენახვას; მანქანების მომსახურებასა და მცირე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

8341 სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები;
8342 მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები;
8343 ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები;
8344 ამწევი მანქანების ოპერატორები.

8341 ჯგუფური ერთეული
სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები

სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები მართავენ, უძღვებიან, გამოიყენებენ და მეთვალყურეობენ ერთი ან უფრო მეტი ტიპის სპეციალური მიზნებისათვის განკუთვნილ, სოფლის მეურნეობის, მებაღეობისა და სატყეო ოპერაციებისას გამსაყენებელ მოტორიზებულ მანქანებსა და აღჭურვილობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მიწის მოსახნავი, დასათესი, გასანოყოერებელი, დასაკულტივატორები და მოსავლის ასაღები ტრაქტორით ან თვითმოძრავი ფერმის მანქანების მართვასა და გაძღოლას;
2. მიწის, მცენარეების, მოსავლის გასაწმენდი, ხეებისა და მორების გადატანი და სსხვა სატყეო ოპერაციების განსახორციელებელი ტრაქტორით ან თვითმოძრავი სპეციალური მიზნებისათვის განკუთვნილი ფერმის მანქანების მართვასა და გაძროლას;
3. მოსახმარად დანადგარების მომზადებასა და დაყენებას;
4. სიჩქარის, სიმაღლისა და სიღრმის ხელსაწყოების დარეგულირებას;
5. ხეების დასაჭერი, ასაწევი და დასაჭრელი დანადგარის მართვას;
6. ხეებისა და მორების დასახარისხებლად მათ აწევასა, რხევასა და დაშვებას;

7. დასაჩეხი და დასაპობი მანქანების დამხმარე დანადგარების გამოყენებას;
8. მორების დასაწყობებად და სატვირთო მანქანებზე გადასატანად მოჭრილი ხეების პროცესორებში შეტანას, გასუფთავებასა და მორებად დაპობას;
9. მანქანების მომსახურებასა და მცირე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მოსავლის ამღები;
- ხის დასამუშავებელი დანადგარის ოპერატორი;
- მორების გადასატანი მანქანის მძღოლი;
- ტრაქტორის მძღოლი;
- ხეების მჭრელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბულდოზერის ოპერატორი – 8342.

<u>8342 ჯგუფური ერთეული</u>
მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები

ესკავატორებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები მართავენ მიწის და სხვა მსგავსი მასალების გასათხრელ, მოსასწორებელ, გასათანასწორებელ, მოსაგლუვებელ და შესაერთებელ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მიწის, ქანების, ქვიშის, ხრეშისა ან მსგავსი მასალის ამოსათხრელად და გადასაადგილებლად მოძრავი ნიჩბებით, დამხარისხებლითა და მკაწრავი ჩამჩით აღჭურვილი გასათხრელი მანქანის მართვასა და მეთვალყურეობას;
2. კანალიზაციის თხრილების, დრენაჟების, წყლის, ნავთობის, გაზისა და სხვა მსგავსი მილსადენების გასათხრელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
3. ჩაზნექილი რკინის დანებით, მიწის, ქვიშის, თოვლისა და სხვა მასალების გადასაადგილებელი, დასანაწილებელი და გასასწორებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
4. წყლის სიღრმიდან ქვიშის, ხრეშისა და ტალახის ამოსაღები აღჭურვილობის მართვასა და მეთვალყურეობას;
5. ხის, ბეტონისა ან რკინის ფილების მიწაში ჩასაჭედებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
6. გზებსა და ტროტუარებზე დასაგები მასალების კომპაქტური და გლუვი ზედაპირების დასამზადებელი ელექტროროლერების მართვასა და მეთვალყურეობას;
7. გუდრონის შოსეების, გზებისა და სხვა მსგავსი ზედაპირების მშენებლობაში გამოსაყენებელი ბეტონისა და ასფალტის გამოსაფრქვევი და გასაპრიალებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბულდოზერის ოპერატორი;
- ექსკავატორის ოპერატორი;
- ტრაქტორის ოპერატორი;
- ხიმინჯების გადამზიდი;
- გზის დამგები მანქანის ოპერატორი;
- გზის ზედაპირის დამგები მანქანის ოპერატორი;
- თოვლის გამწმენდი მანქანის ოპერატორი.

8343 ჯგუფური ერთეული
ამწეების და მსგავსი მანქანების ოპერატორები

ამწეების და მსგავსი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ უძრავ და მოძრავ ამწეებსა და სხვა ამწევ აღჭურვილობას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ამწეს ისრის აწევითა და დაწევით აღჭურვილობისა და მასალის ასაწევად, გადასაადგილებლად, მოსათავსებლად ან განსათავსებლად უძრავი ან მოძრავი ამწეების მართვასა და მეთვალყურეობას;
2. მშენებლობასა ან მაღაროებში, მუშების და მასალების ასაწევი, დასაშვები და ჩამოსაშვებო აღჭურვილობის მართვასა და მეთვალყურეობას;
3. საბაგიროებისა და მსგავსი აღჭურვილობის გამოყენებასა და მეთვალყურეობას;
4. წყლის მოკლე მანძილებზე ბუქსირით პროდუქციით, მგზავრებითა და ავტომანქანებით დატვირთული ბორნებისა და ბარჟების გადასაყვანი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
5. საგზაო და წყლის მოძრაობისათვის, ხიდების გახსნისა და დახურვისათვის აუცილებელი მანქანების მართვასა და მეთვალყურეობას;
6. კლანჭებით, წყლის ან სხვა ადგილების ამოსახაპით აღჭურვილი ამწეების მართვასა და მეთვალყურეობას;
7. ნავებსა და ბარჟებზე დამაგრებული აღჭურვილობისა და მასალების ასაწევი, გადასატანი და დასადები ამწეების მართვას.

8344 ჯგუფური ერთეული
ამწევი მანქანების ოპერატორები

ამწევი მანქანების ოპერატორები მართავენ, გამოიყენებენ და მეთვალყურეობენ პროდუქციით დატვირთული შპატელების ტრანსპორტირებას, აწევასა და დაბინავებას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პორტებში, საწყობებში, ფაბრიკებში და სხვა დაწესებულებებში პროდუქციისა და შპატელების ჩასატვირთი, გადმოსატვირთი, გადასაადგილებელი, ასაწევი და

დასაბინავებელი ამწევი მანქანისა და მსგავსი აღჭურვილობის მართვასა და მეთვალყურეობას;

2. დანიშნულების ადგილამდე დატვირთული შპატელებისა და ფილების, მასალისა და პროდუქციის უსაფრთხოდ გადასაზიდად ყუთების ქვეშ, ზემოდან და გარშემო ამწევი ხელსაწყოების დამაგრებას;
3. ცვეთისა და დაზიანების აღმოსაჩენად აღჭურვილობის ინსპექტირებას;
4. მანქანებისა და აღჭურვილობის რუტინულ შემოწმებას;
5. განხორციელებული სამუშაოსა და მანქანების დაზიანებების შესახებ ჩანაწერების წარმოებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სატვირთო მანქანის მძღოლი.

835 მცირე ჯგუფი
გემბანის ეკიპაჟები და მონათესავე სფეროს მუშები

გემების ეკიპაჟები და მონათესავე სფეროს მუშები გემბანზე, ბორტსა ან წყალზე მოცურავე ხომალდზე ასრულებენ სამუშაოებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ნავსადგურში ან სხვა ვიწრო წყლებში შესვლის ან გამოსვლის უზრუნველყოფას; ინსტრუქციების შესაბამისად გემების მართვას; თოკებისა და მავთულების მართვას. აგრეთვე, გემსაბმის აღჭურვილობის გამოყენებას; გემის აღჭურვილობის, ტვირთის მექანიზმის, სიცოცხლის გადარჩენისა და ხანძართან ბრძოლის ხელსაწყოების მოვლა-შენარჩუნებასა და ზოგიერთ შემთხვევებში, მათ გამოყენებას; გემბანისა და კორპუსის წმენდას, ფხეკას, შეღებვასა და მოთხოვნისამებრ, სხვა მოვლა-შენარჩუნებებას; ღუზის, ტვირთისა და უძრავი და მოძრავი აღჭურვილობის მექანიზმის აწევას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

835 გემების ეკიპაჟები და მონათესავე სფეროს მუშები.

8350 ჯგუფური ერთეული
გემების ეკიპაჟები და მონათესავე სფეროს მუშაკები

გემების ეკიპაჟები და მონათესავე სფეროს მუშები გემბანზე, ბორტსა ან წყალზე მოცურავე ხომალდზე ასრულებენ სამუშაოებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ნავსადგურში ან სხვა ვიწრო წყლებში შესვლის ან გამოსვლის უზრუნველყოფას;
2. ინსტრუქციების შესაბამისად გემების მართვას;

3. თოკებისა და მავთულების მართვას. აგრეთვე, გემსაბმის აღჭურვილობის გამოყენებას;
4. გემის აღჭურვილობის, ტვირთის მექანიზმის, სიცოცხლის გადარჩენისა და ხანძართან ბრძოლის ხელსაწყოების მოვლა-შენარჩუნებასა და ზოგიერთ შემთხვევებში, მათ გამოყენებას;
5. გემბანისა და კორპუსის წმენდას, ფხეკას, შეღებვასა და მოთხოვნისამებრ, სხვა მოვლა-შენარჩუნებებას;
6. ღუზის, ტვირთისა და უძრავი და მოძრავი აღჭურვილობის მექანიზმის აწევას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბოცმანი;
- მებორნე;
- მეზღვაური;
- მებუქსირე.

<u>9 ძირითადი ჯგუფი</u>
მარტივი საქმიანობები

მარტივი საქმიანობები მოიცავს ელემენტარულ და რუტინულ სამუშაოებს, რომლებიც შესაძლებელია საჭიროებდნენ ხელით მართვადი ხელსაწყოების გამოყენებასა და მნიშვნელოვან ფიზიკურ ძალისხმევას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის პირველი დონე.

მოცემულ ძირითდ ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ბინების, სახლების, სამზარეულოების, სასტუმროების, ოფისებისა და სხვა შენობების – დალაგებას, მარაგების შევსებასა და საბაზისო მოვლა-შენარჩუნებას; მანქანებისა და ფანჯრების რეცხვას; სამზარეულოებში დახმარებასა და საკვების მოსამზადებელი მარტივი სამუშაოების შესრულებას; შეტყობინებებისა და პროდუქციის მიტანას; ჩემოდნების ტარებას, აგრეთვე, ბარგისა და ტვირთის დამუშავებას; სავაჭრო აპარატების მარაგების შევსებას ან პარკირების აპარატების მონაცემების წაკითხვასა და წაშლას; ნარჩენების შეგროვებასა და დახარისხებას; ქუჩებისა და მსგავსი ადგილების დასუფთავებას; მიწათმოქმედებასთან, თევზჭერასთან, ნადირობასა ან ხაფანგების დაგებასთან დაკავშირებული მარტივი სამუშაოების შესრულებას; სამთომოპოვებასთან, მშენებლობასა და წარმოებასთან დაკავშირებული მარტივი სამუშაოების შესრულებას, აგრეთვე, პროდუქტების დახარისხებას; პროდუქციის ხელით შეფუთვას, გახსნას და თაროებზე განთავსებას; ქუჩის სხვადასხვა მომსახურების უზრუნველყოფას; სატერფულებით ან ხელით მართვადი სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრებისა და პროდუქციის ტრანსპორტირებას; ცხოველებით მართვადი სატრანსპორტო საშუალებისა ან მანქანების მართვას; შესაძლებელია სხვების ზედამხედველობაც.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

91 დამლაგებლები და დამხმარეები;

92 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები;
93 სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები;
94 საკვების მომზადების დამხმარეები;
95 ქუჩაში მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს გაყიდვებისა და მომსახურების დარგის მუშები;
96 ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის ~~მქონე~~ მუშები.

91 ქვეჯგუფი
დამლაგებლები და დამხმარეები

დამლაგებლები და დამხმარეები ალაგებენ კერძო სახლების, სასტუმროების, ოფისების, საავადმყოფოებისა და სხვა დაწესებულებების, აგრეთვე, თვითმფრინავების, მატარებლების, ვაგონების, ტრამვაებისა და სხვა მსგავსი სატრანსპორტო საშუალებების ინტერიერსა და ინვენტარს, აგრეთვე ხელით რეცხავენ და აუთოებენ სამოსისა და ტექსტილს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის პირველი დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დაგვასა ან მტვერსასრუტით დასუფთავებას; იატაკის, ავეჯის ან სხვა საგნების რეცხვა-გაპრიალებას; თეთრეულის მოწესრიგებასა და ლოგინების დაგებას; სამზარეულოებში საჭმლის მომზადებასა და დასუფთავებაში დახმარებს; მანქანებისა და ფანჯრების რეცხვა-დასუფთავებას; სამოსისა და ტექსტილის ხელით რეცხვასა და დაუთოებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

911 შინამოსამსახურეები, სასტუმროებისა და ოფისების დამლაგებლები და დამხმარეები;

912 ხელით მრეცხავები.

911 მცირე ჯგუფი
შინამოსამსახურეები, სასტუმროებისა და ოფისების დამლაგებლები და დამხმარეები

შინამოსამსახურეები, სასტუმროებისა და ოფისების დამლაგებლები და დამხმარეები გვიან, მტვერს იღებენ, რეცხავენ, აპრიალებენ, აწესრიგებენ სახლის თეთრეულს, აგრეთვე სახლისათვის ყიდულობენ მარაგს; ისინი ალაგებენ და აწესრიგებენ სასტუმროებს, ოფისებსა და სხვა დაწესებულებებს, აგრეთვე, თვითმფრინავებს, მატარებლებს, ავტობუსებსა და მსგავს სატრანსპორტო საშუალებებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: დაგვასა ან მტვერსასრუტით დასუფთავებას; სასტუმროებში, ოფისებსა და სხვა დაწესებულებებში იატაკის, ავეჯის ან სხვა საგნების რეცხვას-გაპრიალებას; ლოგინების დაგებას, პირსახოცებით, საპნითა და მსგავსი ნივთებით უზრუნველყოფას; საჭმლის მომზადებაში დამარებასა და ჭურჭლის დარეცხვას; სამზარეულოების, სააბაზანოებისა და ტუალეტების გაწმენდას, დეზინფექციასა და დეოდორანტის გაფრქვევას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9111 შინამოსამსახურეები და დამხმარეები;

9112 ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები.

9111 ჯგუფური ერთეული
შინამოსამსახურეები და დამხმარეები

შინამოსამსახურეები და დამხმარეები გვიან, მტვერს იღებენ, რეცხავენ და აპრიალებენ, აგრეთვე, აწესრიგებენ თეთრეულს, სახლისათვის ყიდულობენ მარაგს, ამზადებენ საკვებს, ემსახურებიან მაგიდასთან და აკეთებენ სახლის სხვადასხვა სამუშაოს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. დაგვას, მტვრის აღებას, იატაკისა და ავეჯის გაპრიალებას, ფანჯრებისა და სხვა ინვენტარის რეცხვას;
2. თეთრეულისა და სხვა ტექსტილის რეცხვას, გაუთოებასა და დაკემსვას;
3. თეფშების რეცხვას;
4. საკვებისა და გამაგრილებელი სასმელების მომზადებას, გაკეთებასა და მაგიდასთან მომსახურებაში დახმარებას;
5. სახლისათვის საკვებისა და სხვადასხვა მარაგის შეძენას;
6. სამზარეულოების, სააბაზანოებისა და ტუალეტების დასუფთავებას, დეზინფექცირებასა და დეოდორანტის გაფრქვევას;
7. ფანჯრებისა და სხვა შუშის ზედაპირების გაწმენდას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- დამლაგებელი (სახლის);
- შინამოსამსახურე;
- დამხმარე (სახლის).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- შინამოსამსახურე – 5152;
- სასტუმროს დამლაგებელი – 9112;
- ხელით მრეცხავი – 9121;
- მეეზოვე – 9613.

9112 ჯგუფური ერთეული
ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები

ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები ალაგებენ და აწესრიგებენ სასტუმროების, ოფისებისა და სხვა დაწესებულებების, აგრეთვე, თვითმფრინავების, მატარებლების, ავტობუსებისა და მსგავსი სატრანსპორტო საშუალებების ინტერიერსა და ინვენტარს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შენობების, ვაგონების, ავტობუსების, ტრამვაების, მატარებლებისა და თვითმფრინავების დაგვას, მტვერსასრუტით მტვრის აღებას, იატაკის, ავეჯისა სხვა ინვენტარის რეცხვა-გაპრიალებას;
2. ლოგინების დაგებას, სააბაზანოების დასუფთავებასა და პირსახოცებით, საპნითა და მსგავსი ნივთებით მომარაგებას;
3. სამზარეულოების დასუფთავებასა და ზოგადად, სამზარეულოს საქმიანობაში დახმარებას, ჭურჭლის რეცხვის ჩათვლით;
4. ნაგვის შეგროვებას, ნაგვის კონტეინერების დაცლას და ნაგავსაყრელზე გატანას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- თვითმფრინავის დამლაგებელი;
- სასტუმროს დამლაგებელი;
- ტუალეტის მომსახურე;
- ოფისის დამლაგებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- შინამოსამსახურე – 5152;
- შენობის მომვლელი – 5153;
- სახლის დამლაგებელი – 9111;
- ჭურჭლის მრეცხავი – 9412;
- სამზარეულოს დამხმარე – 9412;
- მეეზოვე – 9613.

<u>შენიშვნა:</u>

პერსონალი, რომლებიც ალაგებენ და ეხმარებიან მხოლოდ სამზარეულოებისა და საკვების მოსამზადებელ სხვა ადგილებში, კლასიფიცირდებიან 9412 ჯგუფურ ერთეულში – სამზარეულოს დამხმარეები.

<u>912 მცირე ჯგუფი</u>
ხელით მრეცხავები

ხელით მრეცხავები წმენდენ შენობებისა ან სატრანსპორტო საშუალებების ფანჯრებს, ვიტრინებსა ან სხვა ზედაპირებს; ხელით აუთოვებენ, რეცხავენ ან ქიმიურად წმენდენ თეთრეულსა და სხვა.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მანქანების წმენდას, რეცხვასა და გაპრიალებას; წყლითა ან სხვა საშუალებებით ფანჯრებისა და შუშის ზედაპირების რეცხვას, გაშრობასა და გაპრიალებას; სამრეცხაოსა ან სხვა დაწესებულებებში თეთრეულის, ტანსაცმლის, მატერიისა და მსგავსი ერთეულების ხელით რეცხვასა და დაუთოებას; ქიმწმენდასა ან სხვა დაწესებულებებში ტანსაცმლის, მატერიის, ტყავის პროდუქციისა და სხვა ნივთების ხელითა და ქიმიური საშუალებებით წმენდას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9121 ხელით მრეცხავები, დამუთოებლები;

9122 მანქანის მრეცხავები;

9123 ფანჯრების მწმენდავები;

9129 სხვა ტიპის მრეცხავები.

9121 ჯგუფური ერთეული
ხელით მრეცხავები და დამუთოებლები

ხელით მრეცხავები და დამუთოებლები ხელით რეცხავენ, აუთოვებენ ან ქიმიურად წმენდენ სამოსს, თეთრეულსა და სხვა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამრეცხაოში ან სხვა დაწესებულებებში თეთრეულის, ტანსაცმლის, მატერიისა და მსგავსი საგნების ხელით რეცხვასა და დაუთოებას;
2. ქიმიურად მწმენდ ან სხვა დაწესებულებებში ტანსაცმლის, მატერიის, ტყავის პროდუქციისა და მსგავსი საგნების ხელით და ქიმიური საშუალებებით წმენდას;
3. ღილების გამოცვლასა და უმნიშვნელო აღმდგენითი სამუშაოების შესრულებას;
4. შეგროვებისა და მიტანისათვის საგნების თაროებზე განთავსებასა და ჩამოკიდებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქიმიურად მწმენდავი (ხელით);
- ხელით მრეცხავი;
- ხელით დამუთოებელი;
- დამუთოებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ქიმიურად საწმენდი მანქანის ოპერატორი – 8157;
- სარეცხი მანქანის ოპერატორი – 8157;
- საპრესი მანქანის ოპერატორი (სამრეცხაო) – 8157.

9122 ჯგუფური ერთეული
მანქანების მრეცხავები

მანქანების მრეცხავები შიგნიდან და გარედან რეცხავენ, წმენდენ და აპრიალებენ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მანქანებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ხელით ან ხელით მართვადი ხელსაწყოებით წმენდას, რეცხვასა და გაპრიალებას;

2. მანქანების ინტერიერების დამტვერსასრუტებას აგრეთვე, ხალიჩებისა და ჩამოსაცმელების ქიმიურად წმენდას;
3. ლაქების ამოსაყვანად მანქანების შინგნიდან და გარედან საწმენდი საშუალებებით წმენდას;
4. საბურავებისა და ბორბლების რეცხვას, აგრეთვე, საბურავების აღდგენას;
5. მანქანის ფანჯრების წმენდა-გაპრიალებას;
6. მანქანის სალონის ამოსუფთავებასა და წმენდას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მანქანის ნაწილების შემკეთებელი;
- მანქანის მრეცხავი (ხელით).

9123 ჯგუფური ერთეული
ფანჯრების მწმენდავები

ფანჯრების მწმენდავები, რეცხავენ და აპრიალებენ ფანჯრებსა და სხვა შუშის ინვენტარს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. წყლითა და სხვა საშუალებებით ფანჯრებისა და სხვა შუშის ზედაპირების რეცხვასა და გაპრიალებას;
2. მაღალსართულიანი სახლების ფანჯრების გასაწმენდად კიბეების, ჩამოკიდებული ხარაჩოების, ბოცმანის სკამის, ჰიდრავლიკური ვედრო-მანქანებისა და სხვა აღჭურვილობის გამოყენებას;
3. შესაბამისი საწმენდი ან საპრიალებელი საშუალებების შერჩევას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ფანჯრების მწმენდავი.

9129 ჯგუფური ერთეული
სხვა ტიპის მრეცხავები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს მრეცხავებს, რომლებიც სხვაგან არ არიან კლასიფიცირებული. მაგ., ჯგუფში მოიაზრებიან ისინი, ვინც სპეციალიზირებული აღჭურვილობითა და ქიმიკატებით წმენდენ ხალიჩების, კედლების, საცურაო აუზებისა და გაგრილების დანადგარების ზედაპირებს, მატერიებსა და საგნებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. საწმენდი მანქანებითა და დანამატებით ხალიჩებისა და გადასაკრავი ავეჯის წმენდას;

2. ხალიჩებიდან ლაქების ამოსაყვანი საწმენდი საშუალებების შერჩევას-გამოყენებას;
3. ხალიჩების ზედაპირის რეპელენტით, ქიმიური დეოდორანტებითა და მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებებით დამუშავებას;
4. ქვის კედლების, ლითონისა და ხის ნაკეთობებით დაფარული ზედაპირების მაღალ წნევიანი წყლისა და გამხსნელ საშუალებიანი აღჭურვილობით წმენდას;
5. წყლიდან და საფილტრი სისტემებიდან მიკროორგანიზმების ამოსაყვანად ქიმიკატებისა და მაღალი წნევის მეთოდით საწმენდი საშუალებების გამოყენებას;
6. აუზებიდან, გაგრილების დანადგარებიდან და საკანალიზაციო მილებიდან ნადების, დაგროვილი ჭუჭყისა და სხვა ნარჩენების ამოსაღებად მტვერსასრუტისა და სხვა შემწოვი აღჭურვილობის გამოყენებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ხალიჩების მწმენდავი;
- გაგრილების დანადგარების მწმენდავი;
- გრაფიტის მწმენდავი;
- საცურაო აუზის მწმენდავი;
- წყლის ბლასტერი.

92 ქვეჯგუფი
სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები

სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები აწარმოებენ მოსავალსა და მსხვილფეხა საქონელს, ბაღებისა და პარკების კულტივაციასა და მოვლა-შენარჩუნებას, ტყეების ექსპლოატაციასა და კონსერვაციას, აკვაკულტურისა და თევზჭერის მარტივ და რუტინულ სამუშაოებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის პირველი დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხელის ხელსაწყოებით თხრას, მოფოცხვასა და ბარვას; მარაგების, პროდუქციისა და სხვა მასალების ჩატვირთვას, ჩამოტვირთვასა და მომარაგებას; ხელით ან ხელის ხელსაწყოებით მოსავლის მორწყვას, გამოხშირვას, დათესვასა და მომკას; პროდუქციის ხელით დარგვას, მომკას, აღებასა და შეგროვებას; ცხოველების კვებას, წყლით მომარაგებასა და წმენდას, აგრეთვე, მათი გალიების გასუფთავებას; მსხვილფეხა საქონლის მეთვალყურეობასა და მათი მდგომარეობაზე ანგარიშის მომზადებას; ბადეების, ანკესის კედების, სხვა სათევზაო და გემბანის აღჭურვილობის მომზადება-მართვას; პროდუქციის დაჯგუფებას, დახარისხებას, შეგროვებასა და სათავსოებში ჩალაგებას; ინვენტარზე, შენობებზე, აღჭურვილობაზე, ნავებსა და მავთულხლართებზე უმნიშვნელო აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

921 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები.

921 მცირე ჯგუფი
სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები

სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები აწარმოებენ მოსავალსა და მსხვილფეხა საქონელს, ბაღებისა და პარკების კულტივაციასა და მოვლა-შენარჩუნებას, ტყეების ექსპლოატაციასა და კონსერვაციას, აკვაკულტურისა და თევზჭერის მარტივ და რუტინულ სამუშაოებს.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხელის ხელსაწყოებით თხრას, მოფოცხვასა და ბარვას; მარაგების, პროდუქციისა და სხვა მასალების ჩატვირთვას, ჩამოტვირთვასა და მომარაგებას; ხელით ან ხელის ხელსაწყოებით მოსავლის მორწყვას, გამოხშირვას, დათესვასა და მომკას; პროდუქციის ხელით დარგვას, მომკას, აღებასა და შეგროვებას; ცხოველების კვებას, წყლით მომარაგებასა და წმენდას, აგრეთვე, მათი გალიების გასუფთავებას; მსხვილფეხა საქონლის მეთვალყურეობასა და მათი მდგომარეობაზე ანგარიშის მომზადებას; ბადეების, ანკესის კედების, სხვა სათევზაო და გემბანის აღჭურვილობის მომზადება-მართვას; პროდუქციის დაჯგუფებას, დახარისხებას, შეგროვებასა და სათავსოებში ჩალაგებას; ინვენტარზე, შენობებზე, აღჭურვილობაზე, ნავებსა და მავთულხლართებზე უმნიშვნელო აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9211 სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფერმების მუშები;
9212 მსხვილფეხა საქონლის ფერმების მუშები;
9213 შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მსხვილფეხა საქონლის ფერმების მუშები;
9214 მებაღეები;
9215 მეტყევე;
9216 მეთევზეობისა და აკვაკულტურის მუშები

<u>შენიშვნა:</u>

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, სხვების ზედამხედველობით ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, კლასიფიცირდებიან 921 მცირე ჯგუფის შესაბამის ჯგუფურ ერთეულში – სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები, ხოლო ისინი, რომელთა მთავარი სამუშაო წყლის მოტანა და შეშის მოგროვებაა, კლასიფიცირებულნი არიან 9624 ჯგუფურ ერთეულში – წყლისა და შეშის შემგროვებლები.

<u>9211 ჯგუფური ერთეული</u>
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფერმების მუშები

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფერმების მუშები ხილის, თხილის, მარცვლეულის და ბოსტნეულის მომყვან/მწარმოებელ ფერმებში ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. არხების გასაყვანად ან სხვა მიზნებისთვის თხრილების გაყვანას-გასუფთავებას;
2. მარაგების, პროდუქციისა და სხვა პროდუქტების ჩატვირთვას, გადმოტვირთვასა და მომარაგებას;
3. ნამჯის, თივის და სხვა მსგავსი მასალების მოფოცხვას, გადასროლასა და ძნად შეკვრას;
4. მოსავლის მორწყვას, გამარგვლას, დათესვასა და მომკას, ხელით ან ხელის ხელსაწყოების გამოყენებით;
5. ხილის, თხილის, ბოსტნეულისა და სხვა მოსავლის მოკრეფას;
6. მინდვრის მოსავლის ხელით დათესვასა და მოკრეფას, როგორიცაა ბრინჯი;
7. პროდუქციის კლასიფიკაციას, დახარისხებას, შეგროვებასა და ჩალაგებას კონტეინერებში;
8. ინვენტარზე, შენობებზე, აღჭურვილობაზე, ნავებსა და მავთულხლართებზე უმნიშვნელო აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ლერწმის მთესავი;
- ხილის მკრეფავი;
- ბრინჯის ფერმის მუშა;
- ბოსტნეულის მკრეფავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ფერმის გამოცდილი მუშა (მინდვრის მოსავალი) – 6111;
- მშენებლობის მუშა (სამშენებლო სამუშაო) – 9313;
- ხის შემგროვებელი – 9624;
- მეთულუხე (წყლის მზიდავი) – 9624.

9212 ჯგუფური ერთეული
მსხვილფეხა საქონლის ფერმების მუშები

მსხვილფეხა საქონლის ფერმების მუშები ცხოველების, შინაური ფრინველებისა და მწერების გასამრავლებელ ფერმებში ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. არხების გასაყვანად ან სხვა მიზნებისთვის თხრილების გაყვანას-გასუფთავებას;
2. მარაგების, პროდუქციისა და სხვა მასალების ჩატვირთვას, გადმოტვირთვასა და მომარაგებას;
3. ცხოველების კვებას, წყლით მომარაგებასა, წმენდასა და მათი გალიების გასუფთავებას;
4. მსხვილფეხა საქონლის მეთვალყურეობასა და მათ მდგომარეობაზე ანგარიშების მომზადებას;
5. მსხვილფეხა საქონლის ჯანმრთელობაზე ზრუნვას;
6. მსხვილფეხა საქონლის მოწველაში, დაკვლაში, საძოვრებზე გადაადგილებასა და დაცალკევებაში დახმარებას;
7. კვერცხების შეგროვებასა და ინკუბატორებში განთავსებას;
8. ნამჯის, თივისა და სხვა ცხოველების საკვები მასალების მოგროვებას, გადაადგილებასა და ძნებად შეკვრას;
9. პროდუქციის დაჯგუფებას, დახარისხებას, შეგროვებასა და სათავსოებში ჩალაგებას;
10. ინვენტარზე, შენობებზე, აღჭურვილობასა და მავთულხლართებზე უმნიშვნელო აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- მსხვილფეხა საქონლის ფერმის მუშა.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- მენახირე – 6121;
- მწყემსი – 6121;
- ფერმის გამოცდილი მუშა (მსხვილფეხა საქონელი) – 6121;

- ხის მჭრელი – 9624;
- მუთულუხჩე – 9624.

9213 ჯგუფური ერთეული
შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მსხვილფეხა საქონლის ფერმების მუშები

შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მსხვილფეხა საქონლის ფერმების მუშები ახორციელებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველების ფერმის წარმოებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. არხების გასაყვანად ან სხვა მიზნებისთვის თხრილების გაყვანას-გასუფთავებას;
2. მარაგების, პროდუქციისა და სხვა მასალების ჩატვირთვას, გადმოტვირთვასა და მომარაგებას;
3. ნამჯის, თივისა და სხვა ცხოველების საკვები მასალების მოგროვებას, გადაადგილებასა და ძნებად შეკვრას;
4. ხელით ან ხელის ხელსაწყოებით მოსავლის მორწყვას, გამარგვლას, დათესვასა და მომკას;
5. ხილის, თხილის, ბოსტნეულისა და სხვა მოსავლის მოკრეფას და კვერცხების შეგროვებას;
6. მინდვრის კულტურების (მაგ., ბრინჯის) ხელით დათესვასა და მოკრეფას;
7. ცხოველების კვებას, წყლით მომარაგებას, წმენდასა და მათი გალიების გასუფთავებას;
8. მსხვილფეხა საქონლის მეთვაყურეობასა და მათ მდგომარეობაზე ანგარიშების მომზადებას;
9. მსხვილფეხა საქონლის მოწველაში, დაკვლაში, საძოვრებზე გადაადგილებასა და დაცალკევებაში დახმარებას;
10. პროდუქციის დაჯგუფებას, დახარისხებას, შეგროვებასა და სათავსოებში ჩალაგებას;
11. ინვენტარზე, შენობებზე, აღჭურვილობასა და მავთულხლართებზე უმნიშვნელო აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ფერმის მუშა.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფერმის გამოცდილი მუშა (შერეული კულტურების წარმოება) – 6130;
- ხის მჭრელი – 9624;
- მუთულუხჩე – 9624.

9214 ჯგუფური ერთეული

ბაღისა და მებაღეობის მუშები

მებაღეები პარკებსა და კერძო ბაღებში ამუშავებენ და უვლიან ხეებს, ბუჩქებს, ყვავილებსა და სხვა მცენარეებს, აწარმოებენ ნერგებს, ბოლქვებსა და თესლს, ან ტექნიკით მოჰყავთ ბოსტნეული და ყვავილები.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მარაგების, პროდუქციისა და სხვა მასალების დატვირთვას, გადმოტვირთვასა და მომარაგებას;
2. ხელსაწყოებითა და მარტივი მანქანებით ბაღებისა და მიწის ნაკვეთების მომზადებას;
3. ყვავილების, ბუჩქების, ხეებისა და გაზონების დარგვა-გადარგვაში დახმარებას;
4. ბაღების მორწყვას, გამარგვლასა და გაზონების მოთიბვას;
5. ბაღების დასუფთავებასა და ნაგვის გატანას;
6. თესლების, ბოლქვებისა და კალმების გამრავლებაში, მოშენებასა და ჩითილების გამოყვანაში დახმარებას;
7. ხელით მორწყვითა და გამარგვლით მცენარეებზე ზრუნვას;
8. ტრანსპორტირებისათვის და გასაყიდად მცენარეების მოკრეფასა და შეფუთვას;
9. ინვენტარზე, შენობებზე, აღჭურვილობაზე და მავთულხლართებზე უმნიშვნელო აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მებაღე;
- აგრარული კულტურების სპეციალისტი;
- მკრეჭავი;
- სანერგეს მუშა.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მებაღე – 6113;
- ლანდშაფტის მებაღე – 6113;
- ბაზრის მებაღე – 6113;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფერმის მუშა – 9211.

9215 ჯგუფური ერთეული
მეტყევე

სატყეო მეურნეობის მუშები ახორციელებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოს, ბუნებრივი და კულტივირებული ტყეების, მორების, მოჭრილი და მოხერხილი ხეების კულტივაციისა და შენარჩუნებისათვის/მეტყევეები ინარჩუნებენ ბუნებრივ და კულტივირებულ ტყეებს, აგრეთვე, ამუშავებენ მორებსა და მოჭრილ ხეებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხეების დასარგავი ორმოების ამოთხრას;
2. მორებისა და ძელების დაწყობასა და დატვირთვას;
3. ტყეში გაზრდილი ბუჩქნარის გასუფთავებასა და ახალგაზრდა პლანტაციების გამოხშირვას;
4. ტყის ხანძრისგან დაცვას;
5. დიდი ტოტებისა და ხეების კენწეროების მოჭრას, აგრეთვე, ხეების გასხვლასა და კუნძების მორებად დახერხვას;
6. ხეების ხელით ან ხელით მართვადი სახერხი მანქანით მოჭრასა და დახერხვას;
7. თესლის მოგროვებასა და დარგვას;
8. გზებზე, შენობებზე, დაწესებულებებსა და აღჭურვილობაზე უმნიშვნელო აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ხის მჭრელი კაცი/ქალი;
- მეტყევე;
- ხის მრგველი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სატყეო მეურნეობის მუშაკი (გამოცდილების მქონე) – 6210.

9216 ჯგუფური ერთეული
მეთევზეობისა და აკვაკულტურების მუშები

მეთევზეები და აკვაკულტურის მუშები სანაპიროსა და ღრმა ზღვაში აჭმევენ, ამუშავებენ და აგროვებენ თევზებსა და ზღვის პროდუქტებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ზღვის ფსკერის დასუფთავებასა და დასამუსავებელი თევზებისა და მოლუსკების კვებას;
2. ზღვის წყალმცენარეების, ხავსების, ხამანწკებისა და სხვა მოლუსკების შეგროვებას;
3. ბადეების, ანკესის ძუის, სხვა სათევზაო და გემბანის აღჭურვილობის მომზადებას;
4. თევზისა და ზღვის სხვა ბინადართა დასაჭერის სათევზაო აღჭურვილობის მართვას;
5. თევზისა და ზღვის პროდუქტების გაწმენდას, დახარისხებას, ყინულსა და მარილში შეფუთვასა და დასაწყობებას.
6. გემბანისა და თევზის საცავის წმენდას;
7. ნავსადგომში გემის დასაყენებლად ბაგირების რეგულირებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- აკვაკულტურების სპეციალისტი;

- მეთევზე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- თევზეულის ფერმერი – 6221;
- შიდა და სანაპირო წყლებში სპეციალისტები – 6222;
- მეთევზე (სანაპირო წყლები) – 6222;
- მეთევზე (შიდა წყლები) – 6222;
- ღრმა წყლების მეთევზე – 6223.

93 ქვეჯგუფი
სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები

სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს დამწყები კვალიფიკაციის მუშები მაღაროებში, კარიერებში, სამოქალაქო ინჟინერიაში, მშენებლობაში, წარმოებაში, ტრანსპორტირებასა და სასაწყობე ოპერაციებში ხელით ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, მართავენ ადამიანური და ცხოველური რესურსებით მართვად სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის პირველი დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხელსაწყოებით ორმოების ამოთხრასა და ამოთხრილი მასალის, ქვიშის, მიწისა და ხრეშის განაწილებას; მასალების, აღჭურვილობის, პროდუქტების, მარაგების, ბარგისა და ტვირთის ხელით დახარისხებას, ატვირთვას, ჩამოტვირთვას, გადაადგილებას, დაწყობასა და შენახვას; მანქანების, აღჭურვილობის, ხელსაწყოებისა და სამუშაო ადგილების გაწმენდას; მასალისა და პროდუქტების ხელით შეფუთვასა და გახსნას, აგრეთვე, სათავსოებისა და თაროების პროდუქტებით ხელით შევსებას; ადამიანურ რესურსებითა და ცხოველურ ძალაზე დამოკიდებული სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანების მართვას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

931 სამთო-მოპოვებითი და სამშენებლო სფეროს მუშები;

932 წარმოების მუშები;

933 ტრანსპორტისა და საწყობის მუშები.

931 მცირე ჯგუფი
სამთო-მოპოვებითი და სამშენებლო სფეროს მუშები

სამთო-მოპოვებითი და სამშენებლო სფეროის მუშები მაღაროებში, კარიერებში, სამოქალაქო ინჟინერიასა და სამშენებლო ოპერაციებში ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხელსაწყოებით ორმოებისა და თხრილების ამოთხრა-შევსებას; ამოთხრილი მასალის, ქვიშის, მიწის და ხრეშის გადასწორება-განაწილებას; ხელსაწყოების, მასალების, აღჭურვილობის სამუშაო ადგილზე ატვირთვას, ჩამოტვირთვას, დაწყობასა და შენახვას; მანქანების, აღჭურვილობის, ხელსაწყოებისა და სამუშაო ადგილების გაწმენდასა, აგრეთვე, დაბრკოლებების მოშორებას;

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9311 მაღაროებისა და კარიერების მუშები;

9312 სამოქალაქო ინჟინერიის მუშები;

9313 მშენებლობების მუშები.

9311 ჯგუფური ერთეული
მაღაროებისა და კარიერების მუშები

მაღაროსა და კარიერების მუშები მაღაროებსა და კარიერებში ასრულებენ რუტინულ სამუშაოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მანქანების, აღჭურვილობის, მაღაროსა და კარიერების ნაგებობების მოვლა-შენარჩუნებაში მემაღაროვეებისა და კარიერებისათვის დახმარებას;
2. მაღაროს აღჭურვილობის აწყობა-დაშლას;
3. არაექსპლუატირებული მაღაროებისა და კარიერების გვირაბების დამჭერების მოხსნას;
4. მაღაროებიდან და კარიერებიდან საშიში პროექციების ამოღებას;
5. არაექსპლუატირებული სამუშაო ადგილებიდან ნარჩენების, გამოსაყენებელი მასალებისა და აღჭურვილობის ამოღებას, აგრეთვე დაყრილი ქვებისა და მინერალების გაწმენდას;
6. მანქანების, აღჭურვილობის ხელსაწყოების, გზებისა და გადამზიდი ფურგონების გაწმენდას;
7. მაღაროების სხვა მუშების მიერ გამოყენებული ხელსაწყოების, მასალებისა და მარაგების დახარისხებას, ჩატვირთვა-ჩამოტვირთვას, დაწყობასა და შენახვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მაღაროს მუშა;
- კარიერის მუშა.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მბურღავი (სამთო-მოპოვება) – 8111;
- მაღაროს მუშა – 8111;
- მაღაროს დანადგარის ოპერატორი – 8111;
- კარიერის მუშა – 8111;
- მბურღავი (ნავთობისა და გაზის) – 8113;
- საბურღი დანადგარის ოპერატორი – 8113.

9312 ჯგუფური ერთეული
სამოქალაქო ინჟინერიის მუშები

სამოქალაქო ინჟინერიის მუშები ასრულებენ რუტინულ სამუშაოს გზების, რკინიგზების, დამბებისა და სხვა სამოქალაქო ინჟინერიის პროექტების აშენებასა და შენარჩუნებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ხელსაწყოებით ორმოებისა და თხრილების ამოთხრა-შევსებას;
2. ხრეშისა და მსგავსი მასალების გადასწორება-გადანაწილებას;
3. პნევმატური ჩაქუჩებით ქვების, ცემენტისა და ბიტუმის ზედაპირების ფხეკასა და ჭრას;
4. სამშენებლო მასალების, ამოთხრილი მასალისა და აღჭურვილობის ჩატვირთვა-გადმოტვირთვასა და სამშენებლო ტერიტორიაზე საზიდრებითა და ხელის ორთვალებით ტრანსპორტირებას;
5. სამუშაო ადგილების წმენდასა და დაბრკოლებების მოშორებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მშენებლობის მუშა (სამოქალაქო ინჟინერია);
- მიწის გადამზიდი მუშა;
- მომვლელ-შემნარჩუნებელი მუშა (დამბები).

9313 ჯგუფური ერთეული
მშენებლობის კონსტრუქციების მუშები

მშენებლობის მუშები ასრულებენ შენობების აგებისა და დაშლის რუტინულ სამუშაოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გამოყენებული სამშენებლო აგურების გაწმენდასა და ადგილზე სხვა მარტივი სამუშაოების შესრულებას;
2. ცემენტის, ბათქაშისა და კირხსნარის შერევას, ჩასხმასა და მისხმას;
3. ხელსაწყოებით ორმოებისა და თხრილების ამოთხრა-შევსებას;
4. ქვიშის, მიწის, ხრეშისა და მსგავსი მასალების განაწილებას;
5. სამშენებლო მასალების, ამოთხრილი მასალისა და აღჭურვილობის ჩატვირთვა-გადმოტვირთვასა და სამშენებლო ტერიტორიაზე საზიდრებითა და ხელის ორთვალებით ტრანსპორტირებას;
6. სამუშაო ადგილების წმენდასა და დაბრკოლებების მოშორებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- კალატოზის დამხმარე;
- მშენებლობის მუშა (სამშენებლო სამუშაო);
- შენობის მგრეველი;
- გადამზიდავი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- სახლის მშენებელი – 7111;
- კალატოზი – 7112;
- შენობის მნგრეველი – 7119.

932 მცირე ჯგუფი
საწარმოების მუშები

საწარმოების მუშები მანქანების ოპერატორებისა და ამწყობების დასახმარებლად სამრეწველო სფეროში ხელით ასრულებენ სხვადასხვა მარტივ და რუტინულ სამუშაოს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მასალებისა და სხვადასხვა პროდუქციის ხელით შეფუთვას; ბოთლების, ყუთების, ჩანთებისა და სხვა სათავსოების პროდუქტებით ხელით შევსებას; პროდუქტებსა და სათავსოებზე იარლიყის ხელით დამაგრებას; სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვასა და ჩამოტვირთვას; პროდუქტების, მასალისა და აღჭურვილობის სამუშაო ადგილებზე მიტანას; მანქანების, აღჭურვილობისა და ხელსაწყოების წმენდას; პროდუქტებისა ან კომპონენტების ხელით დახარისხებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9321 ხელით მფუთავები;

9329 სხვა კატეგორიას მიუკუთვნებული სამრეწველო სფეროს მუშები.

9321 ჯგუფური ერთეული
ხელით მფუთავები

ხელით მფუთავები მასალებსა და პროდუქციას ხელით წონიან, ფუთავენ და იარლიყებს ამაგრებენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მასალებისა და სხვადასხვა პროდუქციის ხელით აწონას, შეხვევას, დალუქვასა და შეფუთვას;
2. ბოთლების, ქილების, ყუთების, ჩანთებისა და სხვა სათავსოების პროდუქტებით ხელით შევსებას;
3. პროდუქტებზე, გზავნილებსა და სხვადასხვა სათავსოებზე იარლიყების ხელით დამაგრებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- იარლიყების დამმაგრებელი (ხელით);
- მფუთავი (ხელით);
- შემხვევი (ხელით).

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- იარლიყების დამმაგრებელი მანქანის ოპერატორი – 8183;
- შესაფუთი მანქანის ოპერატორი – 8183;
- შესახვევი მანქანის ოპერატორი – 8183.

9329 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებული სამრეწველო სფეროს მუშები

სხვა კატეგორიას მიუკუთვნებული სამრეწველო სფეროს მუშები მუშაობაში ეხმარებიან მანქანების ოპერატორებსა და ამწყობებს, ასრულებენ სხვადასხვა მარტივ და რუტინულ სამუშაოს წარმოების სფეროში, გარდა დასრულებული პროდუქციის შეფუთვისა და იარლიყების დამაგრებისა.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროდუქციის, მასალების, აღჭურვილობისა და სხვა ერთეულების სამუშაო ადგილებზე მიტანასა და დასრულებული ერთეულების წამოღებას;
2. სატრანსპორტო საშუალებების, ფურგონებისა და საზიდრების დატვირთვასა და გადმოტვირთვას;
3. მანქანებისა და მისი სამუხრუჭეების, აღჭურვილობებისა და ხელსაწყოების გაწმენდას;
4. პროდუქციის ან კომპონენტების ხელით დახარისხებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ბოთლების დამხარისხებელი;
- ქარხნის დამხმარე;
- მასალის მიმწოდებელი;
- დამშტამბელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ელექტრომოწყობილობების ამწყობი – 8212;
- ელექტრონული მოწყობილობების ამწყობი – 8212;
- ტყავის პროდუქციის ამწყობი – 8219;
- რეზინის პროდუქციის ამწყობი – 8219;
- ხელით მფუთავი – 9321.

933 მცირე ჯგუფი
ტრანსპორტისა და საწყობის მუშები

ტრანსპორტისა და საწყობის მუშები მგზავრებისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის ატარებენ ველოსიპედებსა და მსგავს სატრანსპორტო საშუალებებს, აგრეთვე ცხოველების მართვად სატრანსპორტო საშუალებებს, უმკლავდებიან ტვირთსა და ბარგს, ავსებენ თაროებს.

მოცემულმცირე ჯგუფურში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მგზავრებისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის ველოსიპედებისა და მსგავსი სატრანსპორტო საშუალებების ტარებას; მგზავრებისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის ცხოველებით მართვადი სატრანსპორტო საშუალებების ტარებას; ცხოველებით მართვადი მანქანების ტარებას; ხელით მართვადი ტვირთის განკარგვას; მაღაზიების თაროებისა და სადემონსტრაციო ადგილების შევსებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9331 ხელითა და სატერფულებით სამართავი ტრანსპორტის მძღოლები;
9332 მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი ტრანსპორტის მძღოლები;
9333 მტვირთავები;
9334 თაროების შემავსებლები.

9331 ჯგუფური ერთეული
ხელითა და სატერფულებით სამართავი ტრანსპორტის მძღოლები

ხელითა და სატერფულებით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები შეტყობინებების გადაცემისათვის, მგზავრებისა და პროდუქციის ტრანპორტირებისათვის ატარებენ ველოსიპედებს, ხელის საზიდრებსა და მსგავს სატრანსპორტო საშუალებებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროდუქციის დატვირთვასა და გადმოტვირთვას, ან ტრანსპორტში ჩასხდომასა ან გადმოსხდომაში მგზავრებისათვის დახმარებას;
2. სასურველი მიმართულებით და მოძრაობის წესების შესაბამისად ტრანსპორტის მართვას;
3. ცვეთისა და დაზიანების გამოსავლენად სატრანსპორტო ნაწილების ინსპექტირებას;
4. ტრანსპორტის მოვლა-შენარჩუნებას, მცირე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასა და ჩასანაცვლებელი ნაწილების დაყენებას;
5. მგზავრობის ღირებულებისა და გადასახადების შეკრებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ველოსპედით მოძრავი კურიერი;
- სამარშრუტო რიქშას მძღოლი;
- სატერფულით სამართავი ტრანსპორტის მძღოლი;
- რიქშას მძღოლი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ველოომრბოლელი – 3421;
- მოტოციკლისტი – 8321.

9332 ჯგუფური ერთეული
მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი ტრანსპორტის მძღოლები

მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი ტრანსპორტის მძღოლები მგზავრებისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის ატარებენ გამწევი ძალით სამართავ სატრანსპორტო საშუალებებს, აგრეთვე, მეცხოველეობასთან დაკავშირებულ გამწევი ძალით სამართავ მანქანებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ცხოველების შებმასა და მათ მანქანებსა ან დანადგარებზე მიბმას;
2. პროდუქციის დატვირთვასა- გადმოტვირთვას, ან ტრანსპორტში მგზავრების ჩასხდომასა ან გადმოსხდომაში დახმარებას;
3. სასურველი მიმართულებით და მოძრაობის წესების შესაბამისად ცხოველების გადაადგილებას;
4. მგზავრობის ღირებულებისა ან გადასახადების შეკრებას.
5. მაღაროებსა და კარიერებში ცხოველებით ვაგონების გადაადგილებას;
6. ფერმისა ან სხვა მანქანაზე მიბმული ცხოველების მართვას;
7. მუშა სპილოების მართვას;
8. ტრასპორტის ან მანქანების მოვლა-შენარჩუნებას, აგრეთვე მცირე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასა და ჩასანაცვლებელი ნაწილების დაყენებას;
9. ცხოველების მოვლასა და კვებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ცხოველებით მართვადი ტრანსპორტის მძღოლი;
- ცხოველებით მართვადი მატარებლის მძღოლი;
- სპილოს მეხრე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ჟოკეი – 3421.

9333 ჯგუფური ერთეული
მტვირთავები

მტვირთავები ფუთავენ, გადააქვთ, ტვირთავენ და გადმოტვირთავენ ავეჯსა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს, ან გემისა და თვითმფრინავის ტვირთს, ან კიდევ საწყობებში პროდუქციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გადასაადგილებელი ოფისისა და სახლის ავეჯის, მანქანების, მოწყობილობებისა და პროდუქციის შეფუთვას;
2. ფურგონების, სატვირთო მანქანების, გემებისა ან თვითმფრინავების დასატვირთ-ჩამოსატვირთი პროდუქციის გადატანას;
3. საბარგო ვაგონებზე, მილებსა და სხვა მსგავს გადამზიდავებზე მარცვლეულის, ნახშირის, ქვიშის, ბარგისა და სხვა ერთეულების დატვირთვა-გადმოტვირთვას;
4. ბენზინის, თხევადი გაზებისა და სხვა სითხეების ჩასატვირთ-გადმოსატვირად სანაპიროზე განთავსებულ მილებსა და კატერებზე ტანკერებისა და სხვა გემების ავზების შლანგების შეერთებას;
5. საწყობებსა და მსგავს დაწესებულებებში პროდუქციის გადატანასა და დაწყობას;
6. ჩატვირთვა-გადმოტვირთვამდე ტვირთის დახარისხება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მებარგულე;
- მტვირთავი;
- საწყობის დარაჯი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ამწეს ოპერატორი – 8343;
- მტვირთავის ოპერატორი – 8344;
- სასტუმროს კარისკაცი – 9621;
- მეკარე (კონსიერჟი, შვეიცარი) – 9621.

<u>9334 ჯგუფური ერთეული</u>
თაროების შემავსებლები

თაროების შემავსებლები სუპერმარკეტებსა და სხვა სავაჭრო-საბითუმო მაღაზიებში თაროებსა და გამოსაჩენ ადგილებზე აწყობენ საქონელს, აგრეთვე ინარჩუნებენ საწყობის სისუფთავესა და წესრიგს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. პროდუქციის ყუთებსა და საკიდებზე აკურატულად განთავსებას, აგრეთვე, მძიმე პროდუქციის იატაკზე დაწყობას;
2. პროდუქციით თაროების შევსებასა და მოკლევადიანი პროდუქტის წინ დადებას;
3. ვადაგასული პროდუქციის გადაგდებას;
4. თაროების მოწესრიგებას, პროდუქციის შესაბამის თაროებზე დადაწყობას;
5. გაყიდული საქონლის აღნიშვნასა და სათავსოდან თაროების საჭირო პროდუქციით შევსებას;
6. თაროებიდან და საწყობიდან მომხმარებლების პროდუქციით უზრუნველყოფას;

7. სასურველი პროდუქტის მოძებნაში მომხმარებლების დახმარებას;
8. მწარმოებლისა ან დისტრიბუტორისაგან მიღებული პროდუქციის მიღებას, გახსნასა და დაზიანებაზე შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ღამის შემვსები;
- მარაგის შემვსები;
- საქონლის დამხარისხებელი.

94 ქვეჯგუფი
მზარეულების დამხმარეები

მზარეულების დამხმარეები ამზადებენ და აკეთებენ წინასწარ მომზადებულ მარტივ საკვებსა ან სასმელებს, წმენდენ მაგიდებს, სამზარეულოსა და რეცხავენ თეფშებს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის პირველი დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: წინასწარ მომზადებული მარტივი საკვებისა ან სასმელების (მაგ.: სენდვიჩების, პიცების, თევზის, კარტოფილის, სალათებისა და ყავის) მომზადებას; მოსამზადებელი საკვების გარეცხვას, დაჭრას, აწონვასა და შერევას; საკვების მოსამზადებელი აღჭურვილობების (მაგ.: გრილების, მიკროტალღური ღუმელებისა და ღრმა-ცხიმიანი შესაწვავების) გამოყენებას; სამზარეულოების, საკვების მოსამზადებელი და მომსახურების ადგილების გაწმენდას; სამზარეულოებსა და რესტორნებში გამოყენებული საკვების მოსამზადებელი და ზოგადი ხელსაწყოების გაწმენდას.

წინამდებარე ქვეჯგუფ კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

941 მზარეულების დამხმარეები.

941 მცირე ჯგუფი
მზარეულების დამხმარეები

მზარეულების დამხმარეები ამზადებენ და აკეთებენ წინასწარ მომზადებულ მარტივ საკვებსა ან სასმელებს, წმენდენ მაგიდებს, სამზარეულოსა და რეცხავენ თეფშებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: წინასწარ მომზადებული მარტივი საკვებისა ან სასმელების (მაგ.: სენდვიჩების, პიცების, თევზის, კარტოფილის, სალათებისა და ყავის) მომზადებას; მოსამზადებელი საკვების გარეცხვას, დაჭრას, აწონვასა და შერევას; საკვების მოსამზადებელი აღჭურვილობების (მაგ.: გრილების, მიკროტალღური ღუმელებისა და ღრმა-ცხიმიანი შესაწვავების) გამოყენებას; სამზარეულოების, საკვების მოსამზადებელი და მომსახურების ადგილების გაწმენდას; სამზარეულოებსა და რესტორნებში გამოყენებული საკვების მოსამზადებელი და ზოგადი ხელსაწყოების გაწმენდას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9411 სწრაფი საკვების მომმზადებლები;

9412 სამზარეულოს დამხმარეები.

9411 ჯგუფური ერთეული
სწრაფი საკვების მომმზადებლები

სწრაფი საკვების მომმზადებლები მარტივი წესითა და მცირე ინგრედიენტებით ამზადებენ და აკეთებენ შეზღუდული რაოდენობის საკვებსა ან სასმელებს. ისინი მომხმარებლებისაგან იღებენ შეკვეთებს და ემსახურებიან დახლებსა და მაგიდებთან.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. წინასწარ მომზადებული მარტივი საკვებისა ან სასმელების (მაგ.: სენდვიჩების, პიცების, თევზის, კარტოფილის, სალათებისა და ყავის) მომზადებას;
2. მოსამზადებელი საკვების გარეცხვას, დაჭრას, აწონვასა და შერევას;
3. საკვების მოსამზადებელი აღჭურვილობების (მაგ.: გრილების, მიკროტალღური ღუმელებისა და ღრმა-ცხიმიანი შესაწვავების) გამოყენებას;
4. სამზარეულოების, საკვების მოსამზადებელი და მომსახურების ადგილების გაწმენდას;
5. სამზარეულოებსა და რესტორნებში გამოყენებული საკვების მოსამზადებელი და ზოგადი ხელსაწყოების გაწმენდას.
6. სწრაფი კვების ობიექტებში მომსახურებას, აგრეთვე წასაღები საკვებისა და სასმელის შეკვეთების მიღებას;
7. სწრაფად მოსამზადებელი კერძებისათვის ინგრედიენტებისა და შეკვეთების მიღებას;
8. სამუშაო ადგილებში სანიტარიის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების შენარჩუნებას;
9. ხარისხისა და რაოდენობის მოთხოვნების შესაბამისობაში მომზადებული საკვების შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სწრაფი კვების კერძების მზარეული;
- ჰამბურგერის დამამზადებელი;
- პიცის მცხობელი;
- სწრაფი შეკვეთების მზარეული.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- შეფ-მზარეული – 3434;
- მზარეული – 5120;
- სასურსათო მომსახურების პუნქტების პერსონალი – 5246.

<u>შენიშვნა:</u>

შეკვეთების მიღებასთან, მომხმარებლების მომსახურებასა და გადასახადის დათვლასა და მიღებასთან ერთად მარტივი საკვების მომზადებლები უნდა კლასიფიცირებულდნენ 5246 ჯგუფურ ერთეულში – სასურსათო მომსახურების პუნქტების პერსონალი, გარდა კლიენტების შემთხვევითი მომსურებებისა.

<u>9412 ჯგუფური ერთეული</u>
სამზარეულოს დამხმარეები

სამზარეულოს დამხმარეები წმენდენ მაგიდებსა და სამზარეულოებს, რეცხავენ თეფშებს, აგრეთვე საკვებითა და სასმელებით მომსახურეებს ეხმარებიან ინგრედიენტებს დამზადებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სამზარეულოების, საკვების მოსამზადებელი და მომსახურების ადგილების წმენდას;
2. ინგრედიენტების გარეცხვაში, გაფცქვნაში, დაქუცმაცებაში, დაჭრაში, აწონვასა და შერევაში მზარეულებისა და შეფ-მზარეულების დახმარებას;
3. კლიენტებისთვის თეფშების დაწყობას;
4. მარაგების გახსნას, შემოწმებას, გადაცემას, აწონვასა და მაცივრებში, კარადებსა და სხვა შესანახ ადგილებში შენახვას;
5. თეფშებისა და საკვების მოსამზადებელი ხელსაწყოების რეცხვასა და შენახვას;
6. მარტივი საკვები ერთეულების მომზადებას, გაკეთებას, დაბრაწვასა და გაცხელებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ჭურჭლის ხელით მრეცხავი;
- სამზარეულოს დამხმარე;
- სამზარეულოს საქმიანობაში დამხმარე;
- სამზარეულოს კარისკაცი;
- სამზარეულოს ოფიციანტი;

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მზარეული – 5120;
- სწრაფი კვების კერძების დამამზადებელი – 9411.

95 ქვეჯგუფი
გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს გაყიდვებისა და მომსახურების ~~დარგის~~ მუშები

გარე და მონათესავე სფეროს მოვაჭრეები ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში (მაგ., სადგურებში) ყიდიან დაუყოვნებლივი მოხმარების პროდუქციას (საკვების გარდა) და ეწევიან სხვადასხვა სახეობის მომსახურებას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის პირველი დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: გასაყიდი საქონლის შეძენასა ან დამზადებას; გასაყიდი საქონლის დატვირთვასა-გადმოტვირთვასა და ტრანსპორტირებას; მომსახურებისათვის აუცილებელი მასალების მოპოვებას; პროდუქციისა და მომსახურების შესათავაზებლად ქუჩაში ხალხთან ურთიერთობას; ფეხსაცმელების წმენდასა და გაპრიალებას; მანქანის ფანჯრების წმენდასა და გაპრიალებას; დავალებების შესრულებას; მანქანების დაუზიანებლობისთვის დაპარკინგებაში მძღოლების დახმარებას; საინფორმაციო ფურცლებისა და უფასო გაზეთების დარიგებას; ანაზღაურების დაუყოვნებლივ მიღებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

951 გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მომსახურების მუშები;

952 გარე მოვაჭრეები (გარდა საკვები პროდუქტების გამყიდველებისა).

951 მცირე ჯგუფი
გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მომსახურების ~~დარგის~~ მუშები

გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მომსახურების მუშები ქუჩასა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში წმენდენ ფეხსაცმელებს, რეცხვენ მანქანების ფანჯრებს, ასრულებენ დავალებებს, ეძებენ ქონებასა და სხვა, ადგილზე აუცილებელი მომსახურების ჩათვლით.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: მომსახურებისათვის აუცილებელი მასალების მოპოვებას; პროდუქციისა და მომსახურების შესათავაზებლად ქუჩაში ხალხთან ურთიერთობას; ფეხსაცმელების წმენდასა და გაპრიალებას; მანქანის ფანჯრების წმენდასა და გაპრიალებას; დავალებების შესრულებას; მანქანების დაუზიანებლობისთვის დაპარკინგებაში მძღოლების დახმარებას; საინფორმაციო ფურცლებისა და უფასო გაზეთების დარიგებას; ანაზღაურების დაუყოვნებლივ მიღებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9510 გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მუშები.

9510 ჯგუფური ერთეული
გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მუშაკები

გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მუშაკები ახორციელებენ სხვადასხვა სახეობის მომსახურებას ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ფეხსაცმელების წმენდის, მანქანების ფანჯრების რეცხვის, კონკრეტული დავალებების შესრულების, საინფორმაციო ბროშურების (ბუკლეტი) დარიგების, ქონების მიხედვის და სხვა, ადგილზე აუცილებელი მომსახურების უზრუნველყოფის ჩათვლით/გარე მოვაჭრეები და მონათესავე სფეროს მუშები ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში წმენდენ ფეხსაცმელებს, რეცხვენ მანქანების ფანჯრებს, ასრულებენ დავალებებს, არიგებენ პროშურებს, ეძებენ ქონებასა და სხვა, ადგილზე აუცილებელი მომსახურების ჩათვლით.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. მომსახურებისათვის აუცილებელი მასალების მოპოვებას;
2. პროდუქციისა და მომსახურების შესათავაზებლად ქუჩაში ხალხთან ურთიერთობას;
3. ფეხსაცმელების წმენდასა და გაპრიალებას;
4. მანქანის ფანჯრების წმენდასა და გაპრიალებას;
5. დავალებების შესრულებას;
6. მანქანების დაუზიანებლობისთვის დაპარკინგებაში მძღოლების დახმარებას;
7. საინფორმაციო ფურცლებისა და უფასო გაზეთების დარიგებას;
8. ანაზღაურების დაუყოვნებლივ მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მანქანის მცველი;
- მანქანის ფანჯრების მრეცხავი;
- დავალებების შემსრულებელი ბიჭი;
- უფასო გაზეთების გამანაწილებელი;
- საინფორმაციო ფურცლების გამანაწილებელი;
- ფეხსაცმლის გამპრიალებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- მომსახურების პუნქტის მუშები – 5245;
- საინფორმაციო ფურცლებისა და გაზეთების მიმტანები – 9621.

9520 ჯგუფური ერთეული
გარე მოვაჭრეები (გარდა საკვები პროდუქტების გამყიდველებისა)

გარე მოვაჭრეები (გარდა საკვები პროდუქტების გამყიდველებისა) ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებში (მაგ.: სადგურებში, კინოებსა ან თეატრებში) ჩვეულებისამებრ ყიდიან შეზღუდული ასორტიმენტის პროდუქციას.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გასაყიდი სხვადასხვა საქონლის შეძენასა ან დამზადებას;

2. პროდუქციის ქუჩებსა ან საზოგადოებრივ ადგილებში (მაგ.: სადგურებსა ან კინოებში) ტრანსპორტირებისათვის კალათების, საზიდრების, ველოსიპედების, ხელის ორთვალების ან სხვა ტრანსპორტის დატვირთვასა და ჩამოტვირთვას;
3. ყურადღების მისაქცევად პროდუქციის თვალსაჩინოდ გამოფენასა ან გაჟღერებას;
4. გასაყიდი პროდუქციის შესათავაზებლად ქუჩებში ან სახლებში პოტენციური მომხმარებლებთან კომუნიკაცის;
5. ანაზღაურების დაუყოვნებლივი მიღებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ქუჩაში მოვაჭრე;
- გაზეთების გამყიდველი;
- მეწვრილმანე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ბაზრის გამყიდველი – 5211;
- ქუჩის ჯიხურის გამყიდველი – 5211;
- ქუჩაში საკვების გამყიდველი – 5212;
- კარდაკარ გამყიდველი – 5243;
- უფასო გაზეთების დისტრიბუტორი – 9510.

<u>შენიშვნა:</u>

დაუყოვნებლივი გამოსაყენებელი (მაგ.: ხილი, ბოსტნეული, ხორცი და რძის პროდუქტები) ახალი საკვები პროდუქციის ქუჩისა და ბაზრის ჯიხურების გამყიდველები, კლასიფიცირდებიან 5211 ჯგუფურ ერთეულში – ჯიხურებისა და ბაზრის გამყიდველები. ქუჩასა და ბაზრის ჯიხურებში დაუყოვნებლივი გამოყენების სხვადასხვა სახეობის კერძებისა და საკვების გამყიდველები კლასიფიცირდებიან 5246 ჯგუფურ ერთეულში – საკვების პუნქტების პერსონალი. ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში ხელის ურიკებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან დაუყოვნებლივი გამოყენების სხვადასხვა სახეობის საკვებისა და სასმელების გამყიდველები კლასიფიცირდებიან 5212 ჯგუფურ ერთეულში – ქუჩაში საკვების გამყიდველები. ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში ხელის ურიკებიდან, ლანგრებიდან ან კალათებიდან არასაკვები პროდუქტების გამყიდველები კლასიფიცირდებიან 9520 ჯგუფურ ერთეულში – ქუჩაში მოვაჭრეები (გარდა საკვებისა).

96 ქვეჯგუფი
ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მუშები

ნარჩენების გამტანები და სხვა მუშები შენობებში, ეზოებში, ქუჩებსა და სხვა საჯარო ადგილებში აგროვებენ, ამუშავებენ და გადაამუშავებენ ნაგავს. ისინი ასუფთავებენ და უვლიან ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებს, მიაქვთ შეტყობინებები და გზავნილები, კერძო სახლებსა ან დაწესებულებებში ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოს. აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის პირველი დონე.

მოცემულ ქვეჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ნაგვის შეგროვებას, დატვირთვასა და გადმოტვირთვას; ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დაგვას; შეშის დაჭრას და შეგროვებას, აგრეთვე შეშის, წყლის, გზავნილების, ბარგისა და შეტყობინებების გადატანას; ხალიჩებიდან მტვრის აღებასა და სხვა დამატებითი სამუშაოების შესრულებას.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

961 ნარჩენების გამტანები;

962 სხვა მუშები.

961 მცირე ჯგუფი
ნარჩენების გამტანები

ნარჩენების გამტანები ეზოებში, ქუჩებსა და სხვა საჯარო ადგილებში აგროვებენ, ამუშავებენ და გადაამუშავებენ ნაგავს. ისინი ასუფთავებენ და უვლიან ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ნაგვის შეგროვებას, ჩატვირთვასა და გადმოტვირთვას; ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დაგვას; ნაგავის (მაგ.: ქაღალდის, შუშის, პლასტმასისა ან ალუმინიუმის) დახარისხებასა და გადამუშავებას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9611 ნარჩენების შემგროვებლები და გადამმუშავებლები;

9612 ნარჩენების დამხარისხებლები;

9613 მეეზოვეები და მონათესავე სფეროს მუშები.

9611 ჯგუფური ერთეული
ნარჩენების შემგროვებლები და გადამამუშავებლები

ნარჩენების შემგროვებლები ეზოებში, ქუჩებში და სხვა საჯარო ადგილებში აგროვებენ და გააქვთ ნაგავი.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. ურნებსა და გადასამუშავებელ ფურგონებში ნაგვისა და მასალის შეგროვებას;
2. ნაგვისა და გადასამუშავებელი ფურგონების ტარებას;
3. ნაგვის ურნების აწევასა და შიგთავსის ფურგონებსა ან უფრო დიდ სათავსოებში დაცლას;
4. ნაგვისა და გადასამუშავებელი ფურგონების ჩამოტვირთვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მენაგვე ქალი/კაცი;
- გადასამუშავებელი ნაგვის შემგროვებელი;
- ნარჩენების შემგროვებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ნაგვის მანქანის მძღოლი – 8332;
- ნარჩენების შემგროვებელი – 9612.

<u>9612 ჯგუფური ერთეული</u>
ნარჩენების დამხარისხებლები

ნარჩენების დამხარისხებლები ნაგავსაყრელებსა ან გადასამუშავებელ საწარმოებში, შენობებში, ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში აგროვებენ და ახარისხებენ გადამუშავებისთვის შესაფერის საგნებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გადასამუშავებლად ნაგავსაყრელებზე, ადგილობრივ, კომერციულ და საწარმოო დაწესებულებებსა ან საზოგადოებრივ ადგილებში (მაგ., ქუჩებში) ნარჩენების ძიებასა და შეგროვებას;
2. მუყაოს, ქაღალდის, შუშის, პლასტმასის, ალუმინის ან სხვა გადამუშავებადი მასალების ტიპების მიხედვით დახარისხებას;
3. შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის გადამუშავებადი საგნებისა და მასალების განთავსებას განსაზღვრულ განყოფილებებსა და სათავსოებში განთავსებას;
4. აღდგენისა ან ხელახლა გამოყენებისათვის შესაფერისი ავეჯის, აღჭურვილობის, მანქანებისა ან კომპონენტების გამოვლენას;
5. გადამუშავებადი ერთეულების ხელით ან არაძრავიანი ტრანსპორტით გადაადგილებას;
6. გადამუშავებადი ან ხელახლა გამოყენებადი მასალების გაყიდვას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გადამმუშავებელი;
- ჯართით მოვაჭრე;
- ნარჩენების შემგროვებელი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:
- ნარჩენების შემგროვებელი – 9611;
- მეეზოვე – 9613.

9613 ჯგუფური ერთეული
მეეზოვეები და მსგავსი დამწყები კვალიფიკაციის მუშები

მეეზოვეები და მსგავსი მუშები გვიან და ასუფთავებენ ქუჩებს, პარკებს, აეროპორტებს, სადგურებს და საზოგადოებრივ ადგილებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:
1. ქუჩების, პარკების, აეროპორტების, სადგურებისა და მსგავსი საზოგადოებრივი ადგილების დაგვას;
2. თოვლისგან გაწმენდას;
3. მტვერსასრუტით ხალიჩების გაწმენდას;
4. ნაგვისგან, ფოთლებისა და თოვლისაგან შენობებთან მისასვლელი გზებისა და ასფალტის გაწმენდას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:
- პარკის დამსუფთავებელი;
- მეეზოვე.

962 მცირე ჯგუფი
სხვა მუშები

სხვა მუშებს მიაქვთ შეტყობინებები და გზავნილები; ასრულებენ სხვადასხვა მარტივ მოვლა-შენარჩუნებისა და აღდგენის სამუშაოებს; აგროვებენ ფულს და ამარაგებენ სავაჭრო აპარატებს; კითხულობენ პარკირების აპარატების მონაცემებს; აგროვებენ წყალსა და შეშას; სადგომებისა ან ღონისძიებებისათვის აგროვებენ და გასცემენ ბილეთებს.

მოცემულ მცირე ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს: ხის დაჩეხვას, აგრეთვე წყლისა და შეშის მოგროვებას; შენობების, ასფალტისა და დაწესებულებების წმენდასა და მოვლა-შენარჩუნებას; დაწესებულებებსა ან სხვაგან შეტყობინებების, გზავნილებისა და სხვა საგნების მიტანას; ფოსტალიონის მოვალეობის შესრულებას; ბილეთებისა და საშვების გაცემა-შეგროვებას; სადგომის ხარჯების დათვლას; საწყობებისა ან სავაჭრო აპარატების შევსებასა, აგრეთვე

სათავსოებიდან ფულის მოგროვებას; დენის, გაზისა ან წყლის მრიცხველების წაკითხვასა და მონაცემების აღრიცხვას.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

9621 კურიერები და პორტიეები;
9622-შემთხვევითი სამუშაოს შემსრულებლები;
9623 მრიცხველების კონტროლიორები და სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები;
9624 მეთულუხეები და მეშეშეები;
9629 სხვა კატეგორიას მიუკუთვნელი დაბალი კვალიფიკაციის მუშები.

9621 ჯგუფური ერთეული
კურიერები და პორტიეები

კურიერებსა და პორტიეებს ფეხით მიაქვთ შეტყობინებები, გზავნილები და სხვა საგნები დაწესებულებებში, სახლებსა ან სხვაგან, ან სასტუმროებში, სადგურებსა და აეროპორტებში გადააქვთ ბარგი.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. შეტყობინებების, გზავნილებისა და სხვა საგნების დაწესებულებებში და სხვაგან მიტანას;
2. საწარმოებში, მაღაზიებში, სახლებსა და სხვა ადგილებში სხვადასხვა პროდუქციის გადატანას;
3. სასტუმროებში, სადგურებსა და აეროპორტებში ბარგის ტარებასა და მიტანას;
4. ჩეკების შესავსებად და მისამაგრებლად ბარგის მიღებასა და იარლიყების დამაგრებას;
5. ყველაზე ეფექტური მარშრუტის დაგეგმვასა და განხორციელებას;
6. მარშრუტის მიხედვით საგნების დახარისხებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- სასტუმროს პორტიე;
- საინფორმაციო ბროშურების მიმტანი;
- მებარგული;
- მაცნე;
- გაზეთების მიმტანი.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- ფოსტის კურიერი – 4412;
- ფოსტალიონი კაცი/ქალი – 4412.

9622 ჯგუფური ერთეული
შემთხვევით სამუშაოს შემსრულებლები

შემთხვევითი სამუშაოს შემსრულებლები წმენდენ, ღებავენ და უვლიან შენობებს, ასფალტსა და დაწესებულებებს, აგრეთვე ასრულებენ მცირე აღდგენით სამუშაოებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გატეხილი ფანჯრების, ეკრანების, კარებების, ღობეების, სამწვადე მოწყობილობის, პიკნიკის მაგიდების, თაროების, კარადებისა და სხვა საგნების შეკეთებას;
2. დეფექტური საგნების (მაგ., ნათურების) გამოცვლას;
3. ინტერიერისა და ექსტერიერის ზედაპირების (მაგ.: კედლების, ჭერებისა და ღობეების) აღდგენასა და შეღებვას;
4. კარებებისა და ფანჯრების გასწორებას;
5. ონკანების გამოცვლას;
6. სახელურებისა და მოაჯირების დამაგრებას;
7. ნახშირის ან ხის ჩამოტვირთვას და კერძო სახლების ან დაწესებულებების სარდაფებში განთავსებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- ხელოსანი;
- სასტუმროს დამხმარე;
- შემთხვევითი სამუშაოს შემსრულებელი.

9623 ჯგუფური ერთეული
მრიცხველების კონტროლიორები და სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები

მრიცხველების კონტროლიორები და სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები ამარაგებენ სავაჭრო და ხურდის აპარატებს, აგრეთვე მათგან და ელექტროენერგიის, გაზის ან წყლის მრიცხველებიდან იწერენ მონაცემებს.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. სავაჭრო აპარატების შევსებასა და სათავსოებიდან ფულის შეგროვებას;
2. პარკინგის მრიცხველებიდან და მსგავსი ხურდის აპარატებიდან ფულის შეგროვებას;
3. დენის, გაზისა ან წყლის მრიცხველების წაკითხვასა და მონაცემების ჩაწერას;
4. დისტრიბუციაში გაშვებული პროდუქციის აღრიცხვასა და შეგროვებული ფულის ჩანაწერების გაკეთებას;
5. მრიცხველების მონაცემების შესაგროვებლად გაწერილი მარშრუტების შესრულებას;
6. მომხმარებელების მხრიდან დარღვების გამოვლენასა და შესაძლო მიზეზების ჩაწერას;
7. აკრძალულ მოხმარებაზე, დეფექტებსა და დაზიანებებზე (მაგ., პლომბების დარღვევაძე) მრიცხველების შემოწმებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მრიცხველების მონაცემები შემგროვებლები;

- სავაჭრო აპარატის შემგროვებელი.

9624 ჯგუფური ერთეული
მეთულუხეები და მეშეშეები

მეთულუხეები და მეშეშეები აგროვებენ წყალსა და შეშას, აგრეთვე ფეხით, ხელით ან ცხოველებით გადაზიდავენ.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გასაყიდად, გასათბობად ან საკუთარი მოხმარებისათვის ტყეში ხის მოჭრასა და შეგროვებას;
2. მშრალი ხის ტოტების მოსაგროვებლად ტყეებსა და ველებზე სიარულს;
3. ნაჯახითა და ხელის ხერხით ხის დამპალი ტოტების მოჭრას;
4. გასაყიდად ან გამოსაყენებლად შეგროვებული ხის პატარა კონებად შეკვრასა და ორთვალით ტრანსპორტირებას;
5. სახლში გამოსაყენებლად ჭებიდან, მდინარეებიდან ან წყაროებიდან წყლის მოტანას;
6. ტყავის ჩანთებში, კალათებსა ან სხვა სათავსოებში ონკანებიდან, მდინარეებიდან, წყაროებიდან ან ჭებიდან წყლის შეგროვებას, აგრეთვე დასალევად, მილების გასაწმენდად ან საცავში შესანახად წყლის სამუშაო ადგილას, ან კლიენტის სახლში ან საკუთარ სახლში მიტანას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მეშეშე;
- მეთულუხე.

9629 ჯგუფური ერთეული
სხვა კატეგორიას მიუკუთვნელი დაბალი კვალიფიკაციის მუშები

წინამდებარე ჯგუფური ერთეული მოიცავს დამწყები კვალიფიკაციის მუშებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 9 ძირითადი ჯგუფი – მარტივი საქმიანობები არცერთ კატეგორიას. მაგ., ჯგუფი მოიცავს მათ, ვინც გასცემს და აგროვებს პარკინგის ან ნებართვის ბილეთებს, გასახდელ ოთახებში პატრონებსა და მომხმარებლებს აწვდის პერსონალურ ნივთებს, აგრეთვე პიროვნებებს ეხმარება გასართობი ღონისძიებების ჩატარებაში.

მოცემულ ჯგუფურ ერთეულში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს შემდეგს:

1. გასართობ ღონისძიებებზე პატრონებისათვის ნებართვის ბილეთებისა და საშვების გაყიდვას, აგრეთვე ბილეთების, საშვებისა და იარლიყების შეგროვებას;
2. გამოშვების თარიღისა და ფერის მიხედვით ნამდვილობის დასადგენად ბილეთებისა და საშვების შესწავლას;
3. გადაუდებელი შემთხვევებისას პატრონების გასასვლელებში გაყვანას, ან სხვა სახეობის დახმარებასა და წსავლებას;

4. მოსვენების ოთახებში, სავაჭრო და სატელეფონო ჯიხურებში პატრონების გაყვანას;
5. მძღოლების მანქანების სადგომ ადგილებთან მიყვანას;
6. მანქანების დაზიანებისა და მოპარვის აღსაკვეთად სადგომების მეთვალყურეობას;
7. სადგომების გადასახადების გამოთვლასა და მომხმარებლებისაგან მათ ამოღებას;
8. პატრონებისათვის სპორტული და საბანაო დაწესებულებების გასახდელი ოთახებისა ან ტანსაცმლის სათავსოების მოძიებას.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- გასახდელის დამხმარე;
- ბაზრობის მოედნის დამხმარე;
- პარკინგის დამხმარე;
- ბილეთების შემგროვებელი;
- შვეიცარი/მეკარე.

სხვა ჯგუფურ ერთეულებში კლასიფიცირებული მონათესავე პროფესიებია:

- პარკირების მოსამსახურე – 8322.

0 ძირითადი ჯგუფი
შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული პროფესიები

შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული პროფესიები მოიცავს ყველა სამსახურს, რომლებიც შეიარაღებული ძალების წევრებს უკავიათ. ისინი მსახურობენ სავალდებულო თუ ნებაყოფლობით შეიარაღებულ ძალებში, აგრეთვე დამხმარე სამსახურებში. ისინი არ შეიძლება დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორში და ექვემდებარებიან სამხედრო დისციპლინას. მათ შორის არიან ჯარის, საზღვაო-საჰაერო ძალებისა და სხვა სამხედრო სამსახურების მუდმივი პერსონალი, აგრეთვე, წვევამდელები, რომლებიც კონკრეტული დროით ირიცხებიან სამხედრო წვრთნებსა და სხვა სამსახურებში.

წინამდებარე ძირითად ჯგუფებში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

01 შეიარაღებული ძალების ოფიცრები;
02 შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები;
03 შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები.

წინამდებარე ძირითად ჯგუფში არ მოიაზრებიან:

- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის წევრები.

შენიშვნა:

შეიარაღებული ძალების წევრების სამსახურები, სამუშაოს ბუნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამსახურების (მაგ.: ექიმები, რადიოოპერატორები, მზარეულები, მდივნები და მძიმე ტექნიკის მძღოლები) მსგავსია. კონცეპტუალურტად შეიძლება მართებული იყოს შეიარაღებულ ძალების ამ სამსახურების მსგავს სამოქალაქო სამსახურებთან დაჯგუფება. ამგვარი მიდგომა მიღებულია ზოგიერთ ეროვნულ სამსახურთა კლასიფიკაციებში. როგორც წესი, ამგვარი კლასიფიკაციები აგრეთვე, აერთიანებს რამდენიმე სპეციფიკური სამსახურის ჯგუფს, თუმცა ბევრ ქვეყანაში შეუძლებელია შეიარაღებული ძალების წევრების მიერ განხორციელებული საქმიანობის ბუნების შესახებ ინფორმაციის მიღება. ISCO 08-ის მიღებისას ქვეყნებმა, ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება მოინდომონ იმის გაგება, ყველაზე მეტად თუ რომელი მიდგომა ესადაგება მათ მდგომარეობასა და მოთხოვნებს. საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით, შეიარაღებული ძალების წევრებთან დაკავშირებული მონაცემები კლასიფიცირებულია თანამდებობების მიხედვით, შესაბამისად აღნიშნული პროფესიები უნდა კლასიფიცირდნენ ISCO 08-ის 0 ძირითად ჯგუფში – შეიარაღებული ძალების პროფესიები.

01 ქვეჯგუფი
შეიარაღებული ძალების ოფიცრები

შეიარაღებული ძალების ოფიცრები უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების საორგანიზაციო დანაყოფების ხელმძღვანელობასა და მართვას და/ან ასრულებენ ისეთივე მსგავს დავალებებს, როგორსაც შეიარაღებული ძალების გარეთ არსებული სხვა სამოქალაქო სამსახურები. ეს ჯგუფი მოიცავს შეიარაღებული ძალების ყველა წევრს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მეორე ლეიტენანტის (ან ეკვივალენტური) ან უფრო მაღალი წოდება. სამუშაოს კომპეტენტური შესრულება ამ ძირითადი ქვეჯგუფის უმეტეს თანამდებობაზე მოითხოვს ISCO-ს უნარ-ჩვევების უმაღლეს დონეს.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:
011 შეიარაღებული ძალების ოფიცრები.

წინამდებარე ქვეჯგუფში არ მოიაზრებიან:
- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის პერსონალი.

011 მცირე ჯგუფი
შეიარაღებული ძალების ოფიცრები

შეიარაღებული ძალების ოფიცრები უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების საორგანიზაციო დანაყოფების ხელმძღვანელობასა და მართვას და/ან ასრულებენ ისეთივე მსგავს დავალებებს, როგორსაც შეიარაღებული ძალების გარეთ არსებული სხვა სამოქალაქო სამსახურები. ეს ჯგუფი მოიცავს შეიარაღებული ძალების ყველა წევრს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მეორე ლეიტენანტის (ან ეკვივალენტური) ან უფრო მაღალი წოდება.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:
0110 შეიარაღებული ძალების ოფიცრები.

წინამდებარე მცირე ჯგუფში არ მოიაზრებიან:
- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის პერსონალი.

0110 ჯგუფური ერთეული
შეიარაღებული ძალების ოფიცრები

შეიარაღებული ძალების ოფიცრები უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების საორგანიზაციო დანაყოფების ხელმძღვანელობასა და მართვას და/ან ასრულებენ ისეთივე მსგავს დავალებებს, როგორსაც შეიარაღებული ძალების გარეთ არსებული სხვა სამოქალაქო სამსახურები. ეს ჯგუფი მოიცავს შეიარაღებული ძალების ყველა წევრს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მეორე ლეიტენანტის (ან ეკვივალენტური) ან უფრო მაღალი წოდება.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგნაირად იყოფა:

- ადმირალი;
- საჰაერო ძალების მეთაური;
- საჰაერო მარშალი;
- ბრიგადირი (სამხედრო);
- კაპიტანი (საჰაერო ძალების);
- კაპიტანი (ჯარის);
- კაპიტანი (საზღვაო ძალების);
- კაპიტანი (საჰაერო ძალების);
- პოლკოვნიკი (ჯარის);
- ფელდმარშალი;
- ავიაციის ლეინტენანტი (საჰაერო ძალების);
- მფრინავი ოფიცერი (სამხედრო);
- გენერალი (ჯარის);
- ავიაციის კაპიტანი (საჰაერო ძალების);
- ლეიტენანტი (ჯარი);
- მაიორი (ჯარი);
- საზღვაო კადეტი;
- საზღვაო ძალების ოფიცერი (სამხედრო);
- საზღვაო ძალების მეთაური;
- კადეტ-ოფიცერი (შეიარაღებული ძალები).

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში არ მოიაზრებიან:

- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის პერსონალი.

02 ქვეჯგუფი
შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები (სერჟანტები)

შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები (სერჟანტები) უზრუნველყოფენ სამხედრო დისციპლინას და ზედამხედველობენ 03-ე ქვეჯგუფში დასაქმებულებს, შეიარაღებული ძალების პროფესიებს, სხვა წოდებებსა და/ან სამხედრო ძალების გარეთ ასრულებენ სხვა სამოქალაქო თანამდებობების მსგავს საქმიანობებს. ეს ჯგუფი მოიცავს შეიარაღებული ძალების წოდებებს: სერჟანტს, მიჩმანსა და სერჟანტ-მაიორს. ამ ძირითადი ქვეჯგუფის სამუშაოს კომპეტენტურად შესრულება უმრავლეს თანამდებობაზე მოითხოვს ISCO-ს უნარ-ჩვევების უმაღლეს დონეს.

წინამდებარე ქვეჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

021 შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები (სერჟანტები).

წინამდებარე ქვეჯგუფში არ მოიაზრებიან:

- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის პერსონალი.

021 მცირე ერთეული
შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები (სერჟანტები)

შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები (სერჟანტები) უზრუნველყოფენ სამხედრო დისციპლინას და ზედამხედველობენ 03 ქვეჯგუფში დასაქმებულებს, შეიარაღებული ძალების პროფესიებს, სხვა წოდებებსა და/ან სამხედრო ძალების გარეთ ასრულებენ სხვა სამოქალაქო თანამდებობების მსგავს საქმიანობებს. ეს ჯგუფი მოიცავს შეიარაღებული ძალების წოდებებს: სერჟანტს, მიჩმანსა და სერჟანტ-მაიორს.

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

021ო შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები (სერჟანტები).

0210 ჯგუფური ერთეული

შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები (სერჟანტები)

შეიარაღებული ძალების რიგითი ოფიცრები (სერჟანტები) უზრუნველყოფენ სამხედრო დისციპლინას და ზედამხედველობენ 03 ქვეჯგუფში დასაქმებულებს, შეიარაღებული ძალების პროფესიებს, სხვა წოდებებსა და/ან სამხედრო ძალების გარეთ ასრულებენ სხვა სამოქალაქო თანამდებობების მსგავს საქმიანობებს. ეს ჯგუფი მოიცავს შეიარაღებული ძალების წოდებებს: სერჟანტს, მიჩმანსა და სერჟანტ-მაიორს.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:

- ბოცმანი (საზღვაო ძალები);
- ავიაციის სერჟანტი;
- სერჟანტი (ჯარი);
- სერჟანტ-მაიორი;
- მიჩმანი.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში არ მოიაზრებიან:

- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის პერსონალი.

03 ქვეჯგუფი
შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები

შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები მოიცავს შეიარაღებული ძალების ყველა წვევამდელ და არაწვევამდელ წევრს, გარდა შეიარაღებული ძალების ოფიცრებისა და რიგითი ოფიცრებისა (სერჟანტებისა). ისინი ასრულებენ ისეთივე დავალებებს, როგორსაც შეიარაღებული ძალების გარეთ სხვა სამოქალაქო სამსახურები. სამუშაოს კომპეტენტური შესრულება ამ ძირითადი ქვეჯგუფის უმეტეს თანამდებობებზე მოითხოვს ISCO-ს უნარ-ჩვევების უმაღლეს დონეს.

წინამდებარე ქვეჯგუფებში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:
031 შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები.

წინამდებარე ქვეჯგუფში არ მოიაზრებიან:
- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის პერსონალი.

031 მცირე ჯგუფი
შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები

შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები მოიცავს შეიარაღებული ძალების ყველა წვევამდელ და არაწვევამდელ წევრს, გარდა შეიარაღებული ძალების ოფიცრებისა და რიგითი ოფიცრებისა (სერჟანტებისა). ისინი ასრულებენ ისეთივე დავალებებს, როგორსაც შეიარაღებული ძალების გარეთ სხვა სამოქალაქო სამსახურები..

წინამდებარე მცირე ჯგუფში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულად იყოფა:
031 შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები.

წინამდებარე მცირე ჯგუფში არ მოიაზრებიან:
- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის პერსონალი.

0310 ჯგუფური ერთეული
შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები

შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები შეიცავს შეიარაღებული ძალების ყველა წვევამდელ და არაწვევამდელ წევრს, შეიარაღებული ძალების ოფიცრებისა და სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეების გარდა. ისინი ასრულებენ ისეთივე მსგავს დავალებებს, როგორსაც შეიარაღებული ძალების გარეთ არსებული სხვადასხვა სამოქალაქო სამსახურები.

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- მფრინავი;
- ბომბარდირი;
- კაპრალი (საჰაერო ძალები);
- კაპრალი (ჯარი);
- უფროსი მენავე (მესაჭე) (საზღვაო ძალები);
- არტილერისტი;
- ქვეითი;
- მედესანტე;
- ქვეითი მსროლელი;
- მატროსი (საზღვაო ძალები).

წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში არ მოიაზრებიან:

- სამსახურები, რომლებიც უკავიათ თავდაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებების სამოქალაქო მოსამსახურეებს;
- პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა);
- საბაჟო ინსპექტორები და სასაზღვრო ან სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურის პერსონალი.

ISCO-08 სახელწოდება	ISCO-08 კოდი	ISCO-88 კოდი	ISCO-88 სახელწოდება	კომენტარები
კანონმდებლები	1111	1110	კანონმდებლები	
მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები	1112	1120	მაღალი თანამდებობის პირები	
დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლისთავები	1113	1130	დასახლებისტრადიციული მმართველებიდასოფლისთავები	
კონკრეტული მიმართულების ორგანიზაციების მაღალი თანამდებობის პირები	1114	1141	პოლიტიკური - პარტიული ორგანიზაციების მაღალი თანამდებობის პირები	
		1142	დამსაქმებელთა, მუშაკთა და სხვა ეკონომიკური ინტერესის პროფილის ორგანიზაციების მაღალი	
		1143	თანამდებობის პირები ჰუმანიტარული და სხვა სპეციალური პროფილის ორგანიზაციების მაღალი თანამდებობის პირები	
მმართველი და აღმასრულებელი დირექტორები	1120	1210	დირექტორები და აღმასრულებელი პირები	
ფინანსური მენეჯერები	1211	1231	ფინანსური და ადმინისტრაციული დეპარტამენტის მენეჯერები	
		1317	ბიზნეს სერვისების (კომერციული მომსახურებების) მენეჯერები	საბუღალტრო და სხვა მსგავსი მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მენეჯერები
ადამიანური რესურსების მენეჯერები	1212	1232	კადრებთან და საწარმოო ურთიერთობების დეპარტამენტის მენეჯერები	
		1317	ბიზნეს სერვისების	ადამიანური რესურსების

			მენეჯერები	და საკადრო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მენეჯერები
პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები	1213	1229	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
		1239	სხვა დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები დაწესებულებებში, რომლებიც არ მიეკუთვნებიან: საჯარო ადმინისტრაციას, სავალდებულო სოციალურ დაზღვევას, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური სამუშაოს, ექსტრატერიტორიულ ორგანიზაციებსა და ორგანოებს, აგრეთვე რეკრეაციულ, სპორტულ და კულტურულ აქტივობებს (ISIC Rev. 3-ის შესაბამისად)
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი კომერციული მომსახურებებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები	1219	1227 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები ბიზნეს სერვისების კუთხით	
		1228	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები პირადი მოვლის, წმენდის და მსგავსი მომსახურების პროფილით	სამშენებლო მომსახურების და დალაგების დეპარტამენტის მენეჯერები
კომერციული მომსახურებების და ადმინისტრაციული მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას		1229 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა	

		1231 p 1317 p 1318	კატეგორიას ფინანსური და ადმინისტრაციული დეპარტამენტის მენეჯერები ბიზნეს სერვისების მენეჯერები (ზოგადი პროფილის) გენერალური მენეჯერები პირადი მოვლის, წმენდის და მსგავსი მომსახურების პროფილით	ადმინისტრაციული დეპარტამენტის მენეჯერები კონტრაქტით მომუშავე დალაგების სერვისის მიმწოდებელი კომპანიების მენეჯერები
გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	1221	1233 1317 p	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები ბიზნეს სერვისების მენეჯერები	მარკეტინგული კომპანიის მენეჯერები
რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები	1222	1234 1317 p	სარეკლამო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მენეჯერები ბიზნეს სერვისების მენეჯერები	სარეკლამო და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანიების მენეჯერები
კვლევისა და განვითარების მენეჯერები	1223	1237 1319 p	კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის მენეჯერები გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	კვლევისა და განვითარების კომპანიების მენეჯერები

სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის პროდუქტების წარმოების მენეჯერები	1311	1221 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობის და თევზჭერის სფეროში	
წყლის კულტურებისა და თევზჭერის პროდუქციის წარმოების მენეჯერები	1312	1221 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობის და თევზჭერის სფეროში	
საწარმოების მენეჯერები	1321	1222 p 1312 p p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები წარმოების სფეროში გენერალური მენეჯერები მრეწველობის სფეროში	
სამთო-მოპოვებითი საქმიანოების მენეჯრები	1322	1222 p 1312p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები წარმოების სფეროში გენერალური მენეჯერები მრეწველობის სფეროში	მცირე სამთომოპოვებითი და გათხრითი სამუშაოების მწარმოებელი კომპანიების მენეჯერები
მშენებლობის მენეჯრები	1323	1223 p 1313	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები მშენებლობის დარგში	

				მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების მენეჯერები	1342	1229 p 1319 p 2230 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას ძიძები/ექთნები და ბებიაქალები	საავადმყოფოების ზედამხედველები და მთავარი ექთნების პერსონალი
მოხუცთა მოვლის მომსახურებების მენეჯერები	1343	1229 p 1319 p 2230 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას ძიძები/ექთნები და ბებიაქალები	უფროსი ზედამხედველები და მთავარი ექთნები მოხუცთა მოვლის დაწესებულებებში
სოციალური კეთილდღეობის სფეროს მენეჯერები	1344	1229 p 1319 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	

განათლების სფეროს მენეჯერები	1345	1229 p 1319 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
ფინანსური და სადაზღვევო მომსახურების ფილიალის მენეჯერები	1346	1227 p 1317 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები ბიზნეს სერვისებში ბიზნეს სერვისების (გენერალური) მენეჯერები	მცირე სამთომოპოვებითი და გათხრითი სამუშაოების მწარმოებელი კომპანიების მენეჯერები
პროფესიული მომსახურებების მენეჯერები, რომლებიც სხვა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან	1349	1229 p 1319 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
სასტუმროს მენეჯრები	1411	1225 p 1315 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში რესტორნებისა და სასტუმროების გენერალური მენეჯერები	

რესტორნის მენეჯერები	1412	1225 p 1315 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში რესტორნებისა და სასტუმროების გენერალური მენეჯერები	
საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები	1420	1224 1314 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში გენერალური მენეჯერები საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში	
სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ცენტრების მენეჯერები	1431	1319 p	გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მომსახურებების მენეჯერები	1343	1229 p 1319 p 2230 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას ძიძები/ექთნები და ბებიაქალები	უფროსი ზედამხედველები და მთავარი ექთნები მოხუცთა მოვლის დაწესებულებებში
ფიზიკოსები და ასტრონომები	2111	2111	ფიზიკოსები და ასტრონომები	

მეტეოროლოგები	2112	2112	მეტეოროლოგები	
ქიმიკოსები	2113	2113 p	ქიმიკოსები	
გეოლოგები და გეოფიზიკოსები	2114	2114	გეოლოგები და გეოფიზიკოსები	
მათემატიკოსები, აქტუარების და სტატისტიკოსები	2120	2121 2122	მათემატიკოსები და მონათესავე პროფესიის წარმომადგენლები სტატისტიკოსები	
ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების პროფესიონალები	2131	2211 p 2212 p	ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების პროფესიონალები ფარმაკოლოგები, პათოლოგიის სპეციალისტები და მონათესავე პროფესიის წარმომადგენლები	 მცენარეთა პათოლოგიის სპეციალისტები, ფარმაკოლოგები
ფერმერების, მეტყევეებისა და მეთევზეების მრჩევლები	2132	2213 3213	აგრონომები და მონათესავე პროფესიის წარმომადგენლები ფერმერობისა და თევზჭერის კონსულტანტები	
გარემოს დამცველები	2133	2211 p	ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების პროფესიონალები	

მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები	2141	2149 p	არქიტექტორები, ინჟინრები, და მონათესავე პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
ინჟინერ-მშენებელი	2142	2142	სამოქალაქო ინჟინრები
ინჟინერ-ინსპექტორები	2143	2149 p	არქიტექტორები, ინჟინრები, და მონათესავე პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
ინჟინერ-მექანიკოსები	2144	2145	ინჟინერ-მექანიკოსები
ინჟინერ-ქიმიკოსები	2145	2146	ინჟინერ-ქიმიკოსები
სამთო-ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები	2146	2147	სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე პროფესიების პროფესიონალები
სხვა კატეგორიას მიკუთვნებული ინჟინრები	2149	2149 p	არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების პროფესიონალებირომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
ინჟინერ-ელექტრიკოსები	2151	2143	ინჟინერ-ელექტრიკოსები
ინჟინერ-ტექნოლოგები	2152	2144 p	ელექტრონული მოწყობილობების და ტელეკომუნიკაციის

			ინჟინრები	
კავშირგაბმულობის ინჟინრები	2153	2144 p	ელექტრონული მოწყობილობების და ტელეკომუნიკაციის ინჟინრები	
შენობის არქიტექტორები	2161	2141 p	არქიტექტორები, ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარების სპეციალისტები	
ლანდშაფტის არქიტექტორები	2162	2141 p	არქიტექტორები, ქალაქდაგეგმარების და სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარების სპეციალისტები	
პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები	2163	3471 p	დეკორატორები და კომერციული დიზაინერები	
ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების მგეგმავები`	2164	2141p	არქიტექტორები, ქალაქდაგეგმარების და სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარების სპეციალისტები	
გეოდეზები, კარტოგრაფები და ტოპოგრაფები	2165	2148	კარტოგრაფები და ტოპოგრაფები	
გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები	2166	3471p 2452 p	დეკორატორები და კომერციული დიზაინერები მოქანდაკეები, მხატვრები და მსგავსი ხელოვანები	კომერციული ხელოვანები
მედიცინის პრაქტიკოსები	2211	2221 p	ექიმები	
მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები	2212	2212 p 2221 p	ფარმაკოლოგები, პათოლოგიის სპეციალისტები და მონათესავე სფეროს პროფესიონალები	ადამიანური პათოლოგიის სპეციალისტები, ჰისტოპათოლოგები, ენდოკრინოლოგები, ნეიროპათლოგები

პროფესიონალი ექთნები	2221	2230 p	საექთნო და სამეანო სფეროს პროფესიონალები	
პროფესიონალი მეანები	2222	2230 p	საექთნო და სამეანო სფეროს პროფესიონალები	
ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები	2230	3229 p 3241 p	თანამედროვე ჯანდაცვასთან ასოცირებული პროფესიონალები (გარდა საექთნო საქმისა), რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას. ტრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები	ჰომეოპათები
პარამედიცინის პრაქტიკოსები	2240	3221 p	ექიმის თანაშემწეები	
ვეტერინარები	2250	2212 p 2223	ფარმაკოლოგები, პათოლოგიის სპეციალისტები და მონათესავე სფეროს პროფესიონალები ვეტერინარები	ცხოველთა და ვეტერინარიული პათოლოგიების სპეციალისტები
სტომატოლოგი	2161	2222	სტომატოლოგი	
ფარმაცევტები	2262	2113 p 2224	ქიმიკოსები ფარმაცევტები	სამრეწველო ფარმაცევტები, ფარმაცევტ-ქიმიკოსები
გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სფეროს პროფესიონალები	2263	2229 p 2412 p 3152 p 3222 p	ჯანდაცვის პროფესიონალები (გარდა საექთნო საქმისა), რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას პერსონალისა და კარიერული პროფესიონალები უსაფრთხოების, ჯანდაცვის და ხარისხის ინსპექტორები	

			სანიტრები	
ფიზიოთერაპევტები	2264	3226 p	ფიზიოთერაპევტები და და ამ სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები	2265	3223	დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები	
აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (ლოგოპედი)	2266	3229 p	თანამედროვე ჯანდაცვასთან ასოციერებული პროფესიონალები (გარდა საექთნო საქმისა), რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას.	
ოფთალმოლოგები, ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები	2267	3224 p 3229 p	ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები თანამედროვე ჯანდაცვასთან ასოციერებული პროფესიონალები (გარდა საექთნო საქმისა), რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას.	ორთოპტისტები

სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი ჯანდაცვის პროფესიონალები	2269	2229 p	ჯანდაცვის პროფესიონალები (გარდა საექთნო საქმისა), რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
		3226 p	ფიზიოთერაპევტები და ამ სფეროსთან ასოცირებული	პოდიატრისტები, ქიროპრაქტიკოსები, რეკრეაციული თერაპევტები
		3229 p	პროფესიონალები	ოკუპაციური თერაპევტები
			თანამედროვე ჯანდაცვასთან ასოცირებული პროფესიონალები (გარდა საექთნო საქმისა), რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას.	
უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები	2310	2310 p	კოლეჯის, უნივერსიტეტის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიონალი მასწავლებლები	
პროფესიული განათლების მასწავლებლები	2320	2310 p	კოლეჯის, უნივერსიტეტის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიონალი მასწავლებლები	
		2320 p	საშუალო განათლების სფეროს პროფესიონალი მასწავლებლები	
საშუალო განათლების სფეროს მასწავლებლები	2330	2320 p	საშუალო განათლების სფეროს პროფესიონალი მასწავლებლები	
დაწყებითი სკოლისა და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები	2341	2331	დაწყებითი განათლების პროფესიონალი მასწავლებლები	
		3310		

			დაწყებით განათლებასთან ასოცირებული პროფესიონალები
სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები	2342	2332 3320	დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიონალი მასწავლებლები სკოლამდელ (ადრეულ) განათლებასთან ასოცირებული პროფესიონალები
მეთოდისტები	2351	2351 2352	განათლების მეთოდიკის სპეციალისტები სკოლის ინსპექტორები
სპეციალური საჭიროებების მქონე მასწავლებლები	2352	2340 3330	სპეციალური საგანმანათლებლო სწავლების პროფესიონალები სპეციალურ საგანმანათლებლო სწავლებასთან ასოცირებული პროფესიონალები
უცხო ენის სხვა მასწავლებლები	2353	2359p 3340p	სხვა ტიპის სწავლების სფეროს პროფესიონალები რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას. სხვა ტიპის სწავლების სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები
მუსიკის მასწავლებლები (კერძო)	2354	2359p	სხვა ტიპის სწავლების სფეროს პროფესიონალები რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა

			კატეგორიას.	
სახვითი და სხვა გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები	2355	2359p 3340p	სხვა ტიპის სწავლების სფეროს პროფესიონალები რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას. სხვა ტიპის სწავლების სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლები	2356	2359p 3340p	სხვა ტიპის სწავლების სფეროს პროფესიონალები რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას. სხვა ტიპის სწავლების სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
მასწავლებლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	2359	2359p 3340p	სხვა ტიპის სწავლების სფეროს პროფესიონალები რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას. სხვა ტიპის სწავლების სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
ბუღალტრები	2411	2411 p	ბუღალტრები	
ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები	2412	2411 p 2419 p 3411 p	ბუღალტრები ბიზნესის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	

			ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსების დილერები და ბროკერები	
ფინანსური ანალიტიკოსები	2413	2419 p	ბიზნესის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
მართვისა და ორგანიზაციის ანალისტიკოსები	2421	2419 p	ბიზნესის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
პოლიტიკის ადმინისტრირების პროფესიონალები	2422	2419 p	ბიზნესის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
პერსონალისა და კარიერული მართვის პროფესიონალები	2423	2412 p	პერსონალისა და კარიერული პროფესიონალები	
სწავლებისა და თანამშრომელთა განვითარების პროფესიონალები	2424	2412 p	პერსონალისა და კარიერული პროფესიონალები	
რეკლამისა და მარკეტინგის პროფესიონალები	2431	2419 p 2451 p	ბიზნესის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას ავტორები, ჟურნალისტები და სხვა მწერლები	სარეკლამო განცხადებების, ბროშურების შემდგენლები/მწერლები
საზოგადოებასთან ურთიერთობების პროფესიონალები	2432	2419 p 2451p	ბიზნესის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას ავტორები, ჟურნალისტები და სხვა მწერლები	საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფილის ავტორები, მწერლები
ტექნიური და სამედიცინო გაყიდვების პროფესიონალები (გარდა ინფორმაიული და საკომუნიკაციების ტექნოლოგიებისა - ICT)	2433	3415p	ტექნიკური და კომერციული გაყიდვების სფეროს წარმომადგენლები	

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გაყიდვების პროფესიონალები	2434	3415p	ტექნიკური და კომერციული გაყიდვების სფეროს წარმომადგენლები
სისტემების ანალიტიკოსები	2511	2131 p	კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები
პროგრამისტი	2512	2131 p	კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები
ინტერნეტ ქსელისა და მულტიმედიის სპეციალისტი	2513	2131 p 2132 p 2139p	კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები კომპიუტერის პროგრამირების სპეციალისტები (პროგრამისტები) კომპიუტერის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
აპლიკაციების პროგრამისტი	2514	2132p	კომპიუტერის პროგრამირების სპეციალისტები (პროგრამისტები)
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები	2519	2131 p 2132 p 2139 p	კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები კომპიუტერის პროგრამირების სპეციალისტები (პროგრამისტები) კომპიუტერის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა

			კატეგორიას	
მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები	2521	2131 p	კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები	
სისტემების ადმინისტრატორები	2522	2131 p	კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები	
კომპიუტერული ქსელის პროფესიონალები	2523	2419 p	კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები	
		2132 p	კომპიუტერის პროგრამირების სპეციალისტები (პროგრამისტები)	კომუნიკაციების პროგრამირების სპეციალისტები (პროგრამისტები)
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი მონაცემთა ბაზისა და ქსელის პროფესიონალები	2529	2139 p	კომპიუტერის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
იურისტები	2611	2441	იურისტები	
მოსამართლეები	2612	2422	მოსამართლეები	
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი სამართლის პროფესიონალები	2619	2429	სამართლის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
არქივარიუსები და კურატორები	2621	2431	არქივისტები და კურატორები	
ბიბლიოთეკარები და მონათესავე პროფესიის პროფესიონალები	2622	2432	ბიბლიოთეკარები და მონათესავე პროფესიის საინფორმაციო სფეროს პროფესიონალები	
ეკონომისტები	2631	2441	ეკონომისტები	
სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიის პროფესიონალები	2632	2442	სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიის პროფესიონალები	
ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები	2633	2443	ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები	

ფსიქოლოგები	2634	2445	ფსიქოლოგები	
სოციალური სამუშაოსა და კონსულტაციების პროფესიონალები	2635	2446	სოციალური სამუშაოს პროფესიონალები	
რელიგიის პროფესიონალები	2636	2460	რელიგიის სფეროს პროფესიონალები	
ავტორები (მწერლები, პოეტები და სხვა)	2641	2451p	ავტორები, ჟურნალისტები და სხვა მწერლები	
ჟურნალისტები	2642	2451 p	ავტორები, ჟურნალისტები და სხვა მწერლები	
		3472 p	რადიოს, ტელევიზიის და სხვა ამყვანები	მედიის სფეროს ინტერვიუერები
მთარგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები	2643	2444	ფილოლოგები, თარჯიმნები და სხვა მთარგმნელები	
სახვითი ხელოვნების არტისტები	2651	2452 p	მოქანდაკეები, მხატვრები და მონათესავე სფეროს პროფესიონალები	
მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები	2652	2453	კომპოზიტორები, მუსიკოსები და მომღერლები	
		3473 p	ქუჩის, ღამის კლუბის და მათთან დაკავშირებული მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები	
მოცეკვავეები და ქორეოგრაფები	2653	2454	ქორეოგრაფები და მოცეკვავეები	
		3473 p	ქუჩის, ღამის კლუბის და მათთან დაკავშირებული მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები	
ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროს რეჟისორები და პროდუსერები	2654	1229 p	წარმოებისა და საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	

		2455 p	ფილმის, თეატრის და მონათესავე სფეროს მსახიობები და რეჟისორები	
მსახიობები	2655	2455 p	ფილმის, თეატრის და მონათესავე სფეროს მსახიობები და რეჟისორები	
რადიო-, ტელე- და სხვა მედია საშუალებების წამყვანები	2656	3472 p	რადიოს, ტელევიზიის და სხვა წამყვანები	
სხვა კატეგორიას მიუკუთვნებელი შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები	2659	3474 p	მასხარები, ჯადოსნები, აკრობატები და სხვა, ასოცირებული პროფესიონალები	
ქიმიისა და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები	3111	3111	ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები	
სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსები	3112	3112 p	სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსები	
ელექტროინჟინერიის ტექნიკოსები	3113	3113 p	ელექტრო-საინჟინრო ტექნიკოსები	
ელექტრონული ინჟინერიის ტექნიკოსები	3114	3114 p	ელექტრონული ინჟინერიის ტექნიკოსები	
		3522	ტელეკომუნიკაციების ინჟინერ-ტექნიკოსები	
მექანიზირებული ინჟინერიის ტექნიკოსები	3115	3115 p	მექანიკური ინჟინერიის ტექნიკოსები	
ქიმიური ინჟინერიის ტექნიკოსები	3116	3116	ქიმიური ინჟინერიის ტექნიკოსები	
		3133 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები	ქიმიური პროცესის ტექნიკოსები
სამთომოპოვებისა და მეტალურგიის ტექნიკოსები	3117	3117 p	სამთომოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკოსები	
დამპროექტებლები	3118	3118	მხაზველები	

ფიზიკურ და საინჟინრო მეცნიერებათა ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	3119	3119	ფიზიკურ და საინჟინრო მეცნიერებათა ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში დამხმარე პირები		3512	საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მომხმარებლის დახმარების ტექნიკოსები	
		3513	კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები	
		3514	ინტერნეტ-ტექნიკოსები	
კომპიუტერული მოწყობილობების ოპერატორები	3122	3511	საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები	
სამრეწველო რობოტის კონტროლიორები		3139 p	პროცესის მაკონტროლებელი ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
ფოტოგრაფები და გამოსახულების და ხმის ჩამწერი აპარატურის ოპერატორები		3431	ფოტოგრაფები	
		3521 p	მაუწყებლობისა და აუდიო-ვიზუალის ტექნიკოსები	
მაუწყებლობის და ტელეკომუნიკაციების ტექნიკოსები	3132	3521 p	მაუწყებლობისა და აუდიო-ვიზუალის ტექნიკოსები	
		3522	ტელეკომუნიკაციების ინჟინერ-ტექნიკოსები	ტელეკომუნიკაციების აპარატურის ოპერატორები
სამედიცინო აპარატურის ოპერატორები	3133	3211	რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის ტექნიკოსები	
გემის ინჟინრები	3141	3151	გემის ინჟინრები	

გემის ოფიცრები და პილოტები	3142	3152	გემის ოფიცრები და პილოტები	
საჰაერო ხომალდის პილოტები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები	3143	3153 p	ხომალდის პილოტები და მონათესავე პროფესიის პროფესიონალები	
საჰაერო მიმოსვლის კონტროლიორები	3144	3154	საჰაერო მოძრაობის მაკონტროლებელი პირები	
საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების ელექტროტექნიკოსები	3145	3155	საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროს ელექტრო-ტექნიკოსები	
შენობის და სახანძრო ინსპექტორები	3151	3112 p	სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსები	
		3119 p	ფიზიკურ და საინჟინრომეცნიერებათა ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	სახანძრო გამომძიებლები
უსაფრთხოების, ჯანდაცვის და ხარისხის ინსპექტორები	3152	2263 p	გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სფეროს პროფესიონალები	
		3113 p	ელექტრო-საინჟინრო ტექნიკოსები	ხარისხის ინსპექტორები (ელექტრო -პროდუქტები)
		3114 p	ელექტრონული მოწყობილობების ინჟინერ-ტექნიკოსები	ხარისხის ინსპექტორები (ელექტრონიკის პროდუქტები)
		3115 p	მექანიკური ინჟინერიის ტექნიკოსები	სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტორები, მექანიკური პროდუქტების ხარისხის და უსაფრთხოების ინსპექტორები
		3117 p	სამთომოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკოსები	წიაღისეულის უსაფრთხოების ინსპექტორები
		3227 p	გარემოსა და	

		7543	პროფესიული ჯანდაცვის სფეროსინსპექტორები და ასოცირებული პირები პროდუქციის შემფასებლები და შემმოწმებლები (საკვებისა და სასმლის გარდა)	პროდუქტის ხარისხის ინსპექტორები. შენიშვნა: ISCO -88 -ში ზოგიერთი პროდუქტის შემმოწმებლები თავად პროდუქტის შემქმნელი მუშაკების კატეგორიაში აღინუსხებოდნენ
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების სფეროს ტექნიკოსები (სამედიცინო სფეროს გარდა)	3211	3141 3212	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების სფეროს ტექნიკოსები სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის ტექნიკოსები	
აგრონომიის და მეტყევეობის სფეროს ტექნიკოსები	3212	3142 3143	სოფლის მეურნეობის სფეროს ტექნიკოსები მეტყევეობის სფეროს ტექნიკოსები	
ფერმერობისა და თევზჭერის კონსულტანტები	3213	2132 p	ფერმერობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მრჩევლები	
ექიმის თანაშემწეები	3213	2240 3253 3256	პარამედიცინის პრაქტიკოსები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროსმუშაკები სამედიცინო სფეროს დამხმარე პირები	
სანიტრები	3222	2263 p 3257 p	გარემოს, პროფესიული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სფეროს პროფესიონალები გარემოსა და	

			პროფესიული ჯანდაცვის სფეროსინსპექტორები და ასოცირებული პირები	
დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები	3223	2265	დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები	
ფიზიოთერაპევტები და ამ სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	3226	2264	ფიზიოთერაპევტები	
		2269 p	ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	პოდიატრისტები, ქიროპრაქტიკოსები, რეკრეაციული თერაპევტები
		3214 p	სამედიცინო და სტომატოლოგიური პროთეზის ტექნიკოსები	პროთეზის ტექნიკოსები, პროთეზის მომრგებები
		3255	ფიზიოთერაპიის სფეროს ტექნიკოსები და ასისტენტები	
ვეტერინარის თანაშემწეები	3227	3240	ვეტერინარიის სფეროს ტექნიკოსები და დამხმარე პერსონალი	
ფარმაცევტის თანაშემწეები	3228	3213	ფარმაცევტ-ტექნიკოსები და ასისტენტები	
თანამედროვე ჯანდაცვასთან ასოციერებული პროფესიონალები (გარდა საექთნო საქმისა), რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	3229	2230 p	ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები	ჰომეოპათები
		2266	აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (ლოგოპედი)	
		2267 p	ოპტომეტრისტები და თვალის ოპტიკოსები	ორთოპტისტები
		2269 p	ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა	ოკუპაციური თერაპევტები

		3259	კატეგორიას ჯანდაცვის სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
საექთნო სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	3231	3221 p	საექთნო სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები
სამეანე სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	3232	3222 p	სამეანე სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები
ტრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები	3241	2230 p	ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის პროფესიონალები
		3230 p	ტრადიციული და არატრადიციული სამედიცინო სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები
რწმენით მკურნალები	3242	3413 p	რელიგიური სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები
დაწყებით განათლებასთან ასოცირებული პროფესიონალები	3310	2341 p	დაწყებითი სკოლის მასწავლებლები
სკოლამდელ (ადრეულ) განათლებასთან ასოცირებული პროფესიონალები	3320	2342 p	დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები
სპეციალურ საგანმანათლებლო სწავლებასთან ასოცირებული პროფესიონალები	3330	2352 p	სპეციალური საჭიროებების მქონე მასწავლებლები
სხვა ტიპის სწავლების სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	3340	2353 p	ენის სხვა მასწავლებლები
		2355 p	ხელოვნების სხვა

			მასწავლებლები	
		2356 p	საინფორმაციო ტექნოლოგიების ტრენერები	
		2359 p	მასწავლებლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
		3153 p	ხომალდის პილოტები და მონათესავე პროფესიის	ფრენის ინსტრუქტორები
		3423 p	პროფესიონალები	საწყლო ტრანსპორტის მართვის
		5165	ფიტნეს და რეკრეაციული ინსტრუქტორები და პროგრამის ხელმძღვანელები	ინსტრუქტორები წყალქვეშა ყვინთვის ინსტრუქტორები
			სატრანსპორტო საშუალებების მართვის ინსტრუქტორები	
ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსების დილერები და ბროკერები	3411	2412 p	ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები	
		3311	ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსების დილერები და ბროკერები	
სადაზღვევო აგენტები	3412	3321	სადაზღვევო აგენტები	
ქონების აგენტები	3413	3324	უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები	
მოგზაურობის კონსულტანტები და ორგანიზატორები	3414	3339 p	კომერციული მომსახურებების აგენტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	ტურ-ოპერატორები
		4221 p	მოგზაურობის	

			კონსულტანტები და კლერკები	
ტექნიკური და კომერციული გაყიდვების სფეროს წარმომადგენლები	3415	2433	ტექნიური და სამედიცინო გაყიდვების სფეროს პროფესიონალები (საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების (ICT) გარდა)	
		2434	საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების (ICT) გაყიდვების სფეროს პროფესიონალები	
		3322	კომერციული გაყიდვების აგენტები	
მყიდველები (ბაიერები)	3416	3323	მყიდველები	
შემფასებლები და აუქციონერები	3417	3315	შემფასებლები და სადაზღვევო ზარალის შემფასებლები	
		3339 p	კომერციული მომსახურებების აგენტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	აუქციონერები
ფინანსებთან და ყიდვა-გაყიდვასთან ასოცირებული პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	3419	3312	საკრედიტო და სასესხო ოფიცრები	მიუხედავად იმისა, რომ ISCO -08 3312, ISCO -88 3419 -ისთვის მითითებული ერთადერთი კორესპონდენტია, სხვა შესაძლებლობების განხილვაც დასაშვებია მაგ. 2413, რადგან 3419 არის ნარჩენი ჯგუფი
კომერციული მომსახურების აგენტები	3421	3324	კომერციული მომსახურების აგენტები	

კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები	3422	3331	კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები	
ფიტნეს და რეკრეაციული ინსტრუქტორები და პროგრამის ხელმძღვანელები	3423	3333p	დასაქმების აგენტები და კონტრაქტორები	
კომერციული მომსახურებების აგენტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	3429	3339 p	კომერციული მომსახურებების აგენტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	ლიტერატურული, მუსიკალური, სპორტული და თეატრალური აგენტები
ფოტოგრაფი	3431	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		3342 p	მდივნები ურიდიულ საკითხებში	
		3343 p	ადმინისტრაციული და აღმასრულებელი მდივნები	
		3344 p	მდივნები სამედიცინო საკითხებში	
ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები	3432	3411	სამართლისა და მონათესავე სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები	3433	3313 p	საბუღალტრო სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
შეფმზარეულები	3434	3313 p	საბუღალტრო სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	საბუღალტრო აღრიცხვის ასისტენტები
		3314	სტატისტიკის, მათემატიკისა და მონათესავე სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
ადმინისტრაციული ასოცირებული პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	3439	3332	კონფერენციებისა და ღონისძიებების მგეგმავები	
		3341 p	ოფისის	ოფისის მენეჯერები,

			ზედამხედველები	ოფისის ადმინისტრატორები, კლერიკალური ზედამხედველები
		3343 p	ადმინისტრაციული და აღმასრულებელი მდივნები	აღმასრულებელი მდივნები მთავრობის დეპარტამენტის უფროსებისთვის და ოფიციალური კომიტეტებისთვის
		3359 p	მთავრობის რეგულირების სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	ადმინისტრაციული საკონსულო თანამდებობის პირები.
		3433 p	გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები	ბიბლიოთეკის მუშაკები.
საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები	3441	3351	საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები	
საგადასახადო და სააქციზო სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები	3442	3352	საგადასახადო და სააქციზო სფეროს მთავრობის თანამდებობის პირები	
მთავრობის თანამდებობის პირები სოციალური უზრუნველყოფის სფეროში	3443	3353	მთავრობის თანამდებობის პირები სოციალური უზრუნველყოფის სფეროში	
მთავრობის თანამდებობის პირები ლიცენზირების სფეროში	1311	3354	მთავრობის თანამდებობის პირები ლიცენზირების სფეროში	
სასაზღვრო, საგადასახადო და მონათესავე სფეროს მთავრობის ასოცირებული პროფესიონალები	3449	3359 p	მთავრობის რეგულირების სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები, რომლებიც	

			მიეკუთვნებიან სხ კატეგორიას	
პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები	3450	3355	პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები	
		3411	სამართლისა და მონათესავე სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	კერძო გამომძიებლები და დეტექტივები, მაღაზიის დეტექტივები
სოციალური საქმიანობის სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	3460	3412	სოციალური საქმიანობის სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები	3471	2163	პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები	
		2166 p	გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები	
		3432	ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები	
		3433 p	გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები	მუზეუმისა და გალერეის მუშაკები
		3435 p	ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სხვა ასოცირებული პროფესიონალები	ტატუს სპეციალისტები, სხეულის მხატვრები
რადიო-, ტელე- და სხვა მედია საშუალებების წამყვანები	3472	2642	ჟურნალისტები	მედია ინტერვიურები
		2656	რადიო-, ტელე- და სხვა მედია საშუალებების წამყვანები	
ქუჩის, ღამის კლუბისა და მონათესავე სფეროს მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები	3473	2652 p	მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები	
		2653 p	მოცეკვავეები და ქორეოგრაფები	
კლოუნები, ჯადოქრები, აკრობატები და	3474	2659	შემოქმედებითი და	

მონათესავე ასოცირებული პროფესიონალები			შემსრულებელი არტისტები, რომლებიც სხვა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან	
		3435	სხვა არტისტული და კულტურული ასოცირებული პროფესიონალები	საშიში ილეთების კოორდინატორები, ბაწარზე მოსიარულეები და ISCO -08 3435-ში ჩამოთვლილი რიგი სხვა შემსრულებელი არტისტებისა, შესაძლებელია კატეგორიზდეს ISCO -88 3474-ში.
ათლეტები, სპორტსმენები და მონათესავე სფეროების ასოცირებული პროფესიონალები	3475	3421 p	ათლეტები და სპორტული მოთამაშეები	
		3422	სპორტული მწვრთნელები, ინსტრუქტორები და თანამდებობის პირები	
		3423 p	ფიტნეს და რეკრეაციული ინსტრუქტორები და პროგრამის ხელმძღვანელები	
რელიგიური სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	3480	3413 p	რელიგიური სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	
სტენოგრაფისტები და მბეჭდავები	4111	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		4131	მბეჭდავები და ტექსტების სარედაქციო დამუშავების ოპერატორები	
ტექსტების დამუშავებისა და მონათესავე სფეროების ოპერატორები	4112	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		4131 p	მბეჭდავები და ტექსტების სარედაქციო დამუშავების	

			ოპერატორები	
მონაცემების ელექტრონული აღრიცხვის ოპერატორი	4113	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		4132 p	მონაცემების ელექტრონული აღრიცხვის კლერკები	
საანგარიშო მანქანის ოპერატორები	4114	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		4132 p	მონაცემების ელექტრონული აღრიცხვის კლერკები	
მდივნები	4115	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		3342 p	მდივნები სამართლებრივ საკითხებში	
		3344 p	მდივნები სამედიცინო საკითხებში	
		4120	მდივნები (ზოგადი)	
საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სფეროს მუშაკები	4121	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		4311	საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სფეროს მუშაკები	
		4313	სამუშაოს ანაზღაურების სფეროს მუშაკები	
სტატისტიკისა და ფინანსების სფეროს მუშაკები	4121	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		4312 p	სტატისტიკის, ფინანსებისა და დაზღვევის სფეროს მუშაკები	განიხილეთ ISCO-88 3432 ეროვნულ კონტექსტში, რომელშიც ISCO-88 ინდექსი მოიცავს ბროკერის ასისტენტებს და სადაზღვევო მოთხოვნის, მოწესრიგებისა და

				პოლიტიკის სფეროს ასისტენტებს
მბეჭდავ-რედაქტორები	4131	3341 p 4321	ოფისის ზედამხედველები საფონდო ბირჟის მუშაკები	
მონაცემთან ბაზების ოპერატორები	4132	3341 4322	p ოფისის ზედამხედველები წარმოების სფეროს მუშაკები	
ტრანსპორტირების სფეროს მუშაკები	4133	3341 p 4323	ოფისის ზედამხედველები ტრანსპორტირების სფეროს მუშაკები	
ფოსტალიონები და ფოსტის დამხარისხებლები	4142	3341 p 4412	ოფისის ზედამხედველები ფოსტალიონები და ფოსტის დამხარისხებლები	
კოდების მიმნიჭებლები, კორექტორები და მონთესავე პროფესიის მუშაკები	4143	3252 3341 p 4413	სამედიცინო ისტორიისა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სფეროს ტექნიკოსები ოფისის ზედამხედველები კოდების მიმნიჭებლები, კორექტორები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	
გადამწერები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	4144	4414	გადამწერები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	
სხვა ოფისის სფეროს მუშაკები	4190	3341 p 4110 4227	ოფისის ზედამხედველები ოფისის მუშაკები გამოკითხვისა და ბაზრის კვლების სფეროს	

			ინტერვიუერები	
		4416	პერსონალთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე მუშაკები	
		4419	ოფისის დამხმარე მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
ბანკის მოლარეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები	4211	4211 p	ბანკის მოლარეები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	ბანკის მოლარეები
		4212 p	სპორტული ტოტალიზატორის ოპერატორები (ბუკმეიკერები), კრუპიეები და მონათესავე პროფესიის სათამაშო სფეროს მუშაკები	მუშაკები, ბუკმეიკინგის კოდი მოიაზრება 4211 ISCO-88 ინდექსში.
		5230	მოლარეები და ბილეთების გამყიდველები	
მოლარეები და სხვა მოანგარიშე მუშაკები	4212	4211 p	ბანკის მოლარეები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	შენიშვნა: ISCO-88 ინდექსის კოდირებული ასისტენტი ბანკთან მოიაზრება ნომრით 3432: სამართლის და მისი მონათესავე სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები.
მევახშეები და ფულის გამსესხებლები	4213	4212 p	ბუკმეიკერები, კრუპიეები და მონათესავე პროფესიის სათამაშო სფეროს მუშაკები	
ვალის ამკრეფები და სხვა მონათესავე პროფესიის სპეციალისტები	4214	4213	მელომბარდეები და თანხის გამსესხებლები	
მოგზაურობის კონსულტანტები და სპეციალისტები	4221	4221	მოგზაურობის კონსულტანტები და მუშაკები	
საკონტქტო ცენტრის საინფორმაციო	4222	3341 p	ოფისის	

მუშაკი			ზედამხედველები	
		4222	საკონტაქტო ცენტრის საინფორმაციო მუშაკები	
		4224	სასტუმროს მიმღების ოპერატორები	
		4225	განაცხადის ფორმებზე მომუშავე მუშაკები	
		4226	მიმღების ოპერატორები (ზოგადი)	
		4229	მომხმარებლის ინფორმირების სფეროს მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
სატელეფონო მომსახურების ოპერატორები	4223	3341 p	ოფისის ზედამხედველები	
		4223	სატელეფონო კომუტატორის ოპერატორები	
ბორტ-გამცილებლები და სტიუარდები	5111	4221	მოგზაურობის კონსულტანტები და მუშაკები	აეროპორტში რეგისტრაციის განმახორციელებელი გამცილებლები
		5111	ბორტ-გამცილებლები და სტიუარდები	
ტრანსპორტის კონდუქტორები	5112	5112	ტრანსპორტის კონდუქტორები	
გიდები	5113	5113	გიდები	
შინამოსამსახურეები და მონათესავე სფეროს მუშაკები	5121	5151	ოფისებში, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში დასუფთავებისა და დალაგების საკითხების ზედამხედველები	
		5152	შინამოსამსახურეები	
მზარეულები	5122	3434	შეფ-მზარეულები	
		5120	მზარეულები	
		9411	სწრაფი კვების	

			მომზადების სპეციალისტები	
მიმტანები და ბარმენები	5123	5131	მიმტანები	
		5132	ბარმენები	
ბავშვის მომვლელები	5131	5311	ბავშვის მომვლელები	
		5312	დამხმარე მასწავლებლები	
ინსტიტუტებში დასაქმებული მზრუნველი მუშაკების პერსონალი	5132	3258	სასწრაფო დახმარების მუშაკები	
		5321	ჯანდაცვის სფეროსდამხმარე პერსონალი	
		5329	ჯანდაცვის სფეროს ინდივიდუალური მომვლელები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	საავადმყოფოს სანიტარი, სამედიცინო აპარატების გამოყენების საკითხებში თანაშემწეები, სტომატოლოგის თანაშემწეები
სახლში მომუშავე ინდივიდუალური მომვლელები	5133	5322	სახლში მომუშავე ინდივიდუალური მომვლელები	
ჯანმრთელობის მომსახურების სფეროს ინდივიდუალური მომვლელები, და მონათესავე სფეროს მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	5139	5164	ცხოველების მომთვინიერებლები და მომვლელები	ვეტერინარის დამხმარეები
		5329	ჯანმრთელობის მომსახურების სფეროს ინდივიდუალური მომვლელები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
სტილისტები, სილამაზის სალონისა და მსგავსი ტიპის დაწესებულების მუშაკები	5141	5141	სტილისტები	
		5142	სილამაზის სალონისა და მსგავსი ტიპის დაწესებულების მუშაკები	
კომპანიონები და კამერდინერები	5142	5162	კომპანიონები და კამერდინერები	
დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები და მებალზამეები	5143	5163	დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები და	

			მეზალზამეები	
ინდივიდუალური მომსახურებების სფეროს მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	5149	5169	ინდივიდუალური მომსახურებების სფეროს მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
ასტროლოგები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	5151	5161 p	ასტროლოგები, წინასწარმეტყველები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	
წინასწარმეტყველები, ნათელმხილველები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	5152	5161 p	ასტროლოგები, წინასწარმეტყველები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	
მეხანძრეები	5161	5411	მეხანძრეები	
პოლიციის ოფიცრები	5162	5412	პოლიციის ოფიცრები	
ციხის მცველები	5163	5413	ციხის მცველები	
დაცვის სამსახურის მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	5169	5414 p	უსაფრთოხების სამსახურის დაცვის მუშაკები	
		5419	დაცვის სამსახურის მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
მოდისა და სხვა მოდელები	5210	5241	მოდისა და სხვა მოდელები	
მაღაზიის გაყიდვების მუშაკები და გაყიდვების აქციების წარმომადგენლები	5220	2221	მაღაზიის ზედამხედველები	
		5223	მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები	
		5242	გაყიდვების აქციების წარმომადგენლები	
		5245	მომსახურების პუნქტის მუშაკები	
		5246	სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი	
		5249	გაყიდვების სფეროს მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	დაქირავებული გაყიდვების მუშაკები

ჯიხურისა და ბაზრის გამყიდველები	5230	5211	ჯიხურისა და ბაზრის გამყიდველები	
		5246	სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი	
მემინდვრეები და მებოსტნეები	6111	6111	მემინდვრეები და მებოსტნეები	
ხეხილისა და კენკროვანი კულტურები მწარმოებლები	6112	6112	ხეხილისა და კენკროვანი კულტურები მწარმოებლები	
მებაღეები; სანერგეების სხვა მუშაკები	6113	6113 p	მებაღეები; სანერგეების სხვა მუშაკები	
		2412	ბაღისა და ჰორტიკულტურული მუშაკები	მიუხედავად იმისა, რომ ბაღის მუშაკები ლოგიკურად უნდა კლასიფიცირდნენ ISCO-88 9211-ში, ისინი აღნიშნული დეფინიციით ან ინდექსით არ განიმარტებიან. სავარაუდოა, რომ ბაღისა და ჰორტიკულტურული ცალკეული მუშაკები, რომლებიც კლასიფიცირებულნი არიან ISCO-08 9214-ში, კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ ეროვნულ კონტექსტში ISCO-88 6113-ში.
შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები	6114	6114 p	შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები	
რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები	6121	6121 p	რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები	
მეფრინველეები	6122	6122 p	მეფრინველეები	
მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები	6123	6123 p	მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები	

შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები	6124	6121 p	რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები	
		6122 p	ᲰᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲔᲑᲘ	
		6123 p	ᲰᲔᲤᲣᲢᲙᲠᲔᲔᲑᲘ და მეაბრეშუმეები	
ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე სფეროს მუშები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	2310	5164	ცხოველების მომთვინიერებლები და მომვლელები	
		6129	მეცხოველეები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები	6130	1311 p	სოფლისმეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობის და მეთევზეობის	
		6130	მენეჯერები ბაზარზე ორიენტირებული მარცვლეული და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები	
მეტყევეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები	6210	6210 p	საშუალო განათლების სფეროს პროფესიონალი მასწავლებლები	
წყლის მცენარეების და ცხოველების მოშენებით დაკავებული მუშაკები	6151	6221 p	წყლის მცენარეების და ცხოველების მოშენებით დაკავებული მუშაკები	
შიდა და სანაპირო წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები	6152	6222 p	შიდა და სანაპირო წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები	
		7541 p	აკვალანგისტები	ზღვის ღრუბლების, მარგალიტების და სხვა საზღვაო პროდუქტების შემგროვებელი მყვინთავები
ღრმა წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები	6153	6223 p	ღრმა წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები	
მონადირეები და ტრაპერები	6154	6224	მონადირეები და ტრაპერები	
საარსებო მინიმუმზე მომუშავესასოფლო-	6210	6310	საარსებო მინიმუმზე	

სამეურნეო კულტურებისა და მესაქონლე ფერმერები			მომუშავესასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი ფერმერები
		6320	საარსებო მინიმუმზე მომუშავემესაქონლე ფერმერები
საარსებო მინიმუმზე მომუშავესასოფლო-სამეურნეო მუშაკები და მეთევზეები		6330	საარსებო მინიმუმზე მომუშავესასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი და მესაქონლე ფერმერები
		6340	საარსებო მინიმუმზე მომუშავემეთევზეები, მონადირეები, ბეწვიან ცხოველებზე ხაფანგით მონადირეები (ტრაპერები) და შემგროვებლები
მაღაროს და კარიერის მუშები	7111	3121	სამთომოპოვების ზედამხედველები
		8111 p	მაღაროსა და კარიერის მუშები
ამფეთქებლები	7112	7552	ამფეთქებლები
ქვის მტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები	7113	7113 p	ქვის მტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები
სახლების მშენებლები, ტრადიციული მასალები	7121	7111 p	სახლის მშენებლები
კალატოზები და ქვისმტეხავები	7122	7112	კალატოზები და მონათესავე პროფესიის მუშები
		7113p	ქვის მტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები
ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე პროფესიების მუშები	7122	7114	ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე პროფესიების მუშები
ხუროები და დურგლები	7124	7115	ხუროები და დურგლები
შენობის ჩარჩოს მშენებლები და მონათესავე პროფესიის მუშები, რომლებიც	7129	3123 p	მშენებლობის ზედამხედველები

არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას			
		7111 p	სახლების მშენებლები
		7119	შენობის ჩარჩოს მშენებლები და მონათესავე პროფესიის მუშები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
მხურავები	7131	7121	მხურავები
იატაკისა და ფილების დამგებები	7132	7122	იატაკისა და ფილების დამგებები
მებათქაშეები	7133	7123	მებათქაშეები
საიზოლაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები	7134	7124	საიზოლაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები
მეშუშეები	7135	7125	მეშუშეები
წყალგაყვანილობისა და მილგამყვანილობის ოსტატები	7136	7126	წყალგაყვანილობისა და მილგამყვანილობის ოსტატები
შენობისა და მსგავსი ნაგებობების ელექტრიკოსები	7137	7411	შენობისა და მსგავსი ნაგებობების ელექტრიკოსები
მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები	7141	7131	მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები
მლაქავები და მონათესავე პროფესიის მხატვრები	7142	7132	აეროზოლით მღებავები და მლაქავები
შენობება-ნაგებობების ზედაპირის მწმენდავები	7143	7133	შენობება-ნაგებობების ზედაპირის მწმენდავები
		7544	მავნებლებთან მებრძოლები და სარეველების გამანადგურებლები
ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები	7211	7211 p	ლითონის მეყალიბეები დამეკოპეები
შემდუღებლები და აირით მჭრელები	7212	7212	შემდუღებლები და აირით მჭრელები
მვალცავები	7213	7213	მვალცავები
კონსტრუქციული ლითონის დამამზადებელი მუშები და მემონტაჟეები	7214	7214	კონსტრუქციული ლითონის დამამზადებელი მუშები და მემონტაჟეები
მეტაკელაჟეები და მეკაბელე-მრჩილავები	7215	7215	მეტაკელაჟეები და მეკაბელე-მრჩილავები
აკვალანგები	7216	7541	p აკვალანგები
მჭედლები, უროებზე და წნეხებზე	7221	7221	მჭედლები, უროებზე და

მჭედლები			წნეხებზე მჭედლები	
ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები	7222	7222	ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები	
ლითონის მეჩარხეები და ამწყობი ოპერატორები	7223	7223 p	ლითონის მეჩარხეები და ამწყობი ოპერატორები	
		7319 p	ხელოსნები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	ლითონის სათამაშოების მკეთებელნი
ლითონის მხეხავები, გამპრიალებლები და ინსტრუმენტების მლესავები	7224	7224	ლითონის მხეხავები, გამპრიალებლები და ინსტრუმენტების მლესავები	
ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები	7231	7231	ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები	
		7234	ველოსიპედისა და მსგავსი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების შემკეთებლები	
საავიაციო ძრავების მექანიკოსები და ამწყობები	7232	7232	საავიაციო ძრავების მექანიკოსები და ამწყობები	
სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები	7233	7127	კონდიცირებისა და გაგრილების სისტემის მექანიკოსები	
		7233	სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები	
ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და ამწყობები	7241	7412	ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და ამწყობები	
ელექტრული მოწყობილობის ამწყობები	7242	7421 p	ელექტრული მოწყობილობებისა მექანიკოსები და შემკეთებლები	

		7422 p	საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მემონტაჟეები და შემკეთებლები
ელექტრული მოწყობილობების მექანიკოსები და შემკეთებლები	7243	7421 p	ელექტრული მოწყობილობების მექანიკოსები და შემკეთებლები
		7422 p	საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მემონტაჟეები და შემკეთებლები
ტელეგრაფისა და ტელეფონის მემონტაჟეები და შემკეთებლები	7244	7422 p	საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მემონტაჟეები და შემკეთებლები
ელექტრონილი ხაზის მემონტაჟეები, შემკეთებლები და კაბელის მიმყვანები	7245	7413	ელექტრონული ხაზის მემონტაჟეები და შემკეთებლები
		7422 p	საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მემონტაჟეები და შემკეთებლები
სიზუსტის განმსაზღვრელი ინსტრუმენტების დამამზადებლები და შემკეთებლები	7311	3214 p	სამედიცინო და სტომატოლოგიური პროთეზის ტექნიკოსები
		7311	სიზუსტის განმსაზღვრელი ინსტრუმენტების დამამზადებლები და შემკეთებლები
მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებლები და ამწყობები	7312	7312	მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებლები და ამწყობები
საიუველირო ნაკეთობებისა და ძვირფასი ლითონებისა და ქვების ოსტატი	7313	7313	საიუველირო ნაკეთობებისა და ძვირფასი ლითონებისა

			და ქვების ოსტატი	
აბრაზური ხელსაწყოს მუშაკები, მეთუნუქეები და მონათესავე პროფესიის მუშები	7321	7314	მეთუნუქეები და მონათესავე პროფესიის მუშები	
მეშუშეები, მეჩუქურთმეები, მლესავები და მლაქავები	7322	7315	მეშუშეები, მეჩუქურთმეები, მლესავები და მლაქავები	
		7549	ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	ლინზის გამპრიალებლები, დამფქვავები, მოულდერები და მკეპავები
მინის გრავიორები და გრავერები	7323	7316 p	პოსტერებისა და დეკორატიული ხატვის ოსტატები, გრავიორები და გრავერები	
მინის. კერამიკისა და მონათესავე სფეროების დეკორატიული მხატვრები	7324	7316 p	პოსტერებისა და დეკორატიული ხატვის ოსტატები, გრავიორები და გრავერები	
ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები	7332	7318 p	ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები	
კომპოზიტორები, ხმისჩამწერები და მონათესავე სფეროების მუშაკები	7341	7321 p	მასალის დასაბეჭდად მომზადების ტექნიკოსები	
		7322 p	მბეჭდავები	პრინტერები, ამოსაბეჭდი საშუალებები
სტერეოჩამწერები და ელექტროჩამწერები	7342	7321 p	მასალის დასაბეჭდად მომზადების ტექნიკოსები	
მბეჭდავი გრავიორები და გრავერები	7343	7321 p	მასალის დასაბეჭდად მომზადების ტექნიკოსები	
ფოტოგრაფები და მონათესავე სფეროს მუშაკები	7344	8132 p	ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანების ოპერატორები	
მკინძავები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	7345	7323 p	მკინძავები	
აბრეშუმზე, ბლოკსა და ტექსტილზე მბეჭდავები	7346	7322 p	მბეჭდავები	
ხორცის, თევზისა და მსგავსი კვების პროდუქტების მწარმოებელი მუშაკები	7411	7511	ხორცის, თევზისა და მსგავსი კვების პროდუქტების მწარმოებელი მუშაკები	
მცხობელები, კონდიტერები და	7412	7512	მცხობელები,	

ტკბილეულის დამამზადებლები			კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	
რძის პროდუქტების დამამზადებლები	7413	7513	რძის პროდუქტების დამამზადებლები	
ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები	7414	7514	ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები	
კვების პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები	7415	7515	კვების პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები	
თამბაქოს დამამზადებლები და თამბაქოს პროდუქციის მწარმოებლები	7416	7516	თამბაქოს დამამზადებლები და თამბაქოს პროდუქციის მწარმოებლები	
ხის დამამუშავებლები	7421	7521 p	ხის დამამუშავებლები	
მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	7422	7522	მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	
ხის დამამუშავებელი დაზგების ამწყობები და ოპერატორები	7423	7523 p	ხის დამამუშავებელი დაზგების ამწყობები და ოპერატორები	
მოწნულ ნაწარმზე, ფუნჯის მკეთებელი და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები	7424	7317 p	ხეზე, მოწნულ ნაწარმზე და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები	
ფიბრეს დამამზადებლები	7431	7318 p	ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები	
მკერავები, მქსოველები და მონათესავე სფეროს მუშაკები	7432	7318 p	ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები	
		8152 p	საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები	საკერავი და საქსოვი მანქანების ამწყობები
მკერავები, ბეწვზე მომუშავე ოსტატები და მექუდეები	7433	7531 p	მკერავები, ბეწვზე მომუშავე ოსტატები და მექუდეები	
მკერავები და მონათესავე სფეროს მუშაკები	7434	7531 p	მკერავები, ბეწვზე მომუშავე ოსტატები და მექუდეები	
ტექსტილის, ტყავის და მონათესავე ნაწარმზე შემქმნელები და მჭრელები	7435	7532	ტანსაცმლისა და მსგავსი მასალების კონსტრუქტორები და	

			მოდელიორები	
მკერავები, მქარგველები და მსგავსი პროფესიის მუშები	7436	7533	მკერავები, მქარგველები და მსგავსი პროფესიის მუშები	
მომფარდაგებლები და მსგავსი პროფესიის მუშები	7437	7534	მომფარდაგებლები და მსგავსი პროფესიის მუშები	
ტყავზე და ბეწვზე მომუშავე ოსტატები	7441	7535	ტყავზე და ბეწვზე მომუშავე ოსტატები	
ფეხსაცმელსა და მსგავსნაწარმზე მომუშავე მუშები	7442	7536	ფეხსაცმელსა და მსგავსნაწარმზე მომუშავე მუშები	
მაღაროს და კარიერის მუშები	8111	3121 8111 p	სამთომოპოვების ზედამხედველები მაღაროს და კარიერის მუშები	
მადნისა და ქვის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები	8112	8112	მადნისა და ქვის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები	
ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე პროფესიების მუშები	8113	8113	ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე პროფესიების მუშები	
მადანისა და ლითონის დამუშავების დანადგარების ოპერატორები	8121	3135 p 8121 p	ლითონის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები ლითონის დამუშავების დანადგარების ოპერატორები	
ლითონის მდნობი, გადამზიდი ოპერატორები	8122	3135 p 8121 p	ლითონის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები ლითონის დამუშავების დანადგარების ოპერატორები	
ლითონის გადამუშავების ოპერატორები	8123	3135 p 8121 p	ლითონის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები ლითონის დამუშავების	

			დანადგარების ოპერატორები
ლითონის კარადების დამამზადებლები და ექსტრუდორები	8124	3135 p	ლითონის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები
		8121 p	ლითონის დამუშავების დანადგარების ოპერატორები
შუშისა და კერამიკის ღუმელები და მონათესავე დანადგარების ოპერატორები	8131	8181 p	შუშისა და კერამიკის დანადგარების ოპერატორები
შუშის, კერამიკის და მონათესავე დანადგარების მწარმოებელი ოპერატორები, რომლებიც სხვა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან	8139	8181 p	შუშისა და კერამიკის დანადგარების ოპერატორები
ხის დასამზადებელი დანადგარების მწარმოებელი ოპერატორები	8141	8172 p	ხის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორები
ბოჭკოსა და ქაღალდის მწარმოებელი ოპერატორები	8142	3139 p	პროცესის მაკონტროლებელი ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
		8171 p	ბოჭკოსა და ქაღალდის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორები
ქაღალდის მწარმოებელი ოპერატორები	8143	3139 p	პროცესის მაკონტროლებელი ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
		8171 p	ბოჭკოსა და ქაღალდის დასამზადებელი დანადგარების ოპერატორები
ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები	8151	8131 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები
ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების მწარმოებელი ოპერატორები	8152	3133 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების

			კონტროლიორები
		8131 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები
ქიმიური ნედლეულის ფილტრაციისა და დანაწილების დანადგარის ოპერატორები	8153	3133 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები
		8131 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები
ქიმიური აირის და რეაქტორის ოპერატორები (გამონაკლისია საწვავი და ბუნებრივი აირი)	8154	3133 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები
		8131 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები
საწვავისა და ბუნებრივი აირის გადამამუშავებელი დანადგარის მწარმოებელი ოპერატორები	8155	3134	ნავთობისა და ბუნებრივი აირის საწმენდი დანადგარების ოპერატორები
		8131 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები
ქიმიური ნედლეულის მწარმოებელი ოპერატორები, რომლებიც სხვა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან	8159	3133 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების კონტროლიორები
		8131 p	ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები
ენერგოსადგურების ოპერატორები	8161	3131	ენერგოსადგურების ოპერატორები
ორთქლის მანქანებისა და საქვაბეების ოპერატორები	8162	8182	ორთქლის მანქანებისა და საქვაბეების

			ოპერატორები	
ნაგავსაწვავისადგურები, გამდინარეწყლებისგაწმენდა და დაკავშირებული სადგურების ოპერატორები	8163	3132	ნაგავსაწვავი და გამდინარეწყლებისგამწმ ენდი სადგურების ოპერატორები	
ავტომატიზირებული კონვეიერის ოპერატორები	8171	3122 P 3139 P	წარმოების ზედამხედველები სამეწარმეო პროცესის ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
სამრეწველორობოტების ოპერატორები	8172	3122P 3139 P	წარმოების ზედამხედველები სამეწარმეო პროცესის ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
ჩარხებისოპერატორები	8211	3122 P 7211 7223 P p	წარმოების ზედამხედველები ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები ლითონის მეჩარხეები და ამწყობი ოპერატორები	ყალიბის ჩამომსხმელი დანადგარის ოპერატორები
სამთომოპოვებითი და მინერალების დამამუშავებელი დანადგარებისოპერატორები	8212	8114	ცემენტის, ქვისა და სხვა მინერალური პროდუქტების მანქანების ოპერატორები	
ფარმაცევტულიდა პარფიუმერულიპროდუქციის დამამუშავებელიმანქანების ოპერატორები	8221	3122 p 8131 p	წარმოების ზედამხედველები ქიმიური პროდუქციის დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები	

საბრძოლოდაასაფეთქებელი მასალებისდამამუშავებელი მანქანებისოპერატორები	8222	3122 p	წარმოების ზედამხედველები
		8132 p	ქიმიური პროდუქციის დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები
გასაპრიალებელი, მეტალიზაციისა დალითონზედამცავიფენის დასადებიდანადგარების ოპერატორები	8223	3122 p	წარმოების ზედამხედველები
		8132	გასაპრიალებელი, მეტალიზაციისა დალითონზედამცავიფენ ისდასადებიდანადგარებ ის ოპერატორები
ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანების ოპერატორები	8224	3122 p	წარმოების ზედამხედველები
		8132 p	ფოტოგრაფიული პროდუქციის მანქანების ოპერატორები
ქიმიურიპროდუქციის დამამუშავებელიმანქანების ოპერატორები, რომლებიცსხვა კატეგორიასარმიეკუთვნებიან	8229	3122 p	წარმოების ზედამხედველები
		8131 p	ქიმიური პროდუქციის დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები
რეზინის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	8231	3122 p	წარმოების ზედამხედველები
		8141	რეზინის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

პლასტიკური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	8232	3122 p 8142	წარმოების ზედამხედველები პლასტიკური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	
ხისპროდუქციისდამამუშავებელი მანქანებისოპერატორები	8240	3122 p 7521 p 7523 p	წარმოების ზედამხედველები ხის დამამუშავებლები ხის დამამუშავებელი დაზგების ამწყობები და ოპერატორები	ხის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები
საბეჭდიმანქანებისოპერატორები	8251	3122 p 7322	წარმოების ზედამხედველები მბეჭდავები	
საამკინძაომანქანების ოპერატორები	8252	3122 p 7323 p	წარმოების ზედამხედველები მკინძავები	
ქაღალდის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	8253	3122 p	წარმოების ზედამხედველები	

		8143		ქაღალდის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
ბოჭკოს მოსამზადებელი სართავი და სახვევი მანქანების ოპერატორები	8261	3122	p	წარმოების ზედამხედველები
		8151		ბოჭკოს მოსამზადებელი სართავი და სახვევი მანქანების ოპერატორები
საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები	8262	3122	p	წარმოების ზედამხედველები
		8152	p	საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები
საკერავიმანქანების ოპერატორები	8263	3122	p	წარმოების ზედამხედველები
		8153		საკერავიმანქანების ოპერატორები
გასათეთრებელი, შესაღებიდასაწმენდი მანქანებისოპერატორები	8264	3122	p	წარმოების ზედამხედველები
		8154		გასათეთრებელი, შესაღებიდაქსოვილის საწმენდიმანქანების ოპერატორები
		8157		სარეცხიმანქანების ოპერატორები

ბეწვისადატყავისპროდუქციის გამოსაყვანიმანქანების ოპერატორები	8265	3122 p 8155	წარმოების ზედამხედველები ბეწვისადატყავის პროდუქციის გამოსაყვანიმანქანების ოპერატორები
ფეხსაცმლისადამსგავსიპროდუქციის დასამზადებელიმანქანების ოპერატორები	8266	3122 p 8156	წარმოების ზედამხედველები ფეხსაცმლისადა მსგავსიპროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები
ტექსტილის, ბეწვისადატყავისპროდუქციისდასამზადებელი მანქანების ოპერატორები	8269	3122 p 8159	წარმოების ზედამხედველები ტექსტილის, ბეწვისადა ტყავისპროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები
ხორცისადათევზის დამამუშავებელიმანქანების ოპერატორები	8271	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
რძისპროდუქტებისდამამუშავებელი მანქანებისოპერატორები	8272	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების

			დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
მარცვლეულისადასუნელებისსაფქვავი მანქანებისოპერატორები	8273	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
ფქვილეული, დაღერღილიმარცვლეულის ნაწარმისადაშოკოლადისპროდუქციის დასამზადებელიმანქანებისოპერატორები	8274	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
ხილის, ბოსტნეულისა და თხილის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	8275	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
შაქრის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები	8276	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
ჩაის, ყავისა და კაკაოს დასამზადებელი მანქანების ოპერატორები	8277	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების

			ოპერატორები
ლუდ-სახარში, ღვინისა და სხვა სასმელების დასამზადებელი მანქანების ოპერატორები	8278	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
თამბაქოს დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	8279	3122 p 8160	წარმოების ზედამხედველები კვებისადამსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები
მექანიკური მანქანებისამწყობები	8281	3122 p 8211	წარმოების ზედამხედველები მექანიკური მანქანების ამწყობები
ელექტრული მოწყობილობის ამწყობები	8282	3122 p 8212	წარმოების ზედამხედველები ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობის ამწყობები
ელექტრონული მოწყობილობის ამწყობები	8283	3122 p 8212	წარმოების ზედამხედველები ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობის ამწყობები

ლითონის /პლასტმასის ნაკეთობების ამწყობები	8284	3122 p 8219	წარმოების ზედამხედველები ამწყობები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
ამწყობი, ავეჯი/ხე და სხვა მსგავსი მასალები	8285	3122 p 8219	წარმოების ზედამხედველები ამწყობები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
ამწყობი, ტექსტილის, მუყაოს და მსგავსი პროდუქცია	8286	3122 p 8219	წარმოების ზედამხედველები ამწყობები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
სხვა დანადგარების ოპერატორები და ამწყობები	8290	3122 p 8183 8189 8219	წარმოების ზედამხედველები შესაფუთი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტირების მანქანების ოპერატორები სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას ამწყობები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას
ლოკომოტივების მემანქანეები	8311	8311	მემანქანე, ლოკომოტივი/კარიერი
რკინიგზის მამუხრუჭებელი მუშები, სიგნალის გადამცემები და გადამრთველები	8312	8312	რკინიგზის მემუხრუჭეები, სიგნალის გადამცემები და გადამრთველები
მოტოციკლების მძღოლები	8321	8321	მოტოციკლის

			მძღოლები	
მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები	8322	8322	მსუბუქი ავტომობილის მძღოლები	
ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები	8323	8331	ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები	
მძიმე სატვირთოსა და მისაბმელი სატვირთო ავტომობილის მძღოლები	8324	8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	
ოპერატორი, მოტორიზირებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობა	8331	8341	სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები	
მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები	8332	8342	მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები	
ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები	8333	8343	ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები	
ავტოსაწეველების ოპერატორები	8334	8344	ავტოსაწეველების ოპერატორები	
გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	8340	8350	გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	
სასურსათო პროდუქტებით გარე მოვაჭრეები	9111	5212	გარე სასურსათო საკვებით მოვაჭრეები	
გარე მოვაჭრეები (არასაკვები პროდუქტები)	9112	9520	გარე მოვაჭრეები (საკვების გარეშე)	
კარ-და-კარ მოსიარულე და ტელეფონით გამყიდველები	9113	5243	კარ-და-კარ მოსიარულე გამყიდველები	
		5244	საკონტაქტო ცენტრების	

			გამყიდველები
ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში მომსახურების სხვა ელემენტარული საქმიანობა	9120	9510	ქუჩისა და მსგავსი მომსახურების მუშები
შინამოსამსახრეები და დამხმარეები	9131	9111	დამლაგებლები და დამხმარეები
ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	9132	9112	ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები
		9412	სამზარეულოში დამხმარეები
ხელით მრეცხავები, მპრესავები	913	9121	ხელით მრეცხავები, მპრესავები
შენობის მომვლელები	9141	5153	შენობის მომვლელები
ავტომობილების, ფანჯრებისა და მსგავსი ტიპის ხელით მრეცხავები	9142	9122	ავტომობილების მრეცხავები
		9123	ფანჯრების მრეცხავები
		9129	სხვა ტიპის მრეცხავები
კურიერები, ფოსტალიონები და პორტიეები	9152	9621	კურიერები, პოსტალიონები და პორტიეები
კარისკაცები, მეთვალყურეები და მსგავსი სახის მუშაკები	9152	5414	უსაფრთოხების დაცვის სამსახურის მუშაკები
		9621	კურიერები,

		9629	ფოსტალიონები და პორტიეები დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას.
სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები, მრიცხველების კონტროლიორები და მსგავსი მუშაკები	9153	9623	მრიცხველების კონტროლიორები და სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები
ნარჩენების შემოგროვებლები	9161	9611 9612	ნარჩენების შემგროვებლები ნარჩენების დამახარისხებლები
მეეზოვეები და მსგავსი მუშები	9162	9613 9622 9624	მეეზოვეები და მსგავსი მუშები უცნაური სამუშაოს მქონე პირები წყლისა და შეშის შემგროვებლები
სასოფლო მეურნეობის დამხმარეები და მუშები	9211	9211 9212 9213 9214	სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფერმების დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი მეცხოველეობის ფერმების მუშები შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის ფერმების მუშები

			მებაღეობის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	
მუშა, სატყეო მეურნეობა	9212	9215	სატყეო მეურნეობის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	
თევზჭერა, მონადირეობა, ხაფანგების მოწყობა	9213	9216	თევზჭერისა და წყლის კულტურების დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	
მაღაროსა და კარიერების დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	9311	9311	მაღაროსა და კარიერების დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	
სამშენებლო სამუშაოებზე და გზების, კაშხლებისა და ანალოგიური ნაგებობების შეკეთებაზე დაკავებული დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	9312	9312	სამოქალაქო ინჟინერიის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	
სამშენებლო კონსტრუქციის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	9313	9313	მშენებლობაზე დასაქმებული დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	
ამწყობები	9321	9329	სამრეწველო სფეროს სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
ხელით მფუთავები და სხვა სამრეწველო მუშები	9322	9321	ხელით მფუთავები	
		9329	სამრეწველო სფეროს სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	
ხელითა და პედლით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები	9331	9331	ხელითა და პედლით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები	
მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები	9332	9332	მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი სატრანსპორტო	

			საშუალებების მძღოლები
მტვირთავები	9333	9333	მტვირთავები
		9334	საქონლის თაროებზე დამწყობები
შეიარაღებული ძალები	0110	0110	შეიარაღებული ძალების ოფიცრები
		0210	სერჟანტთა შემოადგენლობის სამხედრო მოსამსახურე
		0310	შეიარაღებული ძალების თანამდებობები, სხვა წოდებები